

114 /  
1965/4



# მეცნიერებათა ისტორია

— 1965 —



# გნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 1

იანვარი 1965 წ.

საბარტველოს საგვითა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ზუბა ბერულავა — ლექსები	3
კ. სანიძე — სოფლის ამბავი. პოემა-იუმორესკო	4
სერგი ჭილაია — ვატირინე ქაეკეაძე. ჟრონიკა	12
ალ. მუთათელი — ქვიშეთის ღამე. ლექსი	69
გურამ გეგეშიძე — სიმორცხე. მოთხრობა	70
ე. ბაგრატიონი — ტილ ულუნშიგელი. მონოლოგი. თარგმანი ო. კ. ლაძისა	90
ერნესტ მემინჯუაძე — განუერული დღესასწაული. რომანი. თარგმანი ვახტანგ ქე- ლაძისა	95

### კრიტიკა და ლიტერატურის ისტორიკობა

შალვა აფხაიძე — პოეტის აღსარება	129
ალექო სანიძე — ზენი დღეების მომღერალი	139
ვრიგოლ კიკნაძე — აკაკის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი	144
ბენო გორდენიანი — კ. ზდანევიჩის „ნიკო ფიროსმანიშვილის“ გამო	157

### წაკსულიდან

ნინო მახათაძე — ა. პუშკინის აბოლევი ქართველები	165
--	-----

### წიგნების მიმოხილვა

ა. გეგეშიძე — ძველი სიმართლე დანახული ახლებურად	171
ვლადიმერ ზამბახიძე — წიგნი ქართველ სამოციანულზე	174
ნ. მშვილდაძე — „აბუჯები დარჩენენ მარად“	178
ნ. ნათაძე — გ. ფანჯიკიძის მოთხრობები	179
წ. აბაშიძე, ვ. კახნიაშვილი — ნარკვევები თანამედროვე გერმანულ მწერლებზე	181
ვენორო ქვაჩიხია — მინაშენლოვანი გამოცვლვა ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე	184
გულნარა გოზალიშვილი — ტარას შევჩენკო საქართველოში	187
დავით შულღიაშვილი — თხზულებათა აკადემიური გამოცემა მწერლის ბიოგრაფიის გარეშე	
ნ. ზომასურიძე — ნაშრომი საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლის ისტორიიდან ახალი წიგნები	



5026

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
ე. მაღრაძე, ბ. უღენტაძე, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,  
ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

---

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/1-65 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწილების ზომა  
7 $\frac{1}{4}$ ×12 $\frac{1}{2}$ . ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.  
უე 02624, ტირაჟი 6,000, შეკვეთა № 3366.

---

საჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი  
თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

## სხვა გეგმები

\*\*\*

აღტაცებული მივყვები აღმართს  
და გეფიცები, არა ვგრძნობ დაღლას.  
მზე მშობლიური თვალში მამუჭებს,  
რომ ვითხრა, ვული არ გამიწყრება,  
ჩემი სიცოცხლეც და სიჭაბუკეც  
მხოლოდ და მხოლოდ ახლა იწყება!

სიჩქარე, არა ნაჩქარეობა! —  
მომძახის ყველა მთა და ხეობა.  
ავთანდილივით ხელბეგაშლილი

ფიჭრებს თავიდან ვასწავლი ფრენას  
და ვეუფლები თოთო ბავშვივით  
დედა ბუნების იღუმალ ენას.

სიყვარულივით ვასაოცარი  
მწვერვალი ჩემი კიდევ შორს არი,  
ამ სიწორეზეც თუმცა მამბრუებს,  
მწყურია შენთვის აზრთა ვანდობა:  
მივილტვი წინ და უკან მამბრუნებს  
ჩემი ელვარე ახალგაზრდობა!

## ქ ი გ უ რ ი

თეთრი სვანეთი ეკუთვნის დედად,  
მწვანე კოლხეთმა დააფაქცია,  
და ელოდება ელდენის ელდას  
მისი ყოველი ტალღა კაშკაშა.

თაობა ჩემი დგას, როგორც მწვრთნელი.  
ვით საუკუნის ჯიუტი აზრი,  
და მომავლისკენ უთითებს ხელით  
თოვლიან მთებში სვანივით გაზრდილს.

დადგება ქაში და გვირაბები  
ალიგებთან მდინარის რისხვით,  
ჩვენც ერთი წამით ვავინაბებით,  
და ვავგაოცებს ძალ-ღონე მისი.

ვაიხარებენ ხრამი და თერგი,  
ვით ღვიძლი ძმები ერთად შეყრისას.  
დაიბადება ელვარე ძეგლი  
ჩვენი ღროის და ჩვენი ქვეყნისა!



კ. ნალირაძე

## სოფლის ამბავი

პოემა—უმორესკა

### I

მე გავფრბოდი ზაფხულის დღეებს—  
(გულს ზოგჯერ მაინც დაეჯერება!)  
მსურდა ვწვეოდი მინდვრებს და  
ტყეებს,  
კვლავ მეგრძნო სოფლის მშვენიერება.

ან თუ რამე სჯობს ჰაერს სოფლისას!  
პურის ლუკმასაც მეტი აქვს გემო.  
დილით გამოსვლა, ხმა მეზობლისა,  
მერცხლის გალობა აივნის ზემოთ.

სადღაც კირიალი მიმავალ ურმის,  
სადღაც გულუხვად გაშლილი სუფრა...  
წყაროზე ტკბილად რა მოჰკლავს  
წყურვილს,  
ჩრდილს რა დაადენს ცაცხვებზე უფრო?

ყრმობის მეგობარს ისევე ნახავ,  
თვალს მოჰკრავ გოგოს უცნობს და  
ტურფას...

ოცნება ჩემით არსიებს ჰქარგავს,  
სულში კი ვილაც სალამურს უკრავს.

უკრავს სალამურს და სუნთქავ  
ტკბალად,

განახებდა გული სიამით.  
ღმერთო, რა რიგად ტყის ახლოს  
გრილა,  
რა რიგ სუფთაა მინდვრის ნიაფი!

რა რიგ ბრწყინავენ ვარსკვლავნი  
ღამით,  
რა რიგ სიხუმე მოიცავს არეს,  
და ვაზის ფურცლებს, მოვერცხლილს  
ნამით,  
რა ნეტარებით დაჰყურებს მთვარე!

და ეს სიხუმე ღამეს მთვარიანს  
თითქოს იმიტომ ჰქვენს ამ დიდებას,  
რომ დაღლილ სულდგმულს და  
აღამიანს  
მოგვაროს ძილი და დამშვიდება...

მოგვაროს შვება, გადავიწყება  
ამ საწუთროის ჭირვარამისა,  
სადაც სულისტქმა მიტომ იწყება,  
რომ მოჩვენებათ გაქრეს წამისად.

არ იქნებოდა, წუთით სიამე  
სულდგმულს არ ჰქონდეს მინიჭებული,  
რომ დღეს მშფოთვარეს არ ცვლიდეს  
ღამე

და ღამეს დილა გაბრწყინებულნი?

რა იქნებოდა, —თვალთა გახელა  
აქ სტუნრად მოსულს არ ახარებდეს  
და, უკვდავების გამომსახველად,  
მას სიყვარული არ აბრმავებდეს?

### II

მაისის დამღევს ჩამოველ სოფლად  
და ყანის პირად, წისქვილის ახლოს  
მოგნახე კუთხე. სოფელში ყოფნას  
სიზარმაცე და ოცნება ახლავს.

მაგრამ რაც იწვევს ჩვენს გაოცებას—  
ფიქრს სულ სხვაგვარად ესაზღუნება,  
სხვა სამყაროში მიჰქრის ოცნება  
და ნეტარებით უტკბერ ბუნებას.

მართოდ-მართო ვარ. დარდს არ  
ვიკარებ.

არაფინ ზრუნვით თავს არ მეგლები.  
მართობს, ხან დროს რომ უქმად  
ვატარებ  
და ხანაც ლექსით ამეტყველება.



ზოგჯერ ბევრეობას ვიგონებ ჩემად,  
სასწაულებს ნატერაში ვასულს...  
ზოგჯერ წისქვილში შევდივარ სტუმრად  
და მთენს გავყურებ ტყით შემოვარსულს,

ვესმენ ნაკადის ღარში დინებას,  
წისქვილის ქვების ხმაურს და რაკრაკს.  
შე ზოგჯერ ვარჩევ აქ დაძინებას,  
და მეწისქვილის ყურს ვუვლებ არაკს.

მოხუცი დინჯად მომიტხრობს წარსულს,  
ქაჯებს და ჭინკებს რა შეძლებიათ,  
როგორ აღებენ კარს გადარაზულს,  
ან მგზავრი როგორ გადურევიათ.

როგორ მოისმის უღრანი ტყიდან  
სოფელში მცხოვრებ კაცის სახელი,  
როგორ ვარდება უფსკრულში კლდიდან  
გზას აცდენილი მათი მნახველი.

როგორ შემოძვრა წისქვილში ჭინკა  
და შეაგუბა ნაკადი ღარში,  
როგორ წარუდგა მას ტახის დინგათ  
და შემდეგ ისევ ჩაინთქა წყალში.

როგორ — ქცული მზეთუნახავად —  
აცდენდა ვაკეკას ავიაშვილსა,  
როგორ მოთქვამდა ის გულსაკლავად  
და ვერ ჰპოვებდა ვერსად საშველსა.

როგორ ჩაახრჩო მორცემი წაზით,  
სადაც რიონი ჭალადიდს უვლის,  
და ახლაც დაძრწის წვიმიდან ღამით  
მისი საბრძოლო, ცოდვილი სული.

და მასწავლიდა სიტყვებს მოხუცი,  
რომელნიც უნდა წარმოთქვა მაშინ,  
თუ შემოგზვდება ალქაჯი უცებ  
მდინარის ახლოს, ტყეში ან გზაში.

„შენ ეს სიტყვები დაგიფარავენ,  
თუ სამჯერ შესძელ პიოჯვარის წერა,  
თორემ ვერ გიხსნის ქვეყნად ვერაფერს,  
გახდება ჭინკის ან ქაჯათა წერა“

ჰყვებოდა წყნარად, თითქოს ხედავდა  
თავის ნაუბარს საკუთარ თვალთ...  
და თავათ იგი ჯადოქარს გავდა,  
ზღაპრიდან მოსულს ზღაპრული ძალით.

III

ლამაზ ეზოში, ფართო ჩრდილებში  
ოქროსფერ მაშალს ვხედავდი ხშირად,  
როგორ პატრონი ნასადილევი  
მიძინებდა მუხის ქვეშ ტკბილად.

არშიყი ერთობ და თავმოწმონე,  
მეტად ღამაში და უკარები,  
ყველაზე უფრო აქ ქვეყნად, ვგონებ,  
ის იყო ტრფობით ნანეტარები.

როგორც სარდალი ძლევაშოსილი,  
წინ მიუძღოდა ამაყად ცოლებს.  
იყო შურით და იქვით ავისილი  
და ერთადერთი ფიქრი, ოცნება,  
რომელმაც მამლის აჩსება დაწვა,  
ეს იყო ცოლთა პატიოსნება  
და ჰარამხანის ნამუსის დაცვა.

არ ვიცი, ცოლებს როგორ უყვარდათ,  
როგორ უხდიდნენ და სცემდნენ  
პატივს,  
იყვნენ ერთგულნი, თუ იწის გარდა,  
სხვებთანაც ახსოვს მეზობლის სათიბს...

რამდენი ომი თავგანწირული  
გადაუხდია საბრალის მისთვის,  
რომ არ დაეთმო წესი გვირული,  
რომ არ დაეთმო მეუღლე სხვისთვის.

მის ბიბილოზე სისხლისა ღვარი  
ბრძოლების შემდეგ ხშირად მინახავს.  
როგორც მებრძოლი და როგორც  
ქმარი,  
სამაგალითოდ ის დამისახავს.

და უნდა ითქვას, რომ მამაცობას  
ხერხსა და ღონეს იჩენდა ქარბად,  
და მთელ სოფელში მის ვაქაცობას  
ქებას ახსამდნენ ქათმები, ალბათ.

ღარდი და ჭმუნვა, არც მწუხარება,  
ვგონებ, აროდეს არ განუცდია,  
ეგებებოდა გამოდარებას,  
მზეს და ზაფხულის რიყრაცებს  
ბნიათ.

და, აი, ერთხელ. როცა მისმა  
მზე გააგორა ბურთივით ცაზე, —

მეზობლის ქასთან უცბად გაისმა  
ნორჩი ვარიის კაკანი ნაზი.

ეს ხმა უცნობი, ტუბილი, ნარნარი  
მას არასოდეს ჯერ არ სიენია,  
გახედა ეზოს — „ეგზომ ნაქნარი  
ნეტავ რა მშობელს გაუჩენია?“

ქოჩორა თავი, ნაზი ნისკარტი,  
მოღერებული მღელვარე ყელი,  
ტურფა, კეკლუცი, კობია და მარდი  
და გამობედვა მორცხვი და მწველი.

„ასეთი კარგი, ფეციკავარ განჩენს,  
არგინ მინახავს მე ამის გარდა!“  
ფიქრობს მამალი და თანაც ამჩნევს,  
გულს უჩვეულო იწვია დარდი,

სევდა ახალი, ჯერ განუცდელი,  
და მღელვარება რალაც ფარული —  
სახედისწერო და აუღენი,  
ჭურღღევით გულში შეიომარული.

#### IV

მე გაეცანი ამ მაშლის პატრონს,  
ნეტავი რა სჯობს კარგ მეზობლობას,  
ჩვენკან ყოველი მას გულით ნატრობს,  
თუ ერთდება შურსა და მტრობას.

კაცი აღმოჩნდა დინჯი, ფხიანი,  
ოჯახში გამრჯე, მოყვარე შრომის,  
კოტა ნაკითხი, თავაზიანი  
და საოცარი მოძულე ომის.

სამი შეილიდან მას ორი დარჩა:  
ერთი ვაჟი და ერთი ასული.  
მესამე შეილზე ფიქრები ტანჯავს,  
— აღარ ბრუნდება ომში წასული...

დღე და ღამ ელის დედა დაკარგულს,  
ეგებ სიცოცხლე ჩაუქრო ტყვიამ?..  
ვენახში ვაზებს მის ხელით დარგულს  
იგი კრფს თავათ ყველაზე გვიან...

ღვინოსაც მისთვის აყენებს ცალკე  
ტანსაცმელს ფრთხილად ინახავს,  
რვლის,  
მის ტოლ მეგობრებს პატივს არ  
აკლებს,  
მაგრამ არ ცხრება ფარული წყლული.

და ქმარი ამბობს: „რა ვუთხრა, რა  
ერეკნაწული  
ვერ დაუშვებდი ტანჯულს ფუქსისქას  
ჩემთვისაც მშვიდი სიცოცხლე გაქრა,  
მეც გულში დანახს ლოდინი მიყრის!“

მე ვანუგეშებ, თუმცა არ მჯერა  
შინ დაბრუნება დაკარგულ ვაჟის:  
„ძვირფასო ვარდენ, ამ ჭარბულ კერას  
თქვენ უნდა მისცეთ სინტიკე კაჟის!“

„თუ ცოცხალი დავბრუნდებით,  
ეგებ ტყვედ არის შორს წაყვანილი...  
იქაც სამშობლო მას მოწყურდება  
თუ კი წამოვგლა იქნა ადელი.“

„კიდევ ორნი გყავთ, გამხნეველთ უნდა,  
ნუ გადაყვებით დარდას, გოდებას...  
ზედმადი ომი არაფის სურდა  
და აწ აროდეს განმეორდება“.

და ესაუბრობდით ჩვენ ხშირად ასე,  
ხელსაც ვეწყობდა გარეგობა.  
ვატყობდი: ჩემთან სურდა ბაისი,  
ცდილობდა გულით დაიხლოებას.

ქალაქის ამბებს მას ვუყვებოდი,  
მოვიგონებდი ზოგჯერაც წარსულს;  
დაღამებამდე ხშირად ვრჩებოდი,  
და როცა ვახამს შევეტყუოდით,  
ვუღღერდებოდი ვაჟსა და ასულს.

კარგი ბოსტანი, კარგი ვენახი,  
კარგი ხეხილით ავსილი ეზო  
მომწონდა ძლიერ, მე არ მენახა  
სოფლად ოჯახი შემკული ეგზომ.

თავი მოსწონდა ვარდენსაც თავათ  
თუმცა არ იმჩნევდა არც დებს აპას.  
უცქერდა ხშირად მტრედების ნავარდს  
და თავისხელით აქმევდა მამალს.

ერთხელაც მითხრა: „საოცარია,  
ამ მაშალს ჩემსას რა ემართება?!  
დასდევს მეზობლის იმ კრელ ვარიას,  
კოტის სქანს ერთობ, თანდათან  
ხდება.“

ჩვენს ქათმებს თითქმის არ ეკარება,  
ხომ არ გათვალეს, ან ხომ არ კვდება?“



მე გამეცინა და ვუპასუხე:

„მსურს მოგახსენო პოეტურ ენით:—  
სწანს გამიჯნურდა მამალე თქვენი“.  
ვარდენს ღიმილმა შეუშკო სახე  
და საუბარი განვაგრძეთ ჩვენი

„ამ ორ სამ დღეში გაიძნობთ, ალბათ,  
კურსდამთავრებულ ნათელას ჩემსას...  
ღვინოს შეგასმევეთ ისეთს, ვით  
შარბათს,  
ღროს გაატარებთ ჩვენთანაც კარგად“.

„მის მოსვლას ხარბად მოეღის დედა,  
ეგების ვაჟმაც ჩამოსვლა შესძლოს,  
თუმცა არ მიჩხელს, ნაგრამ მე ვხედავ—  
დაიფებს ჩემად სოფელში სარძლოს“.

„არ მოსწონს, ვიცო, ქალაქელ ქალთა  
ჩვევები, ქცევა არა ქართული:  
სურს შეილიშვილია შეუშკოს კალთა,  
დარჩეს ოჯახი წელგამართული“.

„გითხრათ მართალი მეც ვფიქრობ  
ასე:—  
ქალაქის ფუსფუსს ვერ ვეთვისებთ.  
მიყვარს ქართული ოჯახი სახე  
ქართულ ადათით, ქართულ  
ღირსებით“.

„ასევე ფიქრობს გოგონა ჩვენი,  
თუმცა გზა ქალის სულ სხე-გვარია...  
რომ ვთქვიეთ უბრალოთ გლეხური ენით  
ოჯახის ბურჯი მაინც ქმარია“.

„და ამიტომაც საჭირო არი  
ქალისთვის ჭკუა და დაჯერება,  
რომ გვერდში ჰყავდეს ისეთი ქმარი,  
ქართულ ოჯახს რომ შეეფერება“.

„ვგონებ არა ვარ ამ ფიქრში მცდარი:  
(—რომ დაკვირვებით იხსჯელოს  
კაცმა—)  
რაც უფრო ერი პატარა არის  
მით უფრო მართებს ოჯახის დაცვა,

„ოროთვე შეილი აგრონომია,  
ვაჟი კახეთში მუშაობს უკვე.“

შვილების აღზრდას ბევრი ნდობია  
მოგეხსენებათ თქვენც ჩემს მშობლებს

წყნარად იწყებდა ზეიშს დაისი,  
ხეების ჩრდილებს ემატათ სიგრძე,  
რალაც სიამის გრძობით ავიყვ,  
მონწონდა ჩემი მეზობლის სიბრძნე.

მზე იყო შუბის ტარზე დასული  
ისმოდა ფრინველთ ვივილხივილი,  
და ქის ნახლობლად ფრთების  
ტკაცუნით  
შეყვარებული მამლის ყვილი.

## V

როგორც ედემი სხივმოელვარე  
ციურ კურთხევით და მადლით სავეს,—  
გაღვიძებული სუნთქავდა არე,  
და გაეწვინა ლაქვარდი მკლავზე.

კიდევ არ ჩანდა ცისა მნათობი,  
არ დაფენათ აღვებსაც ჩ—ღილი.  
მინდვრის ყვავილებს ცელქი გართობით  
უაღერსებდა ნიაფი დილის.

ძილღვიძრად მდგომი ხეების წყება  
რალაც სასწაულს ელოდა თითქოს...  
და შა, ცის კიდურს აისი ღებავს  
მიწას ეფრქვევა შუქი და სითბო.

ღამენათევი ვიყავ წისქვილში,  
ნელი ნაბიჯით შინ ვბრუნდებოდი  
და როგორც ნეტარ უნაზეს ძილში  
მშობელი არე ჩემს წინ ჩნდებოდა.

გამოღვიძებულ ფრინველთა ხმებით  
მეგებებოდა მიდამო ტურფა,  
თითქოს ბუნებას თავგამეტებით  
აქ გაეშალოს მეფური სუფრა.

მაგრამ ქვეყანა ჩვენი გმირული  
მწარე ფიქრების მორცევი სხევედა  
მიტომ ვიყავით ჩვენ განწირული  
და უბედობაც ამიტომ გედღედა!..

თვით სიღამაზე საუნჯე დიდი—  
ზარც ადამიანს ანიჭებს შევას:



მას თან არ მოაქვს სიცოცხლე მშვიდი  
და ხშირად ტანჯვის მიზეზი ხდება.

მაგრამ ჩემს გულში ვილაყ ამბობდა,  
რომ რაღაც ძალია სამშობლოს იხსნის...  
სილამაზეს და ტრფობას ამკობდა  
დასაბაბიდან ცრემლი და სისხლი!...

## VI

ფუახლოვდები ბინას და ვხედავ  
ვარდენის სახლკარს მზის შუქით  
ავსილს...

აივანზე კი ვინ არის ნეტავ—  
ჰაეროვანი ოცნების მსგავსი?

მე უნებლიედ შევჩერდი წამით,  
ქალიც მიცქერდა გაკვირვებული  
ხორბლით ავსილი ტვირა ჯამი  
და სახე ჰქონდა გაღიმებული.

ზემოდან პეშვით აბნევედა საკვებს,  
ირგვილივ მტრედები დანაგარდობდნენ.  
მის ქალწულ სხეულს უნაკლოდ ხაგებს  
შხრებზე დაყრილი თმები ამკობდნენ.

სალამი მივეც და გავიარე,  
ოთახში შეველ ელდანაკრავი...  
დამდაგველ გრძობას კვლავ ვეზიარე—  
თითქოს ასი მზით აინთო არე!..  
კართან შევდევდი, გავხდი უძრავი.

ისევ ის მეზი, ისევ ის განცდა  
ცეცხლი და ტანჯვა გულისმგზინავი!  
ნუთუ ქალარას ჩემს ას არ აცდა  
არც ახლა სენი განუკურნავი?

ნუთუ ამ ქვეყნად არაფერ იცის  
თილისმა, ჯადო, მომგვრელი შეების,  
რომ გული დაცხრეს, კვლავ გახდეს  
მტკიცე,  
იქნეს მორჩილი საკუთარ ნების?!

## VII

განრიგი დღისა სულ შემეცვალა,  
გული სიტყვის თქმას ვეღარც კი  
ბედავს.  
თავად ვეღარ ვცნობ საკუთარ ჩემ  
თავს...

რაღაც დიადი შაბრმაგებს ძალია:—  
უცქერს თვალი და ვერაფერს ხედავს!..

დავეხეტები, დავდივარ მარტო,  
ხან მეწისქვილეს ანბებს ვუყვებოდა  
ხან კოლმეურნეს სიმღერა, ჭაროფისკან  
ხან საიდუქლოს ბუნება მანდობს  
და ლქსით მინდვრებს ვესაუბრები.

აშრიალებულ ვენახს და უნას  
ვეწვევი ზოგჯერ, მათთან ვისვენებ,  
ვზივარ წყაროსთან, ვუსმენ მის ნანას,  
წყარო შეხედებით სახეს მისვლელს...

## VIII

მე მივაშურე ისევე თბილისს,  
რომ გამეფანტა კუნევა და სევდა...  
„დრო მკურნალია! წაე, გაიელის“  
ფეიქობდი ასე, ვახოზი ტკივილს...  
სევდა კი მაინც კვალდაკვალ მდევდა.

ქაშეთის ახლოს ვზივარ და ფეიქობდ,  
მწუხარის ცისფერი ფრთებით ბურვილი.  
და აი ვაჩჩნე: თანდათან მიპყრობს  
თავზე დაცინვის მწარე სურვილი...

ჩენს წინ მეფურად ზეღმართული  
დიდი მგონების ძეგლი ინთება:  
საქართველოსთვის ორი ჯვარცმული,  
ქართველი ერის ორი დიდება.

რაღაც დარცხენით იმათ შეეცქერი,  
სულგანაბული და თავდახრილი...  
მე ვხედავ ნათლად: „ღარ შემდგომის  
შეყვარებული კაცის სახელი!

რათ ვშფოთავ, რა ესურს, ან რა  
მალონებს—  
აღიძრა ჩემში ეს გაოცება.  
რას ვალევ ნეტავ სულს და ძალ-  
ლონეს,  
რად ივეოლივარ გიჟურ ოცნებას?!

მიახლოვდება დიდი წყვილიაღი!  
და არ შეშვენის ქალარას ჩემსას  
ვიყო მიჯნური და გულზევიადი  
ისმოდეს ჩემი ოხვრა და კენესა.

## XI

კვლავ სოფელში ვარ, კვლავ ჩემ  
ბინაში,  
ისევე სოფლის ჰაერით ვთვრები,



მარტო ვარ, მარტო მე ჩემს წინაშე,  
ისევე ცისკიდურს ამკობენ მთები.

შორით მოისმის კოლმეწურნეთა  
შრომის სიმღერა ხმაზე წყობილი,  
სადღაც მანქანა გუგუნებს მკვეთრად  
ჩაის მკრეფელნი მოდიან ერთად  
და მათ სიამით ხვდება სოფელი.

უკვე თვე გადის არ ვხედები ვარდენს,  
მას, ალბათ, უკვირს და ვერას  
ხვდება,  
მაგრამ დღეს ბაღში არეინ ოწყავს  
ვარდებს  
და აივანზეც არაეინ ჩნდება.

იჩველივ არეინ ჩანს, რომ ფიქრი  
ვანდო  
და ვრჩები შეტად გაკვირვებულნი:  
ვხედავ, რომ ქასთან სულ მარტოდ-  
მარტო  
დადის მამალი დაღონებული.

ვიცოდე მიინც, ოქროს მამალი  
რამ მოაწყინა ესოდენ დიდად?  
რატომ არ დადის თავის ამალით,  
სად გაქრა მისი ტრფობის წამალი,  
ბედნიერების წუთებს რომ გვრიდა

ის თქვა ჩორა სად არის მიინც,  
დააკლეს, თუ ქორმა კლანჭი დარია?  
რომ არ დაპყვება მიჯნურს და რაინდს,  
ვისთანაც ხშირად გაუხარია?!

არ ვიცი არა, სიცალიერე  
რალაც ჩემს ირგვლივ განეფებულა!  
თითქოს შეცვლილა ეს არემარე,  
თითქოს ეს სახლიც დაღუშებულა.

კიბზევ ნელა ავდივარ კარებს  
აიენის ღირს ვეხები ფრთხილად  
მხედება სიჭუმე, კარს არეინ აღებს...  
ვეგების წვანან, ვეგების სძინავთ?

მაგრამ მზე უქვე ამოსულა,  
ამა დროს ყველა ფეხზეა სოფლად.  
მტრედები ცაში წარეებს უვლიან,  
ქასთან მამალი სეირნობს ობლად.

ჩაველ ეზოში—აქ ვარჩევ ლოდინს,  
ბაღის კარები ვის დარჩა ღებნი  
ვხედავ ვარდენი ყანიდან მოდინს  
და თოხი მხარზე გადაუღვია.

წინ ვეგებები გახარებული,  
ივი ღინილით მომაჩერდება  
ჩემი დანახვით გაკვირვებული,  
თოხს ჩამოიღებს და შეჩერდება.

სად დავგვეკარგეთ, სად ბრძანდებოდით?  
ნეტავ ვიცოდე, რათ მომერიდე?  
ყველას გვეკვირდა რომ არ ჩნდებოდით,  
ვითხრათ მართალი გვეწყინა კიდევც...

ცოლი ამბობდა: ალბათ, წავიდა,  
არ მოისურვა დამშვიდობებაც...  
უნდა გვეცოდნოდა ჩვენ ეს თავიდან,  
რომ ჩვენთან ყოფნას არ ინდომებდა!—

მე გამეღიმა და მეგობრული  
ხელი მოეხვიე მაშინვე ვარდენს:  
„არა, არა ვარ თქვენთან ორგული,  
ვწუხვარ, რომ ვხედავ ასე გულნატკენს.

„თქვენი ოჯახის გული კეთილი  
და პურმარული არ მაგიწყვება!  
ჩემთვის ამ სოფლის საღამო თბილი  
მოსაგონები მუდამ იქნება!

„როგორ იფიქრეთ, რომ ვუკადრისობ,  
ან სიამაყედ რად ჩამომართვით?  
ზხოლოდ აქ, სოფლად, გულით  
ვხალისობ,  
და თქვენთან ყოფნით ჯანსაღი  
გავხდები.“

„საქმე შემემთხვა მოულოდნელი,  
ოცი დღით თბილისს წასვლა მომიხდა...  
არ იცი კაცმა ხვალ რა მოგელის!  
იქაც სხვა საქმე ბევრი დამიხვდა...“

— „ჩემი თამბა სად არის ნეტავ?  
გვეკითხებოდა ნათელა ხშირად.  
კარგა ხანია მას ველარ ვხედავ  
რათ დადის ჩვენთან ის ასე ძვირად?“

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოსწონდა  
თქვენი სიტყვა და შორსმხედველობა!..“

სწულხდა აქამდე რომ ვერა გცნობდათ...  
ჩვენ ხშირად გვექონდა თქვენზე  
მსჯელობა!“

შემიპატივა ვარდენმა ბაღში,  
მოიბოდინა, რომ მარტოდ დარჩა.  
— „არაფინ არის ჩემს ვარდა სახლში,  
მარტო მიხდება შრომა და გარჯა.“

„ჩვენი ნათელა თხოვდება ახ...  
თქვენ ეს უთუოდ გაგიხარდებათ!  
ცოლიც წავიდა ქალიშვილს ახლავს,  
ქორწილისათვის იქ ეხანდება.“

„ჩვენი სასიძო გვეწვია სტუმრად,  
გულს მომიხედა მისი ქვევა და სიტყვა.  
მათ ერთანგეთი უყვარდათ თურმე...  
აქ ცოლ-ქმრებაზე დასტური ითქვა.“

„ვწუხდით, რომ ჩვენთან არ  
ბრძანდებოდით  
რომ თამაშობა გეკისრათ ისევ.  
გეძებდით, მაგრამ ვერსად

გვხვდებოდით,  
უთქვენოდ ისე ვერ ვიხალისეთ!“

მე და ვარდენი მუხის ქვეშ ვზივართ  
შუადღე მოდვა და ძლიერ დაცხა  
— „აღდე მერის მერად მცხუნვარე  
მზეა,  
ყანებშიც შრომის ხმაური დაცხრა“.

— „ვხედავ ბევრი რამ განიცვალა  
ამ მოკლე ხანში, ძვირფასო ვარდენ!  
ოჯახს ნათელა გამოეცალა,  
იქ თურმე შრომით სასწაულს ახდენს!“

„გაზეთში ვინაზე მისი სურათი  
შრომის გნებობა რის მიანიჭეს.  
ყოფილა თურმე მანე და პურადი  
და ხალხიც უძებნა გულს და სიღინჯეს“.

სახე უბრწყინეს ვარდენს სიამით,  
სათნო ღიმილი მას ერთობ შეენის.  
გვიგრიდებს გულ-მკერდს ცელქი ნიაგი  
და საუბარი გრძელდება ჩვენი.

მაგრამ ვარდენი გაღიზიებული  
ქვის მაგიდაზე თეფშებს ალაგებს.  
— „ღვინო მაქვს ჭაში ჩაცივებული,  
ის უფრო კარგად გვალაპარაკებს“ —

ამბობს და დოქი ამოაქვს შიღნ,  
მოაქვს ჩქადი და ქართულად მსჯელობს  
პატარა ყანწი სულ ერთს გრძობს  
გამგრილებელი გამშრალი ყელის.

— „არ ვიხდი ბოდინს! ოჯახს უქალოს,  
მართლაც ღაზათი არა ჰქონია!  
ფრინველიც ოჯახს საფესს უგალობს—  
ეს ხომ იაფშეგბსაც გაუგონიათ!“

— „ნხოლოდ სულით და გულთ  
მორთმეულს  
შეგხარი მუდამ, მით უფრო ახლა!  
ამ ღვინოს თქვენი ხელით მოწვეულს  
თქვენი კეთილი გულიც თან ახლავს!“

— „ერთმა ამბავმა გული დაგწვავიდა,  
ეს, ალბათ, არც კი შეგინანგვიათ,  
ჩვენი ქათვები ქირმა გაწყვიდა.  
მხოლოდ მამალი შემოგერჩნია!“

„გასაოცარი ამბავი მოხდა—  
ამ ოხრ ქირის წამალი არ სჩანს—  
ყველა მეზობლის ქათვები მოკვდა  
და ეს მამალი ცოცხალი დარჩა“

„თქვენ მას „მიჯნური“ ერთხელ  
უწოდეთ,  
ცოლმაც ასეთი რილაქ მიჭირა...  
ყველას გვიყვარდა და შევიცოდეთ,  
და აი ახლაც, თქვენ რომ იცოდეთ,  
თითქოს დაეყვანა იმ თავქოროას!“

„გითხრათ მართალი, მჯეროდა ჩეცა,  
მისი მოქცევა საგებსაც აოცებს.  
მას ვისმეს თვალი უთუოდ ეცა,  
მოაჯადოეს, ან შეულოცეს!“

მე გაზეცინა, აქწიე ყანწი,  
ვადიდე გრანობა, გასაკვირველი,  
ძალა ტრფოზისა, და გულის დაწვის,  
კაცი ემონა მას, თუ ფრინველი.

გაცინებული მიცქერს ვარდენი...  
ეგების ხედება? ო, არა, არა!  
მიხედვრის ნიჭი ვის აქვს აქლინი?  
„შეგვათ, ძვირფასო, წავიდეთ, ემარა!“

## X

„... დავტოვე სოფელი,  
მყუდრო სამყოფელი...“

პაოლო იაშვილი

„მიწურულ იყო ქვეყანად ზაფხული“  
და შემოდგომის მოღლილი სუნთქვა  
იყო ლაფვარდში გამოსახული  
მთების კალთებს რომ ეფინათ სუფთათ.

შვენოდათ ყანებს დატაროება,  
ვენახში მტყენებს ქარიყვად ქცევა-  
მახარებს ტყისკენ განმარტოება,  
მწყერობის დროის მოახლოება,  
და, მეოცნებე, ბალახში ვწყევარ.

ვწყევარ ბალახში და ფეოქობ ასე:  
ნეტავ რათ ბორჯავს ადამიანი?  
რა უნდა? მის გულს მტრობა რათ  
ავსებს

მზეკსა და ნადირს თავს რომ  
ანსგავსებს

სტუმრად მოსული,  
მოკლედლიანი,  
სიკვდილმისჯილი ადამიანი?

ზღვად იქცეოდა სისხლი ამდენი  
რაც მან ახთხია უთვალავ წლებით,  
ოკეანებად ცრემლი ნადები,  
და მთებათ მოკლულ მოიმეტა ძვლები.

ვისთვის, ან რატონ? აქ, ამ სოფელში  
შტანჯავდნენ ხშირათ მე ეს ფიქრები...  
აქ არ სჭირდებათ მახილი ხელში,  
აქ არ ირწყვება სისხლით მინდვრები.

აქ სიმშვიდეა და მყუდროება,  
აქ მხოლოდ შრომის დაუდგმელი  
და ეფინება გულს სასოება,  
რომ ამ ცხოვრების მოწამე გაგხდის!..

## XI

შინ დაბრუნების დრო არის უკვე  
გემშვიდობენ უანებს და წიღებებს.  
ჩენს ზეწისქვილეს სიღინჯეს ვეჭებ,  
ვესურვებ ჯანით რომ იყოს უკეთ.  
მადლობას ვუხდის ამ სოფლის  
მკვიდრებს.

ისევ მარტოა ვარდენი ახლაც—  
ქორწილს ღვინობის თვეში იხდიან—  
მივდივარ ხასთან. ეტყვი და დღლა  
თუცა დღეს ჰურბიცი კი ხოჯდება.

მეზობლის გოგო სახლში ტრიალებს,  
მოაქვს სადილი, გაშალა სუფრა.  
გარღი ნიაფი ბაღში შრიდენს  
და შორს კი ვილაც საღამურს უკრავს.

საღამო ვდგბა. მოგვეცნის ტურდენ  
სუფრის მომეგრელი გალობა შაშვის...  
ამოაქვს ღვინო ხასპინიელს ჭიდან  
მე ვუდღვგრძელებ სახლკარს და  
ცოლწვილს.

ვზივართ ორთავე დაღონებული...  
ჩვენს ზემოთ. ცაში ცურავს არწივი.  
მე ვრჩები მეტად გაკვირვებული:  
ჩენს წინ სუფრაზე დგას მორბინული  
შეყვარებული მამლის საცივი!

1964 წ. ივლისი

საგმი შიდაი

## მატერინე ჰავაპაძე

ქ რ ი ნ ი ა

### გამხიარული ბუნარი

იყო 1816 წელი, დღე მარტისა; დილიდანვე მზიანი ამინდი დადგა. მახათასა და მამადავითს შუა დაკიდებულ მზეს თავისი ცხოველმყოფელი სხივებით აღევსო მთებში ჩამქდარი თბილისი. ზამთრისაგან დამზრალი მიწა მზეს ეფიცებოდა, თბებოდა და ღვებოდა. იმ წელს ცივი ზამთარი იყო, და სიბზოს მონატრებული ქალაქელები ქუჩებში გამოფენილიყვნენ.

ადიდებულ, მღვრიე მტკვარს ორთაქალის ჯებირი გადმოეღება და ბაღებში ტბორებად დამდგარიყო. მტკვრის ნაპირებზე, მკერდგადაღებული ყარაჩოღელები ბადით ხელში დააბოტებდნენ. მტკვრის შვილებს სხვა დარდი არ აწუხებდათ, ოღონდ ქეიფმოწყურებული ძმებიჭეების სუფრას მტკვრის ცოცხალი არ მოკლებოდა. ყარაჩოღელთა უღარდელ ღიღინს ადიდებული მდინარის ხმაური ბანს აძლევდა და ასე აღწევდა მეორე ნაპირამდე მებაღურთა ქალაქური ჰანგი.

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ  
ჰმონებდეს?  
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად  
არა გცემდეს?...  
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა  
გაქვს, ჰვიებ საცა,  
ველები გუავს ქვეშევრდომად, ამას შეც  
ვეგრძნობ და თვით სხვაცა.

მაშინ იმ ყარაჩოღელმა მომღერალმა რა იცოდა, ან იმათ რა იცოდნენ, ვინც მიჯნურობის დამწველ ჰანგებს სმენდა, რომ ამ ლექსის დამწერს იმ

დღეს ქალიშვილი შეეძინებოდა, და ეს ქალიშვილი თვითონ იქნებოდა ხელმწიფე და თვითმპყრობელი მიჯნურობისა.

შუადღე არ იყო მოტანებული, რომ აღმოსავლეთის ცივმა ქარმა დაპბერა და ერთბაშად ცაზე ღრუბლები აირია. ქარს წვიმა მოჰყვა, წვიმას თოვლ-ჰყვაძი.

ქაეკავაძიანთ უბანში კი დილიდანვე დიდი ფუსფუსია. ალექსანდრეს სახლში მშობიარე ქალი წვეს და მოლოგინებას ელოდებიან. გარეთ ქარი ქრის... ბუნხართან ალექსანდრე ზის და ვერ ისვენებს. იქ, მეორე ოთახში, მის მეუღლეს სალომეს. შინაურები, ბებიაქალი და ექიმი გარს ახევიან. მშობიარე ქალი დროდადრო კვიის. ეს კივილი მთელ უბანს ესმის.

ქაეკავაძიანთ კერა მოთმინებით ელოდება ძეობას.

მშობიარე ქალი ისევ კენესის და შფოთავს... ალექსანდრე ისევ ბუნხართან ზის და ფიქრობს. ფიქრი ფიქრს გადაება. ისევ იკვილა ქალმა. ალექსანდრე წამოდგა და იმ ოთახის კარს მიადგა, სადაც მეუღლე იწვა. შიგ შესვლა კი ვერ გადაწყვიტა. სწორედ ამ დროს ბებიაქალი გამოვიდა. ალექსანდრემ სულმოუთქმელად ჰკითხა, როგორ არის საქმეო.

«ქარგად, ბატონო, ნუ სწუხართ. წადით, მოისვენეთ თქვენს ოთახში. მე თვითონ მოვალ და გახარებთ ყოველივე კარგს. მოისვენეთ, ბატონო, — და-

უყვავა ბებიაქალმა შეწუხებულ ალექსანდრეს.

ალექსანდრე ვერ ისვენებს, დელაქს, ექიმის გამოსვლას ელოდება. ექიმსაც არ დაადგა საშველი. არ გამოდის. ალექსანდრე ფიქრობს... ფიქრობს და თავისი განვლილი ცხოვრება აგონდება. აი, უკვე ოთხი წელია ნაპატები, შეწყალებული საქართველოში დაბრუნდა. უკვე ერთი ქალიშვილის მამაა ახლა ნატრობს, ეს მეორე შვილი ნეტავ ვაყი იყოსო.

ეს წელი და ეს თვე მისთვის ბედნიერი გამოდგა: სულ რამდენიმე დღის წინათ როტმისტრობა ებოძა, დღეს კი მეორე შვილს ელოდება.

სამსახურში კვლავ დაწინაურებულ პოეტ-მეომარს ახლა ისევ წარსული აგონდება: რა რთულად, მაგრამ კეთილად წარიმართა საქმენი მისნი. არა, ნამდვილად გადაურჩა ქარაიზხალს.

ფიქრობს ალექსანდრე, გულიც და ფიქრებიც, თითქოს, ორად აქვს გაყოფილი: ნაზი და მგრძობიარე გული, მამულის სიყვარულით გამთბარი, მამულისათვის ტყვეობაში ნამყოფი გული ისევ აქვზებდა პოეტს.

ახლა მამა მოაგონდა და ასე იფიქრა: მამამ თავისი ხელით ჩააბარა ჩვენი ქვეყანა რუსეთს. მე, მის მიერ კეთილად გაზრდილი შვილი, ვეუბრე მამის გზას, მამულის გამოხსნა განვიზრახე და სისხლი დავღვარე, მაგრამ რა გამოვიდა? — ტყვეობა, გადასახლება... საქმეში კეთილი და გავლენიანი მამა რომ არ ჩარეულიყო, აღბათ, სადმე გადასახლებაში აღმოხდებოდა სული.

ახლა პოეტი ამ ფიქრებს აპყვავდა და ეს გონება, გონიერება უკარნახებდა მას, კვლავ მეფის ერთგულება გამოეჩინა, კვლავ ესახელებინა მახვილით რუსეთის ჭარი.

ალექსანდრეს უკვე დიდი გამოცდილება და მეომარი კაცის სახელი ამშვენებდა. მაგრამ გული, ნაზი გული, მაინც თავისკენ ეზიდებოდა. და ორი გული ერთმანეთს ებრძოდა: გული სამხედრო მუნღირში გამოწყობილი მეომ-

რისა და პოეტის ნაზი, მგრძობიარე გული, ისევ მოაგონდა გადასახლებაში ტყვეობა, ომი და ბრძოლა, ისევ მწარედ აღმოხდა პოეტს:

„კაპ, დრონი, დრონი, ნავებნი მტკბარად, წარიღვნენ, ვანქრენ სიხმრებრივ ჩქარად“.

მერე ოცნების ბურუსი გაეფანტა, სინამდვილეს დაუბრუნდა და ისევ მამა დაუდგა თვალწინ.

პოეტის მამა, გარსევან ჭავჭავაძე, ერეკლე მეფის „პირველი სანდო და საყვარელი კაცი იყო“. ქალაქ გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატს, რომლითაც საქართველომ რუსეთის მფარველობა მიიღო 1783 წელს ერეკლე მეფის რწმუნებით, ხელს გარსევან ჭავჭავაძე აწერდა. ხოლო ერთი წლის შემდეგ ერეკლემ იგი პეტერბურგს წარგზავნა ასეთი მანდატით: „მომრთმევი წიგნისა ამის კნიაზ გარსევან ჭავჭავაძე თქვენის იმპერატორების დიდებულეებისადმი წარმოგზავნეთ სამყოფლად უშაღლესისა კარსა ზედა თქვ. იმპ. დიდსა ძალითა ყოვლად, მოწყალეობითა, ტრაქტატისათა, მეხუთე არტიკულისა, რომელსაც შევედრებ მოწყალეობითა მფარველობასა თქვ. იმპ. დიდსა ვითარცა შვილსა ჩემსა და სარწმუნოსა ყოველსა საქმესა შინა, რომელსაც აქვს რწმუნებულ ყოველნი საქმენი ჩვენნი მოსახსენებელნი უშაღლესისადმი კარისა თქვ. იმპ. დიდსა“.

პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლესა და მის შემკვიდრეს გიორგი მეფეს, თვრამეტი წელი ემსახურა დესპანად. თავს არ იზოგავდა საქართველოს საქმეთა კეთილად წარმართვისათვის და, მერე რა მიიღო ამისათვის? — ზოგმა უშაღლურმა ლალატიც კი დასწამა. ერეკლეს შემკვიდრენი ბატონიშვილები მას რუსეთის მსტოვრად სთვლიდნენ. ეს რომ მოაგონდა, ალექსანდრეს გუნება გაუფუძლა.

სწორედ ამ დროს ისევ იკვილა მშობიარე ქალმა და გაწყდა ფიქრთა ძაფი...

მერე ისევ დაწყნარდა ყოველივე. ალექსანდრე აღგა, მივიდა კართან, ისევ გამობრუნდა, ბუხარში ცეცხლს შეუკეთა, აგიზგიზდა, გამზიარულდა ბუხარი... კვლავ მამა დაუდგა თვალწინ: საქართველო ისტორიული ქარცეცხლის წინაშე აღგა. ცული დრო იყო. რა გზა უნდა ერჩიდა საქართველოს, რა გზას უნდა დასდგომოდნენ ქართველები, — ძნელი იყო მაშინ ამაზე ფიქრი. სამშობლოს ყოველ წელს მტერი აღგა კარზე. იყო ლწევა და ნგრევა ჩვენი ქალაქები<sup>1</sup>, სოფლებისა და დაბეებისა... და აი, ჩვენი დედა თბილისიც ამ ოციოდე წლის წინათ აღგავეს პირისაგან მიწისა... ქვა ქვაზეც არ დატოვეს...

ახლა ისევ პეტერბურგი ვაახსენდა. მაშინ პატარა იყო ალექსანდრე, როგორ წუხდა და არ ისვენებდა მამამისი გარსევაში. ყოველ დილას ეკატერინეს კარზე იყო აყუდებული და ალა მამად ხანისაგან აოხრებული თბილისის მოსაშველებლად, ერეკლე მეფის დავალებით, ორი ბატალიონის გამოგზავნას ევედრებოდა. ეკატერინე ჰპირდებოდა, და გარსევიან ქავეჭვაჟეც მოთმინებით ელოდა. ელოდა და ამოდ. ერეკლე ისევ სწერდა გარსევიანს: „გარსევიან, დადგა დრო, რომ ყოველი ღონე იღონოთ სამშობლოს, ეკლესიის და ქრისტიან ერის დასაცავად, — აღარაფერი აღარ გაგვაჩნია, ყოველივე განადგურდა; შენ თვითონ კარგად იცი, ჩვენ ჩვენის ფიცით რომ არ გყოფილიყავით დაკავშირებული რუსეთთან და ალა მამად-ხანთან კეთილი განწყობილება გეჭონოდა, ამ უბედურებას აეცლებოდით“.

ისევ შეირბა ფიქრების მიძივ და ერთბაშად ალა-მამად-ხანის ფირმანი ვაახსენდა, ერეკლეს რომ გამოუგზავნა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღადგინა ოდესღაც მის მიერ წაკითხული ფირმანის მუქარით სავეს ადგილები:

„ბრძანებასა ამას ჩვენსა გამოუცხადებთ მისს სიმაღლეს საქართველოს მეფეს. მომლოდინესა წყალობისა ჩვენი-სა ვითარმედ ესრედ გუწყყოს:

„სამოცდაათისა წლისა უწინარეს, რო-

მელიცა საქმე ყანდაარს ქართველთა დაიჭირეს და ერანის ნამუსლიწაზნუნესა<sup>2</sup> ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულა რომელ შაჰსულთან უსენიცი მოცკედარი არის და აღარც არის.

„ახლა თქვენმა უმაღლესობამ იცის, რომ ეს ასი თაობა არის რომე ერანისანი ჰყოფილბართ, ახლა განკვირებით ვპბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაცა ამის გარდასხვა არა არის-რა, რომ ერანში ივაქრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის.

„ოთხმოცდაათი წლიზ კაცი ბარ და ამისთანა საქმეებს შერები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულბართ, ნება მივციცა.

„თუმცა თქვენი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვადასხვა არის და განთვისება აქვს, მაგრამ ყოველთვის ერანთან შეერთება გეჭონით.

„ერანში თურქი, ქართველი, სომეხი. ურჯულო და მრავალი ჰსჯულის სხვანიცა არიან; ამისათვის ჰხამს, რომ ყოველისავე სირცხვილი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა.

„შარშანდელს დროსა, რამდენიმე ქართველი მე გამაფუჭებინე მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენი ყმანი ჩვენის ხელით წამახდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის: ჩვენ ღეთის მოწყალებით, რომლისაცა ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჰკვიანი კაცი ხართ. ამგვარი საქმეები განიშროთ, რომ ქვეყნის თასლიბი არის და რუსების შეერთებულება დაჰხნა.

„თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთ სისხლს ერთად დაეპტევეთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა ვაგავეთებთ.

„რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთვის ეს ფირმანი მოგწერეთ. ჩვენს ბრძანებას არ გადახვიდე და შენი მდგომარეობა იცნა...“

— არა, მაინც რა უკუღმართად წარიმართა მაშინ ბედი ქართლისა მონ-



დოღების შემდეგ საქართველოს არ ას-  
სოვს ისეთი აზრება და განადგურება  
თბილისისა, მაგრამ ღმერთმა სულ  
მთლად მიიწი არ გასწირა ბედი ქარ-  
თველთა. და, როცა აღა მამადა-ანი  
მეორედ ემზადებოდა თბილისის ასაოზ-  
რებლად, საქართველოს ცოდვამ უწია,  
და ვერაფერად მოკლეს 1797 წელს. მე-  
რე ის იყო, მამაჩემი 1799 წელს თბი-  
ლისში ჩამოვიდა, საქართველოს მეფეს  
დიდხანს ესაუბრა და იმავე წელს  
კვლავ დაბრუნდა პეტერბურგს. მერე  
ათასი გაჭირვება და წვალბა...

1803 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე,  
ეკატერინე მეორეს ნათლული, დიდე-  
ბულად აღზრდილი და განათლებული,  
თბილისში ჩამოიყვანეს. ახალგაზრდა  
მამულიშვილი ბატონიშვილებმა აიყო-  
ლიეს და 1804 წელს მთიულეთთან მხარ-  
დაშხარ, ფარნაოზ ბატონიშვილთან ერ-  
თად, საქართველოს გამოსხნისათვის იბ-  
რძოდა, მერე მეფის ურჩი ახალგაზრდა  
კაცი ტამბოვეში გადაასახლეს. პეტერბუ-  
რგის კარზე მყოფმა გარსევან ჭავჭავა-  
ძემ სთხოვა იმპერატორს და კვლავ პე-  
ტერბურგს დააბრუნეს. მერე პაეტა კო-  
რპუსი... სამხედრო კარიერა... 1811  
წელს ისევ თბილისში ჩამოსვლა...  
1813-14 წლებში ნაპოლეონის ჯარის  
წინააღმდეგ ომში მონაწილეობა... ამ  
ომიდან დიდების სახელით დაბრუნდა  
საქართველოში, და აგერ კვლავ წინ მი-  
იწევს. ხვალინდელი დღე ისევ და ისევ  
დაწინაურებას, პატივს და სახელს უქა-  
დის.

ალექსანდრე თითქოს დამშვიდდა.  
ისევ სიჩუმე რომ ჩამოეკარდა, თავის  
ფიქრებს დაუბრუნდა.

— არა, მამაჩემი ჩემზე უფრო  
ბტკივე კაცი იყო. და რა იბრუნა პი-  
რი პეტერბურგისაკენ, მერე ერთ-  
ხელაც არ მოუხედავს უკან. იქვე  
დავმარხე, ნევის მონასტერში. ბოლომ-  
დე ერთგული დარჩა ერეკლეს გზისა.  
იქნებ, მართალი იყო მამა? იქნებ, არ

იყო მართალი! ვინ იცის, ვინ იცის!  
მწარედ აღმოხდა კენესა ჭავჭავაძეს  
რა იქნებოდა საქართველო თურქეთის  
ან სპარსეთის პროვინცია რომ გამხდარი-  
ყო? ალბათ, უფრო უბედური იქნებოდა.  
ვიდრე დღეს არის. იქნებ იყო სხვა გზა.  
მესამე გზა? ეგებ, გამოჩენილიყო ვინ-  
მე ძლიერი კაცი, რომ ერთბაშად შეე-  
კრა საქართველო და დავით აღმაშენებ-  
ლის დარად, გაეწია მისი კიდე და გა-  
ნი?

ისევ დაუბრუნდა პოეტი მშფოთკარე  
ფიქრებს, ისევ მოიწყინა მეოცნებე პო-  
ეტმა. და ჩუმად აღმოხდა კენესა სული-  
სა:

...„მომესია სევდით გუხსა,  
შემომერტვა ბნელი ბუნდი,  
ჭაჭვი დამსდვა მონებიასა,  
კისრად ვიღე და დაეღუმილი“

„მესამე გზა“, „მესამე გზა“, ეს ხშირად  
გვესმის, მაგრამ მე მგონია, ყოველივე  
ეს ოცნებაა. განა ამ ოცნებას არ შეემა-  
სხვებრე ჩემი ახალგაზრდობა? და ალბათ  
მთლად დავიღუპებოდი მამაჩემი რომ  
არ ყოფილიყო. ისტორიამ დაადასტუ-  
რა, რომ მამაჩემი ჩემზე უფრო მიწიერი  
პოლიტიკოსი იყო.

ერეკლე და მამა მართალი იყვნენ.  
მესამე გზა ლაყბობა და ოცნებაა. პატა-  
რა ერს ჩვენს დროში დიდი ქომაგი სჭი-  
რდება, რომლის დახმარებითაც უნდა  
შეინარჩუნოს თავისი მეობა, თავისი სა-  
ხე, თავისი ისტორია!

მფარველობა და დაცვა — აი, რა  
გვჭირდება ჩვენ. და ამ შემთხვევაში  
ჩვენ ახალ რუსეთს უნდა დავეყრდნოთ  
და არა იმას, ვინც მოინდომებს მფარ-  
ველობის დროშით ჩვენს დამონებას.  
დიდისაგან მცირის გადაყლაპვა ცხოვე-  
ლთა კანონია. აღაშინებენ იმით განსხვა-  
ვლებიან ცხოველებსაგან, რომ ისინი  
შეგნებით ქმნიან ისტორიას და ამ შეგ-  
ნებული საზოგადოების კანონს ურთი-  
ერთდამხარება და მფარველობა უნდა  
ედოს საფუძვლად.

აი, რა უნდა ვიწამოთ და რა უნდა  
დავიჭეროთ. აი, რის იმედი უნდა გვქო-  
ნდეს და რისკენ უნდა ვესწრაფოდეთ!



ღიას, 1804 წელს მე მთიელებთან ერთად ვიბრძოდი მეფის რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს განთავისუფლებისათვის, მაგრამ მძიმე ტვირთად მაწევს 1812 წლის კახეთის აჯანყება. მე იქ თავი გამოვიჩინე ჩემთა თანამემამულეთა დამარცხებაში, რის გამოც იმპერატორმა ვლადიმერის ორდენით დამაჯილდოვა: საკუთარი მშენების სისხლის ფასად ვიპოვე ეს დამსახურება. ყოველივე ამისა გამო ჩემი სინდისი ვერც ვერასოდეს მოისვენებდა, რომ ერთ კახელ გლეხს ჩემთვის სისხლითვე არ ეზღვევინებინა ეს დანაშაული. მე იმ ბრძოლაში ერთმა ჩვენებურმა გლეხმა ფეხში დამჭრა. დრო გავიდა, თითქოს განვიკურნე კიდევ, მაგრამ ესლაც მტკიოდა ეს ნაჭრილობევი ფეხი, უფრო კი გული მტკიოდა, გული. მე მაშინ სწორედ გულში მომეაყენეს ტრილობა. ვაი, რომ ჩემს გულს ვერც ექიმი განკურნავს და ვერც დრო. სწორედ ახლა ამ ბედნიერების დღეს, როცა ძეს ველოდები, ვეკითხები ჩემს თავს: როდის ვიყავი მე მართალი, მაშინ როდესაც ტახტწართმეულ ბატონიშვილებთან ერთად ვიბრძოდი, თუ მაშინ, როცა რუსეთის ჯარის მხარდამხარ კახეთის აჯანყებას ვამარცხებდი? ასე რად ვარ ვაორებული? ნუთუ ჩემში ორი ქავევაძე ებრძვის ერთმანეთს? მე ეს არ ვიცი, ხოლო ის კი ნამდვილად შემიძლია ვსთქვა, ორსავე შემთხვევაში გულწრფელი ვიყავი და თანაც მწამდა, რომ სიპართლე ჩემს მხარეზე იყო.

მხოლოდ ოცნებით ერს ცხოვრება არ შეუძლია. ჩვენ ამ ქვეყანას ფეხზღად უნდა ეუყუროთ, შექმნილი პირობები ფეხზღად უნდა შევაფასოთ. ისტორიულ მოვლენათა თვალნათლივი შეფასება, — აი რა მართებს ყოველ დაკვირვებულ კაცს. ამოი ოხვრა და კვნესა, ოცნებით ღრუბლებში ფრენა ჩვენი საქმე არ არის...

სწორედ ამ დროს ისე განწირულად იკივლა ქალმა, რომ ალექსანდრე ფეხზე წამოხტა. მერე თითქოს ყველაფერი

დამშვიდდა. ადგა. გარეშე ქავევაძე აღარც ქარი ქროდა და ბატონიშვილებსა კუპაი იყო. ღრუბლები გადაერეკა თბილისის ცას. ღამე იმზირებოდა ოთახში, მაგრამ ოდნავ მმეტუბავი ლამპარი შიგ არ უშვებდა წყვილიად. ალექსანდრეს აჩქარებული ფეხის ხმა შემოესმა და ვარისკენ გაიხედა. ოთახში ზებია ქალი შემოვარდა.

— მოგვილოცავს, ბატონო ალექსანდრე, მოგვილოცავს, ბაბთიანი, ბაბთიანი...

ალექსანდრემ უცხად წარბები შეიკუმუნხა, გაოგნდა. ვაჟს ელოდა და, ცოტა არ იყოს, ეწყინა ქალიშვილის დებადება, მაგრამ უსიამო ფიქრები ერთბაშად თავიდან მოიცილა, ოთახში შევიდა, სადაც პატარა ჩვილს მამისეულ თეთრ სამოსში ახვევდნენ, მეუღლეს მიეჭრა, ლოგინის წინ დაიჩოქა, გონიზილი ქალს შეუბოღე ეამბოროდა...

ქავევაძიანთ ოჯახი გათენებისას დამშვიდდა. ალექსანდრესაც მაშინ ჩაეძინა, მაგრამ სამხედრო წესზე აღზრდილი პოეტი დილით მაინც აღრე ადგა. და ცხოვრება ისევ თავისი წესით წავიდა. ალექსანდრე დილიდანვე შეუღდა ოჯახისათვის ზრუნვას, წუხელ ვერაფერი მოეპარაგებინათ, რადგან საშინელ წყვილიდში გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო. იმ დროს მთელ თბილისში ხუთად ხუთი ფარანი იყო. ორი თუ სამი ფარანი მთავარმართებლის სასახლის წინ ანათებდა, ერთი — მადათოვის მოედანზე, სულ ახლო, სადაც ალექსანდრე ქავევაძე ცხოვრობდა, და ერთიც — შტაბის მოედნის წინ, პოლიციასა და შტაბს შუა.

მაშინ თბილისის ცენტრალური უბანი შტაბის მოედნიდან თათრის მოედნამდე იყო გაჭიმული. ვახვიით დაგრებილი ვაწრო ქუჩები ხელოსნების უბნით იწყებოდა. დუქნებში შეხიზნული ვაჭრები იქვე ცხოვრობდნენ, ხოლო რადესაც ხელოსნები და ვაჭრები მუშაობას მორჩებოდნენ, იქვე ქუჩაში ნარდს თამაშობდნენ და ნუნუსს შეეპყროდნენ.

სიონის შემდეგ, უფრო ვიწრო და ბნელი ქუჩები იწყებოდა. აქ დაბაღები მუშაობდნენ, და მუდამ ყარდა აქაურობა.

თვით თათრის მოედანი თბილისში ყველაზე ხმაურიანი უბანი იყო. ამ მოედანზე ვაჭრობდნენ ხელოსნები და მწიფრილმანები. აქვე სავაჭრო საქონლით დატვირთული აქლემების ქარავანი ისვენებდა. კამეჩები ურმებიდან გამოუშვებლად იწვნენ და იცოხნებოდნენ. იქვე მაწვნის ქილებით სავსე აბგემაკიდებული სახედრები იდგნენ; მოედანზევე ძვირფას ფარჩეულსა და ნოხებს, სოფლებიდან ჩამოტანილ თუ ორთაქალაში დაკრეფილ ხილსა და ბოსტნეულს ჰყიდდნენ. აქვე ცეკვა-თამაში იმართებოდა და ათასგვარ ბაიათებს გაჰყოფდნენ. მოედანი ერთადერთი ხილით უერთდებოდა თბილისის მარცხენა მხარეს, რომლის გულს ქამარ-ხანკლების და იარაღების სახელოსნო დუქნები იყო. შემდეგ მას ავლაბრის ყაზარმების მთელი უბანი მოსდევდა. ამ უბანში რუსის ჯარი იდგა. მოედნის მარჯვნივ, ნარიყალის ძირას, ბანიანი სახლების ქვემოთ, თბილისის განთქმული აბანოები იყო. აქვე იბანდნენ, აქვე რეცხავდნენ, აქვე სინჯავდნენ საპატარძლოებს, და მთელი ეს ხმაურიანი უბანი შტაბის მოედანზე თავდებოდა. მას სამხედრო შტაბი, მეფისნაცვლის სასახლე, სასულიერო სასწავლებელი და გიმნაზია მოსდევდა. შემდეგ კი ევროპული ყაიღის მრავალსართულიანი სახლებით, დიდი ბაღებითა და ვენახებით დამშვენებული თბილისის გარეუბანი იწყებოდა. მერე მტკვრის მარჯვენა მხარეზე გაგრძელდა ახალი სახლების მშენებლობა. უფრო გვიან გარეუბანში თვით ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაიღობინა. იმჟამად კი იგი მთაწმინდის ძირში, „ნაკადულ სოლოლაკთან“ გენერალ ახვერდოვის სახლის ფლიგელში ცხოვრობდა.

ეკატერინე რომ დაიბადა, იმ დღეს მარტვი მიიწურა, ნუში და ატამი ჭერაც არ ჰყვაროდა თბილისის ბაღებში, არც

ცად აზიდული ალვის ხეები და კაკლები იყო შეფოთლილი. ზამთრის ეჭყუცეუ ჯერ კიდევ სჯანბინდა ახლადფესვლები განაფხულს.

გაუცდებიული თოვლისა და წვიმებისაგან ატალახებულ თბილისის ქუჩებში გავლა ჭირდა. ჭვადენილები არ იყო. მარტო მთავარმართებლის სახლის წინ დაეკრათ პირველი ჭვადენილი, ხოლო აქა-იქ ქვაყურთ ქუჩებში ტლაპო იდგა და ურპით, ცხენით ან ეტლით თუ გაივილიდა კაცი. მთელ თბილისში ექვსი თუ შვიდი კარეტა იყო, ისიც ყველა მთავრობას ეკუთვნოდა.

შემდებული ოჯახებიდან პირველი „დროშა“ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰყავდა. ახლა იგი გენერალ ახვერდოვის სახლის წინ იდგა და მოსამსახურე ბიუს ელოდა, რომელიც ჭერ ბაზარში და მერე თბილისის პირველ რუს მეფუნთუშესთან უნდა წაეყვანა. ეს მეფუნთუშე თბილისში ერთადერთი იყო და ყველა აქედან ეხოლებოდა ფრანგულ ფუნთუშს ავადმყოფოსთვის.

თბილისში ცხოვრება ძვირი არ იყო. ერმოლოვის განკარგულებით, ქალაქის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა მხარეს, გერმანელების ახალშენი გაშენდა, მათი მეოხებით თბილისში აუარებელი რძე, კარაჭი, კარტოფილი და ლუდი იყო. ორთაქალის ბაღნა-ბაღებში მოწეული ბოსტნეულით, ხილით და ყურძნით ხომ თბილისი ძველთაგანვე იყო განთქმული.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მოსამსახურე იმერელი ბიჭი ბაზარში მაშინ მივიდა, როცა იქ აუარებელი ხალხი ირეოდა.

მოსამსახურე გამრუებული იდგა შუა ბაზარზე და აქეთ ინით შეღებულ ჭრულ-ჭრულებში გამოწყობილ ვაჭრებს შესცქეროდა, იქით — შავი სატინის ტომარაშარვლიან კინტოებს; მათ თავზე ხილით დატვირთული თაბახი ედგათ და გაბმულად გაჰყოფდნენ: „დული, დული“, ამქრებსა და ხელოსნებს თავიანთი ნახელავი შუა მინდორზე დაელაგებინათ და სხვადასხვა ენაზე მუშტარს ეძახდნენ. და ასე ირეოდა ერთმანეთში ქა-



რთული, თურქული, სომხური და სპარსული. ასევე არეული იყო ხილის, მემწეარი თევზის, დამალი ტყავის, მტერისა და ნავეის სუნი. აგერ ვიღაც დათვის ათამამებდა. ხალხი სეირს უტყეპროდა. ვიღაც სპარსელს მთელ ტანზე უხსენებელი მოხვეოდა და სპარსელი რაღაც გაუგებარს ჩასძახოდა. ბაზარში ჩოხა-ახალუნში გამოწყობილი, უღვაშეზარებილი თავადიშვილი გამოჩნდა, რომელსაც გვერდით მუნიანი ბიჭი მოსდევდა. ბიჭი დამფრთხალი თვალეზით დააქებდა კინტოს. სწორედ ამ დროს კინტომ თავში ჩაუტყაპუნა და ხმამალა იყვირა: „ხა, ხა, ეს ვინ მოსულა!“ და მთელმა ბაზარმა ხარხარი ატეხა...

შეუარაცხოფილმა თავადიშვილმა ხანდაი იშინებდა. ჩოხოსანი ხელეზგაკავებული გაიყვანეს. სირცხვილ ნაჭამ თავადიშვილს ისევე ხარხარი და გაბმული სიცილი მიაცილეს.

მერე მოჭიფე ყარაჩოღელები შემოცვივდნენ და ღრიანცელი გააბეს.

იმერეთიდან ახლად ჩამოსული ბიჭი გაოგნებული იდგა და უკვირდა ყოველივე ეს. შეეშინდა, მეც არ მივივლონი. ბოლოს ფრთხილად და მოხერხებით იყიდა, რაც დააბარეს, და უძალევე გაეცალა იქაურობას.

ჭავჭავაძის მოსამსახურე ბიჭს ამასობაში შინ დაბრუნება დაუგვიანდა. შინ კი პეტერბურგიდან ახლად მოყვანილი პრასკოვია არსენიევას ქალი, გენერალ ახერდოვის ცოლი ნერგულობდა. სტუმრები უკვე მოსულიყვნენ, და სუფრის გაშლა უგვიანდებოდათ.

თილიდანვე მთელ თბილისს გაეგო ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილის დაბადება; ახლობლები უკვე მოსულიყვნენ, რომ დიდი თავადისათვის შვილის შეტენა მიელოცათ. მოსამსახურეც დაბრუნდა, სუფრაც გაიშალა და ძეობის მოსალოცად ალექსანდრეს ახლად დანიშნული მეფისნაცვალი ერმოლოვი ეწვია. — ალექსანდრე ჭავჭავაძემ ამ პატივით დიდით გაიხარა.

სწორედ იმ დილით სახელდახელოდ

გამართულ ძეობაზე ალექსანდრემ ახლადშობილ შვილს თავის იმპერატრიცა ეკატერინეს პატრონად დააბრუნა.

\*\*\*

ეკატერინე ჭავჭავაძე რომ დაიბადა, იმ წელს დავით დადიანს დაბადების სამი წელი გადაუხადეს.

ეს დღე იყო 26 იანვარი. თოვდი გადაუღებლივ თოვდა. ხარისთვალას ოდენა თოვლის ფანტელები ფრიალფრიალით ეფინებოდა გაყინულ მიწას. თოვლს უკვე ამოევსო თხრილები და ორლობები, სქლად დაეფარა ველები და ხეობები. კვლავ თოვდა.

მთელი დღე ითოვა. ასე ეგონათ, ეს თოვა მთელი საუკუნე გაგრძელდებოდა. ხალხი სახლებში შებუდულიყო. სოფელი სრულ დუმისს მოეცვა.

ქეფისა და ნადირობის მოყვარულევე დადიანს დიდი წვეულება ჰქონდა.

სალამოყამს თოვამ გადაიღო, ბუნება დაწყნარდა. თოვლით დაბურულ სოფელში უბრალო ჩურჩულსაც გაიგონებდით.

დადიანების სასახლის დიდ ბუნარში ცეცხლი გიზგიზებდა, დარბაზში კინუნუასაგან შებლგახურებული სტუმრების სიმღერა გუგუნებდა.

გამხიარულით, სტუმრებო, გამხიარული, ჭერო და კარო. გამხიარული ბუნარო! დადიანები დღეობას უბდიან სამთავროს მემკვიდრეს — შესძახა ქეფის ეშხში შესულმა ლეევან დადიანმა და, ის იყო, აიწყვიტა ღრეობამ.

შუალამე გადასულიყო, მთელ სოფელს ღრმა ძალით ეძინა. მხოლოდ დადიანთა სასახლეში არ ეძინათ, ღამის მყუდროება ერთბაშად რამდენიმე თოვის გავარდნამ დაარღვია. გეგონებოდა, სოფელს თათრები შემოესიასო. თოფებს კი დადიანის სასახლიდან ისროდნენ გამომთვრალი სტუმრები.

დავით დადიანი 1813 წლის 26 იანვარს დაიბადა. 26 იანვარი დავით აღმაშენებლის დღეობაა საქართველოში

ლევან დადიანს თავი მოჰქონდა, რომ მისი პირველი შეილიც სწორედ ამ დღეს დაიბადა, და ვაჟსაც სახელად დავითი დაარქვეს.

დავითი ლევან დადიანისა და მარიამ წერეთლის პირშვი იყო. ლევანის ცოლი მარიამი, ქართული მწერლობის მცოდნე და მოყვარული, საღმრთო წიგნებზე აღზრდილი, დიდად მორწმუნე ქალი იყო. პირველი ვაჟიშვილი ცოლქმარმა ლეთის წყალობად ჩათვალეს და იმავე დღეს დიდი პარაკლისი გადაიხადეს, შემდეგ, ყოველ წელს, დავითის დაბადების დღეს ზეიმით იხდიდნენ. იმ წელს კი ძეობის სამი წელი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს. საქმე ის იყო, რომ იმ დღეს ლევან დადიანს ლიტვინოვი ჰყავდა საპატიო სტუმრად მოწვეული. ამ ლიტვინოვს გუბერნიასი სამეგრელოს საქმეები ებარა. ლიტვინოვს ზუგდიდთან ახლო მდგომი ბატალიონის ოფიცერებიც ახლდნენ. იმ ღამეს სწორედ ეს თავგასული, მთვრალი ოფიცერები ისროდნენ.

ამ დროს სამეგრელოს სამთავროს მეფის რუსეთის პროტექტორატი უკვე მიღებული ჰქონდა.

\* \* \*

1801 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზით რუსეთის ჯარი თბილისს შემოვიდა. რუსული ბარაზანის ხმებმა მთელ საქართველოს ამცნო მოკავშირე ჯარის შესვლა თბილისში.

ერეკლე მეფის — ქართლ-კახეთის კანონიერი მეფის მიერ რუსეთთან დადებული ტრაქტატის ძალით, აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მეფის ჯარს უნდა დაეცვა. მაგრამ თბილისში მეფის ჯარის შემოსვლის პირველი დღიდანვე ნათელი გახდა, რომ ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გუბერნია გახდებოდა, და დღეს თუ ხვალ ეს შეერთება დასავლეთ საქართველოზედაც გავრცელდებოდა. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის სამთავროებს იგივე

ბედი ეწვოდათ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს. ეს ისეთი ისტორიული ფაქტი იყო, რომლის წინააღმდეგ ცალკე დაყოფილი სამთავროები უძლურნი იყვნენ და ხმას ვერ აიმაღლებდნენ. საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლის პირველ წლებში შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ საქართველო დამშვიდდა, დაშოშმინდა. სპარსეთისა და თურქეთის მხრიდან დაპყრობის, აოხრებისა და აკლემის შფში გაქრა. ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუდამ შიშით მოცული ქართველი კაცისათვის, რომ ქართლ-კახეთში შექმნილი ახალი ვითარება სამაგალითო გახდა საქართველოს სხვა კუთხეებისათვის, და საქართველოს სხვა სამთავროებმაც ნელ-ნელა იწყეს რუსეთის მფარველობის ძებნა.

გრიგოლ დადიანმა 1803 წელს წერილი მისწერა საქართველოში მეფისნაცვალს თავად ციციანოვს, რუსეთის ხელმწიფესთან იმპერატორ ალექსანდრე პირველთან მიმუამდგომლე, ჩემი სამთავრო-სამეგრელო თავის ქვეშევრდომად მიიღოსო.

გრიგოლ დადიანი ძლიერი მთავარი იყო. მან ენგურის პირას ორჯერ დაამარცხა საქართველოს დასაპყრობად ამხედრებული თურქეთის ჯარი. იგი თავის მომწებესაც არ ინდობდა. იმერეთის მეფეს ლეჩხუმში წაართვა, ეს კუთხე სამეგრელოს განუყოფელი ნაწილიაო, საჩიქვანიოს უბანიო, მარტვილიდან კინჩხამდე ჩიქვანაიების გვარია დასახლებული და, სამეგრელოს ეკუთვნისო. სოლომონ მეორე განრისხებით დაუხვდა მოძალადე დადიანს. მაგრამ ბოლოს დადიანმა სძლია. და აი, ასე გათამამებული და გაძლიერებული გრიგოლ დადიანი, რომელსაც თურქეთის შიში ჯერ არ დაჰკარგოდა, რუსეთის ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ციციანოვის შეამდგომლობა დააკმაყოფილა. რუსეთის პატივისცემის ნიშნად სამთავროს ქალაქს მაშინდელი მთა-

ერის სახელი დაარქვა და ზუგდიდს გრიგოლითპოლი უწოდა. რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით. მთავარს ამტკიცებდა რუსეთის ხელმწიფე და უგზავნიდა მას სამთავროს დროშასა და ხმალს, ხოლო სამეგრელოში უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი. ის იყო იმ წელს გრიგოლითპოლში რუსეთის ჯარის ერთი ბატალიონი დააბანაკეს. სწორედ ამ დროს გრიგოლი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამბობდნენ, ლეჩხუმის წართმევისთვის იგი სოლომონ მეორემ მოაწამლა.

გრიგოლ დადიანის სიკვდილის შემდეგ, სამთავროს ტახტზე მისი შვილი ლევანი ავიდა.

რამდენადაც გრიგოლი მრისხანე და სასტიკი იყო, იმდენად ლევანი ლმობიერი და კეთილი აღმოჩნდა. უმთავრეს დროს ნადირობასა და ქეიფში ატარებდა. ცხოვრება კი თავისი წესით ძველებურად მიდიოდა. და როცა ამ მოქეიფე კაცს 1837 წელს ნიკოლოზ პირველი ესტუმრა, ლევან დადიანმა რუსეთის იმპერატორი და მისი ამაღლა განსაკუთრებული პატივით მიიღო, ერთი კვირა უმასპინძლა და მოხიბლული, კმაყოფილი და მადლიერი გაისტუმრა.

ლევან დადიანი დიდად არ იწუხებდა თავს სამთავროს საქმეებით, საქმე მაინც კარგად მიდიოდა. ეს იმის წყალობით ხდებოდა, რომ სამთავროს მართვა ლევანმა თითქმის მთლიანად გადააბარა სასლთუხუცესს — დიდ ნიკო დადიანს, კაცს განთქმულს გონიერებითა, ცოდნითა და მოხერხებით. მაგრამ, როდესაც ლევანი სიბერეში შევიდა, გადაწყვიტა თავისი შვილი დავით დადიანი თავის სიცოცხლეშივე გაემთავრებინა.

მაგრამ ჩვენ უკვე შორს წავედით...

დავითი დაიბადა თუ არა, მესამე დღეს ძიძად გლეხის ქალი მოუყვანეს სასახლეში. ძიძა მარტვილელი გეგეპკორის ცოლი იყო. ეს გეგეპკორი გრიგოლ დადიანს თან ახლდა მურის ციხის აღებაში. მან დიდად გამოიჩინა თავი, გრიგოლი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა, რის გამოც დადიანმა აზნაურობა უბოძა და

სასახლის ამაღლაში ჩაირიცხა. გეგეპკორის ცოლმა — სოფიომ, <sup>ინჩხირელი</sup> გლეხის წოწორიას ქალიშვილმა, ქართული წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ქართულად ლექსებს, ლოცვებს ზეპირად ამბობდა, გლეხი ქალის პირობაზე ფრიად ზრდილი და კეთილი იყო. მათი პირველი შვილი ანდრო ორი წლით უფროს იყო დავითზე, ხოლო დავითის ძეძუმტე თეო ერთი თვისა, როცა სოფიო ძიძად აიყვანეს. დავითი თეოსთან და ანდროსთან ერთად იზრდებოდა, მათთან ერთად სწავლობდა ქართულ ლოცვებს და იზეპირებდა ხალხურ ლექსებს. დავითსა და თეოზე უფროსი ანდრო ორივეს სჯობნიდა. დავითი ექვსი წლისა იყო, როცა ძიძას მოაშორეს და სასახლეში დედის ხელმძღვანელობით ქართული წერა-კითხვა დააწყებინეს. ჭირვეულმა უფლისწულმა, რომელიც ანდრო გეგეპკორთან ერთად ყოფნას შეეჩვიდა, მოითხოვა მასთან ერთად ძიძის შვილისთვისაც ესწავლებინათ. მერე ის იყო, დავითი ქუთაისს გაგზავნეს. უფლისწული ისევ გაქირევულდა და ისევ მოჰგვარეს მეგობარი გეგეპკორი, რომელიც შემდეგ მას თბილისშიც ახლდა.

ამ დროს ქუთაისში იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მმართველად დანიშნეს ვასილ ბებუთოვი. სწორედ ამ ბებუთოვმა თავს იღო მთავრის ვაჟიშვილის აღზრდა. შემდეგ, როცა ბებუთოვი თბილისს დაბრუნდა, დავით დადიანიც თან წაიყვანა. აქ დავით დადიანის მზრუნველი და მფარველი თვითონ მეფისნაცვალი ბარონი როზენი იყო. ბარონმა როზენმა რუსული განათლება და ცოდნა გადასცა მისთვის აღსაზრდელად მინდობილ დადიანის ვაჟს. დავით დადიანი ამავე დროს ქართულ ენასაც სწავლობდა. მას ქართულ ენას დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი ასწავლიდა. შემდეგ ბარონმა როზენმა დავით დადიანი თავის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ დანიშნა კანცელარიაში.

• • •

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მე-19 საუკუნის ოციანი წლების თბილისში ყველაზე გამოჩენილი და საპატიო ოჯახი იყო. ამ მარტო ქართველი მოღვაწეები კი არ იყრიდნენ თავს, არამედ რუსეთის დიდი ჩინოსნებიც.

ეს ის დრო იყო, როცა ახალი ევროპული თბილისი იბადებოდა, ფრანგული და რუსული ცხოვრების წესი ფეხს იკიდებდა.

თბილისის კარები ფართოდ შემოაღეს ალექსანდრე მცხეთის ოსტატებმა. ამას კვლავად შემოჰყვა ევროპული ჩაცმულობა, ჩვეულება და ადათი. აღმოსავლური საკრავების ხმა, ყარაჩოლური ქეიფის წესი, ლოთი-ფოთური და ხმაურიანი ქალაქი ადგილს უთმობდა ფორტეპიანოს, ფრანგულ და რუსულ მოდეებს, შექცევათა და გართობათა ახალ წესს.

ევროპული ფერუმარტილი უხვად წაეცხო ქალაქის სახეს. ახალ მოდეებს ახლა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი — ყველა განუჩევილად აყვავდა. ახალი ცხოვრების ფეხისხმას ისიც აყვავდა, ვისაც არ ესმოდა ამ ახლის სული და მხოლოდ გარეგნული ნიშნებით ითვისებდა მას. დაიწყო მძაფრი დაეა ძველისა და ახლისა.

ევროპული ცხოვრების წესმა მკვიდრად მოირობა ფეხი ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში. მის ოჯახში მოსვლა ყველასთვის სასიხარულო და სასიამოვნო იყო. იქ დიდი გულთბილობა და შინაურობა იგრძნობოდა. ამას მარტო ის კი არ ჰქმნიდა, რომ ალექსანდრეს კარგი მეუღლე და მშვენიერი ასულები ჰყავდა, არამედ ის დიდი ეროვნული ტრადიცია, რომელიც ახლა ევროპული ცხოვრების წესსა და ჩვეულებას ბუნებრივად ითავსებდა და იზამებდა. ყოველივე ამის გამო ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი თბილისის ფონზე.

თბილისში გაჩნდა გაზეთი, ყურნალი

და სხვა კულტურული დაწესებულებები. 1818 წელს დაიბადა პირველი თელი გაზეთი, „თბილისისა შინა, ბუნებისა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილი ფურცელნი, რომელსაც ეწოდება საქართველოს გაზეთი“, ხოლო 1832 წელს დაარსდა გაზეთი „თბილისის უწყებანი“. მას ჰქონდა ლიტერატურული დამატება, რომელსაც ოცდარვა წლის ახალგაზრდა მეცნიერი და მწიგნობარი 1832 წლის შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი სოლომონ დოდაშვილი რედაქტობდა. დოდაშვილს უმაღლესი განათლება პეტერბურგა ჰქონდა მიღებული.

დაიწყო ეროვნული გამოღვიძების ხანა, და ამის პირველი მედროშენი ქართველი მწერლები — სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი იყვნენ. საქართველოს საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ეს მესვეურნი დაქვეითებულ ეროვნულ კულტურას ფეხზე აყენებდნენ... თბილისში გამოჩნდა პირველი თეატრალური სანახაობები, შინაური წარმოდგენები და თეატრალური დადგმები. 1802 წელს დაარსებულ ორკლასიანი „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ 1830 წელს ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა, თბილისი განდა გული და ტვინი ახალი საქართველოსი.

მაშინ ახალი თბილისის მესვეურებს ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ თავისუფლად განეგოთ ქართველთა ეროვნული საქმე. დიდ წინააღმდეგობასა და ბრძოლაში გზას იკაფავდა და იბადებოდა ახალი საქართველო თავისი დიდი სოციალური და ეროვნული ინტერესებით.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ შვილების აღზრდა პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსულ არსენიევას ქალს მიანდო. უაღრესად განათლებული, პეტერბურგში აღზრდილი, მხატვრობისა და მუსიკის მოყვარული, მწერლობისა და ხე-

ლოვნების მცოდნე ეს რუსი ქალი, დი-  
ახაც რომ შესაფერისი აღმზრდელი იყო  
ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებისა.

პრასკოვია არსენიევა 1815 წელს  
ცოლად გაჰყვა მაშინ პეტერბურგში  
მყოფ თბილისელ გენერალს ახვერ-  
დოვს. გენერალი ახვედროვი 1816  
წელს თბილისში ვადმოიყვანეს სამუშა-  
ოდ. მას თავისი საკუთარი სახლი  
ჰქონდა სოლოლაკში. სწორედ მის სახ-  
ლში, უფრო სწორად, გენერალ ახვერ-  
დოვის სახლის ფლიგელში, ცხოვრობ-  
და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი. ამ  
დროს ნინო უკვე ექვსა წლისა იყო, და  
მისი აღზრდა, რუსული და ევროპული  
განათლებით ალექსანდრემ პრასკოვია  
ახვედროვას მიანდო, შემდეგ ალექსან-  
დრეს სხვა შვილებიც წამოეზარდა —  
ეკატერინე და დავითი. სამივეს აღზრდა  
ახვედროვას ქალმა იდო თავზე. პრასკო-  
ვიას 1820 წელს ქმარი გარდაეცვალა  
და გენერალ ახვედროვის ქვრივის შვი-  
ლების მეურვეობა ალექსანდრე ჭავჭა-  
ვაძეს მიენდო. ალექსანდრე ჭავჭავაძის  
მეუღლე სალომე ახვედროვის ნათესავი  
იყო. პრასკოვიას და ალექსანდრე ჭავჭა-  
ვაძის შვილებიც ერთად იყვნენ, ერთად  
იზრდებოდნენ ამ განათლებული ქალის  
ხელმძღვანელობით. რაც მთავარია, ყო-  
ველი პეტერბურგელი თავის მოვალეო-  
ბად სთვლიდა თბილისში ყოფნისას  
პრასკოვიას სახლში მოსულიყო და მის-  
თვის პატივისცემა დაედისტურებინა.  
პრასკოვიას პეტერბურგში უამრავი მე-  
გობარი და ნათესავი ჰყავდა, ამიტომ  
იქიდან ჩამოსული ყოველი გამოჩენილი  
რუსი მისი უპირველესი სტუმარი იყო.  
სწორედ აქ, პრასკოვიას ოჯახში, გაი-  
წინო ნინო ჭავჭავაძემ გრიბოედოვი, და  
პრასკოვიას უშუალო მონაწილეობითა  
და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის დას-  
ტურით, 1828 წელს გრიბოედოვს ჯვა-  
რი დასწერეს ნინო ჭავჭავაძეზე.

ახვედროვის ქვრივი პრასკოვია 1830  
წელს ისევ პეტერბურგში ვადასახლდა,  
მაგრამ კავშირი და ურთიერთობა არ  
გაუწყვეტია ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ოჯახთან. უფრო მეტიც, პეტერბურგი-

დან ჩამოსულ ბევრ გამოჩენილ მწერ-  
რალსა და სახელმწიფო მოღვაწეს ჩაეღწე-  
პქონდა ახვედროვას ქვრივის სარეკო-  
მენდაციო ბარათი ჭავჭავაძის ოჯახში  
წარსადგენად.

ვადასახლებული ჭავჭავაძე 1834  
წლიდან 1837 წლის სექტემბრამდე პე-  
ტერბურგში ცხოვრობდა, სადაც, პრას-  
კოვიას დახმარებით, მრავალი მეგობარი  
შეიძინა. თბილისიდანაც ყოველ ამზავს  
მისი მეშვეობით ტყობილობდა.

და ასე, ახვედროვის ოჯახი, ჭავჭა-  
ვაძის ოჯახის შემწევობით ქართველ და  
რუს გამოჩენილ მწერალთა და მოღვა-  
წეთა მეგობრობისა და ძმობის ერთ-  
გვარი ხიდი გახდა.

ნინო, ეკატერინე და დავით ჭავჭავა-  
ძეები პრასკოვია არსენიევა-ახვედრო-  
ვას მუდამ მაღლიერების გრძნობით იხ-  
სენიებდნენ, მეორე დედულ სთვლიდნენ  
და არასოდეს არ ივიწყებდნენ მის მაღ-  
ლსა და ამბავს. ჭავჭავაძეების უმცროსი  
ქალიშვილი სოფიო კი დაბადებული  
არ იყო (სოფიო 1834 წელს დაიბადა),  
როცა არსენიევას ქალი პეტერბურგს  
გადასახლდა.

დავით დაღიანიც ახვედროვის ოჯახის  
ხშირი სტუმარი და მეგობარი იყო, და  
სწორედ აქ გაიცინო და დაუახლოვდა  
ეკატერინე ჭავჭავაძეს.

\*\*\*

ეკატერინე ჭავჭავაძე ისე, როგორც  
ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი ქა-  
ლიშვილი ნინო, მაშინდელი რუსეთის  
მაღალი საზოგადოების წესზე და კვალ-  
ზე იზრდებოდა. ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძის სახლში—იმპერატრიცა ეკატერინეს  
ნათლულის ოჯახში წმინდად ინახავდ-  
ნენ პეტერბურგის სამეფო კარის წე-  
სებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვი-  
ლებს ბავშვობიდანვე რუსულ და ფრან-  
გულ ენებს აწავლობდნენ, დიდაცობის  
წესზე ზრდიდნენ, ამპარტავენების  
გრძნობებს უღვივებდნენ, დილიდან სა-  
ლამომდის წიგნებს უკითხავდნენ, მათ-

თან ხან ფრანგული ენის მასწავლებლები ანჩხლობდა, ხან მუსიკის მასწავლებელი ართობდა ბავშვებს, ხან კიდევ სიმღერისა და ხატვის მასწავლებლები ამღერებდნენ და ახატვინებდნენ. ჭავჭავაძის ულამაზესი, პატარა ასულები განცხრომასა, ნებიგრობასა, სწავლასა და მეცადინეობაში იყვნენ.

ნინო და ეკატერინე თითქმის ტოლებივით იზრდებოდნენ, თუმცა მათ შორის განსხვავება ოთხი წელი იყო. ისინი ერთმანეთისგან ხასიათითა და გრძნობებითაც განირჩეოდნენ. რამდენადაც ნინო პოეტური იყო, იმდენად ეკატერინე—ფიცი და ამაყი. გონებრივი სიფხიზლე და გამჭრიახობა, საკუთარი მღგომარეობის შეგნება, ამპარტავნობა ბავშვობიდანვე თან დაჰყვა ეკატერინეს. ახლობლები ამჩნევდნენ დების ხასიათთა ამ განსხვავებას. ეკატერინეს თვით მასწავლებლებიც კი ერიდებოდნენ, განსაკუთრებულად ანებიერებდნენ. ეს გარეგნულად ნაზი, ბავშვობიდანვე თამამი და დამცინავი ეკატერინე, წამოიზარდა თუ არა, უფრო მომაჯადოებელი შეიქნა, თუმცა დამცინავი ღმილი არასოდეს შორდებოდა მის ცისფერ თვალებსა და პაწია ტუჩებს. თუმცა ფიცი იყო, ზვიადი, მაინც ყველას იზიდავდა, მაინც ყველას ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. თვითნება გოგონას ოჯახშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, თუმცა სილამაზითაც, სიკეთითაც ეკატერინეს ნინო სჯობდა. შავ თვალწარბა ნინოს წამწამებში ჩამდგარი უსახლგრო სევდა სინაზეს ანიჭებდა, გასაოცარი კეთილშობილება და სიკეთე არასოდეს სცილდებოდა მის მიზნედილ სახეს. იგი ისეთი სათნო იყო, რომ არა თუ არ დიდგულბოდა, პირიქით, სიყვარულითა და ალერსით ათობდა ნაცნობებსა და მეგობრებს. ეკატერინე კი თვითონ მოითხოვდა თაყვანისცემასა და პატივს.

ეკატერინეს ბავშვობიდანვე მკვეთრად ემჩნეოდა დიდკაცობისაყენ მისწრაფება. ამპარტავნობა ჭავჭავაძის ასულისა, ჩანს, ყველაზე მეტად ახვერდო-

ვების ოჯახში ელინდებოდა, სადაც ეკატერინე სწავლობდა. ამ ოჯახში, სიმღერაში, შემდეგ მეფინანცვალს მურავეივს, ეკატერინეს ხასიათი ასე აღუბეჭდავს მოგონებათა ფურცლებზე:

... ეკატერინე ალექსანდრეს ასულ დადიანს, თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილს, ნინო გრიბოედოვას ღვიძლ დას, კარგად ვიცნობდი ჯერ კიდევ ყმაწვილქალობის დროს, იმ ხანმოკლე შეხვედრების მეშვეობით, რაც მე მქონდა ჭავჭავაძიანთ ოჯახთან, რომელიც ჩვენი სახლის მომცრო ფლიგელში ცხოვრობდა. მაშინ ცაპიტე წლის კატინკა ჭავჭავაძე სწავლობდა და თითქმის იზრდებოდა კიდევაც ჩვენთან. მას უაღრესად ფაქიზი, თითქმის გამჭვირვალე სახის ნაკვთები ჰქონდა. იგი ულამაზეს ასულად მიჩნდით, მაგრამ მე ამ შეხედულებას არ ვიზიარებ, რადგან მის სახეში ქედმაღლობა გამოსჭვივოდა, იგი მუდამ გონიერი და დამაბული იყო და იშვიათად იციროდა. კატინკას ზნეობრივი განწყობილება უფრო მეტად ელინდებოდა, როცა ხედავდით მისი უფროსი დის ნინოს თვინიერ და მშვენიერ გარეგნობას. კატინკას იმ ხანებში მე, მისი ზვიადი წარმოსადგეობის გამო, ხუმრობით დედოფალს ვეძახდი და ტახტზე ავლას ვუწინასწარმეტყველებდი. ასეც მოხდა. თუმცა მას მხოლოდ სამეგრელოს ტახტი ერგო, მაგრამ მაინც მბრძანებელი იყო. მაშინ მე საქართველოში უკვე არ ვიყავი, როცა იგი ცოლად გაჰყვა თავად დავით დადიანს, გონიერ კაცს, რომელმაც ეკატერინე ჭავჭავაძის სახით იპოვა ერთგული თანამეგობარი — სოფიოსა და დარიასთან. უფრო მეტი: ეკატერინე და ნინო ახვერდოვის ქალიშვილებთან ერ-

ეს მურავეივი სიძე იყო ახვერდოვებისა. მას ცოლად ჰყავდა ახვერდოვების უფროსი ქალიშვილი სოფიო. ნინო ჭავჭავაძის ტოლი. ნინოსა და ეკატერინეს ახლო მეგობრობა ჰქონდათ ახვერდოვის ქალიშვილთან — სოფიოსა და დარიასთან. უფრო მეტი: ეკატერინე და ნინო ახვერდოვის ქალიშვილებთან ერ-



თად იზრდებოდნენ ევროპულად განათლებულ პრასკოვია არსენიევის ხელმძღვანელობითა და მეთაურობით. ამიტომ მტრადიოვის ეს ცნობა ფრიალ სანდოა.

ზეაღობა და სიამაყე ეკატერინეს განუყრელი თვისებები იყო.

ბავშვები ხან წინანდალში იყვნენ, ხან—თბილისში, მეტ წილად კი თბილისში. წინანდალშიაც და თბილისშიაც ერთნაირი გარემოცვა ჰქონდათ: იგივე მეგობრები და ამხანაგები. ეს გოგონები სულ მალე მომწიფდნენ, სულ მალე გამოვიდნენ საზოგადოებაში, სულ მალე დაიშახტრეს მამაკაცების თაყვანისცემა და სიყვარული. ამ მხრივ პირველობა მაინც ნინოს ერგო. ნინო ტანადი იყო, შეეგვრემანი და შეავთვალა. ყველას ყურადღებას იპყრობდა, ყველა მოხიბლული და აღტაცებული იყო მისი სილამაზით. მაგრამ არა თუ შეეყვარება, უბრალო ბავშვური გატაცებაც კი ვერ მოასწრო. ისე მოატაცეს მას ეს გასაოცარი სილამაზე და სინაზე ქალწულობისა, რომ თექვსმეტი გაზაფხულიც არ გადაეხადა. თოთხმეტი წლით ნინოზე უფროსმა გრიბოედოვმა წინადადება მისცა ცოლად გაყოლოდა. ხუთმეტი წლის გოგონას არც დრო ჰქონდა და არც გამოცდილება, რომ ამ წინადადებას დაფიქრებოდა. მისთვის ქალიშვილობის გაზაფხული მხოლოდ იწყებოდა და ისე იყო აღტაცებული და გაბრუნებული, რომ იდგა გრიბოედოვის წინ და ბავშვივით იღიმებოდა, მოულოდნელობის სიხარულს ვერც კი ფარავდა. მას პირველად ესმოდა ასეთი სიტყვები მამაკაცისაგან. მერე თათქოს გონს მოეგო და მეორე ოთახში გავარდა. იქ თურმე მამა და დედა ელოდებოდნენ, რომელთაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ბედი ქალიშვილისა. ნინო დაემორჩილა ასე მოულოდნელად, გაწუხებულად ერთბაშად მოვარდნილ ბედს.

ალექსანდრემ ნინოს ქორწილი ძველისძველი ღვინით გადაიხადა. იმ დღეს, როცა ნინო დაიბადა, ალექსანდრეს უბ-

რძანებია, სარდაფში ყველაზე დაბლაქასრი გავესოთ ღვინითა და ყველაფერი ნინოს სახელი დაერქმიათ და იგი მხოლოდ მაშინ გაეხსნათ, როცა ნინოს ქორწილი იქნებოდა. მართლაც სწორედ ქორწილის დღეს გახსნეს ეს კასრი. წინანდლის ღვინო საუცხოო, საამო გემოსი იყო. იმ დღეს საჯაროდ გამოაცხადეს, ეს ის ღვინოა, რომელიც, ალექსანდრეს განკარგულებით, საქორწილოდ იყო შენახული.

1828 წლის 22 აგვისტოს ნეფე-დედოფალმა, სხვა სტუმრებთან ერთად, გიორგი ერისთავიც დაჰპატიყეს. გიორგი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო, რომელსაც გულში ეკატერინეს სიყვარული ჩავარდნოდა. ახალგაზრდა მყარი საგანგებოდ გამოეწყო. სასახლის კარებს ქართული ტანისამოსით მორთულ-მოკაზმული მიადგა. ქორწილის მთავარმართებლის სასახლეში იხდიდნენ. მეფისნაცვალი პასკევიჩი გრიბოედოვს ნათესავად ერგებოდა, და იგი უხედადა ქორწილს გრიბოედოვს. გიორგი ერისთავი სასახლის კიბეებს რომ მიადგებ, გუშაგებმა ხელი სტაცეს ახალგაზრდა ყმაწვილს, მომავალ პოეტსა და დრამატურგს ასე მოახსენეს: ჩვენ ნაბრძანები გვაქვს მხოლოდ სამხედრონი და ევროპულ კოსტუმებში გამოწყობილნი გავუშვათ. მიბრძანდით, ტანისამოსი გამოიცვალეთ და მერე მოდიით. გიორგი ერისთავმა ეს დიდ შეურაცხყოფად მიიღო.

— მე სამხედრო პარადზე კი არა. ქორწილში მოვდივარ.

— რა ექნათ, ჩვენ ასე გვაქვს ნაბრძანები!—უთხრეს გუშაგებმა.

გიორგიმ ერთი ქართულად შეუუტოროთხა ყვეუჩი მოხელეებს და უკანე დაბრუნდა თავის სახლში.

ეს ამბავი გახმაურდა და ალექსანდრე ჰევეკაძის ოჯახამდე მიადგო. დიდად შეწუხდნენ ჰევეკაძენი, მაგრამ უკვე გვიან იყო, თუმცა არც ადრე შეიძლებოდა საქმის გამოსწორება, რადგან ასეთი იყო პასკევიჩის ბრძა-

ნება, და ვინ გადაუდგებოდა წინ იმ დროის საქართველოს გამგებელს.

გრიბოედოვი აღტაცებული იყო. ახალგაზრდა ცოლი გაგვიყვამდე შეუყვარდა. ზედმეტ სახელად „მურილიოს მადონა“ შეარქვა. მაგრამ ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. გრიბოედოვმა თავის საყვარელ ცოლთან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო. ამ ერთი წლის განმავლობაში ცოლსა და მეგობარს თავისი შეთხზული ლექსები და საფორტეპიანო პიესები შეასწავლა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა რუსეთი სპარსეთს წინააღმდეგ ომობდა, 1826 წლის ივლისს, სპარსეთის ჯარი ომია გამოუცხადებლად შემოიჭრა კავკასიაში. სპარსეთს მეფისნაცვლის ერმოლოვის მეთაურობით რუსეთის ჯარმა ომი გაუმართა და შუშის ციხის სიმაგრეებთან სასტიკი დამარცხება აეგმა. 1827 წელს კი, უკვე პასკევიჩის მეთაურობით, რუსეთის არმიამ თავრიზი აიღო. 1828 წლის 10 თებერვალს სპარსეთი იძულებული გახდა რუსეთის მიერ შეთავაზებული ზავი მიეღო. ამ ზავის მიხედვით, სომხეთის მხარე კვლავ რუსეთის მფარველობაში ექცეოდა. ამ ახლად შექმნილი სომხეთის ოლქის ჩარების სარდლად გენერალი ალექსანდრე ჰევქიაძემ დაინიშნა, რომელმაც სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ ომში თავი იჩაბეღა. ალექსანდრე ჰევქიაძე ამ დროს უკვე სიმამრი იყო გრიბოედოვისა. სპარსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება კი რუსეთის მეფემ სწორედ გრიბოედოვს მიანდო.

1828 წლის სექტემბერს ახალჯვარდაწერილი გრიბოედოვი თეირანს გაემგზავრა. ოთხი თვის შემდეგ, 1829 წლის 30 იანვარს, თეირანში ტრაგიკულად დაიღუპა.

თავრიზში მყოფ ნინოს არ გაუშობილეს ქმრის საკვდილი და უთბრეს, თითქოს ქმარმა შტოპოთვალა, უკანვე თბილისში, მამასთან დაბრუნდი, მეც რამდენიმე დღეში ჩამოვალო. ნინო დაემორჩილა ქმრის სურვილს და თბილის-

ში დაბრუნდა. დიდხანს ელოდა ქმარს, მაგრამ არც გრიბოედოვი ჩანდა და არც მისი ამბავი ისმოდა. ერთ საღამოს ჰევქიაძისთან სტუმრად მოსულ პასკევიჩის მეთულეს, გრიბოედოვის ბიძაშვილს, შემთხვევით წამოსცდა და მერე დაწვრილებით უამბო ნინოს თეირანში მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ჯერ გული შეუღონდა ნინოს, მერე კანკალმა აიტანა და ერთბაშად ისტერიული კივილი მოართო. ვერაფრით დაამშვიდეს, მთელი ღამე ბორბავდა, ტიროდა, სახეს იხოკავდა, თავში ხელებს ირტყამდა. ეფერებოდნენ, ეშინოდათ, ისედაც უბედურ ქალს მუცელი არ მოშლოდა, მაგრამ ამოად.

მეორე დღეს შვილიც დაქარბა ნინომ. შვილიც და ქმარიც, ასე მოულოდნელად შეიცვალა ჰევქიაძეთა პირველი ქალიშვილის ბედი. შემდეგ თეირანიდან ქმარი თბილისში ჩამოასვენებინა და ყველაზე ულამაზეს და უწმინდეს ადგილს—მთაწმინდის მიწას მიაბარებინა.

ნინო ჰევქიაძემ ქმრის სიკვდილის შემდეგ ოცდაათი წელი იცოცხლა. მთხოვნელი უამრავი ჰყავდა და არავის მისთხოვდა. გრიგოლ ორბელიანი მის საყვარულს გადაჰყვა და მისი შემყურე უცოლოდ დაბერდა. ახალგაზრდა ქრთვი ნინო გრიბოედოვი მეტწილად კახეთში, — წინანდალში იყო, ხან თბილისში დედ-მამასთან, ხანაც — სამეგრელოში ეკატერინესთან, და ასე მიდიოდა ამ ულამაზესი ქალის უშინა-არსო დღეები.

სულ სხვანაირი ბედი ზედა წილად ეკატერინე ჰევქიაძეს. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ეკატერინე ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა იგი ცამეტი წლისა იყო, მაგრამ ვიდრე დავით დადიანზე გათხოვდებოდა, ეკატერინეს რამდენიმე თაყვანისმცემელი ჰყავდა. მან ქალიშვილობის გაზაფხულიც ბედნიერად გალია და შემოდგომაც უკეთ მოიმიყო. ვიდრე მისმა ტოლებმა. ქალიშვილობაში ბევრი ჰყავდა ეკატერინეს/მოტრფი-ალე: ქართველი, რუსი თუ უცხოელი.

ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ეკატერინეს სილამაზით, მისი სიმღერით, პოეტური ცეკვით. არც ეკატერინე იყო გულცივი. გათობის მოყვარულ ქალიშვილს ისე მოეწყო საქმე, რომ მუდამ თავს ეხვეოდნენ მოტრფიანნი. იმ წელს კი ეკატერინე ქავეკავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს მეგობრობდა და ახლად გაცნობილ დავით დადიანზედაც რჩებოდა თვალი, ვერ გადაეწყვიტა, ვის მინდობოდა მისი გული, კეთილ, მაგრამ ღარიბ პოეტს—ტატო ბარათაშვილს, თუ ზვიად მემამულეს, დიდებულ დადიანს. გული მომხიბვლელ ქალიშვილს უკარნახებდა, რომ მხოლოდ ტატოსთან იქნებოდა ბედნიერი, რომ მისი ცხოვრებას ნამდვილი მეგობარი ტატო იქნებოდა, მაგრამ თავად ქავეკავაძეების შთამომავალს გონება, თავმოყვარეობა დიდებისაკენ, დედოფლის ტახტისაკენ მოუწოდებდა, და აი, ამ ორ გრძნობას ორად გაეყო მისი გული...

\*\*\*

დავითი ტატოზე უფროსი იყო. მან უკვე ყურადღება მიიქცია და თბალი-სისი მოწინავე ახალგაზრდობაში კარგი სახელი დაინსახურა. ბარონ როზენის საგანგებო საქმეთა რწმუნებული მაშინდელი თბილისის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცენტრში მოექცა. სასახლეში მან სანდო კაცად სთვლიდნენ, ხოლო მის გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდები — გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ივანე მუხრანსკი და სხვები მეგობრობდნენ მასთან, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდასთან და მოწინავე ქართველ მამულიშვილთან.

ვახტანგ ორბელიანი მაშინ პეტერბურგიდან ახალი დაბრუნებული იყო. დავითი პეტერბურგს აპირებდა წასვლას და ვახტანგთან მივიდა ამის შესატყობად, ისინი სამნი იყვნენ: დავითი, გიორგი და ვახტანგი. საუბარი საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას შეეხებოდა. გიორგი ერისთავი, ვახტანგ

ორბელიანი და დავით დადიანეულები მის ტოლები იყვნენ. იმ წელს გიორგი ოცდაერთი წელი შეუსრულდა, ვახტანგს—ოცი, დავითს კი ცხრამეტიც არ გადაეხადა, და მათ ერთნაირად განიცადეს და ერთნაირადვე აღიქვეს საქართველოს სამეფოთა ბედი. ესლაც საქართველოს ბევრად გამოწვეული ფარული სევდა თანაბრად ღრღინდა მათს გულს.

საუბარი ისევე ვახტანგმა წამოიწყო, რა დინჯად, ოდნავ გაბზარული და სევდიანი კილოთი ლაპარაკობდა.

ჩვენმა უხეირობამ დაგვლუბა. გაიფლეს წლები, მოვა სხვა დრო, სხვა თაობა და ჩვენ ის დრო მკაცრად გავგვამართლებს. ჩვენ ვერ მოუვარეთ და ვერ ვუპატრონეთ ჩვენს ქვეყანას. ახლანდელ ქართველებში კაცსაც ვერ იპოვნით, ერთი აზრი და ერთი მიზანი რომ ჰქონდეთ. ყველა ცალკე ფიქრობს, ცალკე ოცნებობს თავის პირად ბედნიერებასა და კარიერაზე; საზოგადო საქმე და სამშობლო კი, აბა, ვის ახსოვს ახლა ჩვენს დროში—ზოგისთვის სულ ერთია სად იქნება, საქართველოში, თუ სადმე შორეთს გადახვეწილი, ოღონდ კმაყოფილი იყოს და ბედნიერი, ლამაზი ცოლი ჰყავდეს, ძვირფასი ავეჯი და ბევრი ფული ჰქონდეს. ეს არის და ეს ახლა ქართველი კაცის ოცნება. მეზობლებიან ეს აღამიანები, არა, აღამიანები კი არა, ღორები არიან, პირი დაუღაათ და ხახაში ყველაფერს იყრიან... ჩინმენდლებზე ჰყვირიან პატიოსნებას, ენასა და მამულს... არა, ძნელია, მეტად ძნელი ჩვენი მდგომარეობა და ვერც გვიპოვნია გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

—არა ხარ, ვახტანგ, მართალი. ჩვენში ბევრია ისეთი, რომელსაც საქართველოს ბედი აფიქრებს და აღელვებს, მზად არის თავი შესწიროს მის ბედნიერებას, თუ ეს მამულმა მოითხოვა. მაგრამ ისიც მართალია, რომ მძიმე დღეები დამდგარა ჩვენი ერთი მუჟა ერისთვის,—ამბობდა დავით დადიანი, ოდ-



ნავ აღზნებული, თან გარშემო იხედებოდა, თითქოს თავისივე ამ ნათქვამის: არ სჯეროდა და სხვის დასტურს მოითხოვდა. შემდეგ ისევ განაგრძო:

— არა, რა ქნას, რა გზას დაადგეს ჩვენი ქვეყანა? ის კი მართალია, ვახტანგ ჩემო, რომ მართლაც ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, საკუთარი ფიქრებით, საკუთარი განცდებით, საკუთარი ზღუდეებით შემორაგულნი, თითქოს გვეშინია ჩვენი ფიქრი და ჩვენი ოცნება სხვას გავანდოთ. მაგრამ ვაი, რომ დიდხანია ეს გამთიშველობა ჩვენს სულსა და გონებას დაუფლებია. აი, სამიოდე წლის წინათ, თურქებმა შავი ზღვა გადმოაღებეს და ქართველებს ფოთი მოსტაცეს. ეს მაშინ, როდესაც ფოთთან რუსეთის მთელი არმია იდგა. რუსები გვიყურებდნენ, რას მოვიმოქმედებდით, ჩვენ კი რუსებს შევცქეროდით. ამით ისარგებლა მტერმა და ქალაქი აგვაცალა. თურქებმა აიკლეს ფოთი და გაძარცვეს ხალხი, შემდეგ ჩვენებმა ჯარი აშალეს და მტერს შეუტრეეს. მე მახსოვს მამაჩემმა ლევან დადიანმა გურიელს სთხოვა მოსისხლე მტერს შეერთებული ძალით შევეტოოთო. თქვენ იცით, რომ გურიელი ჩვენი სისხლით ნათესავია, და აი, როცა მეგრელებისა და გურულების შეერთებულმა რაზმმა, მტერი მარწყუბში მოიპყვდია, სწორედ მაშინ გადაუდგა გურიელი დადიანს. მათ უკვე ჩხუბი აეტებათ, განთავისუფლებას შემდეგ ფოთი ვისი იქნებოდა, სამეგრელოსი. თუ გურიისა. ამ აშლილობით მტერმა ისარგებლა და მუსარი ვაელო ჩვენს ჯარს, კიდევ კარგი, ამ დროს რუსის არმია მოგვეშველა და სამარცხვინო მარცხისგან იხსნა ჩვენი ქვეყანა. ეს სულ გუშინწინდელი ამბავია, სამი წლის წინანდელი. და ვინც ჩვენს ისტორიას გადახედავს, განა სულ ასე არ ვიყავით? გურიელი დადიანს ებრძოდა. დადიანი—სოლომონ მეფეს, სოლომონ მეფე და ერეკლე ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდნენ. აი რამ დაგვლება, აი, რამ დაგვაქცია. ასე მგონია, დავითისა და თამარის შემდეგ, საქართველოს არც

ქონია ამ ერთიანობისა და მთლიანობის გრძნობა. მე ამას გულუფრად ვამბობ. მამაჩემმა წერილი მომიწერა და სამთავროს მთავაზობს, მაგრამ მე ვიცი და თქვენც ჩემზე კარგად მოგვესწინებათ, ეს სამთავრო ისევე უღლეურია, როგორი უღლეურიც იმერეთის სამეფოს და გურიის სამთავროს ცალკე არსებობა იყო. მე ახლა მხოლოდ მოგონებით ვცხოვრობ. რაკი სხვა გზა არ არის, სამთავროს ვებღატუებ. სხვა შემთხვევაში და სხვა დროში მე თქვენთან ერთად ვიბრძოლებდი და დაგიმტკიცებდით, რა ერთგულება შეუძლია ქართველ კაცს, როცა თავის სამშობლოს ბედს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

ახლა უკვე რიტორობდა დადიანი მაგრამ გიორგი ერისთავმა მოულოდნელად შეაწყვეტინა:

— ასე მგონია, არც ეხლაა გვიან, ქართველმა კაცმა თავის საქმეს მიხედოს. ჩვენ ცალ-ცალკე ყველა ვობრავთ და მოვთქვით, მაგრამ ერთხელაც არ შევყრილვართ და არ განგვისჯია ბედი ჩვენი. ჩვენ თუ არა, ჩვენი თაობის ახალგაზრდა კაცმა თუ არა, მაშ ვინ უნდა მოუაროს დაკნინებულ ქვეყანას.

გიორგი ერისთავს უნდოდა უფრო ღრმად გადაეშალა თავისი ფიქრები დადიანისათვის, მაგრამ მას, შეთქმულების მონაწილეს, თუ იმავე შეთქმულებაში ვახტანგის მონაწილეობა გაგონილი ჰქონდა, დადიანის მონაწილეობაზე არაფერი გაეგონა და აშკარად თქმას მოერიდა.

თუმცა დადიანის პატრიოტული სიტყვები დიდად მოეწონა, წინდახედული ერისთავი მაინც ვერ ენდო ახლად გაცნობილს და სამშობლოს ბედზე ისევ ზოგადი ლაპარაკით დაქაყოფილდა:

ჩვენი უბედურება ისიც არის, — განაგრძო ერისთავმა, — რომ უღონონი და სუსტნი ვართ, ახალი გართულებული ცხოვრებისათვის სხვები ჩვენზე უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ, და ისინი ეუფლებიან ეხლა ჩვენს მამულს, ჩვენს მიწა-წყალს. ჩვენს ქალაქებს და,

ალბათ, სულ მალე სახლებიდანაც გამოგვრეკავენ. თბილისში დაველივარ და ხშირად ჩემი თავი ვერ დამირწმუნებია, რომ ჩემს თბილისში ვარ, ჩემს გვერდით ვიღაც საქმოსნები მიმოდიან, ქუდ-მოგლეჯიანი ვარბიან, გამოვრბიან, რაღაცას აკეთებენ, რაღაცაზე ლაპარაკობენ. ხშირად არც მათი სუბარი მესმის, არც ენა, არც გულისთქმა, მაგრამ ვხედავ და კარგადაც ვხედავ, რომ ეს ცხოვრების საბუთი მათ ხელშია. ეს ცხვირმოუხოცავი, უხრდელი ბიჭები მარჯვედ და მოხერხებით, შარავნაზე ჩამდგარნი, გეტაცებენ ყველაფერს: მავრამ თოფითა და იარაღით კი არა, ათასგვარი ხრიკებით ოინებით, თვალწინ, ცხვირწინ გვაცლიან ყველაფერს გეტაცებენ და ხმა კი ვერ გაგვიცია, წინააღმდეგობა ვერ გავგიწევია. თითქოს განგებამ ისე მოაწყო ყველაფერი, რომ მათ ხელში ჩაეყარეთ და ესლა, ამ ჩვენს გუშინდელ მოსამსახურებსა და ბიჭებს, კარისკაცებსა და ნოქრებს, ხელოსნებსა და ბაყლებს თვალზეში შეეყურებთ, შეეციცინებთ, ეგებ, ორიოდე გროში გამოვართვათ და მზადა ვართ სახლ-კარიც დავაგირაოთ, მამულიც, კარმიდამოც და ლამის სამშობლოც გავყიდოთ. აი რა არის, ჩემო ძმებო, ყველაზე უფრო სადარდებელი და საფიქრელი.

ესა სთქვა და შეჩერდა გიორგი ერისთავი, ისე ამოიხზრა, თითქოს ვულიც ამოატანაო. შეხედა დავითსა და ვახტანგს, მაგრამ მათ ხმა არ ამოუღიათ, სიტყვაც არ დაუძრავთ. სრული დუმილი ჩამოვარდა, და ამ სევდიანი ფიქრებით შემპყრობილნი დასცილდნენ ერთმანეთს.

1832 წლის იანვრის ერთ საღამოს თბილისში, ბეგრატონის სასახლეში, გრიბოედოვის „უბი ქუთსაჯან“ დაიდგა. ამ წარმოდგენას დაესწრო კავკასიის მთავარმართებელი ბარონ როზენი. მთავარმართებელს თან ახლდა მეუღლე და ახალგაზრდა დავითი, რომელსაც მკერდს ორდენი უმშვენებდა. თე-

ატრში იყო ლექსანდრე ჰევეციკიცი... მეუღლითურთ და ქალიშვილები... წარმოდგენის შემდეგ ცეკვა გაიმართა. მასურკა, ფრანგული კაღრილი და ქართული ცეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ბევრი მოცეკვავე იყო. ყველაზე მეტი ყურადღება კი ეკატერინემ მიიპყრო. გაწითლებულმა აღზნებულმა ეკატერინემ დავით დადიანთან იცეკვა. ისინი მთელი გატაცებით ცეკვავდნენ. ეს მათი პირველი საჯარო ცეკვა იყო.

დადიანი და ეკატერინე ახლა ქართულს ცეკვავდნენ. სწორედ რომ შესაფერი წყვილი იყო. დადიანი გამხდარი და მაღალი, სიარულიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, წელში გამოყვანილი და მხრებში ოდნავ მოხრილი, თითქოს დასაბურად ებარებოდა მასზე ოდნავ დაბალს, ტანწიწიერს, მოკლევანიან ეკატერინეს, რომელიც შევლივით უსხლტებოდა მისთვის გაგიჟებულ ვაჟს. სალომე, ალექსანდრე და ნინო ერთად იდგნენ და ღიმილოვნად შესცქეროდნენ დადიანისა და ეკატერინეს ცეკვას. სალომემ კმაყოფილებით წასჩურჩულა შეიღსა და ქმარს:

— „ლამის გადარისო ეს დადიანი ჩვენმა კატინამ. შეხედეთ, ყმაწვილი კაცი რა დღეშია, სწორედ რომ ოფლად იწურება“.

ალექსანდრეს გაეღიმა და თვითონაც ხმადაბლა გაიმეორა:

„მართლა, რომ გაუგიჟებია ეს კოლხელი ჩვენს კატინას“.

შემდეგ თითქოს თავისთვის თქვა: „კოლხელი და კახელი“. და სწორედ ამ დროს მათთან როზენის მეუღლე ელისაბედი მივიდა, რომ მშობლებისათვის თავისი აღტაცება გაეზიარებინა.

როზენის მეუღლე ელისაბედი და მისი ქალიშვილები კვირაში ორჯერ სასახლეში ბალს მართავდნენ. აქ იკრიბებოდა თბილისის საზოგადოების ნაღები. აქვე ხშირად ნახავდით ალექსანდრე ჰევეციკის მეუღლითა და ქალიშვილებით, ხოლო დავით დადიანი ბარონ როზენის სასახლის შინაური კაცი იყო.

\*\*\*

1832 წლის 6 დეკემბერს მთავარმართებლის ბინაში კვლავ დიდი ბალი გამოჩნდა. ამ ბალს აღექსანდრე ჰაველიაძე, მისი მეუღლე სალომე და ქალიშვილები ნინო და ეკატერინეც ესწრებოდნენ. ნინო, ეკატერინე და დავითი ახლაც იყვნენ ერთმანეთს შერეულნი, რომ ბალზე სულ ერთად იყვნენ, საუბრობდნენ, ერთად ცეკვავდნენ. ნინო ჰაველიაძე ხელს უწყობდა ეკატერინეს და დადიანის დაახლოებას.

ეკატერინე ჰაველიაძეს სოსანი ფერის, ქვემოთ გოლშემოვლებული, მუხლებამდე მოკლე კაბა ეცვა. ამ ტანისამოსით ბრწყინავდა. ბავშვურ მიაშიტობას და თავადურ სიამაყეს თავისებურად უთავსებდა ვაჟშმაკვებული ქალიშვილის საქციელსა და მოქმედებას.

დავით დადიანმა ეკატერინე საცეკვოოდ ისევ გაიწვია. ახლა მახურკა იცეკვებს და ისე მოხდა, რომ ეკატერინე ჰაველიაძე და ელენე ორბელიანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ამ აღგზნებული ცეკვის დროს დადიანმა ჩასჩურჩულა ეკატერინეს:

— ხედავთ, მთელი დარბაზი თქვენ გიყურებთ!

— მე, თუ თქვენ, ბატონო დავითი?

ესა თქვა და დადიანს ხელიდან გაუფრინდა მოცეკვავე გოგონა.

ახლა იგივე სიტყვები ორბელიანის ქალს გაუშვორა მისთან მოცეკვავე დადიანმა.

ელენემ მორცხვად დახარა თავი და ვაჟისათვის პასუხი არ გაუცია.

შეწყდა მუსიკა. დავით დადიანმა მდებლად დაუკრა თავი ეკატერინესა და ელენეს. მოპარუნდა, აელვარებულ ეკატერინეს უნებლიედ მკლავში ხელი გამოსდო და იქვე მდგომ ნინოსთან მიიყვანა. ნინო გულმხურვალედ შეეგება წყვილს და აღფრთოვანებულმა დადიანს უთხრა:

— დიდებული იყავით, ბატონო დავითი! არა, დიდებული ცოტაა, ბრწყინვალე, ნამდვილად ბრწყინვალე იყავით!

— დიდებული და ბრწყინვალე თქვენც ხართ და ეკატერინე იყო. აღუგონებელი ნამდვილად ქების ღირსი.

— მე გეთანხმებით, ბატონო დავით, კატიაც ჩინებული იყო, მაგრამ უნდა გამოგირცხვდეთ, ვაკვირდებოდი და მამაკაცთაგან ცეკვაში თქვენი ტოლი და სწორი აქ ვერავინ დავიგულე.

— თუ მე რამეში ღირსი ვარ ქებისა, ამას ისევ ეკატერინეს უნდა უმადლოდეთ.

— შესაფერისი წყვილი იყავით, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ლეკურს ცეკვავდით. ეს ცეკვა კი არა, გაბმული პამპი იყო, პამპი სიყვარულისა.

— აქ კი უნდა დავეთანხმობოთ, ქალბატონო ნინო, სიყვარული ყველგან იმარჯვებს და, ალბათ, ამან შემამძლებინა, თქვენი მოწონება და შექება დამემსახურებინა.

ეკატერინე ამ საუბრის დროს განზე იდგა, თითქოს მას არ შეეხებოდა, რაც იქ ითქვა. ეს გამომწვევი დუმილი ცეცხლს უკიდებდა ეკატერინეს ეშხათ ისედაც გაგიჟებულ დადიანს...

\*\*\*

1832 წლის შეთქმულება გამჟღავნდა. როზენმა პირადად დაჰკითხა დავით დადიანი. დავითი სრულ უარზე იყო. არაფერი ვიცი შეთქმულებისაო, უმტკიცებდა ის თავის ყოფილ მასწავლებელს.

— ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარ, ეს მართალია, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ჩვენს ქვეყანას არ ძალუძს რუსეთის დაუბმარებლად არსებობა. მე დიდად დავალებულიც ვარ პირადად თქვენგან. დიდად დავალებული ვარ რუსეთის მართველობის უმადლესი წყალობით, რომ სამთავროს ტახტის შემკვიდრედ დამამტკიცა...

როზენმა შეაწყვეტინა პასუხი დავით დადიანს, ამ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს თავი დაანებებო, მე უკვე ყველაფერი უმწონთაც ვიციო... მართლაც, როზენმა იცოდა საქმის ვითარება, ისიც

იყო, რომ დავით დადიანი არ იყო უშუალო მონაწილე შეთქმულებისა, მაგრამ ახლო იყო შეთქმულებთან, მეგობრობდა მათ და არ შეიძლებოდა არფერი სკოდნოდა ამ საქმისა. ამიტომ გაუწყრა როზენი თავის ურჩ დადიანს.

დატუქსული და პატივებული დადიანი იძულებული გახდა სამეგრელოში დაბრუნებულიყო. ერთი თვის შემდეგ კი პეტერბურგს გაემგზავრა. ამასობაში შეთქმულების მონაწილე, ტაბოვს გადასახლებული ალექსანდრე ჭავჭავაძეც პეტერბურგს დააბრუნეს.

### ოცნებათა გარანტი

მოსკოვსა და პეტერბურგში მრავალი ახლო ნათესავი და მეგობარი ეგულუბოდა დავით დადიანს. საქმე ის იყო, რომ მე-17 საუკუნიდან, ვახტანგ მეფის ამალიდან მთავრობებული, ტახტის ყველა მამიებელი და საქართველოდან გაქცეული ბატონიშვილი თავს მოსკოვსა და პეტერბურგს აფარებდა. და ასე შეიქმნა აქ ქართული კოლონიები, მთელი უბნები და ქუჩები, სამეფო ამალითა, ეკლესიებითა და კარის მოძღვრებით. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, ერეკლე მეფის მემკვიდრეები, შვილები და შვილიშვილები თავიანთი მხლებლებით აქ გადმოვიდნენ (ზოგი იძულებით, ზოგი კიდეც — ნებით). ასევე აქ გადმოსახლდნენ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი საქართველოს სხვა კუთხეთა გაუქმებული ტახტის პრეტენდენტებიც.

პეტერბურგში იყვნენ ერეკლეს ძენი — ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილები, აგრეთვე ერეკლეს უფროსი ვაჟის — საქართველოს მეფის გიორგი მეთორმეტის შვილები, ყველა ისინი, რომლებიც დაუცხრომლად ებრძოდნენ მეფის რუსეთს თვით რუსეთშივე. აქვე იყვნენ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის მეუღლე მარიამი და მისი შვილები. 1811 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა გიორგი XII-ის თანამეცხედრე მარიამი, გიორგი ციციშვილის ასული. მარიამს,

გენერალ ლაზარევის მცველობაში მონაწილეობა დაბრალდა, ვინაიდან ბელგოროდის დედათა მონასტერში გააშუქეს, 1811 წლიდან კი მოსკოვში ცხოვრების ნება დაართეს. ხოლო მისი შვილები პეტერბურგში დასტოვეს. კერძოდ თეიმურაზ ბატონიშვილიც — ცნობილი ქართველი მეცნიერი, შემდეგ სამეცნიერო აკადემიის წევრი და ქართული სამეცნიერო მუშაობის მეთაური პეტერბურგში იყო, ყოველივე ამის გამო მოსკოველ და პეტერბურგელ ბატონიშვილებს ერთმანეთთან გამუდმებული შიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდათ.

დავით დადიანს ბატონიშვილები, კერძოდ, მარიამ დედოფალი და მისი ვაჟი თეიმურაზ ბატონიშვილი, ნათესავად ხვდებოდნენ, და როდესაც იგი პეტერბურგს მიდიოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მოსკოვში მარიამ დედოფალი მოენახლებინა და შემდეგ კი პეტერბურგში თეიმურაზ ბატონიშვილთან ეცხოვრა.

ბატონიშვილებს თან ახლდა მთელი ამალი და თავიანთ სამეფო წესისამებრ ოჯახური თაღარიგი და წესრიგი აქაც ისევე მოეწყობათ, როგორც საქართველოში. ყოველივე ამას, ამ ამალისა და კარის მღვდელთა თუ სხვა მოსამსახურეთა შენახვას, უამრავი ფული და ქონება სჭირდებოდა, მაგრამ ბატონიშვილები მაინც არ ეშვებოდნენ ამ ჩვეულებას, იმ დროს იქ მყოფ კარის მღვდელთა შორის ყველაზე დიდი სახელი იონა ხელაშვილს ჰქონდა.

იონა ხელაშვილი წარმოშობით ქიზიყელი გლეხი იყო. მისი წინაპრები სოფელ ვაქირში ცხოვრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ლეკებთან ომში მამამისმა თავი ისახელა და იგი ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს კიდეც, ერეკლემ მისი ობოლი შვილები თელავში შეიკვდლა. მათგან ყველაზე ნიჭიერი იონა აღმოჩნდა, და მეფემ იგი თელავსა და თბილისში კარის მღვდლებს მისცა აღსაზრდელად. მისი მასწავლებელი თბილისში მეტეხის დეკანოზი იასე იყო, ხოლო

თელავში—თელავის სემინარიის რექტორი და ვით ალექსანდრე. ირაკლის შემდეგ ნიჭიერი იონას დიდი პატრონობა გაუწია გიორგი მეფემ.

1800 წელს იონამ თავი მიანება ბატონიშვილების სასახლეს და ბერად აღიკვეცა ქვათახევის მონასტერში. ბერის სამოსელით შემოიარა მან სამთავროებად დაყოფილი საქართველო და ყველა ყოფილ ბატონიშვილს თავისი პატივისცემა და ერთგულება დაუდსტურა. მერე ის იყო, რომ „კალმასობის“ ეს მოუსვენარი ავტორი იულონსა და ფარნაოზ ბატონიშვილებს აეკიდა და თან გაჰყვა მოსკოვში. აქედან 1809 წელს, დავითის, იოანეს და მიხეილ ბატონიშვილების დახმარებით, ალექსანდრე ნეველის აკადემიაში მოეწყო ფილოსოფიისა და ლეთისმეტყველების განყოფილების სტუდენტად. ყოფილ ბერს საკმელ-ასმელს მიტროპოლიტ ამბროსის კარზე აძლევდნენ, ხოლო დამატებით ყოველწლიურად საიმპერატორო სალაროდან 250 მანეთს ჯამგირს იღებდა. სასულიერო აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ბეტერბურგის კოლონიის ქართველმა მღვდელმთავარმა დოსითეოსმა ა მღვდლად აყურთბა. ამის მერმე იონა ჭრი დავით ბატონიშვილის კარის მოძღვარი იყო, — შემდეგ ანა დედოფლისა, იგი ყოველი ბატონიშვილის ოჯახში მიღებული კაცი იყო და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. პატიოსნებით და ერთგულებით ცნობილი ბერი სულ მუდამ იმას ცდილობდა, რომ გადამტერებული ბატონიშვილება შეერიგებინა და დაემეგობრებინა. 1832 წელს ბაგრატმა, თეიმურაზმა, ილიამ, ოქროპირმა და ირაკლიმ ასეთი შინაარსის სიგელი უბოძეს იოანეს: „დღე და ღამე არ დასცხრები შენ შრომისათვის და შესთხზე შენ წაგნი საღვთისმეტყველონი, რომელთაღე განმარტებანი, ქადაგებანი საღვთსაწაულონი წელიწადისა და კვირაიკეთა დღეთანი, ლექსიკონი ვრცელი ქართულისა ენისა, შესხმანი და სხვა-

დასხვანი ეპისტოლენი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნისმოყვარეთა თაღმი და კულადაც არ ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადემ შრომობ“.

მოსკოვს, გიორგი XII-ის მეუღლის მარიამის სასახლეში, დავით დადიანი, აი, ამ იონას შეხვდა და გაიცნო კიდევ ბერი დადიანების სასახლეში ნამყოფი იყო, მაგრამ დავითი მაშინ არც იყო დაბადებული, და ამიტომაც არც იცნობდა მას, იონამ ისე მიუღერსა და მოეფერა დადიანს, თითქოს ბავშვობიდანვე მისი გაზრდილი ყოფილიყოს. დადიანი უკვე ოცი-ოცდაერთი წლის ყმაწვილი იყო, თავმოწონე და თავის კვალობაზე განათლებული. ის ისე მოიხიბლა „კალმასობის“ ავტორთან საუბარით, რომ, რაც მოსკოვში იყო, გვერდიდან არ მოუშორებია ეს კეთილი ბერი. დავით დადიანს მოსკოვი დაწვრილებით სწორედ ამ ბერმა გააცნო.

გაცნობის მეორე დღესვე იონა მღვდელმა დავითი მოსკოვის კრემლში მიიყვანა და ბირველად იქ შეაჩერა, სადაც კრემლის ეზოში ვეებერთელა ზარი ეგდო, ნახევრად მიწაში ჩაფლული. ბერმა დადიანს დაწვრილებით უამბო ამ ზარის ამბავი. ამის შემდეგ მან იგი კრემლის სამრეკლოში შეიყვანა. ბერმა ზარებისაგენ ხელი გაიშვირა და ასე უთხრა დავითს:

„აბა თუ დავითელი... ოცდაცამეტი ზარი ჰყიღია ამ სამრეკლოზე. მათში ყველაზე დიდი უსპენსკის ზარია. იგი ოთხიათას ფუტს იწონას. აი, მის გვერდით რომ ასევე დიდი ზარია, იმას ნოვგოროდის ზარს უწოდებენ. როცა იოანე მარისხანემ ქალაქი ნოვგოროდი შემუსკრა. ეს ზარიც აქ გადმოატანინა. შემდეგ ბერმა დადიანს სხვა ზარების ამბავი უამბო.

„და მაინც,—დასძინა ხელაშვილმა, ყველა ამ ზარზე უფრო დიდი ის ზარია, კრემლის ეზოში ჩაფლული რო ვნახეთ. მას ზარების მეფეს უწოდებენ, თორმეტიათას ფუტს იწონას.“

ამის შემდეგ მღვდელმა დადიანს სათითაოდ აჩვენა კრემლის მონასტრების



და დაწერილებით გააცნო მათი ისტორია. ამ მონასტრებში პირველი უსპენსკის ტაძარი, — ხმამალა ჩასძახა უკვე გარეთ გამოსულმა მღვდელმა დავითს. დადიანი უცბად შეცბა და გულში ისლა გაიფიქრა: „ამ ბერს ყრუ ხომ არ ვგონივარო“.

„ეს მონასტერი — ისევ ხმამალა ამბობდა ბერი, — 1327 წელს აუგიათ და ამის შემდეგ ქალაქ ვლადიმირიდან სამიტროპოლიტო, აქ, მოსკოვს გადამოუტანიათ. ასე გამხდარა მოსკოვი დიდი სამონასტრო და საქალაქო ცენტრი რუსეთსა. მერე, ასი წლის შემდეგ, ეს მონასტერი მეფეებს გადაუეციებიათ და ამ სახით, იგი მიტროპოლიტ გერონტის უკურთხებია, რუსეთის ყოველ მღვდს აქ, ამ მონასტერში აკურთხებენ“.

არც ის დაივიწყა ბერმა, თუ როგორ გაძარცვა ეს მონასტერი ნაპოლეონმა, „ფრანკის მეფემ“ 1812 წლის შემოსევას დროს. ბერმა დადიანს ისიც კი უთხრა, იმ მონასტერში ერთი ვერცხლის კიღობანია, რომელშიაც ძვეს ლურსმანი იესო ქრისტესი, 1686 წელს საქართველოდან არჩილ მეფის მიერ მოტანილიო.

ახლა მიხედის მონასტრის დარბაზში შეაჩერა ბერმა დადიანი და აქ დამარბული მეფეები ჩამოუთვალა საითთაოდ. და ბოლოს იქ მიიყვანა, სადაც იოანე მრისხანე იყო დამარბული. ეს მეფე დიდი მრისხანე და ურჯულო ვინმე იყოო, — დაუმატა ბერმა და პირჯვარი გარდაისახა.

როდესაც მონასტრის დათვლიერებას მორჩნენ. ბერმა დადიანი მეფეების საქურჭლეთა პალატაში შეიყვანა. კობეებზე მარჯვნივ და მარცხნივ სხვადასხვა ზომის და მორთულობის ზარბაზნები იყო დალაგებული. ყველა მათგანს საკუთარი წარწერა ჰქონდა. დავითი ეხლა თვითონ კითხულობდა ამ წარწერას, ზოგი ნაპოლეონის ჯარის ნადავლი იყო: ფრანგული, პრუსიული, ბავარიული და სხვადასხვა ადგილას ჩამოსხმული. მეორე მხარეს რუსული, თვით

მოსკოვში ჩამოსხმული ზარბაზნები ელაგა. კობეების შემდეგ ფრანგული იყო რუსეთის მეფეთა ტანისამოსი, იარაღსა-ქურველი. დავითის ყურადღება ყველაზე უფრო იმ უნაგირმა მიიპყრო, რომელიც პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორისათვის ხონთქარს ეჩუქებინა. ალბათ ზუგდიდელი მეუნარგის ნახელავს თუ ადარებდა. ახლა თავისი მხერა დავითმა სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსსა, აღქურვილობასა და იარაღებზე შეაჩერა. დიდხანს დაბორილობდა ეს ბერი პალატის დარბაზებში და დავითიც უკან მისდევდა.

ისინი პალატიდან დალილები გამოვიდნენ. სპასკის კარებიდან მოედანზე გამოსული დავითი მღვდელმა სწორედ ძეგლის წინ შეაჩერა და მოედნის წარსულიც გააცნო.

დადიანმა ბერისგან გაიგო, რომ ეს მოედანი ბერის მოწმეა. აქ, ამ მოედანზე, კრემლის კარიბჭესთან დაამარცხა რუსეთმა მრავალი მტერი და ამ მტერთაგან ყველაზე ძლიერი მტერი — საქართველოს ამოზრებელი და გამანადგურებელი მონღოლთა ურუოები; მაგრამ ამავე მოედანზე 1570 წელს ივანე მრისხანემ ორას ნოვგოროდელ ვაჟაც წააგდებინა თავი. აქვე სამი დღე ეგდო უპატრონოდ ცრუ დიმიტრის გვამი. მერე ბერმა დადიანი მინინისა და პოყარსკის ძეგლთან მიიყვანა. დავითმა ამოიკითხა ამ შესანიშნავ ძეგლზე ლამაზად ამოკვეთილი რუსული ასოები: „მოქალაქე მინინისა და თავად პოყარსკის, შადლიერი რუსეთი. 1818 წელი“.

სალამოს დავით დადიანი დიდ თეატრში წავიდა. თეატრში იტალიური ოპერა მიდიოდა. ჰაეროვანი მელოდები ქლერდა, მაგრამ დავითს თითქოს არაფერი ესმოდა, ისე იყო მოზიბლული და გაოგნებული ასეთი დიდებული დარბაზით. ასეთა დიდი და უზარმაზარი ჯერ არაფერი არ ეხილა მის თვალგან. შესვენების დროს დავითი დიდი თეატრის ფოიეში გამოჰყვა მოზიზნიმ და

მოსიერნი მათურებლებს. ყველაფერს აკვირდებოდა და გუნებაში აღიბეჭდავდა. საღამოს, როცა სახლში დაბრუნდა, სიზმარშიაც არ ასვენებდა დღისით ნახული. მთელი ღამე ბორბავდა.

მეორე დღეს დადიანი გამოემშვიდობა თავის დიდ მასპინძელს მარიაშ დედოფალს, რომელმაც წუბილითა და გულსტკივილით დაწვრილებით უამბო თავისი გასაჭირი. არც 1832 წლის შეთქმულების ამბავი დაუტოვებია განუწყვლად და განუკითხავად; ყველაფერს ამას დიდი გულსწუხილით ჰყვებოდა. დედოფალს არც ის დაუმაღავს, რომ მისი შვილები, ამ შეთქმულების საქმეში გარეულნი, რუსეთის მეფის მიერ ასე დასჯილნი, მაინც არ ჰკარგავენ იმედს. ოხერით ესლა თქვა: „ჩვენს კანონიერ უფლებას, სანამ პირში სული გვიდგას, ვერავის დავუთმობთ“.

დავითს ხმა არ გაუცია დედოფლისათვის. თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა. ეხლა მისთვის ცხადი იყო, რომ ყველაფერი დაკარგულია და ბატონიშვილების ოხერა და წარსულის მოგონება მხოლოდ მოგონებაა და მეტი არაფერი, მაგრამ არ უნდოდა გული ეტონა მოხუცებული დედოფლისათვის და, თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად, თავი დახარა, ხელზე ეამბორა და გამოემშვიდობა. დედოფალმაც გზა დაუთლოცა და ასე გაისტუმრა მოსკოვიდან პეტერბურგს მიმავალი თავისი ნათესავი.

დავით დადიანი იონა მღვდელს მოჰყვებოდა. იონას მოსკოვში თავისი საქმეები უკვე მოეთავებინა და დიდად ესიამოვნებოდა, რომ ბატონიშვილების ნათესავს—დავით დადიანს მოაცილებდა პეტერბურგს. ასე ეგონა ბერს, ჩემს პატრონებს საქართველოდან ჩამოსული კაცის მიყვანით დიდად გაეახარებო, და მთელი სამი დღე, ვიდრე ისინი პეტერბურგს ჩავიდოდნენ, თავიც მოაპეზრა დავითს სხვადასხვა ამბის მოყოლით.

დავითი მაინც დიდად მაღლიერი იყო იონაზე ხელაშვილისა, მისი სიყვარული ბოლომდე შერჩა საშვერელოს მთავარს.

იგი ერთ თავის პირად წერტილში წერს: „1835-სა წელსა, მარტის 9-სა ს. პეტერბურგს მართქა წიგნი ესე, სახელსა ზედა ჩემსა შეთხზული, მამა იონა ხელაშვილმან, ფრიად კარგად შეკრული. ხოლო რაიცა შეეხების წიგნთხზულებასა, ყოველი წამკითხველი ივულსიტყვებს ვითარებასა ამა წიგნისასა და ამისთვის არღა ვნახე საჭიროდ, რომ დამეწერა. ხოლო მე ვმადლობ მის იერომონახსა, რომელ აქუნდა გულსმოდგინება ამებად ჩემდა და ჰგონოდა ამა წიგნითა ჩემსა კმაყოფილების მოტყუება. სადაც არს სიბრძნე, მუნ სურვილითარე აღწერა, ხოლო სადაცო არსო ლიტონ გულსმოდგინება, მუნ სიბრძნე არაა მარადის ეგებიო.“

დავით დადიანი“.

ასე იგონებდა უფრო გვიან სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი ბერ ხელაშვილს. ხოლო თვიმურაზ ბატონიშვილი, ვისთანაც მიჰყავდა ბერ ხელაშვილს დავით დადიანი, ასე სწერდა 1835 წელს ცნობილ ისტორიკოსს მარი ბროსეს.

„შენ მოველოდიო მესა და მუსიეი შარშუაცა, რა უყო, შენი ნახე კიდევ დამიგვიანდა, ახლა დავაჭრე გული, რომ თქვენ თბილი ჰაერი გიყვარსო, ცივს ჰაერს ერიდებით, მაგრამ საქართველოში ძალიან თბილა. აქ კარგი მგზავრი მყვანდა თქვენთვის, ჩემი ღვიძლი დისწულის შვილი. ჩვენი ქვემო საქართველოს მეგრელების სამთავროს მემკვიდრე, თავადი დადიანის შვილი და უცხოთ გაზდლიო, მშვენიერი, ჯერეთ ყმაწვილი, ოციდაერთი წლისა იქნება ხნითა, დიდად სიბრძნის მოყვარე, სხვა ენებისაც კარგა მცოდნე, რუსულისა, მცირე ფრანციუტულიც იცის, ძალიან კარგი გულისა და ჰკვიანი. გულით მინდოდა ამ ქაში აქ ყოფილიყავით, იმისათვის გამეტანებინე. ეს ერთი თვე იქნება, წავიდა საქართველოში“.

მართალია, თვიმურაზმა ფრანგ მეცნიერს თავისი დისწულის შვილი პე-

ტერბურგში ვერ შეახვედრა, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ბროსე მარინე გაეცნო და დაუმეგობრდა დავით დადიანს.

ახლა ამბავს დავებრუნდეთ.

\*\*\*

კარგად დაღამებული იყო, როდესაც დავითი პეტერბურგში ჩავიდა იონა ბერთან ერთად. ამიტომ დადიანმა გადაწყვიტა, სხვა არაფერს შეეწუხებინა და პირდაპირ თეიმურაზ ბატონიშვილთან მისულიყო. ფიქრობდა, ის უფრო გულთ მამილებს და ნაკლებად შეწუხდება, ვიდრე სხვა რომელიმე ბატონიშვილი.

საქართველოს მეფის ძეს თეიმურაზ ბატონიშვილს პეტერბურგში საკუთარი სახლი ჰქონდა. პეტერბურგს რომ მიუახლოვდნენ, დადიანმა ჯიბე მოიხსრია და ქალაქი ამოიღო. შიგ თეიმურაზ ბატონიშვილის მისამართი ეწერა: „ვასილის ოსტროვსკა შინა მეცხრეხუთსა ნიჟნაზედ მახლობელ მდინარისა ნევისა № 81“, — ხმამაღლა წაიკითხა დადიანმა.

— მაშ პირველად თეიმურაზ ბატონიშვილთან მივდივართ? — შეეკითხა ბერი დადიანს, რომელიც ქალაქს ჩასცქეროდა.

— დიას, — მიუგო ბატონიშვილმა.

— მე კარგად ვიცი მისი სახლი, ნუ ეძებ მანდ მისამართს. — ბერმა რამდენიმე ადგილას შეუხვია და დადიანი პირდაპირ ზედ მიიყენა იმ სახლს, რომელშიაც თეიმურაზ ბატონიშვილი ცხოვრობდა.

დადიანი ბატონიშვილების ოჯახში დიდი ზემოთ მიიღეს, იქ დახვდა პლატონ იოსელიანიც. უკვე ერთ წელზე მეტი იყო, რაც პლატონი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. დადიანი მისი ახლობელი იყო, სანამ პლატონი დადიანს ხელს ჩამოართმევდა, მანამ იგივე ხელი ბაკენბარდებზე მოისვა, თითქოს უსწორმასწოროდ დაზანდილი ბაკენბარდები გაისწორაო. მერე გადაკოცნა ახლობელი მეგობარი.

თეიმურაზი და პლატონი ერთმანეთს არ აცლიდნენ კითხვებს. მდებარეობდა თა და სულმოუთქმელად ეკითხებოდნენ საქართველოს ამბებს. როცა გული მოიხიბეს და ყველაფერი გაიგეს მისგან, ახლა თავთ მოჰყვა ახალ ამბებს თეიმურაზ ბატონიშვილი. პლატონს, ბერსა და დადიანს მარი ბროსესავე მოწერილი წერილიც წაუკითხა.

თეიმურაზ ბატონიშვილი იმ დღეებში 1821 წელს პარიზში დაარსებულ აზიური საზოგადოების წევრად მიეღოთ და ახლა მარი ბროსე ბატონიშვილს ამ ამბავს აცხობინებდა. მარი ბროსე ქართულად წერდა ბარათს ბატონიშვილს. დადიანმა ხელთ აიღო ბროსეს წერილი, დახედა, გაოცდა და თან გაიხარა, ჩინებულად წერს, ასე გარკვევითა და კარგად ჩვენებურებიც ვერ დასწერენო. აი, რა შეუძლია თურმე მონდომებას.

— დიას, მონდომებას, — დაუმატა ბატონიშვილმა. — ამ ჩინებულმა ფრანგმა გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენა და აი, როგორ ისწავლა კიდევ. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩამოვა და გავიცნობ. უკვე მესამე წერილს მიგზავნი, საქართველოს ამბებს მეკითხება და ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს მთხოვს. მარი ბროსეს განზრახული აქვს პარიზში ქართული წიგნები გამოსცეს ქართულად, ზოგი რამ კი ფრანგულად თარგმნოს. ახლა ფრანგული ჟურნალი გადმოიღო ბატონიშვილმა და იქ მოთავსებული მარი ბროსეს „ევფხისტყაოსნის“ თარგმანი წაუკითხა.

პლატონ იოსელიანი ფრიად აქებდა თარგმანს, დავით დადიანი, რომელმაც კარგად იცოდა ფრანგული ენა, კამათში ჩაერია, თეიმურაზ ბატონიშვილმა გულთ გაიხარა ამ საოცარ, აღზნებულ პეექრობაში, ახლა ისიც ჩამოთვალა და წერილებით, თუ რა წიგნები მოსთხოვა მარი ბროსემ დავით ბატონიშვილს.

თეიმურაზ ბატონიშვილი 1811 წელს დაახლოდა პეტერბურგს და მას აქეთ შეუდგა ქართული ხელნაწერების მოგროვებასა და გამოცემას და დიდად ნაყოფიერი ლიტერატურული შრომა გა-

სწია: აგროვებდა ზელნაწერებს, უცხო ენიდან თარგმნიდა საქართველოს შესახებ არსებულ ცნობებს. მან ზედმიწევნით იცოდა ფრანგული, ბერძნული, სპარსული, რუსული და სომხური. და როდესაც ვაიგო, რომ პარიზში საზოგადოება დაარსდა, რომელიც ქართული ენითა და ისტორიით იყო დაინტერესებული, მაშინვე პარიზს ფრანგულად დაწერილი ბარათი აფრინა და საზოგადოებას დახმარებას შეპირდა. ასე დაიწყო მიმოწერა მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილს შორის.

ახლა მეგობრებს ბატონიშვილმა იმ წერილის შინაარსი გააცნო, რომელსაც პასუხად სწერდა მარი ბროსეს. წერილი იმით იწყებოდა, რომ ბატონიშვილი მარი ბროსეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს უქებდა: „მე ვიხილე ყურნალსა თქვენ მიერ წარმოვლენილისა დიდისა მის და სახელოვნისა ჩვენისა მელექსეთა გმირისა შოთა რუსთაველისა რჩეული ლექსნი და შენ მიერ ლამაზად თარგმანება მისი ფრანციატულს ენაზე, ვაშა! ვაშა!“

აქ ოდნავ შეჩერდა ბატონიშვილი, და იოსელიანმა და დადიანმა უმაღლე დაუდასტურეს — მართალია, მარი ბროსე ქების ღირსიაო.

შემდეგ ისევ განაგრძო წერილის კითხვა. აქ ბატონიშვილი მარი ბროსეს იმ წიგნების სიას ატყობინებდა, რომლებსაც იგი უგზავნიდა პარიზში ახლად გაეცხოზილ მეცნიერს: „ორი წიგნი მეზიხელეს საზოგადოებას მოვართვი, პირველი არის ღრამატიკა ქართული და მეორე ერთისა ღირსახსოვარისა ჩვენისა გმირისა შემთხვეულებანი. ორი მათგანი ჩვენს მეზიხელე პარიჟის საზოგადოებას შევწირე, ხოლო ორნი იგი წიგნი, რომელიც საკუთრად შენ გძლვეს, პირველი არის სრული დიდი ღრამატიკა ქართული და მეორე ლიტერატურანი და ორი თქვენს მოგართვით საკუთრად თქვენს სასარგებლოდ და ჩემს სახსოვრად“.

ბატონიშვილმა ახლა წერილის ის ნაწილი წაიკითხა, სადაც მარი ბროსეს

შეკითხვებზე პასუხსა და განმარტებებს უგზავნიდა: „განმარტება ვახტანგ მეფის ბეჭდისა:“

1. რტოდ ვარ დავითის (ამას ნიშნავს), რტოდ ვარდისა ქმნა იგი, ვით დავით ეგ სახედ.

2. ძველმა დავითის (ამას ნიშნავს), ძველმა დავითი იგი, ესე იგი, ძველმა დავით წინასწარმეტყველმან და ძველმან ანუ ძველმან დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობამან“.

საზოგადოდ, — წერდა ბატონიშვილი, — მთელი მეფეები ლექსად აწერდნენ ხოლმე თავიანთ ბეჭედს ტიტულს ასე, მაგალითად, ჩვენს დიდებულ მეფეს დავით აღმაშენებელს, საკვირველი ძლიერი და ბრძენი მეფე სრულიად იყერიისა ზემოისა და ქვემოისა მყარობელი და სხვათა, ამის ბეჭედზე ეწერა ლექსი ესე:

1. ქვართა მტრთა მძლეველი მე დავით ვარ უძლეველი.

ამაში ზმა კი არ არის რა გამოყვანილი, მხოლოდ სტიხათ არის“. მაგრამ შემდეგ ბატონიშვილი ისე განმარტავდა, რომ ზოგ მეფეს კალამბურის სახით აქვს ბეჭედზე ლექსი დაწერილი და მაგალითად ერეკლე მეფე მოჰყავდა:

„ჰაპის ჩემის ირავლის მეორის ბეჭედზე ეწერა:

1: მე ფერხთ განბანილია მეორე ვაკუსია ვალიდე

ამაში ზმით გამოდის: პირველად მეფე, მეორედ (სწორად რომ წაიკითხავ) ფერხთგანბანილი წმინდანი ქრისტეს მოციქულნი არიან. მეორე ტაპში ზმით სახელი გამოდის — ერეკლე. და სწორედ წაიკითხვით: ერი და ეკლესია ვალიდე (ესე იგი) მე მეფემან ირავლიმ, ქრისტეს მოციქულთ სჯულითა ერი (ჩემი) და ეკლესია დიდებულყავ და ჰეშმარტიც არის“.

ამ ათგვერდიანი წერილით ბატონიშვილი საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის საინტერესო საკითხებს ასე დაწვრილებით განუმარტავდა მარი ბროსეს. როდესაც თითქმის მოათავა წერილის კითხვა, ისევ შეჩერდა ბატონი

ნიშვილი და კვლავ განუმარტა მეგობრებს.

— ხომ ასე დიდებული კაცია მარი ბროსე, იგი უკვე მეგობრად მიმანია და მაინც არ დაგიმალავთ, ცოტა უნდა ვაწყენინო. იმ დალოცვილს ყოველ წერილში ჩემ ტიტულს ვწერ: „საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ ბატონიშვილი“. ის კი თავის წერილებში სრულიად უბრალოდ მომმართავს „ხოლმე“. და ახლა ის ადგილი წაიკითხა, სადაც მარი ბროსე ბატონიშვილს სწერდა: „მუსიე თეიმურაზსაო“. ამის გამო ახლა იგი ბროსეს სწერდა:

— „ეს შეცდომა არის ამისთვის, ჩვენს საქართველოს ხალხში მრავალი მუსიე თეიმურაზები არიან, ქართველებში, თუ სომხებში... ამისთვის საჭირო არის და მიეცით ესეც ჩემს მიერ გამოგზავნილი ტიტული ორსავე შემოდ მოხსენებულს ადგილას, რადგანაც მე თვით მეფის გიორგის შვილი ვარ, რომელიც თავისუფალი მეფე იყო საქართველოსა და არა თუ შორიელი ნათესავი ვარ მისი. და ამა მიზეზითა შეურაცხება იქნება ჩემი, თუ ჩემის ტიტულით არ იქნება ჩემდამი მისაღებელი რაიცა და ვისგანაცა მომივა წერილი“.

ცოტა გაუკვირდათ იოსელიანსა და დადიანს ეს გაწიწმადებული კილო ბატონიშვილისა, მაგრამ ეცნაურათ. ამ განსწავლულ კაცს, ორი თუ სამი აკადემიის წევრს, ისევე მეფის კვერთხისკენ ეპირა თვალი და არავის აძლევდა ნებას იგი სხვა ღირსებით მოეხსენიებინათ.

ბატონიშვილმა შეატყო, რომ სტუმრებს მაინცდამაინც არ ესამოვნათ ეს განმარტება ბატონიშვილისა და, რომ დაეფარა უკმაყოფილება „ახლა მეორედ წაუკითხა წერილის ის ადგილი, სადაც ბატონიშვილი ასე იცავდა საქართველოს ღირსებასა და დიდებას. ეს ადგილი იმის პასუხი იყო, მარი ბროსე რომ უჩიოდა ბატონიშვილს „უხმარად უჩინსოთ და უსარტებლოდ ჩვენი ქართული ლიტერატურა ზოგიერთებს“. ამის პასუხად, აი, რას სწერდა ბატონიშვილი: „მე ჭეშმარიტად ვიტყვი, ამას

ვერავინ მარწმუნებს, რომ უკმაყოფილო დიდი სიბრძნე არ იყოს დამკვიდრებული“, მაგრამ მაინც მათ მხრივ სხვა ქვეყნების კულტურის უგულებელყოფას აქვსო ადგილი. „მე ჩემის მხრივ ამას ვიტყვი: იმ ქველს ეამებში, როდისაც არც წერ თქვენში და არც გერმანიაში ხუთი კაცი არ იპოვებოდა, რომ სწორეთ ანბანი თავიდაც ბოლომდის ჩაეკითხათ. მაშინ ჩვენი ქვეყანა იყო იმ ეამებში, თუ სთქვა, სრულს განათლებაში და წერილებით აღსავსედი, სიბრძნით ალყვავებულნი და, რომლის ეამთავანაც სირიასა, ეგვიპტესა, სპარსეთსა და საბერძნეთში იყო განათლება, ეგრეთვე საქართველოში“.

შემდეგ ბატონიშვილი ატყობინებდა, ამ განვლილ წელს გერმანიაში ვიყავი, ბევრი რამ ვნახე იქ დიდებული და კარგი, მაგრამ ერთხელ კიდევ დავრწმუნდა საქართველოს დიდებულებასა და სიდიადეში. დაბოლოს ეს წერილი მინაწერით მთავრდებოდა. ბატონიშვილი სთხოვდა მარი ბროსეს საქართველოში ჩამოსულიყო და თვითონ ეხილა დიდება და ღირსება ამ ქვეყნისა.

დაამთავრა თუ არა ბატონიშვილმა წერილის კითხვა, ახლა დადიანს უთხრა, როგორც მპირდება, მარი ბროსე აუცილებლად ჩამოვა საქართველოში და აბა, თქვენ იცით, როგორ დახვდებითო. შენ იცი, როგორ მოუვლი და უპატრონებო: დადიანი დიდი თანაგრძნობით შეპირდა დახმარებას და სიხარულით მიიღო ეს წინადადება.

მეგობრები გვიან დაიშალნენ. იოსელიანი და ბერი წავიდნენ. იმ საღამოს დადიანი ბატონიშვილთან დარჩა.

მეორე დღეს დავით დადიანი მარიამ დედოფალს ესტუმრა. მარიამ დედოფალი, სოლომონ მეორის მეუღლე, კაცია დადიანის შვილი იყო და ახლო ნათესავად ერგებოდა დავით დადიანს. მაგრამ მათ შორის მდგომარეობა იმან გაამწვავა, რომ ლევან დადიანის მამას გიორგის იმერეთის მეფესთან სო-

ლომონ მეორესთან დიდი უთანხმოება და ომი ჰქონდა. ეს მარიაშაყ ახსოვდა. მაგრამ პეტერბურგში აბა რა ამის მოგონების დრო იყო, და, როდესაც, წესისამებრ, დადიანი მეორე დღეს მასთან გამოცხადდა, დედოფალმა გულში ჩაიკრა დავით დადიანი, დედაშვილურად გადაკოცნა და როცა გაიგო, წინა დღეს ჩამოსულიყო პეტერბურგში, იწყინა. პირველად ჩემთან უნდა მოსულიყავიო, — უთხრა ნაწყენი კილოთი. ვერ საქართველოს ამბები გამოჰკითხა და შემდეგ კი სადილად მიიწვია.

სადილზე იმავე წესით დასაზნენ, როგორც ეს სამეფო კარზე იყო მიღებული. სახლთუხუცესმა მოიწვია სტუმრები. გვერდით თვითონ მოუჯდა დედოფალს, ხოლო მეორე მხარეს დავითი მოსივს. შემდეგ მოღარეთუხუცესი, და ამგვარად ტიტულისამებრ, მთელი ამაღა გარს ეხვია დედოფალს. დავითს გაუკვირდა, ყოფილი დედოფალი ამდენ ხალხს რა საშუალებითა და რა სახსრებით ინახავსო. უფრო უცნაური ის იყო, რომ მთელმა ამ საუბარმა და სადილმა ისე ჩაიარა, თითქოს სტუმრები, მართლაც, ნამდვილ მეფის კარზე ყოფილიყვნენ მოწვეული.

მარიაში იხტიბარს არ იტებდა და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს კვლავ საქართველოს დედოფალი ყოფილიყოს. და როცა ამ ტრაგიკომედიას დააკვირდა, დავითმა სადღაც გულის სიღრმეში მწარე ტკივილი იგრძნო. იცოდა, რომ მასაც და მის სამთავროსაც დღეს თუ ხვალ იგივე ბედი ეწეოდა, — და მაინც უკვირდა, რომ ეს ბატონიშვილები ისე იქცეოდნენ, თითქოს საქართველოში კვლავ ორი სამეფო — კახეთისა და იმერეთის სამეფოები არსებობდეს და მათ ახლა განზრახვა ჰქონდეთ დათრგუნონ ურჩი მთავრები. მთელი ამ ცერემონიალის შემყურე დავითს გულში მწარედ ეკინებოდა. სწორედ ამ დროს დედოფალმა საქართველოს უკანასკნელი ამბები ჰკითხა. ახლა იგი ყველას სწყევლიდა, პირველ რიგში კი, — ციციანოვს, ერმოლოვს და პასკევიჩს,

მათ მოუღეს ბოლო საქართველოს მეფეებს, თორემ რუსეთის მეფესაც ასეთი მითითება არ ჰქონიათ. როცა გული იჭერა ციციანოვისა და პასკევიჩის კილვით, ახლა ერეკლესა და მის შვილებს მისდგა, საქართველო მათმა უხეირობამ დაღუპაო; არა, გეთაყვა, ასე, არ იყო, არც განსვენებულ ჩემს ქმარს სოლომონს, არც სამეგრელოსა და გურიის მთავრებს არაფერი ჰკითხა და ქართლის ბედი ისე გადაწყვიტაო. მაგრამ ღმერთია მსაჯული, ერეკლეს სამაგიერო მიეხლო ამ ბოროტებისათვის, ახლა მისი შვილები ფარნაოზი და იულონი აქ დაძრწიან და ტახტის დაბრუნებაზე ოცნებობენო. არა, გეთაყვა, თვითონ ჩააბარეს ტახტი რუსთ ხელმწიფეს და ეხლა რა ნაშუსით თხოულობენ მის დაბრუნებასო; ახლა იქ თბილისში თავადიშვილები აუბუნტებიან და შენ უფრო იცი რა მოჰყვა ყოველივე ამასო.

ბრაზობდა, კაპასობდა, ანჩხლობდა იმერეთის დედოფალი. დავითი უსმენდა ამას და ხმას არ იღებდა, უკვირდა.

დადიანი ხედავდა, რომ ბატონიშვილები ახლაც ცალკალკე ცხოვრობენ, ერთი მიზანი არა აქვთ, ერთი სული არ უდგათ, მათთვის საქართველო თვითულის საკუთარ ბედნიერებას უდრიან, მეტს სხვა არაფერს. ეცნაურა ეს და ეწყინა და ეტკინა კიდევ, ცუდ გუნებაზე დადგა. დედოფალმა, სტუმარს რომ უკუნებობა შეატყო და საქართველოს მოგონებამ თვითონაც კუდ გუნებაზე დააყენა, ასე იფიქრა: დადიანს არ ესიაშოვნა ყოველივე ამის მოგონება, — მისი წინაპრები ხომ მუდამ ებრძოდნენ იმერეთის სამეფოს, და, ალბათ, შეგნებულად გაურბინ თავისი გულის ხვაშიადი გვამცნოსო. ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ბატონიშვილები ყველადფერს მალავენ, საიდუმლოს გულში ინახავენ, და დადიანი რა შვილია, ყველაფერი ჩამიკაკლოსო. ეს გაიფიქრა და ადგა. ამით სტუმრებსაც ამცნო, სადილი დამთავრებულიაო. სტუმრები

ერთბაშად გაიკრიფნენ სასადილო დაობაზიდან.

დავით დადიანი ისევე თეიმურაზ ბატონიშვილის ბინაში დაბრუნდა. თეიმურაზი აკადემიიდან ჯერ კიდევ არ მოსულიყო, შინ პლატონ იოსელიანი დახვდა. პლატონმა გულთხა გაცხარა, როდესაც დაიპარტახელა დავითი და მასთან გულახდილი საუბარი დაიწყო. იოსელიანს ყველაზე უფრო თბილისში მომხდარი ამბები აინტერესებდა, და პირველი, რის გაგებაც მას სურდა დადიანისაგან, შეთქმულთა ბედი და საერთოდ შეთქმულების ამბავი იყო. იოსელიანმა ბევრი რამ იცოდა ამ შეთქმულების შესახებ, მაგრამ თბილისიდან ჩამოსული კაცი მაინც სხვა იყო და მისი პირით სურდა გაეგო ყოველივე დაწვრილებით.

დავითი რომ პეტერბურგს ჩამოვიდა, შეთქმულების საქმის გამოძიება დამთავრებულიყო, მონაწილეები დასჯილნი იყვნენ და ამბავიც საყოველთაოდ ცნობილი. დავითი ამ საქმეში არ ჩარეულა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ დავითი როზენის სახლში იზრდებოდა, ხოლო ივანე მუხრანსკისთან მეგობრობდა. ივანე მუხრანსკი თუმცა იცნობდა შეთქმულების ამბავს, მაგრამ არ თანაუგრძნობდა. ერთ ჩვენებაში ვახტანგ ორბელიანი წერდა:

„1832 წლის გაზაფხულის დამდეგს მთავარმა ივანე მუხრანსკიმ მითხრა: იცი რა გავიგონე? ერთმა კაცმა მითხრა, ვითომ თავად ჭავჭავაძეს ეთქვას მისთვის, რომ ყოფილმა სამოქალაქო გუბერნატორმა ზაველეისკიმ მითხრაო, რომ პეტერბურგიდან ჩამოსული ახლავაზრდები თავისუფლების აზრს ნერგავნო. იცოდ, ვახტანგ, — მეუბნებოდა მუხრანსკი, — თავი დაანებე თავისუფლებას და სხვადასხვა სისულელეებზე ლაპარაკს.“

1832 წელს გაზაფხულის პირველ დღეებში მუხრანსკიმ მაჩვენა დიმიტრი ბატონიშვილთან მიწერილი წერილი. ამ წერილში იგი იხსენიებდა შემდეგ პირებს: რაზმაძეს, დოდაევს, ჩემს ძმას ალექსანდრეს, ელიზბარ ერისთავს,

გიორგი დავითის ძე ერისთავს, ყიფიანოვს, აეთანდილოვსა და მცენარეებს გვიწოდებდა ლიტერატორებსა სხვაგვარად და დაგვიცინოდა. როდესაც მე სამღერავი ვუთხარი მუხრანსკის, თუ რისთვის მისწერა მას ასეთი სისულელე, მიპასუხა, რომ მას ის წერილი არ გაუგზავნია დიმიტრი ბატონიშვილთან, და დახია ის.“

ამგვარი განწყობილების კაცი იყო ივანე მუხრანსკი, ვისაც დავით დადიანი მეგობრობდა, მაგრამ დავითთან, როგორც ფრიად ფრთხილ და როზენთან დაკავშირებულ კაცთან, რასაკვირველია, კრინტიც არ დაუძრავს შეთქმულების ამბავზე. დავითი შერვაშიძესაც იცნობდა, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა შეთქმულებთან. იგივე ვახტანგ ორბელიანი აჩვენებს, რომ მისთვის თითქოს შერვაშიძეს უთქვამს: მე შემიძლია მთელი აფხაზეთი ავაჯანყო, ორი ათასი აფხაზით სრულებით გავეშენდავ აფხაზეთს რუსებისაგანო. „ხოლო როდესაც მე ვცითხე — ამბობს ვახტანგ ორბელიანი, — შეუძლია თუ არა მას აჯანყების დაწყების დროს თბილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა, ადვილად შემიძლია სამასი კაცი გამოგზავნო. თავად შერვაშიძეს ჩვენს განზრახვავზე ელაპარაკა ჩემი ძმა ალექსანდრე და, მკონი, ელიზბარ ერისთავიც“.

დადიანი ამ წრეში ტრიალებდა, მაგრამ ისე მალე იქნა გამყლავებული ეს შეთქმულება, რომ მან აქტიური მონაწილეობის მიღება ვერ შესძლო, თუმცა, როგორც ირკვევა, ამაზე დავითთან ულაპარაკიანათ გიორგი ერისთავს და ვახტანგ ორბელიანს. როცა შეთქმულები შეიპყრეს, დავითი დატოქნა როზენმა, და აი, ახლა ამ საქმის ისტორიის მოწმეს — დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან საუბარში ოფიციალურად ეჭირა თავი.

შეთქმულების მონაწილენი, — ზოგი—შორეულ მხარეებში იყო გადასახლებული, ზოგიც — პეტერბურგსა და მოსკოვში საცხოვრებლად დაბრუნებუ-

ლი. ბატონიშვილების რომანტიკული ხმაური, მარცხით დამთავრებული, ყოველ თავადიშვილს სევდასა და ოზვრას ჰგვრიდა. იოსელიანს ყოველივე ეს კარგად მოეხსენებოდა, ამიტომაც დავითი მის დაკითხვას, ცოტა არ იყოს, უნდობლად მოექცა. ბოლოს, მაინც ვაიბა მათ შორის გულახდილი საუბარი. გამოიჩინა, რომ იოსელიანი დავით დადიანზე უფრო კრიტიკულად აფასებდა მთელ იმ აურ-ზაურს, რომელიც ბატონიშვილებმა ატეხეს.

მაგრამ რაკი დადიანი სდუმდა, თვითონ წამოიწყო პლატონ იოსელიანმა:

— მე საქართველოს ისტორიაში ცოტა ჩაბედული ვარ და, ნუ გეწყინება, თუ გაგახსენებ. ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ერეკლე მეფის უფროსი ვაჟი გიორგი XII ავიდა. ამ ნიადაგზე უთანხმოება ჩამოვარდა გიორგი მეფესა და მის ძმებს შორის. მალე გიორგი XII გარდაიცვალა, მაგრამ მტრობა ტახტის მამიებელ ბატონიშვილებს შორის არ ჩამქრალა. ამით ისარგებლა რუსეთის იმპერატორმა და ქართველების სამეფო გააუქმა. მე მართალი ვიფიქრებ და დიდი თავიანთსმეცემელი ვარ გიორგი მეფისა და, თუ დამცალდა, განზრახული მაქვს აღვწერო მისი ცხოვრება და ღვაწლი, ხოლო რაკი შეეხება ერეკლე მეფის სხვა შვილებს, კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილს, იქვის თვლით ვუცქერი მათ კაიკობას. ტახტის მამიებელი ამ ბატონიშვილებისა მე აღარ მჯერა. ალბათ, ეს შეთქმულებაც მათ თავიანთი პირადი ზრახვებისთვის სურდათ გამოეყენებინათ... — აქ შეჩერდა იოსელიანი, თვლებში ჩააჩერდა დადიანს და, რაკი თანხმობის დასტური არ მიიღო მისგან, მცირე დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო. — საერთოდ უნდა იცოდე, ჩემო დავით, სიმართლე მუდამ ჩუმი არის სადმე კუთხეში მიმდგარი და იქიდან გვიცქერის. ვინც მტრს ყვირის, იგი თავისი ყვირილით მალავს სიმტყუნეს, ასე იყო და ასე იქნება. ჩვენ ერთმანეთისათვის

სიყვარული თუ გვისესებია, თორემ სხვა ვალი ერთმანეთისა, აბა, არა გემატებებს, რომ გულახდილებს წყევლობა მინდა ვითხრა, საქართველო, ჩვენი სათაყვანებელი საქართველო მტრობამ და შურმა დალუბა. საქართველოს მართო ვარეშე მტრები კი არ მტრობდნენ, არამედ ჩვენი შინაგანი მტრებიც. ჩვენ, ძმები, არ ვინდობდით ერთმანეთს, სისხლით და ხორციით მძებნი ერთმანეთს ვებრძოდით, ხოლო როდესაც რომელიმე ჩვენს სამეფოს ვარეშე მტერი მოადგებოდა, სამთავროს მესვეურები, ხშირად ნაცვლად დახმარებისა, მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს, ან აბეზღებდნენ, ან ჩუმად ეხმარებოდნენ მტრებს თვით საქართველოს წინააღმდეგ და აი, ხომ ზედავთ, საქართველოსგან აღარაფერი დარჩა, ახლა ჩვენ რუსეთის შემყურე უნდა ვიყოთ, რუსეთი თუ მოუღებს ბოლოს ამ შინაგან მტრობასა და შედღეს, თორემ თვით საქართველოში არავინ არის ისეთი, რომ ჩვენს ქვეყანაში წესრიგის დამყარება შესძლოს და საქართველოს დამოუკიდებლობას გაუძღვეს. საქართველოს მართო არსებობა არ შეუძლია, არა და არა, თუ ვინმე დიდსა და ძლიერს ზურგი არ მიაყრდნო. შენ კარგად მოგეხსენება, ჩემო დავით, ჩვენ ასეთ ზურგად არც სპარსეთი გამოგვადგება და არც თურქეთი. ჩვენ მხოლოდ რუსეთილა დაგვრჩენია, ერთმორწმუნე და განათლებული რუსეთი, და მისი შემყურე უნდა ვიყოთ.

დავით დადიანი სულგანაბელი უსმენდა ეშხში შესულ მოსაუბრეს, მაგრამ არ ეთანხმებოდა მეგობარს. შემდეგ ასე უბასუხა:

— თქვენ ბრძანებთ, პლატონ ბატონო, რომ საქართველო ვერ გასძლეხს დამოუკიდებლად. არა ხართ მართალი. აბა ვაიხსენეთ დავით აღმაშენებლის საქართველო. მაშინაც იყვნენ საქართველოში განდგომილი მთავრები და თავკერძა ბატონიშვილები, მაგრამ ძლიერმა მეფემ — დავითმა დათრგუნა ყველა



ისინი, ერთ ძალად შეაკავშირა, ერთ მუშტად შეკრა და უძლიერესი სახელმწიფო შექმნა; ქვეყანას აჩვენა, რომ საქართველოს სრული უფლება და ნიადაგი აქვს იყოს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო. მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქართველოში შემდეგ მისი ტოლი და სწორი კაცი არ გამოჩენილა, დავითის მსგავსი სახელმწიფოებრივი მეთაური არ დაბადებულა. მართალია, მაშინ მდგომარეობა სხვა-ნაირი იყო, შემდეგ კი, შტრები ჩვენზე ძლიერნი აღმოჩნდნენ, მაგრამ მოვადრო და ასეთი კაცი გამოჩნდება და პირადი განდიდების მოტრფიალეთა და მოყვარულთ ამ პატარა გაბუნძილ კაცუნებს გულის ჭიას მოუტლავს. საქართველოს შესვეურები სხვანაირად შეხედავენ საკითხს და თავის პირად საქმეს საქართველოს ძლიერებას ანაცვალავენ. მე ასე მჯერა და ასე მწამს.

პლატონ იოსელიანმა მსხვილი დაბურული წარბები ზე აზიდა, გრძელწამწამებანი თვალები დაახამზამა, ხელები ბაკენბარდებზე მოისვა, გაკვირვებით შეაკვირდა დადიანს, არა სჯეროდა, რომ ამას თავადი დადიანი ლაპარაკობდა. თავადი დადიანი, რომელიც ახლა იმისთვის იბრძოდა, რომ თავისი ტახტი განემტკიცებინა, თავისი კეთილდღეობა უზრუნველყო და თავისი დიდკაცობა გაეხანგრძლივებინა. უყურებდა პლატონ იოსელიანი და უკვირდა: ნუთუ ეს დავით დადიანი იყო, ლევანის შვილი, ტახტის მძიებელი... მაგრამ რაკი მისგან ასეთი სიტყვები მოისმინა, სამაგიერო ვერა უთხრა რა, გაჩუმება არჩია და საუბარი ახლა იმაზე გადაიტანა, თუ როგორი იყო გეგმა დადიანისა, რის გაკეთებას ფიქრობდა იგი პეტერბურგში თავისთვის და ქვეყნისთვის.

გამოირკვა, რომ დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან პირველი სათხოვარი ისა ჰქონდა, რომ დახმარებოდა პეტერბურგში არსებული ქართული ხელნაწერების შესწავლაში, ზოგი რამის გადაწერაში, პეტერბურგის დათვალაიერებასა და გაცნობაში. პლატონმა დადიანს

დახმარება აღუთქვა. ასე დაშორდნენ იმ დამს.

ქართველნი

პლატონი და დავითი დახმარებულნი მთელი დღე ერთად იყვნენ, საუბრობდნენ ახლად გამოსულ წიგნებზე, ძველ ქართულ ხელნაწერებზე, მათ გადაწერასა და გამოცემაზე, სად არ მოძებნეს და სად არ გამოჩხრიკეს ეს ძველი ხელნაწერები. პლატონი იხსენებდა რომ ინახავდნენ თავიანთ ყველაზე ძვირფას ნივთებთან ერთად.

ერთ დღეს პლატონმა დავითი პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში წაიყვანა. ეს ახლად დაარსებული ბიბლიოთეკა მდიდარი იყო ძველი ხელნაწერებითა და რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებზე დაბეჭდილი წიგნებით. პლატონი ამ ბიბლიოთეკის ზმირი სტუმარი იყო. ახლა დავითიც აიყოლია. მას თავისი რუსი მეგობარი გააცნო. ეს უკანასკნელი დავითს შეპირდა ყოველდღე ახალ წიგნს წაეკითხებო. ქართველ უფლისწულს ძლიერ მოეწონა ეს რუსი ბიბლიოთეკარი, გაოცებული იყო მისი დიდი ნაკითხაობითა და განათლებით. დავითი ამ ბიბლიოთეკის ყოველდღიური სტუმარი გახდა.

დავითი კარგად გაეცნო პეტერბურგს, მაშინდელი რუსეთისა და მთელი ევროპის ერთ-ერთ დიდ კულტურულ ცენტრს. ამ საქმეშიაც პლატონ იოსელიანი დაეხმარა.

ერთ დღეს დავით დადიანი პლატონ იოსელიანმა ქალაქის კოშკზე აიყვანა. ეს კოშკი საგანგებოდ იყო აგებული ქალაქის დასათვალიერებლად, პლატონმა აქედან მეგობარს პეტერბურგის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი დაანახა და თავისი არქაული ქართულით ბევრი რამ განუმარტა. ამ კოშკიდან პეტერბურგი ხელისგულივით მოჩანდა. პლატონმა ჯერ აკადემიის შენობებისაკენ გაიშვირა ხელი, პეტერბურგში ცხრა აკადემიააო, — უთხრა და სათითაოდ გააცნო ამ აკადემიების ხასიათი; ორმოცდაათი სასწავლებელიაო სახელმწიფო ხარჯზე და ორმოცზე მეტი კერძო პანსიონატი. ახლა ხევის გაღმა უნივერსიტეტი დაა-

ნახა. მის გვერდით თეთრი შენობები რომ მოჩანს, ესენი საავადმყოფოები და მოსპიტლებია, პეტერბურგში ასეთი სულ თოთხმეტია, ყველა ისინი სახელმწიფო ხარჯზეაო. შემდეგ მოსდგა და სულ საითათოდ ჩამოუთვალა მონასტრები და ეკლესიები. პეტერბურგში სულ ჩვიდმეტი მონასტერიაო, ეს ქრისტიანთა სალოცავი, ხოლო ამის გარდა, რამდენიმე მუსულმანთა და ებრაელთა მეჩეთი და სინაგოგააო.

შემდეგ პლატონმა ჩრდილოეთისაკენ გააშვირა ხელი და თქვა: ეს მთელი უბანი ფაბრიკებისა და მანუფაქტურების რაიონია, აქ ორასზე მეტი ფაბრიკაა, ულუქვაბურონი და გლახაყნი სამუშაოს და საზრდოს აქ შოულობენო. შემდეგ დასძინა, ღამე სამი ათასი ფარანი ანათებს, ქალაქი კვარტალებად აოის დაყოფილი და ყოველ უბანს თავისი ზედამხედველი და პოლიციელი ჰყავს, ყოველ უბანში სამხედრო ჯიხურია, რომელთაც ქალაქის წესრიგის დაცვა აქვთ მიხედობილიო. მერე მიუბრუნდა და უთხრა:

— შენ თვითონ ხედავ, რა წესრიგია ამ ქალაქში. ყოველი ქართველის ვაღია დააკვირდეს და ისწავლოს წიგნების ბეჭდვა, სასწავლებლების მოვლა და პატრონობა, ჯარის გაწყობა და წესრიგი.

დავით დადიანი ყურადღებით უსმენდა თავის მეგზურს და დაკვირვებით იბეჭდავდა გულში ყოველივე ახალს, მისვაც გაგონილს.

ახლა მარჯვნივ მობრუნდა იოსელიანი და პეტროვისკის კუნძული დაანახა დავითს.

— ეს პეტერბურგის ცენტრალური ნაწილია, სადაც გაშენებულია ციხე პეტრე-პაველსი თავისი ეკლესიით, სადაც იმარხებიან რუსეთის მეფენი და იმპერატორები. დიდი მეფე რუსეთისა— პეტრე პირველი იქ არის დაკრძალული, ხოლო ნევის პირას, პატარა სახლი რომ მოჩანს, ეს პეტრე პირველის სახლია. მის მიერვე აშენებული.

მერე პლატონი დაწვრილებით მოყვა პეტერბურგის ისტორიას. *ერეკლესული*  
— მის იქით კუნძულებია *მანუფაქტურები* და ელაღინისა, მშვენიერი სასახლეებითა და ბაღებით, გრაფ სტროგოლოვისა და გრაფ ბესბოროდოვისა. წინ ტავრიჩესკის სასახლეა, იგი ახლა პეტერბურგში ყველაზე დიდი სასახლეა. იმის გავოლებით, სულ ბოლოს, ნევის და სმოლნის მონასტრებია.

შზიანი დღე იყო. პეტერგოფისა და კონსტადტის ციხე-სიმაგრე კოშკიდან კარგად მოჩანდა. პლატონი ახლა მათს ისტორიას მოჰყვა. დავითი დაინტერესდა და გადაწყვიტა თვითონ მოენახულებინა ეს ადგილები.

უკვე დაიღალნენ კოშკზე დგომითა და გამბული საუბრით; ბოლოს, ძირს ჩამოვიდნენ, ისაკის მოედანი გაიარეს და ბაღში შევიდნენ. აქ უამრავი ხალხი ირეოდა. შემდეგ დღის ოთხ საათამდე იხეტიალეს ქუჩებსა და პროსპექტებზე. სად არ შეიარეს და რა არ ნახეს: სასტუმროები, დუქნები, მაღაზიები. დავით დადიანი განსაკუთრებით კარგად მოწყობილმა მაღაზიის ვიტრინებმა გაიტაცა. იოსელიანმა უთხრა: პეტერბურგში სამასი მაღაზიაა, მათ შორის ოცდაათზე მეტი — მარტო წიგნისა. ეს მაღაზიები კარგად ამტკიცებს, როგორ შედის რუსეთი განათლების დიდ ტაძარშიო.

აქედან პლატონმა სტუმარი ყაზანსკის ტაძარში შეიყვანა და მისი კურთხევის ამბავს მოუყვა. მერე კუტუზოვის საფლავთან მიიყვანა. ბოლოს ალექსანდრე ნეველისა, სმოლნისა და სხვათა მონასტრები დაათვალიერებინა. ახლა პეტერბურგის ხიდთან მარცხნივ ჩაუხვიეს და პირდაპირ პეტრე პირველის სახლში შევიდნენ. ეს კრამიტით დახურული ხის პატარა სახლი იყო. დავითმა წაიკითხა წარწერა: „1703 წელი“. მერე უკან მობრუნებულმა იოსელიანმა და დადიანმა პირველ კადეტთა კორპუსს ჩამოუარეს. პლატონმა განუმარტა, ჩვენი თავად-აზნაურობა ახლა სამხედრო საქმეს აქ სწავლობს, სამხედრო განათლებას ყოველ წელს ორი-სამი ათასი კაცი ღებუ-



ლობს, აი, მის გვერდით კი, მეორე კადეტთა და მეზღვაურთა კორპუსი არისო.

სექტემბერი იყო. კვირა დღე. ნევის მარჯვენა მხარეს ვასილევსკის კუნძულზე მხატვართა აკადემიაში გამოფენა იყო მოწყობილი.

დავით დადიანი ახლა ამ გამოფენას ესტუმრა. ისევ პლატონ იოსელიანი ახლდა, პლატონმა დავითს უთხრა: ამ აკადემიაში სამასი მოსწავლე სწავლობს, ყველაზე ნიჭიერებს აქედან ევროპაში გზავნიანო.

— მაგრამ ახლა შენ ის უნდა ნახო, ის — ერმიტაჟი! — უთხრა პლატონმა დავითს, — დიდი საოცრება რამ არის, ვის ნახატს არ ნახავ.

დავით დადიანი დიდად დაინტერესდა და სთხოვა წამიყვანეო.

ერმიტაჟშიაც ბევრი ხალხი იყო. იოსელიანი წინ წაუძღვა დადიანს. შესასვლელთან ქანდაკებების წინ გააჩერა და ასე უთხრა: ეს შენობა ეკატერინე მეორის განკარგულებითა და მისივე მონაწილეობით არის აშენებული 1775 წელს, საჯანგებოდ მხატვრობისათვის. ხომ ხედავ იგი ზამთრის სასახლის ვაგარძელეზაა. ამბობენ, ეკატერინე როცა დაიღლებოდა, საიდუმლო გვირაბით აქ გამოდიოდა და სულიერად ისვენებდა, ამ დიდებული ძეგლთა ჰერეტიით... შემდეგ ალექსანდრე მეფემ უფრო გაამდიდრა ეს სასახლე. 1814 წელს პარიზში შეიძინა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები და აქ მოატანინა. ახლა აქ ოთხი ათასი სურათია გამოფენილი, იტალიელების, ფრანგების, რუსების და სხვათა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებიო.

დავითი ყოველ დარბაზს აკვირდებოდა, ინიშნავდა და იწერდა რალაცას. გულში ნატრობდა: ეს ერთი რამდენიმე სურათი მაინც მომცა, რომ მისი ნახვით ზუგდიდი გვაკვირვოო. ესლა ჰკითხა იოსელიანს, ეს სურათები სად იყიდებაო, ახლა იოსელიანმა უპასუხა, ყოველი დიდი ხელოვანი თავის ნამუშევარს ჰყიდის, მაგრამ დიდად ფასობსო.

„ახა დახედე, შენ წინ რომ სურათია“, უთხრა პლატონმა. დაეძინა და ოცდაათი ათასი მანეთი უწერა ღირებულება. გაოცდა დავითი, ოცდაათი ათასი მანეთი ერთი სურათისთვის როგორ გაიმეტესო, მაგრამ დიდებული კი არის, დიდებულიო.

ერმიტაჟში სალამომდე იბორიალეს. გამოვიდნენ თუ არა, ნევის პროსპექტი გადაჭრეს და ისევ პეტრე პირველის ძეგლს მიადგნენ. პეტრე ყალფე შემდგარ ცხენზე ზის, ცხენი ორივე უკანა ფეხით გველზე შემდგარა, ჰკლავს ქვეწარმავალს, მარჯვენა ხელი კი ზღვისკენ, შეედღისაკენ გაუშვებია. ისე მოეჩვენა დავითს, თითქოს პეტრე პირველი ჯარს უბრძანებს „წინ — შეედღეთისაკენო“, და მოაგონდა, თუ რუსეთის იმპერატორმა, განთქმულმა სარდალმა ამ ქაობებსა და გაუფალ ჰენჯელოში როგორ დაამარცხა შეედღების საუცხოოდ შეიარაღებული და ძლიერი არმია, დადიანი სულ ახლო მივახლა სპილენძის ამ დიდ მონუმენტს და ამოიკითხა წარწერა: „პეტრე პირველს — ეკატერინე მეორე“.

შთაბეჭდილებით გაბრუებული დავითი შინ მისვლისთანავე პირალმა დაწვა, ნახულითა და გაგონილით აფორიაქებულს დიდხანს არ დაეძინა.

„არა, დიდი, უაღრესად დიდი ქვეყანაა ეს რუსეთი... მოსკოვისა და პეტერბურგის აღმშენებელ ხალხს არ შეიძლება პატივს არ სცემდე. არა, რუსეთი დიდი განათლების გზაზე გამოვიდა, და სხვა ერთი, ვინც არ უნდა იყოს იგი, არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს მას, მაინც რა დაუღეველია და ვეებერთელა ეს დალოცვილი რუსეთი, თავისი ველებით, თვალმოუტენელი ტრამალებით. ქალაქებითა და სოფლებით... დიახ, დიდი ქვეყანაა იგი“ — ფიქრობდა დავითი.

გვიან ღამით ჩაეძინა და ასე ეზმანა: თბილისში იყო.

თბილისი თავისი ახალი სასწავლებლებით, ბიბლიოთეკებით, მონასტრებით ყველას ანცვიფრებდა. დავით დადიანი

მთაწმინდიდან დაჰყურებდა ქალაქს. პეტერბურგს ადარებდა და გულში ფიქრობდა: არა, პატარაა თბილისი, მაგრამ ულამაზესი ქალაქია დედამიწის ზურგზე, ულამაზესი და უტკბესი...

მთელი ზამთარი დავით დადიანმა პეტერბურგში გაატარა. ხან კადეტთა კორპუსის სტუმარი იყო, ხან — საჯარო ბიბლიოთეკისა. მას თეატრის არცერთი წარმოდგენა არ გამოუთოვებია, განსაკუთრებით კი მაშინ მოიხიბლა, როცა „ვთი ქუქისაგან“ ნახა.

იმ ზაფხულს ისევ პეტერბურგს დარჩა, ახლა კი სათითაოდ მოინახულა ცარსკოე სელო, პავლოვსკი, პეტერგოფი, ორენინგაუმი...

პეტერგოფმა მოიხიბლა დავით დადიანი. როდესაც მალღლი გორაკიდან ნაძვარებზეთ გარშემორტყმული ბილიკით ძირს, ბალტიის ზღვისაკენ ეშვებოდა, მის წინ გასაოცარი სანახაობა გადაიშალა. ამის მსგავსი არაფერი ეხილა მის თვალს. დიდ სიღრმეში შემოყვანილ არხზე თითქოს შადრევანების მთელი ზეივანი აღუმართავთო. განსაკუთრებით მონუმენტური იყო სამსონის ძეგლი. მითიური სამსონი — ეს ვეებერთელა ტანის კაცი, წელში ოდნავ მოზნეკილი, ღმსა ხლეჩდა, ხოლო პირიდან გაბრაზებულს შადრევანის წყალი ამოსდიოდა, რომელიც შეეფს ორმოც მეტრზე სტყორცნიდა. დავითი დიდხანს იღვა გაოგნებული ხელოვნების ამ იშვიათი ძეგლის წინაშე. შემდეგ მას უთხრეს, სამსონის ძეგლიც და აქ ჩამწკრივებული ხელოვნების ყველა ნიმუში ოქროსიაო.

ლევენდარული სამსონის ძეგლის გარშემო თავმოყრილ ქანდაკებათა მთელი ანსამბლი გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. შემდეგ დავითმა ზღვის პირას პეტრე პირველის სასახლე მოინახულა. სასახლე უკვე მუხუჭმად გადაეკეთებინათ. რას არ ნახავდით შიგ: პეტრე პირველის ნაქონ იშვიათ ნივთებს, მის ტანისამოსს თუ პატარა ნაევებს, — პეტრეს ხელით აგებულსა და გაკეთებულს...

მეორე დღეს დავით დადიანი ცარსკოე სელოს ესტუმრა. აქ მისი ნაცნობები და მეგობრები ბლომად აღმოჩნდნენ. ხელმოცარული ქართველი ბატონიშვილების მთელი ამაღა ახლა თავს ცხენოსნობით ირჩენდა და ირთობდა. მეფის კარზე განთქმული ცხენოსნები უმთავრესად ქართველები, ჩერქეზები, ჩეჩნები და კაზაკები იყვნენ, მაგრამ ქართველი ცხენოსნები მაინც გამოირჩეოდნენ ჩაცმულობითა და შეხედულებით, ვინ არ ნახა აქ დავითმა: აბაშოძეები, დლიანები, ანდრონიკაშვილები. შერვაშიძეები... დოღში, ჯირითში, ცხენზე გადახტომაში, თუ წინააღმდეგობათა გადალახვაში, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ. დიდებული თავადიშვილები მოეწონა დავითს, მაგრამ თან გულიც ეტკინა, ალბათ, სხვა დროს სამშობლოს — საქართველოს დამცველი უებრო მეომრები იქნებოდნენ, ესლა კი რა ტკიპისხარაობა დაუწყიათო. გული ეტკინა, მაგრამ არ გაუმხელია, ისე გაშორდა ამ ძველსა და ახალ ნაცნობებს.

მეორე დღეს ისევ პეტერბურგს დაბრუნდა. ახლა უკვე თავის მეგობარს პლატონ იოსელიანს ეკამათებოდა, როგორც ბეერის მნახველი და გამგონე.

დავითი უკვე სამშობლოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა, როდესაც ალექსანდრე ქავჭავაძე მოინახულა. დიდხანს ესაუბრა. ალექსანდრემ ის დამე მოაგონა დადიანს, როგონის სახლში ეკატერინესთან ერთად რომ ლეკურს ცეკვავდა. ქავჭავაძემ ამოიხსრა და ესლა თქვა, ნეტავ ახლაც თუ იმართება თბილისში ბალიო. რატომღაც ეს კითხვა თვითონვე უადგილოდ ეჩვენა და უტბად ღვიწო შესთავაზა სტუმარს, ეს ორი დღეა, თბილისიდან წინანდლის ღვიწო გამოგვიგზავნეს, საუცხოო რამ არისო...

ეუხერხულა მასპინძელს თავის ღვიწოს თვითონ რომ აქებდა და რომ გამოეწოვრებინა ნათქვამი, ალექსანდრემ ისევ მიმართა სტუმარს. მოდი, გავსინჯოთ, ვნახოთ, ჩემი წინანდალი სჯობს

თუ მამაშენის ოჯალეში, რომელსაც შერეაშიძე ეგრე აქებსო.

ბოლოს კახურით შეხარხოშებულე-ბმა რა არ მოიგონეს, ვისი სადღეგრძელო არ დალიეს. გამოთხოვებისას ჭავჭავაძემ ღიმილით უთხრა დადიანს.

— ალბათ სულ მალე თბილისში შევხედებით ერთმანეთს და აბა, მამინ შევაჯიბროთ შენი ოჯალეში და ჩემი წინანდალი, ნამდვილი ქეიფი იქ მოგველის, ჩვენს სამშობლოში“...

გვიან ღამით გამოემშვიდობა დადიანი ჭავჭავაძეს.

აღუქსანდრესგან მოხიბლულ და მასთან საუბრით გაოგნებულ დავითს იმ ღამეს არ უძინია.

არა, რა საოცარია ბედი კაცისა! ამ ჩინებულ პოეტს, ამ თავდადებულ მეომარს, რომელმაც ყველაფერი შესწირა რუსეთის მეფის ძლიერებას, უბრალო შეცდომის გამო, აი, ავერ რამდენი ხანია აქ, იძულებით მეფის კარზე ამყოფებენ.

## ბ ო შ ა

დადიანი დილით ადრე გამოვიდა სახლიდან და ბაღში შევიდა. შემოდგომის ცივი ქარი ქროდა. ხეებზე შერჩენილ ფოთლებს ცივებით შეპყრობილი ადამიანის ფერი ედო. ბაღში მარტობა და სიცარიელე სუფევდა, დარაჯს კიდევ გაუტყვირდა, ასე კარგად გამოწყობილი და კარგი შესახედაობის კაცი, ასე ადრე რამ გამოიყვანაო. დავითმა დიდხანს იბორიალა ბაღში და შემდეგ იქ, სადღაც, ბაღის სიღრმეში, სკამზე მჯდარი ქალი შენიშნა. უცბად ყვირილი მოისმა. უკან მოიხედა, დარაჯი ბოშა ქალების მთელ ჯგუფს ერეკებოდა ბაღიდან. ბოშა ქალები ხელს უქნევდნენ სკამზე მჯდარ ქალიშვილს და რაღაცას ანიშნებდნენ. ქალი ვაშეშებული იჯდა და ხმას არ იღებდა. ეოცა ეს დავითს, ახლო მივიდა მასთან და თითქოს გამოსაუბრების საბაბი იშოვაო, ასე ჰკითხა: რას განიშნებდნენ ის ბოშა ქალები?

ქალს ხმა არ გაუცია. ახლა უფრო

დაინტერესდა დადიანი. ბოლოს ესლა უთხრა ამ უცნაურმა ქალიშვილმა: „გინდა გიმკითხოთაო?“ სრულად მოულოდნელი იყო ეს დადიანისათვის. დავითმა ხელი გაუწოდა, ქალმა ხელის გულზე დახედა. ვაილიმა და თვალეზი შეანათა. დავითმა ველარ გაუძლო მის თვალთა მზერას, არსად ენახა ასეთი გამსჭვალავი თვალეზი. გაცივებული ჩასცქეროდა. ქალს შავი, მავალივით შავი თვალეზი, უზზინავდა. ახლა ჰიბიდან კარტი ამოიღო ქალმა, ხელის გულზე დაუღავა და ჰკითხა, კარტით გიმკითხოთაო თუ ხელის გულითაო.

დადიანი ისევ დააქვრდა ქალს, ვაოცდა: ხორბლისფერი, გასაოცარი, სილამაზის ეშხით სავსე პირსახე, მსხვილი ტუჩები მას უცნაურ მიწიბდევლობას ანიჭებდა. დავითი მზად იყო ხელი მოეხვია მისთვის, მოფერებოდა. ცალი ხელი კიდევ შეახო. მოუცაცუნა. ქალმა ეს იუკადრისა და განზე გასწია თავი, შემდეგ კარტს დახედა და დავითს ხმამაღლა უთხრა: „თქვენ მიჯნური ბრძანდებით, მაგრამ იმ ქალს უფრო ადრე უყვარდით, ვიდრე თქვენ განუცხადებდით სიყვარულს. თქვენი სატრფო დარდობდა, და ვახანრეთ სიყვარულის გამოცხადებით. ახლა ხარობს და თქვენ გელოდებით. აი, შეხედეთ, შეხედეთ, რა ლამაზია ეს ქალი!“ დავითი მკითხავ ქალს დააქვრდა, თავის თავზე ზომ არ ამბობსო. მართლაც რომ ლამაზი იყო, და ასე თქვა დადიანმა: „ჰო, ლამაზია, ლამაზი, ძლიერ ლამაზი“. მკითხავ ქალს ეგონა, ოცნებით წარმოსახულ სილამაზეს თვითონაც ხედავსო და გაუხარდა. დავითმა მეორე ხელი მკითხავს ხელეზში ჩაუღო და უცბათ ორივე ხელეზით თავისკენ მიიზიდა. ქალი გაუძალიანდა, ხელი ძალით გააშვებინა: „არა, მე მკითხავი ვარ, ის კი არა ვარ“. არ დამთავრა ეს სიტყვები. გახელდა დადიანი და, როცა ვერაფერი მოუხერხა, ისლა უთხრა, ახლა ეს მაინც მითხარი, შვილები რამდენი მეყოლებათ. მკი-

თხავმა შევებით ამოისუნთქა, წარბები ზე აზიდა, კარტი გაშალა და ასე უთხრა: „ხუთი ვაჟი და სამი ქალი“. „ხუთი ვაჟი და სამი ქალი“ — ვაიმეორე კიდევ, დავითი წამოხტა, — „რა ამბავია, შე ქალო, ამდენი შვილი“.

„არა, თქვენ იმდენად სევდენიერი კაცი ბრძანდებით, ისე გულუხვი, რომ თქვენთვის ეს კიდევ ცოტააო“, — უთხრა მკითხავმა.

დავითს მოუნდა ხელით შეხებოდა ამ უცნაურ სილამაზეს. არა, მაინც რა გასაოცრად უბზინავდა თვალები, მაყვალავით შავი თვალები! ისევ სძლია ვნებათა ღელვამ თავადიშვილს და ლოყებზე მოუთათუნა ხელი მკითხავს. ქალი ისევ გაუსხლტა ხელიდან, ახლა უკვე სიცილით: „რატომ არ მაცლი ბოლომდე გიმკითხაო“.

დავითს სურდა ქალის ვინაობა გაეგო. გასაოცარი სილამაზის ქმნილება, ეს სადად და უბრალოდ ჩაცმული ქალი, ეტყობოდა, კეთილშობილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამგვარი სილამაზე ჯერ არსად ეხილა და მზად იყო, მისთვის ფიანდაზად გაეგო თავისი გული. ბოლოს ესლა სთხოვა: „მე ჯერ არ მისაუზნია, წავიდეთ სადმე, წავიხემსოთ“, მკითხავმა ქალმა გაკვირვებით შეხედა და უთხრა: „ხომ დაინახე, აი იმ დარაჯმა, — და დარაჯზე მიუთითა, — კინწისკვრივით, რომ ვაგდო ბოშა ქალები? ისინი ჩემი მოდგმის არიან. დედაჩემი ბოშა ქალი იყო. იგი ბატონს შეუტყდენია, შემდეგ შესცოდებია და მოსამსახურედ აუყვანია. ბატონს შვილი არა ჰყოლია, და მე, უკანონო შვილის პირობაზე, განსაკუთრებულად გავუზრდევარ. მერე დედაც გარდამეცვალა. დიდხანს ვტიროდი დედას. შემდეგ ბატონმა ბრძანა და ქალბატონის პირფარეშად ამიყვანეს. ის ბოშა ქალები დედაჩემის შეგობრები არიან და არა მტოვებენ უპატრონოდ. მე ერთი უბედური ქალი ვარ, ბუში და ბოშა! აი, ვინა ვარ მე! მაგრამ ჩემი სილამაზის გამო, ბატონის წყალობით,

ის უფლება მომიპოვებია, ზრამქანას კლდეში სეფე ქალების გვერდით უსუფუნე აღარ მიშლიან. რად გინდა შენ ჩემისთანა უბედურ ბოშა ქალთან პურის ჭამა და დროსტარება?“

ეს თქვა და ხორბლისფერი ლოყები ცრემლებით დაენამა. პატარა ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები მოიწმინდა და ფეხზე წამოდგა. ყოველივე ამისი გამგონე დადიანი დაიბნა, ცოტა შეჩერდა, მაგრამ ისევ სძლია ვნებათა ღელვამ. თავს პატარა კაცად გრძნობდა ამ სილამაზის წინაშე. ახლა უკვე ძნელი იყო უკან დახვევა.

„ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინა ხან შენ, ბოშა თუ თავადის ასული. მე შენს წარმომობას კი არა, მაგ სილამაზეს ვცემ პატივს“. ამბობდა ამას დავითი და თვითონვე არ სჯეროდა თავისი ნათქვამის, მაგრამ რაკი ეს სიტყვები წამოსცდა, ისევ გააგრძელა უნებლიედ: „არა, წამომყევი, წავიდეთ, გავიდეთ ამ ბაღიდან, სადმე მარტო ორნი დავრჩეთ, და მაშინ უფრო გასაგები იქნება, ვინა ვართ და რანი ვართ“. დავითი ბოშა ქალს არ ეშეებოდა. ბოლოს ძლივს დაიყოლია, რომ საღამოს ისევ ამ ბაღში შეხვედროდნენ ერთმანეთს.

დადიანმა მთელი დღე ვერ მოისვენა, საღამოს ისევ ბაღში იარა დანიშნულ დროზე ადრე. ისევ იმ სკამზე დაჯდა, სადაც ამ დილით ისხდნენ, მოუთმენლობამ შეიპყრო. ექვმა საღდაც გულში გაჰკრა, ვაი თუ არ მოვიდესო. სწორედ ამ დროს გამოჩნდა იგი. ერთი შეხედვით ვერც იცნო, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა, მოკაზმული და მორთული იყო. სიცილით მიეახლა დავითს და თამამად გაუწოდა ხელი. ეს უკვე ის ბოშა ქალი აღარ იყო. ამ დილით რომ იხილა დავითმა. უფრო ლამაზი, უფრო მიშვიდედი, უფრო ეშხიანი და თამამი ეჩვენა, არც ერთ თავადიშვილის ქალს არ ჩამოუვარდებოდა.

ბოშა ქალი და დავითი ახლა ერთ-

მანეთის პირისპირ ისხდნენ, ერთმანეთს შესცივინებდნენ.

კარგახნის შემდეგ დავითი და ბოშა ქალი სასტუმროდან სიყვარულით და ტკბილი ღვინით თავბრუდასხვეულები გამოვიდნენ და ისევ ბაღში შეუხვიეს. დავითმა თავის სატრფოს ხელი მოჰხვია, მკერდზე მიიკრა. ბოშა ქალი აღარ ეუბრებოდა დავითს. ღვინისა და ვნებისგან მთვრალ დავითს თავბრუ უარესად დაღვება. ასეთი ქალი არასოდეს ეხილა. ასეთი კოცნა, ასეთი ალერსი სხვამ არავინ იცისო, — ფიქრობდა დავითი და ეხვეოდა ბოშა ქალს. სადღაც სიბუნელში მომხდარნი დიდხანს ტკბებოდნენ ერთმანეთის ალერსით და როცა დავითი გონს მოეგო. ბაღის დარაჯი თავზე წასდგომოდა. ეს ის დარაჯი იყო, დილით ბოშა ქალებს ბაღიდან რომ ერეკებოდა. როცა შეხვდა ამ ახალგაზრდებს, დარაჯმა ისღა თქვა, გვიანიაო, ბაღში აღარავინ არისო.

დავით დადიანი გაოგნებული და არეული გამოვიდა ბაღიდან. ასე ეგონა, ბოშა ქალს სამუდამოდ დაეკარგავო და მისი მოცილება აღარ უნდოდა. სახლში გამოიყვებო, უთხრა. ქალმა უარის ნიშნად თავი გააქანა, ჩვენები შინ მყოფდებიანო.

დადიანმა ისევ დაიბარა მეორე ღღეს ბოშა ქალი. ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ბოშა ქალის სიყვარულთა და ეშხით დამთვრალმა დადიანმა ათი დღით გადადო სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ მესამე ღღეს, ის იყო, დავით დადიანი თავის საყვარელს ისევ იმ ბაღში ეხვეოდა და ეალერსებოდა. რომ ბოშა ქალებიც შემოვიდნენ. ისინი სამნი იყვნენ. მათ ხელი ჩაავლეს ამ ბოშა ქალსა და ძალით გაათრიეს ბაღიდან. დავითს უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, მაგრამ ვერ გაბედა, გარშემო ხალხი იყო. მხოლოდ ისღა მოასწრო ხვალ გელოდებო, უთხრა.

დავით დადიანი მეორე ღღეს ისევ იმ ღროს მოვიდა ბაღში. მაგრამ ბოშა

ქალი არსად ჩანდა. გაეკრძა მკერდზე ღღე, მესამე.. მეოთხე... აღარ გამოჩნდა ბოშა ქალი, დავითი სინანულმა შეიპყრო. ვაი, როგორ არ ჰგავდა ეს ბოშა ქალი იმ ქალებს, რომელთა ვნება და ალერსი ბევრჯერ უგემნია! არა, ეს სულ სხვა ეშხის, სხვა გარმობებისა და სხვა ვნებების მქონე, სულ სხვა ბუნების შვილი იყო. ისე მოხიბლა დადიანი ამ ბოშა ქალმა, რომ მზად იყო ერთ წელს კიდევ დარჩენილიყო პეტერბურგს, ოღონდ იგი არ დაეკარგა, მაგრამ არც მისამართი იცოდა მისი და არც აღვილსამყოფელი.

დადიანმა მთელი კვირა ისეთილა პეტერბურგის ქუჩებსა და ბაღებში, რესტორნებსა და სასტუმროებში, მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო მას. დალონებული, სევდიანი დადიოდა, არავის ელაპარაკებოდა. ახლა თვით პლატონ ოსელიანსაც გაუბრუნდა. თვითონვე უკვირდა, ეს რა დამემართო. ეძებდა, ყოველღე ეძებდა რაღაცას, დაკარგულს, შეჩვეულს და ვერ პოულობდა. წუხდა დადიანი, ოხრავდა, ნაცემი და გაღაბული მეძებარი ძაღლივით დადიოდა ქუჩებსა და პარკებში. ბაღებსა და რესტორნებში, ეძებდა, მაგრამ ბოშა ქალი არსად ჩანდა.

დავით დადიანი იძულებული გახდა შერიგებოდა თავის ბედს, სამუდამოდ დაკარგულად ჩაეთვალა ის ერთბაშად მოვარდნილი ბედნიერება, ასეთი სიხარული რომ მოუტანა მის სულს, და გადაწყვიტა გასცლოდა ეგზომ საყვარელ ქალაქს — პეტერბურგს, რომლის მშვენიერებამ და სილამაზემ აგრე რიგად მოხიბლა.

#### წინანდლის ვარდი

ეკატერინე ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა შეთქმულება გათქვეს. შეთქმულებაში მონაწილე მაშინდელი გამოჩენილი ახალგაზრდა და თავადი, შვილი უკლებლივ გადაასახლეს.

დაკარიელდა თბილისი, სევდამ მოიკვა ეკატერინეს ოჯახიც. მამა — ალ-

ქსანდრე ჰავაძე პეტერბურგს გადასახლეს, ხოლო ოჯახის ახლო მეგობრები — შორეულ რუსეთში.

თბილისელებს პირდაპირი კავშირი გადასახლებაში მყოფ მეგობრებთან მიწერ-მოწერით ჰქონდათ. წერილებით ყველაზე უფრო გულუხვი გრიგოლ ორბელიანი იყო. გრიგოლი შეტწილად მანანა ორბელიანს სწერდა პირად წერილებს. ამ წერილებში ყოველთვის გულთბილად იყვნენ მოხსენიებულნი: სალომე, ნინო და ეკატერინე ჰავაძეები.

ჰავაძეების ოჯახი ამ დროს ხან წინანდალში იყო, ხან თბილისში. მანანა ორბელიანი განუშორებლად თან ახლდა ნინოსა და ეკატერინეს წინანდალში, ხოლო თბილისში ხომ სულ ერთად იყვნენ და ერთად! გრიგოლ ორბელიანის წერილებსაც ერთად კითხულობდნენ. ერთად ხარობდნენ და ერთად წუბნდნენ, ამ წერილების სევდიანი სტრიქონებითა და სახუმარო ანეგდოტებითაც.

ერთ წერილში სალომე ჰავაძე გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ძმარ გრიგოლ! ამჟამად აქ ვართ, ქალაქში. შენი წიგნი ვნახე მანანასთან მიწერილი. შენ ნუ მომიკვდები, ასე ვისიამოვნე შენს ნახვამდის! როდის იქნება ის მომენტი, რომ შენის ნახვით ვისმინო შენი ლამაზი ლაპარაკი. გმადლობ, ძმარ, რომ გახსოვარ, ყოველთვის მოკითხვას მწერ. ჩემმა ეკატერინემ თავი დაგიკრა, ნინო წინანდალს არის, მეც მალე წავალ. ისეთი ქალი გვეყავს მესამე, სოფიო, რომ მოიწონებ, როცა ნახამ. ნუ დამივიწყებ, შენი დაი სალომე. 1835 წელი“.

ამ წერილის პასუხად გრიგოლ ორბელიანი იმავე წლის 23 მარტს სწერდა სალომეს:

„უმოწყალესო და უსაყვარლესო დაო სალომე!“

მოულოდნელად მივიღე წერილი თქვენი, რომლისათვის ქეშმარიტად არ ვიცი, თუ ვითარ მოგახსენოთ ანუ

მადლობა, და ანუ სიამოვნება შემქმნა სადაც გრძნობანი არიან სიხარულთა. — აქ ენა მღუმარებს; მარამა თქუენდამი ჩემს უღრმეს პატივისცემაზე და სიყუარულზე უნდა კი ბრძანდებოდეთ დარწმუნებულ, და სადაცა გინა ბედმა გადამაგდოს, მაინც თქუენდამი გრძნობა ესე თანაწარმყევბის; და რადგანაც თქუენ უახსოვარ, მაშა არაფარ ჯერ სრულებით ვახედურ.

რა განგშორდით, ბევრი ბუკი დაიკრა ჩემს თავზე, რომლისა აღწერა არის უსიამოვნოცა და გრძელიცა; ამისთვის მოკლედ მოგახსენებთ ჩემს ცხოვრებასა. ვიყავ კავკასიის ლინიაზე. იქიდან მოველი ლიფლანდიაში, რომელიცა ძალიან ჰეავს მღებარეობითა საქართველოს; ვიხილე ჩინებული ციხე ფალაენებისა დანგრეული ვენდენში, ვნახე რიღა ჩინებული ქალაქი, სადაც ჩემმა დივიზიონმა და ბრიადნის ნაჩაღნიკმა მიმიღეს ფრიად კარგათ და ვამაცნეს ზოგიერთს სახლებში, — აქ არის რამდენიმე კლუბები, რომელთა უპირველესნი არიან სახელად მუსი და ეფონი და არის თეატრიცა, თუმცა არა შეედრება პეტერბურლისა და მოსკოვის თეატრებსა. — აქაური მცხოვრებნი არიან ნემენცნი; მანასადამე განათლება, სიფაქიზე და ანგარიში შეადგენს მათსა თვისებასა; და ამისათვის რაღა თქმა უნდა, რომ აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩუენს ქალებს; მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხ რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუენს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მთ რიცხვში, — მშვენიერია სანახავდ რიღა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხიენი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად და მასზედა მიმოჰსკურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნაენი ქალებით, კაცებით სიმღერით აქა-იქ. — აწ გახლავარ ვილენსკის ლუბერნიაში, ესე იგი პოლიაკებში, რომელნიცა არიან ჩვენებურად მოლხინენი და პურანნი. მათი ქალები



არიან ძალიან თამაზნი ყოფაქცევასი, არმოყობის მოყუარენი და კოკეტეები. აქაც გავიცან რამდენიმე პომეშიჩეები, რომელთანიც ხშირად ვარ მიწვეული და დროცა მხიარულად მიდის მათთან.

ეს მესამე დღეა, რა მოველ რიდი-დამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას. — მოგილოცავთ, მგრამ, რა გინდა სალომევე! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტერბურლიდგან ისპაანამდის გაგიყებულნი იყვნენ ხალხნი. ახლა ეგ მესამეც. — ნუ გამიწყრები კი სალომევე! და მგონია ეკვი იყოს ანგარიშიში მაგ ახალ შობილზე ბეჟანამ მკერვალმა რალაც მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემოძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისთვის ეს ლექსი ბეჟანისაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს ძეობისათვის მომირთმეგია. — სახელი დიახ კარგი დაგიტყმევიათ. ყველა სოფიები რამდენსაც ვიცნობ ლამაზნი არიან. — ახ! ჩემი სოფიკო! სად არის ნეტავ ვახსოვარ თუ, შარშანდელს თოვლსავეთ არღა ვმყოფობ იმისთვის. — ბედს უყურეთ, მე ვარ დასაფლეთს, ის აღმოსავლეთს; როდესა და უნდა შევიყარნეთ! — ძალიან არ ვიცი, რომ ნინო ესლა პატარა სოფიკოს გამდელი შეიქნება, და დაუწყებს თანადევნას. თქუენი სიყუარულიც იმისკენ იქნება, რადგან ნაბოლარი არის, ამაში საბრალო ეკატერინა, ანუ კატინა, არა კეკელა. არის მართლაც შესაბრალისი, რომ კიდევ დარჩება დედმამის უსიყუარულოდ, აქამდის დავით იყო თაიგულად, ახლა სოფიკო გაუჩნდა! — იი! მეხიკი დაეცა, რა მოუწერია, ვიცი იტყვის.

ნეტავ დვითთ როდის მალირებს კდ თქვენს ხილვას, უწინდელის თქუენის მხიარულის გულით და ბედნიერებით. — დღენი თქუენთანა განტარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში, — ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატე-

რინა ქულჩაყეილი დადუქნელ ლექს-სავით ლეკურს თამაშობდა; და ამდღე-როდა ბროლის ფიცარი, აფიცარი, გულს დაგეკონოს.

შევიტყე კინაზი ჩემთვის თურმე პსდილობს პეტერბურგლში ღ-თმა მძის-ცეს ნაცვლად სიკეთისათვის, და მე მადლობის თქმის მეტი რა შემოძლიან სხუა.

ჩემს საყუარელს ძმას სიყუარულით მოვიკითხავ. შევიტყე, რომ მაგ საბრალოსაც კლეოპატრა გაუთხოვდა: ეგეც ჩემსავით ბაიყუში“.

ამ წერილის პასუხად სალომეს მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილს ეკატერინემ თავის ხელით მიაწერა: „პაპინეა სკორო პრიედეტ“. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისში აღექსანდრე ჭავჭავაძის ჩამოსვლას ელოდნენ.

ამავე წლის 25 ივლისს გრიგოლ ორბელიანი სწვრდა:

უმოწყალებო და სალომევე!  
წერილი თქვენი მაისის 22-ის მივი-  
ღე ხუთ ივლისს.

ხუთს ივლისს ვიჯექ მარტო და დაფიქრებით გავყურებდი ფანჯარაში... ამ დროს მოვიდა ჩვენი ადულტანტი და მომიტანა ორი პაკეტი, ერთი ჩემის ძმისა და ერთი კი ვერ ვიცან... ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას... სიხარულით დავაძახებინე მომღერალთ სალდათებს და საღამომდის ვაღრიალე. ამათი ხმა რილაში ისმოდა...

აქაური პირველი კრასავიცაა რილის კამენდანტის ღენერალ დრიზენის ქალი, რომლისა მშვენიერება არის განთქმული. — მერწმუნეთ თქუენი დარეჯანა და თალალა უმჯობესნი არიან. — ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის თუ რა არის კრასავიცა. — ეს არის რომ დამორება მაწუხებს, თორემ მე აქ უფრო გამოჩენილათა ვარ ვიდრე ვიყავ საქართველოში. — რა უყოთ, ლოცვა და მოთმინება, რო-

გორც ამბობს მამა იონა. — ეს ლექსები, რომელიც არის მიწერილი ჩემს დასთან, მომირთმევია თქვენთვის, სადაცა არის აღწერილი ჩემი საყარობილესი ყოფნა. — წაიკითხეთ ყურადღებით და მომწერეთ სწორე თქვენი პასუხი. — სალომე! ნუ დამივიწყებთ თქვენს ჰუმანიტარულ პატივისცემელს და სიკვდილამდის ერთგული გრიგოლ ორბელიანი.

მინაწერი:

უსიყვარლესო დაო ნინავ!

გმადლობთ და კიდევ ჩვიდმეტი ურემი დაბარებული მადლობითა მომირთმევია თქვენთვის. — ჰუმანიტარულ არ მოველოდი თქვენგან მოწერასა და მით უფრო სიხარული ჩემი იყო უმეტეს რაოდენაცა მოულოდნელ... ჩვიდმეტი ურემი დაბარებული მადლობითა მომირთმევია მოწერისა და ჩემის დაუვიწყებლობისათვის. — უნდა ჩემსავით იყუნეთ დაბარებულ ყოველთა გულის საყუარელთაგან, რომ ჰსცნათ სიხარული ჩემი თამისა წერილის მიღებისასა. მყვედრით, რომ წერილი ჩემი იყო პირველად, მართალია, მაგრამ პატივისცემა ჩემი და სიყუარული არაოდეს არ შემცირდების გინა სადა ვიყო. — გიყი მანანა უფრო გაგიგიჟებიათ, ვადამკიდებია... მითარგმნეო, შე მგონია რომ თქვენ ერთხელ დამპირდით. ქისა. აღთქმას აღსრულება უნდა. — უწინდელი თქუენი ქისა სულ ლექსა ლექსა დაიგლიჯა, მაგრამ ასეთი ბედნიერი იყო, რომ ფული არ გამომღევია. — პატარა თქუენს დას ვაკოცებ შუბლზე. — მშვიდობით

ლთი იყოს მფარველი თქვენდა, ნუ დაივიწყებთ თქვენს მორჩილს ძმას  
გ რ ი გ ო ლ ი.

მეორე მინაწერი:  
წინანდლის ვარდო,  
სახით ცისკარო  
სულთა მტრედო

ჩემო საყვარელო დაო კეკელავ! შენს ხასიათის გამოცვლასა მწერ და არა მწერ მიზეზსა.

Будь откровенна со мною, ей Богу никому не скажу, это я сам угадаю, признаюсь — я люблю ли? — Какой злодей осмелится произвести такую перемену в характере, столь преложном, скажите слово и я его убью, зарюю в могилу.

ეს წერილი თავდებოდა ეკატერინე ჰავცავაძისადმი მიძღვნილი ლექსით. გრიგოლ ორბელიანმა ეს ლექსი 1829 წელს დაწერა. ახლა სუფთათ გადაწერა და წერილთან ერთად გამოუგზავნა ეკატერინეს.

წინანდლის ვარდო,  
სულთა ტრედო,  
გულთა წმინდავ, ვით შთისა წყარო!  
ვითა ცისკარო,  
ხარ მოციხარო,  
რომე მხოლველის გული ახარო.  
იმხიარულე,  
ვიდრე სიციოცლე  
შენი მშენებრებს, ვით ყვავილთ ჯაშუვ;  
ვიდრემდის შენ ზე  
დაგნათის, ვით მზე,  
სიბამუთისა ნათელ ვარსკვლავი!  
კმუნვის ღრუბელი,  
გულ-დამანდელი.  
ვიდრე მხიარულს არ შეგებია;  
ვიდრე ამ სოფლის  
დაუდგრომელის  
ვარდნი ვკლად არ ვარდაცვლია!

გრიგოლ ორბელიანის ეს პირადი წერილები, სავსე ხუმრობით, ზმებით, ანდაზებით, ახალი ლექსებითა, ამბებითა და „შინაური ჭორებით“, ავსებდა იმ სულიერ სიცარიელეს, რომელიც შეთქმულთა „ყაზარობას“, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ვადასახლებს მოჰყვია. გრიგოლ ორბელიანი „მპყრობელი ქართული ენისა“, ნამდვილად იყო მპყრობელი და მეთაური ამ დროის ქართული სულიერი კულტურისა და მისი წერილები და ლექსები, მეგობრებისადმი გამოგზავნილი ხელიდან ხელში გადადიოდა.

დავით ყორღანაშვილის, ზაქარია ორბელიანის, მანანა ორბელიანის, სალომე, ნინო და ეკატერინე ჰავცავაძეების მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილები ნათელ სურათს ხატავს იმ სულიერი და საზოგადოებრი-

ვი სიცილიერისა, რომელიც შეთქმულების დამარცხების შემდეგ გამეფდა თბილისში:

„რა ვქნა, ქალაქიდან ვიცი, რომ ასე მოკლე წიგნი შენთვის არ იქნება სასიამო, — წერდა დავით ყორღანაშვილი გრიგოლ ორბელიანს. — მაგრამ ახლა ფიქრში სრულებით არ მომდის რა საყვარელმა მიღალატა და მისი ფიქრისაგან შემეყვრა ყოველივე აზრი, ნელიც აღარ წერს“. ამავე წერილს ზაქარია ორბელიანის ასეთი მინაწერი ამშვენებდა: „ჩემს ამბავს თუ იკითხამ, ვნამ, ესვამ, თუმან ფაჩით დავდივარ, ფეხებზე მკიდია მთელი ქვეყანა... დილას ნაპარს, ვიმღეროდი ჩონგურს ვუკრავდი საკრავებზე და გულს ვიოხებდი, ძლიერ სევდიან სტრიქონებით ვტიროდი“...

ეკატერინე, როცა თბილისში იყო, რაღაც სულიერ სიმშვიდეს მანაც გრძნობდა: წინანდალში უფრო უჭირდა ყოფნა. წერილში იგი გრაგოლ ორბელიანს შესჩიოდა: „შენი ჭირამე, გრიგოლ, წიგნი მომწერე შენებურად ლაზათიანი და თუ რომ გქონდეს რამე ახალი ნათქვამი, შენი ნათქვამი ლექსი გამომიგზავნე, აგრეთვე „არბი არალიც“. ასეთი მომწყინდა სოფელში ცხოვრება, შენმა ვასდამ, სიცოცხლე აღარ არის, უგემურად ვართ... მეორეგან ისევ შესჩიოდა პოეტს მეოცნებე ქალიშვილი: „ნუ დაგვიფრწყებ ჩვენ, საცოდავ სოფლელებს... მანანა, ნინო, ეკატერინე, ასეთ დროს თავს ლექსებისა და მოთხრობების კითხვით ირთობდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულები ნინო და ეკატერინე ყველას, უცხოელს თუ შინაურს, არა მარტო მომზიბლაგი სილამაზით ანცვიფრებდნენ, არამედ მაღალი კულტურით, ნაკითხობით და ვანათლებითაც. ამ მხრივ ისინი სანიმუშონი იყვნენ მთელ საქართველოში. დედა იმ დროს ქართულად, რუსულად და ფრანგულად ხელმისაწვდომ არც ერთ წიგნს წაუკითხავად არ სტოვებ-

დნენ. პეტერბურგიდან შემოსული კქონდათ ქურხალი „ნიბლიოთეკა დლია ჩტენია“, და ეცნობოდნენ ყოველ ახალ ნაწარმოებს. ასევე პეტერბურგიდან მამის დახმარებით ლებულაოდნენ რუსულად და ფრანგულად გამოცემულ ყოველ ახალ წიგნს. თბილისისა და წინანდალში თან კქონდათ და კითხულობდნენ რომანებს: ლესაეის „კოქლ ქალს“, გრეჩის „ჩორნაია ეენშიჩინას“, ზაგორსკის „როსლავლევი ანუ რუსნი ათას რვაას თორმეტში“, გრიბოედოვის, პუშკინის, ბესტუევე-მარლინსკის და სხვათა ლექსებსა და მოთხრობებს. ეს ქალები რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებსა და მხატვრებს, მოგზაურებსა და სამხედრო პირებს თავისუფლად ესაუბრებოდნენ, როგორც გონებითა და წოდებით ტოლნი და სწორნი.

ასევე სილამაზითა და გონიერებით ცნობილი სხვა ქართველი ქალებიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებს მზაძვდნენ.

1835 წლის მაისს მანანა გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„ახლა ვთხოვთ, გრიგოლ, თუ ქისეები და წინდები გინდა, ხომ კიდევ დამპირდი წიგნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა. „როსლავლევი“ ან „რუსნი ათას რვაას თორმეტში“-ს წიგნი მითარგმნე, შენი ჭირამე, ისე კარგად და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა რომ შეიტყო — ეს სახელი ვინ მასწავლა, მე მითარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირამე, სადაც იყოს მიშოვენე და მითარგმნე“. მანანას ეს სათხოვარი გრიგოლ ორბელიანმა ნინო ჭავჭავაძის შეატყობინა. ამ წერილით განაწყენებული მანანა ვაბრაშებით წერდა გრიგოლს: „ესეა, უფალო კნიაზო, რომ ნინოს სწერთ: მანანა თავად გიქი იყო თქვენ უფრო გაგიციებიითო და მწერს „როსლავლევი“-ს გადათარგმნასო. ნუ შეწუხდებით, თუ ძნელი არის“.

მანანა, მიკო და მია ორბელიანები ხშირი სტუმრები იყვნენ წინანდალში ქავეჭავაძეებისა.

მანანა 1836 წელს ისევ სწერდა გრიგოლ ორბელიანს „მე ახლა ვარ წინანდალს, ამ წიგნს იჭიღამ გწერ... ჩვენი ქალები „ჩორნათა ენშინას“ კითხულობენ და მითარგმნიან ასე ვატარებ დროს“.

ასე ცოცხლობდა და ხარობდა ალექსანდრე ქავეჭავაძის ოჯახში დიდი ინტერესი წიგნებისადმი, განათლებისადმი, კულტურისადმი და მაშინდელი უღამაზესი ქართველი ქალებიც ამ ინტერესთა წრეში ტრიალებდა.

გავიდა წლები. უმცროსი თაობა წამოიზარდა. ახლა ტატო ბარათაშვილი და მისი მეგობრები გახდნენ ხშირი სტუმრები ეკატერინე ქავეჭავაძისა. ისევ გამოჩნდნენ ეკატერინეს ახალი თაყვანისმცემლები, ქართველი და რუსი ახალგაზრდები.

ზაქარია ორბელიანი ერთ წერილში სწერდა გრიგოლს: „გუბერნატორს ბალი ჰქონდა, მთავარმართებელსაც და ჩვენი ქალები ძალიან კარგად იყვნენ მორთული. ასე რომ სულ გაგიჟდნენ რუსები. ჩვენი სალომე და კატინა აქ არიან, ნინა კი არა!“ ამვე წერილში ზაქარია ატყობინებს გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი კვდება კატინასათვის, ნენა შუტკუ, — ცოლობა სურს, მაგრამ სტარუხები აყენებენ, ნათესავი არისო. იქნებ ვაკანსია გაიხსნას სხვისთვის საქართველოში.“

ახლა ეკატერინეს საფიქრებელს ახალი დარდი დაემატა: დავით დადიანი უკვე დიდი ხანია თბილისში ჩამოვიდა და ერთხელაც არ შემოუვლია ქავეჭავაძიანთ სახლში. სადღაც ქუჩაში გადაეყარა დავითს, მაგრამ იგი ისე გულცივად შეხვდა, რომ ახლა სურვილიც აღარ ჰქონდა მისი ხელმეორედ შეხვედრისა. თან ყოველდღე ახალი და ახალი ჭორები მოჰქონდათ ეკატერინესთან. ბროსს ნინომ დაწვრილებით შეიტყო, რომ დადიანს კაცი მიუგზავ-

ნია ორბელიანებისთვის, ელენეს ხელი უთხოვინა. შეწუხებულმა დამტყუარა უთხრა ეკატერინეს, რომ თბილისში ზაქარია ერისთავი ჩამოსულა და იმასაც უთხოვინაო ელენეს ხელი. ეკატერინე უსმენდა კეთილი დის საუბარს და გული უკვდებოდა, ხედავდა, რომ ახლა ბედის სასწორს ელენე ორბელიანის მხარეზე გადაწონა და ეს აკენესებდა ამაყ ქალიშვილს.

ზაქარია ორბელიანი გრიგოლს სწერდა: „ელენე კინაღამ გათხოვდა ზაქარია ერისთავზე; მაგრამ კნიაზ დადიანმა შეუშალა ხელი. მშობლები უპირატესობას დადიანს აძლევდნო.“ ამ წერილზე ეკატერინეს სევდიანი სტრიქონებია მიწვრილი: „ოხ, უსაყვარლესო მამო გრიგოლ, წერილი, რომელიც მომცემდა დაეიწყებას, მომწერა, რამელიც ამ ბოროტ სოფელში არავის ვიგონებ ჩემის გულის მეგობრად“...

მაინც რა რთული სამიჯნურო ქსელი მოიქსოვა დადიანსა, მუხრანსკისა, ზაქარია ერისთავისა და, მეორე მხრივ, ეკატერინე ქავეჭავაძისა და ელენე ორბელიანს შორის! მაგრამ სულ მალე შეიკვალა ეს მდგომარეობა. 1836 წლის 10 აგვისტოს ზაქარიამ ელენე ორბელიანი შეირთო ცოლად, შემდეგ მუხრანსკიმ ცოლად შეირთო დადიანის და ნინო. ასეთ ვითარებაში ეკატერინესათვის საქმროდ ახლა დადიანი ყველაზე უფრო სასურველი ყმაწვილი იყო, მაგრამ ელენე ორბელიანისაგან გაწბილებული დადიანი ერთხანს დღემდა.

ეკატერინე იჭდა სახლში და გულს მწარედ იოხებდა. სატრფოთაგან უყურადღებობას და უპატივისმცემლობას ხედავდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და დარდს ისევ მამის ლექსების კითხვით იკლავდა. აი, ისევ ჩამოიღო ჩონგური და მწარედ ააკენესა:

მშენიერთა ხელმწიფავ,  
მკლავს სიმორე შენითა,  
ჰკენესის გული საკვდავით  
მსწრაფლ მჩივარის ენითა.

შენ განმორდი, მკურნალო,  
 ვითარ მექმნას შეგბანი;  
 ნაცლად შენსა ვინ ეპოვო,  
 მომკეს კმუნების ვსებანი.  
 თუმა მომკლავს ტრფილასა,  
 და ჰხმობს ემხით მწუხარსა,  
 უჭობებს არს მომავტრო  
 ჩემებრ ოხვრით ბანარსა.  
 შორის მკურნეტელ მოსწრაფე  
 სული შენკენ მფრინვალებს.  
 ოდეს თვალი შენ გნახავს,  
 ყოვლად გავგაბრწყინვალებს.  
 შენთან ყოფნა მცირე ზანს  
 მომკეს რასმე ღვინასა,  
 შენ მტანჯავ და მე ვაქმბ,  
 რისთვის იხშავ სმენასა?

ალექსანდრე ჰეპტავაძის ლექსები  
 ეკატერინემ ზეპირად იცოდა და დიდი  
 გრძნობით წარმოსთქვამდა ხოლმე.  
 თვითონ ალექსანდრე დიდად მოხიბ-  
 ლული და გახარებული იყო ამ ლექ-  
 სების მოსმენით. ეკატერინემ გრიგოლ  
 ორბელიანის ლექსებიც ზეპირად იცო-  
 და. ხოლო, როდესაც გრიგოლ ორბე-  
 ლიანმა 1835 წელს მანანას გამოუგ-  
 ზავნა თავისი ცნობილი ლექსი — „ჩემს  
 დას ეფემიას“, იგი ეკატერინემ საკუ-  
 თარი ხელით გადაწერა, ზეპირად ის-  
 წავლა და მეოცნებე ქალიშვილი მთე-  
 ლი კვირის განმავლობაში ამ ლექსის  
 სევდიანი სტრიქონებით ცოცხლობ-  
 და. ეკატერინეს მწუხარე სამიჯნურო  
 ხულიერ ცხოვრებას ეხმაურებოდა  
 გრიგოლ ორბელიანის სევდიანი სტრი-  
 ქონები. ასე ცოცხლობდა და ოცნებობ-  
 და ეკატერინე ჰეპტავაძე პოეზიით. ასე-  
 ვე გატაცებით ოცნებობდა ჩვიდმეტი  
 წლის ქალიშვილი მიჯნურობაზე, სიყ-  
 ვარულზე და თან ამაყად უთვალთვა-  
 ლებდა თავიანთსმცემლებს. ეს ოცნე-  
 ბით სავეე ქალიშვილი წინათ ყოველი-  
 ვე ამას აღვილად პოულობდა, რადგან  
 ბუნებას მისთვის ყველაფერი მიეცა—  
 სილამაზეც, ნიჭიც და მოხერხებაც. ახ-  
 ლა კი, ისე ეგონა, თითქოს ყველა  
 თაყვანისმცემელი განუდგა. ყოველ შე-  
 მთხვევაში მისთვის წარმოუდგენლად

შეუარცყოფელი იყო მისთვის გულცი-  
 ვობა დადიანისა.

მაგრამ ტატო, ტატო ბარათაშვილი?  
 ბარათაშვილზე სერიოზულად უკვე  
 აღარ ფიქრობდა დიდების ტახტის მ-  
 ძიებელი ეკატერინე.

ტატო ეკატერინეზე ორი წლით უმ-  
 ცროსი იყო. ადრე მომწიფებული და  
 ცხოვრებაში გამოსული ქალიშვილი  
 უფროს ეპებთან მეგობრობდა და ერ-  
 თობოდა, როცა ტატო მას ვაეცნო და  
 დაუახლოვდა. ცნობისმოყვარე, ნაკი-  
 თი და დაფიქრებული გიმნაზიელის  
 საუბარი მოსწონდა ეკატერინეს, დი-  
 დად იტაცებდა, და იყო დრო, როცა  
 თანუგრძნობდა კიდევ, ახლა კი უზო-  
 მოდ განებივრებული ზევდიან დაჰყუ-  
 რებდა გულჩათხრობილ ჰაბუკს. ტა-  
 ტო უზომოდ მოხიბლული იყო ეშხიან-  
 ნი და სხივოსანი ქალიშვილით, ბავ-  
 შუური მიამიტობითა და ვულუბრყვი-  
 ლობით უყვარდა დიდ კაცებზე  
 გამიჯნურებული ეკატერინე, უყვარდა  
 და ვერ გაებედა თავისი გულისნადები  
 საჯაროდ გაემქლავებოდა ჰეპტავაძის  
 ასულისათვის. გაუმხელელ სიყვარულს  
 იმით ახარებდა, რომ ყოველ დღე ზედვ-  
 ბოდა სასურველ ქალიშვილს, სი-  
 დუმლოდ უკითხავდა თავის ახალ ლექ-  
 სებს, ცისა და ბარისას უამბობდა, არ-  
 თობდა, ახლისებდა ულის სატრ-  
 ფოს. ცნობის მოყვარე ეკატერინე გუ-  
 ლისყურით უსმენდა გატაცებულ და  
 სევდიან მოსაუბრეს. გაეშმაკებულ ქა-  
 ლიშვილს ვაეის გაუმხელელი სიყვარუ-  
 ლი არ გამოპარვია, მაგრამ ყურადღების  
 ღირსად მინც არ ჩათვალა უზომოდ  
 შეყვარებული. სად არ ხედებოდნენ  
 ისინი ერთმანეთს, „დიდი ღამის თე-  
 ვებში“, „ყაბახზე მთვარიან ღამეში“,  
 ნათლობასა, თუ ბაღებში, ყველგან ეკა-  
 ტერინე უფროსების ყურადღების ცენ-  
 ტრში იყო მოქცეული. ტატოს, უიღბ-  
 ლოდ შეყვარებულ ტატოს კი, ყურად-  
 ღება აკლდა სათაყვანებელი ქალი-  
 შვილის მხრივ. ტატომ შეატყო ეკატე-  
 რინეს გულგრილობა და დიდად მოი-



წყინა. ასე დადიოდა დიდხანს სევდიანი და მოწყენილი, ამ ნიადაგზე გაეხურა მას, მერე სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა და ერთ ლამაზ ფრანგ ქალიშვილს გაუმეჯნურდა. ეგონა, ამით ოდნავ მიანიც ატყენდა გულს მიუწვდომელ სატრფოს.

თავის მხრივ დავით დადიანიც დიდად განიცდიდა ელენე ორბელიანის დაკარგვას. საქმე ის იყო, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული დავითი ელენე ორბელიანის სიყვარულმა ისე გაიტაცა, რომ ამ საქმეში როზენიც ჩაირა, მაგრამ საქმეს ვერ ეშველა. დადიანიმა სამუდამოდ დაკარგა ელენე და უზომოდ დარდობდა ამის გამო.

დავითი შინ დაღონებული იჯდა, პეტერბურგიდან ჩამოტანილ წიგნებს ფურცლავდა და ყუთებში ალაგებდა ზუგდიდში წასაღებად. აი, გადაშალა ჯერ „აბდულმესიანი“ შემდეგ „თამარიანის“ ხელნაწერი. მერე თეიმურაზის მონაწერა თავისთვის ჩუმად წაიკითხა:

„უგაიანთლებულეს მთავრის დადიანის მემკვიდრეს ძეს დავითს, ჩემს სასურველის დისწულს, გძღვნი სახსოვრად მშვენიერთა ამათ ლექსთა იოანე აბდულმესია შავთელისათა და თანვე ამავე წიგნისა მშვენიერთავე შაირსიტყვაობათა ჩაზრუხაძისათა. სასოებ სიბრძნის მოყვარებისაგან თქვენისა — მიიღეთ ძღვნათ სათნოდ ჩემ მიერ. უერთგულესისა ბიძისა, სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძე თეიმურაზ“.

ქვემოთ ამ მინაწერს მოსდევდა მინაწერი დავით დადიანისა: „ბიძამან ჩემმან, ძემან მეფისამან, გონებით ვრცელმან თეიმურაზმან ბატონიშვილმან, ჩემს საყვარელმან, ყოვლად კეთილმან, გულმშვენიერმან, წიგნთმოყვარემან, სიბრძნით აღუსილმან, ჩემის გულისა მოსალხინომან, მაჩუქა წიგნი, ნათხზნი კეთილნი, აბდულ-მესნი ნახმარკ და ნაშურნი.“

1835 წელსა, მირჯანისთვის 4-სა

ქალაქსა შინა ს.-პეტერბურგსა

დავით დადიანი

ახლა მეორე ხელთნაწერი აიღო და წაიკითხა: „წელთა წერა კორნელიო ტაციოსისა თარგმნილი ქართულად მენგრელიის მემკვიდრის დავითის მიერ.“

ხოლო დავითისაგან გაგზავნილ ბესარიონ ვაბაშვილის „რუხის ბრძოლას“ პლატონ იოსელიანის ასეთი მინაწერი ჰქონდა. „ლექსი ესენი ქმნილნი, ვითარცა ჰგონებენ, ბესარიონ ვაბაშვილისაგან, გადმოვაწერინე ლექსით ლექსად და მარცვლით მარცვლად დედანით, რომელიცა აქუნდა დავით ლეონის ძე დადიანს, წელსა 1837-სა ნოემბრის 12-სა დღესა, ქალაქ ტბილისს“.

პეტერბურგში დაწყებული ლიტერატურული ურთიერთობა და მეგობრობა პლატონ იოსელიანისა და დადიანისა, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც გაგრძელებულა და, როგორც ირკვევა, ეს მეგობრული ურთიერთობა, ლიტერატურული საქმიანობა და ქართული მწერლობის სამსახური დავით დადიანს სიყვდილამდე არ შეუწყვეტია.

პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნებულმა დადიანმა თვითონ მიჰყო ხელი მამისეული ბიბლიოთეკის გამდიდრებასა და შეესებას. თბილისში ყოფნის დროს „როსტომიანი“ გადააწერინა. ამ ხელნაწერს წინ უძღვის დავითის სიტყვები: „ეს როსტომიანი დიდის ძებნით ვპოვე დაფშული ფურცლებად და რამდენადაც შესაძლო იყო, შევაწყობინე და შევკარევინე, მაგრამ დედანის უპოვარებისა ძალთ მეტად ვერ გავამთელეთ, ბოლო დაკლებული აქვს საშვალ ქალაღის ჩაწეპების გარდა. 29 თბილისი დავით დადიანი“.

ხოლო ამ ხელნაწერის ბოლოს დადიანი მკითხველებს მიმართავს: „წაიკითხეთ ეს წიგნი და შიგ იპოვიეთ ძველ ქართულს ზნესა და ჩვეულებას, ძველთა ქართველთა და გამირული მოთხ-

რობანი, რომლითაც ძველნი ქართველნი შთამომავლობით ანდაზად დაუდევნიან და ამით მათ შორის სიმხნევეცა და ახოვანობაც სულისა განიღვიძებდნენ და სასიბრძნოცა მრავალი იპოვება. დავით დადიანი“...

დავით დადიანმა უმეთაურა და თბილისში გადააწერია და ათარგმნია პლუტარქის ცხოვრების აღწერანი (პირველი და მეორე ტომი), მილოტის (აბატის) მსოფლიო ისტორია 13 წიგნად, იოსებ ფლავიოსი „იუდევერივი ძველ სიტყვაობა“ 5 წიგნად და სხვა მრავალი. დამახასიათებელია, რომ დავით დადიანს პლატონ იოსელიანთან გაუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა სასახლის წიგნთსაცავისათვის ახალი და ახალი ხელნაწერებისა და დაბეჭდილი წიგნების შექმნის თაობაზე.

ძველი წიგნებისა და ხელნაწერების მოპოვებით გატაცებული დავით დადიანი ვერ იცლიდა თავისი პირადი საქმეებისათვის. ბოლოს ელენე ორბელიანისაგან განაწყენებაც დაუცხრა და ისევ განაახლა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულბთან — ნინოსთან და ეკატერინესთან ურთიერთობა.

ეკატერინე ჭავჭავაძე ისევ იპყრობდა ყველას ყურადღებას, ყველა მოწინავე ქართველი და რუსი ახალგაზრდა მისთან ნაცნობობას და მეგობრობას ნატრობდა. ხშირ მშვენიერით, ტკბილი სიმღერით, მომხიბლავი გრაციით, კატინკა ისევ ყველას აწონებდა თავს, და განამართო მისი მშვენიერებით მოხიბლულმა გრიგოლ ორბელიანმა უწოდა მას წინანდლის ვარდი? განა მართო მისი სიყვარულით დამწვარმა ტატომ უძღვნა მას უბრწყინვალესი ლირიკული შედეგები? ყველანი, ვისაც მაშინ კალამი ხელთ ავლო, ერთმანეთს ეკიბრებოდნენ, ვინ უკეთ შეამკობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ უმშვენიერეს ასულს.

ეკატერინე პოეტების მუზა იყო. თვით თეიმურაზ ბატონიშვილს ასეთი ლექსი აღმოხდენია:

სკვრეტს ორიონით, ნათელ-მკვითოლინა  
მოთებრ მუჭყენი სკეტა-პროლინა.

თვალ-შავარდენა, მკერდ-მწყობარინა,  
ვულის მიღამოს სერს მტყნეჭტნეჯეჯე  
მშვილდნი მოზონდა, გიჭრტს-ჩქრტმეჯეჯე  
პინდო რაზმით მჭრინა, ვულს განარინა,  
ვარდ კოვბ მცინა, კავკას ზმორინა,  
ისრეთს შემეულობს ეკატერინა.

— ხოლო დავით დადიანის უმცროს ძმას — გრიგოლ დადიანს ასეთი სიტყვებით მიუძმართავს რძლისათვის.

ენახე მოთვარე, შუკით მოარე  
და კუთხე ზემო შინ განაშენა,  
მკითხე, ვით მოდი ნათლისა მდენა,  
შენ, დედოფალი, ცისა მისს ზენა.  
მისგან მომესმა ქართლი ენა  
მრქვეა: მომეწყინა ცასშივან რბენა.  
მეჩვენა, რომ შენს სახლშიაც ბებლა  
და თუ არა მე, ვინ გაგიოლენა.

მაგრამ მაშინ ეკატერინეს სიყვარულით ყველაზე დამწვარი დავით დადიანი იყო. ეკატერინესადმი მიძღვნილი დავით დადიანის ლექსები არ შენახულა, მაგრამ მისი ტრფიალების კვალი, ამ სიყვარულით გამოწვეული უზომო წუხილი აღბეჭდილია დავით დადიანის პირად ბარათებში.

დავით დადიანმა ეკატერინე ჭავჭავაძე პირველად ახვერდოვის ოჯახში გაიცნო. ნირო ჭავჭავაძეც იმ წელს დაქვრივდა და დიდი ხნით ჩამოსცილდა ლაშა ზმანების მეჯლისს. ამ ამბავმა ეკატერინე უფრო მეტი ყურადღების ცენტრში დააყენა.

პირველად სწორედ ახვერდოვის ოჯახში გამოჩნდა ეკატერინე წითელი ატლასის ფეხსაცმლით, რომელიც მისთვის დარია ახვერდოვას ლაქიას — ეგორ ტიტოვს შეეკერა. გამოჩნდა თუ არა, დადიანმა თვალი დაადგა. მერე დავითი პეტერბურგს წავიდა და თითქოს ჩამოსცილდა ჭავჭავაძის ასულს. მერე, კვლავ თბილისში რომ დაბრუნდა, ელენე ორბელიანმა გადარია. სწორედ ამ დროს დაუახლოვდა ივანე მუხრანსკი ეკატერინეს.

ზაქარია ორბელიანი თავის ძმას — გრიგოლს სწერდა: „ახალი ეხლა ის არის თბილისში, რომ ივანე კვდება კა-

ტიასათვის“. მაგრამ ივანე ნათესავად ერგებოდა ალექსანდრე ჰაეჰავაძის ოჯახს და მამამ — ალექსანდრე ჰაეჰავაძემ, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იყო. მასთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად ჩასული ივანე მუხრანსკი უარით გამოისტუმრა.

თავის მხრით კი დავით დადიანმა, ელენე ორბელიანისაგან გულმოკლულმა და ვაწილებულმა მიჯნურმა, თავისი არჩევანი ისევ ეკატერინეზე შეაჩერა და გულით ეწადა მოქიშვე ივანე მუხრანსკი თავიდან ჩამოეცილებინა.

1836 წელს ბარონი როზენი სამეგრელოში წავიდა, ივანე მუხრანსკიც თან გაიყოლია. მანამდე დავით დადიანი სამეგრელოში გაემგზავრა და საქმე ისე მოეწყო, რომ როზენის კურთხევითა და დავით დადიანის ხელის შეწყობით ივანე მუხრანსკი დავითის დაზე დაინიშნა. ეს ამბავი გიორგი ერისთავმა პოლონეთში რომ გაიგო, აღტაცებით მისწერა გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს... ღმერთო, იქნება კატინა მე მერგოს“...

ეკატერინეს ასევე ეტრფოდა მიხეილ თუმანიშვილი. 1838 წელს პოეტი წინანდალში ეახლა თავის სატრფოს, ლექსიც უძღვნა, ალაზნის ველის ყვავილი უწოდა, მაგრამ ეკატერინეს უურადღებამა მიანიც ვერ დაიმსახურა, რადგან მისი გული უკვე მოეგო დავით დადიანს.

დავით დადიანმა ვადაწყვიტა თავისი გულის საიდუმლო ისევ ნინოსათვის გაენდო. ერთ მეჯლისში ერთგვარი შიშით და რიდით ნინო დაიმართველა, მაგრამ ვერა და ვერ მოაბა სათქმელს თავი. ისევ ნინო მიეშველა: „ოი, რომ იყოლე, როგორ მენატრება სამეგრელოში წასვლა, ზღვა... ზღვა ალბათ ახლოა თქვენთან. ამობენ, თქვენ ძალიან პღიდარი ბრძანდებით“... — კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ერთბაშად შეჩერდა. დავით დადიანმა ამით იღროვა და სევდიანი, გაბზარული ხმით დაიწყო:

— მე ერთადერთი სიმღიდრე მაქვს, ეს თქვენი დის კატია სიყვარულია. მე

მღიდარი მისი სიყვარულით ვარ. სანა ეს სიყვარული ჩემია, მანამდეც მე უნდოდა ლეველიცა ვარ და მღიდარცა...  
ნინო სულგანბული უსმენდა, შემდეგ ერთბაშად ამოიოხრა და ასე მიმართა დადიანს:

— შენ მართალს ამბობ, დავით ჩემო. შენმა სიტყვებმა მე ჩემი იარა ისევ გამიხსნა. მეც შენებრ მღიდარი და ბედნიერი ვიყავი, ალბათ ვერ წარმოვიდგენდი ვერასოდეს უფრო დიდ ბედნიერებას, ვიდრე მაშინ, როდესაც შენსავით ვეტრფოდი გრიგოლოვს, მაგრამ ვაი რომ წარმტაცეს ეს სიყვარული და ჩემი ბედნიერებაც თან გაჰყვა. ჩემი სიყვარული იქ, მთაწმინდაზე მარხია და სიყვარულით გათანგული გულიც ქმრის სამარეში დაეტოვე, მაგრამ ჩემს სულს კიდევ შერჩა რაღაც ჩაუქრობელი აღი იმ სიყვარულისა, და, როცა ვაჭრება ეს სიყვარული, მაშინ მეც მოვევლები სულიერადაც და ფიზიკურადაც. მე ისევ მისით ვარ ცოცხალი. ისევ მისი სიყვარულით ვცოცხლობ. ბევრს ვერ წარმოუდგენია ეს და მე მოცუბენ ის ადამიანები. ალბათ, არასოდეს არც ჰყვარებიათ და არც შეუძლიათ შეიყვარონ ვინმე.

დავითი უსმენდა ნინოს სიტყვებს და უფრო და უფრო იხიბლებოდა მისი სილამაზით და საუბრით. ქალის ბავიდან არასოდეს მოესმინა ქმრისადმი მსგავსი პატივისცემა და სიყვარული, ბოლოს ველარ მოითმინა და ასე მიმართა ნინოს:

— ვისმენდით და თვალი რომ დავხუჭე, შეგონა, შენი ბავით ჩემი კატია მეტყვევებდა, როგორ ჰგავს შენი ხმა კატიას ხმას. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ის გულითაც შენ დაგემგვანა. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ კატია ისე მოიქცევა და ისე იფიქრებს, როგორც შენ ფიქრობ ახლა. რა უბედნიერესია გრიგოლოვი, რომელსაც თან წაჰყვა იმ ქვეყანაში შენი სიყვარული. და ეს უკვდავება სიყვარულისა მე პირველად ეხლა შენგან ვაგივეყოველნ კაცი აღვილად ისურვებდა სიკვდილს, თუ ის ამგვარ სიყვარულს ჭილდოდ მი-



იღებდა. მე მირჩევნია მალე მოგვედო, ოღონდ დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემს სატრფოს, შემდეგ ისე ვეყვარები, როგორც თქვენ თქვენი მეგობარი გიყვართ. მაგრამ მანატიეთ, ქალბატონო ნინო და, უნდა გამოგიტყდეთ, ეს სიყვარული დიდი პატივისცემისა და თავყანისცემის ღირსს გხდით თქვენ, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ თქვენ მართალი იყოთ, როცა გადაგიწყვეტით ასე განდგილივით გაატაროთ თქვენი მშვენიერი ცხოვრების დღენი. არა, მე მჯერა, თქვენ ღირსი ხართ სიყვარულისა და ისე უნდა ლოცულობდნენ თქვენთვის, როგორც თქვენ გრობოედოვისათვის. და რაკი ცოცხალი ვართ, რაკი სიცოცხლე გვინდა, სიყვარულიც აუცილებელია. უსიყვარულოდ, უგაზაფხულოდ. უმზებოდ სიცოცხლე შეუძლებელია და არც არავიან არ მოისურვებდა ასეთ ცხოვრებას.

— არა, ჩემო, ჯერ ერთი მე უკვე ვითხარით, რომ გრიბოედოვი ისეე მიყვარს. ამას გარდა, რომანტიკული სიყვარულის დრო უკვე წავიდა. წავიდა იგი და არასოდეს არ გამოვრდება. ეხლა თუ ვინმე მომეწონება, მხოლოდ გონების განსჯით, და, სადაც ვონებაა მსჯავრდებელი, იქ ნამდვილ გრძნობასა და სიყვარულზე ძნელია ლაპარაკი. მე არასოდეს არავიან შემიყვარდება, ჩემი გული ეხლა ფულურო ხესა ჰკავს და გული აქვს ამოცილი. უგულო ქალი აბა რის მაქნისია? იქ ბინას და ადვილს ვერავენ დაიდებს, ფულურო ხე კი ნამდვილ ნაყოფეს ვერ გამოიღებს. ასეთ სიყვარულს რა აზრი აქვს, იგი ცივი იქნება და სიცივე და სიყვარული ვის გაუგონია! ასეთი სიყვარული ანგარიშზე იქნება აგებული.

ანგარიშზე აგებული სიყვარული და ოჯახი მე არასოდეს არ მდომებია, რადგან სიყვარული საანგარიშო და სახარჯო ფული როდია. თქვენ იცით, დავით ბატონო, რომ არც სიმდიდრე მაკლია და არც ჭონება. მე ისეე უზრუნველყოფილი ვარ ჩემი მომავალ დღეებით, აღბათ, ფიქრი არ დამჭირდება ლუქმა-პუ-

რისათვის. ამიტომ ჩემთვის ანგარიშზე აბა რა საკადრისია, ხოლო გულუფალ სიყვარული, მე, როგორც ჩანს, უკვე აღარ შემიძლია.

ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული ერთხელ მექვია. ის ისეე ჩემთან არის. როგორც ვითხარით, გული კი იქ, მთაწმინდაზე, ჩემს მეგობართან ერთად დავმარბე. მე ეხლა მხოლოდ ლანდებს დავდე, ლანდებს, სიყვარულის სანეტარო ლანდს დავდე და ამით ვცოცხლობ, ჩემს სულს ესეც ეყოფა. ვიცი, თავსაც დავიტანჯავდი, მომავალ მეუღლესაც დავიტანჯავდი, თუ სხვა გზას დავადგებოდი, სხვა არჩევანს დავუწყებდი ძებნას.

არა! ნამდვილი და ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ ერთხელ მოდის და, ჩემო დავით, არავინ არ მოგატყუოს. მას მეორედ ვერავითარი ძალა ვერ შესცვლის, თუმცა შენ, როგორც ამბობენ, სხვითაც ყოფილხარ გატაცებული, მაგრამ გატაცება ერთია და სიყვარული მეორე. მე ასე მგონია, გულით და მთელი გრძნობით გიყვარს ჩემი და, მე მჯერა ის ბედნიერი იქნება შენს ხელში, რადგან ასე უზომოდ გიყვართ, ბედნიერება ქალისათვის მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს მოაქვს... ამიტომ რადგან ჩემი კატისათვის ნამდვილი ბედნიერება მინდა, მე მზად ვარ შეამავალი ვიყო. და ვფიცავ ბოლომდე თქვენი ერთგული ვიქნები, თუმცა არ დაგიფარავ, ჩემო დავით და, გეტყვი — ჩემს კატას მთხოვნელები ბევრი ჰყავს, მისგან მოზიბლული და ცრემლმორეული ცოტა როდი შემხვედრია. ბევრს უთხოვია ჩემთვის მასთან შეამავლობა, მაგრამ, თუ დამიჯერებ, ასეთი პირობა არავისთვის მიმიცია და გჯეროდეთ ჩემი ერთგულებისა...

ნინო ჭავჭავაძისაგან გამხნეებულ დავით დადიანი ამაყად დადიოდა ბატონის ქუჩებში და ასევე შედიოდა ბატონის შეილების სახლებში. ეს დიდებული თავადი კვლავ მოექცა იმ ქართველი ახალგაზრდების წრეში, რომელთა რომანტიკული მიჯნურობის პოეტური მუ-

ზა სილამაზით განთქმულ ქართველ ქალებთან — მანანა, მაიკო, ელენე და სოფიო ორბელიანებთან, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებთან სახლოვე იყო. მთელი მაშინდელი თბილისი მოხიბლული იყო ამ ულამაზეს ქალთა ეშხით, განათლებითა და კულტურით. ყველა იმას ცდილობდა, რომ მათს წრეში ყოფილიყო. ამ ულამაზესი ქალებით მოჭადროებული იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და გიორგი ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და დავით დადიანი, ვახტანგ ორბელიანი და ზაქარია ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი და ლევან მელიქიშვილი, ივანე მუხრანსკი და ზაქარია ერისთავი.... ვინ არ ეჯიბრებოდა ერთმანეთს ამ დაუბერებელი პოეტური მუხებისა და ამურების დასაკუთრებაში.

უკვე მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძე — დადიანისას სწერდა: „მომავონდა თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ ქალობა და მასვე დროს სხვანისა მრავალნი დახატულნი სილამაზითა. მიშინდველნი მადალი ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც, მეტად კარგი დრო იყო სავესე მხიარულებითა, უზრუნველყოფითა და ამასთან საითაც შეგხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავანთოვას ლექსსა „ნეტა რომელს ვენაცვალო განა რამდენი თავი მაქვს“. ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო მეტად ლამაზი — დრო ჩემის აწ დაბერებული გულის გასამხიარულებლად. გასაყმაწვილებლად, მეტად კარგები იყავით და ესლაც ჩემი თავი მით მიმანია ბედნიერათ, რომ მეცა თქვენსა საზოგადოებაში ვიქცეოდი და მათ ვეკუთვნოდი. თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად. ვახსოვთ ჩვენი ჩხუბი საწყალ მანანასთან?“

ასეთ რომანტიკულ მოგონებად დარჩნენ გრიგოლ ორბელიანის სულში ის ქართველი ლამაზმანები, რომელთა ერთი წარმომადგენელი დადიანს არგუნა ბედმა. ბედმაო, ვამბობთ, თორემ დადიანი ისე გრძნობდა თავს, თითქოს აღ-

ვილი ყოფილიყოს ეკატერინეს დასაკუთრება. დავით დადიანი ქალღმერთად რადღებოთ მართლაც განებვიერებული იყო. ჯერ კიდევ სამეგრელოში მას — ახალგაზრდა კაცს თავს ევლებოდნენ ულამაზესი ასულები. მათგან დადიანს პირველობა სევანეთის მთავრის დადგმულიანის ასულისათვის მიეკუთვნებინა და ის იყო დაენიშნათ დადიანი დღურუხანაზე — დადგმულიანის ასულზე, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა თბილისში, ამ ულამაზესი ქალების ეშხმა და მადლმა ერთბაშად დააფრეცა თავისი დანიშნული.

ეკატერინეს შემდეგ, პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებული დავითი ლუარსაბ ორბელიანის ასულმა ელენემ გაიტაცა და სულ მალე იგი თავის დანიშნულად გამოაცხადა. მაგრამ ბედმა უმტყუნა, დადგმულიანი საქმეში ჩაერია და ეს ქორწინება გადაიდო. მერე ის იყო, მოულოდნელად ელენე ორბელიანი ზაქარია ერისთავმა მოსტაცა დავითს.

დავითი ახლა ისევ ეკატერინეს სიყვარულმა გაიტაცა.

ნინო ჭავჭავაძეც ჩაერია ამ საქმეში. ეკატერინე დავითის ხელახალ წინადადებას ცივად შეხედა, რადგან ყმაწვილმა ქალმა იცოდა, რომ მას ელენე ორბელიანი უყვარდა და ახლაც იმედგაცრუებული ჭავჭავის გულში ისევ სხვისი ცეცხლი ენთო. ძნელი იყო ახლა ამ ცეცხლის ჩაქრობა და ამაყი ქალი უყადრისობდა სხვის ცეცხლზე ხელის მოთბობას. მაგრამ ეკატერინეს თავმოყვარეობა უყარანახებდა ივანე მუხრანსკის შემდეგ ვინმე დიდებული და ჩინებული აერჩია. მაგრამ ამ ამაყმა ქალმა ისიც იცოდა, რომ სამეგრელოს სამთავროს პატრონზე უფრო დიდი თავადიშვილის აღმოჩენა ადვილი არ იყო. სწორედ ამ დროს ეკატერინეს წერილი მოუვიდა — დავით დადიანი პატიებას სთხოვდა.

ნინო ჭავჭავაძემ დადიანისადმი მიცემული პირობა შეასრულა და დამღუ-

რებული მიჯნურები — დავითი და ეკატერინე ერთმანეთს შეახვედრა.

— ძვირფასო, იქნებ, ვერ შევძლო და ჩემი სიყვარული ენით ისე ვერ გადმოვცე, ვით ჩემს გულშია ღრმად გამჭდარი. ასე მგონია, ჩემო კატია, უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე ამას ვაგვიღავენებდი. ღმერთმა ხომ იცის, მაშინაც, როცა მე სხვებს დავსდევდი, ჩემი გული შენს სიყვარულს უფრო მეტსა გრძნობდა, შენ ვეძახდა. ჩემი თხოვნა ამიერიდან მხოლოდ ესაა იქნება, მეპატიოს ყოველივე. დე ჩემი სიყვარული მარად ენთოს შენს გულში, ვითარცა შენი ტრფობა ჩაუქრობლად ანთია ჩემს სულში. ოღონდ სიყვარულში იყავი ერთგული და სხვა ერთგულებას მე შენგან არ მოვითხოვ. ჩვენ ყველაფერი გვექნება იმისათვის, რომ ბედნიერი იყო შენი ხედვრით. იცოდე, სხვა დარდი და საფიქრებელი მე არასოდეს აღარ მექნება.

ეკატერინე ანგარიშმიუცემლად აპყვა ვაჟის მოჭარბებულ გრძნობებს და როცა გონს მოეგო, იფიქრა, „აგერ დაჟინებული მტკიცება და ფიცი დადიანს იმიტომ ხომ არ სჭირდება, რომ ამით თავისი ნამდვილი ზრახვა დამალოს, ეგებ ყველაფერი ეს თავადიშვილური თვალთმაქცობა იყოს. დადიანი ხომ ქალების მოყვარულია, ეგებ მეც ისევე მიმტკიცებს ამ სიყვარულს, როგორც ერთ დროს სვანეთის ასულს ეფიცებოდა, ან იქნებ ისე, როგორც ორბელიანის ქალსა... მაგრამ ხომ ამბობენ ორბელიანის ქალმა დადიანს თვითონ უმუხთლოა. და თუ ეს ასეა, ეგებ გაწბილებული მიჯნური სამაგიეროს მიხილდეს“.

ეკატერინე ფიქრობდა, მოდი ეხლა და სუყველაფერს ვეტყვი. იმასაც ვეტყვი, დადევნე დადიანის ქალს მიცემული ფიცი რათ გაუტეხეო. იგი ისეთ გუნებაზე დადგა, რომ უნდოდა მწარედ გაეკიცხა დადიანი, მაგრამ სწორედ ამ დროს დავითმა მის წინ დაიჩოქა, ეკატერინეს ვნებიანად ჩააცქერდა, ერთბაშად პეტერბურგელი ბოშა ქალის თვალთა ელვარებამ შემოანათა და ვაჟ-

მა შეჰლადა: „მიიღე ჩემი გული, შენთვის სამიჯნუროდ გამსაღებელი... შემდეგ უცხად ხელი ჩააქვს... ნეს ხელს, ჭერ მყერდთან მიიხუტა, შემდეგ კი გაშმაგებულმა კოცნა დაუწყო. ქალი გონს ვერ მოეგო, სულ დაიბნა, მერე ძლიესლა გამოსტაცა გახელებულ ვაჟკაცს ხელი, ამა რასა ჰგავს ეს საქციელი, ვინმე დაგვინახავს, რას იფიქრებენო. დადიანმა ისევე ჩააგლო ხელში ხელი, კვლავ მიიპყრო თვალები და ასე მიმართა: — „რაც უნდა ის იფიქრონ, მე ეხლა მზადა ვარ საჯაროდ ვიყვირო, რომ მიყვარს ჰავჭავაძის ასული ეკატერინე და ვერც ვერავინ წამართმევს მის თავს... ისევე ხელეებზე ჰკოცნიდა და ჩურჩულით ბუტბუტებდა: „ეკა, ჩემო ეკა“...

ეკატერინემ თვალი ველარ გაუსწორა ვაჟკაცს და თავი დახარა. დავითის ბაგე თავდახრილი ქალის მხრებს შეეხო. გრძნობათა ღაღტამ ისევეერთბაშად გადალახა მოკრძალება და ვაჟმა გახელებით დაუწყო კოცნა ქალის თმას. მერე მისწვდა ყურის ბიბილოს, თვალბას... ეკატერინე გონს მოვიდა და დადიანს გაუწყრა, მაგრამ ქალის თმის სურნელებით დამთვრალი ჰაბუკია არაფერს ერიდებოდა, რალაც გამოუთქმელ სიამეს განიცდიდა და აღარ სურდა ამ ბედნიერების დათმობა. რომ ნახა დადიანი არ ცხრებოდა, ეკატერინემ მულარით უთხრა, თუ შენ ჩემი თავი მართლაც შეუღლედი ვინდა, მაშინ საცოლეს ასე რათ ექცევიო.

ახლა კი შერცხვა ზრდილ დადიანს და უჯუღა. ეკატერინე გაჯაერებული შეჰყურებდა. უნდოდა მკაცრად დაეტუქსა საზღვარს გადასული ჰაბუკი, მაგრამ ისევე შეიკავა თავი. ბავშვობიდანვე ისე დაეჩვია იგი უზომოდ თავყვანისცემას, ისე შეეთვისა და შეეზარდა დიდაკურს სურვილს, რომ გულისთქმა ახლაც აქეთკენ ეძახდა და აღარ იცოდა. როგორ მოქცეულიყო, ისევე გასწყრომოდა დადიანს, თუ დაეყვავებინა.

ეკატერინე გაოგნებული იდგა, არ იცოდა, რით ებასუხა ვაჟის მოჭარბე-



ბული გრძნობებისათვის. მერე, თითქოს ვიღაც სხვამ უკარნახაო, ისე ეუბნებოდა: — „დავით, ისა სჯობია დამშვიდდე და შემდეგ სხვა დროს მოვილაპარაკოთ ყოველივე ამაზე. შენ ხომ იცი და მეც ვიცი, რომ ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს, ისიც ხომ ვიცი, რომ როგორც მე შეფიციები, ასე სხვისთვისაც შეგიფიციავს მეგობრობა“.

აქ შეჩერდა, იფიქრა, ნუ ვიქნები გულახდილი, ნუ ვაწყენინებ ვგზომ მონდომებულ ვაყვაცს, ეგებ გულში მართლა სწამდეს ჩემი სიყვარულიო, და ესა უთხრა:

„რამდენიმე დღე დამაცალე, ვიფიქრებ და პასუხსაც მოვახსენებ, ბატონო, დავით“.

1838 წლის დეკემბერში დავით დადიანი თავის ძმას გრიგოლს პეტერბურგში ატყობინებდა, 18 დეკემბერს ნიშნობა მაქვსო. და მართლაც, ამ დღეს გაიშართა ნიშნობა. ეკატერინე ჭავჭავაძე დავით დადიანზე დაინიშნა. გრიგოლისადმი გაგზავნილ დავითის წერილს ეკატერინემ მიაწერა: „ჩემო საყვარელო ძმაო, სრულიად დარწმუნებული ვარ, რაღამც ღვთის ნებით შევიქნენ შენი უმახლობლესი და, გეყვარები ისე, როგორც გიყვარს შენი ძმა, რაიც შემეხების მე, მიმიღე ისე, როგორც შენი ძმა. შენი და ეკატერინე“.

იმ დროს, როცა ეკატერინე ჭავჭავაძით გატაცებული იყვნენ გიორგი ერისთავი, მიხეილ თუშანიშვილი, ივანე მუხრანსკი და დავით დადიანი, ეკატერინეზე გაბუტულ ტატოს ფრანგი დელფინა დაბიელი უყვარდა, ხოლო როცა ამ ქალზე გული აიყარა, ეკატერინე უკვე დაენიშნა დავით დადიანს.

ფრანგ ქალიშვილზე გულაყრილი ტატო ახლა მთელი მომხიბვლელობით დაინახავს ეკატერინეს და გაცოდება, თითქოს პირველად ენახოს ჭავჭავაძის ასული, თითქოს ახლად აღმოეჩინოს. ტატო მიხვდა, რომ უიმისოდ ყოფნა ძნელი იქნებოდა, მაგრამ უკვე ყველაფერი დაგვიანებული იყო. ამასაც მიხვდა და იდარდა, სევდამ შეიპყრო. მერე

ეცადა ეს სევდა ლექსებით განეკარგებინა... ასე დაიწერა ეკატერინეს ხელნაწი დღებელი და პოეტის გულს მისწამებელი ლექსები.

**მ ა მ რ ი თ ე ი**

ერთი წლის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის დიდი დარბაზი ისევ საგსე იყო სტუმრებით. საქორწილოდ მორთულ დარბაზს განსაკუთრებულ იერი ჰქონდა, აქ საგანგებოდ გამოირჩეოდა სამეგრელოდან ჩამოსული დავით დადიანის მყარი. იგი ორმოცდაათი კაციისაგან შედგებოდა. ესენი შერჩეული, ულამაზესი დავადიშვილები და აზნაურები იყვნენ. ყველა სირმებით გაწყობილი თეთრ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ვერცხლის ქამრები ერტყათ და ვერცხლითვე მორთული ხანჯალი ეკადო. ერთმანეთს ჭკავდნენ, წლოვანებითაც ტოლები იყვნენ და სიმალლითაც. კაცს ეგონებოდა, ეს ლამაზი ვაყვაციები ტყულები არიანო. მათში ორად ორი ქალი ერია — მენიკ დადიანი და ეკა ჩიჩუა, ორივე — ულამაზესი.

ისე მოხდა, რომ სამეგრელოს მაყრიონი ერთ მხარეს დალაგდა, მოპირდაპირე მხარეს კი — ალექსანდრე ჭავჭავაძის ახლობლები და სტუმრები ისხდნენ. მარჯვნივ მანანა ორბელიანი იჯდა, მარცხნივ, — გიორგი ერისთავი, შემდეგ — ზაქარია ერისთავი, რომელსაც მარჯვნივ მაიკო ორბელიანი უჯდა. მარცხნივ — გოლოვინი. გოლოვინის გვერდით ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვისა. მათ მოჰყვებოდნენ დიდი და მცირე ჩინოსნები, მანდილოსნები.

სუფრის თავში ალექსანდრე ორბელიანი დასვეს. ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიდი პატივისცემით სთხოვა ორბელიანს თამაღობა და ისიც სიამოვნებით დასთანხმდა.

ალექსანდრე ორბელიანი — პოეტი და მწიგნობარი, დრამატურგი და ისტორიკოსი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ადგა, კედლიდან პაპისეული დიდი ყანწი ჩამოიღო, ერთი ბოთლი ღვინო შიგ ჩააპირკვავა,

წელში გაიშარა, თვალი მიმოავლო სუფრას და დაიწყო: — „ბატონებო და ქალბატონებო! მე დიდად ბედნიერი ვარ, რომ ერეკლე მეფის ნაქონი ყანწი, რომელიც მე ალექსანდრე ჭავჭავაძეს ვაჩუქე ნინოს ქორწილში, კვლავ შემოდისა ხელში ავიღო და დავლოცო ეს ოჯახი, ეს დიდებული წყვილი, ნეფედლოფალი. დღეგრძელნი და ბედნიერნი იყვნენ, გამრავლდნენ, გაღონიერდნენ და გაძლიერდნენ, მუდამ ახსოვდეთ სამშობლოს ველი.“

გახსოვდეთ წინაპართა ჩვენთა თავდადება მამულისათვის. გახსოვდეთ, რომ წინაპარნი ჩვენი გმირნი იყვნენ, მამულისათვის თავშეწირულნი. ხუთმეტი საუკუნეა მას აქეთ, რაც ქართველ კაცს ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში — ჭვარი ქრისტესი. ჩვენი ქვეყნის ძველი დიდება ამ ჭვარსა და ხმალს დაუტყავს, საქართველოსათვის ზვარჯვად შეუწირავთ თავი დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, სამას არაგველს, ცოტნე დიდიანს, თუ ერეკლე მეფეს. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ნეტავ იმ გმირებს! მათს საქმეებს სიკვდილის მზაკვრული ხელი არასოდეს არ შეეხება. საუკუნეების მანძილზე ქართველი დედები მათს სახელოვან გმრობასა და ვაჟკაცობას ჩიულ ყრბათ აკვანში უმღერენ. და თუ ინატრის კაცი რამეს, უნდა ინატროს ასეთი დიდება გმირისა, მაგალითი მამულისათვის თავშეწირვისა. ისინი მამულისათვის თავდადებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. აურაცხელია სისხლი, რომელიც ჩვენს ხალხს დაუღვრია, რომ დევნა მამული ჩვენი, ჩვენი ენა ქართული, ხოლო, შვილებო, — აქ კინაღამ ცრემლი მოერია ალექსანდრე ორბელიანს, — ვის არ უნდოდა ჩვენი დაქცევა, ფინიკია და არაბეთი, სპარსეთი და თურქეთი, ვინ არ გვებრძოდა! აგვაოხრეს და აგვაწიოკეს, მაგრამ ვერ მოგვსპეს. ძველი ფინიკელები და ზოგნი სხვანიც აღიგავნენ მიწისაგან პირისა, ჩვენ კი კვლავ ფეხზე ვდგავართ. ჩინგისხანს და შაჰაბაზს, ალა მაჰმადზანს

და თემურ ლენგს ყელზე დაადგოთ ჩვენი ქვეყანა, მოისპნენ ჩვენი მთაწმინდენი ჩვენ კი ისევ ვცოცხლობთ, ისევ მუხასავით დგას ჩვენი სამშობლო ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი ქვეყანა დიდია, დიდი სულიერი კულტურით. აბა, შეაღეთ სიონის, სვეტიცხოვლის, გელათის, ყინწვისის, ხობის და მარტვილის მონასტრების კარები, ნახეთ მათი ფრესკები, მოიგონეთ მათი ოსტატები, არ დაივიწყოთ ჩვენი ვარძია, აღამიანის გონებით შექმნილი ეს საოცრება, მოიგონეთ კოლხეთის, იყალთოს, გელათის აკადემიები, ნახეთ ჩვენი ხელთნაწერები, მეხუთე საუკუნიდან დღემდე მოყოლებული არა მარტო საქართველოში, არამედ პეტროწონსა და ათონში, ჭვარის მონასტერსა და სინამი, გაიხსენეთ ხანძელი, ჩახრუხაძე, შავთელი, თემურაზ პირველი, სულხან საბა-ორბელიანი, გურამიშვილი, ბესიკი და მაშინ იკითხეთ, ვინა ვართ, ვისი შვილები ვართ, ვინ არიან ჩვენი წინაპრები. ერს, რომელსაც რუსთაველი წარმოუშვია, პატარა არ ეთქმის. რუსთაველის შვილებსა და შვილიშვილებს უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენი მამა, ჩვენი წინაპარი რუსთაველი იყო. მოიგონეთ ყოველივე ეს და თქვენ წინ გაიხსენება საოცრების კარი. ჩვენ ამ ძველ კაცთა ნამაგარის ვალი ვგმობთ. მე იმ ძველ საქართველოს ანახლები ვარ და ხატად ის გამიხდია. ახლა ჯერი თქვენზეა, ახალგაზრდებო, ბურთი და მოედანი ქართველი ერისა თქვენზეა მონღოლი. მე ერთი ანდერძიც მითქვამს თქვენთვის:

— გახსოვდეთ, საქართველოს მეთაური და წინამძღოლი, ერთიანი საქართველოს დედა თბილისია. თბილისზეა აღმართული ქართული დროშა, რომელიც მუდამ უნათებდა ქართველ კაცს საველ გზას. ამიტომ ყოველ დუშმანსა და მტერს მუდამ თბილისი ჰქონდა მიზანში ამოღებული. ჩვენმა ძველებმა იცოდნენ, რომ სანამ თბილისი ფეხზე დგას და საქართველოს ეროვნული კულტურის მედროშეა, მანამდე უძლევე-

ლია საქართველო. ეს იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომ იყო, რომ თბილისისთვის თავს სდებდა საქართველოს ყოველი კუთხე. გახსოვდეთ ეს და არ დაივიწყოთ პატივისცემა ჩვენი დედა თბილისისადმი. ვისაც მამული უყვარს, ვისაც მამულის სიკეთე სურს, დაუტბრომლად უნდა ცდილობდეს იმის გაბედნიერებასაც. კაცი თავისთვის არ არის დაბადებული. ღმერთმა კაცი მამულის ბედნიერებისთვის დაბადა.

აქ შეჩერდა, უნდოდა თავისი ლექსი „რუსთაველი“ წაეკითხა, მაგრამ უცბად გადაიფიქრა და ისევ განაგრძო: —

— ორი ათას წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა გაუმძღარა, ხარბ და ურიცხვ მტერს ებრძოდა, რაც ხმალი ქარქაშში არ ჩაუვლია. არც არასოდეს დაეანგდებდა ქართველთა ხმალი! რა ტანჯვაც არ უნდა მოგვაყენონ, ჩვენ მონები არასოდეს აღარ გავხდებით! ჩვენ დიდებული ვართ ვიყავით, ვართ და ვიქნებით, ვი მოყვარული თავისუფლებისა და თავისი მამულისა.

მე მჯერა, რომ ჩვენი ასული ღირსეულ მეგობრობას გაუწევს დიდებულ დადიანს, ოჯახს ასახელებს, მამულს გაახარებს. მჯერა, რადგან ქართველი ქალები ოდითგანვე მართო ოჯახის მოვლით კი არ იყვნენ ცნობილი, არამედ დიდი მამულიშვილობითაც.

მე მასსოვს, ჩვენს დროში, მძიმე დროში ხნიერ დედაცაცა და ყმაწვილ ქალს, ჩვენს ვაჟცაცებთან ერთად, ერთი აზრი ჰქონდათ, ბევრმა დედაცაცმა დაიფიცა, კაცურად ჩავიცვამთ მამულის გამოსაანსნელად. ზოგიერთმა ქალმა ბაიროლის კერვაც დაიწყო და საბრძოლველად მოემზადა... ეს წინათ იყო. მაშინ თითქმის მთელს საქართველოს ხალხს გატენილ თოფებზე ეძინათ... ეხლა კი მშვილობა ჩვენს ქვეყანაში“.

აქ თამადამ ოდნავ წაიბოროძია. პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი აღექსანდრე შეჩერდა. პირდაპირ მჯდომ მეფის ნაცვალს გოლოვინს შეხედა, ისევ თავი ასწია და განაგრძო:

„მაგრამ ვალი მამულის დაცვისა ქართველ ქალს კვლავ მართებს და ჩვენ გვეჭრა, ისინი არ დაივიწყებენ ამ ვალს“.

ისევ შეისვენა თამადამ. ახლა დავით დადიანს მიაპყრო მზერა და განაგრძო:

„ჩვენი ეკატერინე ულამაზესი და ჩინებული ქალია. ვერ ვიტყვი, ცოტა გული არ მწყუდებოდეს, ეს ულამაზესია ასული დადიანმა რომ მოგვტაცა“.

ესა თქვა და ახლა გოლოვინის გვერდით ნინო ჰეგვიავაძესა და მანანა ორბელიანს შეხედა, გაიღიმა და ისევ გააგრძედა:

„... წინათ სხვა დრო იყო. მაშინ ჩვენ სამეგრელოდან მოგვყავდა ქალები, დადიანებს ვტაცებდით ლამაზ ასულებს. მამაჩემი ახლა ერეკლე მეფეს, დარეჯან დადიანი რომ მოვტაცეთ სამეგრელოს. ახლა ისინი გვტაცებენ ჩვენ. რა ვუყოთ. დრო იცვლება, მაგრამ ჩვენ მაინც ერთნი ვართ, სულით და ზორციით ერთნი. აბა, ვინ გაყო ჩვენი მამული!“

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ალექსანდრე ორბელიანი.

როცა შეატყო; რომ დაღალა ხალხი გრძელი სიტყვით და აქა-იქ ჩურჩული დაიწყო, თამადამ სიტყვა შეამოკლა, ისევ დღეგრძელობა უსურვა ნეფე-დედოფალს, ეს ვეებერთელა ყანწი მიიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა. ამას ვაშა, ტაში და კახური გრძელი მრავალეამიერ მოჰყვა. სიმღერის გუგუნე დაეხრა და სავსე ყანწი გოლოვინს მიართვეს. გოლოვინი აღგა, მედიდურად გადახედა დარბაზს, სიტყვის უთქმელად მოიყუდა ყანწი, მაგრამ ამ დროს ცოლმა უჩურჩულა, სიტყვა თქვიო. გოლოვინმა ძლივს გაიმეტა ორიოდ სიტყვა ჰეგვიავაძე და დადიანთა საქებრად, აღდგურძელა ნეფე-დედოფალს, ისევ მიიყუდა ეს გრძელი ყანწი და დიდხანს იღვა ფეხზე. სამჯერ დასკირდა შესვენება, ვიდრე ამ დიდ ყანწს დასცილიდა.

ახლა დავით დადიანის მყარიონმა წა-

მოიწყო გაბმული სუფრული „გვეშვით ღვინო ხარათია“. დარბაზი ისევ გაივსო სიმღერის გუგუნით და ასე გადაება ყანწი ყანწს, სანამ ის ბოლოს ნეფემ — დავით დადიანმა არ გამოცალა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ცალ-ცალკე ლაპარაკი გაიმართა. თამადა ახალი საღლეგრძელოსათვის ემზადებოდა. დავით დადიანმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მზერა ეკატერინეს მიაპყრო. თეთრ საქორწილო ქართულ კაბაში გამოწყობილი, ოღნავ ფერმკრთალი ეკატერინე ბრწყინავდა, მთელი ქალების დასში გამოირჩეოდა, თუმცა ძნელი იყო თქმა—გამოირჩეოდაო. მის ახლო ნიწო გრიბოედოვა და მანანა ორბელიანი, მოპირდაპირედ კი მენიკ დადიანი და ეკა ჩინუა ასევე ბრწყინავდნენ და ადვილი როდი იყო კაცს ეთქვა, ვინ ვისა სჯობდა. დავით დადიანი ჩუმად უმზერდა ამ დიდებულ ლამაზანებს. იგი ხან ეკატერინეს შეხედავდა, ხან კიდევ მანანას და ბოლოს ნინოზე შეაჩერებდა თვალთა მზერას, ხანაც თავისი მეგვარეებს მენიკს და ეკას გადახედავდა. ისე დავითნებით, უცნაურად აცქერდებოდა ამ ქალებს, რომ მანანამ შეამჩნია კიდევ ესა და მიეკო ორბელიანს გადაუჩურჩულა: იმ დღემა ყანწმა ხომ არ დაათარი ჩვენი სიმე-ბატონი...“

დავით დადიანი აქ მსხდომ მანდილოსნებს უფრო იმიტომ აკვირდებოდა, რომ ამით ამ დიდებულ მწყობრში უფრო ნათლად დაენახა ეკატერინეს ღირსება. ნინოსაც აღარებდა, მანანასაც, ეკასაც და, როცა დარწმუნდა, რომ არც ერთს არ ჩამორჩებოდა, გულით გაიხარა, დარწმუნდა, რომ უკეთეს არჩევანს ვერასოდეს ვერ ეღირსებოდა, დამშვიდდა და უზომოდ მიეცა ღებნას, თამადა კი ისევ და ისევ სცილიდა ნაირნაირ სასმისებს. დარბაზში ისევ სიმღერის გუგუნე იდგა და მოღებნას ბოლო აღარ უჩანდა.

ქორწილმა დილაზე გასტანა. სტუმრები დილით ადრე აიშალნენ. შორი ვზა იყო სავალი: ეკატერინე სა-

მეგრელოში მიჰყავდათ. ვეველუფელი გამზადებული იყო. დადიანის ვერძი წყნარად ემზადებოდა ამ ქორწილისათვის, მან თითქმის ამდენივე ხანი დაჰყო თბილისში თავის დანიშნულთან, და აი, ახლა მიჰყავდა თავისი გულისტოლი. ყველაფერი საზეიმოდ იყო მოართული. მაგრამ საღდაც, გულის სიღრმეში, დავით დადიანს მაინც ჰქონდა შიში. მას უნდოდა ეკატერინე ყოველმხრივ გაეხარებინა და მთელი ეს საქორწილო მოგზაურობა, რომელიც რამდენიმე დღისათვის იყო გაანგარიშებული, ბედნიერად დამთავრებულიყო.

ნეფე-დედოფალი ტაბატრევანში ჩასვეს. გვერდით ალექსანდრე ჰაეჰავაძე და ნინო გრიბოედოვისა მოუსხდნენ. სალომე შინ დარჩა, ხოლო ალექსანდრე ჰაეჰავაძე მცხეთამდე აცილებდა ნეფე-დედოფალს. ტაბატრევანს უკან სამი ეტლი მიყვებოდა. პირველში ლევან დადიანი, მენიკი და ეკა ისხდნენ. მეორესა და მესამეში — ალექსანდრე ჰაეჰავაძისა და დავით დადიანის ახლობლები. ეტლებს უკან ასი ცხენოსანი მისდევდა, ოთხმოცდაათი ჩოხოსანი და ნაბლოსანი მეგრელი და ამდენივე — ქულაჯებში გამოწყობილი კახელები და ქართლები. როდესაც ისინი დილით ადრე თბილისის პრისკეტზე გამოიშალნენ, ბანებზე გამოფენილ ხალხს ასე ეგონა ერეკლე მეფე გაცოცხლებულა და თავისი ჯარი შემოუყვანიაო.

მაყრონი მცხეთაში შეჩერდა. უკვე ერთი თვე იყო, რაც ქაშუეთის ეკლესიაში დავით დადიანმა ჯვარი დაიწერა, მაგრამ ახლა სვეტიცხოვლის ტაძარში დავით დადიანისა და ეკატერინე ჰაეჰავაძის დაქორწინების პატივსაცემად საგანგებო წირვა-ლოცვა იყო დანიშნული. როდესაც ეს ასიოდე კაცი მონასტრის დარბაზში შევიდა, მათთვის ადგილი ძლივს მოინახა, რადგან ნახევარ დარბაზზე მეტი აღრიდანვე ამ საინტერესო ცერემონიალის საყურებლად მოსულ ხალხს დაეკავებინა.

სვეტიცხოველში სამი ეპისკოპოსი

სწორავდა: სიონისა, მცხეთისა და ჭყონ-  
დიდისა, (გიორგი ჭყონდიდელი საგა-  
ნგებოდ ჩამოსულიყო დავით დადიანის  
პატივისცემად). წირვა-ლოცვამ და გა-  
ლობამ ერთ საათს გასტანა. სწორედ მა-  
შინ, როდესაც ეკატერინე და დავითი  
ტაბატრევანთან დასასხდომად მივიდნენ,  
მეეტლესთან თბუთმეტრიოდ წლის ბი-  
ჭუხა მიიჭრა და აღგზნებულმა უთხრა:  
„წაიკითხეთ, რა ეწერა ქვაზე?“ ნათქვა-  
მი ზნაძისაღალი აღმოჩნდა, ეკატერინემ  
და დავითმა ყური მოჰკრეს და ერთბა-  
შად მოიხდეს. ცნობისმოყვარე დადი-  
ანმა პატარა ბიჭს ჰკითხა: „რა ნახეთ?“  
სანამ ბიჭი პასუხს გასცემდა, გამოც-  
დილმა მეეტლემ მოუტრა: „მონასტრის  
ეზოში საფლავის ქვების წარწერაზე  
მოგახსენებთ, ბატონო. უტუ გაბრუნებუ-  
ლია გაგონილითა და ნახულით და აღტა-  
ცებას ვერ ფარავს“.

უტუო — ჩურჩულით განიმეორა  
ეკატერინემ და ჩასხდნენ ტაბატრევან-  
ში.

— იცი, დავით, უტუს ჩემს ძმას —  
დავითს ეძახდნენ მოფერებით, ეს სახე-  
ლი ძალიან მიყვარს. ვინ არის ეს შავ-  
ტუხა ბიჭი?

დავითმა გაიღიმა და უპასუხა:

— სულ მალე გაიცნობ, ერთი ჩვენე-  
ბური ბიჭია. შარშან დღეში თავი გამო-  
ჩინა და ამის შემდეგ მეჭინბეთუხუ-  
ციის თავიდან არ იშორებს, ყველგან  
თან დაჰყავს. ახლა აქაც წამოიყვანა.

იმ საღამოს, როდესაც ალექსანდრე  
ჰავჭავაძის დიდ დარბაზში დიდებულე-  
ბი ისხდნენ და ალექსანდრე ორბელია-  
ნი სტუმართა და წინაპართა სადღეგრძე-  
ლოს მიიჩთმევდა, სამეგრელოს მაყრი-  
ონის მეჭინბე ბიჭებს — მეეტლეებს,  
გამცილებლებს და გამყოლებს — თავი  
ჰავჭავაძის სასახლის სარდაფში მოეყა-  
რათ. მათთვის აქ გაემართათ პურმარო-  
ლი. დადიანის ათიოდე მოსამსახურეს  
გვერდით ხუთიოდე ჰავჭავაძიანთ მო-  
სამსახურე ბიჭი ეჭდა და მთისა და ბა-  
რის ამბავს ჰყვებოდნენ.

უტუს ყველაზე მეტად ბლიაძის მო-

ნაყოლი მოეწონა, ეს არსენა ოძელაშვი-  
ლის ამბავი იყო. ბლიაძემ ზუგდიდ-  
ლებს მარაბდელის თავგადასავალი დაწ-  
ვრილებით უამბო და ხალხისთვის თავ-  
დაღებულნი ეს ვაჟკაცი ქება-დიდებათ  
შეამკო. მერე სხვათაშორის თქვა, მცხე-  
თელებმა დიდი მონასტრის გალავნის  
გვერდით ოძელაშვილი დიდი ამბით და-  
ასაფლავესო.

სწორედ მაშინ, როდესაც სვეტიცხო-  
ველში ნეფე-დედოფლის პატივისცემად  
წირვას იხდიდნენ, მცხეთელებმა ზუგ-  
დიდელ მეჭინბე ბიჭებს არსენა ოძელა-  
შვილის საფლავი უჩვენეს. უტუს  
ღრმად დაამახსოვრდა საფლავზე წარ-  
წერილი სიტყვები: „აქაც კარგი კაცი  
იყო, იქ ნათელი დაადგესა“. ამ ამბით  
მოხიბლული უტუ აღტაცებით ელაპარა-  
კებოდა მეეტლეს. ამ დროს მათთან და-  
ვითი და ეკატერინეც მოვიდნენ ეტლში  
ჩასასხდომად.

დადიანის მაყარი არ ჩქარობდა. წი-  
ნასწარ მოფიქრებული გეგმით ღამე  
მუხრან ბატონის სასახლეში უნდა გაე-  
თათ. მცხეთიდან მუხრანამდე სულ  
ოცი-ოცდახუთი ვერსი იყო გასაფლე-  
ლი, და ისინიც არ ჩქარობდნენ. უკვე  
შელამებული იყო, როდესაც ეკატერინე  
ჰავჭავაძისა და დავით დადიანის მაყარი  
მუხრან ბატონის ეზოს მიაღდა. დიდი  
ზეიმითა და პატივისცემით მიიღეს ნე-  
ფე-დედოფალი და მათი მაყრიონი. აქაც  
სიტყვებს, სადღეგრძელოებს, ქეიფს  
ბოლო არ უჩანდა. დაქანცულ ნეფე-  
დედოფალს კი მოსვენება ენატრებო-  
დათ.

შუალამეს გადაცილებული იყო, რო-  
ცა ნეფე-დედოფალი ცალკე მიჩენილ  
ოთახში მიიწვიეს. დავით დადიანმა მი-  
უთხარა თავის მეუღლეს, მოეფერა.  
ხელით რომ შეეხო, გაოცდა, ეკატერინე  
შეციებულევით ძაგძაგებდა, კანკალს  
აეტანა. ეცადა დაეშოშმინებინა, დაე-  
წყნარებინა. ბოლოს ძლივსლა გათბა,  
ძლივსლა დამშვიდდა დედოფალი, მაგ-  
რამ მაინც არ დაეძინა, ბორგავდა, ფიქ-  
რსა და მოგონებაში გაატარა მთელი



ლამე. ყოველმხრივ ბედნიერი ეკატერინე სევდას შეეპყრო, თითქოს ახლა მოეგო გონს. აი ახლა იგრძნო, თუ რა ძნელი იყო მისთვის თბილისის დატოვება, სადაც თავისი ყმაწვილქალობის დღეები გაატარა, სადაც არა ერთი და ორი ჭაბუკის ბაგეს მოსწყვიტა სიტყვები მოწონებისა.

ისევ ეძახდა, ისევ მოუხმობდა თავისი თბილისი. თბილისიდან ისევ წამოვიდა, რომ მეგობრებს არც კი გამოთხოვებია. და აი ახლა ყველაზე მეტად ეს აწუხებდა, ფიქრობდა, მთელი ღამე ფიქრობდა: სად მიდის ასე შორს, რას უშნაღებს ბედნი, რა დახვდება იქ, სამეგრელოში? ნათქვამი და გაგონილი ბევრი რამ ჰქონდა. მართლაც, ახალგაზრდა ქალიშვილის ფრთებგავლილ ოცნებას ზღაპრულად დახატული დედოფლობის ტახტი და ზუგდიდის სასახლე განა არ იზიდავდა? მაგრამ მაინც ძნელი იყო თბილისისა და ტოლ-მეგობრების დატოვება. და ასე მთელი ღამე იბორბა, იხენეშა და იღარდა...

გათენდა. დედოფალს თავი სტკიოდა, უგუნებოდ იყო. თითქოს არაფერი ენატრობოდა, არაფერი უნდოდა, დავითი უკვე ამდგარიყო, ეკატერინეც ასადგომად ემზადებოდა, როცა მასთან შენიკ დიდიანი და ეკა ჩიჩუა მივიდნენ. მოეფერნენ რძალს, მიუღალერეს, ისევ ზუგდიდზე ჩამოუგდეს სიტყვა, უქეს მისი სამთავრო, სასახლის ცხოვრება და ხალხი. დედოფალმა ტანთ ჩაიცვა, თითქოს გახალისდა.

ეკატერინე ტახტრევიანში შესევს. საქორწილო მგზავრობა ვაბშულ ზეიმად გადაიქცა. დადიანსა და ჭავჭავაძის ასულს ყველგან პატივისცემასა და სიყვარულს უდასტურებდნენ.

გომთან მარჯვნივ გადაუხვია მაყრიონში. ნეფე-დედოფალი ცხენებზე შემსხდარ მაყრიონს წინ მიუძღოდა. სოფელი ვაყა გალიეს და სოფელ ალს მიადგნენ. სოფელი ალი განთქმული იყო თავის ძველთაძველი ტაძრებით. აქ ტაძრის წინ ცხენებიდან ჩამოხდნენ, პირჯ-

ვარი გადაიწერეს, ისევ შესხდნენ და, სოფელი მცხეთისკვარდელ მლაქოვეს უფუ არა, ჯვრის უღელტეხილი დაიწყო. უღელტეხილის გზა პატარა მდინარეს მიჰყვებოდა. ეს დაკლანილი გზები თანდათან აღმართისაკენ მიიმართებოდა. მთებით დაბურულ ტყეში საოცარი სიმშვიდე იდგა, მხოლოდ ცხენების თქარათქური თუ არღვევდა მუხღარობას.

ჯვრის გადასასვლელი გადაიარეს, და მათ წინ იმერეთის მთები და ვაკე გაიშალა. სოფელ გორისძირიდან ახლა დაღმართი დაიწყო, მათ თვალწინ ბუნების ახალი საოცრება გადაიშალა. სოფელ გორისაში რომ შევიდნენ, ნეფე-დედოფალს იმერეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეხვდნენ, საჩხერისაკენ გაუძღვენ და შემდეგ ჭიათურის ქვაბში შევიდნენ. იმ საღამოს იქ დარჩნენ. ნეფე-დედოფალს ზეიმითა და ქეიფით გაუმასპინძლდნენ. მეორე დღეს დილაადრიან ადგნენ, ჭიათურის აღმართზე ავიდნენ და კაცხის თავზე მოექცნენ. უკან რომ მოიხედეს, კაცხის მხრიდან ქვაბში მოტოვებული ჭიათურა მათ ფეხქვეშ იყო ვაშლილი. მარჯვნივ კაცხის სვეტი აღიმართა. კაცის ჩონჩხით ტიტველ ვეებერთელა სვეტად აღმართულ ამ საღ კლდეს მოლისა და ბუჩქების ქუდი ეხურა. მაყრიონი კაცხის მთას ზურგზე მოექცა, ქვემოთ მარჯვნივ და მარცხნივ მიჭრილი ღობისა და რაჭა-ლეჩხუმის მთები გამოჩნდა. თუ გომიდან გზა იმერეთამდე ხევიში მიუყვებოდა, ახლა ვიწრო ბილიკი მთის ზურგზე მიდიოდა, თითქოს მთელი საქართველოს მთები მის ფეხქვეშ გაწოლილიყო, ეკატერინეც ქმარს უთხრა, გზათვით გომბორის მთებში არ არის ასე მაღლა ასულიო.

ასე მიდიოდნენ ისინი მთებით, ვიდრე ბოსლევნი და დილიკაური უკან არ მოიტოვეს. მერე თავდაღმართი დაიწყო. საქარას გასცილდნენ და ზესტაფონს ჩავიდნენ. ახლა იქ შესივდნენ და მეორე დღეს ქუთაისის გავლით სამეგრელოსკენ გასწიეს.

ცხენისწყალი რომ გაიარეს, დადიანმა უთხრა დედოფალს, ჩვენი სამწყაო აქედან იწყებოდა. ეკატერინემ უფრო ყურადღებით დაუწყაო თვალღებება მთელ მიდამოს; ყოველ ხეს, ყოველ სახლს. მისი ყურადღება იმერეთის კოპწია ოდა სახლებმა და მოლით მოფენილმა მინდვრებმაც მიიქცია. მაგრამ დედოფალი უფრო საგანგებოდ დააკვირდა ამ ლამაზად და სუფთად მოვლილ ეზობებსა და სახლკარს. უხაროდა, რომ ყოველივე ამის პატრონი თვითონ იყო.

სულ მალე აბაშის წყალი გადალახეს და გზა თავქვე დაეკიდა ზღვისკენ. წინ ვაჟე გადაშლილიყო. ორივე მხრიდან ისევ ეზოები და ლამაზად მოვლილი კარმიდამო იტაცებდა დედოფლის თვალს. დავითი გვერდით უჭდა დედოფალს და აცნობდა თითოეულ სოფელს, გორაკს, ციხესა და ეკლესიას. ქალი დიდი გულსაყურით უსმენდა ქმარს და ტკბებოდა ამ მშვენიერი სანახაობით. ცოტა გაიარეს და ნეფე-დედოფალს ბანძის, სუჭუნისა, აბაშისა და სენაკის თავადები და აზნაურები შემოეგებნენ. ახლა დედოფლის განსაკუთრებული ყურადღება მეგრულმა ქალებმა მიიქციეს. ეკატერინემ ქმარს უთხრა, აქ რა ლამაზი ქალები სცოდნიაო. „როგორ? — გაიკვირვა დადიანმა, — მარტო ქალები? განა მამაკაცები არ არიან ლამაზები?...“ რასაკვირველია, მამაკაცებიც, — თქვა დედოფალმა, — მაგრამ ქალები განსაკუთრებით მომეწონაო.

ახლა მარჯვნივ შეუხვიეს და ტეხურის პირას, დიდი სასახლე გამოჩნდა. ეს მენიკ დადიანის სასახლე იყო. სამეგრელოს რჩეული. საზოგადოება ნეფე-დედოფალს აქ ელოდებოდა.

ტეხურის იაღმა კოხჩად ჩაცმული, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მკლავზე წითელღრტაყრილი ცხენოსანი ელოდებოდა მყარონს. მხედარმა ხმამაღლა შესძახა და ჯკან მიაბრუნა ცხენი ჰენებით. ეს იყო მაცნე, რომელმაც იცნო დადიანის მყარონი და უმაღლვე გაქუსლა, რომ დროზე მიეტანა ამბავი, 5. „მართა“, № 1

მყარონის მიახლოვებისა. ბერძენულად შეხვედრა ქვაშხორში, მენიკ დადიანის სასახლეში მოხდა.

სოფელი ქვაშხორი სენაკიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული. მენიკ დადიანი მალევე მოჰყვებოდა ეკატერინე ჰევაქაძეს. მენიკი ნიკოს ქალიშვილი იყო. იგი ჯერ იმერეთს გაათხოვეს, შემდეგ, დაქვრივებულს, მიხეილ შარვაშიძეს ურიგებდნენ, მაგრამ შერვაშიძემ შარი მოსდო მამამისს და დანიშნული ქალი სახლში ჩაუტოვა დადიანს. მენიკის მამა ამ საქმის დარღვს გადაჰყვა, ხოლო ანდერძით საუკეთესო სასახლე ქვაშხორში თავის ასულს დაუტოვა.

მენიკ დადიანის ორსართულიანი სასახლე, ერთ-ერთი ლამაზი შენობა იყო სამეგრელოში, მავთულხლართითა და ქვყორით შემოღობილი დიდი ეზო. საუკეთესო ბაღით იყო დამშვენებული. სასახლე მდინარე ტეხურის პირას იდგა. ეზოში დიდი შესასვლელი იყო, და ვიღრე სასახლეში შესვლიდით, ერთი ვერსის მანძილზე ჰადრების დიდი ხეივანი უნდა გაგველოთ.

სწორედ ეს სასახლე აერჩიათ ახლა დავით დადიანის მყარონის შესახვედრად. სამი დღე ემზადებოდნენ, წინასწარ ყველაფერი გაანგარიშებული და მოწყობილი იყო. და აი, როდესაც მყარონი მენიკ დადიანის სასახლეს მიუახლოვდა, ორასამდე ცხენოსანი — ჩოხა-ახალუხით და ქამარხანგლით გამოწყობილი თავადები და აზნაურები შემოეგებნენ ნეფე-დედოფალს, წინ წაუძღვნენ მყარონს და, როდესაც ეზოში შევიდნენ, ამ ორასმა კაცმა ორასი ნაბადი გაფინა ჰადრების ხეივანში. ნეფე-დედოფალი ზედ ნაბდებზე გაატარეს. მათ წინ მიუძღოდა ოცდახუთი კაცი, რომლებიც „კუჩხა-ბედნიერს“ მღეროდნენ. ეს გუჯუნი სოფელს იქით, სადღაც მთებში წყდებოდა, მისი ეჭო კი მთელ სამეგრელოს სწვდებოდა. ეს შეხვედრა და ქეიფი განსაკუთრებული იყო, მაგ-

რამ უფრო დიდი ზეიმი მაყრიონს ზუგდიდში, ლევან დადიანის სასახლეში ელოდა.

მეტიც დადიანის სასახლის აივანი ტახტის გადაყურებდა. ეკატერინე აივანზე იდგა და სივრცეს გასცქეროდა, წვიმებისაგან აღიდებულ მთის მდინარეს—ტახტური ჯებირში არ ეტეოდა და ღრიალით მოედინებოდა ზღვისკენ დაქანებული. დილა იყო. მზეს ჯერ ასხის მთა არ ვადმოელახა. ტახტურის ქალები ნისლს დაეფარა. ეს უცნაური ზოლი ნისლისა მთელ მდინარეს გასდევდა. ზღვაურმა წამოუბერა და ნისლი მთებიაკენ გადაარეკა. ნისლმა ახლა ფეხაკრფით გადაიარა ქალები, ნაქალაქევის ნანგრევებს მისწვდა და, ვით მობალახე ცხვრის ფარა, მთებს შეეფინა, გამჭვირვალე ნისლს რაღაც ხასხასა, მოლურჯო, ცისარტყელის ფერი გასდევდა. ზღვაურმა ნისლს ნაქალაქევის მთებიც დაატოვებინა და ამ ფრიალა მოწმენდილ ცის შუქზე ნაქალაქევის ციხის კონტურები გამოჩნდა. ბოლოს ნისლმა მარტვილს გადაუარა მარტვილის მონასტრის გუმბათი მზის სხივზე აკიფდა. ამ პურათის შემყურე დედოფალი იდგა და გაოგნებული შესცქეროდა ბუნების საოცარ სახეცვლას.

ლევან დადიანის სასახლეში კი დილიდანვე შლიდნენ სუფრას, რაკი კარგი ამინდი იდგა, სუფრა ეზოში, დიდი ცაცხვის ძირას გაეშალათ. ყველაფერი ისე კეთდებოდა, რომ ეს ქორწილი დიდი მთავრის შესაფერისი ყოფილიყო.

ქვამხორიდან დავით დადიანის მაყრიონი დილიდანვე გაემართა ზუგდიდისაკენ. გზადაგზა ყვავილებით, სიმღერებით პატრიისცემითა და საღმთი მიაცილებდნენ ნეფე-დედოფალს.

უკვე საღამო იყო, როდესაც სოფელ ცაიშს მიუახლოვდნენ. ცაიშიდან ზუგდიდამდის შვიდი ვერსი იქნება. მთელ გზაზე მარჯვნივ და მარცხნივ ჩირაღდნები აენთოთ. ჩირაღდნები სულ უბრალოდ იყო გაკეთებული. ჯონის გრძელ

ტარზე ჩამოცმული იყო ნაგებობა მოვლებული სიმინდის გუბაჯი. ჩირაღდნები გზის ორივე მხარეს ყოველ ათ ნაბიჯზე იყო ჩარჭობილი ზუგდიდამდის, და როცა მაყრიონი ცაიშს მიუახლოვდა, ჩირაღდნებს ანთებაც დაიწყეს. ფარნებსა და მამხალებს მთელი ქალაქი გაენათებინა. ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევდა. როდესაც ნეფე და დედოფალი სასახლის ეზოს მიუახლოვდნენ, სამჯერ დასცალეს ზარბაზანი — მთელ ქვეყანას ამცნეს დადიანების ქორწილის ამბავი.

შიგ სასახლეში, შესასვლელ ბილიკებზე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შეიარაღებული ასეული იდგა, ყველას ჩოხა-ახალუხზე საგანგებოდ სირმები ჰქონდა შეოვლებული, მკერდზე განსაკუთრებული ნიშნები ეკეთა და ხმალი ჰქონდა დაკიდებული. სასახლის ეზოს ქიშკარი შეაღეს თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწყრივებულმა მხედრებმა ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს გადაავჯარედინეს, ნეფე-დედოფალი ამ ხმლების ქვეშ გამოატარეს. მათ წინ ულამაზესი ქალ-ვაჟი. მოუძლოდა და ფეხქვეშ ყვავილებს უყრიდა. ასე შეიყვანეს ნეფე-დედოფალი სასახლეში. კართან პირქვე დამხობილ თეფშს ნეფემ ფეხი დაჰკრა და დაფშენა. ამ დროს მაგიდაზე მდგარ ღვინით სავსე ჭიქაზე ანიშნა ჩიჩუას ქალმა ეკატერინეს და ყურში ჩასჩურჩულა: „მაგ ჭიქას ხელი უნდა ჰკრაო“.

ეკატერინემაც ხელი ჰკრა ჭიქას და თეთრი ღვინო იატაკზე დაიღვარა. კარს რომ მიადგნენ, ნეფე-დედოფალს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი შვიდი წლის ბიჭი შემოხვდა და პატარძალს ღომის მარცვლით სავსე ჯამი ხელში შეაჩეჩა. ახლა აქაც ჩასჩურჩულა ჩიჩუას ქალმა დედოფალს: „ჯამში ხელი ჩაყავი და მარცვლი დარბაზში მოაბნიე“.

ეკატერინე აბნევედა მარცვალს და ნეფე-დედოფალი უეცილად დარბაზს გარშემო. მაყრიონი უკან მისდევდა პატარძალს და „კუნჩახედნიერს“ გუგუნებდა.

ნეფე და დედოფალი შუა დარბაზში დასხეს. პატარძალს ხელში ცხელი ხაჭაპური მიჰკეს, კალთაში კი პატარა ბიჭუნა ჩაუსვეს. ლევანი მიეჭრა პატარძალს გადაკონა და დალოცა: „ბედნიერი იყოს ფეხი თქვენი ჩვენს ოჯახში“. ერთმა მაყარამა პატარძალს ხაჭაპური ხელიდან აართვა და ნატეხები სტუმარ-მაყარს დაურიგა. მერე დარბაზიდან გარეთ გამოვიდნენ და ეს მოწვეული ოთხსამდე სტუმარი და მაყარი ეზოში გაშლილ დიდ სეფას გარს შემოუსხდა.

სადღეგრძელოს, სადღეგრძელო მოხუცა, სიმღერას სიმღერა სცვლიდა, ჩონგურს — ხმაშეწყობილი შაირები. გულის დამწველად მღეროდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ:

ამ სიმღერებს გაბმული ფერხული მოხუცა. ფერხულში ორი დიდი გუნდი მონაწილეობდა. მერე პატარძალი გაიწვიეს საცეკვაოდ. ეკატერინე ნაზად, მორცხვად ეცეკვებოდა დადიანს და ეზოში, დიდი ცაცხვის ძირას მთელი მაყარიონი სულგანბული შესცქეროდა მათს გოგმანს.

ეს დღეებელი, მომხიბვლელი, ლამაზი, ნამდვილად მეფის შესაფერი ქორწილი იყო. მარტო აბამდე ფეხზე დამდგარი მერიქიფე უსამადა ღვინოს მაყარიონს, ამდენ-ვე სანოვავის მოტანას ძლივს ართმევდა თავს.

თამადა არ აურჩევიათ. თვითონ მამამ ლევან დადიანმა ინება თამადაობა და აბა ვინ აღუდგებოდა წინ მის სურვილს, მით უმეტეს, ლევანის თამადაობა მთელ საქართველოში იყო ცნობილი.

წესისამებრ, პირველი სადღეგრძელო ნეფე-დედოფლისა შეინება. ლევან დადიანმა გულით დალოცა თავისი შვილი და რძალი. მათ დღეგრძელობა და ბედნიერება უსურვა და თან დაუმატა:

„კეთილი იყოს ჩვენს ოჯახში ჰავეაძიანთ ასულის ფეხი. გამრავლდეს დადიანების ოჯახი, ხუთი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი ეყოლოთ დავითსა და ეკატერინეს. დადიანებს იმდენი ქონება აქვთ, რომ შვილებს არაფერი მოაკლ-

დებათ ბედნიერი ცხოვრებისათვის. მე ახლა უკვე მოვხუციდი, სიბერეში რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ჭირზე უფრო დიდი ჭირი, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი შვილი დავითი მამის სახელს, დადიანის სახელს, ჩვენს ქვეყანას და ჩვენს სამთავროს არ შეარცხვენს. ეს მე ნუგეშად წამყვება იმ ქვეყანაში. და დღეს, როდესაც ასეთი შესანიშნავი რძალი შეემატა ჩემს ოჯახს, მე უფრო მჭერა, რომ ჩემი ოჯახი ბედნიერი იქნება.

მივიდა, ჯერ ეკატერინეს ეამბორა შუბლზე, შემდეგ შვილი გადაკონა და დიდი ყანწი ბოლომდე დაცალა. და დაიწყო გაბმული ლხინი...

თენდებოდა. ნისლში გაცრეცილ სინათლეზე სუფრას ღვინის ოსშივარი აღიოდა. გადამხულ ქეიფსა და ლხინს ბოლო აღარ უჩანდა... დადიანი ფეხზე წამოიღდა. სუფრა გაისუსა. თამადამ ბრძანა: „ჩვენში ასეთი წესია, ქალის მომყოლ მაყარიონს ბეგარად ადევს: სანამ თამადის სადღეგრძელო დაილეოდეს, მანამ ზიდან თოფით ჩამოაგდოს ფრთოსანი და დაკლული თამადას მიართვას. ფრთოსანს გაუტყავენ, შეწვავენ და ნეფე-დედოფლის სახელით თამადა ისევ მაყარს მიართმევს.

სანამ ფრთოსანი ხეზეა, ეს წესი უნდა შესრულდეს. აბა, ვის სურს მაყარის მოვალეობა შეასრულოს? იკითხა თამადამ.

ეკატერინეს მაყარიონს ვრუხათმიანი ყმაწვილი კაცი გამოეყო და ფრთხილად გავიდა ეზოში. მას თან გაჰყვა დავითის უმცროსი ძმა კონსტანტინე. იქვე ახლოს ხურმის დიდი ხე იდგა. ხე ქათმეზით იყო დახუნძლული. ხის მაღალ წვეროზე დიდი მამალი იჯდა. სწორედ ამ მამალს დაუმოხნა ყმაწვილმა კაცმა, ესროლა და ძირს ჩამოაგდო. სულმოუთქმელად დასტაცა ხელი და აფართქალებული მამალი თამადას ფეხ-ქვეშ დაუღო.

ატყდა ერთი ყიყინა, ხმამაღალი შეძახილები. ისევ გამხილურდა სუფრა. ისევ გაგრძელდა სმა.

ქორწილი თავდებოდა, და ისევ ფხიზელი იყო კახელების მყარია. ჭეიფის მოყვარულ დადიანს ეს არაფრად ეწაშნიკა და შევრულად ჩაილაპარაკა, არ თქმულა ქორწილიდან მყარია ფხიზელი ადგესო. ესა თქვა და სუფრაზე უმაღლე გაჩნდა მისი საყვარელი დიდი კულა. ეს სასმისი მაშინ შემოჰქონდათ ხოლმე დადიანის სუფრაზე, როდესაც ყველას სადღეგრძელო დაილეოდა. ამ კულის დაღევა კი ყველას როდი შეეძლო. ცნობილი მსმელები ძლივს ახერხებდნენ მის გამოცლას, და ახლა ეს დიდი კულა დადიანმა იმიტომ მოაყენა სუფრას, რომ დაეთრო შეჭიბრებაში გამოწვეული ეკატერინეს მყარია.

კულას თან მოჰყვა მომღერლების ჯგუფი. მერიქიფემ გაავსო კულა და სახლთუხუცესმა იგი თამადას მიართვა. დადიანმა ჩამოართვა კულა, კახელების მყარის სადღეგრძელო თქვა და ეს საესე კულა პირზე მიიყუდა. კომღერლებმა სიმღერა დასცხეს:

პოო, ოლური კულარე!  
პოო, ოლური კულარე!  
კულათ ღვინს მით გეშენს  
კონი თინარე!  
კულათ ღვინს მით გეშენს  
კონი თინარე!

პოი, წასელისა, კულავ!  
პოი, წასელისა, კულავ!  
ამ კულით ღვინოს ვინც შესვამს,  
კაციც ის არის!  
ამ კულით ღვინოს ვინც შესვამს,  
კაციც ის არის!

სიმღერაში დადიანმა კულა შესვა და გულბათ ჰაგჰაჰაძეს გადაულოცა.

(გაგრძელება იქნება)

გულბათმაც სულმოუთქმელად გამოცალა. მერე რომელიღაც ჩიქოვანს გადააწოდა, ჩიქოვანმა კი — ისევ ჰაგჰაჰაძის მყარას. ერთი მყარია შებოძიკდა და ამ დროს ისევ მიაშველეს სიმღერა:

პოო, ოლური კულარე!  
პოო, ოლური კულარე!  
კულათ ღვინს მით გეშენს  
თელო ღურარე!  
კულათ ღვინს მით გეშენს  
თელო ღურარე!

პოი, წასელისა, კულავ!  
პოი, წასელისა, კულავ!  
ამ კულით ღვინოს ვინც ვერ შესვამს,  
კაციხლად მკვდარია!  
ამ კულით ღვინოს ვინც ვერ შესვამს,  
კაციხლად მკვდარია!

ასეთი მიმღერებით გამოაღვევინა დადიანმა ყოველ მყარს ეს დიდი კულა და, როცა დარწმუნდა, რომ უკვე მეტის დაღევა აღარავის შეეძლო, ისევ გაავსო კულა და კვლავ დაილოცა, ისევ დალია, მაგრამ მისი გამომრთმევი და გამომცლელი არავინ აღმოჩნდა.

ო, რა რიგად გაიხარა მაშინ ღვინის სმაში განთქმულმა დადიანმა.

ეკატერინე ჰაგჰაჰაძის მყარიონი მხროლდ მეოთხე დღეს წამოვიდა თბილისს. თავისიანების გამოთხოვების ეამს კიდევ ერთხელ დასწყდა გული ეკატერინეს. მართალია, იგი მოხიბლული იყო ნახულითა და მოსმენილით, დიდად ახარებდა, რაც ხდებოდა მის გარშემო, მაგრამ როდესაც ახლობლებმა დატოვეს, ცრემლები წამოსცივდა.

აღ. ქათათელი

ქვიშხეთის ღამე

მასლათით დამტყბარი  
ცაცხვიანში ვისხედით.  
ქარშოშმანი ამგვარი  
იცის მხოლოდ ქვიშხეთში.  
გვიან ღამით, ნაუბსმევს  
იძინებდნენ ყველანი,  
მე ფიქრი ვერ დავაბზე,  
მაწაპებდა ვერანი.  
ვერ დავბურე უყუნის  
შავ ფიქრის ქვევრს სარკველი,  
როს ელშავლის შუქურით  
ელვარებდა სარკველი.  
მთათა გადაშქელავი,  
უცხო და გასაკვირი  
გაისმოდა ელშავლის  
სევდიანი საყვირი.  
მთაში ექო ხშიანებს  
ელშექვივით ტიალი  
და ბორბლებიც გრიალებს,  
როგორც ბედის ტრიალი.  
უთვალთვალებს მარანი  
ქმუნვარების ზვარეთა  
და ელშავლის ფარანი  
ზვერავს არემარეთა.  
ცოც კედელზე რიალებს  
შუქი გადარბენილი  
და ვიწუშებ იარებს  
სოფლად მარტო შთენილი.  
მსურს ამოვთქვა სათქმელი:  
კაცის გული ხარბია,  
ანთებული სარკველით  
რონოდები გარბიან.  
ერთ სარკველიდან ასული  
იციბირება ღამეში.  
აგონდება წარსული  
მწარე სიმწუხვარეში.  
უკან დარჩა ბავშვური  
მოგონება, მტკვრის ხედი,  
ტყე, ტრამალი, ხამური  
ტიხერი და ქვიშხეთი.

ტაშისკართან გაიღო  
თვალწარპტაცი ხეობა,  
და ხიბლავდა ვაიკოს  
მთების მუნჯი სტრობა.  
ვერხვი მტკვარზე დახრილი  
მთვარემ მორთო სიჩრითა,  
ქალს ელშავლის ძახილი  
მოეჩვენა ირმისად.  
ხარიჩემი ეგონა  
ღამით მთასა მყვირალი.  
მოეხვია გოგონას  
მოგონების ხვიარი.  
მთვარე თხემზე დასული  
ჩადის, ქრება ღამეში.  
იძირება ასული  
საოცნებო მხარეში.  
აგონდება საღამო,  
როცა ტყეში ვისხედით  
და გვესმოდა საამო  
ქარშოშმანი ქვიშხეთის.  
რონოდები გარბიან  
ანთებული სარკველით.  
კაცის გული ხარბია:  
მსურს ამოვთქვა სათქმელი,  
თქვენ რომ ფიქრობთ, არა ის, —  
განა დაუსტამბავი,  
რომ არ უთქვამს არავის!  
არა. მცირე ამბავი.  
ამ ფიქრებში წასული  
ვიძირები ღამეში  
და კვლავ მტანჯავს წარსული,  
ძველი, ვით გილგამეში.  
ეაშის გადაშქელავი,  
უცხო და გასაკვირი,  
ისევ ისმის ელშავლის  
უცნაური საყვირი.  
მთაში ექო ხშიანებს,  
ელშექვივით ტიალი,  
და ბორბლებიც გრიალებს,  
როგორც ბედის ტრიალი.

## ბარამ გუგუშიძე

### ს ი შ ო რ ე

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,  
წამია კაცთა თვალისა და წამწამისა

მსწრობელი“.

„ვეფხისტყაოსანი“

#### I

ჩემმა ძმამ და ჩემმა ბიძაშვილმა  
ჯონდომ გამაცილეს. მატარებლის გას-  
ვლაზე ბევრი დრო იყო დარჩენილი.  
ჩვენ გავედით ბაქნის ბოლოს, სადაც  
ერთი უღიმღამო ფარდული იდგა. ფარ-  
დულს მკრთალად ანათებდა ერთადერ-  
თი ნათურა. ირგვლივ ბნელოდა. დახ-  
ლში მდგარ გამყიდველს გაუწყვიანე-  
ბული თეთრი ხალათი ეცვა, გაუპარსა-  
ვი იყო. თაროებზე სხვადასხვა საქონე-  
ლი ეწყო: კონსერვები, ნამცხვრები,  
კომფეტები, პაპიროსის კოლოფები,  
ცელოფანის პაკეტში გახვეული ორ-  
ცხობილა და ლიმონათი. ჩვენ ლუდი  
მოვითხოვეთ, გამყიდველმა უზარმაზარ  
კათხები გაგვიყვანა და წინ დაგვიდგა.  
ლუდი გემრიელი იყო. ჩვენ დავლიეთ  
ლუდი და პაპიროსი გავაბოლეთ. სასი-  
ამოვნო იყო პაპიროსის გაბოლება ლუ-  
დის შემდეგ. მერე ბაქნის ბოლომდე  
გავისეირნე. წინ ბნელოდა, პრილებ-  
და ერთმანეთში გადახლართული რელ-  
სები, სხვადასხვა ფერის სინათლეები  
ლამაზად ციმციმებდა, თითქოს გეძახდა  
სადაც, გიზიდავდა, რაღაც ახალ, უხი-  
ლავ და უცნობ გზაზე დაყენებას გპირ-  
დებოდა. შორიდან ისმოდა ორთქლმავ-  
ლების შიშინი, მახუთისა და მქეპარტ-  
ლის მკეეთრი სუნი იდგა, ჰაერში კვამ-  
ლი ირეოდა. ჩვენ კარგა ხანს ვიდექით  
ბაქნის ბოლოს, პაპიროსს ვეწეოდით და

ვიყურებოდით წინ, მერე უკან დაე-  
ბრუნდით. ჩემი ჩემოვანი ჯონდოს ეჭი-  
რა. ჩემი ძმა და ჯონდო არაფრით არ  
მანებებდნენ ჩემოვანს, ალბათ იმი-  
ტომ, რომ მაცილებდნენ. ბაქანი თით-  
ქმის ცარიელი იყო.

— ნეტა რომელ ლიანდაგზე ჩამო-  
გება მატარებელი? — ვიკითხე მე.

— მესამეზე! — მითხრა ჩემმა ძმამ.

— წინათ აქედან ვადიოდა ხოლმე, —  
მივიხედე ერთი ჩიხისაკენ, სადაც ახლა  
ვაგონების ცარიელი შემადგენლობა  
იდგა.

„წინათ“ — ეს იყო ჩემი ბავშვობა,  
რომელიც ახლა მწვეველ და ნათლად  
მომაგონდა. მომაგონდა სადგურისა და  
ვაგონების ნაცნობი სუნი და ის სასიამ-  
ოვნო აღელვება, რომელსაც მუდამ  
განვიცდიდი პატარა ბავშვი ვაგონში  
შესვლამდე. მე არ ვიცი, რას განიც-  
დიდნენ მაშინ ჩემი ძმა და ჩემი ბიძა-  
შვილი ჯონდო, — ისინი ჩემზე პატარე-  
ბი იყვნენ და სოფელში ერთად დავყუ-  
ვდით ყოველ ზაფხულს ბიძაჩემს, —  
მაგრამ კარგად მახსოვს — სამივესთვის  
უდიდესი ბედნიერება იყო სოფელში  
გამგზავრება, სამივეს გვინდოდა ფანჯა-  
რასთან დგომა, რომ გზისთვის გვეცქი-  
რა. როგორც კი ვაგონში შევიდოდით,  
სანამ მშობლები და ბიძები ბარგს ალა-  
გებდნენ, ატყუებოდა ხოლმე ერთი  
ალიაჭოთი ფანჯარასთან ადგილის დასა-

კავებლად. მერე ბარგი ჩალადებოდა, ჩვენ კი ვიჭექით ფანჯარასთან ერთმანეთს მიკუნჭულები, მატარებელი დიდხანს იდგა და ჩვენ ვუყურებდით ბაქანზე მოსიარულე ხალხს. უჩვეულო იყო ის განცდა. უჩვეულო იყო ის სიბნელე და აცოცხლებული ნათურები, რომელიც მოჩანდა წინ როცა მე ჭერ კიდევ ვაგონის კიბესთან ვიდექი, ვიხედებოდი ორთქლმავლისაკენ და მოუთმენლად ვიცდიდი, როდის ამიყვანდნენ უფროსები ზემოთ. ყოველ წუთს მეგონა, რომ მატარებელი, შეიძლება, მოულოდნელად წასულიყო და მე დავრჩებოდი, ვერ მოვასწრებდი ვაგონში ასვლას. მაშინ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი, რომ ასეთი რამ არ ხდება, რომ მატარებლების მოძრაობა, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ცხოვრებაში, გარკვეულ წესსა და განრიგს ემორჩილება. მე ეს მაშინ არ მესმოდა, რადგან სული ჩემი იყო ლალი და თავისუფალი.

ჩვენ ვიჭექით ხოლმე ფანჯარასთან, როცა მატარებელი დაიძრებოდა. მშვენიერად მახსოვს დეპოს დიდი, წითელი შენობა, მახსოვს ამ შენობაში მღვარი ორთქლმავლები, რომლებიც უსაზღვრო გაოცებას იწვევდნენ იმის გამო, რომ შენობაში იდგნენ, და ყველაფერი ისე რთულ და საიდუმლო რაღაცად მეჩვენებოდა, რომ კითხვასაც ვერ ვებდავდი, რადგან ყოველთვის ჩემს კითხვაზე ასე მპასუხობდნენ:

— ეს დეპოა, ორთქლმავლების სააღია.

მაშასადამე, ორთქლმავლებსაც აქვთ სახლი, ვფიქრობდი მე და ვეკითხებოდი:

— აქ ძინავთ ორთქლმავლებს?

— აქ ძინავთ!

— ვაგონებს სად ძინავთ?

— სხვაგან!

— რატომ?

და იწყებოდა რთული ახსნა-განმარტება, რომლის შემდეგ საკითხი ისევ გაურკვეველი რჩებოდა.

მშვენიერად მახსოვს, რომ გარემო,

რომელიც სულ ახლახან დავტყუე, უცბად მაიწყებოდა, უცბად ვფიქრობდი ბურუსში, სამაგიეროდ ბურუსიდან გამოდიოდა ახალი, ნათელი და მზიანი ქვეყანა — ჩემი სოფელი, სიმინდის ყანები, მაღალი, დაბურული ხეები, ცხოველები, საყვარელი ბებია და ბაბუა, რომელთაყენაც მიმართული იყო ჩემი ფიქრები და ოცნებები, თუკი შეიძლება ფიქრები და ოცნებები ეწოდოს ჩემი ახლანდელი გაგებით, მაშინდელ განწყობილებას. ეს იყო უფრო მაღალი, რაღაც საოცარი სიტყვო, პირველყოფილი შეუბღალავი სიხალისე, რასაც იწვევდა სრულიად პარამონიული დამოკიდებულება გარემოსა და ჩემს შორის, რომელსაც ახლა, სამწუხაროდ, ასე იოლად ველარ განვიცდი, რადგან აღარა ვარ ბავშვი და ყოველთვის მახსოვს, რომ კარგთან ერთად არსებობს ცუდიც.

მახსოვს, რომ მალე გვეძინებოდა. ყოველთვის ერთად გვაწვევდნენ ხოლმე მე და ჩემს ძმას. მახსოვს, როგორ მიხაროდა დაძინება. მახსოვს ის ტკბილი მოლოდინი მეორე დღისა, რომელიც არ მტოვებდა ძილშიაც, უყოყმანო იმედი იმისა, რომ გათენდება თუ არა, ჩვენ უკვე მივალწვეთ მიზანს. მაშინ არა მწამდა არავითარი ძალა, ან შემთხვევა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ჩემი მიზნისათვის. მწამდა მხოლოდ მიზანი და ის, რომ აუცილებლად მივალწვედი მიზანს. რა გარკვეული და კონკრეტული იყო მიზანი! ახლა აღარ მოაქვს ისეთი ამყოფილება მიზნის მიღწევას, რადგან გამარჯვების შემდეგ ნეტარების იმ მაღალ მწვერვალზე, რომელსაც მიღწეული მიზანი ჰქვია, დიდხანს ვერ ჩერდები, ცხოვრება ყოველთვის გიყენებს წინ ახალ ზღუდეს, რომელიც უმკველად უნდა გადალახო, და ეს გრძელდება დაუსრულებლივ.

მახსოვს გათენება მატარებელში. თითქოს აფეთქება ხდებოდა, უცბად გადავდიოდი სხვა სამყაროში, რომელიც მოაცებდა და მიზიდავდა. მაშინ



მატარებელი პატარა სადგურებზეც — კი დიდხანს ჩერდებოდა. მასსოვს ქვე-ბის ჩხრიალი პატარა ბიჭების შიშველ ფეხებქვეშ, რომლებიც დარბოვდნენ ვაგონიდან ვაგონისკენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:

— აბა, ბალი, ბალი...

— ჭყინტი ყველი...

— ცივი წყალი, ცივი წყალი!

— რა ღირს შენი ბალი? — ისმოდა ვილაყის ბოხი, ნაძინარევი ხმა.

ბიჭი პასუხობდა, მე არ მასსოვს ბლის ფასი. ფანჯარაში თავგამოყოფილი მგზავრი ყიდულობდა, ან არ ყიდულობდა და შემდეგ ისევ გაჩნდებოდა პატარა, საწყალი სოფლელი ბიჭის აჩქარებული, აღელვებული ძაბილი:

— აბა, კაი ბალი, აბა, კაი ბალი, კაი ბალი...

რადგან მატარებელი საცაა უნდა წასულიყო და ბავშვი ჩქარობდა, დე-ლადა, ცდილობდა როგორმე გაეყიდ-ნა თავისი საქონელი, რომ ესიამოვნე-ბინა მშობლებისათვის, ან მისთვის, ვინც ზრდიდა და აქ გამოგზავნა. მე მასსოვს იმ ბიჭების გულუბრყვილო, სპეტაკი სახეები, მათი დაბნეული, სწრაფი შემოხედვა, მათი აბურძგნული თმა და ძველი ტანისამოსი, მასსოვს მათი სირბილი ვაგონიდან ვაგონისკენ, ისინი მხრებაწეული, ხტუნვა-ხტუნვით, ციყვებით გარბოდნენ, რადგან უჭირ-დათ მიწაყარილზე ფეხშიშველა სირბი-ლი, ხელში კი მოკლე ჯოხებზე აცმული ბალი ეჭირათ. მასსოვს თავსაფრიალი დედაკაცები, დანაოკებული სახეები ჰქონდათ, იღვინენ უფრო მოშორებით და პატარა, დაწნულ კალათებში გასაყი-დად გამოტანილი ვაზის ან ბეკონის ფოთლებში გახვეული ჭყინტი ყველი იწეოთ. მე მასსოვს ყოველივე ეს. მას-სოვს ტყით დაფარული მალაია ფერ-დობები, სუფთა, კამკამა მთის მდინარე-ები, წისქვილები, სახლები, დანგრეუ-ლი ციხე-კოშკები, გაღავნები, თეთრი ეკლესიები გორაკებზე და მოწყენილი სასაფლაოები, მატარებლის ფანჯრიდან

რომ წამით გამოჩნდებოდა ისევე ქრებოდა ხოლმე. მასსოვს მისი სოვს ხალხი. ახალგაზრდა გლეხები და ყაბალახიანი, გრძელუღვაშიანი, ქაღა-რა მოხუცები. კალათებს და ტომარებს დაარბუნებდნენ ისინი სადგურზე, თან ყვიროდნენ, ჩქარობდნენ. უჩვეულო და ტყბილი იყო მათი საუბარი, კილო, მა-თი საწყარო. მე მასსოვს ის გრძნობა, რომელიც ჰქონდა მათ მიმართ და, რო-მელსაც სხვას ვერაფერს დავარქმევ თუ არა სპეტაკ სიყვარულს ბავშვისას სა-ოცნებო ქვეყნისადმი და თავისუფლე-ბისადმი. ჩემთვის ის გლეხები ძალიან საინტერესო და მიწვიდველები ჩანდნენ მაშინ და მე მიწვიდა მათი ცხოვრებას შეცნობრა, ჰქონოდა კალათები და ტომ-რები და მათთან ერთად მერბინა ვაგო-ნიდან ვაგონისკენ, რომ იქნებ, რომე-ლიმე კონდუქტორს წავეყვანე მხო-ბელ სადგურამდე. მე იმედი მქონდა, რომ მომავალში ამას მივალწევდი.

მერე მატარებელი ვიწრო ხეობიდან გამოდიოდა, მთები იშლებოდა, უკან უკან იწევდა, იხვედა უზარმაზარი ვე-ლის წინაშე. ახლა ლიანდაგის ორივე მხარეს თვალუწვდინელად ვაკიმიული სიმინდის ყანები მოჩანდა. მე ვხედავდი ხოლმე გლეხებს, რომლებიც დილაად-რიან გამოსულიყვნენ სათოხარში. ზო-გიერთი მღშობას თავს ანებებდა, თოხს დაეყრდნობოდა და უყურებდა მიმავალ მატარებელს. მატარებელი კი სწრა-ფად მიდიოდა და ფანჯრიდან ისევ მო-ჩანდა მდიდარი სივრცე, შორეული მთები, ტყეები, ყანები, გზები, მიხდე-რები, ძროხები და ცხენები, ძაღლები, ურმები, ხალხი, მდინარეები და ხიდე-ბი... მე მასსოვს გზის დაყოლებით და-სობილი შავი ტელეფონის ბოქები, ჯვრებს რომ გავაღა, და მათ შორის გა-კიმიული მავთულები, რომლებიც მო-დიან შენს შესახედრად და როგორც კი გაგისწორდება, იმწამსვე დაბლა ეშ-ვება, ისევ მოდის ზემოდან და გაგის-წორდება თუ არა, ეტებად ვარდება და-ბლა, და შენ გაკვირვებს ეს ამბავი და

უყურებ მათ და ხედავ, თუ როგორ და-  
პატარავდა ბოძები, რომლებსაც უკვე  
ჩაუთარე და რა პატარებია ისინი, რომ-  
ლებიც ჯერ არ მოსულან შენამდე,  
ირგვლივ კი თვალწმენელი ველია.  
მასსოვს მერცხლები, რომლებიც ამ  
მაეთულებზე ისხდნენ ხოლმე.

მერე მატარებელი რიონის სადგურზე  
ჩერდებოდა და დიდხანს იდგა. სადგუ-  
რის გვერდზე პატარა ბაზარი იყო, რომ-  
ლის ზემოთ, გორაკზე, მოჩანდა ტყე,  
საიდანაც სივრილე მოდიოდა. ათასი  
რამ იყიდებოდა ბაზარში. გამყიდველე-  
ბი მხიარულები და ხალისიანები ჩან-  
დნენ მაშინ. ისმოდა სიცილი, ხუმრობა.  
ყაყანი, ეს სიჭრელე თავბრუს მახვევ-  
და, ვეკონის ფანჯრიდან თავგამოყო-  
ფილი ვიზულებოლი წინ და გონებაში  
დამბუთლად ვიმეორებდი — დღეს მე  
სოფელში ვიქნები, ჩვენს ეზოში ვივლი,  
ამაღამ ჩვენს სახლში დავიძინებ — და  
სასიამოვნო მოლოდინისაგან გული  
ძლიერ მიცემდა.

ახლა ეს აღარ არი. აღარც ის არა-  
ჩვეულებრივი სიხარულია, რომელსაც  
განვიციდიდი სამტრედიის სადგურზე,  
მატარებლიდან ჩამოსვლის პირველსავე  
წუთს. მაშინ ბაქანი გადახურული იყო  
და გაცილებით უფრო მყუდრო, მო-  
ხერხებულნი და სასიამოვნო ჩანდა, ვიდ-  
რე ახლაა. სადგურის უკან, მოედანზე,  
ეტლები, დილიყანსები და ორთვალეები  
იღვნენ, რომელთა პატრონები გაიძა-  
ხოვნენ:

— აბა, ვანი! ხონი! საკულაშო!

ჩვენ ესტდებოდით ეტლში, ისმოდა  
ცხენის ფლოკვების თქარუნი ქვაფე-  
ნილზე, ბორბლების ქრაალი, მეეტლის  
წრუბუნი და სტვენა, მე კი ვიჭექი კო-  
ფოზე და ვუყურებდი ცხენის გავას,  
ეტლი ჩაუხვევდა მარცხნივ, გასცდებო-  
და სასტუმროს შენობას, ერთადერთ  
მაღალ სახლს მთელ ქალაქში, გასცილ-  
დებოდა პატარა დუქანებს, გადიოდა  
ხონის მტვრიან და ოღროჩოღრო შარა  
გზაზე, მე კი ვიჭექი და ვუყურებდი  
ცხენის სწრაფად მოძრავე ფეხებს, მეს-  
მოდა მეეტლის წრუბუნი და სტვენა,

მათარახის ზუილი ჰაერში. მსიამოვნებდა  
ცხენის თავისებური სუნი, ვერძობრი-  
დილას, მის განუშეორებელ, წარმტაც  
სუნთქვას, ვერძობადი ხეების ნახ შრი-  
ალს, დილის ცვარით დანამული ბალა-  
ხის ბრჭყვიალა სიკაშკაშეს, მსიამოვნებ-  
და ყვავილების ტკბილი სურნელება,  
რომელიც საიდანაც მოჰქონდა გრილ  
ნიავს და მებრუებდა, ვხედავდი უბრა-  
ლო, სოფელს ხალხს, რომელიც მიუ-  
ვარდა მათი ცხოვრების სიმარტივის და,  
ალბათ, აქედან გამომდინარე მომხიბვ-  
ლელობის გამო და მინდოდა ვყოფილი-  
ყავი მეეტლე, მყოლოდა საყუთარი ცხე-  
ნი, მეტარებინა იგი ყოველდღე ხონი-  
დან სამტრედიამდე. მე, რა თქმა უნდა,  
სერიოზულად მეგონა, რომ მეეტლე  
უადრესად ბუნდურეთი იყო თავისი სეირ-  
ნობით და მის ამ საქმიანობას არავითარ  
კავშირი არა ჰქონდა ფულთან. ოჯა-  
ხის გამოკვებასთან.

მასსოვს, როგორ გვხვებოდნენ ბე-  
ბია და ბაბუა. ისინი მორბოდნენ სახ-  
ლიდან ჭიშკრისაკენ, ბებია გვეხვეოდა,  
გულში გვიკრავდა, ბაბუა იცინოდა,  
ბავშვურად გაკვირვებული, გულუბ-  
რყვილო და გახარებული სახით გვი-  
ყურებდა, თვალეები უცრემლდებოდა,  
დაიხრებოდა, მოგვიშვერდა ლოყას.  
ასეთი ჩვეულება ჰქონდა, და ჩვენ  
ვკოცნიდით მის ლოყას, მე ვერძობადი  
მისი სხეულის თავისებურ სუნს, თამ-  
ბაქოსა და კიდევ რაღაცის სასიამოვნო  
სუნს, რომელიც ახლა ისე კარგად მა-  
ხსოვს და ისე მიყვარს, რომ ზოგჯერ  
აუტანლად მენატრება ხოლმე.

მე მასსოვს ის სუნი, რომელიც  
ოთახში იდგა, კომპისა და ხმელი ჩირის  
საყვარელი სუნი. მასსოვს კელელებზე  
ჩამოკიდებული ლამაზ ჩარჩოებში ჩას-  
მული სურათები, რომლებიც ყოველი  
მხრიდან დაგტკეროდა ოთახში შეს-  
ვლისთანავე, სურათები ბებიაში და ბა-  
ბუასი, ჯვრისწერის დღეს გადაღებუ-  
ლი, მათი ძმების და ნათესაების, მათი  
მეგობრების, სხვათა და სხვათა, რო-  
მელთაგანაც ბევრნი არასოდეს არ გვე-

ნახა. რადგან აღარ იყვნენ ცოცხალი, როდესაც გაეჩნდით ამ ქვეყანაზე, მაგრამ ბებიათვის და ბაბუასთვის საყვარელი და მახლობელი ადამიანები იყვნენ მაინც...

მე მახსოვს, როგორ მაფიქრებდა ბაბუას უმცროსი ძმის, ვენეს სურათი. ის მრველ ჩარჩოში იყო ჩასმული და კედელზე ეკიდა ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას. ის იყო ლამაზი, ახალგაზრდა კაცი, რომელიც მოკვდა ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, 1918 წელს. დიდი ხანი გავიდა მისი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ისევ უყვარდა ყველას, ჩვენს ოჯახში ხშირად იგონებდნენ და ფიქვლობდნენ. მე მიყვარდა რატომ იყო ასე. დიღბანა ვუყურებდი ხოლმე სურათს და მინდოდა გამომეცნო მისი ცხოვრება, მისი ხასიათი, მინდოდა გამეგონა მისი ხმა, მინდოდა მცოდნოდა, რატომ იყო ის ასე საყვარელი. უკანა ოთახშიც ეკიდა მისი სურათი. ამ სურათში იცინოდა, სქელი თმა შუბლზე ჩამოყრდა, პატარა, მოკლე უღვაშები ზემოთ ჰქონდა აწეპილი, გრძელი ჩოხა ეცვა, მარჯვენა ხელი წელზე ჰქონდა შემობჯენილი, მეორე მხარეს გრძელი ხმალი ეკიდა და ხმლის ტარი ჭარცხენა ხელით ეჭირა. ხშირად შევუღებოდი ხოლმე სკამზე და, დიღბანს, დიღბანა ვუყურებდი ამ სურათს. და ზოგჯერ მეგონა, რომ ბუნდოვნად მახსოვდა ის, მაგონებოდა მისი ხმა, მისი ლაპარაკი, ოდესღაც მენახა სადღაც, მაგრამ ცხადად ვერ ვიგონებდი სად და როდის იყო ეს.

ბაბუას ძმები ახალგაზრდობაში დაიხოცნენ. ახლა მათი სურათები ეკიდა კედელზე. მხოლოდ სურათები დარჩა მათი ამ სახლში, ეს სახლი კი ერთ დროს ისეთივე ძვირფასი იყო მათთვის, როგორც დღეს ჩემთვის არის. აღარც სტუმრები არიან ისინი საკუთარ სახლში, აღარც მასპინძლები. ძალიან მაყვირებდა ბავშვობაში ეს მდგომარეობა. ვერ წარმომიდგინა, რომ უჩემოდ

შესაძლებელი იყო ამ სახლში არსებობა...

ჩვენი სახლი ბაბუაჩემის მამამ ააშენა, ჩემმა პეპერამ. რა ვიცი მე იმ კაცის შესახებ, ვინც ეს საყვარელი ბუდე შემიქმნა? თითქმის არაფერი, გარდა იმისა, რომ ერთ თოვლიან ზამთარში გზაზე შემოფეთებული მგელი მოაღრჩო ორივე ხელით. კიდევ ის ვიცი, რომ უმცროსი შვილი როცა მოუქვდა, თქვა, ახლა მეც მალე მოვეკვდებით და მართლაც ერთი თვის შემდეგ მოკვდა, დარჩა მისი აშენებული სახლი, რომელიც ახლა ჩვენივე, პეპერაჩემისათვის უცნობი ადამიანებისათვის, მშობლიური კერა გახდა.

როგორ მიყვარდა მე ეს ძველი სახლი, როგორ მიყვარდა აივანზე ჯდომა და ცის ყურება. არაად არ არი ცა ასეთი ახლობელი და ნაცნობი. სულ ვერა ვგრძნობდი მის სიშორეს. რამდენჯერ, როცა დიღბანს ვუყურებდი ხოლმე ცის ბავშვობაში, მეგონა, უფრო სწორად ყოვლად წარმოუდგენელი იმედით ველოდი, რომ გაიხსნებოდა მისი ლურჯი ფარდა და რაღაც საიდუმლოება გამოჩნდებოდა ცის იქეთ.

როგორ მიყვარდა დაღამება. მიყვარდა ბებიასთან დაწოლა. დაბნელებოდა, ჭრიჭინები იწყებდნენ ჭრიჭინს, სადღაც, შორს, ყუფუნენ ძაღლები, ჩამოვარდებოდა სიჩუმე, მთვარე ცივი, საიდუმლო შუქით ანათებდა აივანს, გარინდებული იყო მთელი ქვეყანა, ბებური ცაცხვები, მაღალი, ცისკენ აზიდული ალვის ხეები, საიდუმლო და შორეული იყო ყველაფერი. ბებია კი მიყვებოდა ძველ ამბებს, მიყვებოდა ბაბუასთან ერთად გატარებული თავისი ცხოვრების შესახებ, სხვადასხვა ქალაქებში, რომლებიც უცნაურად მეჩვენებოდა მისი მოყოლილის მიხედვით, მიყვებოდა, როგორ დაბ/უნდნენ სოფელში და დასახლდნენ იქ, როგორ გამოიყურებოდა მამინ ჩვენი ეზო, ჩვენი სახლი, სად იდგა მარანი, სად იდგა სასივინდე და ბელედი, როგორი ხეები ხა-

რობდა ეზოში, ნიგეზები და ჭადრები, მიყვებოდა იმ დროის ამბებს, რომელსაც მე არ მოვსწრებივარ, მიყვებოდა იმ ხალხზე, რომელიც მე არ მინახავს. მე არ ვიყავი მაშინ ამ ქვეყანად, მაგრამ ეს ქვეყანა იყო და იყო ხალხი, რომელიც ცხოვრობდა, ფიქრობდა, განიცდიდა, იტანჯებოდა და ბედნიერი იყო. და როცა ბებია მიყვებოდა მათ შესახებ, მე ვგრძნობდი ყველაფერს, ვხედავდი ყველაფერს და ის დრო ჩემთვის მეტად ნაცნობი, მახლობელი და ძვირფასი იყო, თუმცა მე არ ვიყავი მაშინ ამ ქვეყანად. არ ვიცი რა იყო ეს უცნაური სიყვარული უცნობი და შორეული ქვეყნისადმი, რომელთანაც აღარაფერი მქონდა საერთო. იქნებ ეს იყო თავისებური ინტერესი, მონახულის გამო წარსულში გადასული, მაგრამ სინამდვილეში — სწრაფვა მომავალი ცხოვრებისაკენ, იმისაკენ, რაც მელოდა წინ, რაც უშუალოდ უნდა გამოშვებოდა და მენახა ისევე, როგორც ყველას გამოუტყდია და უნახავს ჩემამდე. შეიძლება ეს იყო სწრაფვა იმ ცხოვრებისაკენ, რომელიც წარმტაცი გეჩვენება თავისი სიმორისა და ილუმინაციის გამო, რომელიც გიზიდავს, როგორც ოცნება. არ ვიცი, რა იყო ეს, მაგრამ მიყვარდა ის დრო და ის ხალხი, რაღაც გადმოვირეოდა იქედან ჩემში, ავსებდა ჩემს სულს, და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მე ვარსებობდი ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ვიხილავდი ქვეყანას. დაუსრულებლად შორიდან იწყებოდა ჩემი არსებობა, არსებობა არა ჩემი პიროვნებისა, არამედ სულისა, და ასევე დაუსრულებლად მეჩვენებოდა ჩემი მომავალი სიცოცხლე, რომელიც ჩემის აზრით უერთდებოდა სამყაროს საზღვრებს და სრულებით არ წარმოადგენდა სამყაროსგან, ანუ ბუნებისგან განცალკევებულ, მისი არსებობისაგან გამოყოფილ რაიმეს. დაურღვეველი და უცვლელი იყო მაშინ ჩემთვის ის წრე, რომელიც გარს მერტყა, წრე ჩემი მახლობელი და საყ-

ვარელი ადამიანებისა, ნაცნობი გარეუღლისა და, როცა შენამოდა სიტყვა ჩემთვის ვიღილი", მეგონა, რომ ეს მე არ მეხება, ჩემი წრის მიღმა ის, მეგონა, რომ კვლევებიან მხოლოდ უცნობები, ისინი, ვინც შენ არ გპირდება, ვისაც არ იცნობ, ის კი, ვინც შენ გიყვარს, მარადიულად არსებობს შენთან ერთად. არაფერი განიცდიდა სახეცვლილებას ჩემთვის, არაფერი არ ირღვეოდა, მე არ ვიცოდი და არ მწამდა სიკვდილი, ჩემი სიყვარული კი მარადისობის თვისობრიობას ანიჭებდა ჩემთვის ძვირფას ადამიანებს.

მახსოვს გათენება... არ მახსოვს რამდენი წლისა ვიყავი მაშინ, მაგრამ კარგად მახსოვს, რაღაცამ გამოამოვიძა. ერთხელ ფანჯარასთან მწოლარე ბავშვი. მზით იყო საესე ქვეყანა და ჩემი ოთახი. მე წამოვჯექი ლოჯინზე და ორივე ხელებით ვიფშენებდი თვალებს. მინდოდა მეტირა იმის გამო, რომ გამეღვიძა და ჩემთან არავინ არ იყო, მაგრამ რაღაც სასიამოვნო და ტკბილი ხმა მესმოდა, ვგრძნობდი, რომ თუმცა ის საამური ბურუსი გამეფანტა, რომელშიც ვიყავი, ახალი, უფრო უკეთესი და ტკბილი ყოფა შემოიჭრა ჩემს არსებებაში, გამოიყა ამ ჩემთვის აბსოლუტურმა სიახლემ, წამოვჯექი ლოჯინზე, პატარა ხელებით დავეყრდენ ფანჯარას და დავინახე ზის ტოტზე ჩამოძვარი შაშვი, რომელიც ტკბილად გალობდა ამ დილაადრიან, ალბათ, ბედნიერი იყო თავისი არსებობით და იმიტომ; მე კი ვხედავდი მის გრძელ ნისკარტს, სასაცილოდ რომ იღებოდა და იხურებოდა. დიდხანს ვუსმენდი ამ ბედნიერ ფრინველს, სანამ ის არ გაფრინდა და ვგრძნობდი, რომ ძალიან მიყვარდა საკუთარი თავი.

მიყვარდა წვიმა. როცა წვიმა, ჩვენ, ბავშვები, ჩავიცვამდით ხოლმე ბაბუას რეზინის ჩექმებს, ბაბუას რამოდენიმე წყვილი რეზინის ჩექმა ჰქონდა, ზოგი ძველი, ზოგი ახალი, და დავდიოდით ეზოში და ყოველი ნაბიჯის გადადგმისას

შეფეხვებს ვისხამდით ერთმანეთს, ვიცინოდით, და ძალიან გვიხაროდა, რომ კოკებაშვე წყალში ვიდევით და ფეხები კი მაინც მშრალი გვქონდა. მერე ბაბუა გამოვიდოდა ხოლმე სახლიდან, ხელში თოხი ეჭირა, ფეხზე ძველი, ტყავის ჩექმები ეცვა, და ღარს ქრიდა ბოსტინიდან თხრილისაკენ, რომ ბოსტანთან დაგუბებული წყლისათვის გასავალი მიეცა. ჩვენც მოვიტანდით ხოლმე თოხებს, ჩვენი თოხები უფრო მოკლე იყო, ვიდრე ბაბუას თოხი, და ვეხმარებოდით ბაბუას ღარის გაჭრაში, ღარში კი წყალი ნელ-ნელა, ტრიალ-ტრიალით მიდიოდა და მღვრიე იყო. ასეთ ამინდში დღემშიაც იმღვრიოდა ხოლმე წყალი და ნაპირზე ვადმოდიოდა, ბაბუა ამბობდა, წვიმის ღროს წყალი ასეთი ფერის იმიტომ არის, რომ ფსკერზე დაღეკილი შლამი იშლება და წყალში ირევაო. მერე ჩვენ ვეხმარებოდით ხოლმე ბაბუას მოჭრილ ხის გადატანაში. ეს ხე შუა ეზოში ევლო, ვასთან. ბაბუას ის უასახურად უნდოდა, რომ ეზოსთვის ახალი შესერი შემოეველო, და წვიმის ღროს შიშობდა, ხე დასველდება და დაღებო. ეს იყო გრძელი მორი. ბაბუა ერთ თავში წააღებდა ხელებს, მართალია, მოხუცი იყო, მაგრამ ჩვენზე, სამივეზე მეტი ჭანი ჰქონდა, ბავშვები ბოლოდან ვწევდით ხეს და ბაბუასთან ერთად მიგვქონდა სახლისაკენ, რომ იქ, იატაკის ქვეშ შეგვეგდო. ალბათ, ძალიან სასაცილოები ვიყავით, როცა ამ მორს მივათრევდით. ხის ქერქი სისველისაგან რბილვებოდა და ხელებს აქუქყიანებდა და მერე, როცა მორს სახლის ქვეშ შევაგდებდით, ხელებს ხის მძაფრი სუნი უდიოდა, რომელიც სასიამოვნოც იყო და არასიამოვნოც ერთად და იმავე ღროს. წვიმის ღროს ბაბუას არასოდეს არ ელეოდა საქმე. ზოგჯერ საჭირო იყო ჩალის კონების შეზენება სასიმინდში, ან კიდევ ღობესთან დაყრილი წიშის დაფარვა ფანერის ფართო ნაჭრებით. ფანერი სასიმინდში იყო შენახული, კედელთან, და სიძველისა-

გან თუ წვიმისაგან მოლიანად გამოვეყენებოდა. ჩვენ, ბავშვები დავხმარებოდით ველთვის ერთად ვაკეთებდით ამ საქმეს, ბებია კი აივანზე იღვა და უყვიროდა ბაბუას:

— გამოუშვი ეგ ბავშვები სახლში, ნუ დასოცე ამ წვიმასო!

მაგრამ ბაბუა ყურადღებას არ აქცევდა ბებიას სიტყვებს და ამბობდა:

— არაფერი არ უჭირთ, ნუ გეშინია შენ, არ ღახოცებიან.

როცა საქმეს მოვათავებდით, ყველანი უკანა აივანზე ავდიოდით, რიგრიგობით ვიბანდით ხელებს და მგლებივით გვშოდა. მერე ოთახში შევდიოდით ხოლმე. ეზოში ტალახი იყო, ოთახში კი სითბო და სიპუფთავე, და ჩვენ წინდებისამარა დავაბიჯებდით ახლადგარეცხილ, მაგრამ უკვე გამშრალ იატაკზე. რეზინის ჩექმები ზედ აგორგლილი ტალახით და ბაბუას ტყავის ჩექმები, ისიც ზედ აგორგლილი ტალახით, უკანა აივანზე ეწყო კედელთან. უკანა აივანზე იატაკი ქუქყიანი იყო. მერე ბებია დგამდა შუა ოთახში ტაბლას, ირგვლივ შემოუწყობდა ჯორჯოებს და როცა ყველანი დაესაღებოდით, ტაბლაზე დგამდა ფართო თეფშს. რომელზედაც იდო ძალიან დიდი და ყვირთელი მჭადი. მჭადი კეცში იყო გამოცხვარი, ზემოდან შემამარი ჰქონდა თხმელის ფოთლები და ბებია დანით ფხკავდა მჭადს. მერე მოიტანდა ყველს, ლობიოს, ღვინოს. ბაბუა გადატეხავდა ან დაჭრიდა მჭადს, და მაშინ მჭადს ცხელი ოსშივარი ადიოდა ხოლმე. გარეთ კი წვიმდა; წვიმდა და წვიმდა გადაუღებლივ.

უზრუნველად ვადიოდა ზაფხული, ვადიოდა ბავშვობა. რა დამაიწიყებს გამომშვიდობების იმ მწვევე წუთებს, როცა ბაბუა ვერ ფარავდა ცრემლებს. შეფოთებულნი, საწყალი საბით შემოგვცქეროდა და ხარბად გვკოცინდა, გამომშვიდობებისას ყოველთვის გვკოცინდა ხოლმე. მე ახლაც მახსოვს მისი უღვაშების შეხება ლოყაზე და ის ბავ-

შეური, უშუალო ტყვიელი, ღრმად რომ მრჩებოდა გულში. როგორ მეცოდებოდა ბაბუა, რომელიც უჩვენოდ უნდა დარჩენილიყო. მერე ეტლი დაიძრებოდა, ჩვენ ხელს ვუჭნევდით ერთმანეთს, ბაბუა ნელა, თავჩაღუნული, ფეხათრევივით, სევდიანად მიდიოდა ხოლმე სახლისაკენ, ბებიას კი უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი. ღამით, როცა მატარებელი გამოვიდა იმ სადგურიდან, იმ ადგილიდან, რომელიც ანუ ძალიან მიყვარდა, გავიფიქრებდი ხოლმე ვაგონის ფანჯრიდან სადღაც უკან მიმავალ, ჩაბნელებულ სივრცეს მიჩერებულ: „რა საშინელებაა, რომ ველარ დავბრუნდნდი აქ... ალბათ, ასეთივე გრძნობაა, როცა კვდები“, და მძიმე დარღი მაწვა გულზე, დარდი და სევდა იმ ადგილსადაც, რომელსაც ვტოვებდი ახლა.

მაგრამ ყოველთვის, როგორც-კი ვიშოვიდი საშუალებას, აუცილებლად ვბრუნდებოდი სოფელში. თანდათან ვიზრდებოდი, ვიკვლევოდი, იცვლებოდა სოფელიც, მაგრამ არ იცვლებოდა ჩემი სიყვარული, უბრალოდ, ამ გრძნობას ხანდახან სევდა ერეოდა ხოლმე. ისევ ძველებურად მიყვარდა ბებერი რამ. მასსოვს შემოღვომის საღამოები, როცა ჩვენ ვიჭექით ხოლმე აივანზე ჩაის შემდეგ და ესაუბრობდით ღმერთზე. ცაში ამოდიოდა დიდი, ლიმონისფერი მთვარი.

— რა არის ახლა ეს, რა ძალას ამოკყავს ცაზე, ა? — კითხულობდა ბაბუა.  
— ბუნების კანონია, — ვპასუხობდი მე.

— რა კანონია მაგი? — გრაეიტაციის, ანუ მიზიდულობის კანონი; მთვარე დედამიწის ირგვლივ მოძრაობს, იმიტომ, რომ დედამიწა იზიდავს, დედამიწა თავის მთვარიანად მზის ირგვლივ, იმიტომ, რომ მზე იზიდავს, მზე თავის პლანეტებიანად სხვა ვარსკვლავების ირგვლივ მოძრაობს, რომლებიც ერთ ჯგუფს ქმნიან და მათ გალაქტიკა ეწოდება, ეს ჯგუფი კიდევ

სხვა ჯგუფის ირგვლივ მოძრაობს და უსრულლებელ სივრცეში და ასე შემდეგ...  
— კი, — ჩაელიმებოდა ხოლმე ბაბუას — კი მაგრამ რამ შექმნა, ვინ შექმნა მაგ კანონი?

— ბუნებაში  
ბაბუა ჩაიხითხითებდა ხოლმე.  
— ყველაფერი ღმერთმა შექმნა, — ამბობდა ის დარწმუნებულად.  
— ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა, — ვეუბნებოდი მე.

იმ ღამეს ბაბუა დიდხანს იწერდა პირფარას, საცვლების ამარა ლოგინზე ჩამოძვდარი, ჩემად ბუტბუტებდა ხოლმე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“... ან „მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მშობელი“... და მერე დაიძინებდა.

მე ვიჭექი აივანზე, ვუყურებდი ვარსკვლავებით მოქედილ ცას და ვფიქრობდი ხოლმე: „მართლაც რამ შექმნა, ვინ შექმნა, როდის შექმნა, რისთვის შექმნა, რატომ შექმნა?“

მართლა, რა არი ცხოვრება? რატომ ხდება ის, რაც ხდება? რისთვის არი საჭირო ეს მუღმივი სახეცვლილება, მუღმივი მოძრაობა, განვითარება, რღვევა და შექმნა? როგორ შეიძლება იმის მიღწევა, რომ საკუთარ, ადამიანურ ინტერესებზე მაღლა დაღვე და ყველაფერი ეს განსუკრიტო, მთელი არსებით აუცილებლად მიიჩნიო და აღარ გაშინებდეს სიკვდილი?

მე მასსოვს იმ ზაფხულს, ერთხელ იატაკზე ვიჭექი ჩვენს აივანზე და ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ ვკითხულობდი. წიგნი იატაკზე მედო. საიდანღაც გამოხოზდა ჭიანჭველა. მე ეს ჭიანჭველა გავსრისე და ფიქრებს შორის დარჩენილ, მტვერით ამოქსებულ ნასვრეტში ჩავაგდე. ცოტა ხნის მერე მეორე ჭიანჭველაც ამოხოზდა. მე ისიც ღრწოში ჩავაგდე, მაგრამ არ მოვკალი, რატომღაც არ მოვკალი, მინდოდა მეყურებინა რას იზამდა. ჭიანჭველა დარბოდა და გამოსავალს დაეძებდა, მე კი ზემოდან დავცქეროდი მას და ვერთო-

ბოლი. მისი წინამორბედი უკვე მკვლარი იყო და იქვე ეგდო, ეს ჭიანჭველანი სრულებით შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. უეცრად გაიფიქრე, ჭიანჭველა რომ შეგნებულნი არსება იყოს, მან რომ აზროვნება ჭქონდეს, როგორ ახსნიდა ამ მოვლენას, რომ ერთი ჭიანჭველა მოკვდა რატომღაც, მეორე კი, სრულებით ისეთივე ჭიანჭველა, გადარჩა სიკვდილს იმავე ადგილზე, ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ ახსნიდა ამას, ვერ მიხვდებოდა, რა მოხდა. იმდენად დიდი ვარ მასზე, რომ ჭიანჭველას არ შეუძლია მთლიანად შემიცნოს მე. მას შეუძლია დაინახოს ჩემი სხეულის სულ მცირე ნაწილი, მაგრამ მთლიანად მე ვერასოდეს ვერ აღმიჭვამს და, მით უმეტეს, ვერ შემიცნობს. როგორ უნდა შემიცნოს ჭიანჭველამ, როდესაც მე თვითონ ვერ შემიცვნი მთლიანად საკუთარი თავი? ამიტომ ჭიანჭველამ არ იცის, რატომ მოკვდა ერთი იმათგანი და რატომ გაუღიმა ბედმა მეორეს. მე არ მეცოდება ჭიანჭველა, რადგან ჩემთვის გაუგებარია მისი ცხოვრება და მსოფლმხედველობა, თუ კი მას გააჩნია ცხოვრება ან მსოფლმხედველობა. ერთის სიღრმე და მეორის სიშორე განაპირობებს იმას, რომ ორივენი ერთმანეთისადმი შეუცნობლები ხდებიან. იქნებ ასეთსავე დამოკიდებულებაში არიან ადამიანი და ბუნების ყოველგვარი მოვლენები, ანუ ღმერთი, როგორც მას ბაბუაჩემი ეძახის? მაშ რაში მდგომარეობს ცხოვრების კანონზომიერება და რატომ არის ის მცნება, რომელსაც ჩვენ კანონზომიერებს ვეძახით, კანონზომიერი?

კაცობრიობის წინაშე, სანამ კაცობრიობა იარსებებს, ყოველთვის დარჩება კითხვა „რატომ?“ რადგან ამ კითხვის გარეშე შეუძლებელი იქნება აზრის წინსვლა, აზრის თვისება კი ისეთია, რომ ის განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, უნდა მიდიოდეს სულ წინ და თუ მისი წინსვლა შეჩერდა, ეს ნიშ-

ნავს იმას, რომ შეჩერდება აღმშენებლის ცხოვრება.

ყველაფერი ირღვევა, ყველაფერი იცვლება. იმ გაზაფხულზე ბაბუა მომიკვდა. დამთავრდა მისი ცხოვრება. ხუთი ძმა იყო და აღარცერთი აღარ დარჩა ცოცხალი. ახლა ბაბუას სურათიც ეკადა კედელზე. შეწყდა ის ამოუწურავი სიყვარული, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მათობდა და მათყვარებდა ცხოვრებას. მათყვარებდა არა მარტო ჩემს პირად ცხოვრებას, არამედ ცხოვრებას საერთოდ, რადგან ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო თვითონ ბაბუას ცხოვრება, რომელსაც ის ანე თბილად და სიყვარულით მაცნობდა, რომელსაც შერწყმოდა სხვა, უამრავი უცნობი ხალხის ცხოვრება, ბაბუას მიერ დანახული და აღქმული, და მის ცხოვრებასთან ერთად გადმოსული ჩემს ცხოვრებაში. მე ვიდექი ბაბუას საფლავთან, საფლავი მიწით იესებოდა, უკრავდა არღანი, რომლითაც ქეიფი ძლიერ უყვარდა სიცოცხლეში, ძველი სასაფლაოს სურთომოკიდებულ გალავანს იქნებ, საღდაც კიდევ უფრო იქნებ, ჩადიოდა დიდი, წითელი მზე, და მე ვგარძნობდი, რომ ბაბუას სული ჩემთან დარჩა, ჩემთვის იგი ისევ ცოცხალი იყო, რადგან მე მიყვარდა ის, უმისოდ არ შემეძლო ცხოვრება, ის ისევ ჩემთან იყო, მაგრამ მე ვეღარ ვიგარძნობდი მის შეხებას, მისი სხეულის სასიამოვნო სუნა, თუმცა მე შემეძლო წარმომედგინა ეს, ვეღარ გავიგონებდი მის ხმას, მის სიცილს, ჩახველვებას, მე ვეღარ დავინახავდი მის საყვარელ, მუდამ სიბარულთ და სიკეთით აციმციმებულ თვალებს, თუმცა მე შემეძლო დამენახა ეს გონების თვალთ, მაგრამ მოგონება დანაკლისს ვერ ანახლავდებოდა და მთელი ჩემი არსება აღმფოთებულნი და შეძრწონებულნი იყო ამ საყოველთაო კანონზომიერებით, რომელიც დაუმსახურებელ ტკივილს გაყენებს და კაცს არაფერი შეგიძლია იღონო.

მერე მატარებელი ჩამოვდგა. მოთმი-

ნებადაკარგული მგზავრები ბაქანზე იშვალან. მე დღეს პირველად მივიდიოდი სოფელში ბაბუას სიყვდილის შემდეგ და უცბად ვიგრძენი: დაუარულებლად იცოდა ვიქნებოდა ამ ქვეყანა, მაინც ვეღარასოდეს ვეღარ განვიცდი იმ სიხარულს, როცა ძალიან შენატრება ბაბუა, ჩავალ სოფელში და ვნახავ მას. მე გამოვერკვე და ვიგრძენი დღევანდელი დღე. მგზავრები ვაგონებს მიაწყდნენ.

— მომეცი ჩემოდანი! — ვუთხარი კონდას.

— ბარემ ვაგონამდე წამოვიღებ...

მივედი ჩემს ვაგონამდე. მერე გამოვეშვიდობე ორივეს, ჩემოდანი გამოვართვი და ზემოთ ავედი...

ისევ იგივე სუნი, იგივე ფუსფუსი, მაგრამ სულ სხვა იყო ჩემი განწყობილება. მე ვიდექი ღია ფანჯარასთან და ვუყურებდი სივრცეს. მატარებელი დაიძრა. ისმოდა მისი ბორბლების გრუხუნი. შორს მოჩანდა ბნელი მთები. მე მიყვარდა ქვეყანა. მე მიყვარდა ბნელში ჩაფლული მიძინებული არე-მარე, მიყვარდა ხეები და ცხოველები. მე ვგრძნობდი, რომ ძალიან მიყვარდა ადამიანები, ის ხალხი, ვინც ახლა ჩემთან ერთად მგზავრობდა, ყველა ვინც კეთილია. მე მაწუხებდა მათი ხვედრი, რადგან თვითონაც ადამიანი ვარ.

მე მიყვარხარ შენ, ვინც ახლა ამას კითხულობ, თუ შენ კეთილი კაცი ხარ, თუ შენ სამართლიანობა გიყვარს. მე მიყვარხარ შენ, ვინც ჩემს შემდეგ მოხვალ, მოხვალ მაშინ, როცა აღარ ვიქნები მე და ამიტომ არ მეცოდინება როგორი ხარ, ვინა ხარ, სადაური ხარ. მე ვერ ვნახავ შენ, მაგრამ შენ ნახავ იმ ქვეყანას, რომელიც მეც მინახავს და მიყვარდა, იცხოვრებ იმ სამყაროში, სადაც მეც გამიტარებია ჩემი სიცოცხლე და თუმცა, როცა შენ მოხვალ მე აღარ დაგხვდები აქ, ხომ იქნება მთები და ზღვები, რომელიც მეც მიყვარდა, ხომ იქნება ტყეები და მდინარეები, ცა და მიწა, ყოველ გაზაფხულობით ხომ ისევ აყვავდებიან ყვავილები, გაიფოთლ-

ბიან ხეები და დაიწყებენ ჩიტები გლობას და შენ ეს დაგატყობს, როგორც მე მატყობდა თავის ღროს, ხომ ისევ იქნება ქვეყანაზე ხალხი და შენ განიშკვალები მათდამი ღრმა თანაგრძნობით, შენ შეგიყვარდება ცხოვრება, ბუნება, რომელიც მეც მიყვარდა და ამ სიყვარულით გამო, რაღაცნაირი უხილავი გზებით რომ გაღმოვა ჩემგან შენში, შენ გეყვარები მე, და მეც, ჩემდაუნებურად, ისე, რომ არც კი მეცოდინება შენი არსებობა, შეყვარები შენ, ვინც ჩემს შემდეგ მოდიხარ. ყოველთვის სიკეთე შენდომება შენთვის, სადაც არ უნდა იყო, რომელი ქვეყნის შეილიც არ უნდა იყო, ოღონდ იყავი კეთილი და სამართლიანი, რადგან შენ ხარ მომავლის ადამიანი და მე წარმოდგენილი მყავხარ გაცილებით უფრო უკეთესად, ბედნიერად და სრულყოფილად, ვიდრე დღესა ვართ ჩვენ. ვინ იცის, იქნებ ამ სიყვარულშია კაცობრიობის სიცოცხლის უწყვეტობის საფუძველი? ხომ შეიძლება ადამიანი მოკვდეს, აღარ დარჩეს მისი საფლავი, — როგორც, მაგალითად, შოთასი, ნიკო ფიროსმანაშვილისა და მრავალი სხვისა, — მაგრამ მათი სახელი, მათი სულისკვეთება მარადილად რჩება, უკვდავია, ნათელი და რეალურია შემდეგი თაობებისათვის. არათუ საფლავი, სახელიც კი რომ აღარ დარჩება კაცისა ეამთა სიმრავლის გამო, როგორც იმ ხალხური ანდაზების ავტორებისა, რომლებითაც დღესაც ვხვდებით ველამდევანლობით ცხოვრებაში, მაინც დარჩება მისი სულის ნაწილი, რომელიც ჩვენგან შეუცნობლად ჩვენ სულს უერთდება და გვეხმარება წუთისოფელთან ბრძოლაში.

2

მე მივიდიოდი ველოსიპედით წვიმებისგან გაფუჭებულ შარავნაზე, ირგვლივ მინდვრები იყო. მინდვრებზე საქონელი გაფანტულიყო და გრძელჯობიანი, ოღნავ მოსულელი სახის შენახირე, მხარზე ჩანთა გადაკიდებული,



გაპურძეგნილი და გაუპარსავე, დიდხანს მიყურებდა. მე გავცილდი მენახირეს, შევედი ტყეში, სადაც გრილოდა და ხავსის სუნი იდგა, და როცა ტყე გავიარე, ჩემს ირგვლივ თვალწუდებელი დაბლობი გადაიშალა. ვივრძენი, როგორ მსიამოვნებდა აქ ყოფნა და გული შეცარი სიბარუღით გამეგვსო. მე მიყვარს დაბლობი, მიყვარს მისი თავისებური სილამაზე. აქ სივრცე გაშლილია, ცა დიდია, ვრცელი, და ფიჭრი შორს ნიღის. დაბლობის ბოლოს კაცკასიონის ლურჯი მთები მოჩანდა, იმათ თავზე მკვეთრად ამალღებულოცო სრულიად თეთრი ბეზინგის კედელი. მე ვხედავდი ნაცრობ მწვერვალებს: თეთნულდს, გისტოლას, ჯანდას, შხარას და მიხაროდა, რომ ვცნობდი მათ შორიდან. მერე მომაგონდა ის მივიწყებული შეგონება, რომელსაც ყოველთვის განვიცდები, როცა მთაში მივდივარ და დაბლობიდან შეცრად დავინახავ თაოლიან მწვერვალებს. აუტანლად მინდა ხოლმე მაშინ იქ ყოფნა. უცნაურად მიზიდავს მათი შეუბღალავი სითეთრე და სიშორე. ახლა მწვერვალებს ჩამავალ მზისაგან ოდნავ მოწითალო ფერი გადაკრავდა, ჭედი კი ლურჯი იყო. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ვხედავდი მათ, რომ ოდესღაც მივლია მათ კალთებზე. ჩემს სულს აესებდა მათი სილურჯე, როგორც ნაზი, სსიამოვნო მოგონება. რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ მათი სილურჯე ილუზიაა, ახლოდან მთები არასოდეს არ არიან ასე ნაზი და ჰეროვანი, მაგრამ რით არი ცუდი ილუზია? განაცხოვრებაში, ძალიან ხშირად, ყველაზე დიდი სიამოვნება, რომელსაც აღმიანი განიცდის, თვითონ მიაჩვენ ფანტაზიისა და წარმოსახვის მიერ შექმნილი სიყალბე არ არის, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს? მაშ, რა არის ოცნება თუ არ ილუზია, არა რეალობა?! და არასოდეს ოცნება ისე არ სრულდება, როგორც შენ გქონდა წარმოდგენილი. ალბათ, ამიტომ არის ბავშვობა დაახლოებით 6-7 წლამდე, ყველაზე ბედნი-

ერი ხანა, რადგან ბავშვს აქაყოფილებს თავის მიერ შექმნილი ვახტანგის სამყარო, სამყარო ოცნებისა, და კრიტიკული ანალიზის გარეშე უღებება მას. მე მოვიდოდი ველოსიპედით და ნიავესახეში მცემდა. ბავშვივით მიხაროდა, რომ მზე ჯერ არ ჩასულყო, ერთმანეთში არეული თეთრი, სუფთა ღრუბლები კი ასე ლამაზად შერწყმოდა ცის ტატნობს.

უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც სოფელში ჩამოვედი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვხოლან არ გავსულვარ, ვიჯექი სახლში და ვკითხულობდი. მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა აღარ იყო ცოცხალი, მაინც მიყვარდა აქაურობა, მსიამოვნებდა აქ ყოფნა. მერე მომინდა იმ ადგილებს ნახვა, რომლებთანაც ამდენი მოგონება იყო დაკავშირებული. შეუადინას გამოვართვი მეზობლის ბიჭს ველოსიპედი და გავყვევი ორლობეს. ველოსიპედით სწრაფად სიარულმა გამიბატა და სულ მალე გავცილდი ჩვენ სოფელს, ჩვენს მინდვრებს და ქალებს, ძველ ეკლესიას და სასაფლაოს, სადაც ბაბუა ემარბა.

ტრიალ მინდორზე გამრგედი და უცხად მომაგონდა სოლომონი, ბაბუას ძველი შეგობარი. რამდენი ხანია სოლომონი აღარ მინახავს. როგორ მიყვარდა მათთან სიარული! ის მდინარესთან ახლოს ცხოვრობდა, ქალაში. ბაბუას სიტყვით, წინათ აქ სხვა მოსახლეობაც ყოფილან, მაგრამ ისინი დაიხოცნენ, ახალგაზრდები კი ამ ადგილებიდან აიყარნენ და ცენტრში, ესე იგი, მთავარი გზის სიახლოვეს დასახლდნენ. მე მოვებარუნე ველოსიპედი და მდინარისკენ მიმავალ გზას დავადექი. სოლომონი და მისი მელღლე ირინე, რომელსაც სოფელში ყველანი ირინე ბიკოლას ეძახდნენ, სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ, განმარტოებით. ბავშვობაში დავყავდი ბაბუას, ან ბებუას მათთან სტუმრად, ძალიან მიყვარდა მათი სახლი. ეს იყო დაბალი, იმერული ოდა, დიდი და ფართო რიკულებიანი აივანი

ჰქონდა. არაფერი არ ჯობდა საღამოობით ამ აივანზე ჯდომას და მზის ჩასვლის ყურებას. მზე ნელა ჩადიოდა ხოლმე, მინდვრებიდან საქონლის ბღავილი იმყოფდა და საოცრად საგრძნობი ხდებოდა საღამო. მე ვიჭექე და ვუყურებდი მზის ჩასვლას და რაღაცნაირი სასიამოვნო სევდა მიპყრობდა ხოლმე. ეზოში ბებერი, თითქმის გამხმარი ცაცხვი იდგა. მუზობლები ურჩევდნენ ამ ხის მოჭრას სოლომონს, მაგრამ ის არ თანხმდებოდა, რადგან უნდოდა ეზოში ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც ყოველთვის იყო. ჭიჭიდან სახლამდე მთელ ეზოში ზაფხულობით სათიბი ბიბინებდა. სახლის უკან ხეზილის ბაღი და ბოსტანი იყო და სიჩუმე, დაურღვევლად გამეფებული სიჩუმე, თითქოს ცხოვრებასაც ჩუმს და შეუმჩნეველს ხდიდა. სოლომონი მთელ დღეებს ბღავი ატარებდა, თუ აივანზე არ იჯდა და არ კითხულობდა. არაფის არ ჰქონდა მთელ სოფელში ასეთი ბაღი.

რამდენი ზანია აღარ ვყოფილვარ სოლომონთან. აღბათ, უკვე ხუთი წელი გავიდა. მე მასსოფს ის საღამო, როცა უკანასკნელად ვიყავი მასთან. იმ ზაფხულს მთაში მივდიოდი, აღბინისტურ ექაპედლიაში. მასსოფს, დიღხანს ვიჭექით აივანზე და ვლაპარაკობდით. სოლომონი საქართველოს და შვეიცარიას აღარებდა ერთმანეთს. შორს, სამხრეთით ძალიან მკაფიოდ მოჩანდა გურიის მთები.

— მიყვარს მთები, — თქვა სოლომონმა, — იმიტომ ვცხოვრობ აქ, რომ მთებს ვუყურო.

— არ ჯობდა მთაში დასახლებულიყავით, თუ კი ასე გიყვართ მთა? — ვკითხე მე.

— როცა მთაში ხარ, შვილო, მთა ხვეულდბრივია. მე მიყვარს, როცა შორიდან ვუყურებ მას. შორიდან ყველაფერი ზღაპრულია, — მიბასუხა სოლომონმა.

კარგი კაცო იყო სოლომონი და მე ის გულწრფელად მიყვარდა, ისიც და მისი

მეუღლეც — „ბიკოლა ირინე“. სოლომონი მონი ჩვენი სოფლის სკოლამაჩვენებდა ნულის მასწავლებელი იყო. როცა ფრანგულის სწავლაც შემოიღეს, სოლომონი ამ საგანსაც ასწავლიდა, რადგან ორივე ენა, გერმანული და ფრანგული, ზედმიწევნით კარგად იცოდა. სოლომონის მეუღლე რუსულს ასწავლიდა. ახლა ორივენი პენსიაზე იყვნენ და მარტო ცხოვრობდნენ, რადგან შეილები არ ჰყავდათ. ახალგაზრდობაში რამდენიმე წელი მათ ევროპაში ვაჭარეს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპიდან დაბრუნდნენ და რუსეთში დასახლდნენ. რევოლუციის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ. რამდენიმე ხანს თბილისში იცხოვრეს, მაგრამ იქ დიღხანს არ გაჩერებულან, საბოლოოდ დაბრუნდნენ სოფელს და სოლომონის მამაპაპისეულ სახლში — დამკვიდრდნენ. მას შემდეგ აქ ცხოვრობდნენ. ზოგიერთს უკვირდა, როგორ ძლებდა სოფელში ეს განათლებული ზაღბი.

— დიდი ქალაქის პროვინციალიზმი გაცილებით უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე ნამდვილი პროვინციისა — ამბობდა სოლომონი.

მისი მეუღლე საცხებით ეთანხმებოდა სოლომონს. სოლომონს მყუდრო, აუღლებებელი ცხოვრება უყვარდა და, მე მგონი, სრულიად კმაყოფილო იყო თავისი ბედითა. ასწავლიდა სოფლის ბავშვებს უცხო ენებს, უვლიდა თავის პატარა კარმიდამოს და გადიოდა დრო. უნდა ითქვას, რომ სოლომონი და მისი მეუღლეც ძალიან უყვარდათ სოფელში და პატივს სცემდნენ. შესანიშნავი მოხუცები იყვნენ ეს ცოლ-ქმარი. დარბაისელნი, განათლებულნი, კარგი სიტყვა-პასუხიანი. სოლომონი, მიუხედავად უაღრესად გულდიი ზანიათისა და უშუალობისა, ეტყობა, სულიერად თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება იყო, რადგან თავის ნიჭსა და უნარს შეძლებისდაგვარად არ იყენებდა. ყოველშემთბევვაში, ასე მიიჩნდა ყველას, ვინც მას

იცნობდა და ეისაც, რა თქმა უნდა, მეც ვიცნობდი.

— მაგას, ბატონო, იმისთანა ცოდნა აქვს, მინისტრად დადგება, თუ მოინდომა, — ამბობდა, მაგალითად, ბაბუაჩემი.

მაგრამ ბაბუაჩემს მაინც ესმოდა მიაი.

— კაცი რომ მოხუცდება სამშობლოში უნდა დაბრუნდეს და თავის სახლში უნდა დაასრულოს სიცოცხლე. ძველ დროს, ალექსი ხოშტარიას შვეიცარიაში მოუკვდა დედა, სუჯუნაში ჩამოასვენა და იქ დამარხა, თავის სოფელში, აბა? ახლა რომ გარბის ხალხი სოფლიდან, ისე კი არ იყო მაშინ, — ამბობდა ბაბუა.

— ახლა, ყველაფერზე სულერთიაო, იძახიან და მართლაც ყველაფერი სულერთი გახდა, — უმატებდა ბებია.

თვითონ ბაბუაჩემი, ორმოცდაათი წლის რომ გახდა, სოფელში დაბრუნდა და სამუდამოდ აქ დასახლდა. შეიძლება სწორედ ამის გამო ესმოდა მას სოლომონისა.

ასე იყო თუ ისე, სოლომონი არ ეძებდა ფართო სარბიელს თავისი ვნებებისათვის გასაქანის მისაცემად. მე მგონი, მას ასეთი ენებები არც ჰქონდა და ამიტომ, არც მოთხოვნილება — ფართო მოღვაწეობისა. მას საესებით აკმაყოფილებდა ჩვენი სოფლის სკოლა, თავისი ეზო და ბაღი. მართლაც, არაფერი არ ჯობდა მის ეზოში ყოფნას, ყველაფერი მოვლილი და მოსუფთაებული იყო, ხეები თეთრად შეღებილი და გასხლული.

როგორ მიყვარდა ბავშვობაში სოლომონთან სიარული ვიდექი ხოლმე მის ოთახში, ვუყურებდი თაროებზე დალაგებულ წიგნებს, ჰერამდე რომ აღწევდა. უამრავი წიგნი ელაგა თაროებზე, — ზოგი უცხოური, უმრავლესობა — რუსული და ქართული, — და მე მიზიდავდა ის საიდუმლო, რომელსაც ისინი თავის ფურცლებში ინახავდნენ. ძალიან მინდოდა მცოდნოდა, რა ეწერა ამ წიგნებში. სოლომონი ყოველთვის მაძლევ-

და წიგნებს. მე მომჭონდა წიგნი ჰახლში, ვწვებოდი ბაბუას უბრალოდ, — ოთახში, და მთელი დღე ვკითხულობდი. მახსოვს აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული. წიგნითხე ყველა ლექსი, ყველა პოემა, ყველაფერი, რაც იმ წიგნებში იყო დაბეჭდილი აკაკისა, და ძალიან ძვირფასი და საყვარელი გახდა აკაკი ჩემთვის.

— იცნობდი, ბაბუა, აკაკი წერეთელს? — ვკითხებოდი ბაბუას.

— როგორ არა, ბატონო! ოხ, რა ლამაზი კაცი იყო! აქამდე თეთრი წვერები ჰქონდა, — ხელით მიჩვენებდა ბაბუა, — ყოველ 14 იანვარს, ძველი სტილით, ბათუმში ჩამოდიოდა, გამოაბამდნენ ეტლიდან ცხენებს, შეებმებოდნენ შიგ მწინისთანა ახალგაზრდები, გოგოები და ბიჭები სულ თეთრად გამოწყობილნი, თეთრ ჩოხა-აბალხნში და თეთრ კაბებში, და მიჰყავდათ კლუბში. იქ წარმოდგენა იმართებოდა, იყო მუსიკა, კონცერტი, დიდი ამბავი იყო. აბ, რა კაცი იყო!

აკაკის სიყვარულმა იმ ზაფხულს სხვიტორში წამოიყვანა, სადაც ერთი ჩემი სკოლის ამხანაგი ცხოვრობდა. მახსოვს ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა, პატარა სადგურები, შავი ყვირილა და მწვანე მთები; მახსოვს სიგრილე, რომელიც უცბად დამკვიდრდა ხეობაში, მზის ჩასვლისთანავე. მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, თუ რამდენჯერ უმგზავრია აკაკის ამ ადგილებში, რამდენჯერ დაუნახია ის, რასაც ახლა მე ვხედავდი. მახსოვს აკაკის სახლი, რომელიც სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი „ჩემი თავგადასავლის“ მიხედვით, მაგრამ მაინც მომეწონა — და ის ოთახიც, სადაც აკაკი მოკვდა, მისი ლოგინი, მისი კალოშები, თეთრი ხალათი კედლებზე რომ ეკიდა, რომელიც აღარ ჰქირდებოდა პატრონს, მაგრამ მჭირდებოდა მე, რომ მეგრძნო მისი პატრონი. ყველაფერი ძვირფასი იყო ჩემთვის აქ და მე ისეთი გრძნობა მქონდა, როგორც ეკლესიაში შესულ მორწმუნეს.

იმავე ზაფხულს ნიკო ნიკოლაძის თხზულებებს ვკითხულობდი. მახსოვს, როგორ ჩავიდა ნიკო პეტერბურგში, როგორ ჩააბარა გამოცდები უნივერსიტეტში, მერე როგორ მოიგონა სიტყვა „ლიანდაგი“ რკინიგზისათვის, როცა ერთხელ დედამისი ქუთაისში საბანს ეწვავდა და ნიკომ ჰკითხა:

— რასა შევბიო?

— საბანს ვალიანდაგებო, — უპასუხა დედამ.

— ბაბუა, იცნობდი ნიკო ნიკოლაძეს?

— როგორ არა. მაგი, აგერ ჯიხაიშში ცხოვრობდა, გერმანულა სტილის სახლი ედგა. პატარა ტანის კაცი იყო, მოკლე წვერები ჰქონდა, ბლანეი, ყვეზოდა ბაბუა, — ფოთის ნავსადგური მაგან გააშენა. ერთხელ, სადგურზე ვარ, ჩემო ბატონო, მატარებელი საცაა უნდა წაიედეს, მაგან წერილი დაწერა, ჩადო კონვერტში, გავიდა სადგურის უკან, ჩააგდო წერილი საფოსტო ყუთში და რომ დაბრუნდა ბაქანზე, მატარებელი წასული დახვდა. დახვდა საათს, დაუძახა სადგურის უფროსს და უთხრა:

— Я вас спрашиваю... — აქ

ბაბუა ხმას უწევდა და ისე შემომხედავდა, თითქოს მე ვიყავი ის სადგურის უფროსი, ნიკოლაძემ რომ უყვირა, თან ხელებს იქნევდა: — Я вас спрашиваю, на каком основании вы отправляете поезд на две минуты раньше расписания? შავი დღე დააყენა, მოხსნა, მერე ვკითხე, ვინაა ეს კაცი-მეთქი, და ნიკოლაძეაო — მითხრეს. დიდი კაცი იყო.

სოლომონი მაძლევდა წიგნებს, ვკითხულობდი ჩვენს კლასიკოსებს: ილიას, ვაჟას, მიყვარდა ისინი, თანდათან ვივსებოდი მათი სულისკვეთებით.

— ილიას იცნობდი, ბაბუა?

— ილიას არ ვიცნობდი, ბაბუა!

— ვაჟას?

— არც ვაჟას ვიცნობდი, ბაბუა!

და მე გული მწყდებოდა, თან მიკვირდა, რომ ბაბუა არ იცნობდა არც ილიას, არც ვაჟას, თუმცა იმ დროს ცხოვრობ-

და და რომ მოენდომებინა შეგნობა ეცნო ისინი.

რამდენი წიგნი მოუტია სოლომონს ჩემთვის, ახლა აღარც მახსოვს, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ იმ დროინდელი კითხვის მეოხებით ჩამომიყალიბდა გარკვეული გემოვნება და შეხედულება საგნებზე, საკუთარი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ, კარგისა და ცუდის შესახებ...

უკანასკნელი ორლობეც მოთავდა და გამოჩნდა ნაცნობი ჭალა. გამოჩნდა დიდი, ბებერი მუხები, აგე, იმ მოსახვევის იქეთ სოლომონის სახლია, ძველი, ლამაზი სახლი. ახლა ასეთ სახლებს აღარ აშენებენ. ახლა აგურით ან ბრიკეტით ნაგები ორსართულიანი შენობები დგას ეზოებში, რომლებიც ვერაფრით ვერ ებამებიან ჩემს წარმოდგენას სოფლის სილამაზეზე. მოსახვევიც გავიარე და, აჰა, სოლომონის სახლი დავინახე.

ეს სახლი სოლომონის მამას აღუშენებია. ბაბუას თქმით, სოლომონის მამა ძალიან ენერგიული ვაჟაკი ყოფილა. მე მინახავს მისი სურათი სოლომონის ოთახში, საწერ მაგიდაზე. ეს იყო ჭარმაგი მოზუცი მამაკაცი, ყოჩაღი, ამაყი გამომეტყველება ჰქონდა. მას საქმაოდ შეუბღარავებული წვერ-ულვაში ამშვენებდა. ძველებური სერთუცი ეცვა, სერთუკის შიგნით კი — ტილერტი, რომლის ჯიბეში საათის ძეწკვი მოუჩანდა. მაშინდელი მოდის მიხედვით გახამებულ, აწეულ საყელოზე დიდი პალტუცი ეკეთა. მე კარგად მახსოვს ეს სურათი. მახსოვს მეორე სურათიც, რომელიც ამ სურათის გვერდით იღო სოლომონის საწერ მაგიდაზე, ახალგაზრდა უწვერულვაშო კაცისა, რომელსაც სტუდენტის ძველებური, თეთრიღებებიანი და სამხრეებიანი ფორმა ეცვა. ეს სოლომონის უმცროსი ძმა იყო. ის რუსეთში სწავლობდა, პეტერბურგში, მაგრამ მერე სწავლას თავი გაანება და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, ბოლშევიკი გახდა. სოლომონის მამას განსაკუთრებით უყვარებია თავისი უმცროსი ვაჟი და ბაბუას სიტყვით, სწორედ ამაში უნ-

და ვეძებოთ მიზეზი იმისა, რომ ისიც ბოლშევიკი გახდა. მამა თურმე თავისი შვილის ძლიერ გავლენას განიცდიდა, რაც ხშირად ხდება ძლიერი სიყვარულის დროს და კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდა შვილი გაცილებით უფრო მტკიცე ხასიათის არი, ვიდრე მოხუცი მამა. ბაბუას სიტყვით, ორთვენი ბრწყინვალე მომღერლები ყოფილან.

— ჩიტს ჩამოაგდებდნენ ხიდან,—ამბობდა ბაბუა.

საერთოდ, ეს ოჯახი განთქმული ყოფილა სიმღერით, თუმცა მე არასოდეს მინახავს, სოლომონი მღეროდეს. მაგრამ ბაბუა ამბობდა, თავის დროზე სოლომონიც მღეროდაო. როცა საქართველოში მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, სოლომონის ძმა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული და არალეგალური-რევოლუციური მუშაობა დაუწყო... 1921 წელს, უკვე მაშინ, როცა ასე ახლოს იყვნენ მიზანთან, ორთვე მამაშვილი შეიპყრეს თურმე მენშევიკებმა. არცერთს არ ცოდნია მეორის დაქვრის ამბავი, რადგან სხვადასხვა ადგილას და ისიც სრულებით მოულოდნელად დაუქვრიათ ორივენი. ბაბუა ჰყვებოდა, როცა ისინი დასახვრეტად მიჰყავდათ ერთ ეტაპში მოხვედრილან. ასი კაცი, თუ უფრო მეტი მიყავდათ თურმე დასახვრეტად. ზამთრის წვიმიანი, ბნელი ღამე ყოფილა. ეს მომხდარა იანვარში. და აი, მიდიან პატიმრები, მიდიან თავიანთ უკანასკნელ გზაზე. უეცრად გაისმა ამჟღავნებელი, რაღაც არაჩვეულებრივი სიმღერა, ვიღაც მღეროდა უკანა რიგებში. სოლომონის მამა წინ მდგარა, ფეხშიშველი. გაოგნებული, გამოფხიზლებულა მოხუცი და უცნია ხმა, უცნია მოხუცს ეს საყვარელი ხმა და უბღავლია; „შვილო, შენც აქა ხარ, შენც გკლავენ შვილო!“ და დაცემულა ტლახში. ატეხილა ჩოჩქოლი, მოვარდნილა შვილი და ჩაუტარეს მამა გულში. მერე სიმღერით უვლიათ ორივეს ბოლომდე. იმ ღამეს დაუხვრეტიათ მამა-შვილი.

სოლომონი არასოდეს არ იგონებდა

ამ ამბავს, მაგრამ ბაბუაშვილს ამბავს, სწორედ ამ ამბავს გამოიწიეს ამჟღავნებელი, აუღელვებელი ცხოვრება. ჩამოცილდა დიდ ქალაქებს, კულტურის ცენტრებს და ჩამყუდროვდა თავისთვის. რაღაც მოხდა მის არსებაში ისეთი, რამაც შეაცვლევინა აღრიხველი აზრი ცხოვრებაზე და აღამიანის დაწინაურებაზე. ახლა სიამოვნებას პოულობდა მღელვარე ცხოვრებისაგან სიშორეში და იმაზე ოცნებაში, რაც შორს იყო მისგან. ახდენილი ოცნება ან ნატვრა არა სწამდა. ის მუდამ რაღაც შორეულზე ფიქრობდა და ოცნებობდა.

— გენატრებათ ის ქალაქები, სადაც გიცხოვრიათ წინათ? — ვეკითხებოდი ხოლმე ზოგჯერ

— არა, შვილო,—ამბობდა სოლომონი—რაღაც უფრო შორს ვარ ხალხისგან, მით უფრო მიყვარს იგი, ყველანი უბაკლოები მეჩვენებიან შორიდან. თუმცა ნათქვამია: „რასა ჰხედავ წუელსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და ღვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი“, მაგრამ მაინც ბევრი ნაკლი აქვთ აღამიანებს.

მე ბევრი ჩამ არ მესმოდა სოლომონის, მაგრამ მიყვარდა ის, მიყვარდა მისთან საუბარი, მისი მოსმენა. ახლა ძალიან მიხაროდა, რომ ისევ ვნახავდი სოლომონს. მე ჩამოვხტი ველოსიპედიდან, ველოსიპედი ჰიშვართან, ხეზე მივაყუდე და ეზოში შეკედი. ბებერი ცაცხვი, რომელიც მუდამ ეზოში იდგა, აღარ იყო, მოქვრათ. მიწაში მოჩანდა მისი ფესვები. უცაცხვობა ძველებურ იღუმალეზას უკარგავდა ეზოს და ახლა აქ ყველაფერი ნათელი და ბუნებრივი ჩანდა. ირგვლივ არავინ იყო და მიკვირდა, რომ ჩემი შემოსვლა ვერ შეამჩნიეს. აივანზე ავედი და ღია ფანჯრიდან შევიხედე ოთახში. კედელთან დადგმულ საწოლში ირინე იწვა, სოლომონი საწოლის გვერდით სკამზე თავჩაღუნული იჯდა და მეუღლის ხელი, ორივე ხელში ეჭირა. ისინი ჩემად იყვნენ და ერთმანეთს არ უყურებდნენ. მე გაკვირვებული ვიდექი ცოტახანს აივანზე, მე-

რე ჩავახველე. სოლომონი მობრუნდა და დაშინდა. მერე წამოდგა და კარებში შემოვივებდა.

— აა, შენც გაიგე?—მითხრა მან.

მე არაფერი არ მქონდა გაგებულნი, მაგრამ ამ კითხვის გამო ისეთი კილოთი ვიკითხე:

— რაშია საქმე?

— თითქოს ვიცოდი, რაშიც იყო საქმე.

— რა ვიცი, ბატონო, აგერ მეორე თვეა წევს და ვერცერთმა ექიმმა ვერ დაუსვა დიაგნოზი—მიბასუხა სოლომონმა,—შემოდი, შემოდი!

მივხედი, რომ ირინე ავად იყო. შევედი ოთახში, მივედი ირინეს საწოლთან. დაეხარე და ვაკოცე შუბლზე. სოლომონმა სკამი დამიდგა და მე დაეჭექი. ირინე გაქათქათებულ, სუფთა ქვეშავებში იწვა, მის საწოლს ოდეკალონის სასიამოვნო სუნი ასდიოდა.

— როგორ ბრძანდებით, რა მოგივიდათ?—ვთქვი მე და შევხედე ამ საყვარელ მონაცე ქალს.

— მივდივარ, შეილო, ჩემი დროც მოვიდა,—თქვა ირინემ და არ მესიამოვნა, რომ სისუსტიისაგან ასე ძლიერ წართმეოდა ხმა. ძლიერ ისმოდა მისი სიტყვები.

— რა დროს თქვენი წასვლაა, რამ შეგაშინათ?

ირინემ გაიღიმა და ხელზე დამადო თავისი დამქანარი, თეთრი ხელი, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მშვენივრად ესმოდა ჩემი.

— ხომ გაგიგონია, შეილო, შოთას აქვს ნათქვამი:

„უღმრთოდ ვერას ვერ მოვაწევი,  
ცრემლი ცუდად მედინებას,  
განგებას ვერვინ შეცვლის, არ  
საქმნელი, არ იქმნების“.

ის ნელ-ნელა, ჩუმად ამბობდა ამ ლექსს.

— ძალიანაც კარგი... ესე იგი, არ საქმნელი არ იქნები. მაგას რა ჯობია! თქვენ ტყუილად მშინებულხართ და ტყუილად გაგიტეხიათ გული, თქვენ თვითონ ამბობთ, არ საქმნელი არ იქმნებისო...

— ეს იმას ნიშნავს, შეილო,—გაიღიმა ირინემ—რომ განგებასა ვერცხვს შეცვლის, არ საქმნელი არ იქმნები, მაგრამ საქმნელი კი უფველად იქმნების, რადგან განგებას ვერვინ შეცვლის, გაიგე? არ საქმნელი ჩემი სიცოცხლეა, ჩემი ბოლო მოვიდა...

მე გაეჩუმდი. კამათი უაზრო იყო. იმდენად დარწმუნებული იყო ირინე თავის სიმაართლეში და იმდენად ახლოს იდგა მისი სიმაართლე ნამდვილ სიმაართლესთან, რომ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ჩემი სიტყვები მას ვერ გაამხნევებდა. ხელი ისევ ჩემ ზელზე ედო და დამილოთ მიყურებდა.

— თქვენ როგორ ბრძანდებით, ბატონო სოლომონ?—მივბრუნდი მისკენ.

— ამდენ ხანს არა მიშავდა, შეილო, მაგრამ ახლა...

სოლომონმა აღარ დაამთავრა. ნელ-ნელა აუცილებელ დასასრულს უახლოვდებოდა მათი ცხოვრება. როგორც პორიზონტზე დგას მზე ჩასვლის წინ, ისე იდგნენ ისინი ქვეყანაზე ამქამად. მათთვის დაწესებულმა დრომ გაიარა. უკვე თავდებოდა მათი დრო.

— კარგია აქ ცხოვრება,—ვთქვი მე რატომღაც და ეზოში გავიხედე,—როგორ გრილა!

— ცხოვრება ყველგან კარგია, თუ დარდი არ გაწუხებს,—თქვა სოლომონმა.

მე ირინეს შევხედე. ათასი რაღაც მომაგონდა უცებ. როგორ მოვიდიოდით ხოლმე აქ სტუმრად მე, ბებია და ბაბუა, როგორ ფუსფუსებდა ხოლმე გახარებული ირინე, რა გემრიელ საქმელს აკეთებდა მისი ხელები, ახლა უკვე დამქანარი და უღონო. რა კეთილი, რა უბრალო ადამიანები იყვნენ ისინი...

— რას იტყვივებთ, ირინე ბიკოლა?

— არაფერს, შეილო, უბრალოდ სუსტადა ვარ, ძალიანვე წართმეული მაქვს... — ჩაიჩურჩულა მან.

— ნუ გეშინიათ!

— გმადლობთ, შეილო, გმადლობთ... მე არ მეშინია სიკვდილის, სრულებით არ მეშინია...

მერე სოლომონს შეხედა და გაჩუმდა. ცოტა ხანს ყველანი ველუმდით.

— მაშ, ცაცხვი მოკერით?— ეთქვი მერე მე.

— დაბერდა, გახმა,— თქვა სოლომონმა— არათუ ადამიანი, მცენარეც ბერდება და ხმება. ბუნებას თავისი კანონი აქვს, ყველაფერი ბერდება და ხმება...

სოლომონი ფიქრებში წავიდა.

— სოლომონ, გაუმასპინძლდი რამეთი სტუმარს,— უთხრა ირინემ.

სოლომონი წამოღვა. მას ტილოს თეთრი ხალათი და შარვალი ეცვა, ფეხები საზაფხულო სანდლებში ჩაეყო. თეთრი თმა გვერდზე ჰქონდა გადაეარცხნილი, უღვაშები კობტად შეკრეპილი, გაპარსული იყო. ერთი წუთით მომეჩვენა, რომ სოლომონი ბიბლიურ პატრიარქს ჰგავდა. რალაც დიდებული სევდა იგრძნობოდა მთელ მის იერში.

— არ არის საჭირო, მე მალე წავალ,— ეთქვი მე.

— ჩაიყვანე ბაღში, ატმები აჩვენე, უთხრა ირინემ.

სოლომონი აივანზე გავიდა. მე ავდექი და გავყევი. მერე ჩვენ ეზოში ჩავედით, პატარა ჭიშკარი გავაღეთ და ბაღში შევედით. მე გავიფიქრე, რომ შეიძლება სოლომონს ავადმყოფთან არ უნდოდა ეთქვა მისი ავად ყოფნის მიზეზი და ვკითხე:

— რაშია საქმე, ბატონო სოლომონ, რა მოუვიდა?

— არაფერი ბატონო, სიბერე თავისას შერება... მეტი არაფერი არ არი... მიირთვი ატამი, თუმცა დანის წამოღება დამეჩიწყებია.

— არა უშავს, მე გაუთლელი ხილი მიყვარს...

— ხოდა ასეა საქმე, სიბერე თავისას შეება. ახლა ჩვენ უნდა წავიდეთ ცხოვრებიდან, თქვენ მოდიხართ, მერე თქვენც დაუცლით გზას თქვენ შეილებს და ისინი მოვლენ, მერე კიდევ სხვები მოვლენ და ასეა, ჩემო კარგო, საქმე, ეს არი ცხოვრება. ჩვენ რომ არ დავიხოცოთ, დედამიწაზე ადგილი არ დარჩება

და სხვებაც ხომ უნდა ცხოვრება, აბა, როგორ?— გაიღმა სოლომონმა.

მე ატამს ვკამდი და მომწონდა, რომ ასე მშვიდად და ვაჟაკურად ეპირათავი სოლომონს.

— ახლა ირინე წავა, მერე მეც წავალ, — განაგრძო სოლომონმა, — მაგრამ ისე კი ჯობდა ჯერ მე წაესულრყავი და მერე ირინე,— თქვა უცებ მან.

გადავადე ატამი, შევხედე სოლომონს სახეში, ცოტა ხანს დავაკვირდი და ცხადად ვიგრძენი, როგორ ტკიოდა გული, როგორ იყო აფორიაქებული და შეწუხებული, თუმცა ასე ღირსეულად ეკირათავი.

— არა ვვიშავდა, ცუდად არა ვცხოვრობდიოთ აქ,— თქვა სოლომონმა,— ვიყავით მყუდროდ, მშვიდად. ჩემი პრინციპი ყოველთვის ის იყო, რომ ყოველი ადამიანი ეკუთვნის მხოლოდ საკუთარ თავს და ის ვალდებულია პირველ რიგში საკუთარი თავისთვის იზრუნოს და მთელი თავისი დროის უდიდესი ნაწილი საკუთარ მიზნებს მოახმაროს. ოღონდ ისე, რომ სხვას არ მიაცუნო ზიანი. გარდა ამისა, სამართლიანი მიზნები უნდა დაისაზო, უნდა გასურდეს ის, რის ღირსიც ხარ, რის უფლებაც გაქვს და რასაც შენთვის ჰეშმარიტი ბედნიერება მოაქვს. ეს არ არი ეგოიზმი. ეგოიზმი ის არის, როცა გასურს იმაზე მეტი, რამდენიც შენთვის აუცილებელია, სიამოვნება იქნება ეს, სახელი, პატივისცემა, თუ სხვა რამე. ყველა აუცილებელი უნდა მოითხოვოს ცხოვრებისაგან, ის, რისი ღირსიც ნამდვილად არის. და ვისაც ამისი განსაზღვრა შეუძლია. ბედნიერი იქნება. ზოგს ეჩვენება, რომ ათასი რალაც სჭირდება, უამრავი რალაცის მოთხოვნის უფლება აქვს ცხოვრებისაგან, მაგრამ ეს სისულელეა, ეს უსაფუძვლო, მეშინაური პეტენიხიულობაა, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი უნდა დაკმაყოფილდე და მაშინ იქნები ბედნიერი. მე და ირინემ ასე წარემართეთ ჩვენი ცხოვრება და ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ახლა ეს ბედნიერება მაინც დაირღვა, ყოველ შემ-

თხვევაში უკვე ირღვევა. რას იზამ? ასეა ცხოვრება მოწყობილი, ყველაფერი ირღვევა... მოდი, ახლა მსხლემი გასინჯე, უკვე დამწიფდა, ნახე, ახა კარგი მსხლემია...

ჩვენ მსხლის ხეებს მივუახლოვდით. სოლომონმა ერთი ნაყოფი მომიწყვიტა და მომცა.

— გასინჯე, აბა, როგორია?

ძალიან გემრიელი იყო.

— არაჩვეულებრივია, — ვთქვი მე. სოლომონს ესიამოვნა.

— წელს ხილი კარგი იქნება, მიდი, კიდევ მოწყვიტე.

— აღარ მინდა, ირინე ბიცოლას წაკულოთ.

— ირინე არ ჰქამს... ისე ირინე ყოჩალია,—თქვა სოლომონმა, — არ ეშინია იმის, რაც ელის. მე ეს ძალიან მიხარია. არსებობს გამოთქმა: რაც უფრო ნაკლებად გეშინია, მით უფრო ნაკლებია საშიშროება.

— ნუ გეშინიათ, ბატონო სოლომონ, არც ისე საშინლად არის საქმე... — ვთქვი მე.

ჩემი ეს უბრალოდ, გასამხნეველად ნათქვამი სიტყვები, სოლომონმა თავისებურად გაიგო, თითქოს ეს მისი ფიქრის პასუხი იყო.

— მაგაში მართალი ხარ,—აღელვებულად თქვა მან,—ავადმყოფობას არ უნდა შეხედო, როგორც ყოველად საშინელ უბედურებას, ისევე, როგორც კარგი ჭანჭირთელობა არ უნდა ჩათვალო წარმოუდგენელ ბედნიერებად. ზომიერი დამოკიდებულება უნდა გქონდეს ორივეს მიმართ, არც ერთი, არც მეორე არ უნდა მიიჩნიო განსაკუთრებულ მოვლენად, მაშინ არ ვაგიჟირდება ერთიდან მეორეში გადასვლა, ადვილად შეეგუები ცვლილებას. ბოლოსდაბოლოს, არც ავადმყოფობა და არც ჭანჭირთელობა შენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ორივე ამ მოვლენას ისე უნდა უყურო, როგორც სტუმარს შენს სახლში, მასპინძელი კი შენს სახლში, ეს არი შენი გონება, შენი სული. ვიცი, განა არ ვიცი... საკუთარი თავი-

სადმი ზედმეტი სიყვარულიც არ ვარა, ზედმეტად არ უნდა უფრთხილდებოდე საკუთარ სიცოცხლეს, რადგან შენი შექმნილი არ არის ის, ბედისგან გენიქება და ბედზე წაგართმევს თავის დროზე, მიუხედავად ყოველგვარი შენი ცდებისა, მაგრამ...

სოლომონი ჩაფიქრდა.

— მაინც არაფერია ადამიანის ცხოვრება, ჭიშკარა.. არაფერი არა ვართ.— თქვა მან.

მე ვღუმიღი.

— თვითონ სიცოცხლის არსი ისეთია, რომ სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ მისგან გამომდინარეობს. პრინციპში სიცოცხლე არის ყანგბადის წვა ორგანიზმში, წვა კი, მოგესხენება, აუცილებლად თავდება დაფერფლვით, ესე იგი სიკვდილით. სულ ეს არის სიცოცხლე...

— არც ეგრეა საქმე, ბატონო სოლომონ, კიდევ არის რაღაც, ბოლოსდაბოლოს, ადამიანი ხომ მართო ბიოლოგიურ და ქიმიურ ქმნილებას არ წარმოადგენს, ის ხომ გონიერი არსებაა?!

— სწორედ ეგ გვღუპავს, შეილო, ჩვენ. ჩვენი გონება, აზროვნება, სული, არ ეთანხმება ბუნებას, ბუნების კანონს და პროტესტს გამოთქვამს სიკვდილის წინაშე, ტრალიკულ მოვლენად მიიჩნია ის, მაშინ როდესაც სიკვდილი თავისთავად არც ტრალიკულია, არც ლირიკული, არც რომანტიკული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური—სხეულისა და ბუნების თვალსაზრისით. ჩვენი გონების, უფრო ზუსტად, ჩვენი სულის სუბიექტური პროტესტი გეტანჯავს ამ შემთხვევაში ჩვენ. სხეული არ ეწინააღმდეგება სიკვდილს. მას აღარ შეუძლია სიცოცხლე, იფიტება და სწყვეტს კიდევ არსებობას, მაგრამ ადამიანის არსებობის მეორე მხარე—სული, განაგრძობს ბრძოლას, ის მოითხოვს სხეულისაგან, რომ განაგრძოს არსებობა, მაშინ როდესაც სხეულს აღარ შეუძლია ბრძოლა. სწორედ ეს იწვევს ტანჯვას, ეს გათიშვა. სულს აქვს სურვილი არსებობის, მას უნდა არსებობა და ამაში საკუთარი თავი კი არ უშლის



ხელს, როგორც, მაგალითად, სხეულს, რომელიც გამოფიტვის გამო იძულებულია შეწყვიტოს არსებობა, არამედ სხვა მოვლენა—სხეული უშლის ხელს, რომელზედაც ის დამოკიდებულია და რომლის სიკვდილის შედეგად, იძულებით კვდება სული. აი, ამაშია მთელი ტანჯვა.

— ბატონო სოლომონ, თქვენი აზრი, შეიძლება, სწორია, როცა საქმე ეხება ავადმყოფი სხეულის სიკვდილს. მაგრამ როცა ნაძალადევ სიკვდილთან გვაქვს საქმე, როცა სხეულიც ჭანჭანულია და სულიც, მაშინ როგორ შეიძლება ამ მოვლენის ახსნა?

— მაშინ ძნელია ამ მოვლენის ახსნა. მაშინ აქ სამყაროს რომელიღაც უცნობი ძალები მოქმედებენ, ძალები, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ.

— ასეა თუ ისე, ცხოვრება მანაც ღირს, ბატონო სოლომონ, ჯობს დაიბადო და მოკვდეს, ვიდრე სულ არ დაიბადო, რადგან ორივე შემთხვევაში საბოლოო შედეგი ერთნაირია და ამიტომ ჯობს ნახო ეს ქვეყანა და მერე მოკვდეს, ვიდრე სულ არ ნახო.

— თუ დაიბადები, უეჭველად იტანჯები, თუ არ დაიბადე, ტანჯვა ატკდება...

— ტანჯვა ჭრება. ჩვენი ტანჯვა ჩვენი თან ერთად თავდება და საბოლოოდ არაფერი არ რჩება.

— თუ ტანჯვა ჭრება, ჭრება ის სიტკბოც, რომლისთვისაც—შენ არ ამბობ, მაგრამ გულისხმობ, — რომ ღირს ამ ქვეყანად მოსვლა და მერე სიკვდილი.

— იმისათვის, რომ გამართლებული იყოს სიცოცხლე, მიუხედავად მისგან გამომდინარე სიკვდილისა, საჭიროა ადამიანის გარდაქმნა, მისი სულ სხვა პრინციპებით აღზრდა.

— როგორ?

— ბირველ რიგში, უნდა მოისპოს გულგრძობა და უყურადღებობა, რადგან სინასტიკესთან კი არ მოაქვს იმდენი ზოროტება, რამდენიც გულგრილობას და უყურადღებობას. ყველა ადამიანი უნდა გახდეს აბსოლუტურად კეთილი. ყველა უნდა იყოს ობიექტური საკუთარი თავისა და შესაძლებლობე-

ბის მიმართ. უნდა მოისპოს შური. ეს გამოიწვევს საყოველთაო სიწყაარულს და თანაგრძობას. ყველამ უნდა დაისახოს ერთი მიზანი, ყველამ უნდა მიიზნოს, რომ მთავარი ეს არის და მაშინ მოისპობა პატივმოყვარეობა და დამკვიდრება სრული სამართლიანობა. შემდეგ, როცა კაცობრიობა ამ საფეხურს მიაღწევს, მან საკუთარი თავის შეცნობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაისახოს მიზნად, ეს საჭირო უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მისაღწევად, მიზანი კი უნდა იყოს შიშის დაკარგვა სიკვდილის წინაშე. ინსტინქტი უნდა დაემორჩილოს გონებას. და აი, როცა ადამიანი ისე აღიზრდება, ისე გარდაიქმნება, რომ დაჰკარგავს შიშს ტივილისა და სიკვდილის წინაშე, მაშინ ცხოვრება აღარ იქნება ქიშკრა, როგორც თქვენ ბრძანებთ.

— თუ ეს ასე მოხდება, კარგია!

— ასე უნდა მოხდეს, ამასკენ მიდის ახლა კაცობრიობა!

— თუ ისე იქნება, მაგას რა ჯობს?! თუმცა ჩვენ რა? ჩვენ ვერ მოვესწრებით მაგ დროს.

— ჩვენი არ არის საქმე, ბატონო სოლომონ, საქმე იღვამშია!

— შენ ხომ გწამს ეგ იდეა, არ გეშინია სიკვდილის?

— მეშინია, რა თქმა უნდა. მე ბევრი რამ მაქვს გასაყვებელი და მინდა ყველაფერი მოვასწრო.

— ავამენა ღმერთმა! მე იმას ვფიქრობ, რომ აი, ეგ „მოსწრება“, ყოველთვის დარჩება. ყოველთვის გენდომება რალაციის „მოსწრება“ და დრო არ გეყოფა.

— ეს ახლაა ეგრე, მაშინ ეგრე აღარ იქნება.

— არ ვიცი, ბატონო, არ ვიცი... ღმერთმა ქნას.

ჩვენ გავჩუქდით. მერე გამოვედით ბალიდან. სოლომონმა დაკიცა ჰიშკარი, მე იქვე ვუცდილი. მერე ჩვენ აივანზე ავედით. როცა ოთახში შევედით ირინემ სუსტი ხმით მკითხა:

— მოგწონა ატმები?

— ძალიან...

— მაგას მსხალი უფრო მოეწონა, —  
უთხრა სოლომონმა.

— სოლომონ, გამოიტანე არაყი და  
დაალევიე ამ ბავშვს, ხილზე კარგია...

სოლომონი არყის მოსატანად გავიდა  
მეორე ოთახში, მე ჩამოვკვეტი სკამზე  
ირინეს ლოგინთან.

— ხომ არ მოიწყინეთ, ირინე ბიცო-  
ლა?

— არა, შეილო, რა მომაწყენს...

სოლომონმა გამოიტანა არყიანი გრა-  
ფინი მეორე ოთახიდან და მაგიდაზე  
დადგა. იქვე ვაზაში აღრე მოკრეფილი  
ვაშლები ეწყო. სოლომონმა აიღო თევ-  
ში და დანა, ერთი ჩემსკენ დადგა მაგი-  
დის კუთხეში, მეორე თვითონ დაიდგა.  
შემდეგ ჭიქები გაავსო და მითხრა:

— მოდი, აბა თითო დავლიოთ!

თვითონ კი ვაშლის გათლას შეუდგა.

— შენ არ დალიო, სოლომონ! — უთხ-  
რა ირინემ.

— ერთი რას მიზამს?

მე ავიღე ჭიქა და ვთქვი:

— გაგიმარჯოთ, ირინე ბიცოლა. მა-  
ლე გამოჩანმრთელდით, კარგად იყა-  
ვით...

ირინე იღიმებოდა და ისე მიქნევდა  
თავს, როგორც პატარა ბავშვს ლექსის  
წყაითხვისას უფროსები.

მე დავლიე არაყი და მიეხვდი, რომ  
ჩემს სიტყვებს, ჩემს სურვილებს არა-  
ვითარი ძალა არ ჰქონდა. პაერის ტალ-  
ღასავით შეტყმინებულად მოდიოდა საი-  
დანღაც დასაბრუნელი და აღარ შეიძლე-  
ბოდა მისი გადაწყვეა. კიდევ რომ შესაძ-  
ლებელი ყოფილიყო, აღარ ჰქონდა ამას  
აზრი, რადგან როდემდე უნდა გადაწიო,  
ის, როდემდე უნდა დაემალა აუცილე-  
ბელ ბელს, რომელიც იმიტომ არსე-  
ბობს, რომ შეასრულოს თავისი ვალი  
შენსა და საკუთარი თავის წინაშე.

უკვე გვიან იყო როცა იქედან წამო-  
ვედი. ველოსიპედზე ვიჯექი და მოვ-  
დიოდი. უცნაური გრძნობა მქონდა.  
თითქმის ისეთსავე სევდანარევე სიამო-  
ვნებას განვიცდიდი, როგორც ბავშვობა-

ში, როცა მათი სახლის აივნიდან ვუყუ-  
რებდი ბოლმე შხის ჩასვლას. მკვრივნი  
ნებდა, რომ ეს მოხუცები იწვევენ  
ქვეყნად და გული მწყდებოდა, რომ მა-  
ლე აღარ იქნებოდნენ. მე მივდიოდი  
მათგან შორს. მზე უკვე ჩასულიყო,  
მაგრამ ჭერ კიდევ სინათლე იდგა ქვე-  
ყანაზე. მე მოვუხვები მუხებთან, მივი-  
ხვდე უკან, მაგრამ ველარ დავინახე სო-  
ლომონის სახლი. მე მივდიოდი სულ  
უფრო და უფრო შორს, ვცილდებოდი.  
ამ საყვარელ მოხუცებს მანძილითაც და  
დროითაც, თუ კი ეს ორი სიტყვა სხვა-  
დასხვა რამეს გამოხატავს ამ შემთხვე-  
ვაში. მერე კიდევ გავილოდა დრო, ისი-  
ნი დაიხოცებოდნენ, აღარ იქნებოდა მა-  
თი სახლი, რომელიც ისე ძალიან მიყ-  
ვარდა. ისინი კიდევ უფრო შორს წავი-  
დოდნენ ჩემგან, დავიწყებამდე შორს.  
მე არ მინდოდა ასე ყოფილიყო. რამ-  
დენი რამ წავიდა შორს, რამდენი რამ  
გაკჭირა?...

მაგრამ მაინც რამდენი დარჩა, რამდენ-  
ნი რამ მიყვარს?! რა არი სიწმინდე? ბო-  
ლოსდაბოლოს, რა არის სიწმინდე, თუ  
არა პირობითი მცნება ამ განუსაზღვ-  
რელ და განუზომელ სამყაროში?! არ  
არსებობს სიწმინდე თავისთავად და ჩვენ  
ყველანი განუყოფელი ვართ. მე მივდი-  
ოდი ველოსიპედით უზარმაზარ მანდო-  
რზე, ვხედავდი მწვანე ტყეებს, შორეულ  
ლურჯ მთებს, წითლად აფერადებულ  
ცას; მე მივდიოდი სახლისკენ და მიხა-  
როდა სიცოცხლე, სრულებით არ მა-  
ფიქრებდა, რა იქნებოდა მერე, რა იქნე-  
ბოდა ყოველივე ამის იქეთ. მე ვფიქ-  
რობდი იმაზე, რომ თუმცა ძალიან ბევ-  
რი სასიამოვნო და ძვირფასი რამ წავი-  
და ჩემი ცხოვრებიდან, მაინც რამდენი  
კარგი და საინტერესო რამ მელოდებო-  
და წინ, რისთვისაც ღირდა ცხოვრება.  
მე ვიყავი ახალგაზრდა და ჯანმრთელი.  
მე კმაყოფილი ვიყავი ჩემი ჭეშმარიტი  
წუთით, იმ წუთით, რომლითაც აი, ახ-  
ლა ვცხოვრობდი და გულუბრყვილოდ  
მეგონა, რომ სიკეთის გარდა მომავალი  
არაფერს მიქაღდა.

## პ. ბაგრატი

### ტილ ულანუხიძე

მონოლოგი

არ შემწევს ძალა, რომ დავიდგა თავზე  
ჩაჩქანი

ან შევიმოსო საომარ აბჯრით,  
სამაგიეროდ ვხეტიალობ ამ ქვეყანაზე,  
ნენესტრელივით თავისუფალი.  
და კვლავ ვლილინებ დუქნის კარებთან  
ძვირფას ბრაზანტზე და ფლანდრიაზე  
და შემოქმდი შევიპარო თავავივით  
ჩუმად

ესპანელებით სავეგ ბანაკში  
და სადაც თავივც ვერ გაძვრება  
იქაც გავეძვრები.  
მე მხიარული სიმღერებით დავცინებ  
ისევ

მტერს და დამპყრობელს ჩემი  
ფლანდრიის  
და იმ სიმღერებს მთელი ფლანდრია  
დაიხეპირებს ერთი კაცივით.  
ლორს მივახატავ ყველა ღობეზე,  
ლორსა და ქოთავს, ნათრევს და ბებერს.  
ქვეშ კი მივაწერ: „აჰა, იხილეთ,  
ჩვენი ბრწყინვალე მეფე და ალბა“.  
მერე მასხრულად მოვირთვები და  
ვესტუმრები

ქედივით გართულ ფლანდრიელ გრაფებს  
და როცა ღხინი მიიწურება,  
როცა ბუხარიც ჩაიფერფლება  
და დაამხოზენ სასმისებს პირქვე,  
მეც სწორედ მაშინ მოვპართავ სიმებს  
და მთერად თავადებს ვუმღერებ ასე:  
„თქვენ, გრაველინის დიდებულ  
გმირებს,

კეთილ ბატონებს ამ ცის და მიწის,  
სადაც იზრდება მაღალი ქერი, —  
დღეს თავზე გახით გადამთიელი.  
უშნოდ დასუქდნენ თქვენი ცხენები

და აბლაბუდის მტერიან ბადეში  
თელემენ საბრძოლო უნავირები  
და შოშიების კვერცხებით სავსე  
ხეზე კიღია პაპის ჩაჩქანი,  
ხოლო ბრძოლებში განთქმულ მახვილით  
შემას აპობენ მზარეულები  
და ამავრებენ საღორის კედელს  
სალამჭრო შუბით!..

ასე მოვივლი მე მთელ ფლანდრიას  
მასხარის ჩაჩით და მხატვრის ფუნჯით  
და როცა თესლი ვაღვივდება,  
როცა თესლიდან

აღმოცენდება მწვანე ნაყოფი,  
აღმოცენდება და დამწიფდება  
და მოვა მისი ალების თამი,  
მე მაშინ ქვეზე დაეპსხვრევ საკრავს,  
ჩაჩს გადავაგდებ და მხატვრის  
ფუნჯსაც

დავიმტვრევ მუხლზე და განრიხებულ  
ხალხის მდინარეს წინ წავუძღვები  
და ულენშპიგელს გამოყვება მთელი  
ფლანდრია.

მე მამაჩემის ფერფლს ვაგროვებ  
ჩამქრალ კოცონზე,

მე მას ქისაში მოვაგროვებ და ტყავის  
თასშით

ჩამოვიკიდებ გაღვლილ მკერდზე  
და თუ როდისმე დავივიწყებ ვალსა  
და მიზანს

ან გავერთობი დროსტარებით და  
სიყვარულით,  
გამომათხიზლებს კლასის ფერფლი,  
გამომათხიზლებს და ავიესები  
ახალი ძალით. ხმითა და ცეცხლით  
და დაიქუხებს ცოცხალი გული  
მკვდარი და ცივი ფერფლის პასუხად.

## ტილ ულენსპიგელი

მონოლოგი

მამა კოცონზე დაიფრთხლა, ხოლო დედაჩემს არ ეყო ძალა და შეირყა ჯალათის ხელში. მე ამის მერე მივატოვე ძვირფასი დამწე, თან წამოვიღე წინდა ფერფლი და დედის ცრემლი. ფერფლი ქისაში გამოვყარი და ტყავის თასშით ყელზე მკიდილა და ყოველ წუთში გულზე მეხლება, მეხეთქება და ჩემი გული სავსეა მხოლოდ შურისძიებით. გრძელზე გრძელია ჩემი სავალი, ჩემი დამწედან ოსტენდამდე გრძელდება იგი, ბრიუსელიდან — ანტვერპენამდე... და მიეჩაქჩაქებთ სახედრებით ამ მტვირთვან გზებზე მე და ერთგული მიგობარო, მსუქანი ლამწე. მე ყველა მიცნობს, ჩიტებს ვყიდი ყველა ბაზარზე, ღიმილით მოაქვს ჩემთვის ლუდი ნაცნობ მელუქნებს. და ლუდთან ერთად შაწხის ნაჭერს მომართვენს ხოლმე. ჩემი სიმღერა ყველამ იცის. ვდგევარ და ვწღერო ჩემს ფლანდრიაზე და ჩემს ბრაბანტზე. მთელი ბაზარი ფეხზე დგება და კეთილ გლეხებს კვლავ უბრუნდებათ აველი სული და სიამაყე, კვლავ უბრუნდებათ ძველი სული და სიამაყე — გაბრუებულებს ლუდით და ქონით. მე ყველა მიცნობს, ყველამ იცის ულენსპიგელი, ყველა სოფელში განიღლია და ჩემს სასმენად ყველა ქალაქის მოედანი დაჰდგარა ფეხზე. კლასის ფერფლი გულზე მიტყავს, მიტყავს და ვმღერო, ქისას ვაყოლებ ჩემს სიმღერას და ხალხი უსმენს არხების სუნთქვას, ხედავს გედებს და ლამაზ ნავეებს, ხედავს სინათლეს და ახსენდება ბინა, სიჩუმე და სისუფთავე. როცა დაღლილი მთელი დღის შრომით და ლუდის სუნით გაბრუებული ვაიშოტება ხოლმე საწოლზე, მე კი ვაფხიზლებ: „ჰეი, ყასაბო, გეყოფა ხარის და ღორის სისხლი. დე შენმა დანამ, შენმა გრძელმა და ბასრმა დანამ დღეიდან მაინც ნამდვილ მაცეცებს გაუბოს გული, დე თქვენი დახლი შეიღებოს მტარვალის სისხლით. ბერებს აძვერეთ ეგ დანები და დუქნის ჭერზე თავიქვე დაქიდეთ ღორების მსგავსად.“ მერე მჭედლებსაც ვადაყწვდები: „ჰეი, მჭედლებო,



ცხენ-ს ნალის და ძირგაივარდნილ ქვაბების ნაცვლად  
 ხმალი გაქედეთ, ბასრი და მძიმე,  
 ახლა ის უფრო გამოგვადგება,  
 ვიდრე ლუმელი თუ ჯამჯურქელი.  
 გამდნარი ტყვია ჩაისხით პირში  
 ლოყალაღლა და მსუქან ბერებს,  
 გამდნარი ტყვია შესაფერი იქნება უფრო,  
 ვიდრე ხერესი თუ ბურგუნდული.  
 გვთმვენებლემო,— გვთმვენებლებს მიემართაე მერე,  
 ბევრი გვაქვს ისეც კარპაქები, ლუდის საზილი,  
 თავისუფლების გემი ააგეთ  
 ფლანდრის ლილი ნაძვით და ფიქვით.  
 თუჯით შ. კარით და შეადლეთ  
 ნაძვის და ფიქვის თეთრი ფიცრები,  
 ხოლო ფლანდრიის ტურფა ქალები  
 ტილოს მოქსოვენ იალენებისთვის,  
 და როგორც ხარი მგლეზის ბროფაში,  
 ტალღებში ისე შვევა ხომალცი  
 და აჯანყებულ ნაპირისაკენ  
 მოატრიალებს ჭეშმების ხახასა.  
 კლასის ფერფლი ჩაწყდება გულზე.  
 გული კი ბორგაეს და უფრო მკაცრი  
 ხდება სინდერაეც და კი არ ვმღერი,  
 ვყვირი ჭორივით:  
 „ბეი, ფლანდრიის ჯარისკაცებო,  
 ცხენების ნაცვლად დუქნის სკამებზე რომ გადახედარხართ,—  
 გეყოფათ ლხინი,  
 გეყოფათ თხილეს მტვრევა ხანჯლებით,  
 გეყოფათ კეფის ფხანა დეზებით  
 და მასლაითი დუქნის კახებთან!  
 ხედავთ. ქალაქებს ედება ცეცხლი,  
 ბრწყინ ეს მახვილი, და დედაეს სისხლი,  
 განკითხვის თამი მოგვადგა კაოზე,  
 განკითხვის თამი!  
 ფხაზლად იყავით.  
 ნზად იკოს ყველა და ვინც ტოროლას  
 მამლის ყვილით გასცეს პასუხი,  
 ყველამ იკოდეს—ჩენია ისიც.  
 შერცოგო აღმა!  
 ეს უკვე შენი აღსასრულია.  
 დანწითდა ყანა,  
 ტყავზე ლესავს ნამგალს მომკელი.  
 და ქერივ-ოსლების მდუღარე ცრემლი  
 ტყვიად გროვდება საზარელ თასში.  
 მახვილი—ბურჯია ჩენი,  
 ამ ბურჯს ეყრდნობა სული ჩენი.  
 ტოროლა მღერის—  
 მამალი პასუხობს.

პანას კამინგუი

## განუყრედი ღმესასწაული

ბედმა თუ გაგიღიმა და ახალგაზრდობისას მოხვედი ძარბოში, შერე სადაც არ უნდა წახვიდე, იგი სიკვდილის დღემდე შენთან იქნება, რადგან პარჩი — განუყრელი ღმესასწაულია, რომელიც მუდამ თან გახლავს.

ერნესტ ჰემინგუეის კერძო წერილიდან  
(1950 წ.).

ავტორისათვის საყვებით დამაყვრებელი მიზეზების გამო ბევრი ადგილი, ხალხი, დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი ამ წიგნში არ შევიდა. ზოგი რამ საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ზოგი კი ისედაც ცნობილია ყველასათვის — ბევრჯერ აუწერიათ და, ალბათ, კიდევ ბევრჯერ აწერეს.

არაფერსა ვწერ, მაგალითად, „ანასტაზის“ სტალიონზე, სადაც ოფიციალურად მოკრივეები ჰყავდათ აფენილი, მაგიღები ხეების ქვეშ ელაგათ და რინეცი პირდაპირ ბაღში ჰქონდათ გამართული. არც ლარი ჰინსოპის საწვრთნელ ვარჯიშებზე ვწერ რამეს, არც საზამთრო ცირკში ჩატარებულ ოც-ოც რაუნდიან ცნობილ შეჯიბრებებზე. არც იმისთანა ახლობელ მეგობრებზე, როგორც არიან ჩარლი სუინი, ბილ ბერდი და მაიკ სტრაატერი, ან ანდრე მასონი და მარო. არც შეარცვალდში ჩვენს მოგზაურობებზე მოგითხრობთ, არც პარიზის მახლობელ ტყეებში თითო დღიან გასვირინებებზე. ძალიან კარგი იქნებოდა ეს ამბებიც შესულიყო წიგნში, მაგრამ ამჟამად თავს ვიკავებ.

შეთხველისათვის მიმინდვია — თუ მოისურვებს, შეუძლია რომანი უწოდოს ამ წიგნს. თუმცა მონაგონი ამბავიც ხომ ერთგვარ ნათესს მოჰქვნივს იმას, რაზედაც, როგორც ნამდვილ ფაქტებზე, ისე ვწერდით ხოლმე.

ერნესტ ჰემინგუეი

### ღრმებულო კავში

#### სან მიხელის მომადანა

მერე ამინდიც გაფუქდა; ერთ დღეში შეიცვალა, და შემოდგომაც გათავდა. წვიმდა და ფანჯრები დაკეტილი გვექონდა, ცივი ქარი კონტრესკარპის მოედანზე ხეებიდან ფოთლებსა გლვჯდა. დასველებული ფოთლები ძირს ეყარა. ქარი წვიმის წვეთებს დიდ, მწვანე ატრობუსს უტლაშუნებდა ბოლო გაჩერებაზე, „მოყვარულთა“ კათე ხალხით იყო გაჰედლილი, სითბოსა და თუთუნის კვამლისაგან ფანჯრები შიგნიდან ერთიანად შეორთქლილიყო. ჩაუამებული კათე იყო, სახელგატეხილი—მთელი უბნის ლოთები იქ იყრიდნენ ხოლმე თავს, მე ვერიდებოდი შესვლას: პაერის ოფლისა და ამჟავებულო ღვინის სუნი

იყო გაქვნილი. მუდმივი მუშტრები —კაცებიცა და ქალებიც—ერთავად მთვრალეები იყვნენ, უკეთ რომ ვთქვათ, მანამ ფული არ გაუთავდებოდათ, სვამდნენ, უფრო ღვინოს ეტანებოდნენ, რასაც ხან ნახევარ-ნახევარ ლიტრობით ყიდულობდნენ, ხან კიდევ თითო ლიტრობით. ყოველნიერ ამერატივს უკეთებდნენ აქ რეკლამას, უცნაური სახელები ჰქონდათ, მაგრამ ყველას ჯიბე როდი აუვიდოდა, ზოგჯერ დასაწყისში თუ გადაჰკრავდნენ თითო ჰიქას რომ მერე უფრო მალე მოჰკიდებოდათ ღვინო. ლოთ ქალებს *poivrottes*-ს ეძახდნენ ხოლმე, რაც „ალკოჰოლიკა“ ნიშნავს.

„მოყვარულთა“ კაფე მუფტარის, ამ მშვენიერი ვიწრო, ხალხმრავალი სავაჭრო ქუჩის, cl'aea-ს—ნაძირალების ბუდე—წარმოადგენდა. ეს ქუჩა კონტრესკარპის მოედანზე გამოდის. ძველ საცხოვრებელ სახლებში, ყოველ სართულზე, კაბის მახლობლად, საპირფარეშოები ქონდათ, ოღონდ დასაჯდომი კი არა—ჭრილის აჭეთ-იჭით ცემენტის ორი შეზღუდებული საფეხური იყო, რათა locatire-ს<sup>1</sup> ფეხი არ დაცურებოდა. საპირფარეშოები ორმოებთან იყო დაკავშირებული, საიდანაც სიბინძურის საგანგებო ტუმბოებით, ღამლამობით საასენიზაციო კასრებში გადაქაჩავდნენ ხოლმე. ზაფხულობით ღია ფანჯარაში შემოდრიოდა ტუმბოს გუგუნე და პეკრიც საშინელი სიმყრალით იცინებოდა. კასრები მოყავისფროდ იყო შეღებილი და როცა მთვარის შუქზე კარდინალ ლემუანის ქუჩით მიათრევედა ხოლმე მათ ცხენები, უნებურად ბროკის<sup>2</sup> სურათები მოგაგონდებოდა. მაგრამ „მოყვარულთა“ კაფედან სიბინძურის ამოქაჩვაზე კაცი არ იწუხებდა თავს. და კედლებზე გამოკრულ, გამოხუნებულ და ბუზებისაგან ჩაშავებულ განცხადებებს, სადაც საჯარო ადგილებში ლოთობის წინააღმდეგ მიღებული კანონები იყო ჩამოწერილი, ზედაც არავინ უყურებდა, სწორედ იმგვარადვე, როგორც თვითონ ამ კაფეს აყროლებულ მუფტარებს არ აქცევდნენ ყურადღებას.

ზამთრის პირველ, ცივ წვიმებთან ერთად, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელმა სივდამაც იფეთქა ერთბაშად. ნესტიან ბურუსში ვახვეულ ქუჩებზე უკვე ვეღარ დინახავდით მალაღლი, თეთრი სახლების ზემო სართულებს. მარტო პატარა მალახიების, აფთიაქებისა და საგაზეთო კიოსკების მიკეტილი კარები ჩანდა, ავრეთვე აბრა ერთი საწყალი ბებიქალისა და სასტუ-

ბროსი, რომელშიაც ვერტენმა გარდამცვალა და სადაც ახლა მე, სულ ზემოთა სართულზე, ნომერი მქონდა დაქერილი. აქ ვმუშაობდი.

ზემოთა სართულს ექვსი თუ რვასაქცევანი კიბე ჰქონდა დატანებული, აქ საშინლად ციოდა, და მე ვიცოდი, რა ძვირიც დამიჯდებოდა ერთი გულურა ფიჩხი, წვრილი მავთულით შეკრული, მოკლე, ნახევარი ფანქრის სიგრძე კვარის ღერები ცეცხლის დასანთებლად და წყლით გაქვინთილი შეშის რამდენიმე ნაპობი, რითაც ოთახი უნდა გამებო. იმ წვიმაში ქუჩა გადაქერი, იქით მხარეს გავედი და სახურავს გამოვხედე—რომელიმე საცკამური მილიდან კვამლი თუ ამოდის ან როგორ ამოდის-მეთქი. კვამლი არ ჩანდა. ალბათ, გაცივდა უკვე მიღები, ცეცხლს წევა აღარ ექნება, ოთახი კვამლით გამეცვება, შეშა ტყუილუბრაოდ უნდა დაიწვას და მისთან ერთად ჩემი ფულაც წავიდეს. მეც შევბრუნდი და წვიმიან ქუჩას გავუყუვე. გაცდი ჰენრი მეოთხის ლიცეუმს, სენტ-ეტენ-დიუ-მონის ძველ ეკლესიას, გადავჭერი პანთეონის მოედანი, საცა ჭარო დათარეშობდა, მარჯვნივ შევუხვიე, სენ-მიშელის ბულვარზე გავედი, სენ-ჟერმენის ბულვარს გვერდი ავუქციე და სენ-მიშელის მოედანს მივადექი, სადაც დიდებული კაფე მეგულებოდა.

მშვენიერი კაფე იყო—მყუდრო, სუფთა და თბილი. ჩემი ძველი პლაშჩი გასაშრობად საკიდარზე დავკიდე, პეწდაკარგული თექის ქუდი საკაშზე მივაგდე და რბიანი ყავა დავუკვეთე. ოფიციალტმა ყავა მომიტანა, პიჯაკის ჯიბიდან ბლოკნოტი და ფანქარი ამოვიღე და წერას შევუდექი. მიჩიგანის ამბავსა ვწერდი, და რაკი ძალიან ცივი, ქარიანი და არეული დღე იყო, მოთხრობაშიაც ასე გამოვიფიქრე. მე უკვე ბავშვის, მოზარდისა და ჰაბუქის თვალთ მქონდა ნანახი გვიანი შემოდგომა და ვიცოდი, რომ სულ სხვადასხვანაირად შეიძლება ამისი აღწერა: ზოგან უკეთ, ზოგან უარესად. ალბათ, ტრანსპლანტაციაც ეგ არის, ვფიქრობდი მე, და ადამი-

<sup>1</sup> მდგმურს (ფრანგ.)

<sup>2</sup> Charles Brock — ინგლისელი მხატვარი (XIX—XX სსუკ.)

ნებისთვისაც ისევე აუცილებელია იგი, როგორც მცენარეებისათვის. მოთხრობაში მონადირეები ღვინოსა სვამენ, მეც მომინდა დაღუვა და რომი დავუკვეთე — „სენტ-ჟეიმსი“. ძალიან შეამა ამ ცივ ღღეს, და, წერაში გართულმა, ვიგრძენი, როგორ გამითბო რომმა სხეული და სული.

კაფეში გოგონა შემოვიდა და მავიდას მიუჯდა ფანჯარასთან. მშვენიერი გოგო იყო, ქორთვა სახე უბნინავედა, ახალმოჭრილ მონეტასავით, თუკი შეიძლება, საერთოდ, წვიმიტ გაპრიალეული ნაზი კანისაგან გამოიჭრას მონეტა; ყორნის ფრთასავით შავი თმა სწორი ხაზით სჭრიდა კისერს.

გავტკეპროდი ამ ქალს, და თანდათანობით მღელვარებამ და მოუსვენრობამ მომიცვა. მომინდა ამავე მოთხრობაში ამხერა იგი, ან რომელიმე სხვა მოთხრობაში, მაგრამ ისე მიუჯდა იგი მაგიდას, რომ ქუჩა და კაფეს შემოსასვლელი მხედველობის არეში მოექცია, ეტყობოდა ვიღაცას ელოდა. მე წერა განვაგრძე.

მოთხრობა თავისთავად მიდიოდა და მე ძლივს მივღევიდი. რომი კიდეც მოვატანინე, და რამდენს თავს ავწევდი, ან ფანქარს წვერს წავეუთიდი, იმდენს გავხედავდი ხოლმე გოგონას; ფანქარის წანათალი წვრილი ბურბუშალები პატარა ლამბაქზე ცვიოდა, ჭიქის გვერდით.

ერთხელ დაგინახე, მშვენიერო, და მორჩა, უკვე ჩემი ხარ, ვისაც არ უნდა ელოდებოდე, თუნდა ამის მეტად ვეღარც კი გნახო, ვფიქრობდი მე. ჩემი საკუთრება ხარ, პარიზიც ჩემია, მე კი ამ ბლოკნოტსა და ფანქარს ვეკუთვნი ისევე განვაგრძე წერა, და ისე გავერთე, რომ სხვა ყველაფერი გადამავიწყდა. ახლა უკვე თავისით აღარ მიდიოდა მოთხრობა—მე ვწერდი, ვიჭექო თავჩალუნული, აღარც ღროის ანგარიში მქონდა, არც იმას დაგიღვევდი ახლა სად ვიმყოფებოდი, ან რომისთვის ვიღას სცხელოდა. თავი მომაბეზრა ამ

რომმა, თუმცა მასზე აღარ ვფიქრობდი. მოვრჩი მოთხრობას და ახლაღამ ვგრძენი, რომ მაგრად დავლილივარ. ბოლო აბზაცი გადავიკითხე და თავი ავწიე, გოგონას გავხედე, მაგრამ იგი უკვე წასულიყო. ალბათ, კარგ ბიქს გაპყვებოდა, ვინუბეშე თავი. მაგრამ გაულზე სევდა მომაწვა.

წერას რომ მოვრჩი, ბლოკნოტი დავხურე, გულის ჯიქში ჩავიდედი და ოფიცინტს ერთი დღეინი portugais-ის და ნახევარი სურა თეთრი ღვინო დავუკვეთე. წერის შემდეგ მუდამ გამოფიტეასა ვგრძნობ, ერთბაშად მომაწვება ნაღველიცა და სიხარულიც, ქალთან ყოფნის შემდეგ რომ იცის ხოლმე; დარწმუნებული ვიყავი, ძალიან კარგი მოთხრობა გამოვივიდა, მაგრამ თუ რამდენად კარგი იყო, ეს მეორე დღეს გავიგე, როცა გადავიკითხე.

ხამანწევებს ზღვის არომატი ჰქონდა და რალაცნაირი გემოც დაკარავდა, ლითონისა, რასაც ჩაიებული თეთრი ღვინო აქარწყლებდა, ასე რომ მართო ზღვის არომატი მჩჩებოდა პირში და სველი ხამანწევების შეგრძნება; გელაავდი ხამანწეის წვეს, ზედ მწკლარტე ღვინოს ვაყოლებდი და თანდათანობით გამიზარა გამოფიტვის განცდამ, ბედნიერად ვიგრძენი თავი და ახალი გეგმების დაწყობას შევუღდექი.

აქ უკვე წვიმები დაიწყო, ჯობს ცოტა ხნით გავიდეთ პარიზიდან და იქით გავემგზავროთ, საცა წვიმის ნაცვლად თოვლი ბარდნის ნაძვის ხეებში, თეთრ საბურველს აკრავს ზებებსა და ფერღობებს, და საღამოთი, შინ რომ დაებრუნდებით, ფეხქვეშ სულ პრაქუნა ექნება ატეხილი. ლეზაენის ძირში ერთი შალე უდგათ, შესანიშნავი საკმელები იციან ხოლმე იქა. იმ შალეში მოვეწყობით ორივენი, თან წიგნება გვექნება, ღამით ერთად ჩავიდუთნებით ლოგინში და ღია ფანჯრიდან ვარ-



სკვლავების ციმციმს ვაგებდავთ. ნამდვილად იქა სჯობს, იქით ვავსწევთ. მესამე კლასის ბილეთებს ავიღებთ და იოლათ გავალთ. პანსიონი კი პარიზზე ცოტა უფრო ძვირი დაგვიჯდება.

ამ სასტუმროს ნომერსაც დავთმობ, საცა ახლა მე ვმუშაობ, ხოლო ბინის ქირას, კარდინალ ლემუანის ქუჩაზე, 74 ნომერში, ბევრი არაფერი უნდა. მასალები უკვე ვავგზავნე ტროონტოში და მალე პონორარს მივიღებ. სტატიების წერა ყველგან შემიძლია, ყოველგვარ პირობებში, გასამგზავრებლად კი ის ფული გვეყოფა, რაც ამჟამად ხელზე გვაქვს.

აქაურობას რომ ვავეცილდები, იქნებ პარიზხელად დაეწერო რამე, ისევე როგორც პარიზში მიჩივანზე დაეწერე. ის კი ვერ შემეგნო, რომ ჯერ ამისი დრო არ იყო—საამისოდ ჯერ არ ვიცნობდი პარიზს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ასე გამოვიდა. წასვლით კი უსათუოდ წავალთ, ცოლიც თუ მოიწადინებს. ხამანწკებსა და ლეინოს ბოლო მოვუღე, ფულს გადავიხადე და უმოკლესი გზით ვავსწიე შინისაკენ—წმიდა ენევიევის მთაზე გადავიარე. წვიმდა, მაგრამ ეს წვიმა მხოლოდ ამინდს აფუქებდა და არა ცხოვრებას.

—დიდებული იქნება, ტეტი,—მომიწონა ცოლმაც. სახის კუნთები რბილი ჰქონდა, რა რამეს რომ გადაუწყვეტდით, თვალები ხელად აუციმციმდებოდა ხოლმე, თითქოს ძვირფასი საჩუქარი მიართევსო.— როდის წავალთ?

—როცა შენ გინდა.

—მე ახლავე მინდა. მაგას რაღა კითხვა უნდა!

—მანამ დაებრუნდებოდით, იქნებ აქაც გამოიამინდოს. აქ დიდებულია ცივი, ნათელი დღე.

—ნამდვილად!—კვერი დამიკრა მან,—ყოჩაღ, კარგი რამე მოიგოხე.

მის სპანი ღარიბიანს, იქვეა  
ბრძოლის წინაშე

პარიზში რომ დაებრუნდით, დიდებული დღე დაგვიხვდა—ნათელი, ცივი, მშვენიერი. ქალაქი უკვე მომზადებულიყო. ჩვენი სახლის პირდაპირ, შეშისა და ნახშირის საწყობში, დიდებულ შეშას ჰყიდდნენ, საუკეთესო კაფეების ტერასებზე მაყლები გამოედგათ. ჩვენს ბინაშიაც სასიამოვნოდ თბილოდა და სიმყუდროვე იყო. აღმოდებულ შეშას ხუთჯერ—გვანახშირის ტუბის დაწეხილ, კვერცხისებური ფორმის ბრიკეტებს—ვაყრიდით ხოლმე, გარეთ კი ზამთრის ქაბჭახა სინათლე იდგა. უკვე შევეჩვიეთ ცის ფონზე გამოკვეთილ გარტივებული ხეების კონტურებსა და ლუქსემბურგის ბაღში წვივით გადარეცხილ ბილიკებზე სეირნობას, მიუხედავად ამისა, რომ სახეში სუსხიანი ქარი გვეკმდა. ფოთლებგანმარცვლი ხეები ქანდაკებებივით გამოყუდებულიყვნენ, ზამთრის ქარი ვებურებში წყალს ატლამუნებდა, შადრევნების შხეფები მზეში ელავდნენ. ისე შევეჩვიეთ მთებში სიარულს რომ ახლა გზის სიშორე სულაც არ გვაშინებდა.

ციცაბო მთებზე სიარულის შემდეგ ქუჩებში აღმართ-დღმართ სიარული, სასტუმროს სულ ზეითა სართულზე ასვლა კიბით, ჩემს ნომერში, რომელიც სამუშაოდ მქონდა აღებული და საიდანაც ხელის გულივით მოჩანდა გორაკზე შეფენილი სახლების სახურავებზე და საკვამური მიწები, სასიამოვნოც კი იყო. ცეცხლი ბუხარში კარგად გიზგოზებდა და თბილ ოთახში მუშაობა მართლაც სიამოვნებას მგვრიდა. ნომერში თან მიმქონდა ქალაღის პარკებით მანდარინი და შემწვარი წაბლი. როცა მომშვიდებოდა, შემწვარ წაბლსა და მანდარინივით წერილ ფორთოხალს ვჭამდი ხოლმე, ქერქსა და თისლოებს ცეცხლში ვისროდი. გასუირნებას, ცოცხალ ჰაერსა და მუშაობას მალაზე მოვყავდი. ნომერში აღებლის ნაყენი მქონდა, მთიდან ჩამოტანილი,



დღიურ სამუშაოს მოვრჩებოდი, თითო ჰიქას გადავკრავდი. მერე ქაღალდებსა და ბლოკნოტს მაგიდიდან ავალაგებდი, ხოლო დარჩენილ ფორთოხლებს ჯიბეში ჩავიწყობდი. ოთახში დატოვება არ შეიძლებოდა—ლამით ერთიანად გაიყინებოდა.

მსიამოვინებდა ხოლმე გრძელ კიბეზე დაშვება, როცა მუშაობით კმაყოფილი ვიყავი. მანამ სანამ რაიმეს არ მივადწევედი, მაგიდიდან არ ვდგებოდი, და მხოლოდ მაშინ შეგწყვეტიდი მუშაობას, როცა მოფიქრებული მქონდა, მერე რა უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვადაც შემძლებოდა წერა. მაგრამ ზოგჯერ, ახალი მოთხრობის დასაწყისი რომ არ გამომივიდოდა, ბუხარს მივუჯდებოდი, ფორთოხლის კანს ცეცხლში ვაწურავდი და ალის ლურჯად აშიშინებას შევცქეროდი. ან არადა, ფანჯარას მივადგებოდი, პარიზის სახურავებს გავცქეროდი და თავს ვინუგეშებდი: „არა უშავს რა. უწინ ხომ გამოვდიოდა, ახლაც გამოვივა. მთავარია ერთი ნამდვილი ფრაზა დამწერო, ქეშმარიტად ნამდვილი ფრაზა. მეტი არაფერი გინდა“. ბოლოს და ბოლოს, ამ ნამდვილ ფრაზასაც მივაგნებდი, და მერე ყველაფერი თავისით მიდიოდა. ეს არც თუ ისე ძნელი საქმე იყო, რადგან ნამდვილ ფრაზას, ასე თუ ისე, ყოველთვის ვაგნებდი ხოლმე, ან ჩემივე მახსოვდა, ან სადმე ამოვიკითხავდი, ან ვინმესგან ვავიგონებდი. ცალკეულ სიტყვების საგულდაგულოდ გამოყვანას თუ დავიწყებდი, ზოგი ავტორივით, ახსნასა და განმარტებას თუ მივყვებოდი, მერე იმ რწმენამდე მივდიოდი, რომ ამ სამკაულების უმტკივნეულოდ მოცილება და გადადგება ადვილი საქმე იყო, და ისევე იმ ნამდვილი ფრაზით ვიწყებდი ამბავს, რომელიც თავში მომივიდოდა. ჩემს ნომერში, ზემოთ, ვადავწყვიტე, რომ თითო მოთხრობა ყველაფერზე დამეწერა, რაც კი ვიცოდი. ვცდილობდი მუდამ მტკიცედ და-

მეცვა ეს წესი და, ამრიგად, დისციპლინას ვერჩევოდი. იმავე ნომერში კიდევ ერთი წესი გამოვიმუშავე: დავანებებდი თუ არა მუშაობას თავს, ამ საგნებზე მერე აღარ ვფიქრობდი, მანამ მეორე დღეს ისევე არ განვაგრძობდი წერას. ასე რომ, ჩემი ქვეცნობიერება ისევე განაგრძობდა მოთხრობაზე მუშაობას—უცსმენდი სხვებს, და იმედი მქონდა, რომ ყველაფერს შევინიშნავდი, იმედი მქონდა, რომ ახალ რაიმეს გავიგებდი, თან ვკითხულობდი კიდევ, რათა უფრო ადვილად გადამიფიქვებინა დაწეული სამუშაო და მეტი ენერჯით შემძლებოდა მისი გაგრძელება მეორე დღეს. კიბეზე დაშვება იმის შეგრძნებით, რომ დღეს კარგად იმუშავე,—ამას კი, თავის მხრივ, შთაგონება და დისციპლინა სჭირდება. ძალიან მსიამოვინებდა: ახლა უკვე შემძლო, საითაც გული გამიწევდა. იქით წავსულიყავი, პარიზის ქუჩებში. მუშაობის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ქუჩებით ლუქსემბურგის ბაღს თუ მივადგებოდი, ჯერ ბაღში ვივლიდი ერთ ხანს, მერე კი ლუქსემბურგის მუზეუმშიაც შევიდიოდი, სადაც დიდებული სურათები ჰქონდათ გამოფენილი. ამ სურათების უმრავლესობა ახლა ლუქსა და „ბურთის სათამაშო დარბაზში“ გამოფენილი. თითქმის მუდამ დღე შევივლიდი ხოლმე ამ მუზეუმში სეზანის ხათრით, თან მანესა და მონეს ტოლოებიც მაინტერესებდა. და სხვა იმპრესიონისტებისაც, რომელთაც პირველად ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში გავიცანი. სეზანის მხატვრობამ შემასწავლა, რომ მართო ნამდვილი, უბრალო ფრაზები როდი კმარა მოთხრობისათვის ტევადობისა და სიღრმის მისაღებად, რასაც მე თავგამოდებით ვცდილობდი. ბევრი რამ ვისწავლე სეზანისაგან, მაგრამ არ შემიძლია გარკვევით ვთქვა, სახელდობრ რა. თან საიღუმლოც არის ევა. მოღუმულ დღეებში, როცა ლუქსემბურგის მუზეუმშიაც ბნელოდა, ბაღს გადავკრიდი და გერტრუდა სტიანს ვეწეოდი ხოლ-

მე. ფლერიუსის ქუჩაზე, 27 ნომერში. ერთხელ ცოლით ვესტუმრე მისს სტაინს, რომელიც თავის მეგობარ ქალთან ერთად ცხოვრობდა; გულითადად და მეგობრულად მივიღეს. ძალიან მოგვეწონა დიდებული სურათებით მორთული მისი დიდი სტუდია. ყველაზე შესანიშნავი მუზეუმების საუკეთესო დარბაზები მომაგონდა, ოღონდ აქ ბუხარიც იყო, თბილოდა და მყუდროება სუფევდა, გიმასპინძლებოდნენ გემრიელი საუზმით, ჩაითა და ქლიავისა და ველური ყოლოს ნატურალური ლიქიორით. ამ არომატულ, მაგარ სასმელებს ბროლის სურებით მოგართმევდნენ ხოლმე და პატარა ჭიქებში ჩავსხამდნენ, რაც უნდა რქმე დათ — *quetsche mirabelle* თუ *bramboise* — სწორედ ამ ხილის გემო დაჰკრავდათ ხოლმე, ენას სასიამოვნოდ გწვავდნენ, შეგახურებდნენ და ლაპარაკის საღერდელს აგიშლიდნენ.

მისს სტაინი მსხვილი ქალი იყო, ძალიან მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ გლესის დედაკაცივით ზორბა კი იყო. მშვენიერი თვალები ჰქონდა, სახეზე ვერმანხელი ებრაელის ნებისყოფა აღუქმდოდა, თუმცა ფრიულის მკვიდრისთვისაც შეიძლებოდა ეს გამომეტყველება მიეგნიებიათ, საერთოდ სწორედ ჩრდილო იტალიელ გლესის ქალს მომაგონებდა, ჩაცმულობითაც, მკვირცხლი შთამბეჭდავი გამომეტყველებითაც, ლამაზი ჭიუტი თმითაც, რაც მას დაწნული და თავზე დალაგებული ჰქონდა, აღბათ კოლეჯის დროიდან შემორჩა ასე. ენისგულჩერებულად ლაპარაკობდა ხოლმე, ჯერ სხვადასხვა ხალხსა და ქვეყნებზე ჩამოაგდებდა სიტყვას.

მის მეგობარს საამური ხმა ჰქონდა, ტანმორჩილი იყო, შეატუნა, ცხვირმოკაუქებული, თმა ბუტენი ილუსტრაციებზე გამოსახულ ენა დარკივით ჰქონდა შეკრეპილი. ჩვენ რომ შევედით, რაღაცას ჰარგავდა, არც შეუწყვეტია ჰარგვა, ისე გვიმასპინძლებოდა, და თან საუბრით იქცეოდა ჩემს ცოლს. თან

იმას ელაპარაკებოდა და *ქრისტიანე* გვიგდებდა ყურს, ზოგჯერ *ქრისტიანე* და კიდევ ჩვენს საუბარში. მერე გამომიბიძგა, ცოლების ლაპარაკით შექცევა მე მაქისრიაო. მე და ჰედლიმ მახიხვე ვიგრძენით, რომ სტუმართა ცოლებს აქ ძლივს ითმენდნენ. მაგრამ ძალიან კი მოგვეწონა მისს სტაინიცა და მისი მეგობარიც, თუმცა დიდი სასიამოვნო ქალი არა ჩანდა ეს მისი მეგობარი. სურათები, ნამცხვარი და არაყო მართლაც რომ დიდებული იყო. მოგვეჩვენა, რომ ჩვენც მოვეწონეთ ერთსაც და მეორესაც, ისე მოგვექცნენ, როგორც კარგად აღზრდილ, იმედის მოძემ ბეშვებს, და ვიგრძენი, რომ ერთმანეთის სიყვარულაც გვაპატიეს, და ისიც, რომ ცოლქმარი ვიყავით — დრო ყველაფერს კურნავს — ხოლო როცა ჩემმა ცოლმა ჩაიხე მიაპატივა, მათ მიიღეს ეს მიწვევა.

როცა გვეწვიენ, თითქოს კიდევ უფრო მოვეწონეთ. თუმცა იქნებ ჩვენა ბინის სიციწროვით აიხსნას ეს — უფრო ახლოს ვისხედით ერთმანეთთან. მისს სტაინმა ნაალზე მოიკალათა, რომელიც პირდაპირ იტაკზე გვექონდა გაშლილი და ლოგინად ვხმარობდით. მოთხრობები მომთხოვა, და ყველა მომეწონაო. მოთხრა, გარდა ერთი მოთხრობისა — „იქ, მიჩივანში“.

— მოთხრობა თვითონ კარგია, — თქვა მან, — განა იმას ეაშობ. მაგრამ *inaurachable* არის. უფრო კარგად რომ ვაგაგებინოთ, ისეთ სურათსა ჰვავს, რომელიც მხატვარს დაუხატავს და ახლა ვეღარსად გამოუფენია, იმიტომ რომ არ შეიძლება გამოუფენა, არავინ იყიდის, რადგან სახლშიაც ვერსად ჩამოჰკიდებ.

— თუკი თვით მოთხრობა არ არის ძალიან უხამსი და, უბრალოდ, ისეთ სიტყვებზეა საქმე, რასაც ასეთ დროს ხმარობს ხოლმე ხალხი, მაშინ რა უნდა ვქნა? თან, თუკი სწორედ ეს სიტყ-

1 ეს გამოთქმა აქ „მიუღებელს“, „შეუფერებელს“ ნიშნავს.



ვები ანიჭებს მას სიმართლეს და უამ-  
სიტყვებოდ არაფერი გამოვა?! იძულებ-  
ული ვხდები ასეთი სიტყვებიც ვიხ-  
მარო.

—თქვენც ვერ გამოიგეთ,—მითხრა მან  
—inaurochable მოთხრობები სულაც  
არ უნდა წეროთ. აბა, რა აზრი აქვს.  
არ ალის სწორი. სისოღლეა.

„ატლანტიკ მანთლში“ მინდა მოთხ-  
რობების დაბეჭდვა და ამას მივალწევ  
კიდევო, მითხრა. თქვენ ჯერ ვერა ხართ  
ისეთი მწერალი, რომ ამ ჟურნალში  
ან „სატურდები ივინჯ პოსტში“ იბეჭ-  
დებოდეთ, შესაძლებელია წერის მანე-  
რით ახალი ტიპის მწერალი იყოთ,  
მაგრამ, რაც თავი და თავია, არ უნდა  
დავიწყოთ, რომ inaurachable მოთ-  
ხრობების წერა არ შეიძლებაო.  
დავას მოვერიდე და აღარ ვავეუმეორე,  
როგორ ვაგებდი ხოლმე დიალოგებს.  
ეს ჩემი პირადი საქმე გახლდათ. მაგ-  
რამ მასთან საუბარი მაინც საინტერე-  
სო იყო. იმავე ღამეს გვასწავლა მან,  
როგორ უნდა შეგვეცინა სურათებო.

—ან ტანსაცმელი უნდა იყიდო, ან  
სურათები,— თქვა მან,—სულ უბრა-  
ლო საქმეა. მდიდარი ხალხის გარდა  
ვერავინ ვერ ახერხებს ამას. სულაც  
ნუ მიაქცევთ ყურადღებას, როგორი  
ჩაცმული ხართ, მით უმეტეს—მოდას;  
ეცადეთ გამძლე და მოხერხებული ნივ-  
თები იყიდოთ, და მაშინ სურათების  
შესაძენად დაგრაჩებათ ფული.

—სულაც რომ ავიკეთო დღეიდან  
ტანსაცმლის ყიდვა,—შევესიტყვე მე,—  
პიკასოს იმ სურათების შესაძენად,  
რაც მე მომწონს, ფული მაინც თავის  
დღეში არ მეყოფა.

—ეს კი მართალია. პიკასო თქვენ-  
თვის მართლაც მიუწვდომელია. თქვენ-  
ივე თაობის მხატვრების სურათები  
უნდა შეიძინოთ, გაეცნობით. თქვენსა-  
ვე უბანში შეხედებით მათ. კარგ, სე-  
რიოზულ ახალ მხატვრებს რა გამო-  
ლევს, მაგრამ ტანსაცმელი რომ ვახ-  
სენე, იმდენად თქვენ კი არ მყავდით  
მხედველობაში, რამდენადაც თქვენი

ცოლი. სწორედ ქალის ტუალეტაშია  
რი.

შევინშნე, რომ ჩემი ცოლი ცდილობ-  
და თვალი აერიდებინა მისს სტიანის  
დიდებული კაბისათვის, და კარგადაც  
გამოუვიდა ეს. როცა ისინი წავიდნენ.  
ვიგრძენი, რომ ძველებურადვე მოვ-  
წონდით, რადგან ისევ მიგვიპატიეს  
ფლერიუსის ქუჩაზე, 27 ნომერში.

ხოლო უფრო მოგვიანებით, ზამ-  
თარში, შემომთავაზეს: ხუთი საათის  
შემდეგ, როცა მომესურებოდა, მა-  
შინ მივსულიყავი მათთან. ეს მოხდა  
ლუქსემბურგის ბაღში, საცა მე მისს  
სტიანს შევხვდი. აღარ მახსოვს ძალ-  
ლიც თუ ჰყავდა გასატარებლად გამოყ-  
ვანილი, ან საერთოდ ჰყავდა თუ არა  
იმ ხანად ძალლი. ეს მახსოვს მხოლოდ,  
რომ მე მარტო დავეილობდი, რადგან  
ძალლის ფული მაშინ არა გვექონდა, ან  
კი არადა კატის ფულიც არა გვექონდა.  
კატებს კაფეებსა და პატარა რესტორ-  
ნებში თუ ვნახავდი, ანდა შევიცრე-  
ბის ფანჯრებში თუ დავინახავდი შესა-  
ნიშნავ ბუთქუნა კატებს. მერე და მერე  
ხშირად მინახავს მისს სტიანი ძალლით  
ლუქსემბურგის ბაღში, მაგრამ იმ  
დღეს; მგონი, არა ჰყოლია.

ასე იყო თუ ისე, მე სიამოვნებით  
მივიღე მისი მიწვევა და მისს სტიან-  
თან სიარულს მოვუხშირე; ნამდვილი  
არყით მიმასპინძლებოდა მუდამ. გა-  
მიპიპინებდა ხოლმე ჭიქას, მე კი სურა-  
თებს ვათვლიერებდი, და ვსაუბრობ-  
დით. სურათები დიდებული იყო, ჩვენი  
საუბარი — ძალიან საინტერესო. უფრო  
ხშირად მისს სტიანი ლაპარაკობდა, მი-  
ამბობდა თანამედროვე მხატვრობასა და  
მხატვრებზე (მათ ადამიანურ მხარეებზე  
უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე შე-  
მოქმედებაზე), მელაპარაკებოდა თავის  
შემოქმედებაზე. მაჩვენა, ხელნაწერები.  
კარგა ბლომად, რასაც მანქანაზე მეგო-  
ბარი ქალი უბეჭდავდა. თავი მოქონდა,  
ყოველდღიურად გჟუშაობო. ბედნიეოო  
იყო ამით, მაგრამ უფრო ახლოს რომ  
გავიციანი, მივხვდი, რომ ბედნიერი  
მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მისს სტი-

ინი ყოფილიყო, თუ თავის ყოველ-  
დღიურ პროდუქციას, რისი მოცულო-  
ბაც მისივე ენერჯიაზე იყო დამოკიდე-  
ბული, სადმე დაბეჭდავდა და საქვეყ-  
ნო აღიარებას მიადრწევდა.

მე რომ გავეცანი, მაშინ იმდენად არ  
აწუხებდა ეს, რადგან უკვე დაბეჭდი-  
ლი ჰქონდა სამი ყველასათვის გასაგე-  
ბი მოთხრობა. ერთი მათგანი განსა-  
კუთრებით კარგი იყო; შესანიშნავი ნი-  
მუშები მისი ექსპერიმენტული შემოქ-  
მედებისა ცალკე წიგნად იყო გამოცე-  
მული, და კრიტიკოსებიც—რომლებიც  
მასთან დადიოდნენ სტუმრად ან სალ-  
მით მაინც იცნობდნენ—მალღ შეფასე-  
ბას უძღვნიდნენ. განსაკუთრებული მო-  
მხიბლობა ჰქონდა ამ ქალს, და თუკი  
ვინმეს მიმხრობას მოიწადინებდა, წინ  
ველარაფერი დაუდგებოდა; კრიტიკო-  
სები, რომლებიც მას პირადად იცნობ-  
დნენ, ან რომელთაც მისი სურათები  
ენახათ, იმდენად მოჯაღოებული იყვნენ  
ამ ქალის ადამიანური მომხიბლობით  
და იმდენად სჯეროდათ მისი მსჯელო-  
ბის ჭეშმარიტება, რომ მის შემოქმედ-  
ებას ბრმად აღიარებდნენ, თუმცა კი  
ვერაფერი გებულობდნენ. ამას გარდა.  
მან მართლაც მიაგნო ბევრ მართალსა  
და ძვირფას ჭეშმარიტებას რიტმისა და  
განმეორების შესახებ და ძალიან  
საინტერესოდ ლაპარაკობდა ხოლმე  
ამ თემაზე.

მაგრამ საშინლად არ უყვარდა ხელ-  
ნაწერის სწორება და დამუშავება, არა  
ცდილობდა, რომ წიგნი კარგი საკით-  
ხავი გამოსვლოდა, თუმცა დაბეჭდვი-  
თა და საერთო აღიარების მიღწევილ  
ძალიანაც იყო დაინტერესებული. ყვე-  
ლაზე უფრო ეს ითქმის მის უშველ-  
ბელ წიგნზე—„ამერიკელთა ჩამოყალი-  
ბება“.

წიგნი დიდებულად იწყებოდა, ამას  
მოსდევდა ათობით გვერდი ნამდვილად  
ბრწინვალე ადგილები... და მერე მო-  
დიოდა გაუთავებელი განმეორებანი,  
რომელთაც უფრო კეთილსინდისიერი  
და ნაკლებად ზარმაცად ავტორი, კალათ-  
ში გადაუძახებდა. მე კარგად გავცე-

ნი ამ ნაწარმოებს, და ვურჩევ კრედიტ-  
უფრო სწორი იქნება თუ ვერცხვამ<sup>1</sup> ვაპა-  
იძულე—ფორდ მედოკს ფორდი  
„ტრანსატლანტიკ რევიუში“ დაბეჭდა  
გაგრძელებებით, წინასწარვე ვიცოდი,  
რომ ეურნალი ნაწარმოების ბოლომდე  
დაბეჭდვას ვერ მოასწრებდა, მანამდე  
დაიხურებოდა. იძულებული გავხდი  
ეურნალის ანაბეჭდები მისს სტაინის  
მაგივრად მე მეკითხა, რადგან ეს შრომა  
მას დიდ ენაყოფილებას არ ანიჭებდა.

იმ დღეს, იმ საშინელ სიცივეში, რო-  
ცა მე შევიცრის ოთახს ჩაეუარე, გა-  
თომილი ეზო გადავჭერი და თბილ  
სტუდიაში შევედი, ეს ყველაფერი ისევ  
წინ იყო. ამ დროისათვის ჩვენ უკვე ძა-  
ლიან შევეთვისეთ ერთმანეთს, უკვე  
შევიცანი, რომ ყველაფერი, რასაც მე  
ვერა ვხვდებოდი, რაღაც ღირსებით  
იყო მოცული. მისს სტაინის აზრით, მე  
სავსებით ვერ ვერკვეოდი სექსუალურ  
საკითხებში. უნდა გამოეცხადე, ჰომო-  
სექსუალზმის წინააღმდეგ თავიდან  
მქონდა ჩამოყალიბებული განსაზღვ-  
რული რწმენა, რადგან ჩემთვის ცნო-  
ბილი იყო მისი მხოლოდ ბრძოლვით  
ასპექტები. ვიცოდი, რად ატარებდნენ  
ბიჭები დანას, ხოლო ზოგჯერ დაატრი-  
ალებდნენ კიდევ მანანწალების წრე-  
ში... ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სიტ-  
ყვა „მგელი“ ქალებზე ჰქუადაკარგულ  
მამაკაცებს არ ნიშნავდა. ვიცოდი ბევრი  
inarcercabile<sup>1</sup> სიტყვა და გამოთ-  
ქმა, რაც ჯერ კიდევ აღრე გამეგონა,  
კანზას-სიტში, ვიცოდი ამ ქალაქის  
ცალკეულ უბნებში, ჩიკაგოსა და ტბის  
გემებზე გამეფებული ზნე—ჩუუუულე-  
ბანი: მისს სტაინის შეკითხვებზე მე  
ვცადე განმარტება მიმეცა, რომ ბიჭი,  
რომელიც მამაკაცების წრეში ტრია-  
ლებს, მუდამ მზად უნდა იყოს კაცის  
მოსაყლაღად, უნდა შეეძლოს ეს, და  
თან უნდა სწამდეს, რომ ამას ნამდვი-  
ლად მოიმოქმედებს, თუკი ჩამოეკიდე-  
ბიან და აღარ მოეშვიბიან. ეს acere-  
chable იყო. როცა შენ თვითონ გჯე-

<sup>1</sup> ეს გამოთქმა აქ „მისაღებს“ ნიშნავს.

რა, რომ მზადა ხარ კაცის მოსაკლავად, სხვები ამას ხელადე იგრძნობენ და მოგეშვებიან. შემძლო ჩემი აზრი უფრო ღამაზად გამოიმეტევა ერთი inaurable ფრაზით, რაც „მგლებისაგან“ გამოიგონია ტბის გემებზე, მაგრამ მისს სტაინთან საუბრის დროს მუდამ ფრთხილად ვარჩევდი ხოლმე გამოთქმებს, მაშინდა კი, როცა ერთ რომელიმე სიტყვას უფრო მარჯვედ და ზუსტად შეეძლო გადმოეცა რაიმე აზრი.

— ეს მესმის, ჰემინგუეი, — მითხრა მან ბოლოს, — მაგრამ თქვენ ისეთ წრეში ცხოვრობდით, სადა ბოროტმოქმედება და გარყვნალება იყო გაპარპაშებული.

ალარ შევედავე, თუმცა გუნებაში ვაფიქვრე: რაც სხვაგან, იქაც ის იყო — მეთქი. იქაც იყო სხვადასხვაგვარი ხალხი, მე ვცდილობდი კარგად გამეცნო ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი სულაც არ მომდიოდა თვალში, ზოგს კი დღემდე ვერ ვიტან.

— კარგი მაგრამ იმ ბერიკაცზე რაღას იტყვი, რომელსაც დახვეწილი მანერები და გახმაურებული სახელი ჰქონდა; იტალიის ერთ — ერთ პოსტიტალში რომ ვიწქეპი, ჩემთან მოვიდა ეს კაცი და ბოთლი „მარსალა“ თუ „კამპარი“ მომიტანა, კარგად აღარ მახსოვს, ჭერ წესიერად იქცეოდა, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, იძულებული გავხდი მოწყალეების დისათვის მეთხოვა, მაგ კაცს ჩემს პალატაში ნუღარ შემოღებებოდა მეთქი! ჰა, იმ კაცზე რაღას იტყვი?

— ეს ხომ ავადმყოფი ხალხია, რომელთაც თავი ველარ მოუთოკავთ. უნდა შეგებრალოთ ასეთი ხალხი.

— მაშ ეხეც უნდა შევიბრალო? — ერთი კაცი დავუსახელე.

— არა. ის ვაფუჭებული კაცია. ნამდვილი გარყვნილი და ვაფუჭებული.

— კარგ მწერლად რომ ითვლება!

— არც მწერალი უქნია ღმერთს, — მიპასუხა მან, — პოზიორია და მეტი არაფერი, და ხალხსა რყენის, იმიტომ რომ ამაში მისდის სული. სხვა უბედურება-

საც ახვევს ხალხს თავზე, ნარკოტიკებით წამლავს, მაგალითად.

— ის მიღანელო ბერიკაცი გარყვნას არა ცდილობდა?

— რა სისულელეს ლაპარაკობთ. თქვენ ის რას გარყვნიდათ? ერთი ბოთლი „მოსალათი“ როგორ უნდა გარყვნა კაცი, რომელიც სუფთა სპირტსა სვამს? გაუბედურებული ბერიკაცი იყო, რომელიც თავის საქციელზე პასუხს აღარ აგებს. ავადმყოფი კაცი... თავს ველარ იკავებდა... უნდა შეგებრალოთ.

— მაშინ შემებრალო კიდეც ვუთხარი მე, — მაგრამ ძალიან გამიტყდა ვულისეთი კარგი მანერები ჰქონდა!

არაფი მოგსვი, ბერიკაცი შევიბრალებ. და პიკასოს ტიტველ გოგოს შევხედე. რომელსაც ყვავილების კალათი უჭირავს ხელში. უცებ ვიგრძენი, ეს ლაპარაკი რომელიც მე არ წამომიწყია, რომ ცოტა არ იყოს სახიფათოდ ვითარდებოდა. ისე გახურდებოდა ხოლმე ჩემი და მისს სტაინის საუბარი, პაუზა არც კი ვიცოდით, ახლა კი დავდუმდით, დააპირა რაღაც ეთქვა და მე უცებ ჰქა შევუვსე.

— თქვენ ამეებისა მართლაც რომ არაფერი ვაგებებთ, ჰემინგუეი, — მითხრა მან, — თქვენ შეხვედრიხართ ან ბოროტმოქმედებს, ან ავადმყოფებს და ან ვაფუჭებულ ხალხს. მთავარი კი ის არის, რომ ჰომოსექსუალიზმი სიბინძურე და საშინელებაა, და ხალხს თვითონვე ეზიზღება ხოლმე თავისი თავი... სვამენ, ნარკოტიკებს ხმარობენ, რათა თავდავიწყებას მიეცნენ, მაგრამ ის მაინც ეზიზღებათ, რასაც თვითონვე აკეთებენ, სწორად იცვლიან ხოლმე პარტნიორებს და ნამდვილ ბედნიერებას ვერასოდეს ვერ განიცდიან.

— გასაგებია.

იმდენი რამის ვაგება მსურდა იმ ხანად, რომ გამეხარა კიდეც, როცა საუბარი სხვა რამეზე გადავიტანეთ. ბალი დაკეტოდა დამისხდა, იძულებული გავხდი მესლის გასწვრივ მეგლო და ასე შემოვლით ვავსულიყავი ვოკირარის ქუჩაზე. გული ჩამწყდა, ბალის ჰიშვარი რომ დაკეტილი დამხვდა, მწყინდა, რომ

ირგვლივ უნდა შემომეცლო, პირდაპირ ვერ გადავჭრიდი და ვერ მივადგებოდი კარდინალ ლემუანის ქუჩას, საცა შე ვცხოვრობდი. არადა კარგად კი დაიწყო ეს დღე. ხვალ ბევრი უნდა ვიმუშაო. მაშინ მწამდა, რომ მუშაობა ყოველგვარი უბედურების პანაცეა იყო, ახლაც მწამს ეს. მე დავასკეენი, რომ მისს სტაინს გადაუწყვეტია განმკურნოს მე ახალგაზრდობისაგან, ცოლის სიყვარულისაგან. ასე რომ, შინ როცა მივდი; კარდინალ ლემუანის ქუჩაზე, და ცოლს ახლადშემენილი ცოდნა გავანდე, გულზე ერთბაშად მომეშვა. დამით კი კვლავ დაეტკბი იმით, რაც ადრევე ვიცოდი, და ამ ახალი ცოდნის სიტკბოებაც ვიგემეთ, რაც ამასწინათ მთებში მივიღეთ.

### „Une Génération Perdue“<sup>1</sup>

ისე გამიტკბა სითბო, სურათები და საუბარი, რომ მალე ჩვეულებად მექცა ფლერიუსის ქუჩაზე შევლა, 27 ნომერი. მისს სტაინი ხშირად მარტოცა ყავდებოდა ხოლმე შინ, დიდი ამბით მიმიღებდა, და ძალიან დიდხანს ვაპყვასიმპათია ჩემს მიმართ. სხვადასხვა პოლიტიკური კონფერენციებიდან რომ დავბრუნდებოდი (ახლო აღმოსავლეთი ივნებოდა ეს თუ გერმანია, საცა მე კანადური გაზეთებისა და სააგენტოს დავალუბით მივემგზავრებოდი) დამსვამდა და წვრილად მაამბობინებდა სასაცილო შემთხვევებს. კურიოზები, იცოცხლე, ბლომად იყო, და ძალიანაც უყვარდა მათი მოსმენა, ისევე, როგორც მოთხრობებისა, რომელთაც, გერმანელების გამოთქმისა არ იყოს, მარყუქში თავგაყოფილი კაცის იუმორი დაჰკრავდა. მისს სტაინს მხოლოდ მხიარული მხარე აინტერესებდა იმისა, რაც ჭვეყნად ხდებოდა, და არა მთელი სიმართლე, არა ცუდი ამბები.

მე ყმაწვილი კაცი ვიყავი და სასოწარკვეთა ჩემთვის უცხო იყო, ხოლო სასაცილო და კურიოზული ამბები საშინელების დროსაც კი ხდებდა ხოლმე.

და მისს სტაინს სწორედ ამისთანა ამბების მოსმენა უყვარდა. სხვა კრებებზე არც ვუამბობდი, სხვა რამეებს ჩემთვის ვწერდი ხოლმე.

მაგრამ მუშაობის შემდეგ რომ შევივლიდი ფლერიუსის ქუჩაზე (და არა მოგზაურობის შემდეგ), ზოგჯერ შევეცდებოდი წიგნებზე გამემართა საუბარი. მუშაობის დროს, როცა მოვრჩებოდი ხოლმე წერას, წიგნის კითხვა აუცილებელი იყო ჩემთვის. სულ თუ იმ შესს სამუშაოზე იფიქრე ადვილი შესაძლებელია თვალსა და ხელს შუა გაგიჭრეს ის, რასაც წერ, მანამ მეორე დღეს მაგიდას მიუჯდებოდე. მუხლო უნდა გაშალო, ფიზიკურად დაილალო. და განსაკუთრებით კარგია შენი საყვარელი ადამიანით გატაცება. ამას არაფერი შეედრება. მერე კი, როცა გამოიფიტები, უნდა აიკითხო, ფიქრის დრო აღარ უნდა დაიტოვო; მანამ კვლავ მიუჯდები მაგიდას, იმ სამუშაომ აღარ უნდა შეგაწუხოს. უკვე შევეჩვიე და ბოლომდე აღარ ვხაპავდი ჩემი შემოქმედებითი აზრის ქას, იმ დროს შევწყვეტიდი ხოლმე მუშაობას, როცა ქაში კიდევ რჩებოდა რაღაც, ხოლო მეორე დღისთვის მიწისქვეშა წყაროებით ისევე ისევე გაიფიქროდა.

დაწყებულ სამუშაოზე ფიქრის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ მაშინდელი მწერლებს წიგნებს ვკითხულობდი ხოლმე, —ოლდოს პაკლის წიგნებს, მაგალითად, ან დ. გ. ლოურენსისა. ან რომელიმე სხვა თანამედროვე მწერლისას, რასაც კი ვიშოვიდი სილვია ბინის ბიბლიოთეკაში ან ბუკინისტების მაღაზიებში წავაწყდებოდი, სანაპიროზე.

—პაკლი ხომ მკვდარია! —თქვა მისს სტაინმა, — ნეტა რაში გვირუდობთ მკვდრის წიგნები? ვერა გრძნობთ, რომ მიცვალბებულა?

არა, მე არ მიმანდა იგი მკვდარად. მისი წიგნები მართობს—მეთქი, შევესიტყვე, ფიქრის საშუალებას მართმევს—მეთქი.

—ან ძალიან კარგი რამე უნდა წაიკითხოთ, ან სულ უფარგისი.

<sup>1</sup> დაკარგული (დაღუპული) თაობა (ფრანგ).

— მთელი ზამთარი კარგ წიგნებს ვკითხულობდი, შარშანაც ასე იყო და გაის ზამთარშიაც ასე ვიხამ, უვარგისი წიგნები არ მიყვარს.

— მაშ ეს აბადა-უბდა საიდან გამო-  
აძვრინეთ? ეს გაფუყული სისულელე?!  
თანაც მკვდრის დაწერილი.

— მინდა ვიცოდე. რას წერს ხალხი,  
— ვუთხარი მე, — რათა მე თვითონაც  
არ დაეწერო ისეთი რამე.

— სხვას ვის კითხულობთ?  
— დ. გ. ლორენსი, — ვუპასუხე მე,  
— რამდენიმე ძალიან კარგი მოთხრობა  
დაწერა, განსაკუთრებით „პრუსიელი  
ოფიცერი“.

— მეცა ვცადე მავისი რომანების წა-  
კითხვა. შეუძლებელია. სისულელე და  
უბადრუტობაა. ავადმყოფივით წერს.

— მე პირადად მომეწონა მავისი „ვა-  
ეიშვილები და საყვარლები“ და „თეთ-  
რი ფარშევანგი“. — ვთქვი მე, — თუმ-  
ცა ეს მეორე წიგნი არც თუ ისე. „შეყ-  
ვარებულ ქალებზე“ კი ვეთანხმებით,  
ვერც მე წავიკითხე.

— ცუდი წიგნების კითხვას თუ ერი-  
დებით, და გულისგადასაყოლებელი და  
თავისებურად კარგი წიგნების კითხვა  
გირჩევიათ, მარი ბელოკ ლაუნდსი წაი-  
კითხეთ.

პირველად გავიგონე ეს სახელი, და  
მისის სტაინმა მისი „მდგმური“ მათხო-  
ვა, შესანიშნავი მოთხრობა, და კიდევ  
ერთი რომანი, რომელშიაც მკვლელ-  
ების ამბავია აღწერილი, პარიზის ერთ-  
ერთ გარეუბანში. ალბათ ენგიენ-ლე-ბე-  
ნზე. მუშაობის შემდეგ ამ წიგნების წა-  
კითხვას მართლაც რომ არაფერი ჯობ-  
და. გმირები საკმაოდ ცხოვრებისეულ-  
ნი იყვნენ, ხოლო მათი ქცევები და მთე-  
ლი საშინელებანი — სავსებით დამაჯე-  
რებელი. რაც კი ვიშოვე. ყველაფერი  
გადავიკითხე მისი ბელოკ ლაუნდსისა.  
თუმცა ბევრი წიგნი არა მქონია, და იმ  
ორ წიგნს სხვები ვერც შეედრებოდა.  
მანამ სიმენონის შესანიშნავი წიგნები  
გამოვიძოდა, თავისუფლების ეამს სა-  
კითხავად ამათ მსგავსს მართლაც არა-  
ფერს გადავყრივარ.

ალბათ, მისს სტაინსაც მოეწონებოდა  
სიმენონის წიგნები (პირველნი მათგან  
წავიკითხე, ან „L' Fchuse Numero 1“,  
ან La Maison du Canal“ იყო, კაოგად  
იყო, კარგად აღარ მახსოვს), თუმცა ვინ  
იყის: მე რომ გავიციანი მისს სტაინი,  
ფრანგულად კითხვა ვერაფრად ეპიტხა-  
ვებოდა, ლაპარაკით კი უყვარდა ფრან-  
გული ლაპარაკი. სიმენონის პირველი  
ორი წიგნი ჯეინზე ფლენერმა მომცა. ამ  
ქალს ძალიან უყვარდა ფრანგულად კი-  
თხვა, და სიმენონი ჯერ ისე პოლიციის  
რეპორტიორი იყო, როცა მის წიგნებს  
კითხულობდა.

იმ სამი თუ ოთხი წლის განმავლობა-  
ში, რაც მე გერტრუდა სტაინთან მე-  
გობრობა მქონდა, ერთხელაც არ მახ-  
სოვს, რომელიმე მწერალზე კარგი აზ-  
რი გამოეთქვას. გარდა იმ მწერლებისა,  
ვინც მის წიგნებს აქებდა და ვისაც მისი  
კარიერისათვის რითიმე ხელი შეეწყო.  
გამონაკლისს წარმოადგენდა რონალდ  
ფერბენკი და უფრო მოგვიანებით,  
სკოტ ფიცჯერალდი. როცა გავეცანა,  
შერეულ ანდერსონს, როგორც მწერალს,  
სულაც არ მოიხსენიებდა, ხოლო რო-  
გორც ადამიანი ცამდე აკყავდა. ისეთი  
სიყვარულით ახსენებდა ხოლომე მის  
დიდ, იტალიურ, ხავერდივით მშვენიერ  
თვალებს, მის ჟულეკეთილობასა და მომ-  
ხიბლობას!.. მე სულაც არ მაინტერე-  
სებდა ანდერსონის დიდი, იტალიური,  
ხავერდივით მშვენიერი თვალები, მაგ-  
რამ ზოგი მისი მოთხრობა მართლაც  
რომ მომწონდა. უბრალოდ წერდა. ზოგ-  
ჯერ დიდებულადაც, კარგად იცნობდა  
იმ ხალხს, ვისზედაც წერდა, და თავისი  
გმირები ძალიან უყვარდა. მისს სტაინს  
მისი მოთხრობების გაგონებაც კი არ  
უნდოდა. როგორც კარგ ადამიანს ისე  
ახსენებდა ხოლომე.

— ანდერსონის რომანებზე რა აზრ-  
სა ხართ? — ვკითხე მე.

მაგრამ არა და არ სურდა ანდერსო-  
ნის შემოქმედებაზე ლაპარაკი, არც ჯო-  
ისზე იტყოდა რამეს. საკმარისი იყო  
სულ ორჯერ გესხენებიათ ჭოისი. და ამ  
სახლის კარი თქვენთვის სამუდამოდ და-



იკეტებოდა. ისეთივე უტაქტობა იქნებოდა ეს, როგორც ერთ გენერალთან მეორის ქება. ერთხელ რომ მოგვიდდეთ ასეთი შეცდომა, მეორედ, რალა თქმა უნდა, აღარასოდეს გამეორებთ. სამაგიეროდ. გენერალთან რომ ლაპარაკობთ, შეგიძლიათ ის გენერალი უხსენოთ, ვინც ამას როდესმე დაუმარცხებია. თქვენი თანამოსაუბრე გენერალიც მოჰყვება დამარცხებულის ქებას და სიამოვნებით გაიხსენებს ყოველ წვრილმანს, თუ როგორ და რანაირად აჯობა მას.

იმდენად კარგი იყო ანდერსონის მოთხრობები, რომ მსუბუქი საუბრის თემად არ გამოდგებოდა. შემქმლო მისი რომანები მეძაგებინა მისს სტაინთან, მაგრამ ეგეც უტაქტობა იქნებოდა — არც ძაგება ესიაშოვნებოდა თავისი ერთერთი ყველაზე უფრო ერთგული მოკავშირისა. აკი დაწერა ერთი რომანი — „ნადვლიანი სიცილი“ — უბადრუკი, სულელური, თითიდან გამოწოვილი, და თავი ველარ შეეკავე, პაროდია დაეწერე. მაგრამ მისს სტაინი ძალიან გაიბრაზდა. როგორ ვიკისრე, რომ მისი ამალის წევრს დაეხსი თავს?! თავიდან არ მოსდიოდა ხოლმე გული. ხოლო როცა შერეურდის სამარეწველო რეპუტაცია საბოლოოდ განადგურდა, ადგა და მის გაუთავებელ ქებას მოჰყვა.

კანადიდან დაბრუნების შემდეგ იყო (ჩვენ მაშინ ნოტრ-დამ-დე-შანის ქუჩაზე დადებინადელი, და მისს სატინთან ძველებებურადვე მეგობრული ურთიერთობა მქონდა), როცა ვერტრულა სტაინმა პირველად წარმოთქვა თავისი ფრაზა დაღუპული თაობის შესახებ. ძველებურ „ფორდს“, რითაც მაშინ მისს სტაინი დადიოდა, ძრავაში რალაც მოუვიდა. და ახალგაზრდა მექანიკოსმა, — რომელსაც სულ ერთი წელი ვაეტარებინა ფრონტზე, ახლა კი გარაჟში მუშაობდა, — ვერაფერი მოუხერხა, ან იქნებ საჭიროდ არ მიიჩნია ურიგოდ შეეკეთებინა მისი მანქანა. ასე იყო თუ ისე, სათანადოდ — serieux<sup>1</sup> არ აღმოჩნდა ყმაწვილი

კაცი და გარაჟის პატრონიც დაეწინაურდა და მოხვდა, როცა მისს სტაინმა ეს მანქანა ბავი შესწივლა. „თქვენ ყველანი — „génération perdue“<sup>2</sup> ხართ“, უთხრა მას გარაჟის პატრონმა.

— აი, რა ხართ თქვენ ყველანი! ომში ნამყოფი ახალგაზრდები, — მითხრა მისს სტაინმა, — თქვენ დაღუპული თაობა ხართ.

— ვითომ? — ვკითხე მე.

— რა თქმა უნდა. — დაიკინა მან, — არაფრის პატივისცემა თქვენ არა გაქვთ. იმდენსა სვამთ. რომ გონება ვიწლუნგდებათ...

— მთვრალი იყო ის მექანიკოსი?

— მთვრალი რად იქნებოდა!

— მე გინახვიართ როდესმე მთვრალი?

— თქვენ არა, მაგრამ თქვენი მეგობრები ლოთები არიან.

— მეც დავმთვრალვარ, — ვუთხარი მე, — მაგრამ თქვენთან არასოდეს არ მოვსულვარ მთვრალი.

— ვიცი. განა მავას ვამბობ.

— იმ გარაჟის პატრონი ალბათ თვითონვე იყო მთვრალი დილის თერთმეტი საათიდან. — ვთქვი მე, — იმიტომაც ამოშაქრა ამისთანა დიდებული აფორიზმი.

— მე ნუ მედავებით, პემინგუეი, მაინც ვერაფერს ვახდებით. გარაჟის პატრონი მართალი იყო, თქვენ — დაღუპული თაობა ხართ.

უფრო მოგვიანებით, როცა მე ჩემი პირველი რომანი დაეწერე, ეპიგრაფად ვცადე „ეკლესიასტიდან“ ამოწერილ სიტყვებისათვის ის გამოთქმა დამეწყვილებინა, რაც მისს სტაინმა გარაჟში გაიგონა. იმ საღამოს კი, შინ რომ ვბრუნდებოდი, იმ გარაჟში მომუშავე კაბუკზე ვეფიქრობდი — ვინ იცის, იქნებ ეგეც გადაჰყავდათ ფრონტზე ასეთივე „ფორდით“, რასაც მაშინ სანიტარულ მანქანებად აკეთებდნენ ხოლმე სახელდახელოდ. მომავგონდა, როგორ უფუჭლებო-

<sup>1</sup> სერიოზული (ფრანგ.).

<sup>2</sup> დაკარგული (დაღუპული) თაობა (ფრანგ.).

დათ მუხრუშები, როცა დაქრილებით დატვირთულ მანქანით მთის გზებზე ეშვებოდნენ დაღმა, და იძულებული ხდებოდნენ ბირველ სიჩქარეში გადაყვანით დაემუხრუშებინათ, მერე კი უკანასკლას ჩართავდნენ; მერე როგორ გადაუშვეს ხრამში დაცარიელებული მანქანა, რათა სამაგიეროდ დიდი „ფიატი“ მიეღოთ. რომელსაც უფრო საიმედო მუხრუშები ჰქონდა. ვფიქრობდი მისს სტაინზე, შერუდ ანდერსონზე. ვგოიზმზე და იმაზე — გონებრივი სიზარმაცე ჯობს თუ დისციპლინა. საინტერესოა, ვფიქრობდი მე, ჩვენს შორის ვისზე უფრო ითქმის დაღუპული თაობა?! ამასობაში კაფე „კლოზერი დე ლილას“ მივადექი. სინათლის ჩქერი პირდაპირ სცემდა ჩემს ძველ მეგობარს, მარშალ ნეის ბრიანჯოს ჭანდაკებას, მის მოღერებულ ხმალს ხეთა ჩრდილი ეფინებოდა. დგას მარტოდ-მარტო და უკან არავინ უდგას. მწარედ კი დასცინა ბედმა ვატერლოს ველზე! და მაშინ გამკრა უცებ თავში: ცოტად თუ ბევრად, ყველა თაობა დაღუპულია, ასე იყო, და მომავალში ასე იქნება. „ლილში“ შევედი, რათა ნებისთან ახლოს ვყოფილიყავი და მარტობა არ ეგრძნო; მანამ შინ გავბრუნდებოდი, ცივი ლუდი მოვატანინე. ესვამდი ლუდს, ჭანდაკებას გავყურებდი და ვისხენებდი რამდენ დღეს იბრძოდა პირად ნერ არიერგარდში, მოსკოვიდან უკან დახვევის დროს, როცა ნაპოლეონი კოლენკურთან ერთად კარეტით მიემგზავრებოდა. ვფიქრობდი, რა გულითადი და მზრუნველი მეგობარი იყო მისს სტაინი, რა ლამაზად ლაპარაკობდა იგი ვიიომ აპოლინერზე, მის სიკვდილზე დახვევის დღეს, 1918 წელს, როცა ბრბო გაჰკიოდა „A bas Guillaume“<sup>1</sup> აპოლინერს კი ამ დროს აბოდებდა და გადაწყვიტა, ჩემზე ყვირიანო; ვიფიქრე, ყველაფერს დავეხმარები, ვეცდები საკადრისი მიუზღონ იმ სიკეთისა და სათნოებისათვის, რაც მას დაუთესავს-

<sup>1</sup> მის ვიიომი (ასე გამოთქვამენ კაიზერ ვილჰელმის სახელს ფრანგები)

მეთქი, აგერ მაიკ ნეი და ლმერთი მოწამე! მაგრამ ეშმაკსაც წაუტყუებდა სულელური აბლაუბდა რაღაც დაღუპულ თაობაზე, და საერთოდ მთელი ეს ბინძური და უბადრუკი იარღილები: სახლს რომ მივადექი, ეზოში შევედი და კიბეს ავუყევი; დავინახე ჩემი ცოლი, ბიჭი და მისი კატა ფ. პუსი — უზრუნველად უსხდნენ აგიზგიზებულ ბუხარს, და მე ცოლს მივმართე:

— იცი რა, მაინც კარგი ჭალაა გეტრუდა.

— რა თქმა უნდა, ტეტი.

— ოღონდ ზოგჯერ სისულელეებს რომავს.

— მე კი არასოდეს არ მესმის მისი ლაპარაკი, — მითხრა ჩემმა ცოლმა, — მე ხომ ცოლი ვარ. მისი მეგობარი მე-ლაპარაკება ხოლმე.

### „შეჰსპირი და კომპანია“

იმხანად წიგნების ფული არა მქონდა. ოდენონის ქუჩაზე მიედიოდი ხოლმე, თორმეტ ნომერში, და იქ მძლევდნენ წიგნებს. პატარა წიგნის მაღაზია ჰქონდა იქ სილვია ბიჩს — „შეჰსპირი და კომპანია“, რომელიც, იმავე დროს, ბიბლიოთეკაც იყო. ქუჩაში ცივი ჭარი დათარეშობდა, და ამ ბიბლიოთეკაში რომ შევიდოდი, — საცა დიდი ლუმელი, მაგიდები და წიგნის თაროები ეწყო, ვიტრინებში ახალი წიგნები და გარდაცვლილ თუ ცოცხალ ცნობილ მწერალთა ფოტოები იყო გამოფენილი, — განსაკუთრებული სითბო და სიმყუდროვე იგრძნობოდა. ფოტოები მოხალისე ფოტოგრაფთა გადაღებულს უფრო ჰგავდა და გარდაცვლილ მწერლებსაც კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ახლაც ცოცხლები ყოფილიყვნენ. სილვისაც ცოცხალი, გამოქრწილი სახე ჰქონდა, თაფლისფერი თვალები სიმკვირცხლით პატარა მხეცუნას მიუგავდა, მხიარულებით კი — ახალგაზრდა გოგონას, უკან გადავარცხნილი წაბლისფერი ხუჭუჭა თმა ყურებს ქვემოთ ჰქონდა შეკრული და ყავისფერ ხავერდის ეკავ-

ტის საყელოს უწევდა. ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა, კეთილი ქალი იყო, მზიარული, ცნობისმოყვარე, და ზუმრობა და ყბედობა უყვარდა. არ მახსოვს, რომ ამ ქალზე კარგად მომპყრობოდეს ვინმე როდესმე.

პირველად რომ შეეღვი ფეხი მის მალაზიში, ძალიან გაუბედავი ვიყავი — ბიბლიოთეკაში ჩასაწერი ფული არა მქონდა. წიგნი მოგვიანებით შეგიძლიათ შემოიტანოთ, როცა მოახერხებთო, სილვამ ამითხრა, ბარათი შემოვსო და შემომთავაზა — წიგნები, რამდენიც გნებავთ, იმდენი წაიღეთო.

არავითარი საფუძველი ჩემი ნდობისა მას არა ჰქონია. არ მიცნობდა, მისამართი, რომელიც მე მივეცი, — კარდინალ ლემუანის ქუჩა, 74, — კიდევ ერთხელ ამტკიცებდა ჩემს სიღარიბეს. სასიამოვნო ქალი იყო, მომხიბლავი, თავაზიანი, მის უკან ჰერამდე ამართულიყო და მეორე ოთახშიაც გადიოდა აურაცხელი თაროები, რომლებზედაც ბიბლიოთეკის მთელი სიმდიდრე ელაგა.

მე ტურგენევი დავიწყე, „მონადირის ჩანაწერები“ ვთხოვე და, თუ არა ვცდები, დ. გ. ლოლურენსის ერთ-ერთი აღრეული რომანი — „ეკიშვილები და საყვარლები“. სილვამ სხვა წიგნებიც შემომთავაზა. მე ავირჩიე „ომი და მშვიდობა“ და დოსტოევსკის „მოთამაშე“, და სხვა მოთხრობები.

— სულ თუ აპირებთ ამით წაკითხვას, მაშინ მალე ვეღარ შემოივლით, — მითხრა სილვამ.

— ფულის გადასახდელად მოვალ, — ვუპასუხე მე, — შინ მაქვს ფული.

— განა მაგას მოგახსენებთ, — მითხრა მან, — როცა მოახერხებთ, მაშინ გადაიხადეთ.

— ჯოისი როდის მოდის ხოლმე თქვენთან? — ვკითხე მე.

— დღის ბოლოს იცის შემოვლა, — მიპასუხა სილვამ, ჯერ არ გინახავთ?

— ერთხელ ვნახე რესტორანში, ოჯახით იყო და სადილობდა; მაგრამ ქამის დროს ხალხისათვის ყურება უხერხულია, ეს რესტორანი კი ძვირი გახლავთ.

— თქვენ შინ სადილობთ?

— უმეტესად. კარგად მსახურებული გვეყავს.

— თქვენს მახლობლად, მგონი, არც კი უნდა იყოს რესტორნები.

— დიახ. თქვენ საიდან იცით?

— ლარბო ცხოვრობდა იქა, — მიასუსხა მან, — სხვაფრივ ძალიან მოსწონდა იქაურობა.

— უახლოესი იაფფასიანი რესტორანი პანთეონის გვერდით გახლავთ.

— თქვენს უბანს კარგად ვერ ვიცნობ. ჩვენც შინ ვსადილობდით. გვეწვიეთ როდისმე, მეუღლესთან ერთად.

— მიპატივებას შერეც მოესწრებით ჯერ ფულაც არ გადამიხდია. მაინც დღე მადლობა.

— ნუ იჩქარებთ, დინჯად წაიკითხეთ. — მითხრა მან.

ჩვენ ოროთახიანი ბინა გვეჭირა კარდინალ ლემუანის ქუჩაზე, არც ცხელი წყალი გვქონდა, არც კანალიზაცია, ამის მაგივრობას რაღაც ბაიკი სწევდა, და არც თუ ძალიან მოუხერხებელი იყო იმათთვის, ვინც მიჩვიანის საპირფარეშოებს არის მიჩვეული. სამაგთეროდ ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. იატაკზე კარგი, ზამბარბიანი ნაალი გვეგო — მშვენიერად ვიძინებდით ხოლმე ზედა კედელზე გაკრული სურათებიც მოგწონდა. საერთოდ, კარგი ბინა იყო — ნათელი და მყუდრო.

წიგნები რომ მოვიტანე შინ, ცოლს ვუთავებ, ასეთი შესანიშნავი ადგილი აღმოვაჩინე-მეთქი.

— დღესვე უნდა წახვიდე, ტეტი, და ფული მიუტანო, — მითხრა ცოლმა.

— რალა თქმა უნდა, — დავუმოწმე მე, — ერთად წავიდეთ. იქიდან კი სანაპიროზე ჩავალთ და გავისეირნებთ.

— მოდი, რენის ქუჩას დავეუყვით და სურათების ყველა მაღაზიაში შევიაროთ, ვიტრინები დავათვალიეროთ.

— უსათუოდ. ვისეირნოთ, საითაც გული გაგვიწევს. შერე რომელიმე ახალ კაფეში შევადეთ, არც ჩვენ ვიცნობთ ვინმეს, არც ჩვენა გვეცნობენ. თითო ჰიქა რაიმე დავლიოთ.

— ორ-ორიც შეიძლება.

— მერე სადმე ვივასშმოთ კიდევ.

— რას ამბობ! ნუ გავიწყდება, რომ ბიბლიოთეკის ფული გვაქვს გადასახდელი.

— კარგი, შინ ვივასშმოთ, როცა დავბრუნდებით, ნამდვილი ქეიფი გავმართოთ, „ბონაც“ დავაყოლოთ. აგერ, პირდაპირ რომ მაღაზიაა, ვიტრინაში „ბონას“ ბოთლი გამოუდევიათ, ზედ ფასიც აწერია; მერე ცოტა წაიციოთხოთ, ლოგინში ჩავწევთ და ერთმანეთს მოვესუყვართ.

— საერთოდ, მუდამ უნდა გვიყვარდეს მარტო ერთმანეთი, და სხვა არავინ.

— ჰო. მუდამ.

— რა მშვენიერი დღეა. ახლა სადილი არ იქნებოდა ურიგო.

— მეც ძალიან მომწივდა, — ვუთხარი მე, — კაფეში ვმუშაობდი და Café-crem-ს ნეჭი არაფერი მიჭამია.

— როგორ იმუშავე?

— მგონი, კარგად. სადილად რა გვაქვს?

— ქორფა ბოლოკი, სალათი და Loie de veau, კარტოფილის პიურეტი. ვაშლის ლეზელი.

— დღეიდან წიგნებიც გვექნება — რაც კი მოგვესურება; საცა წავალთ, ყველგან თან წავიღოთ ხოლმე.

— მერე წესიერი იქნება ევა?

— რატომაც არა.

— პენრი ჯეიმსიც ექნება?

— რა თქმა უნდა.

— რა კარგია! — თქვა მან, — რა ბედზე აღმოაჩინე ეს ბიბლიოთეკა!

— ბედი მუდამ გვწყალობს ჩვენ, — ვუთხარი მე, მაგრამ ხეზე არ დამიკაკუნებია, არ დავითარსო-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ყველაფერი ხისა გვედგა.

**სენის ხალხი**

კარდინალ ლემუანის ქუჩის ბოლოდან მდინარეზე ჩასვლა რამდენიმე გზით შეიძლება. მათ შორის ყველაზე მოკლე — პირდაპირი ქუჩია, მაგრამ ჯერ ერთი რომ ძალიან დაკიდული დაღმართია, და, მეორეც, როცა ჩაივაცებ და სენ-ჟერმენის ამოჩქორებულ ბულ-

ვარის კუთხეს გადასჭრი, უნდა გახვიდე სანაპიროს დაღვრემილ კუთხეში, საცა მუდამ ქარი თარეშობს, ლენინ ბაზრის მარცხნივ. ეს ბაზარი სხვა პარიზულ ბაზრებს არა ჰგავს, საბაეოს პაკაუზებს უფრო მიაშგავსებ — ლენინს კასრები დევს და ელოდება, ჩვენთვის ბაეს როდის გადახდინაო. უღიმღამო ნაგებობები კახარმებსაც შეიძლება შეაღარო და ციხის ბაჩაყებსაც.

სენის ერთ-ერთი ტოტის გაღმა, ვიწრო შუკებით დასერილი კუნძული სენლუი მდებარეობს; აქ ნახავთ ძველნებურ წოწოლა, ლამაზ სახლებს — ან იქით გასწევთ, ან მარცხნივ შეუხვევთ და სანაპიროს გაპყევებით, მანამ სენლუის კუნძულს უკან არ მოიტოვებთ და ნოტრ-დამის წინ არ აღმოჩნდებით.

სანაპიროზე, ბუკინისტებთან, თითქმის მუქთად იშოვიდით ახალთახალ ამერიკულ წიგნებს. რესტორან „ვერცხლის კოშკის“ თავზე იმხანად რამდენიმე ოთახს აქირავებდნენ, და ვინც იქ აიღებდა ბინას, რესტორანში ჯერს ფსადაკლებით აქმევდნენ ხოლმე; თუ რაიმე წიგნი დარჩებოდა ამ ხალხს, valet de chambre ხელად ბუკინისტებთან გააქანებდა, სანაპიროზე, და სულ რამდენიმე ფრანკად ვყიდულობდით ხოლმე ჩვენ. ინგლისურ წიგნებისადმი დიდ პატივისცემას არ იჩენდა ბუკინისტი — თითქმის მუქთად ყიდულობდა და, ორიოდ ფრანკს თუკი მოიგებდა, ცდილობდა მალე გაესაღებინა.

— კარგი წიგნებიც ურევია? — მკითხა მან ერთბელ, როცა დავემგობრდით.

— ზოგჯერ.

— მერე, როგორ უნდა გავიგო?

— მე, როცა ვკითხულობ, მაშინ ვგებულობ ხოლმე.

— მაინც სარისკო საქმეა. თანაც, ამდენია ვითომ ინგლისურის წამკითხველი?

— გინდათ, გვერდზე გადააწყვეთ და მე მაჩვენეთ.

— შევასაც ვერ ვიხამ. თქვენ ხომ ყოველდღე არ მოდიხართ. ზოგჯერ დიდი ხნობით იგვიანებთ. არა, მუშტარი თუკი გამოჩნდა, რას გვაჩერებ! რაღა-

ცას ხომ მაინც მიხდიან. არაფრად რომ არ ვარგოდეს ვერც გავყიდდი.

— ფრანგულ წიგნს როგორღა ატყობთ, კარგია თუ არა?

— ჯერ ვნახავ, ილუსტრაციები თუ აქვს. მერე ილუსტრაციების ხარისხს შევფასებ. ყდაც ბევრ რამეს ნიშნავს. რამეს თუ წარმოადგენს წიგნი, პატრონი უსათუოდ ყდაში ჩასვამს. ინგლისური წიგნებიც გამოერევა ყდაიანი, ოღონდ ცუდი ყდა აქვთ, მაგის მიხედვით ძნელია შეფასება.

ეს საუაქრო „ვერცხლის კოშკის“ მახლობლად იდგა. იქიდან მოკიდებულ დიდ ავეჯუსტინელოა სანაპირომდე, ბუკინისტები ინგლისური და ამერიკული წიგნებით აღარ ვაჭრობდნენ. ამას იქით კი, ვოლტერის სანაპიროს ჩათვლით, რამდენიმე ბუკინისტი სენის მარცხენა სანაპიროზე განლაგებულ სასტუმროს (განსაკუთრებით სასტუმრო „ვოლტერის“) თანამშრომლებისაგან ყიდულობდნენ წიგნებს. ამ სასტუმროებში, როგორც წესი, მდიდარი ხალხი იყრიდა თავს.

მეორე ბუკინისტა ვკითხე — იმასაც კარგად ვიცნობდი — როდესმე თუ მომხდარა, რომ წიგნი თვითონ პატრონს მოეტანოს-მეთქი.

— არასოდეს, — შითხრა მან, — ეს სულ დავიწყებული წიგნებია. აქედან უნდა დაასკვნა, რომ დიდი ვერაფერი შეიღია.

— ეგ წიგნები მეგობრებისაგან აქვთ ნაჩუქარი, გეშუ თავის შესაქვევად.

— ადვილი შესაძლებელია. ალბათ. გემებზედაც ბევრი რჩებათ.

— სა თქმა უნდა, — დავუმოწმე მე, — სწავლა კომპანია კი არ ყრის ამ წიგნებს, ყდებში ასმევენებს და გემების ბიბლიოთეკებს აბარებს.

— ჭკვიანურია, — თქვა მან, — ყდები მაინც ექნებათ. ასეთ წიგნებს ფასიც მეტი აქვს.

სანაპიროზე მაშინ გავწედი ხოლმე სასაქონლოდ, როცა მუშაობას მოვრჩებოდი ან რისიმე მოფიქრება მჭირდებოდა. ფიჭვი უფრო ადვილი იყო სიარულის დროს, ან მაშინ, როცა რაიმე საქ-

მით ვიყავი გართული, ან როცა სხვების საქმიანობას ვაკვირდებოდი. კუნძულ სიტეს წვერი ახალ წიღთან, საცაქენრი მეოთხის ქანდაკება დგას, ისარით არის წაწერილებული და გემის ქმისა ჰგავს, აქ, ზედ წყლის პირას პატარა ბალია გაშენებული. აქ ნახავთ ფართოდ გადაშლილ დიდებულ წაღლის ხეებს, ხოლო ჩქერი და პატარა ყურე, რასაც მდინარე სენა ქმნის ამ ადგილას, სათევზაოდ არის ზედგამოჭრილი. ჩაპყვები კიბებს, ბალში ჩახვალ და მეთევზეებს ნახავ — აქა და დიდი ხიდის ქვეშ მოკალათებულნი. სათევზაო ადგილები იცვლებოდა ხოლმე მდინარეში წყლის დონის მიხედვით, მეთევზეები ანკესის ტარად ლერწმის დასაკეც ჯოხებსა ხმარობდნენ, ოღონდ ძუა მეტისმეტად წვერილი ჰქონდათ. მუდამ ამოჰყავდათ ხოლმე რაიმე თევზი, ზოგჯერ დიდებული თევზიც წამოგებოდა ანკესს, დიდი ნაფოტა თევზის ხელა, რასაც ისინი „ფიქსიის“ ეძახდნენ. მთლიანად თუ შეწვავდი, ძალიან გემრიელი საქმელი იყო, შემეტლო მთელი თევში გამეთავებინა. ძალიან ნაზი ზორცი აქვს, გემო — ახალ სარდინაზე უკეთესი, პირდაპირ ფხიანად ეჭამდით ხოლმე.

ყველაზე კარგად მდინარის ღია რესტორნებში იცოდნენ თევზის შეწვა, ქვემო მედონაზე; როცა ფული გვექონდა, უსათუოდ გავისეირნებდით იქითკენ. დიდებული თეთრი ღვინო ჰქონდათ იქა, „მუსკადეს“ ჯიშისა. ისე იყო ყველაფერი აქ, როგორც მოპასანის მოთხრობებში წაგიკითხავთ, და მდინარესაც ისეთი იერი ედო, როგორც ალფერდ სისლის ნახატებში. რალა თქმა უნდა, „ფიქსიის“ საქმელად ასე შორს წასვლა სულაც არ იყო საჭირო. სენ-ლუსს კუნძულზე დადებულ friture ამაზადებენ.

ვიცნობდი კიდევ ზოგ-ზოგს იმათგან, ვინც სენაზე თევზაობდა, კუნძულ სენ-ლუსისა და ვერტ ვალანტის მოედნის შორის, სათევზაო ადგილებში. ზოგჯერ, მზიან ამინდში, ერთ ბოთლ ღვინოს ვიყიდდი, პურსა და ძებვს წავიდებდი, მზეში დავკვებოდი, ახალ ნაყიდ წიგნს

ვეითხულობდი და თან თევზაობას ვადევნებდი თვალყურს.

მოგზაურები თავიანთ ნარკვევებში ისე გვიხატავენ საქმეს, თითქოსდა პარიზელი მეთევზეები შეშლალები იყვნენ, ვერც თევზს იჭერენ თითქოს და ვერც ვერაფერი, სინამდვილეში ეს სერიოზული საქმე გახლავთ, სარფიანიც კი. მეთევზეთა უმრავლესობა თავიანთი უბადრუკი პენსიით ცხოვრობდა და ეკვიცი კი არ ეპარებოდა, რომ ინფლაცია მათ არარაობად აქცევდა. თევზაობის გიყებიც იყვნენ, რომლებიც მთელ თავისუფალ დროს მდინარეზე ატარებდნენ. შარანტონში, მარნის შესართავთან და ქალაქგარეთაც, რა თქმა უნდა, უფრო კარგი სათევზაო ადგილებია, მაგრამ პარიზშიაც კარგა ბლომად თევზის დაჭერა შეიძლება. მე პირადად არ მითევზავნია — მოწყობილობა არა მქონდა, ვარჩევდი ფული დამეზოგა და მერე ესპანეთში წავსულიყავი სათევზაოდ. თანაც, წინასწარ განსაზღვრული არა მქონია, მუშაობას როდის მოვრჩებოდი, ან სხვა ქალაქებში გამგზავრება როდის მომიწყევდა, და ამიტომაც ვერადებოდი თევზაობას, რაც ყოველთვის განსაზღვრულ დროს მოითხოვს. მაგრამ მეთევზეებს კი დიდი გულისყურით ვაკვირდებოდი, და მუდამ სასიამოვნო იყო ხოლმე იმის შეგრძნება, რომ ყველა წვრილმანში დიდებულად ვერაქვით; სიხარულს მეგრადია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ დიდ ქალაქშიაც, ხალხი თავის შესაქცევად კი არ თევზაობს. არამედ ამითი იყვებება და ცხოვრობს.

მეთევზეები და მდინარეზე გაცხოველებული ქრიაშული, კეკლუცი კარჭაპები, რომელთა ბანზე თავისებური ცხოვრება ჩქეფს, ბუქსირები, რომელთა მალააშეკრილი მილები ხიდას ქვეშ გავლისას უკან ვადაიწევა, რათა არ წამოედოს. ბუქსირზე გამობმული კარჭაპების ქარავანი, ქვით შემოსილ ნაპირზე წამოძარბული თელის ხეები, ქადრები და აქა-იქ ალვაცა...

ჩემს დღეში არ მიგრძენია მარტოობა მდინარის პირას. როცა ქალაქში ამდენი

ხეა, სულ გაზაფხულის მოლოდინში ხარ, გათენდება ერთი მშვენიერი დღე და თბილი ნიაგი გაზაფხულს მოიყვანს. ზოგჯერ ცივი, კოკისპირული წვიმები გადაედობებიან ხოლმე, და გერკენება, თითქოს თავისდღეში აღარ დაბრუნდება გაზაფხული, თითქოს შენი ცხოვრებიდან მთელი დიდი მონაკვეთი წელიწადისა ამოვარდა. მარტო ასეთ დღეებზე ითქმის ხოლმე პარიზში სეველიანი, რადგან ასეთი გაზაფხული არაბუნებრივია. შემოდგომის სევედას წინასწარვე შერიგებული ხარ. ყოველწლიურად კვდება ხოლმე რაღაც შენა არსებაში, როცა ფოთლები იწყებენ ცვენას, ხოლო გარტიტვლებული რტოები უმწეოდ ქანაობენ ქარში ზამთრის ცივ სინათლზე. მაგრამ იცი, რომ გაზაფხული უსათუოდ მოვა, რომ გაყინული მდინარე კვლავ გათავისუფლდება ყინულისაგან. როცა ცივი წვიმა გადაუღებლად მოდის და გაზაფხულსა ჰკლავს, თითქოს ტყუილებრალოდ იღუპება ნორჩი სიცოცხლე. თუმცა, ეს დღეებიც გაივლის, და ბოლოს და ბოლოს გაზაფხული მოვა. მაგრამ შენ მინც შიში გიპყრობს — ხომ შეიძლება სულაც არ მოვიდესო.

ცხუ გაზაფხული

გაზაფხული რომ მოვიდოდა, თუნდაც ცრუ გაზაფხული, მხოლოდ ერთი საზრუნავი რჩებოდა: სად დავმტკბარიყავით ბედნიერებით. ერთადერთი, რასაც მთელი დღის გაფლქება შეეძლო — ეს ხალხი იყო. მაგრამ მიწვევების თავიდან აცილებას თუკი მოვახერხებდით, დღე განუხაზღვრელი ხდებოდა. ხალხი მუდამ ფრთებს აკეცს ხოლმე ამ ბედნიერებას, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელთაც ისეთივე სიხარული მოაქვთ, როგორც თვით გაზაფხულს.

გაზაფხულობით, როგორც წესი, დილაადრიან ვიწყებდი მუშაობას, ცოლს ჯერ ისევ ეძინა. ფანჯრები დაღებულნი მქონდა, ნაწვიმარი ტროტუარი ნელ-ნელა შრებოდა. მზე აშრობდა წვიმით სხეჩამორეცხილ სახლებსაც, ჩემი ფანჯრის პირდაპირ. მალაზიების დარაბები

ჯერ ისევ დაკეტილი იყო, მწყემსს თხის არევი გამოერეკა ქუჩაში და სალამურს უკრავდა. ჩვენს თავზე მცხოვრებმა დედაცა და დიდი ქილა გამოიტანა ტროტუარზე. მწყემსმა ცურდაბერილი შავი თხა გამოარჩია, და დედაცა და პირდაპირ ქოთანში მოწველა, ძალმა კი, ამასობაში, სხვა თხები ტროტუარზე არეკა. თხები, ტურნატიბივით, აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს და თავს აქციონებდნენ. მწყემსმა დედაცა და ფული გამოართვა, მაღლობა გადაუხადა და გზა განაგრძო, თვითონ სალამური მოიხარჯვა, ძალმა კი თხები დასძრა, ტროტუარზე შეიხორხლნენ, რქების კანტურით.

მე წერა განვაგრძე, დედაცა კი იბნეს ამოჰყვა, რძიანი ქოთნით. თქვის ლანჩებიანი ფლოსტები ეცვა და მხოლოდ ქლოშინი გავიგონე მისი, როცა ჩვენს წინ შეისვენა კიბის პატარა მოედანზე, მერე კარების მიჯახუნებაც მოემსმა. ამ დედაცა კი გარდა, ჩვენს სახლში თხის რქებს არაფერ არ ყიდულობდა.

გადაწყვეტიტე ქუჩაში გავსულიყავი და დოღის დილანდელი პროგრამა მეყიდა. ყველაზე ღარიბ კვარტალშიც კი თითო ეგზემპლარს მაინც იშოვიდი ასეთ პროგრამას, მაგრამ ამისთანა დღეს აღრეჯობდა ყიღვა. დეკარტის ქუჩისა და კონტრესკარპის მოედნის კუთხეში ვიყიდე. თხები დეკარტის ქუჩაზე ეშვებოდნენ, მე ღრმად შევისუნთქე დილის ჰაერი და შინისკენ გავეშურე, რათა მალე მივბრუნებულიყავი და სამუშაო დამემთავრებინა. კინაღამ ცთუნებას არ ავწყვიდი და თხებს არ ავედევნე ამ დილაღრიან, იმის ნაცვლად, რომ შინ დავბრუნებულიყავი და მემუშავა. მანამ წერას შევუდგებოდი, პროგრამას დაეხედე. იმ დღეს ენგიენში ეწყობოდა დოღი, პატარა სიმპათიურ და ყალბანდურ აპოდრომზე, რომელიც ალტანაიდერების თავშესაფარს წარმოადგენდა.

მამ ასე, მოვრჩები თუ არა მუშობას, დოღზე წავალთ. ტორონტის ვახეთში, რომელსაც კორესპონდენციებს ვაწვდიდი ხოლმე, ცოტათონი ჰონორა-

რი გადმომიგზავნა, და გადაწყვეტიტე რომელიმე ცხენზე სანაჩლონ ჩამოვუტელიყავით, იქნებ ფული მოგვეგო. ჩემმა ცოლმა „ოქროს თხა“ აირჩია, ასეთი სახელი ჰქონდა ცხენს. მთელი ოცი კორპუსით წინ ვავარდა ეს ცხენი, მაგრამ უქანასწელი დაბრკოლების გადალახვისას დავარდა, და მთელი ნახევარი წლის სარჩო დაგვიღუპა. მერე ვცდილობდით აღარ გავგეხსენებია ეს შემთხვევა. იმ წელიწადს სულ ვიგებდით ხოლმე, და ახლა ამ „ოქროს თხამ“ გვიღალატა.

— ფული გვაქვს, ტეტი, რომ ნამდვილ თამაშში ჩავებათ? — მკითხა ცოლმა.

— არა. უნდა გამოვიანგარიშოთ დარაც და გვრჩება, ის დავხარჯოთ. თუმცა, იქნებ, სხვა რამე გვირღებ?

— არც მთლად უმზავისობაა, — მიპასუხა მან.

— ვსაგებოა. რამდენი ხანია ძალიან ქესატადა ვართ და ნამდვილი წუწურაქი გატეხა.

— არა, — მითხრა მან, — მაგრამ...

ფულის საქმე ვერა გექონდა კარგად და მეტისმეტი სიმაყვრით ვიჩენდი მომჭირნობას. ვინც მუშაობს და მუშაობაში პოულობს კმაყოფილებას, ხელმოკლეობა ვერ შეაწუხებს. აბაზანა, შხაპი და თბილი საპირფარეო მე ისეთ რაღმე მიმანდა, რითაც ყველაფრით ჩვენზე უფრო დაბლა მდგომი ხალხი სარგებლობდა, ჩვენ კი მხოლოდ მოგზაურობის დროს გვანიჭებდნენ ისინი კმაყოფილებას; ხოლო მოგზაურობით ხშირად ემოგზაურობდით. ისე კი — აბანო ეგერ გვქონდა, ქუჩის ბოლოში, მდინარის პირას. ჩემს ცოლს ერთხელაც არ დაუწუწუნია ამეების გამო, ისევე როგორც არც „ოქროს თხის“ დაცვისის გამო უტირია. ტირილით კი იტირა, მაგრამ იმიტომ რომ ცხენი შეეცოდა, და არა ფულის გამო. სულელურად მოვიქეცი ნატრისფერი ჭაქეტი რომ დასქირდა, მაგრამ როცა იყიდა, მერე კი ძალიან მომეწონა. სხვა რამეებშიაც მოსვლია ასეთი სისულელე. მაგრამ ეს

იყო სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი, და ამ ბრძოლაში მაშინ გაიმარჯვებ, თუ ფულს არა ფლანგავ. და განსაკუთრებით მაშინ, როცა ტანსაცმლის ნაცვლად სურათებს იძენ. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ჩვენ სულაც არ მიგვაჩნდა თავი ღარიბებად. ამისი ფაფქერბაც კი არა გვსურდა. ჩვენ რჩეულთა რიცხვში ვთვლიდით ჩვენს თავს, ხოლო ვისაც ზემოდან დავცქეროდით და ვისი ნღობაც, სრულიად სამართლიანად, არა გვქონია, მდიდრები იყვნენ. მე სრულიად ბუნებრივად მიმანხნა, რომ სიცივეში შიდა თბილი პერანგის ნაცვლად სვიტერი ჩამეცვა. მხოლოდ მდიდრებს ეჩვენებოდათ ეს უცნაურად. ჩვენ კარგად და იაფად ვჭამდით, კარგად და იაფად ვსვამდით და კარგად გვეძინა, და არც გვეცოდა ერთად, ერთმანეთი გვიყვარდა.

— მოდი წავადეთ, — მითხრა ცოლმა, — რამდენი ხანია დოღზე არა ვყოფილვართ. რამე საჭმელი წავიღოთ და ცოტათუნი ღვინო. მშვენიერ ბუტერბროდებს მოვამზადებ.

— მატარებლით წავიდეთ, უფრო იაფიც დაგვიჯდება. შენ თუ არ გინდა, ნუ წავალთ. რაც არ უნდა გადავწყვიტოთ დღეს, მაინც კარგი იქნება, მშვენიერი დღეა.

— მე მგონი, წავიდეთ.

— იქნებ სხვა რამეზე გვირდება ეს ფული.

— არა, — ქედმაღლურად თქვა მან. გამორწეული ყვრიშალები სწორედ მას ქედმაღლურ ხასიათს ამტკიცებდა, — ბოლოს და ბოლოს, ვინა ვართ!

ჩაესხედით მატარებელში ჩრდილოეთის სადგურზე, გავიარეთ ქალაქის ყველაზე ჭუჭყიანი და უსიცოცხლო ნაწილი და პლატფორმიდან ფეხით დავადექით იპოდრომის გზას. ჯერ ადრე იყო, ახალმოთბულ ბალახზე ჩემი პლაშჩი ვავფინე, ზედ დაესხედით და ვიკაუზმეთ — პირდაპირ ბოთლით ვსვამდით ღვინოს და გავცქეროდით ძველ ტრიბუნებს, ტოტალიზატორების ყავისფერ ჯიხურებს, იპოდრომის მოედანზე მწვა-

ნედ მოხასხასე ბალახს, შექმნილ შედეგად შედგებულ მესერს და არხებში მრავალფეროდ მშზინავ წყალს, შეთეთრებულ ქვის გალავანს, თეთრ ბოძებს და მოაჯირს, მწვანედ შეფეთილი ხეების ქვეშ მოწყობილ პადოკს და პირველ ცხენებს, რომლებიც იქიდან გამოჰყავდათ. კიდე მოვსვით ცოტათუნი ღვინო და დოღის პროგრამა შევისწავლეთ. ჩემი ცოლი პლაშჩზე მიწვა, სახე მზეს მიუშვია და წასთვლია. მე ტრიბუნებისკენ გავემართე, იქ ერთ კაცს შევხვდი, რომელსაც ჯერ კიდევ მილანიდან ვიცნობდი. ორი ცხენი მიჩნია მან.

— მთლად გასაგებელიც კი არ არის, მაგრამ სანაძლეოს ჩამოსვლას ნუ მოერიდებით.

ამ ორთაგან პირველ ცხენზე მთელი იმ თანხის ნახევარს ჩამოვედით, რაც დასაბარჯად გვექონდა გადადებული, და მოგვაგებინა კიდეც — ოცზე ერთი, დაბრკოლებები დიდებულად გადალახა, მონახვევშივე გაუსწრო სხვებს და ფინიშთან ოთხი კორპუსით მიასწრო დანარჩენ ცხენებს. მოგების ნახევარი გადავინახეთ, ხოლო დანარჩენს მეორე ცხენზე ჩავედით. ეს ცხენი ხელადვე გაეარდა წინ, დაბრკოლებები ჩინებულად გადალახა, ხოლო სწორზე ლამის წააგო.

ჩვენ შამპანურის დასალევად ჩაედით ბარში, ტრიბუნების ქვეშ და შედეგების გამოცხადებას დაველოდეთ.

— ძალიან დამჰანცავი კი არის ეს დოღი, — თქვა ჩემმა ცოლმა, ნახე, ის ცხენი კინაღამ პირველი მივიდა!

— ახლაც კი მიკანკალებს მთელი სხეული.

ცხენები ჩაატარეს, ჩვენი სულ ოფლში ცურავდა, ნესტოები გამოებროდა, ყოველი ხელს უსვამდა.

— საწყალი, — თქვა ჩემმა ცოლმა, — ჩვენ მატრო სანაძლეოს ჩამოვდივართ.

მანამ თვალს არ მივფარნენ, ცხენებს გავყურებდით, მერე თითო ჭიჭა შამპანური კიდე დავლიეთ და ჭილდობივ გამოაცხადეს: 85. ეს იმას ნიშნავდა,



რომ ათფრანკიან ბილეთში ამ ცხენზე ოთხმოცდახუთ ფრანკს იხდიდნენ.

— ეტყოდა, ბოლოს ჩამოვიდნენ მაგ ცხენზე ბევრს, — ვთქვი მე. დიდძალი ფული მოვიგეთ, ჩვენთვის იყო, რა თქმა უნდა, დიდძალი, და, ამრიგად, ახლა გაზაფხულიც ჩვენი იყო და ფულიც. მეტი არც არაფერი გვიანდა-მეთქი, გავიფიქრე. ეს მოგება, თუნდაც მისი თითო მეოთხედი მე და ჩემს ცოლს რამეზე დაგვეხარჯა, საშუალებას მაძლევდა ნახევარი თანხა დოლის ფონდში გადავმენახა. დოლის ფონდი საიდუმლოდ მქონდა და სხვა ფულს შიგ არ ვურჩევდი.

იმავე წელს, მახსოვს რომელიღაც მოგზაურობიდან ვბრუნდებოდი, მაშინაც კარგად გავვიმართლა დოლმა; მინამ შინ მივიდოდით, ავდექით და პრიუნიში შევიარეთ, ბარში ცოტა დავისვენოთო, ვიფიქრეთ, წინასწარ კი კარგად დავათვალერეთ ათასნაირი ძვირფასი რამეებით მორთული ვიტრინა, სადაც ყველაფერს გარკვევით ეკრა თავისი ფასი. დაუფკვეთეთ ხამანწკა და crabe Mexicaine, რამდენიმე ჭიჭა „სანსერიც“ დავაყოლეთ. იქიდან წამოსულებმა ტრულრი გადმოვიარეთ, სიბნელეში, და კარუსელის თაღთან შევდუქით, რათა ჩაბნელებული ბაღებისათვის გადაგვეხედა; სიბნელის ვაღაღმა თანხმობის მოედანი კაშკაშებდა და ტრიუმფალურ თაღზედაც სინათლეების გირლიანდი იყო გაჰიშული. მერე ჩაბნელებულ ლაქასავით გამოყოფილ ლევრს გაეხედეთ.

— შენ მართლა გგონია, რომ სამივე თალი ერთ ხაზზე მდებარეობს — ეს ორი და სერმიონის თალი, მილანში? — კვითხე მე ცოლს.

— რა ვიცი, ტეტი, ასე ამბობენ, ალბათ მართალია. გახსოვს, როგორ დავბობდავდი თოვლში, მერე კი უცებ, სენბერნარის იტალიურ ნაწილზე, გაზაფხულში მოვხვდით, და, იქიდან მოკიდებული, სულ გაზაფხული იყო, აოსტისკენ რომ ვეშვებოდით შენ, ჩინკი და მე?

— ჩინკმა საგანგებო სახელიც კი მო-

უგონა ამ მოგზაურობას: „ტუფლუბით სენ-ბერნარზე“. გახსოვს ეს ტუფლუბე?

— ჩემი საწყალი ტუფლუბი ის თუ გახსოვს, ხილის სალათს რომ ვეადილთ „გალერეაში“, „კიპრიც“ დავაყოლეთ, მერე ყინულში ჩაცივებული მარწყვიც მოგვართვეს ვაზით.

— სწორედ ამან მომაგონა ის სამი თალი.

— სერმიონის თალი კარგად მახსოვს. ამას ჩამოგავს.

— ეგლის სამიკიტო თუ გახსოვს? შენ და ჩინკი მთელი დღე ისხედით და კითხულობდით, მე კი ვთევზაობდი?

— მახსოვს, ტეტი.

გამახსენდა რომა, კადვე ორი პატარა მდინარე, საცა ბლომად კალმახი იცის — სტოკალპერი და რონის არხი. სტოკალპერი სულ კრიალა იყო იმ დღეს, რონის არხში კი ისევ მღვრიე იყო წყალი.

— გახსოვს, ცხენ-წაბლა როგორა ჰყვოდა, რამდენი არ ვიგონე გლიცინიას ამბავი, მგონი ჯიმ გემბლისაგან განაგონი, და ვერასლიდებით ვერ გავიხსენე!

— მახსოვს, ტეტი. ჩინკი და შენ მთელი დღე დაობდით — როგორ უნდა მი-აღწიოს სიმართლეს მწერალმა, და კი არ აწეროს, არამედ სიმართლით დაბატოსო. ყველაფერი მახსოვს, ხან ის იყო მართალი, ხან — შენ.

ამასობაში ლევრის ჭიშკრიდან გამოვედით, ქუჩა გადავქვირეთ და ხილთან შევდექით, შოაჭირს გადავაწექით და წყალს დავაცქვრდით.

— ყველაფერზე დავა არ გვქონდა! — განაგრძო ჰედლიმ, — პირში ვეცემოდით ზოლმე სამივენი ერთმანეთს, რაიმე კონკრეტულ საგანზე. რამდენს დავცი-ნოდით ერთმანეთს. ყველაფერი მახსოვს, რას ვაკეთებდით, რას ვამბობდით იმ მოგზაურობის დროს. სულ, სულ ყველაფერი მახსოვს. ჩინკი და შენ რომ დაიწყებდით დავას, არც მე ჩამოგრჩებოდით. აბა მისს სტაინთან რომ ვიყავი, მარტო ცოლის როლში!

— ნეტა, ის გლიცინიას ისტორია გამახსენა!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ტეტი. მთავარი თვითონ გლიცინია იყო.

— ვახსოვს, ეგლისგან რომ ღვინო მოვიტანე? სასტუმროში ვიყიდეთ. კალმახს მოუხდებო, გვითხრეს. „გაზეთ დე ლიუკერნში“ შევხვებით!

— სიონური ჯობდა. ვახსოვს, ქალბატონმა პანგესვიშმა რომ ლურჯი კალმახი შეგვიწვა! რა გემრიელი კალმახი იყო, ტეტი! სიონურ ღვინოს ვაყოლებდი. ვერანდაზე ვსადილობდით, ზედ ხრამის პირას, ტბასა და დან-დიუ-მიდის გადაყურებდით, სანახევროდ თოვლში იყო ვახვეული. ის ხეები ვახსოვს, შესაერთავთან, რონა რომ ტბაში შედის?!

— ზამთრობით და გაზაფხულობით მუდამ მომენატრება ხოლმე ჩინკი.

— მეც. იმ წარსულ დღეებს რომ გავხსენებ, მეც ძალიან მომენატრება.

ჩინკი კადრის ჭარისკაცი იყო, სანდჰერსტიდან, პირდაპირ მონსში მოხვდა. მე იტალიაში გავიციანი და დაეუმეგობრდი, მერე ჩვენი ოჯახის მეგობარიც გახდა. ჩვენთან ერთად ატარებდა მამის თავის შევებულებას.

— ალბათ, გაზაფხულზე აიღებს შვებულეებს, კელნიდან მწერდა ამას წინათ.

— ვიცი. მაგრამ ახლა დღევანდელი დღით უნდა ვიცხოვროთ და ერთი წუთიც არ დაეკარგოთ.

— გვეყოფა წყლის ჩუხჩუხის ყურება, ახლა ზემოთაც გავხედოთ.

გავხედეთ და ყველაფერი გამოჩნდა: ჩვენი მდინარე, ქალაქი, კუნძული ქალაქში...

— ჩვენ მუდამ გეწყალობს ბედი, — მითხრა ცოლმა, — მე მგონი, ჩინკი უსათუოდ ჩამოვა. ისე ზრუნავს ხოლმე ჩვენზე.

— ისე გამოსდის, კი არ ფიქრობს.

— რა თქმა უნდა.

— იმას ჰგონია, რომ ერთად ვეძებთ.

— ასეცაა. ოღონდ საქმე ის არის, რას ეძებ.

ზიდი გავიარეთ და ჩვენს ნაპირზე გავვდით.

— არ მოგზივდა? — ვკითხე მე, — ამ

სიარულსა და ლაპარაკში საკმელი სულ გადაგვავიწყდა.

— მომზივდა, ტეტი. შენ არ მოგზივდა?

— კარგი რესტორანი გამოვარჩიოთ და ერთი მეფურად ვისადლოთ.

— მაინც რომელი?

— მიშო.

— დიდებული იქნება. ახლოც არის.

დავადექით წმიდა მამათა ქუჩას და ეკობის ქუჩის კუთხემდე მივედით, გზადაგზა ვათვალიერებდით ვიტრინებს, საცა სურათები და ავეჯი იყო გამოფენილი. რესტორან მიშოს შესასვლელთან შევეჩერეთ და კარზე გამოკრული მენიუ წავიკითხეთ. რესტორანში თავისუფალი ადგილები არ აღმოჩნდა და დაცდა დაგვჭირდა, მანამ ვინმე წავიდოდა; იმ მაგილებს ვუთვალთვალბდით, სადაც უკვე ამთავრებდნენ ყავას.

სიარულმა კიდევ უფრო მოგვაშვივა. რესტორანი მიშო კი ჩვენთვის ძალიან მაცოტუნებელი და ძვირი იყო. იმხანად სწორედ ამ რესტორანში სადილობდა ხოლმე ჯოისი, თავის ოჯახთან ერთად. ცოლ-ქმარი კედელთან იჯდა, ჯოისს მენიუ მომადლოდ დაეჭირა და თავისი სათვალის სქელი მინებიდან გასცქეროდა; გვერდით ნორა ეჯდა, სადილს მადიანად შეექცეოდა, მაგრამ ცოტას ჭამდა, წინ — ჯორჯი, გამზდარი, კონტა ბიჭი, კეფაზე თმა გადასლექილი ჰქონდა, ჯორჯის გვერდით ლური იჯდა, ჯერ ისევ პატარა გოგონა, ზუქუჭა თმა ნაწნავებად ჩამოეშვა. მთელი ოჯახი იტალიურად ლაპარაკობდა.

მანამ ასე ვიდექით, მაგიდის მოლოდინში, უცებ თავში გამკრა—შეიძლება კი მხოლოდ შიმშილი ეწოდოს იმას. რაც ჩვენ ზიდზე განვიცადეთ? ცოლსაც მივმართე ამ შეკითხვით და იმან მიპასუხა:

— რა ვიცი, ტეტი. შიმშილი ათასნაირია. გაზაფხულობით კიდევ უფრო მრავალნაირი ხდება ხოლმე. მაგრამ ახლა უკვე გაიარა. მოგონებაც თავისებური შიმშილია.

გამოლენჩებული ვიყავი და, რესტო-

რნის ფანჯარაში რომ შევიხედე და დავინახე, როგორ მიჰქონდა ოფიციალს თეფშით ორი tournedos, მიგხვდი, რომ საესებით ჩვეულებრივი შიმშილი მაწუხებდა.

— შენ ამბობდი, დღეს ბედი გეწყალობსო. მართლაც გაგვიპართლა. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სხვამ გვასწავლა, რომელ ცხენებზე ჩამოვსულიყავით სანაძლეოს.

ჰედლის გავცინა.

— განა დოღს გველისხმობდი. სულ პირდაპირი მნიშვნელობით გესმის ხოლმე ჩემი სიტყვები. მე სულ სხვა რამეზე ვთქვი.

— ჩინკს, მე მგონი, დიდად არ აინტერესებს დოღი, — ვთქვი მე და ამით ჩემი გამოლენიება დავადასტურე.

— ჰო. თვითონაც რომ მონაწილეობდეს დოღში, მხოლოდ მაშინ დააინტერესებდა.

— კიდევ გინდა დოღზე სიარული?

— მინდა. და დღეიდან, როცა მოგვეპრიანება, მაშინ ვივლით ხოლმე.

— არა, მართლა გინდა?

— რატომაც არა. აკი შენც გინდა.

როგორც იქნა, შევადწინეთ რესტორანში, და დიდებულადაც ვისადილეთ. მაგრამ როცა მოვრჩით და შიმშილი უკვე, რალა თქმა უნდა, არ გავწუხებდა, ის გრძობა, რაც ჩვენ ხიღზე შიმშილად მივიჩინეთ, მაინც არ მოგვშორდა, და, შინისკენ რომ გავემართეთ, ავტობუსშიაც თან გვახლდა; არც მაშინ მოგვშორებია, ოთახში რომ შევედით, ლოგინში ჩავწექით და სიბნელეში ერთმანეთს მივესიყვარულეთ, რომ გამეღვიძა და ღია ფანჯარაში მთვარის სინათლე დაეინახე მაღალი სახლების სახურავებზე, ეს გრძობაც იქ იყო. თავი გვერდზე გადავწვი, სახე მოვარიღე მთვარის სხივებს, მაგრამ ძილი აღარ გამეკარა, ვიწვექი თვალბედაყვითი და ამაზე ვფიქრობდი. ორ-ორჯერ ვიღვიძებდით ხოლმე დამით მე და ჩემი ცოლი, მაგრამ ახლა მაგრად ეძინა ჰედლის, მიუხედავად იმისა რომ მთვარე პირდაპირ სახეში ანათებდა. ეცადე ამის არსს ჩაეწვდო-

მოდი, მაგრამ მეტისმეტად გამოლენიებული ვიყავი. დღეს დილით, როცა გავიღვიძე და ცრუ გაზაფხული ვიხილე, როცა მწყემსის სალაშქრი ჩამესმა, როცა დოღის პროგრამის საყიდლად ქუჩაში გამოვედი, როგორ უბრალო მეჩვენა ცხოვრება!

მაგრამ პარიზი — ძველისძველი ქალაქია, ჩვენ კიდე ახალგაზრდები ვიყავით, და არც ისე უბრალო აღმოჩნდა ყველაფერი — ეს სიღარიბე თუ მოულოდნელი გამდიდრება, ეს მთვარის სინათლე, სამართლიანობა თუ ბოროტება, და იმისი სუნთქვაც კი, ვინც აგერ შენს გვერდით წევს მთვარის სინათლეში.

#### ერთი ბაბაყანის დასახარული

იმ წელიწადს, და მომდევნო წლებშიაც, ბევრჯერ ვყოფილვართ ერთად დოღზე; მოვრჩებოდი თუ არა დილის მუშაობას, გაესწევდით. და ძალიან მოსწონდა ეს ჰედლის, ზოგჯერ კი მთელი არსებითაც გაიტაცებდა ხოლმე. მაგრამ ტყის ზოლის ზემოთ, ალპურ ზონაში აცოცებას, საღამოობით შინ გვიან დაბრუნებას ანდა ჩვენს საუკეთესო მეგობარ ჩინკთან ერთად უღელტეხილის გადალახვას და საესებით უცნობი ადგილების ნახვას, მაინც ვერაფერი შეედრებოდა. თვით დოღი კი არ გვიანტერესებდა იმდენად, რამდენადაც ის, რომ თამაშის საშუალება გვეძლეოდა. მაგრამ ჩვენ მაინც დოღით ვატაცებას ვეძახდით ამას.

დოღი არასოდეს არა გვითმავდა ჩვენ — ეს მხოლოდ ხალხს შეეძლო. დიდი ხნის განმავლობაში გვეყავდა იგი მეგობრად და ახლობლად; ყოველ შემთხვევაში, სასიამოვნო იყო ასეთი ფიქრი. აღამიანებზე გავულისებული, — იმის გამო, რომ მათ ყველაფრის დანგრევას და განადგურების უნარი ჰქონდათ, — მე ამ მეგობრისადმი ვიჩენდი გულმოწყალებას, ამ ყველაზე მცოთურ, ყველაზე მშვენიერ, ყველაზე მიმზიდველ, მანკიერ და მომთხოვნ მეგობრისადმი, რადგან იგი სარფიანი იყო. თუ გა-

დაწვევები, რომ დოღი შემოსავლის წყაროდ გავგებადა, მთელი დრო მისთვის უნდა დაგეთმო, დრო კი ცოტა მქონდა. მაგრამ იმით ვამართლებდი ჩემს გატაცებას, რომ ბევრს ვწერდი მასზე, თუმცა, ბოლოს, რაც კი რამ დავწერე, სულ დაიკარგა, და დოღზე დაწერილ მოთხრობათაგან მხოლოდ ერთი შემჩნა, რადგან იმ დროს, რედაქციიდან დაბრუნებული, ფოსტაში მოგზაურობდა.

მერე მე მარტოკამ ვუბნობდი დოღზე სიარულს, და კიდევ უფრო გამიტაცა. როგორც კი მოვახელთებდი, გავქანდებოდი ხოლმე. ორივე იპოდრომზე ვუფილვარ — ოტიელზედაც და ენგიენზედაც. ცოტა გონიერულად თუ გინდა სანაძლეოს ჩამოხვადე; მთელი დრო ამას უნდა დაუთმო, მარტო ეს კი ვერ დაგარჩენს. ქალაღებზე დაწერილი ვარაუდები ქალაღზე დაწერილ ვარაუდებზე რჩებოდა, ხოლო ნამდვილი შედეგი შეგვეძლო ყველა ვაზეთში ამოგეკითხა.

სტიპლ-ჩეიზს, ოტიელის იპოდრომზე ხეშო ტრიბუნებიდან დაინახავდი ყველაზე კარვად. კიბეებზე უნდა გებლოტიალა; თუ გინდოდა ზეირიანად დაგენახა ყოველი ცხენი, და წინასწარვე შეგეტყო, რომელი გაგიმართლებდა, ანდა თუ არ გაგიმართლებდა, მისვედრილიყავი, რატომ და რა მიზეზებით ვერ გამოიყენა მან თავისი შესაძლებლობა. გაფაციკებით უნდა გეღვევებინა თვალყური, თუ რა სანაძლეოები იყო დანიშნული იმ ცხენისათვის, რომელიც შენა გყავდა ამორჩეული, და რა ცვლილებას განიცდიდა მერე კოტირება. იმის შეფასების უნარი უნდა გქონოდა, თუ როგორ მუშაობდა ცხენი, რათა სწორად გამოგეცნო დრო, როდის ჩამოვიდოდა სანაძლეოს მასზე თვით საჯინიბოს შემადგენლობა. ამ შემთხვევაშიაც შეიძლებოდა წაეგო ცხენს, მაგრამ მისი შანსები უკვე წინასწარვე გეცოდინებოდა. ამ დროისათვის შენ უკვე ხუთი თითით იცოდი იპოდრომი, და, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ნაცნობები ვაიჩინე—

ვოკეები, მწვრთნელები და ცხენების პატრონები; თანაც, რამდენი ცხენი და ბევრი სხვა რამე ნახე!

წესად მქონდა, მხოლოდ იმ ცხენზე ჩამოვსულიყავი სანაძლეოს, რომელსაც ეცნობდი, მაგრამ ზოგჯერ ახალი ცხენიც აღმომიჩენია, რომელსაც არავინ არ ენდობოდა, გარდა თვით მწვრთნელისა და ქოკეისა და რომელსაც ზედღიზედ მოუგია ხოლმე, საბოლოოდ თავი დაეანებე დოღზე სიარულს, რადგან ძალიან ბევრ დროს მართმევდა, თან ისიც ვიცოდი, თუ რა ზღებოდა ენგიენსა და სხვა იპოდრომებზე.

კმაყოფილი ვიყავი, რომ დოღზე სიარული შეეწყვიტე, მაგრამ მაინც რაღაცა მაკლდა. იმ დროს უკვე ვიცოდი, რომ როცა რაღაცა თავდება ცხოვრებაში, სულერთია კარგი იქნება ეს თუ ცუდი, სიყარვილე რჩება. მაგრამ ცუდის შემდეგ დარჩენილი სიცალიერე თავისთავად იყება ხოლმე, კარგის შემდეგ დარჩენილ სიცალიერეს კი მხოლოდ უკეთესით თუ ამოავსებ. დოღისათვის გადაღებული ფული საერთო ფონდში შევიტანე და შეგება ვიგარქენი.

დოღისთვის თავის დანებება რომ გადაწყვიტე, იმ დღეს სენის გაღმა გავედი, „გარანტი ტრასტის“ სამოგზაურო კომპანიის ბიუროში, რომელიც იმხანად იტალიის ქუჩისა და იტალიის ბულვარის კუთხეში მდებარეობდა. იქ შეგვვდი ჩემს ნაცნობს მაიკ უორდს, ბიუროში იმითომ მივედი, რომ მინდოდა დოღისთვის გადაღებული ფული ბანკში შემეტანა, მაგრამ ეს ჩემი გადაწყვეტილება არავისთვის არ გამინდვია.

— წამოდი, ვისადილოთ. — ვუთხარა მაიკს.

— წავიდეთ. სიამოვნებით. რა მოვიკიდა? დოღზე არ მიღისარ?

— არა.

ერთ მშვენიერ, უბრალო ბისტროში შევედი, ლუქუას ქუჩაზე, საცა დიდებული თეთრი ღვინო ჰქონდათ. ბისტროს პირდაპირ ნაციონალური ბიბლიოთეკა იყო.

— შენ ისე ხშირად აღარ დადიხარ დოღზე, არა, მაიკ?

— არა. რამდენი ხანია იპოდრომისკენ არც კი გამივლია.

— რატომ გაანებე თავი?

— რა ვიცი, — მიპასუხა მაიკმა, — თუმცა ვიცი. მხოლოდ მაშინ თუ გიტაცებს სანახაობა, როცა სანაძლეოდ ფულს ჩამოდიხარ, ასეთი რამე ნახვდაც არ ღირს.

— მაშ, აღარ დადიხარ იპოდრომზე?

— ზოგჯერ. დიდი შეჯიბრება როცაა, კარგი ცხენებიც თუ გამოჰყავთ.

გემრიელ პურზე პაშტეტი წაყვებით და თეთრი ღვინო დაეყოლეთ.

— უწინ გიტაცებდა დოღი, მაიკ?

— რა თქმა უნდა.

— მაინც რა სპორტი ჯობს, შენი აზრით?

— ველომარულა.

— ვითომ?

— იქ სავალდებულო არ არის თამაში. აბა, ნახე.

— დოღი ბევრ დროს გართმევს.

— ძალიან. მთელი დრო მიიქვს. დოღის მსურებელიც არ მოშწონს:

— მე ძალიან გამიტაცა.

— ვიცი. არ გაუკოტრებინარ?

— არა.

— მაშ, დროა თავი გაჩნებო.

— გავანებე კიდეც.

— ეგ ადვილი საქმე როდია. მოიხედე, ბიჭო — მოდი ერთი, ველომარულაზე წავიდეთ.

კარგი რამე გამოდგა ეს ველომარულა. მე თითქოს სულაც არა მცოდნია. მაგრამ ერთბაშად როდი გავვიტაცა. ეს უფრო მოგვიანებით მოხდა. და დიდი როლიც ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში, როცა პარიზის პირველი პერიოდის ბოლო მოვიდა.

კარგა ხანი გავიდა, თავს მშვენივრად აღაგვანობდი ჩვენს უბანში, რომელიც დიდი მანძილით იყო დაშორებული იპოდრომს. რამდენი მოთხრობა დაგიწყებ ველომარულაზე, მაგრამ ერთიც ვერ გამომივიდა ისეთი, რომელიც თვით ველომარულას შეედრებოდა.

როცა იქნება მაინც დაგხატავ, მიწვადე დღის ბინდში გახვეულ ზამთრის მშვენიერ მოსმს, დამრეც ფიტრულ ტრეკს, საბურავების თავისებურ შარიშურს, შემარულეთა დამაბულ სახეებს, მათ საოცარ ილეთებს, როცა თავიანთივე ველოსიპედებთან შენივთებულნი, ჯერ აღმა აიჭრებიან და ხელაღვე დაღმა დაქანდებიან; დაგხატავ demi-fond-ის მთელ ჯადოქრობას — აღრიყლებული მოტოციკლები, რომლებზედაც entraineurs გადამედარან, თავზე მძიმე მცველი მუხარადი ხურავთ და კარგა სქელი ტყავის კურტაკი აცვიათ, ბეჭები ფართოდ გაუშლიათ, რათა ძლიერი პირჭირის ტალღა თვითონ გაჭრან და უფრო მსუბუქმუხარადიანებს ნაკლები ძალით მოხვედეთ, საჭეს გამწარებით ჩაფრენიან, ძრავები ტყაცანებენ, შემარულეები გვერდიგვერდ მიჰქიან, ნიდაყვი ნიდაყვს ენება, ბორბალი ბორბალს მიჰყვება, აღმა — დაღმა, და სულ წინ, მომაკვიდნებელი სისწრაფით, მანამ რომელიმე მონაწილე ტემპს არ დაჰკარგავს და, ლიდერს ჩამორჩენილი, ჰაერის მავარ ტალღას არ შეაწყვდება, რისგანაც აქამდე დაფარული იყო.

ათასი ნაირსახეობა ჰქონდა ველომარულას. ჩვეულებრივი სპრინტი, განცალკევებული სტარტით, ან სამატჩო მარულა, როცა ორი მონაწილე ღიღხანს იცავს ბალანსირებას თავის მანქანაზე, და მეტოქეს აძულებს წინ იაროს, მერე რამდენიმე ნელი წყრე და, ბოლოს — მკვეთრი აჭრა და თვალისმომჭრელი სისწრაფე. ამას გარდა ორ-ორ საათიანი გუნდური მარულები და შიგადაშიგ, დროის შესაგებად, სასპრინტო გამოსვლები. პირადი შეჯიბრებები აბსოლუტურ სისწრაფეში, როცა მონაწილე მთელი საათის განმავლობაში წამ-მზომის ისარს ეჯიბრება; ძალიან სახიფათო, მაგრამ თან ძალიან ლამაზი ასკილომეტრიანი მარულა მანრუქში „ბუფალოს“ ღია სტადიონზე, რომლის ფიტრული ტრეკი ორმოცდაათი მეტრი იყო; გამორჩენილი ბელგიელი ჩემპიონი ლინარი, რომელსაც პროფილის გამო

სიუ<sup>1</sup> შეარქვეს; ისედაც ჯოჯობეთურ სი-  
ჩქარეს ბოლოს კიდევ უფრო მოუმატე-  
ბდა ხოლმე, თავს დახრიდა და რეზინის  
მილით, რომელიც მაისურის ქვეშ სათ-  
ბურასთან ჰქონდა შეერთებული, კონი-  
აკს მოსვამდა. საფრანგეთის ჩემბიონა-  
ტები<sup>2</sup> ველომარულაში პრინცი პარკში,  
ოტეილის მახლობლად, ექვსას სამოც  
მეტრიან ბეტონის ტრეკზე — ყოვლად  
ვერაგულ ტრეკზე, სადაც ჩვენ თვალ-  
წინ დაიბტერა დიდი განე, გავიგონეთ  
კიდევ თავისქალის გატაკუნება მცვე-  
ლი მუხარადის ქვეშ, თითქოს პიკნიკის  
დროს ვინმეს მოხარშული კვერცხი და-  
ენარცხებინოს ქვაზე. უსათუოდ უნდა  
აეწერო ექვსდღიანი ველომარულის  
უჩვეულო სამყარო და მარულა მთის  
გზატყეცილზე. ფრანგული — ერთად-  
ერთი ენაა, რაზედაც ყველაფერი ამის  
გამოთქმა შეიძლება, რადგან ტერმინები  
სულ ფრანგულია. აი, რატომ არის ძნე-  
ლი ამზე წერა. მაიკი მართალი ყოფი-  
ლა. ველომარულა უტოტალიზატორო-  
დაც კი კარგი აღმოჩნდა. მაგრამ ეს უკ-  
ვე ჩემი პარიზული ცხოვრების მეორე  
პერიოდს ეკუთვნის.

**შეპირდაღ შიშვილთან**

სანახევროდ მშიერ ადამიანს პარიზ-  
ში გაცილებით უფრო აუწანწალდება  
შიშვილით კუჭი, იმიტომ რომ საფუნ-  
თუშეებში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ათას-  
ნაირი გემრიელი საქმელებია გამოფე-  
ნილი, ხალხი პირდაპირ ტროტუარებზე  
უზის მაგიდებს, ხედავ, როგორ მაღაი-  
ნად შეექცევიან, სასიამოვნო სურნელს  
იყნოსავ. ჟურნალისტობას თუ ვაანებე  
თავი და ახლა ისეთ რამეს წერ, რასაც  
კაციშვილი არ ყიდულობს ამერიკაში,  
თან შინ თუ დაიბარე, ვილაცასთან სა-  
დილად ვარ დაპატრებულიო, მაშინ  
ყველაფერს ის გირჩევნია, ლექსემბურ-  
გის ბალისკენ გასწიო — ობსერვატორი-  
ის მოედნიდან მოკიდებული ისე მიად-  
გები ვოჟირასის ქუჩას, რომ არც თვა-

ლისა და არც ყნოსვის გამაღიზიანებელ  
საქმელს არ შეხვდები. შეგიძლია<sup>1</sup> ლექსემბურ-  
გის მუხეუშშიაც შეტყნო, რომელიც  
ცა გულზე გიცინცილებს და კუჭი გიბ-  
მება.

შიშვილობის დროს გაცილებით უფ-  
რო ღრმად ჩაეწვდი სეზანს, და ჭეშმა-  
რიტად მივხვდი, როგორ იქმნებოდა მი-  
სი პეიზაჟები. ზშირად შევკითხიარ ხო-  
ლმე საკუთარ თავს — სეზანიც შიშვი-  
ლობდა მუშაობის დროს? ბოლოს<sup>2</sup> და-  
ვასკვენი, ალბათ ავოწყდებოდა-მეთქი  
ქამა. ასეთი, არც თუ მაინცადამაინც სა-  
ლი აზრი მაშინ მოგდის თავში, როცა  
უძილობა გვირს ან გშია. უფრო მოგვი-  
ანებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ სე-  
ზანი მართლაც შიშვილობდა, ოღონდ  
სულ სხვა შიშვილით.

ლექსემბურგის მუხეუმიდან ფერუს  
ვიწრო ქუჩა სენ-სიუპლის მოედანზე გა-  
ვიყვანს. აქაც ვერ შეხვდები რესტო-  
რანს, მარტო მყუდრო ბაღს გაივლო,  
სადაც ხეების ძირში სკაშები დაუდგამთ.  
ნახავ აგრეთვე შადრევანს, შუაში ლო-  
მის გამოსახულებას, ტროტუარზე  
მტრედები დაბაჯბაჯებენ და ზოგჯერ  
ეპისკოპოსების ქანდაკებებს დაასკუბ-  
ლებიან ხოლმე. მოედნის ჩრდილოეთით  
გკლესიანსა და პატარა საგაჭროებს დაი-  
ნახავთ, რომლებშიც საეკლესიო საქო-  
ნელი იყიდება.

კიდევ თუ გააგრძელებ გზას და მდი-  
ნარისკენ დაეშვები, უსათუოდ უნდა  
ჩაუარო საფუნთუშე, საშაქარლამო,  
ხილ-ბოსტნეულისა და ღვინის მაღაზი-  
ებს. მაგრამ წინასწარვე თუ კარგად გი-  
თვალისწინებ მთელ გზას, შეგიძლია  
ხელმარჯვენის გაუხვლი, თერთად შელ-  
ბილ ეკლესიას შემოუარო და ოდენის  
ქუჩაზე გახვიდე, აქ კიდევ გაუხვვე  
მარჯვენე და სილვია ბიჩის წიგნების მა-  
ღაზიას მიადგები. სასურსათო მაღაზიე-  
ბი აქეთკენ კანტი-ტუნტად თუ გამოერე-  
ვა, ხოლო მთელ ოდენის ქუჩაზე  
ვერც ერთ კაფესა და სასაუზმეს ვერ  
ნახავ, მოედნამდე, სადაც ერთბაშად სა-  
მი რესტორანია.

მანამ მეთორმეტე ნომერ სახლს მი-

<sup>1</sup> ერთ-ერთი ინდური ტომი.

ადგებოდა ოდნობის ქუჩაზე, შიმშილი თითქოს მიგიყურებდა, სამაგიეროდ აღქმის უნარი გავიხსოვებოდა. ფოტოსურათები, ასე გგონია, სულ სხვაგვარი გახდა, და ეს წიგნებიც თითქოს თავის დღეში არ გენახოს.

— ცოტა გამზდარი მეჩვენებით, ჰემინგუეი, — მითხრა სილვიამ, — კარგად ჰამთ?

— რა თქმა უნდა

— სადილად რა ჰამთ?

შიმშილისაგან ლამის თვალთ დამიბნელდა, მაგრამ პასუხი მაინც მოვახერხე:

— სწორედ სადილისათვის მივდივარ შინ.

— სამ საათზე?

— არც კი შემომჩნევია, ასე გვიან თუ იყო.

— ამას წინათ ანდრიანა მეუბნებოდა, ჰედლისა და თქვენი დაპატივება სურს ვაბნეოდ. ფარგსაც დავუძახებდით. თქვენ კარგად ხართ მგონი განწყობილი მასთან? ან ლარბოს. ლარბო კი, ვიცი, ნამდვილად გიყვართ. ან სხვა ვინმეს, ვისთანაც კარგადა ხართ. ჰედლის მოვლაპარაკეთ, კარგი?

— დარწმუნებული ვარ, ჰედლი სიამოვნებით მიიღებს მაგ მიწვევას.

— წერილსაც გავუგზავნი. ამდენს მაინც ნუღარ იმუშავებთ, რაკი ასე უხერხოდ იკვებებით.

— აღარ ვიმუშავებ.

— ახლა წადით, თორემ სადილზე დაგავიანდებათ.

— არა უშავს, შემინახავენ.

— ცივსაც ნუ შექამთ. თქვენ ახლა ცხელი, ყუთთიანი სადილი გვირდებათ.

— ჩემი წერილი ხომ არ არის?

— არა მგონია. ვნახო მაინც.

ძებნა დაუწყო, რალაც ბარათი ნახა, მხიარულად გამიღიმა და უჭრა გამოაღო.

— ჩემს არყოფნაში მოუტანიათ.

გამოვართვი კონვერტი, მოვსინჯე და მივხედი, რომ შიგ ფული იყო.

— ვედერკომისაგან არის, — მითხრა სილვიამ.

— „ვედერკომიდან“ იქნება. ნახეთ ვედერკომი?

— არა. მაგრამ აქ ყოფილა ჯორჯთან ერთად. ვნახავს, ფიქრი ნუ გაქვთ. ეტყობა, ჯერ ფულის გადახდა გადაწყვიტა.

— ეჭვსასი ფრანკია. კიდევ ვამოგვიგზავნიო, მწერს.

— კიდევ კარგი, წერილი მოიციოთხერა კარგი კაცი ყოფილა.

— სასაცილო კია — მხოლოდ გერმანიაში ყიდულობენ ჩემს ნაწერებს. ეგადა „ფრანკფურტერ ცაიტუნი“.

— მართლაც საოცარია. მაგრამ გულის ტკენად არც კი ღირს. შეგიძლიათ ფორდს მიჰყიდოთ თქვენი მოთხრობები, — გამომაჯავრა მან.

— თითო გვერდი ოცდაათ ფრანკად. ვთქვით, სამ თვეში ერთი მოთხრობა მივეცი „ტრანსატლანტიკს“. მაშინ ხუთ-გვერდიან მოთხრობაში — ასორმოცდაათი ფრანკი, ესე იგი — წელიწადში ექვსასი ფრანკი.

— იცით რა, ჰემინგუეი — რამდენს ვიხდიან, ამაზე ნურც იფიქრებთ. მთავარია, რომ დაწერა შესძლოთ.

— ვიცი. მოთხრობების წერა კი შემიძლია, მაგრამ არავის რომ არ უნდა! რაც კურალისტობას თავი გვაწინებუფულს სულ ვღირ ვაკეთებ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, იყიდიან. ხომ ხედავ — ერთი მოთხრობის ფული უკვე მიიღეთ.

— ბოდინს ვიხდი, სილვია. მამატიეთ, რომ ამაზე დავიწყე ლაპარაკი.

— საბოდინო რაა, რამდენიც გენებოთ ილაპარაკეთ — ამაზეც და სხვა რამეზეც. აქამდე არ გავიგიათ, რომ მწერლებს თავიანთ გასაქირზე წუწუნი უყვართ. ოღონდ სიტყვა მომეცით, რომ აღარ იღუღებთ და შიმშილით თავს არ მოიკლავთ.

— სიტყვას გაძლევთ.

— მაშინ, ახლავე შინ გასწიეთ და ისადილეთ.

ქუჩაში რომ გამოვედი, საკუთარი თავი შემზიხლდა ამდენი წუწუნის გამო. რაც გვაკეთე, ჩემივე სურვილით გავაკეთე, ძალა არავის დაუტანებია, მაგრამ

სულელურად მოვიქცი. უნდა იყიდო დიდი პურის ნაჭერი და ჭამო, რაღა მშიერი დადიხარ! უცებ გემოც კი ვიგრძენი შებრაწული, ხრამუნა პურისა. მაგრამ სასმელიც უნდა დააყოლო. „აი, შე წუწუნა, წმიდა წამებულად რომ წარმოიდგინე თავი! — გაეფიქრე მე, — ქურნალისტობას შენი სურვილით გაანებე თავი. კრედიტი გაქვს, სიღვია თავის დღეში ფულს არ დაგიჭერდა. ჭრაც არ მოუციას მაგას რა ბევრი ჩინინი უნდა. მაგრამ არ იქნება, რომ გამართლება არ მოუძებნო შენს საქციელს. ჭანმრთელობისათვის არის კარგი შიმშილი, და მშიერი კუჭი რომ გაქვს, სურათებს უფრო კარგად ათვისებებ ხოლმე. მაგრამ არც უპააა ურიგო საქმე, და იცი სად ისადილებ ახლა?

დაუჟკვეთე, და ჩემი მაგიდიდანვე შევყურებდი, როგორ ავსებდნენ ამჯერად პირველზე უფრო ცივი მომენტენა ლუდი და ნახევარი დავლიე.

სულაც არა ვღელავ, ვფიქრობდი მე. თავიდანვე ვიცოდი, რომ კარგი მოთხრობები მქონდა, როცა იქნება საშობლოშიაც დამიბეჭდავენ. საგანეთო მუშაობას რომ გავანებე თავი, მაშინვე ვიცოდი ეს, ეპვიც არ მეპარებოდა, რომ დამბეჭდავენ. მაგრამ თითო-თითოდ სულ უკან მიბრუნდებოდა მოთხრობები. ჩემი რწმენა იმას ემყარებოდა, რომ ელვარად ოზბრაიენმა მოთხრობა „ჩემი ბერიკაცი“ კრებულ „წილწადის საუკეთესო მოთხრობებში“ შეიტანა და მე მომიძღვნა ეს კრებული. გამეცინა და ლუდი მოვსვი. არც ერთ ქურნალში არ ყოფილა ეს მოთხრობა გამოქვეყნებული და ოზბრაიენმა პირდაპირ კრებულში შეიტანა, ჩვეულება დაარღვია. კიდევ გამეცინა, და ოფიციალტმა გამომხედა. გამეცინა იმიტომ, რომ ყველაფერი ამის მიუხედავად, ჩემი გვარი მან შეცდომით დაწერა. ეს იყო ერთ-ერთი, იმ ორ მოთხრობისაგან, რაც მე შემრჩა, დანარჩენი სულ დაიკარგა, პედლის მოპარეს ლონის ვაგზალზე; მთელი ჩემი ხელნაწილები ჩემოდანში ეწყო და ლონანაში მიჰქონდა, სიურპრახს მიმზადებდა — მთაში დასვენების დროს მათზე მუშაობის საშუალებას მაძლევდა. ერთად შეეკრა დედნებიცა და მანქანაზე გადაბეჭდილი ყველა ეგზემპლარიც. ეს მოთხრობა კი, ზემოთ რომ ვახსენე, შემთხვევით გადაჩრა — ლინკოლნ სტეფენსმა ვიღაც რედაქტორს გაუგზავნა, იმან კი უკანვე გადმომიგზავნა. დანარჩენ მოთხრობებს რომ იპარებდნენ, ეს ფოსტაში იდო. მეორე მოთხრობა — „იქ, მიჩიგანში“, აღრე მქონდა დაწერილი, მანამ მისს სტაინი მესტუმრებოდა. და მანქანაზე აღარც გადამიბეჭდავს, რაკი მან inextinguible-დ გამოაცხადა, რომელიღაც ყუთში ჩარჩა. ამრავად, ლონანიდან იტალიას გავემგზავრეთ, და ჩემი დოღზე დაწერილი მოთხრობა წავაკითხე ოზბრაიენს — რბილი ხასიათის კაცი იყო, მორცხვი, ქერა,

ლიბთან ისადილებ და დალევ კიდევ. ლიბი იქვე იყო, ახლოს, და იქითკენ მიმავალ გზაზე ყველა ის ადგილი, რასაც ჩემი კუჭი ახლა ისევ ხელად შენაშნავდა. როგორც თვალი და ცხვირი, ამ გზას განსაკუთრებულად სასიამოვნოს ხდიდა. Brasserie<sup>1</sup> — ში კაცის ქაბანება არ იყო და მაგიდას რომ მიეუჭვებო, კედელთან, სარკისკენ ზურგმუქეცვით, და ოფიციალტმა როცა მკითხა, ლუდი თუ მოგართავთო. მე დაუჟკვეთე distingue დიდი, ლიტრიანი ტოლჩა ლუდი და კარტოფულის სალათი.

ლუდი ძალიან ცივი გამოდგა, დალევას არაფერი არ ჯობდა. კარტოფილი არ იფშენებოდა, ძმრითა და წიწაკით შეეზავებინათ, ზეთისხილი დიდებულ იყო. სალათს პილპილი მოვავარე, და პური ზეთში ამოვაწე. პირველი ყლუბი კი მოვსვი ხარბად, მაგრამ, მერე დინჯად განეგარძე ჭამა და სმა. სალათს რომ მოგრიო, კიდევ დაუჟკვეთე. cervelas-იც მოვატანინე — დიდი, მსხვილი სოსისი, სივრძლივ შუაზე გაჭრილი და მდოგვის საგანგებო საწებელში ამოვლებული. ზეთიცა და საწებელიც პურით მოვასუფთავე და ლუდი ნელ-ნელა გამოვწრუპე, მანამ შეთებოდა, როცა გამოვცალე, demi — ნახევარლიტრიანი ტოლჩა —

<sup>1</sup> ლუბანა (ფრანგ.).



ცისფერთვალემა, თმას თვითონვე იკრე-  
ქდა. მაშინ მონასტერში ცხოვრობდა,  
რაპალოს თავზე, მთაში. საშინელი დრო  
იყო, დარწმუნებული ვიყავი, რომ მეტს  
ველარაფერს დავეწრდი, და ობრაიენს  
ვახეენე ის მოთხრობა, როგორც რაღაც  
უცნაური რამ; კომპასი რომ აჩვენო კაცს  
შენი გემისა, რომელიც გაუგებარი  
მიზეზების გამო დაიღუპა, ანდა კატას-  
ტროფა რომ შეგვმთხვეს და შენი ამბუ-  
ტირებული ფეხი ჩექმიდან ამოიღო,  
ხუმრობას მოჰყვე. მაგრამ მოთხრობა  
რომ წაიკითხა ობრაიენმა, ვიგრძენი  
რომ ჩემზე უფრო მას ეტკინა გული.  
მაშინვე გავიფიქრე, ასეთი ტკივილი  
მხოლოდ სიკვდილს თუ შეუძლია გამო-  
იწვიოს ან რაიმე აუტანელ ტანჯვას-მე-  
თქი. ეს, მანამ ჰედლის ვნახადეი, რომე-  
ლმაც ჩემი ხელნაწერების დაკარგვის  
ამბავი მოთხრა. ჯერ ტიროდა, ხმას არ  
იღებდა. მე ვამშვიდებდი, რაგინდ სამ-  
წუხარო ამბავი მომხდაროიყოს, ისეთი  
საშინელება მაინც არ იქნება, რომ ასე  
შეწუხდე, ყველაფერი მოგვარდება-მე-  
თქი. ვერ დაუჯერე, რომ მეორე ეგზე-  
მპლარებიც ექნებოდა წამოღებული,  
ხელად გამოვებნე კაცი, რომელსაც  
ჩემი საკორესპონდენტო საქმეები მივა-  
ნდე, დაეაქციე მატარებელს და პარიზი-  
სკენ გაეწვიე. ფულს მაშინ კარგად ვაყე-  
თებდი ჩემი ეურნალისტობით. ჰედლის  
სიტყვები მართალი გამოდგა, და კარგად  
მახსოვს, რა გვაგავით იმ დამეს, როცა  
ჩვენს ოთახში შევედი და ამაში დაგრ-  
წმუნდი. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე  
წარსული საქმე იყო; ჩინკმა მასწავლა,  
რაც დიაკარვა, იმას აღარ უნდა მისტი-  
როდეთ. და ობრაიენი დაეამშვიდე,  
ამას გულთან ახლოს ნუ მიიტან-მეთქი.  
იქნებ ჯობდეს კიდევ, ჩემი აღრეული  
მოთხრობები რომ დიაკარვა, და ისე და-  
ეუწყე დამშვიდება ობრაიენს, როგორც  
ქარისკაცებს ამშვიდებენ ხოლმე  
ბრძოლის შემდეგ. მალე ისევ დაეიწყებ  
მოთხრობების წერას, ვთქვი მე, ტყუ-  
ილით ვცადე მისი დამშვიდება, მაგრამ  
მაშინვე ვიგრძენი, რომ სიმართლეს ვამ-  
ბობდი.

ახლა კი, ლიპის სასაუბრეში, ვცადე  
გამეხსენებია — იმ ნაწერების დაკარ-  
გვის შემდეგ როდის მოვანერხე ჩემი  
პირველი მოთხრობის დაწერა. ეს იყო  
კორტინა-დამპეცოში, რურიდან დაბრუ-  
ნების შემდეგ — გაზეთის დავალებით  
დროებით მივატოვე თხილამურებით  
სრილის საგაზაფხულო სეზონი და  
რაინის ოლქსა და რურში გავემგზავრე-  
დავბრუნდი რურიდან და დავეწრე.  
ძალიან უბრალო მოთხრობა იყო — „სე-  
ზონის გასვლის შემდეგ“<sup>1</sup> და ნამდვილი  
ბოლო გამოვტოვე, აღარ დავეწრე, რომ  
ბერიკაცი მერე თავს იკლავს. გამოვტო-  
ვე ჩემი ახალი თეორიის მიხედვით:  
ყველაფერს გამოტოვება შეგძლია,  
რასაც კი მოისურვებ, ოღონდ იმ პირო-  
ბით, რომ იმ გამოტოვებულს კარგად  
უნდა იცნობდე, უნდა იცოდე, რასა  
ტოვებ; ეს კიდევ უფრო შეჰკრავს სი-  
უწყეტს და მკითხველი უსათუოდ იგრ-  
ძნობს, რომ დაწერილს იქით კიდევ არის  
რაღაც, ბოლომდე გაუხსნელი.

ძალიან კარგი, გავიფიქრე მე, უკვე  
ვისწავლე ისე წერა, რომ ჩემი მოთხრო-  
ბები არ ესმით. ეს ცხალზე უცხადესია.  
ისიც ცხადია, რომ ამისთანა მოთხრობე-  
ში არავეს არ უნდა. მაგრამ ვაიგებენ —  
სურათების ბედიც ხომ ასეა. დროა მხო-  
ლოდ საჭირო და საკუთარი თავის რწმე-  
ნა.

როცა იძულებული ხდებოდა საქმელი  
პოიკლო, იმდენი ნებისყოფა უნდა  
გამოიჩინო, რომ ბევრი არ იფიქრო  
შიმშილზე. შიმშილი დისციპლინას გა-  
ჩევეს, ბევრს რასმე გასწავლის. და მანამ  
მკითხველი ამას მიხედვებოდეს, შენ მა-  
სზე წინა ხარ. როგორ არა, გავიფიქრე,  
მე უკვე ისე გავასწარი, რომ ახლა ყო-  
ველდღე ველარც კი ვსადილო. კარგი  
კი იქნებოდა, ცოტათი შეემცირებინათ  
ეს დისტანცია მკითხველს.  
ვიცილი, რომ რომანი უნდა დამეწე-  
რა, მაგრამ ვგრძნობდი, საამისო ძალა  
არ შემეწედა — აბზაცებსაც ძლივ-  
ძლივობით ვადგენდი, რომელთაგან მე-

<sup>1</sup> „Out of Season“ — ქართულ თარგმანში  
ამ მოთხრობის სახელწოდებაა „აქედეთი“.

რე რომანი უნდა შეიკრას. ჯერ მოგვძო მოთხრობების წერა უნდა ვცადო, როგორც დიდ დისტანციაზე სირბილის წრთვას ვადიან ხოლმე. იმ რომანს როცა ვწერდი, რომელიც ლიონის სადგურზე მომპარეს, ჯერ კიდევ შერჩენილი მქონდა სიჭაბუკის ლირიკული სიმსუბუქე, ისეთივე არამყარი და მაცთუნებელი, როგორც თვით სიჭაბუკე. ვგრძნობდი, რომ იქნებ კარგიც მოხდა, ეს რომანი რომ დაიკარგა, მაგრამ სხვა რამესაც ვგრძნობდი: ახალი რომანი უნდა დამეწერა. ოღონდ მაშინ დაეიწყებოდა, როცა ვადაღება აღარ შემეძლება. ღმერთმა შემჩვენოს, ყოველდღიური საღილისათვის თუ დაეწერო რომანი. მაშინ დაეიწყებოდა მხოლოდ, როცა ისე ვიქნები გატაცებული, რომ სხვა რამის გაკეთება აღარ შემეძლება, როცა სხვა არჩევანი არ მექნება.

დღე, კიდევ უფრო მომაწვეს ამისი ენის. მანამდე კი დიდ მოთხრობას დავწერ; რაც ყველაფერზე უფრო კარგად ვიცი, იმაზე.

ამსობაში, ფული გადავიხადე, გამოვედი, მარჯვნივ შევეხვიე, რენის ქუჩა გადავქერი, რათა „დე მაგოს“ წინ ყავას არ ვეცთუნებინე, დე ბონაპარტის ქუჩით შინისკენ ვავეყო.

მაგრამ რაც არ დამიწერია ან არ დამიკარგავს, იმათგან ყველაზე კარგად რა ვიცი მე? რა ვიცი და რა მიყვარს ყველაზე ღრმად? არჩევანიც არ არის. მარტო ქუჩების არჩევას თუ მოვახერხებდი, რომლებიც უფრო ჩქარა მიმიყვანდნენ ჩემს საწერ მაგიდასთან. ბონაპარტის ქუჩის გავლით გიმენეს ქუჩას მივადექი, იქიდან ასსას ქუჩაზე ვავედი, ნოტრ-დამ-დე-შანი ჩავიარე და კაფე „ელოზური დე ლილაში“ მივედი.

კუთხეში მივჯექი, ჩამავალი მზის სხივები ზურგიდან მცემდა. ბლოკნოტი ამოვიღე და წერა დავიწყე. ოფიციალურად café-erème მიმიტანა; დავაცადე, მანამ გაგრილდებოდა, ნახევარი ფინჯანი მოვსვი და გვერდზე მივდვი, წერა განვაგრძე. წერას რომ მოვრ-

ჩი, გამიძნელდა მდინარესთან, მოჩუქეშო მოსრიალე კალმახებთან, ხეშიმხეშის ირგვლივ მოდიდებულ წყალთან განშორება. ეს იყო მოთხრობა ომიდან დაბრუნებაზე, თუმცა ომი სულაც არ ყოფილა შიგნისხეშები.

მაგრამ მდინარე ხომ ხვალაც აქ იქნება, და მე უნდა ავწერო იგი, მთელი ეს მხარეც, და ყველაფერი, რაც მოხდება. და ყოველდღიურად — მრავალი დღის განმავლობაში — ამ საქმიონე ვიქნები გართული. სხვა არაფერი არ არსებობს. ჯიბეში ფული მაქვს, გერმანიიდან მიღებული, საშუალება მექნება არაფერზე არ ვიფიქრო. ეს ფული რომ გამითავდება, სხვა რამე გამიჩნდება.

ახლა კი ერთი რამ არის საჭირო: აზრის სინათლე დილაზე შევიწარჩუნო, როცა კვლავ შევეუდგები მუშაობას.

**ფორდ ფელოს ფორდი და ეშაპის შავიღო**

სახერხი ქარხნის თავზე რომ ვცხოვრობდით, ნოტრ-დამ-დე-შანის 113 ნომერში, უახლოესი კარგი კაფე „კლოზური დე ლილა“ იყო — პარიზის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო კაფე. ზამთრობით თბილოდა აქა, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი მრგვალ მაგიდებს ხეების ჩრდილში გამოიტანდნენ ხოლმე, მარშალ ნეის ქანდაკების მახლობლად, ჩვეულებრივ ოთხკუთხა მაგიდებს კი პირდაპირ ტროტუარზე გამოდგამდნენ. დიდი ტენტების ქვეშე და ძალიან სასიამოვნო იყო ამ მაგიდებთან ჯდომა. ორი იქაური ოფიციალტი დავიმეგობრეთ. „გუმბათისა“ და „როტონდის“ ერთგულ კლიენტებს ფეხს ვერ შეადგმევინებდი „ლილაში“. აქ მათ არავინ იცნობდა, და არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, კიდევ რომ შემოცდენოდათ ფეხი. იმ ხანად ბევრი სტუმარი ჰყავდა კაფეებს მონპარნასისა და რასპაის ბულვარების კუთხეში. ეს ისე — ხალხში გამოსაფენად, და ეს კაფეებიც ისეთივე ხანმოკლე უკვლავებას სთავაზობდნენ ხოლმე თავიანთ

მუშტრებს, რა უკვდავებაც საგაზეთო ქრონიკის სვეტებს შეიძლება ჰქონდეთ.

იყო დრო, როცა „კლოზერი დე ლილაში“ თითქმის სისტემატურად იყრიდნენ თავს პოეტები; და მათ შორის უკანასკნელი ცნობილი პოეტი პოლ ფორი იყო, რომლის წაკითხვა ვერა და ვერ მომიხერხდა. მაგრამ მე ბლუზ სანდრარის მეტს არავის შევხვედრებოდი; ბოქსიორის დასახიჩრებელი სახე ჰქონდა, ჩამოკონწიალებულ სახელოს იკეცვდა და მხარზე იმაგრებდა, პაპირის სალი ხელით მოფხვნიდა ხოლმე; მანამ დათვრებოდა, კარგი თანამოსაუბრე იყო, მისი ტყუილი გაცილებით უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სხვების მონაყოლი საინტერესო ამბები. ის ერთადერთი დადიოდა იმხანად „ლილაში“, მაგრამ მე სულ ერთხელ ვნახე იქა. ისე კი, იქაური კლიენტების უმრავლესობა ხანში შესული, წვეროსანი ხალხი იყო. გაქეპილი კოსტუმები ეცვათ, ზოგს ცოლი მოჰყავდა თან, ზოგსაც — საყვარელი, ზოგს დილის კილოში „საპატიო ლეგიონის“ წვრილი წითელი ლენტი ჰქონდა დატანებული, ზოგს კი არა ჰქონია. ჩვენ სულგამელობას ვიჩენდით და ისინი მიგვიჩნდა მეცნიერებად — savants. დაიდგამდნენ წინ აპერატებს და თითქმის იზდენ ხანს ისხდნენ, რამდენ ხანსაც კიდე უფრო გაცრეცილ კოსტუმინი კლიენტები, რომლებიც თავიანთ ცოლებსა თუ საყვარლებთან ერთად café crème-სა წრუბავდნენ. დილილობში იისფერი ლენტები ეკეთათ, აკადემიის ნიშანი, თუმცა საფრანგეთის აკადემიასთან არაფერი საერთო ჰქონდათ. და ჩვენი ვარაუდით, მასწავლებლები უსადა ყოფილიყვნენ.

სწორედ ამ კლიენტების წყალობით იყო კაფე ასეთი მყუდრო, რადგან მათ მხოლოდ ერთიმეორე აინტერესებდათ, ან თავიანთი აპერატივი და ყავა, აგრეთვე ზის ჯონებზე დამაგრებული გაზეთები და ჟურნალები, ხოლო ერთმა-

ნეთისათვის თვალთვალე წესად არა ჰქონიათ.

„ლილაში“ ლათინური გვარტალის ბინადრებიც დადიოდნენ, და ზოგ მათგანს დილილობში „სამხედრო ჯარის“ ლენტი ეკეთა, ზოგს კი — „სამხედრო მედალის“ მომწვანო-მოყვითალო ლენტი; შორიდან ვაკვირდებოდი, როგორ კარგად შეეგუენ ისინი ხეიბრობას, არც კი ამჩნევდნენ — ხელი ან ფეხი თუ ჰქონდათ დაკარგული; ვაკვირდებოდი ხოლმე მათი ხელოვნური თვალების ხარისხს, იმ ოსტატების ხელოვნებას, რომელთაც სახის ნაკეთები აღედგინათ მათთვის. სერიოზული პლასტიკური ოპერაცია კანს პრიალს უტოვებს ხოლმე, როგორც ნათხილამურევი ბილიკი გინახავთ; ამ კლიენტებს ჩვენ მეტ პატივსა ეცემოდით, ვიდრე იმ მასწავლებლებსა და savants-ებს, იქნებ ეგენიც კი იყვნენ ომში, მაგრამ დასახიჩრებლას ვადაუარჩენ.

მაშინ ომგამოუვლელ ხალხს როდი ენდობოდნენ, ის კი არა და დიდად არავისი ნდობაც არა გექონია; და ბევრისთვის რომ გეკითხათ, სანდრარს შეეძლო ნაკლები დემონსტრირება გაეკეთებინა თავისი მოჭრილი ხელისათვის. გამიხარდა, რომ დღისით მოვიდა იგი „ლილაში“, მანამ მუდმივი კლიენტები მოაწყდებოდნენ.

იმ საღამოს „ლილის“ წინ მაგიდას ვუჭექი და გავცქეროდი, როგორ სულ სხვადასხვანაირად ეცემოდა შუქი სახლებსა და ხეებს. და ბულვარის გადაღმა რა მძიმედ მიათრევდნენ ფეხჯირკაცებები დროვებს. უცებ, ჩემს მარჯვნივ კაფეს უკანა კარი გაიღო და ვილაც კაცი მოადგა ჩემს მაგიდას.

— აქა ყოფილხართ — შესძახა მან.

ეს იყო ფორდ მედოკს ფორდი, როგორც ის უწოდებდა ხოლმე მაშინ თავის თავს. იგი მძიმედ ქშუტუნებდა სქელ, შეღებილ ულვაშებში, და გაჯვიმული დადიოდა, თითქოს მოდურ კოსტუმში გამოწყობილი ურემზე დაყუდებული ლუდის კასრი ყოფილიყოს.

— ნება მომეცით, თქვენთან დავკედე, — დაჯდა და ქერა წამწამებიდან გამოშვარალი ცისფერი თვალებით ბულვარს გახედა, — რამდენი წლის სიცოცხლე დავხარჯე, რომ ეს ჯავლები ცოტა უფრო ჰუმანურად გეწყვიტათ. — თქვა მან.

— ეს უკვე გითქვამთ ჩემთვის, — ვუთხარი მე.

— არა მგონია.

— ნამდვილად.

— უცნაურია. არავისთან არ დამკედენია ამხე სიტყვა.

— რამეს არ დალევთ?

— ოფიციალტი იქვე იდგა, და ფორდმა ვერმუთი „შამბერი“ და „კასი“ დაუკეთა. წოწოლა ოფიციალტმა, რომელიც მოტყევილ თავს კეფიდან გადმოტანილა თმით იფარავდა და ძველებური ბუთქუნა უღვაშები ჰქონდა, დაკვეთა გაიმეორა.

— არა Fine á L'eau! — მოიტანეთ, — უთხრა ფორდმა.

— მუსიეს fine á L'eau! — გაიმეორა ოფიციალტმა.

მუდამ ვარიდებდი ხოლმე ფორდს თვალს, ვცდილობდი იშვიათად მესუნთქა, როცა მასთან ერთად ვიყავი ოთახში, მაგრამ ახლა გარეთ ვისხედით, ჰაერზე, ჩამოცვენილ ფოთლებს ქარი ჩემგან მისკენ ახეტდა.. ასე რომ ახლა კარგად შევათვალეო, და ხელაღვე ვინანე, ისეე ბულვარისკენ მივაბრუნე თავი.

განათება უკვე შეცვლილიყო და ამჯერად გამოშვარა ეს შეცვლის მომენტი. ცოტა მოვსევი, რათა გამეგო, ფორდის მოსვლამ კონიაკს გემო თუ გაუფუჭა-მეთქი. მაგრამ ისეე კარგი იყო.

— რაღაც მოღუშული ხართ, — მი-თხრა მან.

— არა.

— მოღუშული ხართ, ნამდვილად. უფრო ხშირად უნდა გაიარ-გამოიაროთ ჰაერზე. ახლაც იმიტომ შემოვი-

რე, თქვენი დაპატივება გვინდა ჩვენი უბრალო საღამოებზე; იმ საღამოებზე, საცეკვაო დარბაზში ვაწყობთ ხოლმე, კარდინალ ლემუანის ქუჩაზე, კონტრ-რესკარპის მოედნის მახლობლად.

— მთელი ორი წელიწადი ვცხოვრობდი მაგ საცეკვაო დარბაზის თავზე. პარიზში თქვენს ბოლო ჩამოსვლამდე დიდი ხნით აღრე.

— საოცარია, ნამდვილად?

— რა თქმა უნდა, ვუპასუხე მე, — ნამდვილად. მაგ დარბაზის პატრონს ტაქსი ჰქონდა, და თვითმფრინავზე როცა მიჩქარებოდა, იმ კაცს დაეპყავდი აეროდრომზე. წასვლის წინ საცეკვაო დარბაზში შევირბენდით და თუთიაგადაკრულ დახლთან თითო ჭიქა თეთრ ლენისა გადააკრავდით. ხოლმე, სიბნელეში.

— არ მიყვარს თვითმფრინავი, — თქვა ფორდმა, — შაბათს გვეწვიეთ თქვენს ცოლთან ერთად საცეკვაო დარბაზში. დიდი მხიარულება გვექმება. გეგმას დავიხსნავთ, რომ უფრო ადვილად მოვაგნოთ. მე თვითონ შემთხვევით წავაწყდი მაგ ადვილს.

— სამოცდამეთოთხმეტე ნომერი სახლის სარდაფი, კარდინალ ლემუანის ქუჩაზე, — ვუთხარი მე, — მე მეოთხე სართულზე ვცხოვრობდი.

— ნომერი არ აწყერია, — თქვა ფორდმა, — მაგრამ კონტრესკარპის მოედანს თუ მიავნებთ, მერე ადვილია მაგ სახლის მოძებნა.

ერთხელ კიდევ მოვსევი. ოფიციალტმა ფორდს მოართვა კონიაკი, მაგრამ საყვედური მიიღო:

— კონიაკი როდის დაგიკვეთეთ, — დამრიგებლური კილოთი უთხრა ფორდმა, მაგრამ მკაცრად, — მე ვერმუთი „შამბერი“ და „კასი“ დაგიკვეთეთ.

— არა უშავს, ეან, — ვუთხარი მე — კონიაკს მე ავიღებ მუსიეს კი, რაც ახლა დაგიკვეთათ, ის მოართვით.

— რაც თავიდანვე დაგიკვეთეთ. — გამისწორა ფორდმა.

ამ დროს ვიღაც წამოსასხამიანმ გამხდარმა კაცმა ჩაიარა ტროტუარზე.

<sup>1</sup> წყლიანი კონიაკი (ფრანგ.).

ჩვენს წინ. მაღალ-მაღალი ქალი ახლდა. ცერად გამოხედა ჩვენს მაგიდას, მერე ისევ მიაბრუნა თავი და გზა განაგრძო.

— ხომ ნახეთ, არც კი მიესალმები-  
ვარ, — მითხრა ფორდმა, — ჰა, ვერ  
შენიშნეთ?

— ვერა. ვის არ მიესალმებიან?

— ბელოკს, — თქვა ფორდმა, ხომ  
კარგი ვქენი?!

— არ შემიინიშნავს. მაგრამ მაინც  
რატომ არ მიესალმეთ?

— მაგის მიზეზი ბლომად მაქვს, —  
მიპასუხა ფორდმა, — ჰა, ხომ კარგი  
ვქენი?!

ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს.  
მე ხეირიანად არც კი შემიინიშნავს ბე-  
ლოკი, ალბათ, არც მას დაუვნახივართ.  
ჩაფიქრებული მიდიოდა. ჩვენ, ისე,  
უნებურად გამოგვხედა. არ მესიამოვნა,  
ასე უდიერად რომ მოექცა ფორდი:  
როგორც ახალგაზრდა მწერალი, მე პა-  
ტივისციემით ვიყავი გამსჭვალული უფ-  
როსი თაობის მწერლის მიმართ. ახლა  
ეს გაუგებარი გახდა, მაგრამ მაშინ არც-  
თუ იშვიათად ხდებოდა ხოლმე ასეთი  
რამე.

— კარგი კი იქნებოდა-მეთქი, ვი-  
ფიქრე, ბელოკი ჩვენს მაგიდასთან შე-  
ჩერებულყო, და გამეცნო; ფორდთან  
შეხვედრამ სულ გააფუჭა საღამო, ხო-  
ლო ბელოკი ყველაფერს გამოასწორებ-  
და-მეთქი.

— კონიაკს რაღა სვამთ? — მითხრა  
ფორდმა, — ვანა არ იცით, რომ კონია-  
კი ახალგაზრდა მწერლებს ღუპავს?!

— ათასში ერთხელ თუ დაეღევ, —  
მივუგე მე.

ვცადე მომეგონებია, რა მითხრა  
ფორდზე ეზრა პაუნდმა, — უკმეხად  
ნუ მოიქცევით, ნუ დაივიწყებ, რომ  
ფორდი მხოლოდ მაშინ ცრუობს, რო-  
ცა მეტისმეტად დალილიაო, ისე კი  
მართლაც რომ დიდებული მწერალი-  
აო; ოჯახში დიდი უსიამოვნება შეხვედ-  
როდა. ვცდილობდი, მომეგონებია ყვე-  
ლაფერი ეს, მაგრამ ძალიან ძნელი გა-  
მოდგა, რადგან გვერდში თვითონ ფორ-

დი მეგდა — ზორხოხა, მოქმუტუნე-  
არასასიამოვნო კაცი. მე მაინც ვცადე.

— ერთი ამისხენით, რა დროს არ  
ესალმება ხოლმე ხალხი ერთმანეთს? —  
ვკითხე მე.

აქამდე მეგონა, მარტო უიდის რომა-  
ნებში თუ მოხდებოდა ამისთანა რამე-  
ები. ჩემს დღეში არ წამეკითხა უი-  
დის რომანები, სათხილამურო სეზონის  
დროსაც კი არა, შვეიცარიაში, რო-  
ცა სამხრეთის ნესტიანმა ქარმა დაუ-  
ბერა და მე თან წაღებული წიგნები  
სულ წაეთხოვლი აღმომაჩნდა, მარტო  
ტაუნსონის ომადელი გამოცემებიდა  
თუ შეიძლებოდა წაეკითხა ადამიანს.  
რომლებიც პანსიონში დარჩენოდათ  
დამსვენებლებს. მაგრამ მეექვსე გრძ-  
ნობა მეუბნებოდა — უიდის რომანებ-  
ში ხალხი ერთმანეთს არ ესალმებაო.

— ჯენტლმენი, — ამისხნა ფორდმა,  
— თავის დღეში არ მიესალმება გა-  
რეწარს.

სასწრაფოდ მოვსვი კონიაკი.

— ხეპრეს? — ვკითხე მე.

— ჯენტლმენს ხეპრე საიდან ეცნო-  
ბა!

— მაშ, მარტო თავისივე წრის ხა-  
ლხს არ მიესალმება?

— თავისთავად ცხადია.

— მაშ, გარეწარს როგორღა უნდა  
იცნობდეს?

— თავიდან ხომ არ ეცოდინებოდა  
გარეწარია თუ არა, თან ადამიანი მე-  
რეც შეიძლება გარეწარი გახდეს.

— გარეწარი რაღას ნიშნავს? —  
ვკითხე მე, — მგონი, იმისთანა ადა-  
მიანს, ვისაც სულ სიფათში უნდა სცე-  
მო.

— არ არის სავალდებულო. — მი-  
პასუხა ფორდმა.

— ეზრა პაუნდი ჯენტლმენია? —  
ვკითხე მე.

— ჯენტლმენი საიდან იქნება, —  
მიპასუხა ფორდმა, — ამერიკელია.

— ამერიკელი არ შეიძლება ჯენტ-  
ლმენი იყოს?

— მხოლოდ ჯონ კუინი, ან ზოგი  
თქვენი ელჩი.

— მაიორი ჰერიკი?  
 — შეიძლება!  
 — ჰენრი ჯეიმსი თუ იყო ჯენტლმენი?  
 — თითქმის.  
 — თქვენ?... თქვენ თუ ხართ ჯენტლმენი.  
 — რა თქმა უნდა. მე ზომ მისი დიდებულების სამსახურში გახლდით.  
 — რთული გასარკვევია, — ვთქვი მე, — ჩემზე რაღას იტყვიან? ვარ ჯენტლმენი?  
 — რა თქმა უნდა, არა, — მიბასუხა ფორდმა.  
 — მაშ, ჩემთან ერთად რატომღასვამთ?  
 — იმიტომ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი ხართ, ჩემი კოლეგა.  
 — დიდ სიკეთეს იჩენთ ჩემს მიმართ.  
 — იტალიაში, ალბათ, ჯენტლმენად ჩავთვლიდნენ, — სულგრძელობა გამოიჩინა ფორდმა.  
 — გარეწარი ხომ არა ვარ, მაინც?  
 — რა ბრძანებაა, ჩემო კარგო! საიდან მოიგონეთ?  
 — მაგრამ ხომ შეიძლება ვავხდე — ვთქვი მე ნაღვლიანად, — აგერ, კონი-აკსა ვსვამ... და საერთოდ... ავი ჰარი ჰოტსპერსაკ ეს მოუვიდა ტროლოპთან. ჰო, ტროლოპი თუ იყო ჯენტლმენი?  
 — ცხადია, არა.  
 — დარწმუნებული ხართ?  
 — ეს სადაო საკითხია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ არა.  
 — ფილდინგი? ის ხომ მოსამართლე იყო.  
 — ფორმალურად შეიძლება.  
 — მარლო?  
 — არა, რა თქმა უნდა.  
 — ჯონ დონი?  
 — დონი ხომ მღვდელი იყო.  
 — საინტერესო კია, — ვთქვი მე.  
 — მიხარია, რომ დაგაინტერესეთ, — მითხრა ფორდმა, — მანამ წახვიდოდეთ, კონიაკს დავლევ თქვენთან ერთად.

რი-სპორტი“ ვიყიდე, საღამოს ვემყურებ ვეზა, ოტელიის დოლის შეტყუებში გახსნილი და ვხედე და ენგიენის ხვალინდელ პროგრამას. ეანი ახალმა ოფიცინტში შეცვალა — ემილია — რომელიც ჩემთან მოვიდა და ოტელიის შედეგებს ჩახედა. ერთი ჩემი ახლო მეგობარი, რომელიც იშვიათად თუ შედგამდა ფენს „ლილაში“, ახლა ჩემს მაგიდას მოუჭდა, და სწორედ მაშინ, როცა იგი ემილს კონიაკს უკეთავდა, მოსასხამიანმა გამხდარმა კაცმა, მალა-მალა ქალთან ერთად უკანვე ჩამოიარა ტროტუარზე. ცერად გამოხედა ჩვენს მაგიდას და გზა განაგრძო.  
 — ილერ ბელოკი იყო, — ვუთხარი მეგობარს, — სულ ცოტა ხნის წინ აქ ფორდი იჭდა, და მაგას არ მიესალმა.  
 — ნეტა რას სულელობ, — მითხრა მეგობარმა, — ეგ ზომ ალისტერ კროულია, ეშმაკის თაყვანისმცემელი, სატანისტი. მაგისთანა ვაფუჭებული კაცი ქვეყნად მეორე არ არისო, ამბობენ.  
 — უპაცრავად, — ვუთხარი მე.

ახალი სკოლის დაბადება

ლურჯი ბლოკნოტები, ორი ფანქარი და ფანქრის სათლელი (დანა ხელად ანადგურებს ზოლზე ფანქარს), მარმარილოს მაგიდები, ქორფა და ყოვლისგამწმენდი ადრიაინი დილის სურნელი, და ცოტაოდენი წარმატება — ეს იყო და ეს, მეტი არაფერი მინდოდა. წარმატების მომტანი კი ცხენწაბლა და მარჯვენა ჯიბეში ბაჭის თათი იყო. ბეწვი დიდი ხანია ვადაფხვიკა ბაჭის თათს, ძვალი და მყესი კი გაიგლისა და გაპრიალდა. კლანჭები ჯიბის სარჩულს ედებოდა და შენ დარწმუნებული იყავი, რომ წარმატება უზრუნველყოფილი იყო.  
 ზოგჯერ ისე აეწყობოდა საქმე, რომ ყველაფერი კარგად გამოდიოდა — თითქოს თვალნათლივ შეპყურებ ამ მხარეს, გაივლი ფიჭვის ტყეს, განაყოფზე გახვალ, ხრამს მიაღებე და ტბის

უკვე კარგად ბნელოდა, ფორდი რომ წავიდა, მე კიოსთან მივედი და „პა-

გადაღმა მთებს ვახედავ. ხან ფანქრის წვერი მოტყდებოდა და სათლელის ფხას მიეკვროდა, მაშინ პატარა დანა უნდა ამოგელო და სათლელი იმით გავეწმინდა, ან ბასრი სამართლებლით გავთვალა ფანქარი, მერე მარლიანი ოფლით ვაზინთულ ზურგჩანთის ღვედში ხელს ვაუყრიდი, ზურგზე მოიგდებდი, მერე ხელსაც ვაუყრიდი და ტბისკენ დაეშვებოდი, მოკასინების ლანჩქვეშ ფიჭვის წიწვების ქრატუნსა გრძნობდი, ზურგზე კი მძიმე ტვირთი ვეკიდა.

მაგრამ ამ დროს ვილაცის ხმა ვესმის.

— ეი, ჰემ, რას აკეთებ? კაფეში წერ?

ეს იმას ნიშნავს, რომ წარმატება ვაკვირინდა, უნდა დახურო ბლოკნოტი. ამაზე უარესი რა უნდა დაგემართოს! რა თქმა უნდა, თავი უნდა შემეკავებინა, მაგრამ იმ ხანად არ შემეძლო თავის შეკავება.

— აი, შე ძაღლის ვაგდებულო! რა ჯანდაბამ მოგათრია ახლა იმ შენი ოხერი ბუნაგიდან.

— ორიგინალობა რომ გინდა, ვიცი, მაგრამ ეგ როლი გაძღვევს გინების უფლებას.

— წადი, დაიკარგე, რას წაგიგრძელებია ეს ვასლეჭილი ენა!

— ეს კაფე ვახლავს. მეც ისეთივე უფლება მაქვს აქ ჯდომისა, როგორც შენ.

— გასწი გასწი, შენი ბუნაგისკენ მოუსვი. აქ არაფერი ვესაქმება.

— ო, ღმერთო ჩემო! აღარ მორჩები თავის აგდებას!

ახლა უკვე შეიძლებოდა ყველაფრის პირში თქმა, რაკი დარწმუნდი, შემთხვევით შემოეხეტა იგა აქა, ავი ზრახვები არა ჰქონია, და მასთან ერთად მთელი ნიაღვარი აღარ მოაწყდებოდა. სხვა კაფეებშიაც შეიძლებოდა მუშაობა, მაგრამ ეს კაფე ახლოს იყო და მშობლიურ სახლად მეტეა. არ მინდოდა, „კლოზერი“ დე ლილიდან“ ვინმეს გამოვედღე. ან წინააღმდეგობა უნდა

ვამეწია, ან უკან დამეხიზნებოდა. უნდა უფრო გონივრული ბუნებრივად რამ მე გული მომივიდა.

— მოიხედე, კაცო შენისთანა ნადირალისათვის სულერთი არ არის, სად იყილებს! რალა მაინცდამაინც აქ მოდიხარ და ბილწავ ამ მშვენიერ კაფეს?!

— დასალევად შემოვედი. რა მოხდა მერე!

— ერთი ჩვენთან მობრძანებულიყავი, დაგალევიანდნენ რამეს და მერე იმ ჰიქას ჰუჩაში მოისვრიდნენ.

— სად „თქვენთან“ მაინც? დიდებულნი ადგილი კი ყოფილა!

მეზობელ მაგიდასთან იჯდა — მალა-მალაღი, მსხვილი, სათვლიანი კაცი, უკვე მოესწრო ლუდის დაკვეთა. გადავწყვიტე, ყურიც არ მეთხოვებინა და წერა გამეგრძელებინა. აღარც მიმიქცევიდა ყურადღება, ორი ფრაზა დავწერე.

— მე ხომ ისე გამოგელაპარაკე! არაფერი მაპასუხნია, კიდევ დავწერე ერთი ფრაზა. როცა მოთხრობა ვამოგდის და შენც ვაგიტაცებს, ასე ადვილად ვეღარ ამოგავდებენ.

— ძალიან დიდი ვინმე ვამხდარხარ, გამოლაპარაკებაც რომ აღარ შეიძლება შენთან!

აბზაცი დავამთავრე და გადავიკითხე. ჯერჯერობით კარგად იყო საქმე, და შემდეგ აბზაცის პირველი წინადადება დავწერე.

— შენ მარტო საკუთარი თავი ვახსოვს, იქნებ სხვასაც ჰქონდეს რაიმე პრობლემა!

მთელი ჩემი ცხოვრება სულ წუწუნი მესმის. თურმე თავისუფლად შემიძლია ვიმუშაო — სხვა ხმაურზე უფრო მეტად აღარც ეს მიშლიდა ხელს, ყოველ შემთხვევაში, ეზრა უფრო აუტანელი იყო, როცა ფაგორტის დაკვრას ცოდვილობდა ხოლმე.

— გინდა, მაგალითად, მწერალი ვახდე, მთელი არსებით გრძნობ ამას, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის.

მე მაინც განვაგრძობდი წერას, და



წარმატება თითქოს უკანვე დამიბრუნდა.

— ერთხელ რომ მოვასკდებო, მაგალითად, ნიაღვარივით, და დავამუნჯებ და დავაყრუებ...

ასე ჯობს. დაყრუებას და ლაპარაკის საღერღლის აშლას, ისევე დამუნჯება და დაყრუება ჯობს, გვიფიქრე ჩემთვის და წერა განვავარძლე. სულ აიგდო თავი, მისი უაზრო ფრაზებით ისეთივე ყურისწამლები იყო, როგორც ხერხის კბილებში ჩაყარნილი ფიცრის ღრიალი.

— კინალამ საბერძნეთისკენ გავუტოეთ.

უცებ ისევ დავიწყე სიტყვების გარჩევა. დიდხანს უაზრო გუგუნად მესმოდა მისი ლაპარაკი. ახლა უკვე საზღვართან მივედი და შემქმლო სამუშაო ხვალისთვის გადამედო.

— ბოდიში, მაგრამ, მაგრად გაუტოეთ?

— ნუ ხარ ყია-ყურალი, — მითხრა მან, — ნუთუ არ გაინტერესებს, მერე რა მოხდა?

— არა, — ვუპასუხე მე. ბლოკოტი დავკეცე და ჯიბეში ჩაკვიდევი.

— მართლა არ გაინტერესებს?

— არა, — სხვების ცხოვრება და განცდები სულ არ გაინტერესებს?

— ყოველ შემთხვევაში, შენი — არა.

— ლორი ხარ.

— მართალია.

— შენი იმედი მჭონდა, ჰემ, დამეხმარება-მეთქი.

— სიამოვნებით მიგახვრტდი.

— მართლა?

— ნამდვილად.

— მაშ, ამ კაფეს ნულარ გავეკარები. ამით დაიწყე.

წამოვდექი, ოფიციალტი მოვიდა და ფული გადავიხადე.

— შეიძლება სახერხ ქარხნამდე მივაცილო, ჰემ?

— არა.

— რა ვაფეყობა, სხვა დროს შეგებდებოდა ერთმანეთს.

— ოღონდ ამ კაფეში არა.

— ეგ ხომ ვიცი, — მითხრა მან, — აკი შეგპირდი.

— რასა წერ? — ვკითხე მე, და დიდი შეცდომაც მომივიდა.

— ეცდილობ კარგი რამე დაწერო. შენი არ იყოს. მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია.

— თუ არ გამოგდის, ჯობს სულაც იი-ლო ხელი. რას წუწუნებ? წადი სახლში, რამე სამუშაო გამოძებნე. ოღონდ კი გაჩუმდი და გინდა ყულფში გაყავი თავი. რომელი მწერალი შენა მყავხარ.

— ასე რად მელაპარაკები?

— შენივე ლაპარაკისთვის თუ დავიგდია როდესმე ყური?

— ჩვენ ხომ იმაზე ვლაპარაკობთ ახლა, წერა როგორ უნდაო!

— მაშინ, ჯობს სულაც არ ვილაპარაკოთ.

— გულქვა კაცი ხარ, — მითხრა მან, — ყველა ამას გაიძახის — გულქვა კაცი არისო, სასტიკი და თავდაჯერებულიო. მე მუდამ გიცავ ხოლმე. მაგრამ შორჩა, ვისწავლე ჭკუა.

— მით უკეთესი.

— მაინც როგორა ხარ ხალხის მიმართ ასეთი გულქვა?!

— რა მოგახსენო, — ვუთხარი მე, — მოიხედე, თუკი მართლა არ გამოგდის, რა იქნება, რომ კრიტიკას მოჰვიდო ხელი!

— ღირს, ვითომ?

— დიდებული იქნება, — ვუთხარი მე, — როცა მოგეპრიანება, მაშინ დაწერ. აღარ იწვალე, აღარ დიიტანჯები — ნიაღვარი რად არ მომასკდომო, დაყრუვდი და დავმუნჯდიო... წაიკითხავენ იმ შენს სტატიებს და პატივსაცემენ.

— როგორა გგონია, კარგი კრიტიკოსი ვიქნები?

— მაგის რა მოგახსენო, რამდენად კარგი იქნები, ვერ გეტყვი, მაგრამ კრიტიკოსი კი ვახდები. გამოჩნდება შენი

...

...

...

...

...

...



შემწე ხალხი, შენ კიდევ შენიანებს და-  
ხმარები.

— ვინ ჩემიანებს?

— ვისთანაც დადიხარ ხოლმე.

— აჰ, ამით?! მაგათ ხომ თავიანთი  
კრიტიკოსები ჰყავთ.

— რა სავალდებულოა მარტო წიგნე-  
ბი აკრიტიკო, — ვუთხარი მე, — სუ-  
რათებიც ხომ არსებობს, პიესები, ბა-  
ლეტი, კინო...

— მაცდუნებელი წინადადებაა, ჰემ,  
დიდი მადლობელი ვარ. ძალიან მაცთუ-  
ნებელია. ბოლოს და ბოლოს, ეგეც  
ხომ შემოქმედებაა.

— შემოქმედებითი მხარე, ეტყობა.  
ცოტათი ვადაფასებელია. ღმერთმა,  
ბოლოს და ბოლოს, ექვს დღეში შექმ-  
ნა სამყარო, მეშვიდე დღეს კი დაის-  
ვენა.

— რამ უნდა შემიშალოს ხელი, რომ  
თან შემოქმედებით ვუშაობასაც მივპ-  
ყვე?

— არაფერმა. თუმცა შენს კრიტი-  
კულ სტატიებს ვააჩნია — ძალიან  
დიდი და მაღალი მოთხოვნილებები თუ  
წამოაყენე, იქნებ შეგბორკოს და შენი-  
ვე შემოქმედებაში ველარ მიწვდე.

— მაღალ მოთხოვნებს არ წამოვა-  
ყენებ, ფიქრი ნუ გაქვს.

— ეჭვიც არ მეპარება.

ჩემს წინ უკვე კრიტიკოსი იდგა, და  
მე შეეთავაზე, რამე დავლიოთ-მეთქი.  
დამეთანხმა.

— ჰემ! — დაიწყო მან, და მაშინ-  
ვე ვიგრძენი, რომ კრიტიკოსი მელა-  
პარაკებოდა, რადგან კრიტიკოსები თა-  
ნამოსაუბრის სახელს მუდამ თავში მო-  
აქცივენ ხოლმე, ბოლოში — არა, —  
უნდა გამოგიტყდე, რომ შენს მოთხო-  
ვებს ცოტა სიმშრალე დაჰკრავთ.

— ძალიან სამწუხაროა.

— ჰემ, მეტად გამოფიტული, მე-  
ტად გამოშიგნულია.

— ვერ არის კარგი საქმე.

— ჰემ, მეტად მშრალი, მეტად გა-  
მოფიტული, მეტად გამოშიგნული და  
უსისხლბორცოა.

ჭიბეში ბაჭის თათი მოვებუნე.

— ვეცდები, ცოტა გამოვკვებო.

— ოღონდ, ძალიანაც არ მოივლოს  
ქონი.

— ჰელ, — ვცადე მეც კრიტიკოსი-  
ვით მელაპარაკე, — ვეცდები, რომ  
ეგ არ მოხდეს.

— მიხარია, რომ ჩვენი აზრები  
დაემთხვა, — მოწყალება მოილო მან.

— ოღონდ ნუ დაივიწყებ, რომ რო-  
ცა ვმუშაობ, აქ არ უნდა მოხვიდე.

— რალა თქმა უნდა, ჰემ. ახლა მეც  
გავიჩენ ჩემს კაფეს.

— ძალიან თავზიანი ბრძანდები.

— ეცდილობ, — მითხრა მან.

საინტერესო და საგულისხმო კი იქ-  
ნებოდა, ეს ახალგაზრდა კაცი ცნობი-  
ლი კრიტიკოსი გამხდარიყო, მაგრამ  
არ გახდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ  
ხანს მქონდა ამის იმედი.

არა მგონია, მეორე დღესაც მოსუ-  
ლიყოს იქ, მაგრამ რისკს მაინც მოვე-  
რიდე და იმ ერთ დღეს „კლოზურში“  
აღარ წაესულვარ. მეორე დილას ცოტა  
უფრო ადრე ავდექი, მაწოვარები და  
ბოთლები გამოვხარშე, ფაფა მოვამზა-  
დე, ბოთლებში ჩავასხი, ერთი მისტერ  
ბამბის მივართვი, და სასადილო მაგი-  
დას მიეუწყეჩი სამუშაოდ. ფ. პუსსა (ჩე-  
მი კატა გახლდათ) და მის გარდა, ჯერ  
ყველას ეძინა. ორივეს ძალიან კარგად  
ეჭირა თავი, არ ხმაურობდნენ, და მა-  
თი სიახლოვე სასიამოვნო გამოდგა, ისე  
ვიმუშავე, როგორც არასდროს. იმ  
დღეებში შემეძლო ყველაფერი და-  
მეთმო — ბაჭის თათიც კი, თუმცა სა-  
სიამოვნო იყო, როცა ჭიბეში ვვრძობო-  
დი მას.

თარგმანი ვახტანგ ზალიძისა



მაცნე კუხიძე

პოეტის აღსარება

გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის „რჩეულმა წერილებმა“ მკითხველთა ფართო ყურადღება მიიპყრო. წიგნს წამძღვარებელი აქვს წინათქმა, რომელშიც ავტორი ამბობს: „წიგნი „რჩეული წერილები“ კრიტიკული შრომების კრებულად არ ჩაითვლება, იგი უფრო პოეტის აღსარებაა, მას შთაბეჭდილებათა, დაკვირვებათა და განსჯათა თავისებური ცნობარია“.

წიგნში მოთავსებული წერილები, მართლაც, პოეტის აღსარების შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს წერილები ამასთანავე ნათელპყობენ, თუ რა ღრვა ერუდიციით, ანალიტიკური აზროვნების და საკითხთა ახლებური, თავისებური გაშუქების უნარით არის დაჯილდოებული მათი ავტორი.

სიმონ ჩიქოვანი ცნობილია არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი პოეტი, არამედ როგორც მიუღვამელი შემფასებელი ლიტერატურულ მოვლენებისა. ჩვენ ყოველთვის ინტერესით მოველით მის წერილებს თუ ზეპირ გამოსვლებს ამა თუ იმ მტკივნეულ ლიტერატურულ საკითხზე. ინტერესს ზრდის ის გარემოება, რომ ამ წერილებსა თუ გამოსვლებში სიმონ ჩიქოვანს ყოველთვის თავისი საკუთარი პოზიცია აქვს, საკითხს ყოველთვის ახლებურად აშუქებს

ამა თუ იმ ნაწარმოების არსს წვდება და მის ფართო მხატვრულ ანალიზს აკეთებს. შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვა კლასიკოსთა შემოქმედების შესახებ ჩვენ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა მოგვეპოვება. მათი მხატვრული შემკვიდრება ფართოდ არის შესწავლილი. თითქოს რა უნდა თქმულიყო ახალი მათი შემოქმედების ანალიზის დროს. მაგრამ წიგნის დიდი ღირსება ის არის სწორედ, რომ მისი ავტორი სიმონ ჩიქოვანი სრულიად ახალი კუთხით უდგება ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებას და მრავალ საკითხს სრულიად ახლებურად აშუქებს.

ყოველ წერილს, რომელიც წიგნშია შეტანილი, ეტყობა, რომ ის დაწერილია სწორედ მოაზროვნე პოეტის მიერ, რომლისთვისაც ცნობილია პოეტის შემოქმედებითი პროცესი, მისი იღუმალი პოეტური ზრახვები. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წერილების მიხედვით სიმონ ჩიქოვანი ჩვენ გვევლინება როგორც ქართული კრიტიკული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნაწარმოების მხატვრული ანალიზის ნამდვილი ოსტატი და ახალ ფასეულობათა აღმოჩენი ჩვენი მხატვრული შემკვიდრების საგანძურში, რომ მისი „დაკ-

ვირეებანი და განსჯანი“ მეტად ორიგინალური და შინაარსიანია. წიგნის წაკითხვისას გარკვეული შთაბეჭდილება შემქნა: ავტორი შორს დგას იმპრესიონისტული თუ ემპირული ხასიათის შთაბეჭდილებათა გადმოცემისაგან. ჩვენი ხალხის სახელოვან კლასიკოსთა მხატვრული მემკვიდრეობის ანალიზის დროს ავტორი გარკვეული მეთოდით სარგებლობს; მის განკარგულებაშია გარკვეული თვალსაზრისი: იგი ქართული მხატვრული კლასიკური ლიტერატურის განვითარებას განიხილავს, როგორც ერთ მთლიან თანმიმდევრულ პროცესს; ყოველ დიდ შემოქმედში იგი ხედავს და გამოყოფს მხატვრულ თვისებებს, რომელთა ფესვები წინამორბედთა შემოქმედებაში შეინიშნება. სიმონ ჩიქოვანს ეს წერილები მით არის ღირსშესანიშნავი, რომ მათში გატარებულია ერთი მთავარი აზრი: ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები ერთმანეთს მოწყვეტილი როდი არიან, ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთ მთავარ მაგისტრალურ მხატვრულ ხაზს ატარებენ და ამავე დროს ყოველ მთავანს თავისი საყოფიერი მხატვრული ცხოვრება აქვს.

სიმონ ჩიქოვანი თავის წერილებში ყურადღების ცენტრში აყენებს და განიხილავს ჩვენი პოეზიის მწვერვალების შემოქმედებას. შოთა რუსთაველის შემოქმედება საკმაოდ ვრცლად არის შესწავლილი. რუსთაველოლოგთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა. მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს ს. ჩიქოვანის წერილი „სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა“, რომელშიც გამოთქმულია აზრები და მიხედვრები მკითხველმა შეიძლება ნებისმიერად გაიზიაროს ამ არ მიიღოს, მაგრამ არ შეიძლება ამ მიხედვრებმა მასში ახალი ფიქრები არ აღძრას, არ დააფიქროს. „ვეფხისტყაოსანში“ ავტორი გამოყოფს სამ საყოველთაოდ აღიარებულ პოეტურ შთანაფიქრს; — პირველია სიყვარულის ზნეობრივი ძალა, რომელიც აღამიანს ამაღლებს და სულიერ სისპეტაკეს ანიჭებს.

მეორე — მოყვასის ძიება და შექმნილ აგრეთვე აღამიანის ზნეობრივი და შექმნილება ითქვას, ეთიკურ-ფილოსოფიური დანიშნულება: უშინაარსო, ნაძრახ სიციოცხლესთან სახელოვანი, შინაარსიანი, საზოგადოებრივი პათოსით გამოთბარი სიციოცხლის დაბირისპირება და უკანასკნელის ერთადერთ ფასეულად მიჩნევა. რაც პოეტური აზრის გოლიათის მიერ ასეთი გენიალური აფორისტული თქმით არის გამოხატული: „სჯობს სიციოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ს. ჩიქოვანი ვრცლად მხატვრული ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ მთელი ეს ქართული ეროვნული სულის გამოხატველი პოემა, რომელიც ზოგადკაცობრიული და უნივერსალური სამოსელითაა შემკული, სწორედ ამ სამი საყრდენი მაღალი მორალური კატეგორიით არის შეკრული და შედღუღებული. წერილის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს აგრეთვე მეორე მოსაზრება. რომელიც ასევე მიღებულია ჩვენს რუსთაველოლოგიაში. პეტროვის აზრით, რუსთაველის პოეტიკა და მხატვრული აზროვნება საფუძვლით ეროვნულ, ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. ცხადია, არც ამ მოსაზრებაშია სიბალღე, ქართული რუსთაველოლოგიის მიერ საერთოდ დამტკიცებული და აღიარებულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მისი გმირების ხასიათებით, სულიერი წყობით, გარემოთი, რომელშიც ისინი მოქმედებენ, კოლორიტით და საერთოდ მთელი არსებით, წარმოადგენს ქართული ეროვნული სულის გამოვლინებას. ს. ჩიქოვანი თავის პოეტურ წერილში ვრცლად ჩერდება და აშუქებს აგრეთვე პოემის ხალხურ ფესვებს, ამ ორგანულ, განუწყვეტელ კავშირს, რომელიც პოეტისა და ხალხის სულიერ ცხოვრებას შორის არის დამყარებული. არც ეს მოსაზრება ახალი, ახალი და ყურადღებას იმსახურებანი თუ ზრახვები, რომელთა შემწეობითაც სიმონ ჩიქოვანი გარკვეულ ზემოთ მოხსენებულ დასკვნებამდე მიდის და საკუთარ დებულებებს გონებამახვილი დაეკორეგებებით ასაბუთებს. ავტორის



მეთოდოლოგიური გზა გარკვეულია: კერძო მოვლენების ანალიზის შედეგად ზოგად დასკვნებამდე მივდის, რაც ამ დასკვნებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს. ავტორის ღრმა ერუდიცია და პოეტურად გამოვლენა ამ წერილშიც იჩენს თავს. პოემის სიუჟეტის თუ გმირთა ხასიათის გაანალიზებისას ავტორი საკმაოდ ფართოდ იყენებს ანტიკურ კლასიკურ ლიტერატურულ ძეგლებს, და ამა თუ იმ დებულების გასამაჯრებლად მათ შორის პარალელები გაჰყავს. ასე, მაგალითად, ავტორის მოსაზრებით „თუ აქილევსის ფარი სიმბოლოა მაშინდელ ადამიანთა წარმოდგენაში არსებული ქვეყნის შემადგენელი ნაწილებისა, ვეფხის ტყავი რუსთაველის შემოქმედებაში ცხოველყოფელი ფერებით სავსე სამყაროს მეტაფორული გამოხატულებაა. ტარიელის კაბის ასეთ მეტაფორულ აღქმას ანტიკურობის სულიერი მემკვიდრეობა მკლავდება და შოთა რუსთაველიც ელინისტურ მხატვრულ აზროვნებას ებმინება“.

ეს მოსაზრება ტარიელის სამოსელის მეტაფორულ მნიშვნელობაზე, როგორც თვით ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, პირველად მან წამოაყენა. სავსებით თავისებურია ის გაშუქება, რომელსაც ს. ჩიქოვანი ვეფხის ტყავსა და მის მნიშვნელობას ანიჭებს. მიფიქრია ხოლმე ჩემთვის, რომ პოემის მრავალი საიდუმლო თუ ფარული და შენიღბული მეტაფორის გახსნას პოეტის შემოქმედებითი ფანტაზია დასჭირდება-მეთქი. ამ ფიქრის სისწორეს მიდასტურებს ს. ჩიქოვანის მოცემული წერილიც. სწორედ დაძაბულმა ფიქრმა, შეუნულებელმა შემოქმედებობმა ფანტაზიამ მიიყვანა იგი უმეკვლად ვეფხის ტყავის მეტაფორის გახსნამდე. ავტორის აზრით, ვეფხის ტყავი არა მარტო „სატრფოს სილამაზის გამოსატულებაა“, არამედ მას უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს: იგი „მთელი ბუნების ფერადობისა და ელვარების მანიშნებელია“. კიდევ მეტი: ვეფხის ტყავი კონკრეტული შინაარსის მატარებელია, ტარიელის ფიქრით, იგი „საკუთარი

სხეულით ეხება სატრფოს მშვენიერებას შემდეგ ავტორი უფრო ვრცლად ჩერდება ვეფხის ტყავის სახის თანდათანობით განვითარების საკითხზე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სწორედ ეს სახე ხდება პოემის დრამატული განვითარების კვანძად.

წერილის ავტორის აზრით, შოთა რუსთაველი წარმოდგენილია. როგორც ბრძენი პოეტი, რომელიც ბუნებაში სრულ პარმონიას ხედავს; ამიტომაც მოსი პოემა მზიურია, პარმონიულია; გარებუნება და ადამიანი ერთ მთლიანობაშია მოცემული. ს. ჩიქოვანი პოემაზე დაფიქრებას, მის მხატვრულ არსზე დაკვირვებას სავსებით მართებულ დასკვნამდე მიყავს. მისი აზრით: „ბუნების სილამაზე და ნესტანის მშვენიერება ერთმანეთის გამოძახილია“, ერთმანეთს ავსებენ და არა სთიშავენ. ასეთივეა, ავტორის აზრით, ტარიელი, იგიც „აქტიური პიროვნებაა და ბუნების შინაგანი დინამიკის მატარებელი“. გამოთქმული იყო აზრი, რომ ვეფხის ტყავში ტარიელს წარმოდგენილი ჰყავდა თავისი სატრფო, მისი მშვენიერება, მისი სიფიცხე და სხეულის ელასტიურობაც. ს. ჩიქოვანი აფართოებს ამ დებულებას და აფგენს, რომ ვეფხის ტყავი პოემაში ნესტანის ორეულიც არის და „მთელი ბუნების სიმბოლოც“. პოემა აგებულია ფერებისა და ბგერების სრულ პარმონიაზე. სხვა ახსნას აძლევს ს. ჩიქოვანი იმ გარემოებასაც, თუ როგორ ვითარდება დრამატიზმით სავსე მოვლენები არა მშობლიურ ქვეყნებში, არამედ სულ სხვა გეოგრაფიულ არეში, ინდოეთსა და არაბეთში (უმთავრესად). პოემა მეგობრობისა და სიყვარულის სავალალოდღი, ქებათა-ქებაა, ხოლო სიყვარულის გზების გამოსახატავად, ადამიანის ზრახვათა და გრძნობათა მესაიდუმლეს, შოთას, ს. ჩიქოვანის აზრით, სჭირდება „უცხო, მცხუნვარე ფერებით გაცოცხლებული საწყურთო“. ინდოეთი და არაბეთი მეტაფორული ადგილებია. ემიგრაცია, შეიძლება მკითხველმა არ გაიზიაროს ეს დებულება, მაგრამ უკანასკნელის გონჯ

ბამახვილობა, მიგნება და სიახლე უეპველია. მთელი რიგი ამოუხსნელი საკითხების სწორედ ამ ახლებურ გაშუქებაში უნდა ვეძიოთ ს. ჩიქოვანის დავირებებათა უეპველი ღირსება.

საინტერესოა ს. ჩიქოვანის განმარტება, თუ რა მნიშვნელობით იმარება ცნება „ფერი“ პოემაში. ეს სიტყვა დამისი ვარიაციები 50-ჯერ გვხვდება პოემაში. ს. ჩიქოვანი, ვფიქრობთ, სამართლიანად, ყოველთვის არ იზიარებს მკვლევართა აზრს ამ სიტყვის შინაარსზე. ავტორის ფიქრით, ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა საუკუნეთა მანძილზე არ შეცვლილა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად ავტორს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს პოემიდან. ავტორის შენიშვნით, ვეფხის ტყავის მნიშვნელობისაა პოემაში რიდე, რომელიც ტარიელმა ნესტანს აჩუქა. ნესტანისათვის ეს რიდე იმავე როლს ასრულებს, რასაც ვეფხის ტყავი ტარიელისათვის. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „რუსთაველი არის სწორედ უპოვარი მომდრალი მაღალი ზნეობრივი იდეალით დაჯილდოებული ადამიანისა, რომლის სულიერი ცხოვრება პარმონოლ საწყისებზეა აგებული და რომლის ხასიათის სილამაზეს უნდა ამოვადეს აუცილებლად გარეგნული სილამაზეც“. თუ მესხიერება არ მღალატობს, ჭაჭეთის ციხიდან გამოგზავნილ ნესტანის წერილის მაღალ შინაარსობრივ დონესა და პოეტურ მღელვარებას პირველად სიმონ ჩიქოვანმა გუესვა ხაზი. ავტორი თვლის, რომ ეს ბარათი ანტიკური ტრაგედიის მონოლოგივითაა დაწერილი. ავტორს აქვს პარალელი გაჰყავს ტრუბადურთა პოეზიასთან და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ასეთი სიძლიერის მონოლოგი სიყვარულისა აღრე და გვიან საშუალო საუკუნეებში და აღრინდელ აღორძინების ხანაში არ თქმულა არც აღმოსავლეთსა და არც დასავლეთის პოეზიაში“. ავტორის ამ თქმას არა აქვს დეკლარაციული ხასიათი: იგი ამ დასკვნამდე მიდის პოემის პოეტური

სახეების და საკმაოდ დეტალურდ მხატვრული ანალიზით, დაესაჩივრებოვრესად დამაფასებელი ამ წიგნში იმ მრავალი საკითხის ახლებურად გაშუქებასთან ერთად, რაც მასში შეტანილ წერილების მთავარ ღირსებას შეადგენს.

სიმონ ჩიქოვანი, სავესებით მართებულად, განსაკუთრებული პოეტური მღელვარებით აშუქებს ავთანდილის სახის ადგილს პოემაში, მის იდეურ დატირთვას, იმ ეთიკურ-ფილოსოფიურ შინაარსს, რომელსაც ეს გმირი ატარებს. ავტორის დაკვირვებით, რუსთაველის შეხედულება საწუთროზე, სიცოცხლეზე, ზნეობრივ კატეგორიებზე, კონცენტრირებულია ავთანდილის სახეში. პოემის მთელ სულისკვეთებას, რომელიც სოფლის დაუთმობლობისკენაა მიმართული, ავთანდილი გამოხატავს. შოთას სიცოცხლის ფილოსოფიის მატარებელი ავთანდილია. ს. ჩიქოვანი თავის მოსაზრებათა ნათელსაყოფად ისევ შედარების მეთოდს მიმართავს. მისი აზრით, შოთას „სიყვარულის ფილოსოფია უპარისპირდება ნიზამი განჯელის „ლეილ და მეჯნუნში“ გამოვლენილ დაცემულობის მაჩვენებელ და სულიერად განიარაღებული ყანის ხასიათს“.

განსაკუთრებით საინტერესოდ და ახალი ფიქრების აღმძვრელად მეჩვენება ის დასკვნები, რომლებიც გამოაქვს ს. ჩიქოვანს დიდი პოეტების შედევრებთან ვეფხისტყაოსნის შედარებისას. მართებულია, როცა პოემის ჩვენი გამოჩენილი მკვლევარები, ჭართულ და აღმოსავლეთის კლასიკურ ლიტერატურულ ძეგლებს ემყარებიან. მაგრამ ასევე გამართლებულია სიმონ ჩიქოვანის ამოცანა — ამა თუ იმ დებულების დასამტიკებლად მიმართოს მხატვრული აზროვნების ტიტანებს. ეს ს. ჩიქოვანის დამსახურებაა, რადგანაც ასეთს მეთოდს საკითხის გარკვევაში მეტი სინათლე შეაქვს. მხედველობაში მაქვს დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ს. ჩიქოვანი ჩერდება დანტეს მოგზაურობაზე სამოთხეში. როგორც ცნობილია, დანტე იმავე მნათობთა სფეროში იკვლევს

გზას, რომლებსაც ავთანდილი მიმართავს. ცალკეული მნათობის გავლისას ბეატრიჩეს სახე თანდათან ცისკროვნდება. „იწყება მისი ღვთაებრივი გამოსხივება“. ავთანდილის გასაუბრება მნათობებთან ამავე მიზანს აღწევს. „იგი თანდათან უახლოვდება თინათინას მშვევნებას; მისთვის სატრფოს სილამაზე თანდათან ნათელი ხდება, და იგი მნათობთა გამოსხივებას ემსგავსება. ისე როგორც დანტე, სიყვარულს ავთანდილი შეჰყავს საწუთროს უმაღლეს წყობაში“. ამ შემთხვევაში პოემის ავტორი მტკიცედ დგას სიყვარულის თუ სიცოცხლის ფილოსოფიის საფუძვლებზე; ავთანდილის გრძნობას უერთებს ბუნების პარმონიულ განვითარებას. ამგვარად, ს. ჩიქოვანის დასკვნით, სიყვარული „ამაღლებს და ამდიდრებს გმირია სულიერ ცხოვრებასა და მას სამყაროს უმაღლეს წყობასთან აერთებს“. სიყვარული პოემაში იქცევა იმ დიდ შთაშავონებელ ძალად, რომელიც ადამიანსა და ბუნებას აახლოვებს, აკავშირებს.

ს. ჩიქოვანის დაკვირვებით, პოემაში მოყმის ფიზიკური აღზრდის საკითხსაც ელინური იერი დაჰკრავს. ავტორის შთანაფიქრით, მოყმის ფიზიკურ და სულიერ აღზრდაზე არის დამოკიდებული მისი ზნეობრივი სიმაღლე და ხასიათის სიმტკიცე. ზნეობრივი მოვალეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეგობრობის გრძნობასთან, მეგობრობა კი საზოგადოებაში წესრიგის არსებობის მაჩვენებელია. ასე აფართოებს წერილის ავტორი მეგობრობის ცნებას და მას ცხოვრების ფილოსოფიურ საფუძვლად აქცევს. მეგობრობას ხალხურ გრძნობად სთვლის. არა მარტო მეგობრობას, მოყვასის ძიებასაც და სიყვარულის გრძნობასაც ს. ჩიქოვანი თვლის ხალხურობის გამოვლინებად პოემაში. საინტერესოა შეტყობ ის გარემოება, რომ ს. ჩიქოვანი მეგობრობის გრძნობას თვლის ძალად, რომელიც კიდევ უფრო ამდიდრებს გმირების პატრიოტულ გრძნობას. ასეთი დასკვნის გამოტანაც პოემაზე ს. ჩიქოვანის ნაყოფიერი დაკვირვების

შედეგია. ამ შემთხვევაში ავტორი თანო ერუდიციას ამკლავნებს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის პარალელი არც დასავლეთისა და არც აღმოსავლეთის პოეზიაში არ უნდა მოიძებნებოდეს“. ამ ფრთხილ განცხადების შემდეგ, ავტორი იხსენებს „ტრისტან და იზოლდას“ და დაასკვნის, რომ, მართალია, ტრისტანმა უცხო ქვეყანაში იზოგვა მეგობარი კომერდინის სახით, მაგრამ „ეს მეგობრობა ქართულ პოემაში გამოხატულ მეგობრობასთან შედარებით მკრთალი და უფერულია“. წერილში მრავალი სხვა საკითხიც თავისებურად და დამაჯერებლად არის გაშლქებული. საინტერესოა შეტყობ ავტორის აზრი რუსთაველის პოემის აღნაგობაზე, მის პოეტიკაზე. ამ საკითხებზე გამოთქმული აზრები ორიგინალური და ღრმაშინაარსიანია. შინაარსიანობას ამლიერებს ღრმა მხატვრული ანალიზი. ავტორის მიქნებად მეჩვენება, როცა ის „ვეფხისტყაოსნის“ აღნაგობაზე მსჯელობს და ამბობს: „შოთა რუსთაველის სიმღერასთან შედარებით, „ღვთაებრივი კომედიის“ სიუჟეტური ნაგებობა გოტიკურია, ავტორის მიერ წინასწარ შქმნილი სქემით ნაკარნახევია და საშუალო სატყუნეობრივი ტენდენციურობისაგან არ არის თავისუფალი. „ღვთაებრივი კომედიის“ გმირები ირეალურ სამყაროში მოქმედებენ. მეთი ნაწარმოები ცისკენ ლტოლვის იერიითა აღბეჭდილი. ვეფხისტყაოსანი სიცოცხლის საგალობელია“. იგი მიწიერებით არის აღბეჭდილი, მზითაა გაელენთილი და თავისუფალია რელიგიის მარწუხებიდან. წერილში მრავალი სხვა საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ასეთია თუნდაც იმ საკითხის გაშუქება, თუ რატოს დაიმკვიდრა მტკიცე ადგილი სონეტმა არა მხოლოდ რენესანსის პოეტებს, არამედ მხატვრებს შორისაც.

განგებ შევჩერდი ამ წერილზე ცოტა უფრო ვრცლად. მინდოდა აღმენიშნა, რომ ს. ჩიქოვანისათვის საესებით მიუღებელი და უცხოა ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტების განმეორება, გაზე-

პირებული ფრაზეოლოგიით სარგებლობა, გატყეპნილი გზით სიარული. როგორც პოეტურ შემოქმედებაში, ისე კრიტიკულ აზროვნებაშიც იგი გვევლინება როგორც ახალი გზების, ახალი ფიქრების მაძიებელი. ჩანს, რომ ს. ჩიქოვანი ღრმა დაკვირვებებს ახდენა ლიტერატურულ მოვლენებზე, თავისებურად აშუქებს მათ და ახალ ღირებულებებს ქმნის ამა თუ იმ ნაწარმოებზე მის კრიტიკულ შეფასებისას. კითხულობთ წიგნს და გრძობთ, რომ ის დაწერილია მღელვარე პოეტის მიერ. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ, საერთოდ, პოეტურ ქმნილებათა საუკეთესო შემფასებლები ისევე განათლებული, გამოყვანებადგენილი პოეტები უნდა იყვნენ.

რამდენი რამ დაწერია ქართული პოეზიის ფენომენის — ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე. ამ მხრივ ჩვენს განკარგულებაში მდიდარი ლიტერატურა არსებობს. მაგრამ მაინც ახლისთ იკითხება წიგნში შეტანილი წერილი „ნ. ბარათაშვილის პოეზია“. იგი ინტელექტუალურ სიამოვნებას გვანიჭებს იმიტომ, რომ მასში ზოგიერთი საკითხი ახლებურადაა გადაჭრილი. მთავარია ის სულიერი კავშირი, რომელსაც ს. ჩიქოვანი ნ. ბარათაშვილის ლირიკულ ფილოსოფიურ ლექსებსა და ვეფხისტყაოსანს შორის ამყარებს. კერძოდ, მხედველობაში მაქვს „მერანის“ ლირიკული გმირის სულიერი ნათესაობა ავთანდილთან. თავშიაც აღვნიშნე, რომ ს. ჩიქოვანის წიგნის მთავარ ღირსებად მე მიმაჩნია ის გარემოება, რომ მშობლიურ ლიტერატურის განვითარება იგი განიხილავს როგორც ერთ მთლიან ორგანულ პროცესს. ამ შემთხვევაში ნ. ბარათაშვილის შედეგებში ის გრძობს ავთანდილის სიკაცობის ფილოსოფიას. მას ესმის შოთა რუსთაველის სიბრძნის გამოძახილი ბარათაშვილის თქმაში „მოყვება თვისსა სიძნელე გზისა გაუადვილოს“ — სულ სხვა საზოგადოებრივ ვითარებასა და პირობებში თქმულ ამ სიტყვებში. ს. ჩიქო-

ვანი ამ წერილშიც მისთვის ჩვეულ ხერხს მიმართავს: ვაძვეს „პარალელი ვეფხისტყაოსანსა“ და „მერანს“ შორის და ასეთ საინტერესო დასკვნამდე მიდის: როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე „მერანი“ „ქართული სულის უნივერსალური ბუნების გამოხატველია“ „ვეფხისტყაოსანი“ მოძმისადმი ერთგულებისა და მეგობრობის გრძობით არის გამსჭვალული, ასეთივე სულიკეთების მატარებელია „მერანი“. „მერანის“ ლირიკულ გმირსა და ავთანდილს შორის არა მარტო გარეგნულ მხატვრული ნათესაობა შეინიშნება, არამედ ამ ორ ნაწარმოებში იდენტური კავშირია დამყარებული. და ერთგვარი ზნეობრივი თვალღების ქადაგებაა შენიშნული“. თვითონ სიტყვა მერანი პირველად „ვეფხისტყაოსანშია“ გველვებულო. მერანის ლექსიკური მასალა და ახლებულია ვეფხისტყაოსანის ლექსიკასთან“. ამგვარად, ს. ჩიქოვანის სამართლიანი შენიშვნით, „მერანის“ შორიერი სათავე რუსთაველის მთავონებაში უნდა ვეძიოთ“. ვფიქრობ, რომ რუსთაველისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევარები მომავალში გვერდს ვერ აუხვევენ ს. ჩიქოვანის მიერ პირველად გამოთქმულ ამ მოსაზრებას.

მრავალი საყურადღებო აზრია გამოტანილი ნ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსების გარჩევისას. სამავალითაა თვითონ ამ ლექსების მხატვრული ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს მათ ინტონაციურ ელერადობას, რიტმს, მეტაფორულ თქმებს და ყველა ელემენტს, რაც პოეტიკის სფეროში შედის. ს. ჩიქოვანი ნ. ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას ორ რკალში აქცევს. პირველში შედიან უშუალო შთაბეჭდილებით შექმნილი ლექსები, ხოლო მეორეში შემავალი ლექსები გამოხატავს შთაბეჭდილებებს, რომლებიც მოგონებით სფეროშია გადატანილი. ეს კლასიფიკაცია ს. ჩიქოვანის საკუთრებას უნდა შეადგენდეს. ს. ჩიქოვანი ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლექსებშიც რუსთაველისებურ მაღალ ზნეობრივ იდე-

ლებს ამჩნევს და დაასკვნის, რომ ნ. ბარათაშვილს ისე, როგორც რუსთაველს „სიყვარული სულთა ნათესაობის გამოვლინებად ჩაუთვლია და რომ „ნამდვილი სიყვარული ღვთაების გამოსახივებაა“. ამ საინტერესო დებულების დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს ლექსი „აღმოსხდა მნათი“, რომელშიც, მისი აზრით, სატრფოს ღვთაებრივობის იდეა ვითარდება. სატრფო აქაც მიჩნეულია ცის არსებად. ავტორი ვრცლად ჩერდება ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსების კომპოზიციანზე, ხატოვანობაზე, მუსიკალობაზე, რომლებიც მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ს. ჩიქოვანი არ იზიარებს აზრს, თითქოს ნ. ბარათაშვილი სასოწარკვეთილების პოეტი იყოს. პირიქით, მას ცხოვრებაში აქტიურად ჩარევის, მებრძოლი სულისკვეთების პოეტად აღიარებს, რომელმაც ქართული პოეზია გაანთავისუფლა აღმოსავლური პოეზიის არტანუბისაგან და სათავე დაუდგა XIX საუკუნის მაღალ პატრიოტულ ლირიკას. ამგვარად, დასახელებული წერილიც საკმაოდ მდიდარია ორიგინალური აზრებით, რომლებიც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობის საგანძურში შევლენ.

მნიშვნელოვანი და ფართო შეშეცნებითი ხასიათისაა წერილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით შემყვადრეობაზე. ს. ჩიქოვანი საკითხს სხვადასხვა ასპექტში განიხილავს. იგი ვრცლად ჩერდება რამდენიმე ნაწარმოებზე. ესენია: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი“, „განდევილი“. შემდეგ ავტორი განიხილავს ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ ურთიერთობას და ბოლოს ჩერდება საკითხზე თუ რა რეფორმატორული როლი ითამაშა დიდმა ილიამ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. ყველა ეს საკითხი ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ვრცლად არის გაშუქებული. მინდა შევჩერდე მხოლოდ იმ რამდენიმე საკითხზე, რომლებსაც ს. ჩიქოვანი სხვა კუთხით, თავისი ესთეტიკური პოზიციებიდან ამუქებს. დასახელებულ წერილ-

შიც მკითხველის ყურადღება უნდა მიექციოს იმ ადგილებმა, რომლებშიც ავტორი არკვევს ილიას ნაწარმოებთა საერთოდ შემოქმედების ურთიერთობას წინამორბედ პოეტების პოეტურ მემკვიდრეობასთან. პირველ რიგში ეს შეეხება ნ. ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოეტურ ურთიერთობას. ავტორი მთელ რიგ ნაწარმოებთა შეფერებით ადგენს მათ სულიერ ნათესაობას. ჩვენ არაფერს ვამბობთ ავტორის მტკიცებაზე, რომ ილიას შემოქმედებაში „ზედმეტი მგრძობილობა უკუგდებულია“ და რომ მის შემოქმედებაში „ფორმის მონუმენტურობა იგრძნობა“, რომ ილია „ბუნების სურათებს აძლევს სოციალურ შინაარსს და მათში (სურათებში) ახალი ხალხური სიცოცხლე შეაქვს“. ეს საკითხები ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ფართოდ არის დამუშავებული. მთავარა და ახალი უნდა იყოს ს. ჩიქოვანის მიერ ორი ბუმბერაზის შედარება ბუნების აღქმაში. ილიაც ისე, როგორც ბარათაშვილი, ბუნებას ფილოსოფიურად აღქვამს და ილიას ბუნებას საზოგადოებრივი შინაარსი უდევს საფუძვლად. დასახელებულ წერილში ჩვენ მეტად საყურადღებო დაკვირვებებთან გვაქვს საქმე. ავტორის აზრით, „გუთნის-დედის“ პირველი ვარიანტი წარმოდგენილია „აჩრდილში“. ეს საკითხი მეტად საინტერესოა იმის გასათვალისწინებლად თუ რა სახეცვლილებას განიცდიდა ილიას შემოქმედებაში ესა თუ ის პოეტური კონცეფცია. ავტორის მოსწრებული თქმით, „გუთნის-დედა მომავლისათვის მებრძოლი ხალხური სახეა“, ხოლო „ქართლის დედას“ ავტორი თვლის „გუთნის-დედის“ გაგრძელებად, თავისი მიზანდასახულობით ტექსტების ვრცელი შეპირისპირებით ს. ჩიქოვანი უშეველს ხდის, რომ ეს ლექსი გამოდის „აჩრდილიდან“. ს. ჩიქოვანი იდეურ-მხატვრული ანალიზის საშუალებით ნათელს ხდის, თუ როგორ არის განვითარებული ილიას შემოქმედებაში ერთი სოციალური თეეროვნული საკითხი, როგორ არიან მი-



სი პოემები დაკავშირებულნი ერთმანეთთან, როგორც ეხმარებიან ისინი ერთმანეთს. სხვა პოემების გასაღებად და საერთოდ ილიას შემოქმედების ქვაკუთხედად ს. ჩიქოვანი მართებულად „აჩრდილს“ თვლის და სწორედ ამ პოემაზე ჩერდება იგი უფრო ვრცლად. საინტერესოა წერილის ადგილი, სადაც განხილულია „აჩრდილისა“ და „ბედი ქართლისას“ იდეური საწყისები, „აჩრდილი“, ავტორის აზრით, „ბედი ქართლისას“ გაგრძელებას წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ „აჩრდილში“ სოციალური საკითხი უფრო გამაფრებელია. ორივე პოემაში დასმულია ქართლის ბედის საკითხი. ავტორის მტკიცებით ორივე პოემაში „ერთგულნი პრობლემა დაყენებული და განხილული ისტორიის დინამიკური განვითარების ფონზე“. კიდევ მეტი: ავტორი „ბედი ქართლისა“ და „აჩრდილსაც“ დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ გაგრძელებად თვლის. სიმონ ლ. ქოვანი აყენებს საკითხს თუ რატომ დააყენა ილიამ „აჩრდილში“ მოხუცი მყინვარის მწვერვალზე. მისი აზრით, მოხუცი ეს ქართველი ხალხის მარადიული სულია, რომელიც ჭერებს მყინვარისა და თერგსაც. ბობოქარი თერგი მოძრაობაში მოსული ქართველი ხალხის სიმბოლოა. თერგი და მყინვარი ამ შემთხვევაში კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერთმანეთს აფხებენ. ს. ჩიქოვანის კრიტიკულ განსჯაში სრულიად ახალი და ცხოველი ასოციაციები იღვიძებენ. მისი დაკვირვებით, თერგი იგივე კაკო ყაიხის პოეტური ხატია. ასეთივეა ქართლის დედა, გუთნისდედა, მუშა, მწყემსი ქალი, ხოლო „თერგის სათავე მყინვარის წიაღშია“. ავტორი არ ეთანხმება ერთ დროს გამოთქმულ აზრს, თითქოს მყინვარი ფეოდალური საქართველოს ან გაყინული თვითმპყრობელობის სიმბოლო იყოს. ასე რომ ყოფილიყო, ავტორის სამართლიანი აზრით, მოხუცი (ქართველი ხალხის უკვდავი სული) საქართველოს მყინვარიდან არ გამოეცხადებოდა. ვფიქრობ,

რომ ეს მოსაზრება საესეზო მისაღები მყინვარზე გამოცხადებას, კი, ავტორის თქმით ილია „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა“. მეტად გონებაშახველი და ორიგინალურია მოხუცისა და მყინვარის შეპირისპირება ერთმანეთთან. ს. ჩიქოვანის აზრით, ორივე სახე მსგავსებია. „მყინვარი — განაგრძობს ავტორი, — არა მარტო მოხუცის გარეგნობის ასლია, იგი უშუალოდ მამულას ბედსაც დამგვანებია. მყინვარი მღელა მიილტვოდა, მაგრამ რალაც განგებით შეჩერებულა. ასევე ახოვანი ჩვენი ცხოვრება წინ მიილტვოდა, მაგრამ ისტორიულმა ქართველებმა დააქინა და შეაჩერა მისი ლტოლვა.“ მისწერელი პარალელია. მყინვარიც — საქართველოს უკვდავი სულია. მოხუციც ასევე ქართველი ხალხის უკვდავი სულია, რომლის კვარცხლბეკსაც მყინვარი წარმოადგენს. ავტორი ვრცლად ასაბუთებს ამ თავის აზრს და ასე აჯამებს: „მყინვარი „აჩრდილში“ უფრო მიმზიდველია და იგი საქართველოს ისტორიული სულის საყრდენია“. „თერგის სახეს აჩრდილში არავითარი ცვლილება არ ნუტედა“. ვფიქრობ, რამ „აჩრდილის“ განხილვისას მომავალში ჩვენი კრიტიკოსები ასევე ვერ აუვლიან გვერდს ს. ჩიქოვანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც მიხედვითაც მყინვარზე გამოცხადებული მოხუცი „ძველი საქართველოს სიბრძნეა და მისი სახალხო გმირია“ და „თერგი და მყინვარი ახალი და ძველი საქართველოს მეტაფორული მთლიანობაა“. ს. ჩიქოვანს გარკვეული ლიტერატურული სკოლა აქვს გაგლილი, ალბათ, ეს გარემოება მას ხელს უწყობს ვააკეთოს ნაწარმოების ფორმის მოხდენილი ანალიზი და უტყუარი ანალიტიკური აზროვნების უნარით გახსნას აღებული ნაწარმოების იდეური შინაარსი.

„აჩრდილი“, წერილის ავტორის აზრით, ლირიკული და არა ეპიკური ხასიათის პოემაა. ამით ბსნის ს. ჩიქოვანი, რომ ილიამ ვერ მოახერხა ამ პოემაში ტიპებისა და ხასიათების გამოყვე-

თა. მაგრამ ამ მიზანს მხატვრული სიტყვის უბაღლო ოსტატმა სხვა პოემებში მიაღწია. ორიგინალურია ამ მხრივაც ს. ჩიქოვანის მტკიცება, რომ ეს პოემები „ანრდილის“ გაგრძელებას წარმოადგენსო. მისი აზრით, ესენია „კაკო ყაჩაღი“, „ქართლის დედა“ და სხვა „ხალხური ხასიათების მატარებელი პოემები“. უკანასკნელებს „ანრდილის“ ნიადაგი ასაზრდოებთ, ისინი „ანრდილის“ სამყაროდან მოდიან; მაი „მხატვრული ფესვები“ „ანრდილშია“ გადგმული. ეს დებულება ს. ჩიქოვანის უნდა იყოს. კიდევ მეტი: მისი დებულებით „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „კაცია აღამიანი!“ სწყისებს „ანრდილში“ ლებულობენ. წერილის ავტორი ამ აზრს ასე გადმოგვცემს: „რაც „ანრდილში“ შინაგანი ლირიკული მონოლოგითაა აღქმული, კაკო ყაჩაღში წარმოადგენილია როგორც ამბავი, როგორც ლექსად თქმული ეპიკური სამყარო. კაკო ყაჩაღი რეალისტურია, მაგრამ შეფერვილია ხალხური რომანტიკით“. ავტორი ამ ორ პოემას შორის არსებულ ფორმალურ-ფორმირებულ სხვაობასაც აღნიშნავს: „ანრდილი“ უფრო მწიგნობარულია, მას არქაული, ბიბლიური იერი დაჰკრავს. „კაკო ყაჩაღი“ ხალხურია, მას ამიღლებს და თავისებურებას აძლევს „ხალხური თქმები, ანდაზები, აფორიზმები, ხაჯ-ბური სასაუბრო ენა“.

კიდევ უფრო საყურადღებოდ მიმაჩნია ის კავშირი, რომელსაც ს. ჩიქოვან „კაკო ყაჩაღს“ და „განდევილს“ შორის ხედავს. მისი აზრით ზაქრო გარბის ცხოვრებიდან და ბუნების წილს უერთდება. მისი ამოცანაა, შეებრძოლოს სოციალურ უსამართლობას — ბატონყმობას და გადახალისებულ საზოგადოებრივი წყობილების აქტიური წევრი გახდეს. წერილის ავტორის ფიქრით, განდევილიც უარყოფს ამქვეყნოურ უსამართლობას, მაგრამ ზაქროსაგან განსხვავებით იგი ხელს იღებს უსამართლობასთან ბრძოლაზე და ამკობინებს ღვთაებას შესწიროს თავი. ასეთი მსგავსების დანახ-

ვა შეიძლება ძალატანებითი იყოს, უფრო დამაჯერებლად და საფუძვლიანად მიმაჩნია ის ადგილები, სადაც ბუნების აღქმაზე მსჯელობს. მისი წარმოდგენით „კაკო ყაჩაღში“ დახატული ბუნება ცოცხალი და მდებარეობს, „განდევილის“ ბუნება კი ცივი და მოუკარბელი. საინტერესოა ავტორის მტკიცება, რომლის მიხედვითაც ორივე პოემის სათავედ „ანრდილს“ მიიჩნევს. ბუნება „ანრდილსა“ და „განდევილში“ მონუმენტური ფერადოვნებით არის აღწერილი. აღნიშნული პოემების იდეურა და მხატვრული ანალიზის შედეგად ასეთ დასკვნამდე მიდის: „სამივე პოემა ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული, თუმცა ისინი სინამდვილის სხვადასხვა მხარეს ეხება და სხვადასხვა მხატვრული თვისების შემცველია. სამივე პოემას პოეტმა სიცოცხლის გამარჯვების ფილოსოფია დაუღვა საფუძვლად“. ილიას შემოქმედების კიდევ მრავალ პრობლემას აშუქებს ს. ჩიქოვანი თავის წერილში. ესენია ლირიკული ლექსების ადგილი ილიას შემოქმედებაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხი და სხვ. ილია დიდი რეალისტი იყო და განსხვავებით ჩვენი რომანტიკოსებისა, რომლებიც წარსულს აიდეალებდნენ, იგი მომავალს უმღეროდა. ეს საკითხები ვრცლად არის განხილული წერილში, მაგრამ არ მინდა შეეჩერდე მათზე, ეინაიდან ავტორის მოსაზრებები ასე თუ ისე ემთხვევიან ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში დადგენილ აზრებს. წერილი დაწერილია ნამდვილი პოეტური მღვლეარებით და მკითხველს მრავალ ახალ აზრს მიაწოდებს ილიას შემოქმედებაზე.

ასეთივე ხასიათისაა სამივე წერილი. რომლებიც დავით გურამიშვილის ცხოვრებას შეეხება. დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, როგორც ცნობილია, ძლიერ ახლობელია ს. ჩიქოვანისათვის. ამაზე მეტყველებს მისი შესანიშნავი და საერთოდ აღიარებული პოემა „დავით გურამიშვილი“. სწორედ ეს სიტობო და სიყვარული, გურამი-

შვილისა, ცხოვრების ღრმა ცოდნა, იგრძნობა დასახელებულ წერილებში.

წიგნში შეტანილია ს. ჩიქოვანის ცნობილი წერილები: 1) „აქაკი წერეთლის ლირიკული ლექსები“ და 2) „ვჟაფშაველას ცხოვრების ელფერი და მისი პოეტური შემოქმედება“. ამ წერილებში მრავალი საკითხი პირველად ს. ჩიქოვანს აქვს გახდელი მსჯელობის საგნად. ამ საკითხებზე აღარ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ავტორი ამ შემთხვევაშიც დიდ ერუდიციას, პოეტურ გემოვნებას და ანალიტიკურ უნარს ამჟღავნებს.

წიგნში შეტანილი წერილი „ვისილ ბარნოვის თხზულებათა გარშემო“, თუ შეხსიერება არ მალატობს, თავის დროზე მწერალთა კავშირში იქნა წაკითხული მოხსენების სახით. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგანაც ავტორმა მაშინ ვრცლად გააშუქა ბარნოვის შემოქმედების ფილოსოფიური არსი. წერილი იმავე ინტერესით იკითხება ახლაც.

ქეშმარიტი ლირიკული გზნებით და უშუალოებით, საკითხის ღრმა ცოდნით გამოირჩევიან წერილები თუ მოგონებები, რომლებიც პირად მეგობრების შემოქმედებას შეეხებიან. ესენია: ნიკოლოზთქიფანიძე, ტიციან ტაბიძე, ალ. აბაშელი, ლადო ასათიანი, ნ. ზაბოლოცკი, ლ. ასათიანი, გერონტი ქიქოძე. ამ სახელების ხსენებისას ჩვენ ვგრძნობთ თუ რა სიყვარული ფეთქს მათდამი ავტორის გულში, რა ტემპერამენტით არის დაწერილი ეს წერილები, რა ცხოვე-

ლი პოეტური აზრით არის ისინი გაშუქებული.

წიგნში შეტანილი წერილები თავია დროზე ყველა წაკითხული მქონდა. მათი მეორედ წაკითხვისას მეტი სიამოვნება ვიგრძენი, ვინაიდან იგი სავსებით თავისუფალია ტრივიალური, შტამბაქცეული აზრებისაგან, რაც არც ასე იშვიათად გვხვდება ჩვენს კრიტიკულ წერილებში. ვიმეორებ, შეიძლება მკითხველმა არ გაიზიაროს ს. ჩიქოვანის წერილებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, მაგრამ არ შეიძლება არ დაფიქროს იგი.

სიმონ ჩიქოვანს ჩვენ ვიცნობთ, როგორც შემოქმედს, რომელიც მწერლობით სუნთქავს. ის ახლოს იცნობს ყველაფერს, რაც ჩვენს ლიტერატურაში იქმნება. არ მოწყობილა მწერალთა კავშირში, მგონი, არც ერთი დისკუსია ამათვის ახალ ნაწარმოებზე, რომ ს. ჩიქოვანს არ მიეღოს მონაწილეობა. მისი გამოსვლები ყოველთვის დაშურეთა ფართო ყურადღებას იქცევდა, ვინაიდან მის სიტყვებში ლიტერატურულ მოვლენებზე ყოველთვის რაღაც ახალი აზრი თუ შეხედულება გაანათებდა. ჩანს, ეს სიტყვები ს. ჩიქოვანს არ მოუყვანია წესრიგში (ან სულ არ დაუწერია), და არ შეუტანია წიგნში. დასაანაწინა.

ეს წიგნი ჩვენში აღიარებულ ბევრს კრიტიკოსს მეგობრობას გაუწევს და დაეხმარება იმ საკითხში თუ როგორ უნდა იქნეს შეფასებული ნაწარმოები უკანასკნელის მხატვრული ანალიზის საფუძველზე.

## აღეპო სანდრიკაძე

### ჩვენი ღლები მომღერალი

ყოველ პოეტურ თაობას თავისი განსაკუთრებული ბედი აქვს. ამ მხრივ მართლაც საინტერესოა საქართველოში ომის წინა პერიოდში გამოსული ახალგაზრდობა. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე დაეცნენ მირზა გელოვანი და სევერიან ისიანი, სანდრო ელენტი და ვლადიმერ უბილავა, ვიორგი ნაფეტვარიძე და დავით პატატიშვილი... ომის წლებშივე მიზარეს მიწას ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯია.

მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწყებულ სიმღერას დღესაც ვაუკაცური ენერჯითა და შემართებით აგრძელებენ ამ თაობის პოეტები.

მათი ცხოვრება დაემთხვა ჩვენი ძლევა-მოსილი ქვეყნის მიერ ომის შემდეგ განვლილ ყველა ეტაპს და ამიტომაც სუნთქავს თანამედროვეობით მათი შემოქმედება. ახლა ისინი თმამევერცხლილი პოეტები არიან. უმეტესობამ ნახევარ საუკუნეს მიუყავეს და პირველი ჰაბუკურა ცეცხლით ანთებული ლექსის ნაპერწკალი გაღვივებულ კოცონად იქცა.

ამ პოეტურ თაობაში ალექო შენგელია იმთავითვე გამოირჩეოდა, როგორც იდეური, ფაქიზი ლირიკული განცდების პოეტი. ამავე დროს აღსანიშნავია მისი პოეტური პოტენციის ზრდა-განვითარება. სამოცდაოთხი წლის გაზაფხულზე, პოეზიის დღისადმი მიძღვნილ კრებულში ალექო შენგელიამ გამოაქვეყნა ლექსი „ჩემი სიმღერა“, რომელშიაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მკაფიოდ აისახა მისი, როგორც შემოქმედისა და როგორც ადამიანის მრწამსი:

მაგვობის და ყრობის  
დამცივდნენ ფურცლები,  
და ახლა დღეები  
ქარივით ჩქარია, —  
ჩემს დიდ სიყვარულში  
მე ფაერჩი უცვლელი,  
და ეს შემოდგომა  
შაინც მიხარია!

აბა ვარ უცვლადი,  
სიკოცხლის ნაღვერდალს,  
ოღესმე ნოსლოით  
დაფარავს ნაქარი;  
მაგრამ, შეგობრებო,  
გული არ დაზერდა,  
და ჩემი სიმღერაც  
ესაა, რაც არი!

საერთოდ ყოველი ხელოვანის და, კერძოდ, პოეტის შემოქმედებაში ნათლად გამოიკვეთება ხოლმე რამდენიმე თემატური ხაზი, რომელთაც ავითარებენ და ხშირად უბრუნდებიან. ალექო შენგელიას პოეზიისათვის არ არსებობს ასეთი თემატური შემოფარგვა. იგი უმღერის ყველას და ყველაფერს, რაც ალაფრთოვანებს: მას შეუძლია შემოდგომისას ჩამოვარდნილი ფოთლის ცახცახსა თუ კოსმოსში გაფრენილ გმირებზე, რუსთაველ ფოლადიმდნობლებსა თუ ხელჩართულ ბრძოლაში გადაშვებულ ვაჟკაცებზე, პროსპექტზე მოსიერზე თვალბუქუქუნა ქალიშვილებსა, თუ ხნულში ჩამდგარ კოლმეფრენზე ერთნაირი მხატვრული ძალით წერა.

რა თქმა უნდა, ეს ჩამოთვლა მეათედი იმ თემებისა და პრობლემებისა, რომლებიც ალექებენ პოეტს. მშვიდობა, შეგობრობა, პარტია, სამშობლო მუდამ იყო და არის ალ. შენგელიას პოეზიის მამოძრავებელი ძალა. მაგრამ რაზედაც უნდა წერდეს იგი, მისი შემოქმედების

ნათელ ნიშანსვეტად, როგორც აღნიშნულთ, მაინც რჩება თანამედროვეობის მძაფრი, სისხლბორცეული განცდა. სწორედ ამიტომაა ალ. შენგელიას ლექსები მახლობელი მკითხველისათვის. სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ლექსში „თანამედროვე“ შემდეგ სიტყვებს:

უსაზღვრობის  
ოკეანეს შიპობს გემი,  
სიცოცხლის დედა,  
ახრის დედა, სანშობლო ჩემი.  
და, მე ვამაყობ,  
რომ ვეკუთვნი ამ წუთისოფელს,  
თავს რომ დასცქერენ  
მოშურნალი გარსკვლავნი გუნდად.  
ცის უღბანოში.  
სხვა სიცოცხლეს არ უარყოფენ,  
მაგრამ არა მსურს  
სხვა სიცოცხლე, ღამაში თუნდაც!  
მე წუთისოფლის  
მღინარებას მფესღვე ტივტივით,  
წუთი წაყა და,  
ეს სიცოცხლეც გადაგორდება!

ალ. შენგელიას პოეზიას ღრმა კვალს ავლენს სწორედ თანამედროვეობის ლექსად აქლერება. მაგრამ მისთვის უცხოა ზერელობა, პათეტიკურობა და, რაც მთავარია, პოეტს შესანიშნავად შეუძლია ისტორიულის შერწყმა თანამედროვეობასთან: „მე საქართველო ვნახე წარსულის და უფრო ვიგრძენ სურნელი ახლის“, — ამბობს პოეტი.

არსებობს თემები, რომელთაც ერთ ლექსში ვერ ჩაატევ და რამდენჯერმე ავამღერებს. აი, ლექსების ციკლი „აქარის მთებში“. პოეტს უმოგზაურნია საქართველოს ამ თავისებურ კუთხეში, სადაც „ყრმათა ფრჩხილების მწარე ნაჭდევი ატყვია, როგორც სიკვდილის კვალი“, სადაც ყოველ ციხეს და ხიუს სულმნათი თამარის სახელი ჰქვია. პოეტი აღტაცებულია ამ ძველქართველთა, დროის უკუღმართობით გამუხულმანებულ აქარელთა ისტორიით—„ქვეყნად სიცოცხლე გვიყვარდა ისე, რომ ომში სიკვდილს არ გაეუბოდით!“ და ახლა „...კვლავ მოვედი, წინაპართა ქვეყრებს მაგრად ჩავახე“. პოეტი გულწრფელად

უმღერის განახლებულ აქარას, მის პლანტაციებსა და ზერებს, მეს, მარცხებს, გმირებსა და მომავალს. ამ ციკლსავე ეკუთვნის ლექსი „მისთვის ცოცხალვარ“, რომელიც დიდხანია ხალხის საყვარელ სიმღერად იქცა.

ლექსების ციკლი „ქართული სიმღერა“, ეძღვნება ტიმონინოელთა შრომით მეგობრობას ორთაქალელებთან. აქაც ქართველთა გმირული წარსულის გახსენება, როცა „მტერს მიღუწავდა ერეკლეს ჭარი, მრავალს უტევედა, იყო მცირედი, მაგრამ იმედი, ვით მჭრელი ხმალი, ძალას მატებდა სარდალს იმედი“. პოეტს აგონდება კრწანისის საბედისწერო ბრძოლის ამბები და დიდ რუსეთთან სამარადისო ძმობის საფუძვლის ჩაყრა. აგონდება ერეკლე მეფე, რომელსაც „პატარა კახს უწოდებდი, პატარა რადგან გული!“ მაგრამ „ატყდებოდა როცა ომი, მის მარჯვენას ერქვა ხმალი“. პოეტურ სახეებშია გადმოცემული რუსი მეგობრების სტუმრობა საქართველოში და ქართველთა საპასუხო ვიზიტი ტიმონინოში. ლექსების ამ ციკლთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ აქ ყოველ პოეტურ შედარებას, თუ ეპითეტს აქვს თავისი ადგილი: როცა ალ. შენგელია სწერს „მოღმოგორული ძროხის ზურგივით, აქრელებულა თოვლი აქაიქ“, ეს სახე ტიმონინოს მიდამოების დასახატავად რეალისტურია და დამაჯერებელი.

თანამედროვეობის გულწრფელი მხოტბე-პოეტის მახვილ ყურადღებას მხედველობიდან არ რჩება ჩვენი სამშობლოს არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ასეთი იყო რუსთავის მშენებლობა. ალ. შენგელიას ლექსების ციკლი „ფოლადის ქალაქის ქრონიკები“ ამ თემას ეხება. ავტორი აქაც არ ლალატობს ჩვეულ მანერას. ჭერ ავციწერს თუ ამ მიდამოებში როგორ „იღუწებოდნენ თემურ-ლენგები, გამჩაღებულნი ქვეყნად ომისა“, რომ ოდესღაც არსებობდა ძველი რუსთავი, ბოსტან-ქალაქი

„შეღებზე, ირმებზე, ველურ ტახებზე ქართველ მეფეთა სანადირონი“... და აი, აჲ, ნაქალაქარის ადგილას ქართული ფოლადის მდნობელთა კერა განაღდა, ბოსტან-ქალაქის მიდამოებში აჩქეფდა სიცოცხლე, „დაირწა თეთრი აკვანი, სათუთად ნაჩუქურთმევი და იავნანა გაისმა წლების მანძილზე უთქმელი“. პოეტი სიყვარულით უმღერის რუსთავის პირველ მშენებლებსა და პირველ მეტალურგებს, მათდამი რუსი მეგობრების უანგარო დახმარებას, ქალაქში ყვავილნარების გაშენებას, და ბოლოს ლექსში სიმბოლურად უკავშირებს ერთმანეთს რუსთაველსა და რუსთავს, დარწმუნებული არის „რომ ამ ქალაქში არის ნაწრთობი „ვეფხისტყაოსნის“ ფოლადის სიტყვა“...

კიდევ ერთი ციკლი. ეს უკვე ბოლოდროინდელია — „სვანეთში“. სულ ექვსიოდე ლექსია, მაგრამ რაოდენი კონტრასტულობა წარსულსა და აწმყოს შორის, რაოდენი დაკონკრეტება ფაქტებისა იგრძნობა და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი აყვანილია მაღალ პოეტურ ხარისხში.

პოეტს ახარებს, რომ მრისხანე ენგური ითრგუნება, რომ „ენგურს ებრძვიან ლალი კოლხები, დინჯი სვანები“... აჲ ხომ კაშხალი შენდება და ენგურჰესი აკაშკაშდება, „სვანეთის ძალა შეუქად შეკრული, აი, ეგ არის ახლა ენგური“.

ცალკეული ციკლების გარდა, ალ. შენგელიამ მრავალი ლექსი მიუძღვნა თანამედროვეობის პრობლემებს. ხალხთა შორის მშვიდობა და მეგობრობა, სოციალისტური სამშობლო და შთაგონებული შრომა, ჩვენი გმირი ადამიანები და მათი მრავალფეროვანი ცხოვრება იყო და რჩება პოეტის უპირველეს თემებზე. ლექსები „ლენინს“, „შეხედე ირგვლივ ფერების ელვას“, „ყანა“, „მეოცნებე“, „ზეიმი ტუშინოზე“, „დღეები“, „ჩემი კომკავშირი“, „პირველი კრების გახსენება“, „სამშობლო ჩემო“, „დაბადება და უკვდავება“, „იური გავარიის“, „პიმნი ადამიანს“ და სხვა,

სწორედ ჩვენი დიადი თანამედროვეობის ამსახველი ლექსებია.

ისეთ ლექსებშიაც, რომელთა თემატიკას ბევრი პოეტი შეეხო, როგორებიცაა, მაგალითად, „სიმღერა სამგორელი ქალიშვილისა“ და „სიმღერა გატეხილ ყამირზე“, პოეტი ახერხებს მონახოს თემის მეტად ორიგინალური გადაწყვეტა და ლირიკულ ფერებში ასახოს ჩვენი დღეების რომანტიკა. მისთვის საერთოდ უცხოა ლოზუნგური შეძახილები და არაფრისმთქმელი მოწოდებების გამოყენება ლექსში. ალბათ ამიტომია, რომ ალ. შენგელიას თითქმის არ გააჩნია ე. წ. სათარიღო და მიძღვნილი ხასიათის ლექსები.

ალ. შენგელია „სამშობლოს შეტრფის წყლიან თვალებით“ და ჰეშმაროტად ესმის რომ:

როგორ იქნება არ იმყოფო და არ იმღერო ფიჭვი გულსა, რომ ხარობ, ცოცხლობ ადამიანი, მკვიდრი მეოცე საუკუნისა!

პოეტმა კარგად იცის ადამიანის მოვალეობა ამ ქვეყნად, შესანიშნავად გრძნობს ჩვენი ეპოქის სუნთქვას. „ამ სიცოცხლიდან არსად გაიპარო, რომ ვალმოუხდელი დარჩე საუკუნეს!“ — ეს სიტყვები ალ. შენგელიასთვის წმიდათაყმიდა ფიციია. „ჩემო სამშობლოვ, შენთვის ვკვდებოდე და მოწკრიალე ლექსებს გიმღერდე“... — ეს არის პოეტის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ხადებს იგი ასე გულმხურვალედ:

დავალ ამაყი და დაუმცხრალი, ამ ცოხ, ამ მიწის მე ვარ მფლობელი... წინ მშობლიური მიზანტრენს ჭარი და ოცნებათა ვარ მადლობელი. აჲ ყველა სახლი ნაცნობი არი, და ყველა კარი ჩემი კარია. ვარ ამ დღეების ნამდვილი მგზავრი, ეცოცხლობ, ვიზრდები და მიხარია.

აღსანიშნავია ალ. შენგელიას ვრცელი ლექსები „სიტყვა მშვიდობის მომხრეთა კონფერენციასზე“, „უბრალო ღამე“ და ნაწყვეტები პოემიდან „შეხედურა მომავალ გმირებთან“. სამივეში გატარებულია დედააზრი: „გასწი, რომ

სამშობლოს მიცევთ მშვიდობის უღვევი ხეავი, რომ მზე დახაროდეს მუდამ მებრძოლის საფლავზე ყვავილს“. ოპის წლებში ალ. შენგელიამ შექმნა მთელი რიგი ლექსებისა, რომელთაც მამულისადმი თავდადების პათოსი დღემდე უნარჩუნებენ ცხოველყოფელობას. პოეტი ამ შემთხვევაშიაც არ წაევიდა იოლი გზით: ალ. შენგელია არ ერიდება იმ დიდი ტყვიულების, იმ დიდი სევდის პოეტურად ვადმოცემას, რომლებიც თან სდევს ყოველგვარ ომს. სწორედ ამიტომაც, რომ გარკვეულ პერიოდში, გარკვეულ მაზნებისათვის დაწერილი ლექსები დღესაც აღულებს მკითხველს. ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ადამიანური განცდები ალ. შენგელიას „ომგადანდილ ლექსებს“ უნარჩუნებენ სიახლეს და დღეგრძელობას. ლექსებში — „სამშობლოსათვის“, „უკედავება“, „დედა“, „გზაში ფრონტელ ქალიშვილთან“, „გრიგოლ სხულუხია“, „მიწა“, „მოლოდინი“, „სანგარი“, „დედის გახსენება“ და სხვა. პოეტმა პატრიოტული აღტიუნებითა და მებატურული ოსტატობით უმღერა ფრონტსა და ზურგს. ალ. შენგელიამ შესანიშნავად იცის საქართველოს მამაც შვილთა დიდი ღვაწლი პიტლურული ფაშისზმის დამარცხების საქმეში. ამიტომ ამბობდა იგი იმ მძაფრ, ბობოქარ დღეებში: „ვაჟაკობა გვიფარავდეს რუსთაველის ნამღერა“ და „მე არ მინახავს ერთი ქართველიც, რომ უსახელოდ საღმე კვდებოდეს“.

ალ. შენგელიას პოეზიაში სატრფიალო ლირიკას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი თავის შემოქმედებაში ხამალალ სიტყვას უთმობს სატრფიალო ლირიკას, მის ლექსებზე შექმნილია სიმღერები:

წამოდი, ჩემთან არ არის ცუდი,  
 ლექსები გოთხრა, — რას დაჯადარო...  
 დაიწინა თეთრი ზამბახის ქუდი,  
 ჩემო დიდგულა, პატარა ქალო.  
 ანდა:

რა ცოდნით ამ პატარა ნამის ღილებს,  
 თვალს ნაბავენ, თითქო შენი თვალებია,  
 ერთხელ მაინც, ჩუმად მაინც გამიღიბე,  
 რა უღმერთო გაჭყალება გყვარებია...

ალ. შენგელიას სატრფიალო ლექსებში მკითხველთა ყურადღებას იზიარებენ განცდითა უშუალოებით, გრძობების სიფაქიზით და ვაჟაკური კეთილშობილებით: „ჩვენ შევხედით გუშინ, მოსკოვის გულში“, „ციცინათელებს ჩაგიფრენ მრავალს“... „ზარები“, „ის საღამო“, „ორი ატმის ზე“ და სხვა ლექსები პოეტის ლირიკული ამოქანბილია.

ალ. შენგელიას ლექსები, რომლებიც ისტორიულ თემას ეძღვნება, თანამედროვეობის თვალსაზრისითაა გააზრებული. ამ მხრივ ჩვენ სანიშნოდ მიგვაჩნია ლექსები „ავური“ და „სიმღერა უსახელო გმირებზე“. ისეთი პროზაული სახელწოდების ლექსში, როგორცაა „ავური“, მშვენიერ სტროფებს გვთავაზობს პოეტი:

საქართველოში ყაყაჩოსფერი,  
 ამბობენ, სისხლთ არის ნაკერი,  
 ცეცხლში ნაწრთობი, ცეცხლში ნამღერი,  
 წითლად ამიტომ ღვევის ავური.

და:

საქმარისა დავექოთ ვაშა,  
 რომ ვაეკიდოს სართულს სართულს,  
 რომ ვაეღვიოთ მთელმხარე ვაჟაკო  
 და გამარჯვება გვთხროს ქართული.

ალ. შენგელიას ლექსებში საერთოდ, და კერძოდ, პოეტურ სურათებში, ქაობობს ხან წაზი, აკვარელური პეიზაჟები საქართველოს სხვადასხვა კუთხისა, ხან კი ვაბედული, სიმბოლურად გააზრებული ჩანახატები. მაგალითისათვის მთლიანად მოვიყვანო ერთ სამსტროფიან ლექსს „დილის შემოსვლა“.

თეთრი ნაბადით ამ შავ ღამეში,  
 ალბათ, ვარსკვლავი მოიპარება,  
 მოედო შარბეს ცხენის თარბში,  
 შექმნეს ქრიალი ღამის კარბში.  
 შექმნეს ქრიალი და გათენება  
 მამულმა თქვეს და, არცთუ აღრეა,  
 დაიკვირინეს თეთრმა მერნებმა  
 და ღამე ზეში გადაამტერიც...  
 ამოიპართა მზე სტიენაყარა  
 ცეცხლის ფარით და აღის ენებით,  
 თეთრმა მერნებმა მკვრდი ახალეს  
 და გადაიხტეს შავი მერნები.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ალ. შენგელიას პოეზიამ არ იცის თემატური

შეზღუდულობა. მას აღეღებს და ამ-  
ღერებს ყველაფერი, რაც თანამედრო-  
ვე ადამიანის სულსა და გულს ზედება,  
სიხარული იქნება თუ ტკივილი. დიახ  
ტკივილიც! სწორედ ამ ადამიანურმა  
ტკივილმა დააწერინა ჩვენს პოეტს ლექ-  
სები „მოგონება“ და „ნუკრია“.

აღ. შენგელიამ ვარკვეული ამაგი  
დასდო ქართულ საბავშვო მწერლობას.  
მისი პოემები „მგზავრობა მოსკოვის  
მეტროში“, „ორი მწყემსი“, „კალმახის  
გადარჩენა“, „ზიზი დედოფალი“, „ფი-  
სო ლომგული“ და „დაუშრობელი წყა-  
რო“ პატარებისათვის საინტერესოდ სა-  
კითხავი ნაწარმოებებია. ხოლო ლექსე-  
ბი: „გიყვარდეს წიგნი“, „ოქტომბრის  
ღროშა“, „ჩემი ზათუნა“, „აქაო და პე-  
ტარა ხარ“, „ჩემი მერცხლები“, „რე-  
კავს ზარი“, „თეთრი საჩუქარი“, „გა-  
მარჯობა, სოფელო!“ და მრავალი სხვა,  
ჩვენს ნორჩ თაობას უნერგავს სწავლი-  
სა და შრომის სიყვარულს, მეგობრო-  
ბისა და თავაზიანობის გრძნობას.

აღ. შენგელიას პოეზია იმთავითვე  
მტკიცედ იღვა ქართული კლასიკური  
ლექსის ტრადიციებზე. მისთვის უცხოა  
ბუნდოვანება, ნაძალადევი სახეები,  
დაღვლარქნილი სტრიქონები და არაბუ-  
ნებრივი გამოთქმები. სადა და ნათელი  
აზროვნება, ნიშანდობლივია აღ. შენგე-  
ლიას პოეზიისათვის. მის ლექსებში უზ-  
ვადაა გაბნეული ორიგინალური, ხში-  
რად თამამი, მაგრამ დროული და ლამა-  
ზი შედარებები, ეპოთეტები, პოეტური  
სახეები, ფრთიანი თქმები: „ცეცხლი  
აზიზად ივარცხნის დალალს და გამომ-  
წვევად ანათებს ხანჯალს“, „აკაი ჰქვია  
ყველა თეთრ ყვავილს და გახაფხულზე  
ნათქვამ სიმღერებს“; „მახსოვს, მოვარეს  
ღრუბლის თალხი ეცვა, შენს თეთრ  
კბილეს—მოკუშული ბაგე“; „მთვარეა?

ქორწილზე იქნებ ესროლეს ცას ვერცხ-  
ლის თევზი?“, „სიმინდი, ორადამთქვე-  
რილი, მიწას, ეხატა, როგორც უღვაში“;  
„გაშოლტილიყო გზა—ელვის ენა, შავად  
ბზინავდა ასფალტის ოფლი“. და სხვა.

თავის ერთერთ საუკეთესო ლექსში  
„ჩემი დაბადების დღე“ აღ. შენგელიამ  
მშვენიერად თქვა:

ვარ საფეხური დეხდაუდგმელო,  
დაუსრულებელ ცხოვრების გზაზე,  
სიხარულიც ვარ, ხვედაც უთქმელო,  
მიწა ვარ, კაცურ განცდებით სავსე!

პოეტის ამ გულწრფელ სტრიქონებ-  
ში ჩანს აღ. შენგელია, როგორც ადამი-  
ანი, როგორც მოქალაქე.

ამ რამოდენიმე წლის წინათ პირვე-  
ლი საბჭოთა კოსმონავტის იური გაგა-  
რინის ჩანაწერები ქვეყნდებოდა ცენ-  
ტრალურ პრესაში. კოსმოსის გმირმა  
თავის უსაყვარლეს პოეტთა შორის  
აღეკო შენგელიაც დაასახელა.

აღეკო შენგელია თანამედროვეობის  
გულმხურვალე მომღერალია. დღევან-  
დელი დღის ალალმართალი მესოტბე,  
საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის  
პოეტური მემკვიდრე.

აღეკო შენგელიას ახლახან შეუს-  
რულდა 50 წელი. ეს არც ისე ბევრია  
პოეტური გზნებით ანთებული გული-  
სათვის. პოეტი ამბობს: „ჩემი ქვეყნის  
ქველი დარდი და ნაღველი, ხანჯალივით  
გულში გამიტარებიაო,“ მაგრამ იქვე  
დასძენს: „თაობა ვარ ავთანდილის გა-  
წაფული, სიყვარული უბით დამიტარე-  
ბია“. მტკიცედ გვწამს, რომ აღ. შენგე-  
ლიას პოეტური, პატრიოტული გულ-  
კიდევ დღეხანს იმღერებს საყვარელი  
სამშობლოს სადიდებლად.



გიორგი კიკნაძე

## აკაკის პროზაულ თხზულებათა პოეტურობის საკითხი

1

უფრო და უფრო ვარკვეულად მიუ-  
თითებენ აკაკის პროზის პოეტურ ხა-  
სიათზე. ეს ჯერ კიდევ კიტა აბაში-  
ძემ აღნიშნა, როდესაც აკაკის პრო-  
ზის რიტმულობაზე ლაპარაკობდა.<sup>1</sup>  
ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, რომ  
აკაკის პროზა მისივე ლირიკის მოტა-  
ვებს შეიცავს და მრავალი მხატვრული  
ელემენტით უახლოვდება მას.<sup>2</sup> მიხე-  
ილ ზანდუკელი აკაკის პროზის ამა-  
ვე ნიშან-თვისებას გულისხმობს, როცა  
ამბობს, რომ „ბაში-აჩუკი“ დაწე-  
რილია დიდის ემოციონალიზმით, მდი-  
დარი პოეტური ენით<sup>3</sup> ლეო ქიაჩე-  
ლის წერილი — „აკაკის „ბაში-აჩუკი“  
თავისი ძირითადი აზრით იქითკენაა მი-  
მართული, რომ აკაკის პროზის პოეტუ-  
რი ატმოსფერო გვაგრძნობინოს და მას-  
ში მოგვაქციოს.<sup>4</sup> ძალიან მკაფიოდ არის  
გახსული აკაკის პროზის ეს თავისებუ-  
ლება პავლე ინგოროყვას სათანადო ნარ-  
კვევში. იქ ვკითხულობთ შემდეგს:

„აკაკის მხატვრული პროზა ეს არის  
პოეტის პროზა (დაყოფა ავტო-  
რისაა — გ. კ.). აკაკი შემოდის მხატვ-  
რულ პროზაში — პოეზიის კარებით...

<sup>1</sup> კიტა აბაშიძე, ვტიულები XIX საუკუნის  
ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ.,  
1962, გვ. 239.

<sup>2</sup> ვახტანგ კოტეტიშვილი, ქართული ლიტე-  
რატურის ისტორია, 1959 წლის გამოცემა, გვ.  
394-398.

<sup>3</sup> მიხეილ ზანდუკელი, ახალი ქართული ლი-  
ტერატურა, 11, 1951, გვ. 383.

<sup>4</sup> ლეო ქიაჩელი, თხზულებანი ოთხ ტომად,  
ტ. IV, 1955, გვ. 343-357.

„ბაში-აჩუკში“ შერწყმულია ფეიერვერ-  
კი პოეზიისა და სიმკვრივე პროზისა...  
თავისებური, რომანტიზმის სურნელე-  
ბით მოფრქვეული სტილი „ბაში-  
აჩუკისა“ სრულ პარმონიაში იმ-  
ყოფება იმ თემატიკასთან, რომლისადმი  
მიძღვნილია ეს რომანტიული პოემა  
პროზით“. „ბაში-აჩუკის“ გმირები წარ-  
მოდგენილია ერთგვარი იდეალიზაციის  
ასპექტში... აქ საერთოდ მთელი მოთხ-  
რობა აყვანილია პოეზიის რეგისტრში“.<sup>1</sup>

შალვა რადიანის „ახალ ქართულ  
ლიტერატურაში ვხვდებით ერთ ფრა-  
ზას: „ბაში-აჩუკი“ მთლიანად სრუ-  
ლყოფილი, ცოცხალი, მტიყე პოეტუ-  
რი პროზის ნიმუშია“.<sup>2</sup>

სერგი ჭილაიას სტატიამი — „აკა-  
კის პროზა“ წერია: „აკაკის პროზა  
მეტ შემთხვევაში რიტმულია. ამის პირ-  
ველი მიზეზი ისაა, რომ აკაკი წერეთე-  
ლი პროზაშიაც პოეტად დაჩა... „აკა-  
კი უაღრესად მუსიკალური შწერალია.  
აკაკი „ყურით“ უფრო მუშაობდა, ვიდრე  
„თვალით“ და ეს მომენტი გამომჩნდა  
პროზაშიც. ესაა, ჩვენის აზრით, მიზეზი,  
რომ აკაკი წერეთლის პროზა უაღრესად  
რიტმულია.

რიტმს აკაკი პროზაში აღწევს მარცხ-  
ალთა შეთანხმების, ექსპრესიისა და  
ალიტერაციის გზით, სიტყვათა ალიტე-

<sup>1</sup> იხ. აკაკის თხზულებანი შვიდ ტომად, ტ.  
1, ლექსები, ა. აბაშელის და პ. ინგოროყვას  
რედაქტორობით, 1940 წ., პ. ინგოროყვას შესა-  
ვალი წერილი, გვ. XXX—XXXII.

<sup>2</sup> შალვა რადიანი, ახალი ქართული ლიტერა-  
ტურა, 1954, გვ. 340.

რაცია. რასაკვირველია, არ არის რიტმი, მაგრამ ალიტერაციის გზით შეიძლება რიტმი იქმნებოდეს. ეს რომ ასეა, ეს ჩანს აკაიის „ბაში-აჩუკიდან“.<sup>1</sup>

ზემოგადმოცემული ამონაწერებიდან ჩანს, რომ ნაგრძნობია აკაიის პროზის პოეტურობა. მაგრამ ეს კიდევ უფრო მკაფიოდ აყენებს მოთხოვნას, რომ გადაიხსნას ამ მწერლის პროზის პოეტური გული.

## II

თავისთავად ძნელად აღსაწესხავია ნაწარმოების პოეტურობის ნიშან-თვისებანი. ამას კიდევ ის ერთვის, რომ ნაირნაირ მომენტთა ურთიერთ შეხვედრა აპირობებს პროზის პოეტურობას. ე. ი. კონკრეტული ნიშნის გარდა, თვით სხვადასხვა ნიშანთა კომბინირება ქმნის (ან აძლიერებს) პოეტურობის შთაბეჭდილებას.

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავახასიათოთ აკაიის პროზის პოეტური სახე. საბაზისოდ, პირველყოვლისა, „ბაში-აჩუკს“ ვიღებთ.

ჯერ მივმართოთ ერთგვარ შედარებას. ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი ის იყო, რომ სავსებით ჩვეულებრივს, თითქოსდა ყოველდღიურ მოვლენებს იღებდა, მათ აღწერდა და მათ ირგვლივ ტრიალებდა. მომეტებულად ამ ყოველდღიურობის გარშემო ატეხილი განგაში ილიას შემოქმედებაში. ასეთია მისი ძირითადი შემოქმედებითი ტენდენცია.

განსხვავებულია აკაიის მხატვრული გზა. მას უფრო განსაკუთრებული აინტერესებს; აკაიი ეძებს არაჩვეულებრივს და კრძეც პოულობს მას. უკვე ასეთი ძიება გულისხმობს პოეტურობას,

რამდენადაც ამ შემთხვევაში დაწინაურებული მოსმობაა აუცილებელი „ბაში-აჩუკის“ სიუჟეტია პოეტური. ამისათვის საკმარისია თვალი გადავავლოთ ამ თხზულების სიუჟეტურ საყრდენს: გლახუკი ბაქრაძე ეტრფის წერეთლის ასულს; „ვეფხისტყაოსანს“ აყოლილ ჭაბუკს სურს „საყვარელსა უჩვენოს საქმენი საგმირონია“; ის სთანადო ასპარეზს ეძებს და კახეთს მიუშურებს, სადაც ირანელები თარეშობენ; კახეთში რაც ხდება, ყველაფერი წარმტაცია, უკლებლივ ყველაფერი, — აკაიი გვიამბობს შემადრწუნებელ, მაგრამ მაინც წარმტაც ამბებს, — შეიძლება სწორედ იმიტომაც წარმტაცია ზოგიერთი ამბავი, რომ შემადრწუნებელია. ასეთია მაყაშვილის თავის მოკვეთა, პირითგარისას საარაკო თავგანწირვა და სხვა. ამ აზრით ითქმის, რომ ამ მოთხრობაში თვითონ ცხოვრება სტილიზებულია. აქ აკაიიმ თითქოსდა გვერდა აუარა ყოფას; მაგრამ „ბაში-აჩუკი“ არის ყოფის გამოხატვა, რადგან მასში თავისებურადაა გადმოცემული ის, რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხვდებით, ოღონდ სხვა ფორმით. ამაში მდგომარეობს პოეზიის რეალური ღირებულება და მას უპასუხებს აკაიის პროზაც.

ფაქტია, რომ აკაიი წერეთელი მოხდენილ ამბებსა და სიუჟეტებს კიდევ ეძებს, კიდევ პოულობს და კიდევ ქმნის. ასეთია სიუჟეტები მისი პოემების, „ნათელა“ იქნება ეს, „თორნიკ ერისთავი“, თუ „გამზრდელი“. ასეთივეა სიუჟეტები მისი მოთხრობებისა. აკაიის მომხიბლველი და სხარტი სიუჟეტის განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს. იგი აგნებს ლამაზ სიუჟეტებს და მათში შემავალ მომენტებადაც ასეთსავე შემთხვევებს ირჩევს. ლამაზი სიუჟეტის შერჩევა კი უკვე თავისთავადაა პოეტური სტილის გამომქლავნება. მრავალნაირი შესაძლებლობა მოეპოვება ადამიანს, რათა ცხოვრება

<sup>1</sup> იხ. აკაიი წერეთლის საიუბილეო კრებულში, 1940, გვ. 60-61. ამავე კრებულშია მოთხოვნილი აკაიი კენჭოშვილის წერილი — „აკაიის მხატვრული პროზა“. აქ მოითხოვნილია ზოგიერთ მხარეზე აკაიის პროზისა და ამით, თავისი ძირითადი აზრით, ეს წერილიც აკაიის პროზის პოეტურ ხასიათს გვანიშნებს.

პროზაში პოეტური მომენტები შეიტანოს და ამით შეიძლებოდა ცხოვრების სიმშრე, აკაკის მწარე ვითარებაში გაღივება შეძლოს და კიდევ შეენოდა მას. გაეხსნათ მისი თვითდახასიათება:

„ქვეყნისათვის რომ სტიროდნენ, აკაკურად მიცინია“.<sup>1</sup>

აკაკი თავისი პოეტური ძალით მიწიდან ზევით გვეწევა, როდესაც პროზაში ლექსითი ფორმა შეაქვს (მაგ., „ბაში-აჩუკის“ III თავი და მრავალი მოთხრობა: „გოგია მერხოგურე“, „ღამურა“, „კურდღელი“ და სხვ); მის თხრობაში პირდაპირ ელავენ გამეყნწლავი ფრაზები (გავიხსენოთ თითო მაგალითი „ბაში-აჩუკიდან“: 1) IV თავში, სადაც თეიმურაზზეა ლაპარაკი, სტავთა შორის ნათქვამია: მეფე რომ პიიბუ-პიიბუს დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვიი-ვაის, იმღერებს“. 2) მოთხრობის ფინალი და კერძოდ აკაკის ფრაზა — „ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლკარობას და აბდუშაჰილიც ჩაესიდა, მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძე ცოლისძმას, მაგრამ ბევრჯერ კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის დროს“).

ლექსითი დიალოგები თუ დახასიათება, დახვეწილი ფრაზები თავისთავად მოწონებს და ერთი შეხედვით გვეჩვენება თითქოს ხელოვნებამ რამდენადმე „გადაუხვია“ რეალობას, რომ ის რაც მოცემულია, ნამდვილ სინამდვილედ არ შეიძლება მივიღოთ. ეს არის ნატურალიზმისაგან თავდახსნის ერთი სახეობა, მაგრამ რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში ეს არ არის გადახვევა რეალიზმიდან ხელოვნებაში. ეს სინამდვილის გაპოეტურობისაკენ მისწრაფებას ნიშნავს.

აკაკის პოეტური სწრაფვის ერთ-ერთი გამოვლენა გადაჭარბების ხერხის მომარჯვებაში მდგომარეობდა.

გვითხულობთ აკაკის პროზას (რასაკ-

ვირველია, პოემებსაც) და ნშირად ვხვდებით აშკარა გადაჭარბების შემთხვევებს, — სულ ერთია, იქნება ეს აღადგებულ არაგვში შეჭრილი გლახუკი ბაქრაძის ვაჟკაცობის გადმოცემა, თუ მისი ქიდაობისა და ჭირითის აღწერა. შეიძლება, სინამდვილედან შორს არ აღმოვჩნდეთ, თუ ვიტყვი, რომ წარმოუდგენელია აკაკი გადაჭარბების გარეშე. და ეს მისი ნაკლი კი არა, — ღირსებაა, რადგან აკაკის ჰიპერბოლიზაციის წყარო ადამიანთა უსახლგრო შესაძლებლობათა რწმენა იყო. ჩვეულებრივობის მოთხოვნა შეიცავს იმის საფრთხეს, რომ ბორკილი დაადოს თხრობას ადამიანთა გაბედულ ოცნებებსა და იდეალებზე. აკაკი ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეპყრობილი, ოცნებათა ამყოლი პოეტი იყო და საამბობელი ეპიზოდებისა, თუ მომენტების შერჩევასაც ყოველთვის მკითხველის გულს უშიხნებდა.

აკაკის პროზის პოეტურობის მანიშნებელია ისიც, რომ ჩვენი მწერლის ინტერესი განსაკუთრებით გამახვილებულია ცალკეული შემთხვევებისადმი; ის თითქოს ერიდება კიდევ ზოგად მსჯელობას და მიზნის მიღწევას კონკრეტულზე დაყრდნობით ცდილობს. ბაუმგარტენის დროიდანვე კი კარგადაა ცნობილი, რომ „ცალკეული მაგალითები უფრო პოეტური არიან ხოლმე, ვიდრე ზოგადი ჰეშმარიტებანი“.

აკაკი წერეთლის პროზა სავსეა ზღაპრულ-ლეგენდარული ეპიზოდებით. იგი ქმნიდა დამაბული ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის ატმოსფეროს. ლეგენდარული პირიშთვარისას შუაზე გადაკვეთის ამბავი და თვით ბაში-აჩუკის თავდასხმები, პირიშთვისასთან აბდუშაჰილის შეხვედრისა და შვლის ეპიზოდი, საზღაპრო მასალა აბდუშაჰილისა და მელანოს დამბობის ამბავი, მელანოს თავგამეტებული გულადობა, პირიშთვისას შეხვედრა აბდუშაჰილთან (მეორეჯერ)... საზოგადოდ, ყველაფერი ისეა გადმოცემული აკაკის ამ მოთხრობაში, რომ სრულიად უეჭველია მწერლის პოეტური მიდრეკილება — მხალ-

1 ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი სატორის თავისებურებათა გათვალისწინება. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ვხვებით წიგნში „ქართული სატორისა და იტალიის განვითარების ისტორიისათვის“, გვ. 359-360.



ლდეს უხეშ სინამდვილეზე, ჩვენც გავ-  
ვიტაცოს და აღგვაგზნოს ისე, როგორც  
ეს პოეზიას ევალება და შეუძლია.

როცა ვლაპარაკობთ, რომ პოეტურია  
აქაის პროზა, ეს ნიშნავს, რომ იქაური  
ამბებიც ზღაპრულია, ბუნებაც ასეთია,  
პერსონაჟებიც აბაღლებულია და სტი-  
ლიც მუსიკალური. ამბებიც ზღაპრუ-  
ლიაო რომ ვამბობთ, ეს იმას კი არ ნიშ-  
ნავს, რომ ზღაპარს ვვიაშობს აქაიკი,  
არამედ მხოლოდ იმას, რომ ნამდვილ  
ამბავსაც კი ზღაპრული მომხიბლველო-  
ბით გადმოგვცემს იგი. მისი რეალიზმი  
ეს არის განაყოფი ხალხური შემოქმე-  
დების რეალიზმისა ანუ ფოლკლორის  
რეალიზმის სანიმუშო განსახიერება ინ-  
დივიდუალურ ხელოვნებაში.

ზღაპრული მომხიბლველობის ბეჭედი  
ახის არაგვს, აქაიკის მიერ შემოკობილ  
არაგვს:

„თვალმოუწვდომელ სიშორიდან გვე-  
ლივით მოიკლანებოდა ჩუხჩუხა არაგ-  
ვი და ერთგან კლდოვან კიდეც გამეტე-  
ბით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გავეკ-  
ლია!.. თავს არ იზოგავდა, მაგრამ შეუ-  
პოვრობისაგან უტუქვეული, დარეგია-  
ნებული და თავბრუდამხვეული, თით-  
ქოს სულის მოსაბრუნებლად, იქვე  
მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებო-  
და ხოლმე და შერე კი დაკვირვებით გა-  
დადიოდა დაბლობზე, რომ უფრო მე-  
ტის სიფრთხილითა და კვენესა-დუდუ-  
ნით დაშვებულებოყო ქვემოატეხილ ჭა-  
ლებისაკენ“.

პოეტურია პირიმთვარისა და პირიმ-  
ზისა, წერეთლის ასული და გლახუკი  
ბაქრაძე, აბღუშაპილი და მეღანო, ყო-  
ველი მათგანი და საზოგადოდ მათი ყო-  
ველი საურთიერთო სიტუაციაა პოეტუ-  
რი. მათი პოეტურობის დამაპირებებელ  
მომენტთაგან აქ ერთსაც აღენიშნავეთ:  
განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვეუ-  
ლებრივ ქალიშვილსა და პირიმთვარი-  
სა-პირიმზისას შორის; განსხვავება,  
რომელიც შესამჩნევია აბღუშაპილის  
რომანტიკულ გრძნობებსა და გარეგნო-  
ბას შორის, ისევე როგორც სხვაობა მე-  
ღანოს თავისუფალ ქცევასა და მის

შინაგან სულიერ გამძლეობა-პატარას  
ბას შორის — ქმნის იმ მანძილს, რომე-  
ლიც ჩვენ უნდა დავძლიოთ რათა პერ-  
სონაჟები გავიგოთ. ეს პერსონა-  
ჟები ჩვენთვის სანატრელნი არიან, ხო-  
ლო ნატვრა უკვე თავისი არსითაა პოე-  
ტური: ის გულისხმობს დისტანციას და  
მას გამოხატავს. მიუწვდომლად მიჩნეუ-  
ლისაყენ გზის გაკვალვა კი პოეზიის უპი-  
რველესი ამოცანაა. მარადიულ სატრ-  
ფოვებად გვესახება პირიმზისა და პირი-  
მთვარისა, ისევე როგორც წერეთლის  
ასული. მათვე მიახლოვების პოეტური  
გზები დახატა აქაიკი წერეთელმა — ხი-  
ფათით, თავგანწირვით და ფაქიზი  
გრძნობებით.

აქედან ისიც გამომდინარეობს,  
რომ ეს მოთხრობა კონტრასტების პრო-  
ნიკიპზეა აგებული. ამ პრინციპის მიხედ-  
ვით აქ მარტო პერსონაჟები კი არ  
არიან განლაგებულნი, არამედ მთელი  
ეპიზოდები და სიტუაციები, წარმოსახ-  
ვის გამოღიზიანებელი ახალგაზრდა ბა-  
ქრაძის შეჭრა აღიდებულ არაგვში და  
მისი გადარჩენის ფაქტი. ამის ანა-  
ლოგიურია ხის წვერზე ფეხებით  
ჩამოკიდებული ქორის აშვება თო-  
ფით, კონტრასტულია თეიმურაზ პირ-  
ველის გატაცება ლექსითა თხზვით და კა-  
ხეთის გმინვა, კახეთის უბედურება და  
მაყაშვილის დაწინაურება, ბიძინა ჩო-  
ლოყაშვილის პრინციპულობა და ჯან-  
დიერის მედროვეობა... რამდენადაც კონ-  
ტრასტულობა ნიშნავს ერთიმეორის  
გვერდით განსხვავებულთა (დაპირისპი-  
რებულთა) მოთავსებას, რითაც თითოე-  
ული მათგანის თავისებურებები მკა-  
ფიოვდება, კონტრასტებით ხატვის გზას  
პოეტურობისაყენ მივყავართ. კონტრას-  
ტულობა ობიექტებისა თუ მათი თვისე-  
ბების მკვეთრსა და ერთბაშად აღსაქ-  
მელ მონაცვლებას გულისხმობს და  
სწორედ ამიტომ აღნიშნავენ ამ ხერხის  
განსაკუთრებულ პოეტურ ძალას. პოე-  
ტურობისაყენ ხსნის გზას ამღერება  
მწუხარების ეპოსს; ანალოგიურ შედეგს  
აღწევენ სხვადასხვა სტილის მომარ-  
ჯვებით ერთი ნაწარმოების ფარგ-

ლებში; კონტრასტის ფენომენის მოქმედებას ეყრდნობა პოეზიის მთავარი ძარღვი — ოცნება, რამდენადაც ის ჯერ არ არსებულის ნატურა და სურვილია. ამ მოვლენას ახასიათებდა სიორენ კირკგეგორი, როცა ამბობდა: „ადამიანური ცხოვრების მთავარი უკმარობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასურველს მხოლოდ კონტრასტების გზით აღწევ... და თვით წმინდანობაც კი სხვაგვარად არ მიიღწევა თუ არა ცოდვის მეშვეობით“.<sup>1</sup>

აკაკის პროზაში ძალიან ხშირად არის შექმნილი მღელვარე ატმოსფერო. შეიძლება ვთქვათ, რომ თავიდან ბოლომდე ამნაირ ატმოსფეროში ვართ მოქცეული „ბაში-აჩუკის“ მთელს მანძილზე. მღელვარება აქ მით უფრო შეამჩნევია, რომ აკაკი ალაგალაგ ებიურად იწყებს ანდა ეპიურ თხრობაზე გადადის, რათა ძალმომატებული აღმოჩნდეს ისედაც მღელვარე ემოციები. ასე მაგალითად, დინჯად ათამაშებდა კრიკოსანს დარბაისელი ზაალ ერისთავი და იქვე მახლობლად მჭდომი მარიამიც მშვიდად კითხულობდა დავითს. მაგრამ უცებ გაისმა უკანასკნელის კივილი... ამას მოჰყვება თხრობა კირილუს შემხარავი სიზმრისა. შემდეგ აკაკი თითქოსდა ეპიურ თხრობას იწყებს, რათა სულ მალე იფეთქოს ტრიალ მორევში მოქცეული ჭაბუკის დაღუპვის შიშმა. შემდეგ ისევ შენელებული, დამშვიდებული თხრობაა ქორის აშვების ეპიზოდამდე. უკანასკნელს ისევ, მართალია, შინაგანად დამაბული, მაგრამ თხრობის მანერისა და ამბავთა ცვლის მიხედვით მღორე დინება ენაცვლება, რასაც ბიძინა ჩოლოყაშვილის აღმფოთება მოსდევს (ჯანდიერთან საუბარი), ამ აღმფოთებას ისევ ჩოლოყაშვილის გამიზნული და ფრთხილი მოქმედება ნიღბავს, ხოლო მთელი შემდგომი თხრობა მღელვარე მომენტებითაა ავ-

სებული (ქიდაობა, <sup>ჯანდიერთან</sup> დატყვევებული ქალიშვილების გათავისუფლება, შურისგებით მოუსვენარი აბდუშაჰის ძიება, თიმსალ-მაკოს ცბიერება, მელანოს სანაქებო ქცევა, შუამთის მონასტრის დარბევა, აბდუშაჰის მიერ პირიშისას ხილვა, აბდუშაჰის და ბაში-აჩუკის შეხვედრა, აბდუშაჰის ქართველობა, თათრების დამარცხება, მეფის დარბაზი, კახეთის გმირთა შეგნებული თავგანწირვა და ეპილოგი). ეს ატმოსფერო ასაზროვეებს აკაკის პროზის პოეტურობას. ანეთ გარემოზე აკაკიმ უკვე მაშინ მიგვიანინა, როდესაც თავდაპირველადვე აიღო სახლის ყველაზე უფრო პოეტური ადგილი — აივანი და იქ გადავიშალა „ბაში-აჩუკის“ დედაძარღვი. რეალობად ქცეული სურვილების ზორცხმული მისწრაფებების წრეში მოგვაქცია აკაკიმ, ე. ი. პოეტური გარემო მოგვიბოვა. ამას კი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, რადგან პოეტური ატმოსფეროს შექმნის ერთი მიზანი ისიცაა, რომ ადამიანში ადამიანური ცხოვრების წყურვილი აღძრას.

ჩვენი ცხოვრების ძალიან სასტიკი პერიოდი აღებული „ბაში-აჩუკი“ მაგრამ აკაკი ანელებს ამბავთა სიმკაცრეს, ის ანელებს სიუჟეტის სისასტიკეს და ამას იგი ხან მხიარულებს შემოტანით ახერხებს, ხან სენტიმენტლობამდე მისული სითბოს გამოჩენით და ხან გამაბედნიერებელი კვანძის ვახსნიით. ასეთია მაგალითად, ქიდაობა-ჯირითის, პირითვარისა-შველის, მელანო-აბდუშაჰის შეხვედრების, განუქებულ ქალიშვილთა დახსნის ეპიზოდები და სიუჟეტის სიმკაცრის სხვა მრავალი და მრავალი შემარბილებელი ეპიზოდი.

უპიკელია, რომ ამგვარი მომენტების შემოტანაც აპოეტურებს პროზას. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ტრანსფორმაციის, შენაცვლების შემთხვევები ხშირად პოეტური აღმაფრენის გამოხატულებაა და ასეთი შემთხვევები კი „ბაში-აჩუკი“ საკმაო რაოდენობით

<sup>1</sup> Сёрен Киркегор, Афоризмы, эстетика, пер. с датского журн. «Вестник Европы», 1886, стр. 109.



გვეხედება (პირიმთვარისა კი არა, პირიმ-  
ზისა ყოფილა; სპარსელი — ქართველი  
აღმოჩნდა, უცხო დედაკაცი თურმე სა-  
კუთარი დაა...), ესეც მოწმობს, რომ  
აკაკის პოეტურ ბუნებას პროზაშიც  
აშკარად უჩენია თავი.

ტრაგიკულიც სხვაგვარად გამოი-  
ყურება აკაკის პროზიდან. თავისდათა-  
ვად ერთობ ტრაგიკულ მოვლენას და  
შემთხვევას ჩვენი მწერალი ისე მოგვი-  
თხრობს, რომ იფანტება გულისმომკე-  
ლელი და შემხუთველი აღმოსფერო.  
ტრაგიკულია შინაარსი „ბაში-აჩუკის“  
XV თავისა, სადაც ვაღმომცემუ-  
ლია მსჯელობა, თუ რა პასუხი ვასცენ  
შაჰ-აბაზის ცბიერ მომართვას. მაგრამ  
აკაკი პოეტია და პოეტურ სურათს ხა-  
ტავს, როდესაც ფოთოლცვენასა და გა-  
ზაფხულზე ხეების ისევ ფოთლებით შე-  
მოსევაზე ალაპარაკებს თავის პერსონაჟს,  
რათა იმედი დანერგოს:

...„წამოდგა ზეზე მოხუცი ელიზბარი,  
მიღვა სარკმელთან, ვაიხედა შიგ და  
დაფიქრდა. დარბაზი გაოცებით შეაჩე-  
რდა. — „ბატონო მეფე! — მობრუნდა  
და სთქვა ერისთავმა. — ამ თქვენს ჭა-  
დარს რა დამართნია ეს, რომ ფოთლები  
გასცენია?“

— როგორ, თუ რა — დამართნია? —  
მიუვო გაკვირვებით მეფემ. — რაღა  
დროს ფოთლია? ზამთარი დგება!..

— ვაი, თუ გახმეს უფოთლოდ?

— როგორ თუ გახმეს?! გაზაფხულზე  
განა აღარ შეიფოთლება?

— დიხ, შეიფოთლება, ჩემო ხელმ-  
წიფე, და ჩემი პასუხიც ეს არის დღე-  
ვანდელ სადარბაზო კითხვაზე...“

ეს მხოლოდ ნაწყვეტია პოეტურად  
ლაპაზი მთელი სცენიდან. მთელი თავია  
ასეთი. ეს პოეტურობა ამსუბუქებს  
ტრაგიზმს და ვფიქრობთ, რომ სწორედ  
პოეტური სიტუაციების თხზვა და ხატ-  
ვა არის აკაკის, როგორც ხელოვანის  
მოთხოვნილება. რაოდენი სეკდის მომგ-  
ვრელია, მაგრამ ამასთან, რაოდენ პატ-  
რიოტული სიხარულის მიმნიჭებელია  
ჩოლოყაშვილის განცხადება: „საქართ-

ველოს ქირიც წაგვიღია“ და „შალვა-  
ერისთავის — „ამინ!“

აკაკი მძიმე განცდებით არ მკითხველს. მისი ღიმილი, თუ არ ფა-  
რავს, ანელებს მაინც ვითარების ტრა-  
გიზმს. ასეთია „ბაში-აჩუკის“ ეპილო-  
გიც და აკაკის სხვა მოთხრობების და-  
სასრულიც. ზემოთხსენებულ იერი ვადაც-  
რავს მის „ეშმაკებს“, „საუბარს ორთა  
შუა“, მთლიანად ასეთია „სამგვარი სო-  
ყვარული“ და მრავალი მისი მოთხრო-  
ბა. ისტორიულ გადმოცემებზე აგებუ-  
ლი მისი მოთხრობებიც გამახალისებუ-  
ლია თავიანთი დინებით და თავიანთი  
დაბოლოებით („ქუთათელის სიზმარი“,  
„რაჰის ერისთავი როსტომი“, „დათუნა  
გოცირიძე“, „ოთია მესხი“, „კორინთუ-  
ლი“), ამგვარი ვითარების ხატვაა დამა-  
ხასიათებელი აკაკისათვის. ეს კი იმას  
წინშავს, რომ იგი თავის მკითხველებს  
სულიერი აქტივობის აღმოსფეროს უქ-  
მნის. შეიძლება აკაკის მიერ დახატუ-  
ლი სურათი ყოველთვის და ყველაფე-  
რში არც შეესატყვისებოდა წარსულში  
რეალურად არსებულ ვითარებას, სამა-  
გიეროდ ეს სურათი ეგუებოდა აკაკო-  
სეული მომავლის იდეალს. და აკაკის  
პოეტურმა შემოქმედებამ დაგვიმტკიცა,  
რომ ისტორიიდან სწორედ ამნაირი ვა-  
დახვევებია საჭირო, რათა სასურველი  
მომავალი დაიხატოს და ადამიანმაც  
მიზნად მისი მოპოვებისათვის ზრუნვა  
დაიასარს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ერთ-  
გვარი გადახვევა სინამდვილიდან, —  
უკანასკნელის გამკაფიოებისა და ახალი  
მოქმედების სტიმულად გადაქცევის  
მიზნით, პოეტურ სწრაფვას გამოზა-  
ტავს. ფაქტი ლექსისა როგორც სიტყ-  
ვიერი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუ-  
შისა, იმას მოწმობს, რომ სინამდვილის  
პირდაპირი ასახვა (ეს კიდეც რომ შე-  
საძლებელი იყოს) სრულიად არ უნ-  
და მიეჩინოთ პოეზიის დანიშნულებად  
და არსად. ცხოვრებაში ლექსად არ  
ლაპარაკობენ, ლექსითი მეტყველება  
ცხოვრებიდან გადახვევაა, მაგრამ ის ამ-  
ავე დროს ამ ცხოვრების ძალიან შთამ-

ბეჭდავი, ე. ი. პოეტური გამოხატაცაა. უკვე ნათქვამს ის უნდა დაუშვათ, რომ ზოგიერთის აზრით, სწორედ ეს პოეტურობა აპირობებს ნაწარმოების, როგორც მხატვრული ფაქტის, სიცოცხლის ხანგრძლივობას: გამძლეა ის, რაც პოეტურია.<sup>1</sup>

აკაკის პროზა გამოირჩევა თავისი სისადავითა და სიმსუბუქით. ასეა ის იმიტომაც, რომ მან შეინისხლბორცა ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო მეტყველება. მრავალი მწერლისათვის ამ მეტყველების გამოყენება იყო ხერხი, რათა სხვა ვინმე ან რაიმე დაეხატა. აკაკის „ბაში-აჩუკი“ მეტყველება იმდენად დაუძალბლად და დაუძაბავად მიიმართება, რომ მას ჩვენ თვით პოეტის ბუნებრივ მეტყველებად ვთვლით ე. ი. ამ მხრივ აქ სრულადაც არაფერი არ ტოვებს ხერხის შთაბეჭდილებას.

აკაკის „ბაში-აჩუკს“ თუ ჯერაც არ აქვს დაკარგული ფასი, ამის მიზეზი იმ მაინცდამაინც რეალურ ამბავში კი არ უნდა ვეძიოთ, რომელიც XVII საუკუნეში მოხდა, არამედ ამბავის პოეტურ განსახიერებაში. აკაკიმ ამ მოთხრობაშიც ბევრი გაკენწლა და ამით ერთგვარად კიდევ გამოათხიზლა მკითხველთა მთვლემარე სხეული. აკაკიმ თავის გრძობათა მაქსიმალიზმს აქ ისე მიადწია, რომ ენამახვილობაშიც კი ზომიერება დაიცვა. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ „ბაში-აჩუკის“, როგორც მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობა ქართული მწერლობისათვის, დიდად აჭარბებს მასში განსახიერებულ ისტორიულ ამბავს: ამ ამბავს აკაკის ნიჭის წყალობით აქვს მოპოვებული განსაკუთრებული ძალა. რასაკვირველია, ამ ნაწარმოების შეფასებაში თავის როლს თამაშობს, რომ აქ ისტორიული ამბავია გადმოცემული, მაგრამ „ბაში-აჩუკი“ 70 წლის წინათ დაიწერა და მისადმი ინტერესი კი დღემდე შეუნელებელია! ისე ეხმარება „ბაში-აჩუკი“ ჩვენს თანამედროვეობას, რომ მას დაკარგუ-

ლი აქვს „ისტორიული ასაკი“ (გამოთქმა ეკუთვნის ნ. პარტმანს) ქვეყნის პოეტურობითაც არის შეპირებული. „ბაში-აჩუკის“ პოეტურ მხარეთაგან ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ამ მოთხრობაში ყველაფერი ერთი-მეორესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული: კირილეს სიზმარში ჩანს მომავალი, არაგვეში შექრილი მხედარის ეპიზოდი პოეტნაციაში გვიდგის მის თავდადასავალს. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ძიების შემთხვევაში ამ ნაწარმოების ყოველ ეპიზოდში აღმოვაჩინოთ მთელი ნაწარმოების სულს. ესთეტიკური ძალა კი ნაწარმოებს მაშინ ემატება, როცა მის „ყოველ წვერში ჩანს ფორმა მთელისა“.<sup>1</sup> მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ნაწარმოების კომპოზიციის ესთეტიკურ კანონზომიერებაზე.

აკაკის „ბაში-აჩუკის“ პოეტურობას მისი დასასრულიც აძლიერებს. არიან მწერლები, რომლებიც თავიანთ მკითხველებს ამ ქვეყნის უსამართლობის, გაუტანლობის, საშინელების წრეში ტოვებენ. ქრება სინათლის სხივი და ხელთ გვრჩება ამბის თვალაზრისით ყოველგვარი პოეტურობისაგან დაცლილი ცხოვრების პროზა. ეს კი არ აადვილებს, აძნელებს სიცოცხლეს, რადგან ცხოვრებაში ბოლოსდაბოლოს ბინძურსა და ქვენას აბატონებს. არსებითად სხვაგვარია აკაკი წერეთელი. მისი ნაწარმოებების დასასრული წამახალისებელია და იმის მაჩვენებელია, რომ ცხოვრება ღირს, რომ ყველაფერს უბედურებისაგან არ მივყავართ და რომ ყველაფერი დაკარგული არ არის... ბედნიერების მოთხოვნისაგან უპასუხებს აკაკის „თორნიკე ერისთავის“, „ნათელას“ დასასრული. ბედნიერებაა შემოსული „ბაში-აჩუკის“ ეპილოგში. მართალია, მრავალი უბედურება გამოუვლიათ აკაკის პერსონაჟებს, მრავალი უბედურება ელით კიდევ, მაგრამ მათ

<sup>1</sup> Джон Дьюи, Искусство как опыт, Ил. М. стр. 158.

სრულიადაც არ შენელებიათ სიცოცხლის სიყვარული. ხოლო სადაც ეს გრძნობა არსებობს იქ გაზაფხულის მოლოდინია ე. ი. სინამდვილისადმი პოეტური მიმართება სუფევს.

ასე იჭრება აკაკი წერეთელი ისტორიაშიც და თანამედროვე სინამდვილეშიც. ასე ახალისებს ის ვითარებას, ანუ პოეტური შინაარსით ავსებს მას. ეს საფუძველს გვაძლევს აკაკის პროზაულ შემოქმედების მაგალითზეც ვილაპარაკოთ ფორმის აქტიუობაზე, ე. ი. ვიგულისხმობ, რომ აკაკის შემოქმედებითი ფორმები მის ნაწარმოებთა შინაარსად აღებულ ვითარებასაც უცვლიანსახეს.<sup>1</sup>

აკაკი ყველა შემთხვევაში პოეტი იყო. მაგრამ მის პოეტობას მოქალაქეობრივი გრძნობები წარმოართავდა და მოქალაქეობრივი იდეალები წინამძღვრობდა. ამიტომ სრულიად კანონიერია კითხვა: რა მიმართებაში არიან ურთიერთთან აკაკის მოქალაქეობრივი მრწამსი და პოეტური არსი ანუ მოქალაქეობრივი გრძნობები და პოეტური სწრაფვა?

ეს კითხვა თავის კონკრეტულ შინაარსს უფრო მაშინ შეიძენს, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ აკაკისათვის ყველაზე ფასეული იყო პატრიოტული გრძნობა, რომელიც იქვემდებარებდა ყველა დანარჩენ გრძნობებს და, რაც პატრიოტიზმთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა ანდა შეუთანხმებელი აღმოჩნდებოდა, აკაკი მას ადამიანის ეთიკურ დეფექტად მიიჩნევდა. ჩვენი პოეტი ხატვდა, ზნეობრივად როგორც ღირსეულ, ისე ნაკლებფასოვან პერსონაჟებს. შეიძლება, ისიც კი ითქვას, რომ აკაკიმ მხოლოდ (ან თითქმის მხოლოდ) ამ პლანში დახასიათებულ პერსონაჟთა შორის მოგვაქცია. მისთვის მთავარია ეთიკური თვალთახედვა, ესაა მისი შემოქმედებითი პოზიცია. აკაკი იმ ხელოვანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც განსაკუთრებით ჰქონდათ გამახვილებული მორალური პასუხის-

მგებლობის გრძნობა. ამას მოწმობს აკაკის ნათელა და ცოტნე, ჰაჯი-უსუფი ბათუ და თვით საფარბეგი, ბიძინა, შალვა, ელიზბარი, მელანო და თითქმის ყველა მისი პერსონაჟი. აკაკის შემოქმედებაში ამ გრძნობის წამყვან მნიშვნელობას ადასტურებს მისი ახმედ-ფაშა კახაბერი, ჯანდიერიც და სხვა მისთანანი. რამდენადაც მწერლისათვის მთავარი მათი საქციელის ზნეობრივი მხარეა.

აკაკის საყვარელი პერსონაჟი ისაა, რომელიც ფზიხელია, როცა საქმე ქცევის ზნეობრივ შეფასებას ეხება. აკაკის ბიძინას, შალვას, ელიზბარს თავს ადგათ მორალური სხივი. მათი გმირობა „მორალური გმირობა“ იყო, და ეს იმიტომ, რომ ისინი არ უხვევდნენ გზიდან, არჩეული მიზნისადმი, მაშინაც კი, როდესაც ეს გზა მათ უეჭველ დაღუპვას უქადადა. მაგრამ არც მართკ ეს მომენტიცაა საკმარისი „მორალური გმირობის“ ცნებისათვის. შეიძლება პიროვნება არ უხვევს გზიდან, უკვე არჩეული მიზნიდან. იმიტომ, რომ შეუძლებელია გადახვევა, რომ მას უკვე აღარ აქვს, ამ გზის გარდა, სხვა გზა. ამ შემთხვევაში დღი არ არის ადამიანის მოქმედების ზნეობრივი ღირებულება. „...ზნეობრივი ღირებულება მხოლოდ იმ ქცევას აქვს, რომელიც იძულების გარეშე ხორციელდება და არა ბუნებრივი აუცილებლობით, ე. ი. შეიძლებოდა სხვაგვარიც ყოფილიყო და არა ისეთი, როგორადაც იგი გვეძლევა“ (ნ. პარტმანი).

მაგრამ ამგვარ შემთხვევებშიც განსხვავებულ სფეროებზე შეიძლება ვრცელდებოდეს პიროვნების ზნეობრივი სიმალღე. მაგალითად, ალუდა ქეთელაურის მორალური სახე უფრო მისი შინაგანი, პიროვნული მოტივიებითაა შეპირობებული, ვიდრე საზოგადოებრივით; თითქმის იგივე ითქმის ჯოყოსას საქციელის შეფასებისას. სრულიად გამოთიშულია პირადული ბიძინასა და მის თანამგრძნობთა საქციელიდან; მათ ქცევას განსაზღვრავს სწრაფვა ეროვნული ღირსების აღდგენისაკენ. და უფრო

<sup>1</sup> ლრ. В. Ванслов, Содержание и форма в искусстве, М., 1956, Раздел III, гл. 2.



იმიტომაც ბრწყინვალე „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟთა ქცევა უფრო იმიტომაც მაღალი მორალის ნიმუში მათი საქციელი, რომ ამ ქცევათა შინაარსი ყოველთვის საზოგადოებრივია. ეს თავგანწირვისათვის მზადყოფი გმირებია, ე. ი. სხვა, — მათ გარეშე არსებულ მიზანს, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, სწირავენ ისინი თავს. მაშინ, როდესაც, მაგალითად, ალუდას შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ ის თავგანწირულია: ალუდას ქცევას მისი პიროვნების შინაგანი მოთხოვნილება განსაზღვრავს, ბიძინას მოქმედება კი მის პიროვნებაში თითქოსდა გარედან შემოსული მოთხოვნისგან არის დაპირობებული, პირველს უკვე აღარ შეუძლია სხვაგვარად მოქცევა, მეორეს კი არ უნდა რომ სხვაგვარად მოქცევა. ასეთია განსხვავება „მორალურ გმირობაში“ „შინაგან შექანიზმთა“ შორის.

აკაკი წერეთელმა უაღრესად ინტიმურ გრძნობებს ეროვნული მიმართულება და მნიშვნელობა მისცა. ეს გრძნობები მან მოქალაქეობრივი შინაარსით აღჭურვა და ამით აიყვანა ისინი ახალ სიმაღლეზე. თავიდან ბოლომდე ასეთია აკაკის „ნათელა“. და ჩვენი თემის თვალსაზრისით ამჟამად საყურადღებო ისაა, რომ „ბაში-აჩუკი“ თავიდან ბოლომდე ასეთია. ინტიმი აქ ისევ პატრიოტულ გრძნობას მიჰყავს: უამისოდ განზორციელებაც არ უწყობს გლახუკი ბაქრაძის გრძნობას წერეთლის ასული-სადმი; აბდუშაჰის ქართველობას აპრობებს მის კეთილშობილებას და ა. შ. და ა. შ. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ „ბაში-აჩუკი“ მხოლოდ დამხოლოდ პატრიოტიზმს ანსახიერებს. ყველაფერის აქამდე დაყვანა ამ ნაწარმოების მოკვლა იქნებოდა, ისევე როგორც დაყვანის შეთოდი კლავს ყოველ ცოცხალ მოვლენას და მით უფრო კი მხატვრულ ნაწარმოებს. „ბაში-აჩუკის“ შინაარსი გაცილებით უფრო მდიდარია: აქ არის ხასიათთა მრავალფეროვნება, სოციალური უკუღმართობის სხვადასხვა სურათი და ბევრი რამ სხვა. იმიტომაც „ბაში-

აჩუკი“ ახალი ნაწარმოები ჩვენი მწერლობისათვის მიუხედავად იმისა რომ მისი იდეა ძველია.

აკაკის თითქმის ყოველ ნაწარმოებს ახლავს პატრიოტული ასპექტი. ასე, რომ აკაკის მთელ შემოქმედებაში პატრიოტიზმი არის ის ზემოცანა, რომელიც ქვეშაირტ მხატვრულ თხზულებაში მსჭვალავს ყველაფერს, მაგრამ ყველაფერს არ ფარავს. აკაკისათვის პატრიოტიზმი არის ეტალონი, რათა ნაწარმოები საზოგადოებაში იხილოს. მისთვის პატრიოტიზმი ადამიანის ზნეობრივი სიმაღლეს კრიტერიუმია ანუ აკაკის ეთიკის მთავარ შინაარსს პატრიოტიზმი შეადგენს. უკეთ, ესაა მისი ეთიკური იდეალი. ამავდროს, პატრიოტიზმი არის მისი მხატვრული შემოქმედების იმდენად მთავარი შინაარსი, რომ შეითხველმა თვით მისი შემოქმედებაც კი შეიძლება ამ გრძნობის ფუნქციად მიიჩნიოს. აქედან ბუნებრივად დგება საკითხი ეთიკურისა და ნაწარმოების ესთეტიკური მხარეების ურთიერთობისა აკაკი წერეთლის მთელი შემოქმედების გასწვრივ, ხოლო ჩვენი საკითხის თვალსაზრისით კი — მისი მხატვრული პროზის მიხედვით.

არიან ავტორები, რომლებიც ურთიერთისაგან თიშავენ ესთეტიკურსა და ეთიკურს. მხატვრული სახე, როგორც ასეთი, თავისუფალია ეთიკური მომენტებისაგანო. ამტკიცებდა ბენედეტო კროჩე: „მხატვრული სახე წარმოგვიდგენს აქტს, რომელიც ღირსია მორალური ალტაცებისა ანდა გაკიცხვისა; მაგრამ ეს სახე თავისდათავად არც მორალურ ალტაცებას იწვევს და არც გაკიცხვას“. კროჩე ილაშქრებდა ხელოვნებაში ეთიკური თეორიის წინააღმდეგ და უსაფუძვლოდ თვლიდა ამ თეორიის მიმდევართა ცდას ხელოვნების მიზნად მიეწინათ ზნეობის გაუმჯობესება, ადამიანთა განკარგება და გაკეთილშობილება. „ყველაფერი ეს, — ამბობს კროჩე, — ხელოვნებას გეომეტრიულად უფრო მეტად არ შეუძლია, რომელიც სრულიადაც არ კარგავს თავის მნიშვნელო-

ბას იმის გამო, რომ არ ძალუძს ეს; გაუგებარია ისიც, თუ რატომ უნდა აკეთებდეს ამას ხელოვნება“<sup>1</sup>. ამგვარი მსჯელობით სურდა კროჩეს იმის დამტკიცება, რომ ხელოვნება დამოკიდებულია მეცნიერებისა და ზნეობისაგან.

ესთეტიკური შეფასებიდან ეთიკური თვალთახედვის გამორიცხვა დამახასიათებელია ხოზე ორტეგა ი ვასეტის კონცეპციისათვის. ეს თანამედროვე ხანის საკმაოდ ცნობილი ფილოსოფოსი და ესთეტიკოსი, ავტორი შრომისა „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“ — წერს „ვახარება და თანაგრძნობა აღამიანთა იმ ზვედრით, რომელსაც, ვთქვათ, ხელოვნების ნაწარმოებში გვიჩვენებენ — რაღაც საცესებით განსხვავებულია ჰუმანიტად მხატვრული ტკბობისაგან. უფრო მეტიც, ეს სიმპათიები რომლებიც დაკავშირებულია აღამიანურ ელემენტთან ხელოვნების ქმნილებაში, პრინციპში შეუთავსებელია მკაცრ ესთეტიკურ აღტაცებასთან“<sup>2</sup>.

ასეთი მიდგომა მხატვრული მოვლენებისადმი სრულიადც არ არის დამარწმუნებელი მათთვისაც კი, ვინც არ დგას მატერიალისტური ესთეტიკის პოზიციასზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანტიური ხანის ფილოსოფოსებით (დე მოკრიტი, პლატონი, არისტოტელი) დაწყებული და დამთავრებული ჰეგლით, — ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა ხელოვნების ეთიკურ მიზნებსა და მნიშვნელობას. ეს მომენტი არსებითად მიაჩნდა ხელოვნებისათვის ლესინგს.

1. შტრ. კროჩეს შეხედულების ინტერპრეტაციას კატარინ ჰილბერტის მიერ, როცა იგი წერს, რომ კროჩეს მიხედვით „ხელოვნება არ არის დაკავშირებული ჰუმანიტეტის ანდა ზნეობის ცნებებთან“, „ხელოვნება, როგორც ასეთი, თავისუფალი უნდა იყოს მეცნიერული ეკონომიური და ზნეობრივი ფუნქციისაგან“. К. Гильберт, Г. Кун, История эстетики, стр. 417-578.

<sup>2</sup> Хозе Ортега и Гассет. Дегуманизация искусства, Совр. кн. по эстетике, стр. 448.

მატერიალისტური ესთეტიკის ფუძემდებელთათვის ესთეტიკური და ეთიკური ერთ მთლიან რთულ ფენომენს წარმოადგენს, თუმცა ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს საჭიროებისდამიხედვით მათ ცალკალკე განხილვას. ესთეტიკური საგანი ცოცხალი ერთეულია და, მაშასადამე, მისი შესწავლანიირნაირი კუთხით არის შესაძლებელი და საჭირო. „სიცოცხლეს ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ნამდვილ, ცოცხალ არსებებში, ხოლო განყენებული, ზოგადი აზრები არ შედიან სიცოცხლის სფეროში“. ეს ნიშნავს, რომ ეთიკური პრინციპები და ზნეობრივი ნორმები თავისთავად მხატვრული ობიექტები არ არის, მაგრამ ასეთად ისინი იქცევიან, როგორც კი ინდივიდუალურ სახეს მიიღებენ, ე. ი. სიცოცხლეს შეიძენენ. ბუროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეთიკურ იდეალს შეუძლია ცალკე არსებობა, როგორც ზნეობრივი განვითარების სრულ სახეს, მაგრამ არც ეთიკურ იდეალს, არც სიცოცხლის ფიზიკურ სისრულეს არ შეუძლიათ შეადგინონ სრულფასოვანი ესთეტიკური იდეალი: მხოლოდ მათი ერთიანობა შეადგენს მას“<sup>1</sup>.

აკაკის მთელი შემოქმედების მოტივს ეთიკური იდეალი წარმოადგენდა. ეს იდეალი კონკრეტულ შინაარსს გმირების ძიებით ივსებდა. აკაკი ეძახდა, უყიოდა გმირებს. ის ენერგიულად, ბუჩითად იწვევდა მათ და ცხადი ვახლად მკითხველებისათვის, რომ მის ეპოქას მოქმედების იდეა ასულდგმულედა. შეიძლება ითქვას, რომ გმირობის გზაზე აღამიანების დაყენება იყო აკაკის შემოქმედების მამოძრავებელი იმპულსი. ამ გმირობას, რომელიც ერთმთლიან, დაუნაწევრებელ პიროვნებაში სახიერდებოდა, აკაკისათვის ორი ასპექტი ჰქონდა: ეთიკური და ესთეტიკური. პრაქტიკულად ძნელია მათი გამოყოფა ერთ-ერთისაგან ისე, რომ თითოეულმა ფერი არ იცვალოს. ეს შესაძლებელი

<sup>1</sup> А. И. Буров Эстетическая сущность искусства, стр. 250.

უფრო იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ პერსონაჟის ზნეობრივი დონე და გარეგანი სახე ერთიმეორეს დაუპირისპირდებოდნენ (მაგალითად, უშნო, მაგრამ ზნეობრივად ფაქიზი პიროვნება), მაგრამ აქაცის შემოქმედებაში ეს ასე არ არის. „ბაში-აჩუქს“ ჭაბუკურ მომხიბლველობას პირდაპირ შეესაბამება მისივე ზნეობრივი მომხიბლველობა; პირიქისას და პირიშთაფრისას ფიზიკური ილაშაზე მათი ზნეობრივი თვისებების გამოსატყულება. ასე ითქმის აქაცის პროზის (და, რასაკვირველია, არა მართო პროზის) თითქმის ყველა გმირზე. ე. ი. ზნეობრივი და ფიზიკური ერთიანობის პრინციპია დატული აქაცის პოეტურ იდეალში. ფიზიკურ სიმამინჯეში მას უჭირდა სულიერი სილაშაზის დანახვა, აქაცისათვის ფიზიკური სილაშაზე ზნეობრივი ღირსების ერთგვარი პირობა იყო. ეს მომენტიც მიუთითებს აქაცის პოეტურ ბუნებაზე, რამდენადაც პოეტურობა იდეალთან მიახლოვების წყურვილს გამოხატავს — ზოგჯერ სინამდვილის უტყუვრად გადმოცემისდა საზიანოდაც კი. ასეთი გზა არაჩვეულებრივობის და გადაჭარბების ერთ-ერთი ფორმაცაა, რომლის ფუნქცია ისიც არის, რომ ამ სახით მეტ ინდივიდუალობას იძენს რომელიმე თვისება და მთელი არსებაც უფრო გამოკვეთილად წარმოგვიდგება. ამის ნიმუშია თავგადისავალი გლახუკი ბაქრაძისა და აბდუშაპილისა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და თავგანწირული ერისთავებისა. ეს არის ინდივიდუალიზაციის გზა ხელოვნებაში, რომელიც კი არ ამცირებს, არამედ ზრდის მოვლენათა სოციალურ კოეფიციენტს. დიდი გამოჩაყლისის შთაბეჭდილებას აბდენს პირიშთაფრისას დაღუპვა. ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა, დაუჯერებლობასთან მიახლოვებული ტრაგედია. და, იქნებ, სწორედ იმის გამო, რომ გაუგონარი მორალური სიმაღლე ჩანს პირიშთაფრისას ქცევაში, მის დაღუპვას ამაოდ არ ჩაუვლია, მას დიდი სოციალური მნიშვნელობის ნაყოფი შოაქვს. ეს მოქმედება, — ისევე, რო-

გორც შინაარსი ბიძინას, შალვას და ელიზბარის მოქმედებისა. პიროვნულ ქცევას ეროვნული ქცევის აზრს ანიჭებს; ასეთი ქცევა ნიმუშია იმისა, თუ სიმტკიცის როგორი გარანტიები მიეცემა ეროვნულ სხეულს, როცა ცალკეული ადამიანისათვის შეუძლებელი იქნება მშობლიური წიაღიდან ამოგლეჯილი ფეხების გადგმა სხვა ნიადაგში. ასე იკვეთება ინდივიდუალური მოქმედების სოციალური მნიშვნელობა, და ამას აბერზებს ხელოვნება. ინდივიდუალის ცნობიერებაში ეროვნული ცნობიერების დამკვიდრების მოთხოვნა მთავარია აქაცის მთელ შემოქმედებაში. ეს აქაციმ გარკვეულად გადმოგვცა შაპ-აბაზის სიტყვებში: „აი სად ვიგარქენ ჩემი უძღურება... ერთზე ათი მომყავს, ათზე — ასი და მაინც ვერასა ვხდები!... რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?... ხალხი, რომელსაც სხეული ვაუჯაყებია და სული აუმაღლებია, საშიშია!...“ ვითარების ამგვარ გააზრებას ზმირად უბრუნდება აქაცი. ასეთია, მაგალითად, ჯერ კიდევ მელანოს საქციელით აღტაცებული აბდუშაპილის სიტყვები — „აი, სად ყოფილა ხანია ქართველები გვიძკვალდებიან“.

ასე შეადგულა აქაციმ ურთიერთს ეთიკური და ესთეტიკური.

როდესაც ჩვენ მის „ბაში-აჩუქს“ ვუდგებთ ესთეტიკური თვალსაზრისით, სრულიად შეუძლებელი ხდება ეთიკური შეფასებისაგან გამოთიშვა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ აქაცის ესთეტიკური უღელის რეალიზაცია მხოლოდ ეთიკური სრულყოფის საფუძველზეა შესაძლებელი.

რასაკვირველია, „ბაში-აჩუქსში“ კარგად არის დახატული ჯანდიერის სახე. ის არის თაღლითის, შედარებით „დანვეწილი“ თაღლითის ტიპი. შესანიშნავად ჩანს ეს ჯანდიერისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის საუბარში. ბიძინას ესტუმრა ჯანდიერი, ირანელებთან დაახ-

ლოებას ურჩევდა: „მე მხოლოდ შენი ანარქებულობა მაკვირვებს!... უთხრა მან ბიძინას. ღვთის მოცემული ყოველიღერი ბევრი გაქვს... ჭკუა არ გაკლია და გონება! ბედიც გწყალობს, მაგრამ შენ კი შენი თავის მტერი ხარ! მოთქვამს და კიდევ გეტყვი, რომ აქ, სასახლის კარზე, ბედნიერება მოგვლის და შენ კი აქ მოგვეყვია ნაცარქვეისავეით!... რას ჩააველი ამ ახმეტას? სად გაგექცევა, შენი არ არის? კაცობა ის არის, რომ შორიდან მოიხვეჭო“. — კაცია და გუნება, ბიძაჩემო! მე აქაც კმაყოფილი ვარ! ცოტა წმინდა მირჩენია ბევრი უწმინდურს! — უწმინდურს?! როგორ თუ უწმინდურს?! მაშ ჩვენ სულ გასვრიალები ვყოფილვართ, სასახლის კარზე ვანცა ვართ? — მე მხოლოდ ჩემ თავზე მოგახსენებთ. შემცდარი ხარ! შეხედე სხვებს, როგორ ხმარობენ დროს და რარიგად ცხოვრობენ! დმერთმა ნუ მოგვიშალს ყვენის თავის მზე! დღეს მისი წყალობით, ავად თუ კარგად, ქვეყანა პურსა სჭამს. — ჰმ!.. შინ ლუკმას გვეცილიან პირიდან და გარედან კი ნასუფრალს გვიყრიან ძალღებავით. — რომ ეგვეც აღარ გვექნეს, ზომ შიმშილით ამოვწყდებით?! — უწმინდურს სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მირჩენია და სანამ მოგვედებოდე, მანამდე მაინც კიდევ ვეცდები, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო. — გვიანდა არის, ჩემო დისწულო!.. ძალა აღმართს ხნავს, არ გავიგონია? ეგრე აღარ ჰვიქრობს ქვეყანა და შენ ერთი, მარტო, რას გააწყობ? ნათქვამია: „ერთი შერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო“.

როგორც ვხედავთ, ჯანდიერის მსჯელობა არის ნიღაბფარებული, ობიექტური მიზეზების მოშველიებით შეღავაზებული, მაგრამ შინაგანად უსირცხვილო მსჯელობა; ეს არის სანიმუშო მსჯელობა თავიერძა კაცისა, რომელიც მით უფრო სახიფათოა, რომ ვითარებით იმართლებს თავს და, აკაის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დროს შეპყურებს!.. ხან

წალმა ხნავს და ხან უკულმა ჰფარავს ხავს? —

ანალოგიური, მაგრამ უფრო ზღაპრული ხედებული ტიპია სვიმონ მაყაშვილი. ამ მაყაშვილის შესახებ აკაის უწერიარომ იგი „როგორც გაიძვერა და გაუტანელი კაცი, ყველას სძულდა. თეირანში იყო გამოხრდილი ყმაწვილობიდანვე და ერთს დროს დიდი ადგილიც ეჭირა სასახლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე გადაუბრუნდა ფეხი და შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისაკენ, და მას შემდეგ უმნიშვნელოდ დაეხეტებოდა აქეთ-იქით. დიდკაცობისა და მტარვალობის ნაჩვენებს მოსვენება აღარ ჰქონდა და სულ იმაზე ჰფიქრობდა, თუ როგორ დავიბრუნო ძველი დრო და დიდებო. თარეშობის დრომ ხელი მოუშარტა მის მოუსვენარ სურვილს და ხელმოკრედ გამოიყვანა სარბიელზე; მთავრობამ მთავარ მეთვალყურედ დანიშნა, დიდების მძიბებელი და უფლებაშეუსახლდერი მოხელეც მაშინვე შეუდგა საქმეს... „მთავრობა უწონებდა მკაცრობას და ავლიანებდა მტარვალს: ამგვარმა მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაირა ... სამსახური იმდენად მოუწონეს და დაუფასეს მაყაშვილს, რომ ყვენმა გული მოიბრუნა და პირველი ხალათი უბოძა“.

შეუძლებელია არ ვცნოთ მხატვრული ღირებულება ამ აკაისეული ეპიზოდებისა, მაგრამ ისიც სრულიად უეცველია, რომ მათ აკლია ის ესთეტიკური სიმაღლე, რომელსაც აკაკი სხვა ეპიზოდებში აღწევს (კირილეს სიზმარი, შუაქთის მონასტრის დარბევა, აბულშაჰილის შეხვედრა პირიშესთან და სხვ.). ამის მიზეზი უთუოდ ისაა, რომ პერსონაჟის ეთიკური სიმდიდრე აკაის პროზის ესთეტიკურ ღონეზეც მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს მოცემული ჩვენს აღქმაში.

აკაის მოქმედების ანალიზისას ყოველთვის წამოიწევა ეთიკური ფენა. ბუნებისადმი მიმართებაც ეთიკურ პლანშია მასთან გადაწყვეტილი. პატრიოტული გრძნობის სავეცობას მან იმითაც

მიადწია, რომ ამ გრძნობაში ჩართო ბუნება. მან სამშობლოსადმი სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობა იმთავაც აღრმა, რომ მისი სილამაზით აღტაცებას უპოვა გამოხატულება (გავიხსენოთ მისი „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“...), „ბაში-აჩუკში“ ბუნება ვრცლად არ არის წარმოსახული, მხოლოდ რამდენიმე ადგილას გვხვდება მისი სურათი. ეს ადგილებია პირველი თავის დასაწყისი — აღიდებული არაგვის აღწერას რომ შეიცავს, რამდენიმე ფრაზა შეხუთე თავის დასასრულს („ამ დროს თავი ამოპყო გადაღმიდან მთვარემ... ნელ-ნელა გადმოეშვა მთის წვერებზე. სამკურნალოდ მიჰფინ-მოჰფინა სხივები ცა და ქვეყანას, გამოადვიდა სიბნელეში სულგანაბული არემარე. დაჰქროლა ნიავმა, აბიბინდა მდელი, აშრიალდნენ ფოთლები, შეიარხნენ ბუჩქები და ერთხმად შეუქიკვიეს ბულბულეზებს:.. ბნელით გამოსულმა ქვეყანამ სული მოიბრუნა და დანაღვლიანებულ ბიძინასაც გული დაუტკბო“) და საერ-

თო თხრობაში აქა-იქ ჩართული წინადადებები. სადაც კი ბუნების სურათის მოწოდების ცდაა, იქ აკაკის გრძნობებია პროექცირებული, ეს გრძნობები კი ყოველთვის პატრიოტული შინაარსისაა. სადაც პატრიოტიზმია, იქ აკაკის აღტაცებაა და პერსონაჟის ზნეობრივი-სიმაღლით მოხიზლვა; სადაც პატრიოტიზმიდან გადახვევაა იქ აკაკის გააცხება და თუ პატრიოტიზმის შეგნებული ლაღატის ნიშნები გამოჩნდა, აკაკის აღშფოთებაც თავის მწვერვალს მიაღწევს.

აკაკის სრულიად არ სჭირდებოდა სავანებო დაძაბვა იმისათვის, რომ თავისი გრძნობების შესატყვისი ფორმები ეპოვნა. ეს ეტყობა აკაკის პროზას: ისე თავისუფლად მიმდინარეობს თხრობა, რომ მას არ ამჩნევია ძალდატანების რაიმე კვალი.<sup>1</sup>

უთუოდ ესაა მიზეზი, რომ თვითონ აკაკი განუშეორებელ პოეტად დარჩა და ღარჩება, თუმცა მრავალი ბაძავედა მას და კვლავაც მიბაძავს.

<sup>1</sup> სამწუხაროდ, არ არსებობს „ბაში-აჩუკის“ ხელნაწერები და ამიტომ მოკლებული ვართ ფაქტობრივ მასალას ვერცერთ ზემოთქმულის სისწორე (სხვადასხვა გამოცემა კი ლექსიკურს, უფრო კი ორთოგრაფიულ სწორებათა შემოხვევებს გვიდგენს. მაგრამ არსებობს „პატარა

ტარიელის“ ხელნაწერები და იქაც მხოლოდ ასეთ არარსებით ჩასწორებულს ვხვდებით. იგივე ითქმის მის „ნამდვილ ამბავზე“ და სხვაზეც. (იხ. აკაკის თხზულებათა VII-VIII ტომები, 1958, ვარიანტები).

ბენო შოთაშვილი

### კ. ზღანევიჩის „ნიკო ფიროსმანიშვილის“ გამო

რაც დრო გადის ფიროსმანის ცხოვრება და შემოქმედება უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, მისი სახელი თანდათან იზრდება და ნათელი ხდება მისი დიდი როლი ქართულ სახვით ხელოვნებაში.

უკანასკნელ დროს მისი სახელი საქართველოს საზღვარსაც გასცდა და იგი აღიარებულია საერთაშორისო მნიშვნელობის მხატვრად.

მისი შემოქმედება ბრწყინვალედ დაიხასიათა ფრანგმა კრიტიკოსმა ეან ა. კეიმმა, რომელმაც სხვათაშორის თქვა:

„ყოველ დროს, ყველა ქვეყანაში იყვნენ მხატვრები, რომელთაც არ ჰქონდათ სპეციალური მხატვრული ცოდნა, ცდილობდნენ მარტივი საშუალებებით გამოეცათ სამყაროს თავისებური ხილვა. ისინი არ მოითხოვდნენ, რომ პროფესიონალ მხატვრებად ელიარებიანთ, არც იყვნენ პროფესიონალები, ვინაიდან მათი შემოქმედება არ უპასუხებდა იმ დროის მხატვრულ კანონებს. ამიტომაც მათ მხატვრობას არ თვლიდნენ ნამდვილ შემოქმედებად. მაგრამ, აი, ნახევარი საუკუნის წინათ, აღორძინების ეპოქის შემდეგ, პირველად შეიჩა აკადემიური ფერწერის ურყევი კანონები, და მანამდე უგულვებელყოფილი ხალხური ხელოვნება აღიარებულ იქნა მხატვრულ ღირებულებად და მიენიჭა მას არსებობის უფლება.

ასეთ სახალხო მხატვართა შორის, — ამბობს კრიტიკოსი, — ყველაზე გამოყენილი არის ფერწერული ნიკო ფი-

როსმანიშვილი, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ ფიროსმანი“.<sup>1</sup>

ეს საერთაშორისო აღიარება ფიროსმანისა კიდევ უფრო გვაძლავს მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ მისდამი, თვალი გადავაგლოთ მის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს, ვაფშინდოთ აპოკრიფული და შემთხვევითი ცნობებისაგან. შევავსოთ დღემდე უცნობი, ან ნაკლებ ნაცნობი მასალით, ახლებურად შევფასოთ მხატვრის თავისებური და განუმეორებელი შემოქმედება.

უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებით საკმაოდ ინტენსიური მუშაობა გიშალა. გამოქვეყნდა მრავალი საინტერესო მასალა, რომელთა შესწავლა და დახუხუტება კარგ საფუძველს იძლევა მეცნიერულად დამუშავებული ნაშრომის გამოსაცემად ფიროსმანის შესახებ.

ეს ნაშრომი არ უნდა იყოს არც მოგონებების კრებული და არც სადავო საკითხებით გადატვირთული გამოკვლევა. იქ თანამიმდევრულად უნდა გაეცნოს მკითხველი როგორც მხატვრის ბიოგრაფიას, ისე მის შემოქმედების თავისებურებასა და მის ადგილს სახვით ხელოვნების ისტორიაში.

ამ ნაშრომში ნათლად უნდა ჩანდეს ზღვარი ერთი მხრივ შემოწმებულსა და დაუსტებულს, მეორე მხრივ საეჭვო და საკამათო ცნობებს შორის. ასე რომ, ის უნდა იძლეოდეს სისტემაში მოყვანილ ცოდნას მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ამგვარ ნაშრომს მოელოდა საზოგა-

<sup>1</sup> იხ. „უნესკო კურიერ“ 1962 წ. ოქტომბერი.

დოება მხატვარ კირილე ზდანევიჩისა-  
გან, რომელიც 1963 წლის ბოლოს გა-  
მოვიდა. მისი გამოცემა უდავოდ მისა-  
სალმებელი მოვლენაა, ერთი, იმიტომ,  
რომ ფიროსმანზე წიგნის გამოცემა მა-  
ჩვენებელია იმ დიდი ინტერესისა, რო-  
მელსაც ხალხი იჩენს ფიროსმანისადმი  
და მეორეც, მისი ავტორი ყველაზე  
უკეთ იცნობდა ფიროსმანს, იცოდა მი-  
სი გზა და კვალი, მონაწილეობას იღებდა  
იმ ახალგაზრდების საქმიანობაში, რომ-  
ლებმაც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის  
ათიან წლებში ყურადღება მიაქციეს  
მხატვრის შემოქმედებას, პრესაში გა-  
მოაქვეყნეს წერილები და ფიროსმანი  
გამოაცხადეს დიდ სახალხო მხატვრად;  
რაც მთავარია, ამ ჯგუფის დახმარებით  
კირილე ზდანევიჩმა იმთავითვე იწყო  
ფიროსმანის ძირითადი ნაშუაგვრების  
შეგროვება და პატრონობა, რითაც  
ბევრი მათგანი გადაარჩინა აშკარა და-  
ღუპვას.

ცხადია, რომ ასეთი ადამიანის მიერ  
შტრუწველობით შეგროვილ მასალებს  
დიდი ყურადღებით უნდა მოვეციდეთ,  
მით უფრო, რომ ეს შტრუწველობა გა-  
მოწვეული იყო ფიროსმანისადმი განუ-  
ზომელი სიყვარულითა და უანგარო,  
ფაქიზი გრძნობით. ამ ნაშრომში, რო-  
გორც მოსალოდნელი იყო, მოცემულია  
ბევრი ფრიალ საინტერესო და ძვირფა-  
სი მასალა. ცოცხლად და მხატვრული  
ერუდიციით არის მოთხრობილი ფირო-  
სმანის ცხოვრება და შემოქმედება. საქ-  
მის ცოდნით არის გაშუქებული მხატ-  
ვრის შემოქმედების თავისებურება და  
მრავალფეროვნება, მისი პატრიოტიზ-  
მი, გულწრფელი მეგობრობა.

მართალია, ყოველივე ეს არსებითად  
იმ მოკონების ვაფართოებულ ვარიანტს  
წარმოადგენს, რომელიც მან ჯერ კი-  
დევ 1926 წლის მონოგრაფიაში გამო-  
აქვეყნა, მაგრამ იმდენი დამატებითი მა-  
სალით არის შევსებული, რომ ვერც ერ-  
თი მკვლევარი, რომელიც კი მოისურ-  
ვებს ფიროსმანის შემოქმედების შეს-  
წავლას, გვერდს ვერ აუღლის ამ ცნო-  
ბესა და მათში გაბნეულ დეტალებს.

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე გარემო-  
ებაც, ჩვენ დარწმუნებულს  $\text{წგვრევიწკჷკჷკჷ}$   
თუ კი ახალი მონოგრაფია გამოიცემო-  
და ფიროსმანის შესახებ, იქ უშუალოდ  
იქნებოდა გამოყენებული ახლად აღმო-  
ჩენილი მასალები და მკითხველი უფრო  
დაზუსტებულ და შემოწმებულ ცნო-  
ბებს მიიღებდა, ვიდრე ეს იყო 1926  
წლის გამოცემაში.

ეს ასე არ მოხდა. ფიროსმანის დაბა-  
დების ასი წლის თავზე ჩვენ მივიღეთ  
უფრო მოკონებების წიგნი, ვიდრე კრი-  
ტიკულად და მეცნიერულად შემოწმე-  
ბული ნარკვევი.

მაგალითად, როდესაც ავტორი ლაბა-  
რაკობს ილია ზდანევიჩის წერილის შე-  
სახებ, სადაც ფიროსმანაშვილი აღიარე-  
ბულია ნიჭიერ სახალხო მხატვრად, იგი  
ამბობს რომ ამ წერილმა, რომელიც  
1912 წელს გამოქვეყნდა, „საზოგადოე-  
რის საშინელი რეაქცია გამოიწვია“, მა-  
გრამ როდის, სად და რა ფორმაში გა-  
ძოვლინდა ეს, ამაზე ავტორი არაფერს  
გვეუბნება (გვ. 12).

სხევე დაუსაბუთებლად ქდერს ავტო-  
რის მტკიცება იმის შესახებ, რომ „სა-  
ზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ყანჩე-  
ლმა მოათავსა პრესაში გაბედული წე-  
რლი ფიროსმანაშვილის დასაცავად...  
სომეხმა პოეტმა ყარა-დარვიშმა ნიკო  
ფიროსმანაშვილი გამოაცხადა ქართუ-  
ლი საბჭოთა ხელოვნების ნაციონალუ-  
რი ტრადიციების უდიდეს გამგრძელე-  
ბლად და ჩვენი ეპოქის საუკეთესო მხა-  
ტვრად. სომხურ პრესაში მოთავსებუ-  
ლმა მისმა წერილებმა ცხოველი კამათი  
გამოიწვია. დიდი ინტერესი ფიროსმანა-  
შვილისადმი უფრო განვითარდა 1913-  
1914 წლებში“ (იქვე.)

ცხადია, რომ ყველა ეს ცნობები ახალ  
შუქს ღვნიენ ფიროსმანაშვილის ცხოვ-  
რებასა და შემოქმედებას, მაგრამ სათა-  
ნადო დასაბუთებისა და დაზუსტების  
გარეშე ამ ცნობების მიღება შეუძლე-  
ბელია.

არა ნაკლებ საგულისხმოა ავტორის  
მიერ გამოქვეყნებული ცნობები ფი-  
როსმანის გარდაცვალებაზე და ამ ამბის

გამო საზოგადოებრიობის რეაგირებაზე.

ნ. ფიროსმანაშვილი მოკვდა ისე, რომ ეს საწუხარო ამბავი არავის არ გაუგია. სრულიად შემთხვევითაა აღამიანებმა ჩიბარეს მიწას, არც ერთი წერილი არ ყოფილა გამოქვეყნებული მისი გარდაცვალების გამო. მის სიკვდილს არ გამოუწვევია დიდი გულისტკივილი, რადგან ეს არც არავის გაუგია.

კირილე ზდანევიჩი გვარწმუნებს, რომ „ნიკო ფიროსმანაშვილის სიკვდილმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოში. მხატვრისადმი მხურვალე სიკმათიამ შეარხია საზოგადოებრიობა. ქართულმა, რუსულმა და სომხურმა ჟურნალ-გაზეთებმა მოათავსეს სტატიები საოცარ აღამიანზე — ხელოვნებისათვის წამებულ ნიკოზე“. (გვ. 42) ან კიდევ:

„ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა ხალხში დიდი გულისტკივილი გამოიწვია. ნიკოს ხელოვნების ყველა თაყვანისმცემელი მის სიკვდილში დამნაშავედ თვლიდა თავს“. (გვ. 42).

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფიროსმანის პირველი ბიოგრაფის ტიციან ტაბიძის წერილი გამოქვეყნებული იმ მონოგრაფიაში, რომელიც სახელგამმა გამოსცა 1926 წ. ტ. ტაბიძე წერდა:

„ფიროსმანის ცხოვრების დაწერა ისე ძნელია, როგორც იმ ძველი ოსტატების ბიოგრაფიისა, რომელთაც ოდესღაც საქართველო აავსეს თავიანთი ღვაწლით“...

„ყველაფერი, რაც ნიკო ფიროსმანის მიწიერ ცხოვრებას შეეხება, მოცულია საიდუმლო ბურუსით“...

„ჩვენ არ მოგვეპოვება დღეს-დღეობით არავითარი დალაგებული მასალა ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ“...

„ჩვენ გვიხდება სრულიად შემთხვევითი მასალებით და უცხო პირთა ნაშრომით აღდგენა ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა...“

კ. ზდანევიჩიც ხომ ასევე იმეორებდა თავის წერილში, რომელიც იმავე მონოგრაფიაში გამოქვეყნდა.

მართალია, ამ მონოგრაფიის გამოცემის შემდეგ დიდი დრო გავიდა, დროთა განმავლობაში ფიროსმანის შესახებ ბევრი ახალი მასალაც აღმოჩნდა და გამოქვეყნდა, ბევრი სადავო საკითხი შექოწმდა და გადაიჭრა, მაგრამ იმ ნაწილში, რომელსაც კ. ზდანევიჩის მიერ მოწოდებული ცნობები ეხება, არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ამ საკითხის სწორად წარმოდგენას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფიროსმანის ბიოგრაფიისათვის, არამედ იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულების განსაზღვრისათვისაც მხატვრის მიმართ.

• • •

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ფიროსმანის ხასიათის გასათვალისწინებლად, არის ის აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა მხატვრის ცხოვრებაში.

ჩვენ თუმცა არ გვაქვს საშუალება უფრო ვრცლად შეეჩერდეთ ამ საკითხზე, მაგრამ იმისათვის, რომ შეიტხველისათვის გასაგები გახდეს ჩვენი აზრი, მაინც ცოტა შორიდან მოვეხედება დაწყება, სახელდობრ იქიდან, როცა ფიროსმანმა თავი დაანება, როგორც რკინისგზაზე სამსახურს, ისე რძით ვაჭრობას.

ამ დროიდან თბილისის სარდაფებისა და სამიკიტნოების დანორტიებული კედლები ცოცხლდება მისი ჯადოსნური ფუნჯით. მოქვიფე ხალხის თვალწინ იშლება საქართველოს მომხიბლავი ბუნება და ცხოვრება თავისი ბალვენახებით, მარნებითა და სავსე ქვევრებით, დღეობებითა და ქორწილებით, თავადების გაშუდმებული ქეფითა და გლეხების მომწანცავი შრომით. აქა-იქ კედლებზე ელავენ ჩვენი დიდებული აღამიანების პორტრეტები, ისტორიული გმირები, სამშობლოსათვის თავდადებულნი. ზოგან საოცარი თვალებით იყურებიან რქაგაშლალი ირმები, ფეხმარდი შველები, მრისხანე ლომები, მეოცნებე ნიამორები და შავი და თეთრი დათვები. ზოგიერთ



კედლებზე ორთაჰალის ტურფები ელი-  
ან მუსტრებს, ბალებიდან მოისმის არ-  
ლანის ჭყვიტინი და შმაბიჭების შეძახი-  
ლები. ყანწები გადადის ხელიდან ხელ-  
ში. მიწიდან ამოდის სავესე ქვევრები  
და მოქეიფების გვერდით დგებიან.  
ვაზის ხეივანებში სუფრათა გამოლილი და  
ხედ შოთის პურები, კიტრები და წითე-  
ლი ბოლოვი, მოხარულ დედლებ-  
თან ერთად ჩამწკრივებულან. სუფრის  
ძირას ლოთებივით მიყრილან სავესე ტი-  
კები და იქვე აყუდებული მწვადების  
სუნით ტყებებიან.

ყველგან თავისებური ხედვა, თავისე-  
ბური ფერები და გამოსახვის უცნაური  
ხერხები.

მიკიტნებისა და ხელოსან-ვაჭრების  
„სოციალურ დაკვეთას“ მხატვარი პირ-  
ნათლად ასრულებს. ისინიც აფასებენ  
მის ნიქსა და ოსტატობას, უფლიან მას  
და ზრუნავენ მასზე, ლუკმა პურსა და  
ხელადა ღვინოს არ იშურებენ მისთვის.  
მხატვარი კმაყოფილია. ასე მიდიოდა  
მისი დღე და წუთისოფელი მანამდის,  
სანამ 1912 წელს თბილისს არ ეწვია  
ახალგაზრდა მწერლებისა და მხატვრე-  
ბის ერთი ჯგუფი, რომელთა შორის იყო  
პოეტი ილია ზდანევიჩი. სტუმრებმა  
ჩვეულებისამებრ მოინახულეს ქალაქის  
გასართობები და დროს გასატარებელი  
ადგილები. როდესაც ერთერთ ბალრეს-  
ტორანში ნიკოს სურათები ნახეს, გაო-  
ცებულნი დარჩნენ. გაეცნენ უცნობ მხა-  
ტვარს, ზოგიერთი მისი სურათი წაიღეს  
მოსკოვში იმ გამოფენისათვის, რომელ-  
საც აშხალებდნენ „მიშენის“ (სამიზნე)  
სახელწოდებით და თან წერილი გამოა-  
ქვეყნეს „მოსკოვსკაია გაზეტაში“ 1912  
წლის შემოდგომაზე.

ილია ზდანევიჩი დარჩა თბილისში,  
დაუახლოვდა ფიროსმანს და თბილი-  
სის რუსულ გაზეთ „ზაკავკასკაია რეჩ-  
ში“ მოათავსა წერილი, სადაც ამხილა  
ქართველი ინტელიგენციის მიუტევებე-  
ლი ვულგარილობა ფიროსმანისადმი. ეს  
იყო პირველი წერილობითი წყარო  
მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედე-  
ბაზე. წერილში ნაჩვენები იყო ფიროს-

მანის მისამართი და ბოლოს ასეთი მი-  
ნაწერი ქონდა: „შეიძლება ახლად შენე-  
დანიტრესდეს ვინმე და მონაწილეობა  
მიიღოს მის ზედ-იზბალშიო“. ამავე  
დროს ჯგუფის ერთმა წევრმა მხატვარ-  
მა ლე-დანტიუმ საფრანგეთის პრესა-  
შიაც მოათავსა აღფრთოვანებული ცნო-  
ბა ფიროსმანის შესახებ.

ვერც ილია ზდანევიჩისა და ვერც შო-  
რულ საფრანგეთში გამოქვეყნებულმა  
წერილებმა ვერ გასტეხეს საქართველო-  
ში არსებული სიჩუმის ყინული. ასე  
გაგრძელდა მანამ, სანამ საზღვარგარე-  
თიდან არ დაბრუნდა თბილისში ახალ-  
გაზრდა მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე  
(1916 წელს).<sup>1</sup> მოსელისთანავე დ. შევარ-  
დნაძე შეუდგა ქართველ მხატვართა შე-  
კავშირებას, მხატვართა საზოგადოების  
დაარსებას, მან მხატვართა სიაში ნიკო  
ფიროსმანაშვილიც შეიტანა.

ამ მხატვართა შორის მგზნებარე ტემ-  
პერამენტითა და პროგრესული აზროვნე-  
ბით მკვეთრად გამოირჩეოდა უკვე კა-  
რგად ცნობილი მოსე თოიძე, რომლის  
„მცხეთობამ“ ერთგვარი აურზაური გა-  
მოიწვია, როგორც მხატვართა წრეში,  
ისე ფართო საზოგადოებაში. მას პერედ-  
ვიენიკული ტენდენციურობა დასწამეს.

დ. შევარდნაძის ინიციატივითა და მო-  
სე თოიძის მხარდაჭერით ახლად შექმ-  
ნილ ქართველ მხატვართა საზოგადოე-  
ბაში რამოდენიმეჯერ დაისვა ფიროსმა-  
ნაშვილის მონახვისა და მისი ცხოვრე-  
ბისა და შემოქმედების შესწავლის სა-  
კითხი. მაგრამ უშედეგოდ.

ბოლოს მოსე თოიძემ მთელი თავისი  
ტემპერამენტით მიურიდებლად გაილ-  
აშქრა ნიკოეირი მხატვრის დასაცავად და  
საუკეთესო დახასიათება მისცა ფიროს-  
მანს შემოქმედებას მაშინ, როდესაც  
ილია ზდანევიჩმა ფიროსმანის ერთდ-  
ღიანი გამოფენა მოაწყო (1916 წ.)

მოსე თოიძის ეს რეცენზია გამოქვეყ-  
ნდა 1916 წლის მაისის 24, იგი ასე ამ-  
თავრებდა თავის წერილს: „ებლა ფირო-

<sup>1</sup> კ. ზდანევიჩი შეცდომით ასახელებს 1914  
წელს.

სმანაშვილი არსადა ჩანს, ვინ უწყის ცოცხალი იგი თუ მკვდარი. მას ველარ ვუშველით, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, თუ სადმე კიდევ არის მისი ნახატები დარჩენილი, შეეკრიბოთ და მუზეუმში ვიჭონიოთ. ჩვენი თვითგამორკვევისათვის ყველა ამგვარ პრიმიტიულ ხალხურ შემოქმედებას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს“.

ბუნებრივი იყო, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ქართველ მხატვართა საზოგადოება მეტი ყურადღებით მოეკიდებოდა ფიროსმანის და ერთგვარი ცვლილება მოხდებოდა ინტელიგენციის უმრავლესობის განწყობილებაში მხატვრის მიმართ, მაგრამ ანე არ მოხდა; ვერც ახლად შექმნილმა ქართველ მხატვართა საზოგადოების უმეტესობამ და ვერც ქართველი საზოგადოების ფართო წრემ ვერ იგრძნეს, რომ მათ გვერდით ცხოვრობდა და მოქმედებდა არა აბრების გალოთებული მღებავი, „მალიაი“, არამედ ნამდვილი შემოქმედი, ქართული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ის ზერელე დამოკიდებულება, და ფორმალური პროტოკოლიზმი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქართველ მხატვართა საზოგადოების ოქმებში, განსაკუთრებით მეორე ოქმში, რომელიც მ. თომიძის წერილის გამოქვეყნების შემდეგ იქნა გამოტანილი. აი ეს ოქმიც:

„1916 წ. მაისის 24.

ა) მოხსენება ფიროსმანაშვილის შესახებ. ხარჯები ფიროსმანაშვილის მოძებნისა და დახმარების აღმოჩენისათვის გაწეული, იკისროს საზოგადოებამ.

გამგეობამ საყურადღებო პიროვნებად სცნო ფიროსმანაშვილი, როგორც მხატვარი, ამიტომ საჭიროდ სცნო დამატებითი ცნობების შეკრება, რაც მიენდო მოსე თომიძეს და გიორგი ზაზიაშვილს;

ბ) ფიროსმანაშვილის სურათების შეკრება: საჭიროა კოლექციისათვის რამდენიმე საუკეთესო სურათის შეძენა. სუ-

რათების დათვალერება მიენდო მოსე თომიძეს და ალ. მრეველიშვილს.

გ) ფიროსმანაშვილის გამომქვეყნების კითხი: გამოფენის გამართვა გერჯერობით საჭიროდ არ იქნა ცნობილი. საზოგადოებას არ შეუფერის ამით დაიწყოს გამოფენის საქმე“.

ვფიქრობთ აქ ყველაფერი ნათელია, განმარტება აღარა საჭიროდ ამ ორასპიროვნე მიკობ-მოკიბულ დადგენილებას. მხატვარს ისევ „ექებენ“, მას „საყურადღებო პიროვნებად ცნობენ“, თითქმის მისი სურათების შეკრებასაც ფიქრობენ, მაგრამ გამგეობა „გამოფენის გამართვას საჭიროდ არ სცნობს“, იმიტომ, რომ „საზოგადოებას არ შეუფერის ამით“ (ე. ი. ფიროსმანის შემოქმედებით. ბ. გ.) დაიწყოს გამოფენის საქმე“. ერთი სიტყვით, ამ დადგენილებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი გამოტანილია მხოლოდ ფიროსმანის მომხრეთა თვალის ასახვევად, მათ ჩასაჩუქებლად და არა მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების სერიოზულ შესასწავლად.

მიუხედავად ამისა, ამ დადგენილებამ მაინც ითამაშა ერთგვარი როლი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების გამოვლინებაში, მის აღმოჩენაში.

ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია კრებაზე ეს ლეგენდარული მხატვარი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან არავინ იცოდა მისი გზაკვალი, მობატეუება და კრებაზე მოყვანა მივანდეთ მხატვრებს ლადო გუდიაშვილსა და ზაზიაშვილს. ამ მხატვრებმა მართლაც შესძლეს სარდაფებში და სირაჯხანებში მისი მოძებნა და კრებაზე დაბატეუება“ იკონებს დ. შევარდნაძე (ნ. ფიროსმანაშვილი, სახელგამი 1926 წ.).

მაგრამ იმ დროს (1916 წ.) ფიროსმანაშვილის მონახვა არც თუ ისე ძნელი საქმე იყო, რადგან ილია ზდანევიჩმა ზუსტად მიუთითა მის ადგილსამყოფელოზე, ესეც რომ არ ყოფილიყო, მალაქნის ქუჩაზე ყველა სარდაფის პატრონმა კარგად იცოდა, რომ „მხატვარი ნიკალა“ დღისით მეტ წილად „კარდანახ-

ში“ იმყოფებოდა (მაღალანის ქ. № 23), ხოლო დამით იმავე ქუჩის № 29-ში, სადაც სამსართულიანი დიდი შენობის ბნელ სარდაფში ათევედა დამეს, მის მიწურ იატაკზე, თავისუფლად ამხადებდა საღებავებსა და სამხატვრო მასალას.

1916 წლის მაისის ბოლოს, როგორც იქნა ფიროსმანი მონახეს. მას ჩვენ ვხვდავთ ქართველ მხატვართა შორის. ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი მოსვლა ამ „საზოგადოებაში“.

გამოთხოვებისას, შეშწეობის სახით ფიროსმანს მისცეს ერთი თუმანი. მხატვარმა ფული გამოართვა მათ და უთხრა: „ამით მე ვიყიდი საღებავებს, ერთ სურათს დაეხატავ და თქვენ მოგართმევთ“. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, ნიკომ შევარდნამეს მიუტანა „ქორწილი კახეთში“.

ამ სურათის მოტანისთანავე დ. შევარდნამემ დიდი წინდახედულება გამოიჩინა: ფოტოგრაფ ი. გოგოლაშვილს გადაეღებინა ფიროსმანის სურათი და მხატვართა საზოგადოების სახელით გაუგზავნა ვაზ. „სახალხო ფურცლის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად. რედაქციამ, როგორც ეს პორტრეტი, ისე „ქორწილი კახეთში“ გამოაქვეყნა ვაზეთის სურათებთან დამატებაში (1916 წ. № 613 18.6).

დ. შევარდნამის წყალობით შთამომავლობას შემორჩა ერთადერთი ფოტო-პორტრეტი ფიროსმანისა, სადაც ჩვენ ვხვდავთ მხატვრის გაბრწყინებულ, მოზეიმე სახეს, თითქოს კმაყოფილს იმით, რომ მისმა თანამემამულეებმა ის ვაიციანს მთელ საქართველოს, მის საყვარელ სამშობლოს. ეს იყო მისი უდიდესი ბედნიერება.

მაგრამ ეს ბედნიერება ნაადრევი და ხანმოკლე აღმოჩნდა. მისი ფოტო პორტრეტისა და სურათის რეპროდუქციის გამოქვეყნებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია გავლენიან მხატვართა და ინტელიგენტთა წრეში. ვაზეთს უსაყვედურეს „მალღირსადმი“ ასეთი გადაჭარბებული ყურადღება. იმდენი იწუწუნეს ქართული მხატვრული დონის დაქვეითება-

ზე, რომ რედაქცია იძულებული გახდა იმავე სურათებთან დამატებამდე სადაც იცოდნენ დღის წინათ გამოქვეყნებულ იყო ფიროსმანის პორტრეტი და მისი სურათის რეპროდუქცია, დაეხმებოდა ფიროსმანის გასამახსარებელი ღვაწლას კარიკატურა (ვაზ. „სახალხო ფურცელი“-ს სურათებთან დამატება № 111. 1916 წ. 10.7).

გამარჯებულ მოხუცი ფიროსმანაშვილი დგას მოლბერტის წინ და ხატავს ხიამორს. ერთერთი მწერალი და კრიტიკოსი მიმართავს მას და ეუბნება: „უნდა ისწავლო, ძმობილო... შენს ხანაში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ერთი ათიოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ... აი, მაშინ გაგაგზავნით ახალგაზრდათა გამოფენაზე.“ ამ ნახატის მარცხენა კუთხეში მიწერილი აქვს, ვითომდა ავტორის ინიციალები რუსულად „Г.З.“ და იქვე საღამური ქოთანია — ნიშანი დაჩაჩანაკებისა. საქმარისია ერთხელ დახედოთ ამ კარიკატურას რომ მყისვე იგრძნოთ ამ ოხუნჯობის იშვიათი ცინიზმი.

სამწუხაროდ რედაქციამ ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა, ვერ გაითვალისწინა ფაქიზი სულის პატრონის, მეტად სათუთი მგრძნობელობა, მისი განვითარებული თავმოყვარეობა.

ამ კარიკატურის გამოქვეყნებისთანავე, გავგნებული ფიროსმანი, რომელიც იცოდნენ დღის წინ თავის გამარჯვებას ზემომოხდა, თოფნაკრავივით გაშორდა მხატვართა საზოგადოებას და იმ უმადურ ადამიანებს, რომლებმაც ასეთი „ზეიმი“ მოუწყეს.

„—მაშ მასხარად მიგდებენ?“ ეკითხებოდა ფიროსმანი „მწიგნობარ“ მიკიტნებს. ისინიც ერთი ორად უღვივებდნენ სიმწრის ცეცხლს. ვერც მათ შეეძლოთ სხვანაირი განმარტება მიეცათ და უკვირდით, რუგორ მოხდა, რომ იმავე გაზეთმა ამას წინათ სრულიად სერიოზულად დაბეჭდა მისი პორტრეტი.

ფიროსმანი ბორავდა, ვერ ისვენებდა. ზახიაშვილი აქ არაფერ შუაში იყო. იგი მხატვართა საზოგადოებაში ხომ ზა-

ზიაშვილმა მიიყვანა. რამდენიმეჯერ მივიდა მასთან, უნდოდა სასტიკი საყვედური ეთქვა, მაგრამ გიგო სახლში არც ერთხელ არ დახვდა. ბოლოს ასე დაავალა ზაზიაშვილის მეუღლეს:

— ძალოვან, მამ გიგოსთან ორ სიტყვას დაგაბარებ. ეს უთხარი: „შენ გენაცვალე, გიგოვან, როგორც იმ ხალხს (მხატვართა საზოგადოებას) ჩემი სახელი უჩვენე და ვადაძვიდე, ისე მომამორე. მაგათი არც ქება-დიდება მინდა და არც არაფერი. გაზეთში გამომიშვეს, გამლანძღეს, ბევრს რამეს, დიდ სახელს მპირდებოდნენ, მაგრამ როგორც აქამდის მიხნავს და მითესავს, ისე უნდა ვხნა და ვთესო. თავის დღეში არც ბატონი მყოლია და არც მინდა, გაზეთში კატად გამომხატვსო“.<sup>1</sup>

გამწარებელი ფიროსმანი, ცხადია, ამის შემდეგ მხატვრებს არ გაეკარებოდა და არც გაკარებია. მხოლოდ ოცდაორი დღის განმავლობაში 1916 წლის თვრამეტი ივნისიდან ათ ივლისამდე გაგრძელდა მისი სიხარული. ამ ხნის განმავლობაში მიიღო მან როგორც დაფასება და ამბღლება, ისე წარმოუდგენელი შეურაცხყოფა.

მისი ბედი ამის შემდეგ უკუღმართად წარიმართა. ფიროსმანი უფრო გულჩათხრობილი გახდა, სმას უმატა და თავის ნესტიან სარდაფში იმედმისილი ელოდა მწარე დასასრულს.

„სულ ცოტა იყო საჭირო, რომ ფიროსმანის დასასრული მწარე არ ყოფილიყო“, — ამბობს ვიორჯი ლეონიძე და მართლაც, ეს „ცოტაც“ ვერ გაიმეტეს მათ, ვის ხელშიაც იყო იმ დროს ქართული კულტურის სადავეები. ისე დაივიწყეს ფიროსმანი, რომ მისი გარდაცვალებაც ვერ გაიგეს. ჩვენ დღესაც არ ვიცით ზუსტად, როდის მოკვდა და ვინ მიიბარა დაუტრეხელი იმ მიწას, რომელსაც ის ასე შესტრფოდა და შეხაროდა.

მოკვდა ფიროსმანი და არც არავის

გახსენებია იგი მანამდის სანამ „ქართულ მხატვართა საზოგადოებამ“ არ დააწვევია მხატვართა გამოფენის მარჯობა. ყველასაგან მივიწყებული ფიროსმანი ისევ დ. შევარდნაძემ გაიხსენა და მოითხოვა რომ „საზოგადოებას“ მიკიტნებისაგან შეეძინა გამოფენისათვის სურათები.

როგორც ცნობილია იმდროინდელი საქართველოს მენშევიკური მთავრობა ხელოვნებაზე ნაკლებად ზრუნავდა, არავითარ თანხებს არ ხარჯავდა სურათების შესაძენად. მხატვრებს თვითონ უნდა გამოენახათ საჭირო თანხა, თუ თვითონ არ ჰქონდათ, უნდა ეთხოვათ დახმარება რომელიმე ვაჭარ-შენიშნულსათვის. ასე მაგალითად: თვით შევარდნაძესა და ფოტოგრაფ ი. ვოგოლაშვილს განუზრახავთ ფიროსმანის სურათების შეძენა და თავისმოყრა ამ გამოფენისათვის. შესდგომიან განზრახვის სისრულეში მოყვანას საკუთარი თანხით, მაგრამ მათი საკუთარი ფული ამისათვის საკმარისი არ გამომდგარა. მიუშართავთ იმ დროს ცნობილი კომერსანტის დავით ქებაძისათვის, რომელიც ბორჯომის წყლით ვაჭრობდა. მას შემოუწირავს 400 მანეთი. შეგროვილი თანხით შეუძენიათ ოცამდე სურათი.

აქვე უნდა ითქვას, რომ მიკიტნები არც ისე ადვილად თმობდნენ თავისი საყვარელი მხატვრის სურათებს. გამოფენის ინიციატორებს გაუვიათ, რომ ერთ მიკიტანს ჰქონია ძვირფასი კოლექცია ფიროსმანის სურათებისა. როდესაც მისულან მასთან, მას სასტიკი უარი უთქვამს სურათების გაყიდვაზე. მაშინ მიუშართავთ მთავრობისათვის და დახმარება უთხოვიათ. მთავრობა (ქალაქის თავი) მართლაც „დახმარებია“ მათ. და მუჭკრებია მიკიტანს, მუქარის შიშით მიკიტანს სურათები დაუთმია, მაგრამ როდესაც დექნებისათვის მთავრობას ახალი გადასახადი დაუდვია, მიკიტანი მისულა ქალაქის თავთან და უთქვამს: ახლა მინდა ამინაზლაუროთ ფიროსმანის სურათები, გამანათვისუფლოთ გადასახადისაგანო. მისი მოთხოვნა დაუკმაყო-

<sup>1</sup> გ. ლეონიძე. „ცხოვრება ფიროსმანისა“. ეჭრ. „მნათობი“ 1938 წ. № 6.

ფილებიანთ. ამ ამბავს დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოუწვევია მიკიტანთა შორის, დამფუძნებელ კრებაშიაც კი აღუძრავთ საკითხი. (დ. შევარდნაძის მოგონებებიდან. ბ. გ.).

როგორც იქნა, დიდი ვაი-ვაგლაბით გამოდენა გაიხსნა 1919 წლის გაზაფხულზე, სადაც სხვა მხატვრებთან ერთად ნიკოს სურათებიც იყო გამოდენილი. ეს იყო უქანასკნელი ამოსუნთქვა იმ „საზოგადოებისა“, რომელიც მეტად მერყევ და შფოთიან წლებში ჩამოყალიბდა.

ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების გასათვალისწინებლად აუცილებელი იყო ამ პერიოდის უფრო ზუსტად დახასიათება. ეს დაგვეხმარებოდა უფრო მკვეთრი და სწორი დასკვნების გამოტანაში.

ფიროსმანზე მონოგრაფიის დაწერის დროს ყველაზე პრინციპული მნიშვნელობა მაინც მხატვრის შემოქმედების ანალიზსა აქვს. ამ ანალიზის დროს, კ. ზდანიევიჩი დიდ ადგილს უთმობს, ქართული ფრესკული ხელოვნების გავლენას ფიროსმანის შემოქმედებაზე. ზოგადი ხასიათის ერთ საკუთრად სტატიის შიშველებელია ამ საკითხის ფართოდ განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფიროსმანის სურათებსა და ქართულ ფრესკებს შორის მართლაც არის ერთგვარი მსგავსება შესრულების მანერის თვალსაზრისით, მაგრამ ეს უფრო იმ კანონზომიერებიდან მომდინარეობს, რომელიც თანაბრად დამახასიათებელია თვითანსწავლი მხატვრების შემოქმედებისათვის: თუ საერთოა ბუნება, ტიპაჟი და ეროვნული ხასიათი—ძველსა და ახალს შორის გარკვეულ მსგავსებას უთუოდ ექნება ადგილი.

უდავოდ უნდა იქნას ცნობილი, რომ ფიროსმანს აქვს „თავისი განსაკუთრებული მხატვრული შეგნება, თავისი შეთობი და შემოქმედების ტემპერამენტი“. მისი შემოქმედება ქართულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული და მხატვრულ ფორმებში აყალიბებს იმ

ცხოვრებას, რომელსაც ხედავს და განიცდის.

ზოლოს ორიოდ სიტყვით გვხსნა შევეხოთ მონოგრაფიაში მოთავსებულ ილუსტრაციებს, რაც უფრო გამოცემლობას შეეხება, ვიდრე ნარკვევის ავტორს.

ცნობილია, რომ ფიროსმანის შემოქმედებაში ღრმად ღრმად ღრმად მხატვრულ სურათებთან ერთად საკმაო რაოდენობით მოიპოვება სუსტი ნამუშევრებიც. მათი გამოქვეყნება არაფერს მატებს ფიროსმანის შემოქმედებას, მის ნიჭსა და თავისებურებას. სამწუხაროდ, ამ აღზომში ვხედავთ ისეთ უმნაშვნელო სურათებს, როგორც მაგ. „ვირზე მკდოში ექიმი“, „წითელბერანგა მებადური“ „ლომი“ (სუსტი ვარიანტი), „გაქცეული კურდღელი“, „ქართველი ქალი“ (სუსტი ვარიანტი), „ვირზე შემჯდარი ბიჭი“ და სხვა, ამავე დროს ილუსტრაციებში არ არის შეტანილი „ქორწილი კახეთში“, „დიდმარხვა სოფლად“, „დრეობა“ (სოფლის სანახშოზე), „მებადური კლდეში“, „გიორგი სააკაძე“, „გიორგი განდევილი“ და სხვ.

დიდი ხანია წავიდა ძველი თბილისი, თბილასი ყარაჩოხელისი, ეტლებისა და სამიკიტნოების. ძველ თბილისს გაკეკა ჩვენი მამაპაპური სოფელი, თავისი კარჩავეტილობითა და დრომოქმული ყოფაცხოვრებით.

არ ქრება მხოლოდ ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც სამიკიტნობის კედლებს შეაღია ცხოვრებით გაწამებული ნიკო ფიროსმანაშვილმა. მან ისეთი შემოქმედება დაგვიტოვა, რომ მისი სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება.

ჩვენ გვჭერა, რომ სულ მოკლე დროში ხელახლა დაისმება ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულად დამუშავებული წიგნის გამოცემის საკითხი. სადაც, სხვა მასალებთან ერთად კ. ზდანიევიჩის ნარკვევი, ღრმად უფრო ადგილს დაიჭერს.

ნიმუშა

ა კუზბინის ახლობელი ქართველები

მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველოს შიშიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ ვახტანგ VI აიძულა რუსეთში გადასულიყო. რუსეთის სახელმწიფომ გულთბილად მიიღო სამშობლოდან გადახვეწილი ქართველობა, გამოუყო თავ-თავისი ულუფა, გაუნაწილა საცხოვრებელი ადგილები და დაასახლა რუსეთის სხვადასხვა მხარეში. რუსეთ-საქართველოს ისტორიაში კარგად არის ცნობილი მოსკოვის, პეტერბურგის, ასტრახანის, შირგოროდის და სხვა ქალების ქართული კოლონიები.

რუსეთში დასახლებულ ქართველ საზოგადოების ცხოვრებას რუსეთში ერთი მხრივ განუსახლებელი სევდა ახლდა თან სამშობლოსაგან დაშორებისა, ხოლო მეორე მხრივ დიდი წადილი და სურვილი გვერდში ამოსდგომოდა ევროპულად განათლებულ რუსეთის მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში.

დარჩა რა იმხანად ქართველთა ილუზიები ფრთაშეუსხმელი, რუსეთში დასახლებული ქართველი მოღვაწეები აჩაღებენ დაუცხრომელ კულტურული ტერატურულ საქმიანობას, სწავლობენ რუსულ და ევროპულ ენებს, ეცნობიან მნიშვნელოვან სამეცნიერო და ლიტერატურულ ნაწარმოებებს, თარგმნიან მათ დიდის გულსყურით და მონდომებით და საქართველოში გზავნიან. ასე გრძელდება ათეული წლების მანძილზე. თაობები თაობებს ცვლიან

და თანდათან ქართველები იხსენიებიან ბიძაშვილებად, შვილი-შვილებად და ბიძებად დოღგორუკოვებისა, გოლიცინებისა, შერემეტეელებისა, პუშკინებისა, სალტიკოვებისა, სმირნოვებისა და სხვა მრავალი რუსული გვარის წარმომადგენლებისათვის.

დიდი და ვრცელია ქართველი მოსახლეობის ნაცნობ-მეგობრების წრე რუსეთის საზოგადოებაში. ამ მხრივ საინტერესო ცნობებს იძლევიან ცალკეული წერილები, მოგონებანი და მემუარები. საინტერესოა მაგ. ვ. ს. პოპოვის წერილი გრაფ. პ. ს. პოტიომკინისადმი. მასში ავტორი მოუთხორობს პოტიომკინს ქართველი ბატონიშვილების ყოფაზე პეტერბურგში, მათ სიახლოვეზე სხვადასხვა წრეებთან. საინტერესოა ის სტრიქონები, რომელიც მირიან ბატონიშვილს ეხება: „მირიან ბატონიშვილი მუნდირშია გამოწყობილი, თმა შეკრეპილი აქვს მოხდენილად, სწავლობს ცეკვასა და ფარეკაობას. ამ დღეებში აპირებს თავისი პორტრეტის შესრულებას, რომელსაც გამოგზავნის თქვენს მაღალწარჩინებულობასთან ხელმწიფოსათვის გადასაცემად. ძალიან ხშირი სტუმარია ბალების, განსაკუთრებით მოსწონს ლევ ალექსანდრეს ძის ოჯახი“. (ნარიშკინის ოჯახი)

მე-19 საუკუნეში ქართველებს ახლო ურთიერთობა აქვთ არამარტო ადგილობრივ რუსულ წრეებთან, არამედ იმ ვრცელ უცხოელთა საზოგადოებას-

თანაც, რომელსაც ფართოდ გაეღო კარები რუსეთში ჭერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან. ამიტომ ქართველთა გვარსა და სახელს არაიშვითად ვხვდებით მე-19 საუკუნის იმ უცხოელ მოგზაურთა დღიურებსა და მოგონებებში, რომელთაც რამდენიმე დღე მაინც გაუტარებიათ რუსეთის უმაღლეს წრეებში. საინტერესოა ისლანდიელი მოგზაური ქალის ვილმოტის „წერილები რუსეთიდან ისლანდიაში“, მასში იგი თავისიანებს მოუთხორობს საინტერესო ამბებს რუსეთში გატარებული დღეებიდან. ყურადღებას იპყრობს მისი 1809 წლის ერთი წერილი, რომელიც იწყება ასე: „მე დღეს განზრახული მაქვს მოგივხროთ იმ პირველ შთაბეჭდილებაზე, რომელიც აღიქვა ჩემს გონებაში, კერძოდ, ერთ-ერთ ქართველ თავადზე, რომლის ნახვაც მომიხდა ვასული წლის აგვისტოს მოსკოვში, კრემლში მოწყობილ ერთ-ერთ დიდ წვეულებაზე.“

წვეულების მიზანი იყო გენერალ ბეკლემოვის მიერ ახალი აკადემიისათვის საფუძვლის ჩაყრა. ზეიმს ესწრებოდნენ მხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი... ამ წვეულების დროს ჩემი ყურადღება უცრად მიიპყრო შესანიშნავი ჩაცმულობის ქართველთა ჯგუფმა, რომელთაც ამშვენებდათ თურქული სარტყელები და მარგალიტის სამაჯურები. ისინი მიიყვანეს თავადის მეუღლესთან და წარუდგინეს მას. ზოგიერთი მათგანი იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფნი და ახლახან ჩამოსული მოსკოვში“.

ქ-ნი ვილმოტი მოუთხორობს თავისიანებს თუ რა ხარბად და ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა იგი ქართველთა ამ ჯგუფს.

როგორც ჩანს, ვილმოტის ქალს ქართველთა ეს ჯგუფი წარმოუდგა მხოლოდ როგორც ერთგვარი ექსოტიკა, შერწყმული შესანიშნავ გარეგნობასთან და ვაჟაკობასთან. თუმცა ვილმოტის ემოციები ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო არ არის, საინტერესოა მის მიერ მოთხრობილი ფაქტი იმისა, რომ

ახალი აკადემიის საფუძვლად ჩაყარულ თან დაკავშირებული დღიურების სახე პატიო სტუმრები ქართველებიც ყოფილან.

ქართველების მოღვაწეობაზე რუსეთში საინტერესოა ორიოდ ცნობა დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინისა, რომლებშიც იხსენიებიან თავადი ციციშვილები.

1884 წ. „Русский Архив“-ში გამოქვეყნდა «Письма Пушкина к Великопольскому». იქანე ერმალოვის ძე ველიკოპოლსკი იყო ტვერის მემამულის შვილი, პუშკინის თანატოლი, ლიტერატურის დიდი მოყვარული და ავტორი ელევგიური ლექსებისა, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა მაშინდელ ალმანახებში.

ველიკოპოლსკისადმი მიწერილ ერთ წერილში პუშკინი იხსენიებს თავად ციციშვილს. ამ წერილის წერის დროს პუშკინი სოფელშია, და წერილს აქედან წერს ველიკოპოლსკის—სპოვში. წერილში ნათქვამია: „სალამი თავად ციციანოვს, ვენახობ რომ არ წავართვი მას ჩემი სურათი, რა არის ახალი ჩვენსკენ? ა. ს.“

„Русский Архив“-ი, რომელშიც დაბეჭდილია პუშკინის ეს წერილები ციციანოვის გვარს სქოლიოში ურთავს ამგვარ განმარტებას:

„ეს იყო სომეხი ოფიცერი თევდორე ივანეს ძე ციციანოვი. შესაძლოა მის შემკვიდრებებში მოიპოვებოდეს პორტრეტი, რომელსაც იხსენიებს პუშკინი. ეჭვი არ არის, რომ „Русский Архив“-ის რედაქცია ცდებდა, როდესაც თავად ციციშვილს სომეხ ოფიცრად მიიჩნევს.“

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI გაყოლილ ამაღას, რომელიც 1200 კაცისაგან შედგებოდა, მიპყვებოდა ციციშვილების მთელი ჯგუფი. ციციშვილები ამ ამაღის დანარჩენ წევრებთან ერთად რუსეთს დასახლდნენ და სამოქმედო სარბიელიც იქვე მონახეს. ეს სამოქმედო ასპარეზი ქართველი კოლონიზატორისა ძირითადად სამხედრო კარიერა იყო. ასე რომ პუშკინის ახლო მეგობა-

რი თევდორე ივანეს-ძე ციციშვილიც ამ კოლონიის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

თევდორე ივანეს-ძე ციციშვილზე საინტერესო ცნობები მოგვცა პუშკინის წერილების ცნობილმა გამომცემელმა და კომენტატორმა ბ. ლ. მოძალევესკიმ. ველიკოპოლსკისადმი წერილზე დართულ კომენტარში ბ. ლ. მოძალევესკი წერს:

„თავადი თევდორე ივანეს ძე ციციანოვი (დაიბ. 1801 წ. 21 მაისს) პაეჟთა კორპუსის პირმშო, პრაპორშჩიკად დაინიშნული იყო სემიონოვსკის პოლკში, წლის ბოლოს კი გადაყვანილ იქნა ფსკოვის ფეხოსანთა პოლკში, სადაც იმსახურა 1827 წლის 18 დეკემბრამდე, სანამ გადადგებოდა კაპიტნის ჩინით. რამდენიმე ხნის შემდეგ დაინიშნა საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტში, ხოლო 1832 წ. 4 ნოემბერს გარდაიცვალა“.

პუშკინის, ველიკოპოლსკის და თევდ. ციციშვილის მეგობრობა პსკოვთან არის დაკავშირებული. თევდ. ციციშვილიც რუსულ ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწე პირია, რაც იქიდან ჩანს, რომ 1825 წ. პსკოვში ველიკოპოლსკის დაუწერია საპასუხო სახუმარო ლექსი თ. ციციშვილის სატრფიალო ლექსებზე, რომლებიც თ. ციციშვილს დაბეჭდილი ჰქონია ძღვნად სატრფო ელიზასადმი. რადგან დაბეჭდილი ყოფილა თ. ციციშვილის სატრფიალო ლექსები, ცხადია, რომ რუსულ ალმანახებსა და კრებულებში იბეჭდებოდა მისი სხვა ნაწარმოებებიც. ამდენად, საინტერესო იქნება შესწავლა რუსულ სამწერლო ასპარეზზე მოღვაწე თევდორე ციციშვილისა.

იმავე «Русский Архив»-ში 1884 წ. გამოქვეყნდა «Черные рукописи Пушкина». მათ შორის არის პუშკინის ცნობილი «Воображаемый разговор с Александром Павловичем». ეს ნაწარმოები იწყება ასე:

„მე რომ ხელმწიფე ვყოფილიყავი, დავუძახებდი ალექსანდრე პუშკინს და ვეტყვოდი: ალექსანდრე სერგეის ძევი! თქვენ შესანიშნავ ლექსებს წერთ. მე

მათ ვკითხულობ დიდი სიამოვნებით. პუშკინი მორცხვად თავს დანაშაულებს, მაგრამ თქვენ კი განუვადრებელი... ამის შემდეგ მოდის, რას ეტყოდა მეფე პუშკინს და რას უპასუხებდა პუშკინი. ერთერთ ასეთ შეკითხვას ათქმევინებს მეფეს პუშკინი: „როგორ მოხდა, რომ თქვენ მოახერხეთ თანამშრომლობა ინზეეთან, ხოლო ვერ შეეთვისეთ თავად ვორონცოვს?“

„თქვენო აღმატებულებაჲ, გენერალი ინზეევი კეთილი და საპატივისცემო მოხუცია, ის სულით რუსია და ყველა ცნობილ და უცნობ თავის მემამულეს არ ანაცვალებს ყოველ შემხვედრ ინგლისელ ვიგინდარას. მას არ ეშინია გაკილვის, რადგან არასოდეს არ იმსახურებს მას“.

ვაგვისენოთ პუშკინის ცნობილი პასკელები გრაფ ვორონცოვზე, რომელთაგან, როგორც ჩანს, ზოგიერთს პუშკინს შეცდომით მიაწერდნენ. ამასთან დაკავშირებით პუშკინი მიმართავს იმპერატორს: „გაიხსენეთ, რომ ყოველ თავისუფალ გამოთქმას, ყოველ აღმაშფოთებელ თხზულებას მომაწერენ მე, როგორც ყოველგვარ მახვილსიტყვაობას. ც-ს“.

„Русский Архив“-ის რედაქცია განმარტავს ვინ არის ეს „И“, რომელსაც პუშკინის სიტყვით იწვევრება. „ყოველგვარი მახვილსიტყვაობა“. სქოლიოში ნათქვამია: „ე. ი. თავად დიმიტრი ევსევის ძე ციციანოვს, ალექსანდრა იოსების ასულ სმირნოვას ბიძას. ზოგი მისი ზღაპარი და მოთხრობა ჩაწერილია პუშკინის მიერ და გამოქვეყნებული მის მიერვე. სხვათაშორის, თავადი ციციანოვი არწმუნებდა მოსკოველ საფეიქრო მწარმოებლებს, რომ მის საპშობლოში, საქართველოში დიდად მომგებიანია საფეიქრო საქმიანობა, რადგან იქ ცხვრები სხვადასხვა ფერისანი იბადებიან. სხვათაშორის, დასძენდა იგი, მზის ჩასვლისას ასეთი ფარა წარმოადგენსო შესანიშნავ სანახაობას“.

ციციშვილების მოღვაწეობას რუსეთში შეეხო მკვლევარი ტრ. რუხაძე თავის წიგნში: „ქართულ-რუსული ლიტე-



რატურული ურთიერთობის ისტორი-  
იდან<sup>4</sup>. მას დასახელებული ჰყავს რამ-  
დენიმე ციციშვილი — ევსტათი ციცი-  
შვილი, რომელსაც დაუწერია წიგნი სა-  
ქართველოს ისტორიაზე და ტოპოგრა-  
ფიაზე, დიმიტრი ციციშვილი, რომელ-  
საც 1757 წ. დაუბეჭდავს თავისი «Крат-  
кое математическое изъяснение», ავტორი  
ასახელებს აგრეთვე დიმიტრი ივანეს ძე  
ციციშვილს, რომელსაც პუშკინი იხსენ-  
სებს «Воображаемый разговор»-ში და  
აღნიშნავს, რომ იგი „ალ. პუშკო-  
ვის მეგობარი იყო პეტერბურგის  
ლიცეუმშიდანო“. რადგან დ. ციციშ-  
ვილზე სამწუხაროდ საერთოდ არა-  
ვითარია ცნობები არ მოგვეპოვება, გარ-  
და პუშკინის მიერ მოხსენიებისა და  
„Русский Архив“-ში დართული კომენ-  
ტარისა, სავიროდ ეკანით გავეყრკვია  
ა. ო. სმირნოვას ვინაობა, რომლის ბი-  
ოგრაფიაც ასახელებს «Русский Архив»-ის  
კომენტარი დ. ციციშვილს.

აღქმსანდრა იოსების ასული სმირნო-  
ვა ერთერთი შესანიშნავი წარმომადგე-  
ნელია მე-19 ს. 30-იანი წლების პეტერ-  
ბურგის საზოგადოებისა. იგი დაბადე-  
ბულია 1809 წ. მისი მამა ყოფილა შვეი-  
ცარიის ქვეშევრდომი იოსებ ივანეს-ძე  
როსსეტი. დედა კი ნადეჟდა ივანეს ასუ-  
ლი ქართველთა შთამომავალი დედის  
მხრივ, კერძოდ ა. ო. სმირნოვას დედის  
დედა ყოფილა ციციშვილის ქალი. შემ-  
თხვევითა არ არის, რომ ა. ო. სმირნო-  
ვისადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან  
ლექსებში ხაზი ესმის მის აზარუსულ  
წარმომავლობას. მაგ. ვიანხმესკი ასე მო-  
მართავს ა. სმირნოვას:

«Южные звезды, Черные очи!  
неба чуждого огни»  
ამ ლექსს 1828 წ. გამოეხმაურა ა. პუშ-  
კინი, რომელმაც მას შემდეგი სტრიქო-  
ნები უძღვნა:

«Она мила, скажу меж нами,  
Придворных витязей гроза,  
И можно с южными звездами  
Сравнить, особенно стихами,  
ее черкесские глаза».

ა. სმირნოვასადმი მიძღვნილი შემდეგ-  
ში მეტად პოპულარული ლექსი ვ. ი.  
ტუმანსკისა:

«Любил я очи голубые,  
Теперь влюбился в черные,  
Те были милые так же,  
А эти непокорнее».

მარკინული  
ნიკო მახარაძე

შესანიშნავი გარეგნობისა და ქვეყანი  
ქალის სახეს დიდი კვალი დაუტოვებია  
მ. ი. ლერმონტოვზედაც. მას ეხება  
მ. ლერმონტოვის შესანიშნავი ლექ-  
სი:

«Без вас хочу сказать вам много.  
При вас я слушал вас хочу.  
Но молча вы глядите строго  
И я замученный молчу».

Что ж делать?... речью нескучной  
Занять вам ум мне не дано...  
Все это было бы смешно,  
Когда бы не было так грустно».

როგორც ვთქვით „Русский Архив“-  
ის ზემოხსენებული კომენტარი გვაც-  
ნობს, რომ დიმიტრი ევსტავის ძე ციცი-  
ნოვი არის ა. ო. სმირნოვას ბიძა. სმირ-  
ნოვას შესანიშნავ მემუარებში, რომელ-  
შიც ავტორმა მკითხველის თვალწინ გა-  
აცოცხლა მე-19 ს. დასაწყისის პეტერ-  
ბურგის საზოგადოება, ხშირად გვხვდებ-  
ა სახელი დ. ციციშვილისა. მოვუსმინო-  
თ ა. ო. სმირნოვას: „ბებიაჩემი—  
ეკატერინე ევსტავის ასული ლორესი იყო  
ციციშვილის ქალი. პეტრე პირველს  
დროს ვახტანგ მეფემ მტრულად განწ-  
ყობილ სპარსეთისა და თურქეთისაგან  
ქვეყნის გადაარჩენის მიზნით რუსეთს  
ქვეშევრდომობა ითხოვა. მასთან ერთად  
რუსეთს გამოემგზავრნენ ბრწყინვალე  
თავადები: ციციშვილები, ბაგრატიონე-  
ბი, ერისთავები და სხვანი. თავად ევსტ-  
ავის და მის ცოლს ყავდათ ერთადერთი  
ვაჟი დიმიტრი, რომელიც ცნობილი გახ-  
და თავისი პურშარილიანობით და ხელ-  
გაშლილობით. მოსკოვში ცხოვრება  
ძნელი შეიქნა დიდი ოჯახისათვის და  
ისინი გადასახლდნენ სანქარაში. აქ და-  
იდეს ბინა ევსტავი და მატრონა ციციშვი-  
ლებმა“.

ეს ციციშვილი უნდა იყოს ის იასე ცი-  
ციშვილი, რომელიც იხსენიება ცნობილ  
ვახტანგ VI-ის ამაღლის რეესტრში.

ამათი უმცროსი ქალიშვილი ქეთევან-  
ნი, როგორც ა. ო. სმირნოვა მოგვით-  
ხრობს, ცოლად გაჰყოლია პრუსიელ  
პოლკოვნიკ ფონ-ლორესს. ამ ქეთევანის

შვილიშვილია ა. რ. სმირნოვა.

ა. რ. სმირნოვას ბავშვობის წლებში ღრმად აღბეჭდილა ციციშვილების ოჯახი, რომელიც იმ ხანად პეტერბურგში ცხოვრობდა.

„ერთხელ,—მოგვითხრობს ა. სმირნოვა—ჩემი ტულატი საგანგებოდ დააუთავიეს, ტანთ გადამაცივს წითელი ჩითის კაბა, გამიყეთეს კულულები, ყურით ჩამომკიდეს პერცოვის ნაჩუქარი ყურსაკიდები და წამიყვანეს ციციშვილებთან. მათმა სახლმა გამოაცა დიდებულებით, დიდი სვეტებიანი დარბაზები, ავეჯი ღია ცისფერი გადაკრულობით, იმავე ფერისა და ნაჭრის ფარდები და სასტუმრო აგრეთვე ცისფერი. სავარძელზე იჯდა მალალი გამხდარი ქალი ვარვარა ეგორის ასული. მას უნდოდა მომფერებოდა, მაგრამ მისმა მკაცრმა გამომეტყველებამ დაამბნია. მიდი გენაცვალე დეიდა ანა დიმიტრის ასულთან, მომშართა მან. ანა დიმიტრის ასული, რომელიც მხატვრობას მისდევდა, იყო შესანიშნავი გარეგნობისა და არისტოკრატიული სილამაზისა“.

აქ უკვე ლაპარაკია ციციშვილის მეორე შტოზე, კერძოდ: პაპუნა ციციშვილის შთამომავლობაზე, დიმიტრი და ეგორ ციციშვილის ქალიშვილებზე (ვარვარა - ეგორენა და ანა დიმიტრენა).

ციციშვილების ოჯახი პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენლები არიან. პუშკინის საზოგადოებაში ტრიალებენ არა მარტო თავადი ციციშვილები, არამედ ამ გვარის ქალთა წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად: ა. ი. ბულგაკოვის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ ახლად დაქორწინებულ პუშკინების წვეულებაზე და იმ გასეირნებაში, რომელიც პუშკინებს მოუწყვიათ წვეულების მეორე დღეს, სხვა სტუმრებს შორის ყოფილა «ки Цицианова».

დავუბრუნდეთ დიმიტრი იასეს ძე ციციშვილს. როგორც ვთქვით, დიმიტრი იასეს ძე ციციშვილი ცნობილი ყოფილა რუსეთის სალიტერატურო წრე-

ებში, როგორც მახვილგონიერტექსტორი ვესების და მოთხრობების ავტორი.

გაიხსენეთ, ეუბნება პუშკინი იმპერატორს, რომ ყოველ თავისუფალ გამოთქმას, ყოველ აღმშფოთებელ თხზულებას მომაწიერენ მე, როგორც ყოველგვარ მახვილ-სიტყვაობას ციციშვილს. ე. ი. იმდენად პოპულარული ყოფილა ციციშვილის ოხუნჯობანი, რომ, როგორც პუშკინი ამბობს, მას იმასაც კი მიაწერდნენ, რისი ავტორიც იგი არ იყო. სმირნოვას მოგონებებიც ხაზს უსვამენ დ. ციციშვილის არაჩვეულებრივ ენამოსწრებულობას და ხუმრობას.

საინტერესოა მოგონების ერთი ადგილი: დიალოგი სწარმოებს ა. სმირნოვასა და ერთერთ ცნობილ გენერალ კინელიოვს შორის. კისილიოვი საუბარში აღნიშნავს, რომ მისთვის ჩაის დალევვა წარმოუდგენელია „სამოერის“ გარეშე. — თქვენ ციციშვილივით ყოფილხართ, — ეუბნება სმირნოვა.

— ციციშვილი? ეს ქართული გვარია!  
— დიას, ჩემი ბებია იყო ციციშვილის ქალი.

— ჩემი ბებიაც ქართველი იყო, ბაგრატიონის (გრუზინის) ასული.

— ოჰო! ბაგრატიონის? თქვენშიც და ჩემშიც სჩქეტს მეფური სისხლი!

სამწუხაროდ, ვახტანგის კოლონიის ამ შორეულ შთამომავალთ რუსეთში, მხოლოდ ისღა აკავშირებთ საქართველოსთან, რომ ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა.

გენერალი კისელიოვი სთხოვს სმირნოვას კიდევ უამბოს რაიმე მათ თანამემამულეებზე და სმირნოვა მოუთხრობს დიმიტრი ციციშვილზე, როგორც არაჩვეულებრივ ენამოსწრებულ ადამიანზე:

„ეუბრუნდები ციციშვილს. ის იყო მოხდენილი აღნაგობის და ამავე დროს ორგინალური, სხვათაშორის, ესეც ქართული დამაზასიათებელი ნიშანია. ერთხელ მას ვხვდები ფრანცესბადეში. მოდის შუა ქუჩაში და მოაქვს თავისი წილი პური, მე მას ვძახი: თავადო, რის-

თვის მოდიხართ შუა გზაზე, აქ ბევრად უკეთესია. ის კი მპასუხობს: ექიმისგან აკრძალული მაქვს მზეცა და ჩრდილიც, ამიტომ შუა გზაზე დავდივარ“.

ციციშვილის ეს მოკლე დახასიათება ცხადყოფს მის ენამოსწრებულ ოხუნჯობებს. გაეხსენოთ „Русский Архив“-ის ცნობა, რომ დიმიტრი ციციშვილის მოსწრებელი სიტყვები და მოთხრობები ჩაუწერია პუშკინს და თავის თხზულებებშიც გამოუყენებიაო.

საინტერესოა რუსეთში გავრცელებული ორი ანეკდოტი, რომელთა შინაარსიდან ჩანს, რომ მისი ავტორი მხოლოდ ქართველი შეიძლება იყოს. ორივე ხუმრობა დაბეჭდილი ყოფილა რუსეთში გამოცემულ ანეკდოტების კრებულში.

ცნობილია, რომ ძველად სენატში საქმეების განხილვისას სუფევდა ერთიანობა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ე. ი. ფიქრობდა ერთი ობერსეკრეტარი, ხოლო დანარჩენი სენატორები აწერდნენ ხელს. აი, ერთი ანეკდოტი ქართველ ბატონიშვილზე, რომელიც სენატის სხდომას ესწრებოდა:

ბატონიშვილს ერთმა ნაცნობმა მიმართა თხოვნით, რომ სენატში გარკვეულ საქმეში დახმარებოდა. ბატონიშვილმა სიტყვა მისცა და დახმარება აღუთქვა. შემდეგში გამოიჩინა, რომ ეს საქმე სენატს განუხილავს, დასახელებულ პირისთვის უარი უთქვამს და ბატონიშვილსაც სხვა სენატორებთან ერთად განაჩენზე ხელი მოუწერია. მთხოვნელი გამოცხადდა ბატონიშვილთან. „თქვენო ბრწყინვალეობა, — ეუბნება იგი, — თქვენ მე დახმარება აღმითქვით ჩემს საქმეში“ — „აღვითქვი ძმაო, აღვითქვი“. „როგორ, თქვენო ბრწყინვალეობა, თქვენ ხელი მოაწერეთ ჩემს საწინააღმდეგოდ?“.

— „არ წამიკითხავს, ძმაო, არ წამიკითხავს“.

— „როგორ, თქვენო ბრწყინვალეობა, თქვენ წაუკითხავად აწერთ ხელს?“.

— „უარესიც გამომიცდია, ძმაო“.

„ქართველ მეფეთა გენეალოგია ყვე-

ლაზე უძველესია, ისინი <sup>არაქვის ნაწილის</sup> იზრავლთა მეფე დავიტს უკვე შირებენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დეპარტამენტმა საგვარეულო წიგნების განხილვასთან დაკავშირებით, თავად გრუზინსკოსაგანაც მოითხოვა თავადის უფლების დამამტკიცებელი საბუთი. თავადმა წარმოადგინა საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ის არის შვილი ქართველი ბატონიშვილისა, ხოლო ამ ბატონიშვილის მამა იყო ესა და ეს გავლენიანი მეფე საქართველოსა და ა. შ. მიიყვანა თავის გენეალოგია დავით იზრავლთა მეფემდე. აქ კი — დაუმატა მან — იხილეს სახარება მათესი, თავი პირველი, აღმამდე.

აღამისათვის თავადის უფლებზე უარის თქმა კი სენატს არ ძალედვა, რადგანაც, როგორც ყველასთვის ცნობილია, აღამი იყო პირველი მიწათფლობელი ჩვენს პლანეტაზე“.

ჯერჯერობით საამისო საბუთები არ გაგვანია, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ანეკდოტების ავტორი შეიძლება სწორედ დიმიტრი იანეს ძე ციციშვილი იყოს.

ისმის საკითხი, ეს დიმიტრი ციციშვილი შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო პუშკინის მეგობარი ლიცეუმედიან? ჩვენი აზრით არა. იგი არის პუშკინის უფროსი თანამედროვე, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში არ არის მისი ტოლი.

ციციშვილების სახით ჩვენს თვალწინ არის რუსეთში დასახელებულ იმ ქართველთა წრე, რომელთა სალიტერატურო ასპარეზი რუსული მწერლობაა. კიდევ მეტი, ისინი გვევლინებიან პუშკინის სალიტერატურო წრის წევრებად და მეგობრებად, ხოლო დ. ციციშვილი იმ მასშტაბის მწერლად, რომლის ნაწარმოებთა შეკრება და გამოცემა თვითონ პუშკინსაც კი უქისრია.

იმედი გვაქვს, შემდგომი ძიება უფრო ნათელს გახდის რუსულ სამწერლო ასპარეზზე მოღვაწე ამ ქართველთა ვინაობას და დამსახურებას.

## პველი სიმსართლე დანახული ახლებგურად

პირველი მოთხრობები მამია ასათიანმა ოცდაათიოდე წლის წინათ გამოაქვეყნა, მაგრამ ყველაზე ინტენსიურად და ნაყოფიერად ამ ათიოდე წელიწადში იმუშავა. მისი წიგნი „შიშველი ხმალი“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაწარმოებთა კრებულია. აქ თავმოყრილია თითქმის ყველაფერი საუკეთესო, რაც შეწარალს აქამდე შეუქმნაა.

ვეცნობით მამია ასათიანის ახალ წიგნს, ვუკვირდებით შეწარალს სელეირ სამყაროს და ვხვდებით, რომ „შიშველი ხმალი“ ავტორს ბევრი რამ ახარებს, ზოგი რამ ამწუხრებს და ორივე გრძნობას თამაშად გვიმელანებს.

წიგნში მოთავსებულ მოთხრობათა უმრავლესობა თანამედროვე სოფლისა და ქალაქის ცხოვრებას ასახავს, შეწარალი არ იფიქვებს რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროინდელ ამბებს, გადაგახედებს ლევანდამ ქვეულ წარსულშიც, მაგრამ არა მისი იდილიზაციის მიზნით — აქაც ავტორს დღევანდელი დღის სატიკარი აღაპარაკებს. ერთი ლევანდის დასასრულს აქი თვითონვე დასძენს: „დღევანდელი ადამიანი გუშინდელი კაცის ცხოვრების ამბავს გიყუება და თვითონ გავს სადღაც თავისი ნამბობის გმირსო“. აი, ეს არის იმ შორეული დრო-ეპოსის ამბავთა ვახსენების მხატვრულ-ადგიური ვასალბა.

დღე შთაბეჭდილებას ახდენს მოთხრობა — „აყენის ოსტატი“. ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ამბით დაგვიხატა მ. ასათიანმა ომის საშინელება და გაგვაცნო სიკვითთ გულმდობარი დურგალი ივანე სვანიძე, რომლის სახელოსნოს წინ ყველას თვალგასახარად დგას ახალი აყენი. „მგზავრები ისეთი ღიმილით გადახედვენ ხოლმე აყენს, თითქოს ყველა ოქაბის ბედნიერება ამ აყენიდან იწყებოდეს“.

აყენი ხომ სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოა, ამას გრძნობს ოსტატი და აყეხიც,

ალბათ, იმიტომ დაუდგამს გარეთ, რომ ყველა გამგულ-გამომგულს ეს დიდი რწმენა ჩაუნერგოს. ივანემ სილიამის ფსიცი იცის, ამიტომაც არ ჰგავს მისი გაყუებული აყენი სხვისას. „ზოგი აყენის რიკულზე ივანე შუეს ამოსტრიდა, ზოგზე შთავარეს. რამდენს შეუქნია ივანეს ოსტატობა. ერთმა ისიც კი უთხრა, შენი აყენის რიკულზე ამოტრილია მტრედმა ჩემს ბავშვს ღიმილიც კი ასწავლია“.

ამ აყენიდან შეწარალს თვლი თავისი გმირის სულში ინაცვლებს. ივანეზე ხეთი თითოეთ იცის ყველა ხის აყარგი და განსაყუთრებით ცაცხვი უყვარს, რადგან „ყარგი აყენი ცაცხელისაგან კეთდება. რამდენად დრო გადის, ელვარება და სილამაზე ემატება. რწვეის დროს რბილშიანი, ხავერდოვანი, ღვდის ნანასავით ტკბილმოებარია...“

სამამულო ომის დროს ივანეს საქმე გამოელოა, ზამთარში სახელსნო გამოუცივდა, ცეცხლის დასანთები ბურბუშელაც აღარ ემოვება. ომი ყველაზე დიდი მტერი აყენების, ივანესაც ამიტომ სძულს ომი.

ყველაფერი ეს, ცხოვრების ღრმა ცოდნით არის დაწერილი, ამიტომაც ამ პატარა ამბავში, ჩანს ომის დიდი საშინელება და მშვიდობის სიყუე, კონკრეტული შემთხვევა ზოგადდება და შეაყენის ამბავს ყველა ადამიანისთვის საცნაურს ხდის, ახალი შუქით აელვარებს. ტეშმარტი შეწარალბის მიხანაც ხომ ეს არის.

სიყე დაწერილი მ. ასათიანის მრავალი მოთხრობა.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთლის საფლავი ხალხმა ერთდერით გვირგვინით შუამკო. ზედ ეწერა: „აკაკის — საქართველო“, ამ ორი სიტყუით გამოხატა ექმა თავისი უზომო სიუვარული. შთელ საქართველოს ჩააცვა ჰამა ჰმარტკბილი ბუღბუღის გარდაყუალებამ. ეს ამბავი უდევს საფუძელად მოთხრობას „უღუქსო დღე“, რომელიც ორიგინალურად არის გააზრებული-გადაწყვეტილი. მოთხრობაში ავტორმა ერთხელაც არ გამოაჩინა აკაკი, მაგრამ მისი

დიდი სიყვითე კი თვალნათლევ დაგვანახებდა. აქ შესანიშნავად არის დანახებული პატროსანი მშრომელი კაცის, მეპურისა და მესახანდრის სილოვან მისურაძის დიდებუნიბოეანი ხასიათი. ძარღვიანი კაცია სილოვანი, ძარღვიანია მისი ვამომცხვარი პური, ძარღვიანია მისი სიტყვა, კეთილი საქმე, სვედა და სიხარული. ასეთი ადამიანების მხრებზე დვას წუთისოფელი, ისინი ქვეყანას სიყოცხლის ძარღვებად შეზღიან და ყველაზე უკეთ ვრძნობენ ცხოვრებისა და დედამიწის გულსცემას. ავტორი ამ ერთი კაცის გულში აღტრიალებული ვიარაშით ვადმოგვცემს აკაცის გარდაცვალებით დამწუხრებული მთელი ქართველი ხალხის ფიქრს.

სილოვანმა არ ისურვა, აკაცი კუბოში მწოლარე ეხილა. ეს შესანიშნავად მოგზნილი დეტალია, რომელსაც ფსიქოლოგიური გამართლება აქვს. „ასე მიარჩევნია, — ამბობს სილოვანი, — როგორც მინახავს ის დალოციელი ცხოვრებაში, ასე მინდა სილოვანში დამჩინეს... ადამიანმა ღმერთი რომ ჩვეულებრივი მომავლავივით კუბოში ნახოს, მაშინ მის თვალში ეს ქვეყანა დიშლება, ღმერთიც გაქრება და თავიც შეძლებდა“.

მოთხრობაში მკაფიოდ არის გამოხატული ის დედაპირი, რომ უცვლადია ყველაფერი, ვისაც და რასაც ხალხსა და მიწაში უდვას ფესვი. აკაცის ვარდაცვალების დღეს ყველგან ჩაწყდა ლექსის ხმა, მაგრამ სილოვანს კვლავ ესმის, როგორ ხედდება მიწის ბელტი მეორე ბელტს და ლექსივით მოიძვრის მიწა, — ყველაფრის დედამშობელი, ძარღვი და ბუდე. იმ დღეს „ყველას ჩიუწყდა ლექსის სათქმელი ძარღვი, მიწამ კი შეინახა... მიწის გარეშე სიმღერა და ლექსი მკლუ ვაშოვია, ადამიანს ვულ-ღვიძლში არ გაუფლავს, ხალხის საკუთრებად არ გადაიქცევა. მისი მარლის ვარეშე უვებური ექნება, საქვეყნო ვერ ვახდება“. ასე ფიქრობს მშრომელი კაცი და იმ კაცთან ერთად მწერალი. მ. ასათიანის თითქმის ყველა მოთხრობაში ჩაღვრილია მშობლიური მიწისა და მშრომელი ადამიანის სიყვარული.

დღეს ხალხი პატრონობს მიწა-წყალს, მაგრამ მუდამ ასე როდი იყო. და აი, მწერალი გვაცნობს უკეთესი მერმისისათვის მეგრძოლ ადამიანებს.

ვლადიმერ მთავრისი ქუთაისის გომწამიში წყალობდა. იქვე შიილა მან პირველი რევოლუციური ნათლობა. ეს დღეებია გაცოცხლებული მოთხრობაში „ყრმა ვალოდიას დარდი“.

„მიშველი ხმანი“ გვიხატავს ცხრას ბუთი წლის რევოლუციის ბოშოქარ დღეებს. სამსახ წითელიშვილმა ორთაბრძოლაში ვამოიწვია სოფლის წურბელა ვამბე შალაკელიც და ვაქაცურა დაამარცხა კიდეც, ხალხს დამუტ-

კიცა, რომ სიმარტლე შიშველ ჰმარტლე-მტრელი და ძლიერია.

„ღუნინის სურათი“ ეხება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მშფოთვარე დროს, როცა მენშევიკები უცხოეთისკენ ვარბოდნენ და დღედობლად თვითმებნენ რკინიგზის ხიდებს, მაშინ, როცა აფეთიან ერთ ბოვირიც არ ვაუკეთებიათ. აქ მწერალმა სინამდილე ორი პატარა ბიჭის — ოსიკოსა და ზახას თვლით დაგვანახებ და ამით თხრობის მეტი უშეალობა და დამაჩერებლობა მიანიჭა. ასევე ვარგად არის დამწერილი მოთხრობებ „ოქსანა“, „თეთრილა“, „ბულბულის ტყე“, „საჩუქარი“ და სხვები, მაგრამ თუ დავსვათთ ეთიხვას: რით იქცევს ყურადღებას მ. ასათიანი ჩვენს ლიტერატურაში. ვინა პლანზე დგება ის ლამაზი ლეგენდები, აჭიკორის დოკუმენტური მოთხრობებში რომ ჩაურთავს, ან დამოუკლებელ ნაწარმოებად დამწერია.

ყველა მწერალი ეძებს სწორედ იმ მადანს, ვერ სხვას რომ არ აღმოჩენნია, შემდეგ თავისი სულის მხურვალე ქურაში აღნოსო და ისე სთავაზობს მკითხველს.

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს მთა-ბარი. ყოველ კუთხეს თავისი სილამაზე და ვანუშეორებელი ეშხი აქვს. ზღამიქულია კავასიონის ქედზე მზის ჩასვლა-ამოსვლა. იგი თაის ოცნებას ბადებს და უღამაზეს კლდეებსა და ბუბებს ლეგენდების საშოსელში ხვევს. საქართველოსავით მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ლიტერატურაც, მაგრამ იგი რატომღაც დღემდე დარბია მწერალთა მერ შეთხზული თუ დამუშავებული თქმულებებითა და ლეგენდებით.

სწორედ ამ შხრივ თაისი ნიჭი მ. ასათიანმა მკაფიოდ ვამოიწინა, მისი ლეგენდები ახალი ფიქრითა და თვალთახედვით არის საყურადღებო, მწერალი ვარდასული ქამის ამბებს თანამედროვე კაცის თვლით პერეტს და ამით ჩვენი დროის მნიშვნელოვან და სავიბოროტო საკითხებს ეხმარება, ძველ სიმარტლეს ახალი შუქით ანათებს.

ბევრი რამ არის დამწერილი ამირანზე, მაგრამ სულ სხვა მ. ასათიანის „ამირანის ძობილი“. აქ ორი საწყისის — სიკეთისა და მართობების ბრძოლა თავისებურად არის ვაშუქებული. ყველაფერი იოლად არ წყდება, როგორც ზღარებში ხდება ხოლმე, არც მხოლოდ ორი მკვეთარი ფერი ჩანს — შუვი და თეთრი, ავტორი ყველა მოვლენას სხვადასხვა კუთხით უდგება და ადამიანთა სულშიც ღრმად გვახედებს. ხშირად ქანაობს სასწორო, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ეს მკითხველმა უნდა ვანსაღოს.

„ამირანის ძობილი“ ვვაცნობს იმ დროს, როცა ადამიანმა პირველად დაანთო ცეცხლი, ვამოადნო რკინა და დამწერა ყურბენი. კაცის

გვით შეიარაღებულმა ხალხმა რკინისგან სახ-  
ნისის პირი გააკეთა, მაგრამ ავტორიანმა და-  
რისპანმა ეს რკინა მაშინვე კაცის მოსაკლავად  
და სხვის დასამონღვლად გამოიყენა.

როცა რკინა გამოაღწეს, აი, რა საუბარი  
გამართა ამ ორ ადამიანს შორის (ასე ვთქ-  
ვით, სიკეთესა და ბოროტებას შორის):

— აი, შეხედე, — გაუღმა ხალხმა და-  
რისპანს, — კავის ქულის წვერზე კაცის მა-  
ვივრად ამას თუ წამოვაცმევთ, იცი, რა იქნება?  
იმდენ მიწას მოგზნავთ, იმდენსა, რომ ბელ-  
ლები გაივსება“.

დარისპანმა ჩაიხვიხვინა:

— არა, ტუელია! ამ დწეველისაგან  
დანებასა და სატევრებს უფრო მრავლად ვააქე-  
თებენ, ვიდრე სახნისებს. ასეც სჯობია, უფრო  
დასაგრავენ ურთიერთს“...

ხალხას ორივე თვლი საღა აქვს, დარისპა-  
ნი კი ცალთვალა. ესეც ნიშანდობლივია: სი-  
კეთე ორი მართალი თვლით უცქერს სამყა-  
როს, ბოროტება კი — ერთი ავი თვლით.

დარისპანისა და ხალხას კამათს ნათელი  
ქვეყნატყვით ვასდევს: ყოველი კეთილი საქმე  
თუ მას გულდარძლიანი კაცი დაეპატრონება,  
შეიძლება უკულმართლად შებურუნდეს, სიკეთე  
ბოროტებად იქცეს.

ავტორმა მომაცკდავ ხალხას ამქმევიანა:  
ცუბორნი და ლითონი დარისპანს უნდა წაართ-  
ვათ... ასეთი კაცი ყოველი სიკეთის მარცვალს  
ბოროტების ნეშოში ვახვევსო.

ჩვენს ცნობიერებაში თავისთავად ჩნდება ამ  
ამბის პარალელი: კაცობრიობისთვის ატომ-  
გული აღმოჩენას ისეთივე სიკეთის მოტანა  
შეუძლია, როგორც ეს გააკეთა უსსოვარ ღრო-  
ში ცეცხლისა და რკინის აღმოჩენამ, ოღონდ  
ამ სიკეთეს დარისპანისთანა მხაკვირი კაცი  
არ უნდა დაეპატრონოს, თორემ იგი ამ კე-  
თილ აღმოჩენას ხალხის გასანადგურებლად ვა-  
მოიყენებს.

„უფრძნის მტევნებში“ მოთხრობილია აქა-  
რის მიწა-წყალზე ვახის აღდგენა-გახარების  
ფრთხი კეთილი ამბავი. იქვე ვეცნობით, რო-  
გორ იბძობდა ქართველი გლეხი თავისი სამ-  
შობლოს გადასარჩენად. აქ ლეგენდური ცოტა  
რამ არის, „უფრძნის მტევნები“ მღელვარე მო-  
თხრობაა, რომელსაც აქვს დრამატული და-  
ძაბულობა და მიმზიდველი სიუჟეტი. მაგრამ  
ავტორი ამბის ლამაზი თხრობით როდი კმა-  
ყოფილდება, რთულ სიუჟეტურ ქარგაში გვი-  
ხატავს ადამიანთა მკაფიო, ძლიერ და დასამა-  
ხსოვრებელ ხასიათებს, ღრმად გვახედებს მათ  
სულში და ქმნის ჰუმანიტად მხატვრულ ნა-  
წარმოებს — ფსიქოლოგიური დეტალებითა  
და აზრით მდიდარს, სხარტი დიალოგებით გა-  
მართულს და ადამიანური ვნებების კვილით  
აღსავსეს.

სიყვარულის სამეტხედის ქარგით ლეგენ-  
დაც ბევრი დაწერილა, მოთხრობაც უა რამა-  
ნიც. მ. ასათიანს „მთავლის სიყვარული“  
ქარგად ასეთულის სამეტხედია, მაგრამ  
ახლებურად გააზრებული და გადამკრული. აქ  
ავტორმა ქელისა და კაცის სიყვარულზე მალ-  
და დააყენა საერთოდ ადამიანის სიყვარულ-  
და თავისი გმირი კაცთმოყვარეობის მთავრ  
იფანა. ეს ლეგენდა ჰუმანიზმის კამყაზა  
მზით არის განათებული.

კითხვებში სასანიროდ წასული ორი აფხაზი  
ქმის ამბავი კარგა ხანა ლეგენდად დადის  
ხალხში. მაგრამ ამ ამბავს მ. ასათიანმა ახალი  
სული შთაბერა, პოეტური ფანტაზიის წყა-  
ლობით ახალი გმირებიც გაეჩინა და მისი აფ-  
ხაზური თქმულება“ თავისი იდეურ-მხატვრუ-  
ლი ჩანადრებით სულ სხვა ნაწარმოებია. ავ-  
ტორმა ხალხური თქმულებიდან მხოლოდ ქარ-  
გა ისესხა, ეს არის და ეს, შავ სულ სხვა სა-  
თქმელი ჩიღო და მთავრი ხასიათებით მდიდა-  
რი მშვენიერი მოთხრობა შექმნა.

ასევე კარგია „თქმულება ქუთაისზე“, „ოქ-  
როსა და ვერცხლის მარცვის ამბავი“ და  
„როგორ გააჩინა წყლის წვეთმა ნაპერწყალი“. მამია ასათიანს ლეგენდები კარგი ქართული  
ენით არის დაწერილი. თუ ავტორი ზოგიერთ  
ლეგენდის მათთიერ იერს ჩანათხრობებს,  
ისინი კიდევ უფრო გამობრწყინდებიან, რო-  
გორც მალამმხატვრული ნაწარმოებები. ხალ-  
ხური ლეგენდები სწორად ჰგავანან ერთმანეთს,  
მ. ასათიანს ლეგენდებს კი მრავალფეროვნება  
ამშვენებს. თეთიული ლეგენდა თავისებური  
კეთხით ამუქებს ქართველი კაცის ვაქციობას,  
სამშობლოსათვის თავდადებას და შრომის სი-  
კეთეს.

ღმერთთან მისასვლელ კიბებებსა ჰგავს ჩვე-  
ნი მთებიო, — ამბობს მ. ასათიანის ერთი გმი-  
რი, მაგრამ მის ლეგენდებში ღმერთი თითქმის  
არა გვხვდება, რადგან ავტორი ორივე ფეხით  
მიწაზე დგას და ამ მიწის სატკივარი აწუხებს.  
მ. ასათიანი ლეგენდების სამეფო მთებში ნამ-  
დილი ადამიანებს ეძებს, პოელობს და უხარია,  
როგორ უყვართ იმ ადამიანებს მიწა, სიციცხ-  
ლე, პატრონება, თავისი ქვეყანა, ერთმანეთი  
და მზე. იგი ლეგენდებს რომანტიკულ ელფერს  
არ აკლებს. დროის კოლორიას უნარჩუნებს,  
მაგრამ აზრობრივად უფრო აღრმავებს და  
ყველა გმირის საქციელს ფსიქოლოგიურად და-  
მავერებელს ხდის. ლეგენდების ამ ახლებურ  
გააზრება-გადიწყვეტაში ჩანს სწორად თან-  
მედროვე კაცის თვლი და მწერლის ოსტატო-  
ბა.

„შიშველ ხმალში“ მოთავსებული მოთხრო-  
ბები, ნარკვევები და ლეგენდები საინტერე-  
სოდ არის დაწერილი და ეს წიგნი, იმედია,  
ქართველ მკითხველს გაახარებს.

### წიგნი ქართულ სამოციანელებზე



ყოველი ერთსა თუ საზოგადოების ცხოვრებაში მოთხოვება ისეთი ხანა, რომელიც საშუალოდ ინარჩუნებს ერთგვარ რომანტიკულ მიზნულეობას. ასე წარმოგვიდგება გასული საუკუნის მესამეხანაში სამოციანი წლები, რომლებიც მიუხედავად თავისი უღირსი „მიწიერებისა“, მართლაც რჩება პოეტური განცდის საგანად. რა თქმა უნდა, ესეც იყო ერთერთი მიზეზი იმ გატაცებული ძიებისა, რომელსაც მკვლევარნი თავიდანვე ამკვლავებდნენ და ახლაც ამკვლავებენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პერიოდის მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია ის ძირეული ცვლილებები და გარდატენები, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მოხდა მაშინ. სწორედ XIX საუკუნის 60-იან წლებში ავიდა განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ბაზისტარანი—რიაი, აკაი, ნ. ნიკოლაძე გ. წერეთელი, ა. გოგვაშვილი, ს. მესხი და სხვ. ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩვენს ანალებში „სამოციანელთა“ საპატიო სახელწოდებით მოიხსენიებიან.

ძლიერი, ვახვდელი, შეუბოძარი იყო ის ეროვნები, რომლებიც მებრძოლთა ამ რაზმს მამქონდა მამინდელი სოციალური უსამართლობისა და ცარიზმის დიდმპყრობელთა პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ერთერთი უძლიერესი ფალაგანი იყო გიორგი წერეთელი, აღამიანი, რომლის შრავალფეროვანი ნიჭი და მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია ჩვენ ქვეყანაში.

შემოქმედების ეს მრავალფეროვნება გ. წერეთლის პირადი ჟინის ნაყოფი რადი იყო, რადგან შწერლის ენციკლოპედიზმი საესებით უპასუხებდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელ მოთხოვნებს და ამითვე იყო განამირობებული.

უპაველია, რომ გ. წერეთლის შემოქმედების ყველა ზემოხსენებული სფერო შეიძლება გახდეს და კიდევაც ზდება საგანგებო კვლევის საგანი. ამის დამადასტურებელია ის ცალკეული შრომები, რომლებიც შწერლის მხატვრული შემოქმედების, მისი ფილოსოფიური შეხედულებებისა და სულიერი ცხოვრების სხვა მხარეებშია დამადასტურებელი. მაგრამ ასევე უპაველი იყო თავიდანვე, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაწე-

რილიყო იმგვარი მონოგრაფია, რომელიც ყოველმხრივ და სრულად იქნებოდა განხილული შწერლის მიერ ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება. ეს შოლოდინი გამართლდა მკვლევარ ანდრო ჭილაიას ნაშრომმა „გიორგი წერეთელი“, რომელსაც, ჩვენი შეხედულებით, ინტერესით გაეცნობიან არა მარტო სპეციალისტები, არამედ საერთოდ ქართველ მკითხველთა ფართო წრეებში.

სახალხო განათლებისა და ეროვნული სკოლის საკითხს ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობასა და შემოქმედებაში. მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების დაფუძნებისათვის გაშლილ ბრძოლას ჩვენთვის მდამ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კულტურული, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ეს ბრძოლა თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და გ. წერეთლის უდიდეს უნდადღებებს სწორედ ამით მხატვრულად.

„თავისუფალი საქართველო“ ყველა „თერგდალეულისა“ და, მათ შორის, გ. წერეთლის ოცნების საგანი იყო ყოველთვის. იგი იყო უმძლესი იდეალი, რომლის განხორციელება ინტეროდღა ამ ახალგაზრდობას უნდა ეყისნია, რომლის ერთერთი დიდი სულიერი წინამძღოლი თავის დროზე გ. წერეთელი იყო.

უბოჭნი იდეური ცხოვრების შესაბამისად, გ. წერეთელი ხარტ უხდოდა განმანათლებლობასაც და თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ „ცხოვრების სიეთუ დამოკიდებელია განათლებაზე და აღზრდაზე“. ამიტომ იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ შრომისთან შეერთებული განათლების დამკვიდრებისათვის შეეშაადებინა ნიადაგი. პესტალოცისა და ჩვენებური რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიკური იდეების შესაბამისად, გ. წერეთელი არ მკაყოფილდებოდა ახალგაზრდობის ცალმხრივი გონებრივი განათლებით და დაუღალავად ამის ქადაგებდა, რომ ყმაწვილკაცებისათვის აუცილებლად საქართა „სახელოსნო და სამურნეო სწავლის შექენა“, თუ კი მათ სურთ საქშით გამოადგენენ ქვეყანასა და თავისთავსაო. მონოგრაფიის ავტორი სწორედ შენიშნავს, რომ გ. წერეთელს „ქართულ მშობლიურ ენაზე სწავლება მაიანდა ბირველი რიგის მოთხოვნად, ბეჭეის გონების განვითარებისა და ხალხის გათვითცნობიერების ერთ-ერთი ძირითად პირობად“.

ახალი, დემოკრატიული, სოციალური და

ანდრო ჭილაია, „გიორგი წერეთელი“, „ცოდნა“, 1964.



პატრიოტული შინაარსით იყო დატვირთული გ. წერეთლის არა მარტო პედაგოგიური შემოქმედება. მწერალი ამ თვალსაზრისით განიხილავდა ჩვენი ქვეყნის ყველა მოვლენას, შეხებოდა იგი ხალხის იმდროინდელ ვითარებას, თუ მის ისტორიას, ბედს და მომავალი განვითარების გზებს. ამ დიდ საქმიანობას ეწეოდა იგი დედულავე, გამსაკვიფრებელი ენერჯითი XIX საუკუნის 11 ნახევრის იმ მოწინავე ქართული პრესის ფურცლებზე, რომლის „აღორძინებისა და აყვავების ისტორია, ნათქვამია მონოგრაფიაში, უმოთარესად ილიასა და გ. წერეთლის სახელთანადა დაკავშირებული“. მკვლევარი უმკველად მართალია, როდესაც ხაზგასმით ლაპარაკობს იმ დიდ თაოსნობასა და მონიჭილობაზე, რომელიც გ. წერეთელმა გაზუთ „დროების“, „ქრისტიანული“, „სასოფლო განხეთის“, თუ სხვა ქართულ ეურნალ-გაზეთების გამოცემისა და ხელმძღვანელობის საქმეში გამოიჩინა თავის დროზე, მგარამ, სასურველი იყო, რომ, კერძოდ, იქ, სადაც, გ. წერეთელზეა ლაპარაკი, როგორც „ეტიუდის“ დამაარსებელზე, გახსენებული ყოფილიყო ნიკო ნაიკიძის ის სიტყვებიც, რომ „... საეკონომიკო „ქრისტიანი“... საქართველოს ვუძღვება და ილიას ნაგებარე ხელში“.

საოცრად მრავალწახანოვენი იყო გ. წერეთლის პიროვნება, მისი შემოქმედება, რომლის ძალა თავიდანვე ნათლად გამოჩნდა არა მარტო ქართული, არამედ რუსული პრესის ფურცლებზედაც და რის შესახებაც ასე კარგად, საინტერესოდ არის მოთხრობილი მონოგრაფიაში.

გ. წერეთლის პუბლიცისტური შემოქმედების განხილვას მონოგრაფიის ავტორი სივანგებოდ ჩერდება მწერლის იმ ფაქტურსადა ნაყოფიერ თანაშემრობლობაზე გაზეთ „კვალში“, რომელშიც ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი ხალხის ბრძოლის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ყველაფერი აღმინანსა და სამშობლოს ბედნიერებისათვის, ასეთი იყო ყველა ქართული სამოციანელისა და, მათ შორის, გ. წერეთლის ის საბრძოლო დევიზი, რომლის გამსრულებლობისათვისაც დაეღალადა ილწოდა იგი მუდამ. ამ კეთილშობილი და საშვილშვილო საქმის შესახებ კჳონდა წარმოდგენილი მას ლიტერატურა და ხელოვნება, კერძოდ, თეატრი, რომელსაც უდიდეს აღმზრდელით ამოცანას აკისრებდნენ ჩვენი „სამოციანელები“. მონოგრაფიაში მოკლე, მგარამ ამოწურაყადაა ნახვევება. თუ როგორ იბრძოდა გ. წერეთელი ქართული ეროვნული თეატრისა და დრამატურგიისათვის, რადგან, როგორც იგი ამბობდა, „ნაციონალური ცუდიც რომ იყოს, სხვის კარგზე უკეთესი იქნებაო“. ახლის ძლიერა გრძნობით იყო აღჭურვილი გ. წერეთელი, და ეს მან

შესანიშნავად დავეანახვა თავისი დიდებული კომედიით „ჯობათ“, რომლის მკვლელობა წინააღმდეგობა გაუწიდა ქართველ დრამატურგებს, რომ, გ. წერეთლის მსგავსად „ოქმეც ეცადეთ, ჩვენი ნამდვილი ცხოვრების, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ხალხის მდგომარეობა და ხასიათი დაგვიხატეთ, ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების მთელი ჩაგვადგეთ, მისი ღობინ და ქირა დავეანახოთ სწორი ფოკუსში, სწორი გაშუქებით“...

ანდრო ჭილაია საცხებით სწორად შეინშნავს, რომ „ეროვნული ტიპილის“ გრძნობამ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში მეტად მწვავე და მძაფრი ხასიათი მიიღო. ეროვნულ ჩაგვრას, რომელიც გარედან მომდინარეობდა, თან ერთვოდა შინაური სოციალური უკუღმართობა, ქვი ბატონეობის სახით. შემდეგ კი ახალ ვითარებით შექმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წყალობით. ამათ შექმნა „ახალი ეპოქის მოთხოვნებიანი, რომლის შესაბამისი ცვალებები იყო მოწინავე საზოგადოების ყურადღებას ცენტრში“. მაინც რა შეადგენს იმდროინდელი საზოგადოების ყურადღების მთავარ სივანს? მკვლევარის სწორი გაგებით „ეროვნული საკითხი მთავარი იყო ნაციონალური თვითმყოფლობის შენარჩუნება, ბრძოლა დიდმეგრობელურა, ცარიტული პოლიტიკის წინააღმდეგ, სოციალური მისწრაფება ვარაუდობდა არსებული მდგომარეობისათვის ატლს აღებას, კანიტალიტური განვითარების ტენდენციის დაწახებას, ხალხების ბრძოლის ვითარებისწინებას ცარიზმის წინააღმდეგ და აქედან სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოთხოვნას“. მონოგრაფიის ავტორი დამაყრებელად გადმოგვცემს იმას, თუ ზემოთაღნიშნული თვალსაზრისით, გ. წერეთელი როგორ ამუშავებდა საქართველოს ისტორიის საკითხებს, რა დევიზი დასდო მან საქართველოს დიდი წარსულის შესწავლას, როგორ ცდილობდა იგი ნათლად ქართული კულტურის ისტორიული სიღაღე.

გ. წერეთელი მარტო მეხოტბე კი არ იყო ჩვენი დიდი წარსულისა და, საერთოდ, ქართული შემოქმედი სულის ძალის, არამედ მისი ხმაღამწვილი ვუმეგიც, რის დამაღმტრებელია, კერძოდ, ის შესანიშნავი პოლიმეგური სტატია, რომელიც ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული შემკვიდრებობისადმი ერთი უხასიღამოკიდებულების საპატიხოდ დასდო მან გაზეთ „დროებაში“. წარმუცელი კვალი კი, რომელიც უკვადამ პოეტმა ჩვენი ხალხის სულაერ ცხოვრებას დააჩნია, გ. წერეთელმა ასე გამოხატა დიდი სულმნათის საფლავთან: „ახლა მე აქ მუხადება იმედი, რომ ეს სათაყვანებელი საფლავი, მამამ დამარბული წმინდა ნეშტით, ბარათაშვილის უცვდავი სუნებმა და მისი „მერანი“, ეს ძლიერი ლეჳნი, შეაერთებს სულთა და გულით ჩვენს ერს და შეერთებული ძალდა“.



ნით ძველებურად, მამაპაპურად შეეებრძოლებით ჩვენს ბედს, ჩვენს უღობველ დედნაცუვალს". მართალია, შესანიშნავი და მრავლისმეტყველი მწერლის ეს სიტყვებია, რომლებშიც, გ. წერეთლის ავტორის სწორი განსაზღვრებით სიმბოლურად გამოხატულია ქართველი ხალხის ნაციონალური ინტერესების ერთიანობა.

ამ მაღალი პატრიოტული მოვლიებიდან აქვს განსხვავებული და შეფასებული მკვლევარი გ. წერეთლის აზრები ქართული მწერლობის ისეთ კრიტიკებებზე, როგორებიც რაფ. ერისთავი, ალ. ვახუშტი და ვ. ვ. ნინოშვილი იყვნენ. ანდ. კილაიას მიერ კარგად და დღივ ყურადღებითაა გარჩეული და აღმასიათუბნად გ. წერეთლის მოღვაწეობა ქართული ფოლკლორის შეკრებასა და შესწავლაში.

ფილოსოფიურად მაღალგანათლებულ ქართველ მოღვაწეს, გ. წერეთელს, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის ადგილი, რომელიც ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში უჭირავს უმადლეს სამწიველებელს საერთოდ და, განსაკუთრებით კი, ისეთ პირობებში, როგორშიაც იმ დროს საქართველო იმყოფებოდა. წინააღმდეგ ჩვენებური თავადმანაპირობისა, რომელიც განათლების იდეალს კავებდა კორუპციების გამრავლებაში ხელაფა. გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძესთან ერთად, ქართული უნივერსიტეტის შექმნას მოითხოვდა მტკიცედ. იმ დროს უმაღლესი განათლების ქართული ცერის შესაქმნელად წარმოებული ეს ბრძოლა მარავედდით მოსავს. გ. წერეთლის სახელს, და მონოგრაფიის მკითხველი, სობარულით იზიარებს იმ ქებას, რომელსაც ამის გამო მკვლევარი არ იშვრებს ჩვენი დიდი წინამორბედს მიმართ.

ერთხელ რუსო წერდა, რომ აღამიანისთვის. ყველა შესაძლებელი საკეთეს შორის, უმაღლესი სიკეთე თავისუფლება არისო. გ. წერეთლის რწმუნოაყ, ამბობს მკვლევარი, თავისუფლების გარეშე ოცნებაა „ერის, ხალხის, პაროვნების კეთილდღეობა“.

მთელი ვსული სიუქუნე და, განსაკუთრებით, მისი მეორე ნახევარი, ქართველმა ხალხმა, მისმა მოწინავე რაზმმა თავისუფლების ძებნისა და მოპოვებისათვის გამართულ ბრძოლას მოახმა. ამ ბრძოლის პირობებში წარმოიშვა ჩვენში, თავის დროზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფი, დასებები, რომლებიც მონურ უღლისაგან ერის განთავისუფლებას ისახედნენ მიზნად, თუმცა ამ მიზნის მისაღწევი გზებისა და საშუალებების ვიგებაში ისინი ერთმიმეორისაგან განსხვავდებოდნენ. ამის გამო წერდა ერთხელ ნ. ნიკოლაძე: „ჩვენ გვჭურდა, რაც რამ ძალი არსებობდა ჩვენში, შევეყვართებოდა და ერთი უღელში შევეგება, საერთო, საერთო. (ვ. ი. ერკოვნილი—გ. ზ.) საქმის საკეთებლად. რასაკუთრებდა, ჩინებულად მესმოდა, რომ დიდი განსხვავება არსებობდა ილიაყის (ილია ქავკავაძის — ვ. ზ.) აჯაყის, მესხის, გ. წერეთლისა და ჩემს მი-

ნართლებებს შუა, რომ ბევრში მათი აზრი ჩემის წინააღმდეგი იყო; იმასაც მკაცრად ვუძღვებდი, რომ ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს ქვეყნს ვერ მოვესწრებოდით ისეთი ხანის დადგომას, როცა ჩვენი აზრების წინააღმდეგობა ჩვენს შორის რეალური (ხაზი ნ. ნიკოლაძის—ვ. ზ.) ბრძოლას იტებსა ვამოახმობდა. წინააღმდეგობა იყო შიშის მართკ ნატკრის (ხაზი ნ. ნიკოლაძის—ვ. ზ.) სხვადასხვაფერობაში, სადაყო ვეწონდა მართო ის საყითხი, თუ რა მელი ნატკრა სჯობდა (ხაზი ნ. ნიკოლაძის—ვ. ზ.), ილიას, აჯაყის, გ. წერეთლის, ს. მესხის თუ ჩემი?.. ნამდვილ ცხოვრებაში კი, საშვიანობაში, ისეთ საგნებში, რომლის განსორკივლება ჩვენს სიცოცხლეში მოსალოდნელი იყო, ყველა, რასაკუთრებდა, ერთი და იმავე აზრის ვიუაიო... ჩვენ ყველას შემეარათებელი მიღრეკილებში ბევრად უფრო მტერი გვებადა, ვიხმე ვაუთოვი და წამიდებელი. ეს არსებითი, რეალური ინტერესი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩემში სრულიად არაეითარი მწკავე სამდურავი და წვესა არ მოუხდენდა და დატკობდა ილ. ქავკავაძის ამხედრებას ჩემი აზრების წინააღმდეგ სათავდასხურის ბაჯის წესდების შესახებ 1876—ში.

დიდი ქართველი სამოციანელის ეს სიტყვები: „უღმწეუნითი სიუქსტით გამახატავდა ქვეყნის მამინდელი საზოგადოებრივი შეგნების იმ მღგმარებობას, რომლის შექმნაში საგრძნობი წილი გ. წერეთელსაც უღვევს. როგორც ცნობილია, გ. წერეთელმა წამოაყენა „დასების“ საკეთთარი თეორია, რომელმაც თავის დროზე გარკვეული აღმპარება გუწოდა ვასული საუქუნის მეორე ნახევრის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის განვითარების შესწავლას, თუმცა ამ თეორიისადმი იმთავითვე იგრძნობოდა კრიტიკული დამოკიდებულება. ამ რთული და სადავო საყითხის შესწავლისას ჩვენი მკვლევარის მიერ არჩეული პოეცია განსხვავებულია იმით, რომ მისი ავტორი დოგმატურად არ მოჰყვება სხვათა მეორე არჩეულ ძიებების გზას და საბოლოოდ ცდილობს იმის აღმტკიცებას, რომ „გ. წერეთელი ილიასა და აჯაყისთან ერთად, უნდა მივიჩნიოთ ერთიანი დიდი იდეური ოჯახია — როგონულ-განმთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლად, რეოლუციური-დემოკრატიულ მწერლად და მოახროვინედ“.

საოცრად მრავალფეროვნი იყო გ. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ასპარეზი, მაგრამ აქ განსაკუთრებული ადგილი მაინც მწერლის მხატვრულ სიტყვას ეჭირა. უთუოდ ამითაა გომოწვეული, რომ მკვლევარ ანდ. კილაიას 500-გვერდიანი შრომის ნახევარი მწერლის მხატვრული შემოქმედების საყითხებისადმი მიძღვნი-

ლი. მონოგრაფიის ავტორის მართებული შეფასებით, გ. წერეთელმა „რეალისტური ხელოვნების, მოწინავე ესთეტიკური თეორიის ძირითად საფუძვლად იმთავითვე აღიარა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მთავარი ტენდენციების დანახვის, ეპოქის ახალი მოთხოვნებისათვის პასუხის ვაცემის, ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომისა და სინამდვილის ობიექტურად გამოხატვის აუცილებლობა. ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა, მისი ავისა და კარგის საქვეყნოდ გამოჩენა, ამ ნიადაგზე ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა გ. წერეთელმა თავისი მოღვაწეობისა და, საერთოდ, მწერტელობის სახელმძღვანელო პრინციპად მიიხსია“.

მკვლევარი მოხდენილად ვაღიარებუმა გ. წერეთლის ესთეტიკურ მატერიალისტურ ზუნებას, იმას, თუ რა შესძინა „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპით შეიარაღებულმა შემოქმედმა ქართული მწერტელობის იმ ახალ მიმართულებას, რომელს არსი მან ასე მოხდენილად გადაგვიშლა „ციცყრის“ წინააღმდეგ მიმართულ თავის ბრწყინვალე კრიტიკულ წყაროში, სათაურით „ციცყრის რა აჯაყებდა“. „ციცყრის“ კი, გ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის „აჯაყებდა“, რომ იმ დროს „საზოგადოებაში დაიძრა სტიველი სული, რომელსაც ცხოველი ხატევა სჭირდებოდა, და „ციცყრის“ თუ სიკვდილი არ უნდოდა, უსათოდ უნდა დაეტოვებინა ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა, გაეგდო გარეგანი სიბრტყელ და ზღარპვებუღეო სიციცყრის მორევი მარგალიტის მისამიქად“.

„ციცყრის“ კი ამ გზას არ გაეყოლება, იგი აიჩინა „საქართველოს მოამბე“, „დროებამ“ და „კრებულმა“, რომლებსაც სხვადასხვა დროს, ერთიანი ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებებით ერთიერთთან მტკიცედ დაეკავშირებულნი, იღ. ქავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გ. წერეთელი შეთავრობდნენ. როგორც ყველა ქართველი სამოციანელის, ისე მათი სახელმძღვანელო პრინციპი იყო ილიას ის უკვდავი ღებულება, რომ „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“. ამ თვალსაზრისის მიხედვით კი, ამბოხს მონოგრაფიის ავტორი, საზოგადოებრივი ცხოვრება ხელოვნებისა და ლიტერატურის ხასიათის გამაზობრებელია, ცხოვრება ქმნის ხელოვნების იმ შინაარსს, რომელშიც, გ. წერეთლის ესთეტიკური ფილოსოფიის შესაბამისად, შეუღამაზებლად, შეუფერავად მართლად უნდა გამოჩენილიყო სინამდვილე და ის ბრძოლა, რომელსაც თვით ხალხი ეწეოდა მის მიერვე დასახული ერთეული და სოციალური იდეალების განსაზოარიელებლად. ასე ესმოდა მწერტელობისა და ხელოვნების დანიშნულება, მისი შინაარსი, არა მარტო გ. წერეთელმა. მონოგრაფიის ავტორის სამართლიანი შენიშვნით, გ. წერეთლის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებანი ერთიანი სათავითა დაეკავშირებული ი. ქავჭავაძის „მნათობი“, № 1

ბის, ა. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის შეხედულებებთან. ამ ერთიანობიდან გამომდინარე, თოველი მთავანის ინდივიდუალტური სპეციფიკტარება, რომლის განმსაზღვრელია რეალისტური კრიტიკის პრინციპები.

ამ პრინციპებს ემსახურა გ. წერეთელი თავისი მხატვრული სიტყვითა და ტილოებით, რომლებშიც, მკვლევარის სამართლიანი გამოთქმით, მზის სინათლეზე გამოჩენისთანავე გაითქვეს სახელი და ეს დიდი სახელი მტკიცედ დაიმყვიდრეს ქართულ კლასიკურ მწერტელობასა და ლიტერატურისმყოფნეობაში.

ამ მხატვრულ ტილოებს შორის მონოგრაფიის ავტორი თავდამირველად ეტება „მგზავრის წიგნებს“, რომელიც, როგორც ენობლია, მოგზავრობის ეანრის მხატვრულ ნაწარმოებთა რიგს ეკუთვნის. „მგზავრის წიგნები“ ისეთი თხზულება იყო, რომლის შეფასებაში ერთმეორეს დაუმიარსებდნენ „მამები“ და „შვილები“, მათი ისეთი წარმომადგენლები, როგორიც, ერთი მხრით, გრ. ორბელიანი და მეორე მხრით, ნ. ნიკოლაძე იყო. დიდი ქართველი პოეტის სიმბინჯედ თვლიდა „მგზავრის წიგნები“, ხოლო ნ. ნიკოლაძე ამბობდა, რომ იგი „ახალ ილტაცებას, ახალ უმაღლეს ლოდინს და იმედებს პბადებსო“. მკვლევარ ანდრო ჭილაის სწორი შენიშვნით, ამ ნაწარმოებში მწერალი ვაბედულად ილაშქრება იმდროინდელი სოციალური და ნაციონალური უკუღმართობის, ეკონომის ფილოსოფიის წინააღმდეგ და მკითხველს აღტრავდა იმ ეროვნულ-განმთავისუფლებულ აზრებსა და გრმონობებს, რომლებსაც ნაწარმოებში იზი გმირი, სალთა და ხასკი განსაზოებრებენ. და ყოველივე ეს ნამდილად წარმომადგენდა მხატვრულ ხორცენების შეუფერავი რეალიზმის იმ შეთოდინა, რომლის ესთეტიკური არსი ასე კარგად აქვს ვაღმყოფელი თავის შრომაში წიგნის ავტორს.

„მგზავრის წიგნებს“ მართლაც, ავტს ის დიდი ღირსება, რომ როგორც მკვლევარი ამბობს, სრულად „მოიკავს XIX საუკუნის 60-70 წლების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნათელ დაბსიათებას, თუმც მას ზოგერთი მხატვრული ნაკლი გაანინა“. ეს განცხადება ნაწარმოების ნაკლის შესახებ, რა თქმა უნდა, სწორია საერთოდ, და სწორია ისიც, რომ ზემოაღნიშნული ნაკლი განსაკუთრებით იგრძობა ნაწარმოების მეორე ნახევარში, მაგარ ამასთან ერთად, კარგი იქნებოდა, ავტორს გამოეყენებინა იმათი სახეები ვინც პირველად აღნიშნა ეს ნაკლი და ამის შესახებ პრესაშიც გამოთქვა თავისი აზრი.

იმდროინდელ მოწინავე ფილოსოფიურ სოციალოგურ და ეროვნულ-განმთავისუფლებულ იდეათა სპექტრში აქვს ანდ. ჭილაის განხილული თუ შეფასებული გ. წერეთლის ისეთი რომანები, როგორიცაა „გულქანი“, „პირველი

ნახიცი, „ჩვენი დროის ყუვილი,“ მწერლის დრამატული ნაწარმოები „ჯიბრია“ და სხვ.

მთელ თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გ. წერეთელი საოცრად თანმიმდევრული შემოქმედია. იგია მტკიცე და ერთგული იმ საზოგადოებრივ ლიტერატურული პრინციპისა, რომლებიც, თავის შეგობრებასა და თანამებრძოლებთან ერთად, შეიზღუდავა ვახუშტის 60-70-იან წლებში და მის პოზიციებზე დარჩა სიცილიამდე.

„გიორგი წერეთელი—ამბოზს ანდრო ჰელიოცა, —მთელი თავისი სიცოცხლე ქართველ ხალხს ერთიანობისათვის იბრძოდა, ხოლო შინა გარდაცვალებისა და დასაფლავების დღეები ვადი-იქცნენ საშობლოს ერთგული მთლიანობის განმტკიცების ერთ-ერთ ფაქტორად“. ამ ქვე-მარტებს ნათელუფეს, მას ასახულებს დამაჯერებლად მკვლევარი თავის კარგსაქობა წიგნში, და ამამა მისი ღირსება და ძალი.

მლადინეა ზაზახინი

### «კაპუკები დარჩნენ მარად»

ლადო ასათიანი, აღექვანდრე საჯია მირ-ზა გელოვანი, რამდენი რამ დაიწერა მათზე და ვინ იცის კიდევ რამდენი დაიწერება. მართალია, მათ ძალიან ცოტა ხანს იცოცხლეს, მიუთმეტეს პოეზიისათვის, მათ ვერ მოასწრეს პოეზიაში დავაყვება, მართალია, მათ ვერ თქვეს თავიანთი სათქმელი ბოლომდის, მაგრამ რაც თქვეს, კარგად თქვეს და ამიტომაცაა, მადლიანი ქართული ხალხი მათ ნათქვამს თუ მათ შესახებ დაწერილს სათუთად ინახავს, რათა შთამომავლობას გადასცეს მარად ჰაბუკებდ დარჩენილთა ამბავი.

ლადო ასათიანის, აღექვანდრე საჯიას, მირ-ზა გელოვანის და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება ნიკა აგიაშვილის მოგონებების წიგნი „კაპუკები დარჩნენ მარად“, რომელიც ახლახან შეგებულ სახით განმეორებით გამოცემა გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“-ს. ასეთი წიგნის ფასი მკითხველმა კარგად იცის, მიუთმეტეს, თუკი მასში მოთხორობილია მათ თანამედროვეზე, მათ თანამაშაბულზე, მათზე, რომლებიც ჩვენსავეთა „ახლა ისეთივე კლარაშერეული, შემელოტებული და უფრო დაბრძენებული შეხანის ჰარმაჯი მამაყვება იქნებოდნენ“... „...მაგრამ ზოგერთ მათგანს აღარ დასცალდა დავაყვება და იდრე წაიფიდა ამ ქვეყნიდან: ერთნი — სამამული ოპის მძიმე წლებმა შეიფირა, ხოლო სხვებს — უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე უმობელმა სიცილიამ“.

ნ. აგიაშვილის წიგნი „კაპუკები დარჩნენ მარად“ მეშუარული ლიტერატურის ნიმუშია, რომელიც შთამომავლობას შემოუნახავს პირ-მოციხარე და სიცოცხლეზე შეჯვარებული, უდროოდ დაღუბული აღამიანების პორტრეტებს. ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „ამ ყველაზე მეტი, და საგრძნობლადაც, თქმულია ლადო ასათიანზეო“, მაგრამ როგორც კი წიგნის პირველ ფურცელს წაიკითხავთ,

დაიწმუნდებით, რამ მწერალს ბევრი რამ ჰქონია ვასახსენებელი, არა მხოლოდ ლადო ასათიანსა და მის თანატოლებზე, არამედ მათი უფროსი თაობის წარმომადგენლებზედაც. მეშუარული ლიტერატურის მეტი წილი, რომლებიც ლიტერატურული ფონდის საგანძურში შესულა, დიდი ინტერესით იცითებდა. ასეთივე ბედი ეწვია ნ. აგიაშვილის წიგნს, რომელიც საბი წლის მანძილზე უკვე ორჯერ გამოვიდა. წიგნის წაიკითხვისთანავე სინანულის გრინობა გიპყრობთ, ჟერ ერთი, რატომ ასე უდროოდ წაიფილნენ ამ სოფლიდან „მოქმედი გმირების“ უმეტესობა, და მეორეც, რატომ ასე „ჩქარა შემოვლია“ მწერალს მოსავონარი.

ნ. აგიაშვილის ამ პოეტურად დაწერილ წიგნში, ასაკით ყველაზე უფროსი მოქმედი გმირია, ლევანდად ქცეული ნიკო ფიროსმანი-შვილი; მწერალი გვიყვება ფიროსმანიშვილის შესახებ არსებული ლეგენდებისაგან განსხვავებულ ამბავს აქვე უნდა ითქვას, „ფიროსმანის მეგობარი“ წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია, სადაც გარდა იმისა, რომ მოთხორობილია ნიკო ფიროსმანიშვილზე, ამვე დროს კარვადაა გახსნილი ლადო ასათიანის პოეტური ბუნება და მისი ინტერესების სფერო. თვით ბრმა მოზარბების, უშინავ სეანის პორტრეტიც ერთ-ერთი ბრწყინვალე შესრულებული ჩანახატია. საერთოდ ნ. აგიაშვილს საოცარი ძალით ეხერხება ნახაზი აღამიანების აღწერა; თუნდაც, რად ღირს ავტორის მიერ აღწერილი მესხთა გვარის უკანასკნელი მოპიკანის, ძველი ეფრნლისტ-მწიგნობარ-მოთარგმნლის დავით მესხის პორტრეტის გახსენება.

იმ თაობის წარმომადგენლებს, რომლებსაც სცნებენ არ უნახავთ უშინავი ჩვიცი და მხოლოდ და მხოლოდ რადიოთი „იცილობდნენ“ მას, წიგნში ვანსაყურებოთი მოზაბლავს ის იდგილი, სადაც ნ. აგიაშვილი ნამდვილი პოეტური აღმადგენითა და წარმტაცი საღებავებით აცოცხლებს ამ დიდ ხელოვანს. ჩვენ გვინახია სცენაზე თუ ცხოვრებაში ვადალბუ-

ნიკა აგიაშვილი, „კაპუკები დარჩნენ მარად“, საბჭოთა საქართველო, 1964.

ლი უშანგი ჩხეიძის უამრავი ფოტოსურათი, მაგრამ არასოდეს წარმოგედგინა ისე, როგორც იგი დაგვიხატა ნ. აგიაშვილმა. „ჰამლეტი და პორაეო სანპაროზე“ წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილთაგანია. აქ დახატულია არა მხოლოდ ლევენდარული უშანგი ჩხეიძისა და დავით ჩხეიძის ჰამლეტისა და პორაეოსებურად „შოსანი ლანდის“ პორტრეტები, არამედ მწერლის მთავარი გულითა და სულითა ნაგრძნობი და განცდილი უშანგი ჩხეიძის თამაშით გამოწვეული დიდი აღფრთოვანება.

ნ. აგიაშვილის მოგონებების წიგნი ძაფზე აგებულ წერტილ-წერტილ მივივებს ჰეავს. თვითველი მთავანი ცალკე-ცალკე ლამაზია, ხოლო ერთად, კიდევ უფრო ლამაზი. ამ წიგნში არის უამრავი მოგონება, ფაქტი, ამბავი, უშუალოდ ნანახი, განცდილი, და გავიანილი, ავტორის ძალიან ბევრი ამბავი ჩაუტყვია წიგნში, იქ თვითველი სტრიქონი ამბავია, თვითველი სახე პორტრეტია, თვითველი ამბავი — ნოველა.

ავტორი იგონებს პირველი ქართული საბჭოთა ვაჟების დაარსებას, ახალი ცინოფილმების გარშემო ატეხილ სენსაციასა და მითქმამითქმას, ქუთაისისა, და ქუთაისის შემოგარენის, რიონისა და წყალტუბოს სურათებს. და აჭეკა მაშინდელი მსოფლიო ამბავი, ესპანეთში გახადებული სამოქალაქო ომი, გერმანიის ფაშისა და სხვ.

მაგრამ, როგორც ცოცხლებია ყველა სურათი, როდესაც მას ავტორი აცოცხლებს პოეტის თვლით, ლაღო ასათიანის თვლით. ლაღო თურმე უმაღლეს ეხმარებოდა ყოველგვარ კარგ წამოწყებას, ყოველ ახალს. ლაღო თურმე საათობით შესწავროდა ქუთაისის ახალ სისტემრის „ფასადზე კოდალასავით მისკებულ ჩუქურთმისმჭერებს.“

ნ. აგიაშვილის მოგონებების წიგნის ახალი გამოცემისათვის ზოგიერთი რამ დაუშვებია, რაც ავტორის პირველი გამოცემის შემდეგ დაუბუნებელი, ასე მაგალითად, წიგნში შესულია დამატებით ის მასალა, რაც ლაღო ასათიანის დაბადების 45 წლის იუბილეს შეეხება, და რომლის აქტიური მონაწილე თვითონ მოგონებების ავტორი იყო. ასევე წიგნში დამატებით შეუტანია ავტორის სინტერესო ამბავი მირზა გელოვანის საფლავის აღმოჩენასთან დაკავშირებით, და სხვა.

წიგნის ერთ თავს „დღესაც გაისმის მათი სიმღერა“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გიორგი კალანდაძის ლექსის სტრიქონები:

რა გატაცებით ვიდლოთ ერთად და მერე როგორ დადივართანით ვულდაწყვეტილი ამბობს პოეტი.

ეს სტრიქონები იმ განვლილი ტუბილი დღეების დაკარგვით გამოწვეული სინანულია, როცა წიგნის გმირები მხარდამხარ შრომობდნენ, იბრძოდნენ, ცხოვრობდნენ და თხზავდნენ მაგრამ უღმობელმა დრომ თავისი გაიტანა, მგობრები ერთმანეთს დააცილა, დაფანტა; მაგრამ ნ. აგიაშვილის წიგნში ამ დაფანტულ ხალხს, წიგნის დაფანტულ ფურცლებზეთ მოუყვარა თავი, და ასე წარმოადგინა ჩვენს თვალწინ ქურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე სხვადასხვა დროს ასოცამდე დაჯეკაცებული აღაზიანი, რომლებიც „თანაბარი მონდომებით იყავდნენ საერთო საქმეს“. და რომელთა შორის, უდროოდ დაღუპული ლაღო ასათიანი, აღქმსანდრე სავაია და მირზა გელოვანი; აქაღარამწერელი, შემელოტებულ და უფრო დაბრძენებულ შეხების ქარივე მამაკაცება“ მოსჩანან.

ნ. აგიაშვილი

**8. ფანჯიკიძის მოთხრობები**

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოცემა ახალგაზრდა მწერლის გერამ ფანჯიკიძის მოთხრობების წიგნი. კრებული შოიციკის ოთხ მომცრო და ერთი მორბილ მოთხრობას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ცხოვრებას, სპორტს, ჩვენი სოფლისა და ქალაქის ყოველდღიურ ყოფას ეხება.

სარეცენზიო კრებულის ორი მოთხრობა — პირველი და უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, თავისი თემის სახლით გვახარებს. მოთხრობა „კვადი ზღაზე“ ეხება მეზღვაურთა ცხოვრებას და ზღვის სტიქიასთან ბრძოლას, ამ თემის ღირებულებაზე ლიტერატურისთვის ლამაზი ზედმეტია; ჩვენ ყველას წაგვიკითხავს უამრავი თარგმანი რომანი თუ მოთხრობა მეზღვაურების ცხოვრებაზე, ჩვენ უცხო ლიტერატურიდან ვიცნობთ ზღვისთან დაკავშირებულ ადამიანთა ესოდენ თავისებურ ყოფასა და ფსიქოლოგიას, უცხო ლიტერატურიდან და კინოდან გვაქვს ნაგრძნობი თუ შეთვისებული ზღვის დიდი რომანტიკა. ამ თემის ქართულ ენაზე გამოყენება რთული და საჭირო ამოცანაა ერთსა და იმავე დროს. ზღვის თემის სირთულე ქართველი მწერლისთვის არაა გამოწვეული მხოლოდ დრამატულ ევანთა და სუფეტთა მონახვის სირთულეთ ცხოვრების იმ სფეროში,

გურამ ფანჯიკიძე, „მოთხრობები“, საბჭოთა საქართველო, 1964.

რომელიც დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არც თუ ისე ფართოდაა წარმოდგენილი (ჩვენ, ასე თუ ისე „საბჭოელოთ“ რესპუბლიკა ვართ ძირითადად): უფრო რთულია თავისებური მუხლავარული პარგონის თუ ტექნიკური ტერმინოლოგიის, მეტყველების მუხლავარული სტილის „აღლერება“ ქართულ ენაზე. ერთი მხრივ სიმწარულ და „ლიტერატურული“ და მეორე მხრივ არაბუნებრიობა საზოგადოებრივად, რომელიც ამ თემზე დაწერილ ქართულ ნაწარმოებს ფხიზლად უდარაყვებენ.

განსახილველ მოთხრობაში ჩვენ ამ სახიფათო ნაყოფანებების ცვადაც ვერ ვხედავთ. მოთხრობაში ლაღად, თავისუფლად, ბუნებრივად არის გამოილი ზღვისა და საპორტო ქალაქის თავისებური სამყარო, სრულებით ძალდაუტანებლად გვეძლევა ამ სამყაროს კოლორიტი, ფაგორაღერად რომ ვთქვათ, ჩვენ ვგრძნობთ ზღვის სუნს. ეს ახალგაზრდა ავტორის მიღწევაა. მოთხრობა მოკლეობით პატარაა და მისი სიუჟეტური მარტივია: ახალგაზრდა კაცს კაპიტანად ნიშნავენ გემზე, სადაც მასზე უფროსი და მასზე ბევრად უფრო გამოსდობის ხელშეკრულება. „დიდი ზღვაში“ პირველად გასულს, კაპიტანს შებრძოლება უხდება აღლევებულ სტიქიისთან და ამ პატარა ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება მას რწმუნებს, სამშვიდეს, მხნეობას და მზიარულებას ანიჭებს. ამ მარტივი სიუჟეტის ფონზე ჩვენ ვხედავთ მუხლავართა მეტად კოლორიტულ ფაგორებს — შტურმანსა და ბერძენ ბორტმექანიკოსს, ვხედავთ საპორტო ქალაქს მისი საბოლიარდოთი და ვგრძნობთ მუხლავართს ლტოლვას ნაპირისაკენ და ყურორტისაკენ, სადაც თეთრი ქალიშვილები შავი სათვალეებით დადიან. ეს ყოველივე მოთხრობაში მეტად ნათელია და მკაფიოა. მოთხრობა სიმოყენებით იყოსხება. სურათი, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლება, ხალისისა და სიმსუბუქის გრძნობას იწვევს, როგორც მზიანი დღე ზღვის ნაპირას.

მოთხრობის მოქმედება ჩვენი რესპუბლიკა ვართ — ყირიმსა და ქერჩის მხარეში იმლენა. მისი გვირუბი ქართველები არ არიან და ქართულად არ მეტყველებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი მეტყველების თავისებური ბუნებრივი იერის დასაბავად ავტორს არ შეუძლია შიშობისი მუხლავარულ „პარგონს“, რომელიც ქართულად ჟურჯერობით არც არსებობს და მუხლავარულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც ჩვენი ენისათვის ჟურ ლექსიციონების ჩარჩოებს არ ვაკისვლებთ და ყოველდღიური მეტყველების კუთვნილება არ ქცეულა. მთხედვად ამისა, არც გმირთა საუბარში, არც ზღვასთან ბრძოლის თუ ცურვის აღწერაში, სადაც ავტორი უხვად იყენებს მუხლავარულ ტერმინებს, ჩვენ არსად არაბუნებრიობის და ძალდატანებას არ ვგრძნობთ. ვფიქრობთ, რომ ავ-

ტორმა ამით მწელად ასარიდებელ ხიფათს გაართვა თავი. ამაში უდავოდ მუხლავარული გემოვნება და მხატვრული ტანტუნი ჩანს. ახალია ჩვენთვის თავისი თემით მოთხრობა „უკანასკნელი მუხლავარული“. იგი ეხება დარჯის, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ რატომღაც ძალიან მცირე ასახვას პოულობს დღევანდელ ჩვენს მწერლობაში — შესაძლოა იმიტომაც, რომ ცოტაა ავტორი, რომელიც იმდენად კომპეტენტურად გრძნობს ამ სფეროში თავს, რომ შეეძლოს საქმით დაინტერესებულ და საქმის მიცემად მითხველს მართლაც ახალი რამ უთხარს. მოთხრობაში ვაძმოკეპელია ფრაზიტის ვეტერანის სპორტული კარიერის დამატურ დასასრული — მისი ბიოგრაფია პირველი მარტივად იმ დღემდე, როცა საპასუხისმგებლო მუხლავარაში იგი თავის ადგილს სხვა, ახალგაზრდას უთმობს. სპორტული ტინისა და პატივმოყვარეობისგან გამიწვეულ მღელვარებას, მოგვიხსნის სიხარულსა და დამარცხების სიმწარეს — სპორტივგან განუვრულ ყველა ამ გრძნობებს, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის უფროსი თემები ასე კარგად იცნობენ, ამ მოთხრობაში მკაფიოდ, ხელშესახებად და ძლიერადაა გამოხატული. სპორტის ყველაზე პოპულარული სახის — ფეხბურთის საინტერესოდ აღწერილი სიტუაციები ამამტარებენ ამ ინტერესს, რომლითაც მოთხრობა იკითხება.

უთუოდ მართალი იქნება ის მკითხველი, რომელიც „უკანასკნელი მუხლავარული“ ვინის მიხედვით საშუალო საფეხურზე დააყენებს ნარკვევებს და მოთხრობას შორის, ეს იმიტომ, რომ მკითხველი ნაწარმოებში უშეცდომოდ იცნობს პერსონაჟთა პრატიკიუმებს — თავის საყვარელ ფეხბურთელებს, გამოყვანილს სხვა ვეარითა და სახელით, იცნობს პოპულარულ მწერტენულს და დრამატურ მარტებს, რომელიც ხსოვნა ერთგულ თბილისელ გულშემატკივარს დიდი ხნით შემორჩა, მაგრამ მოთხრობაში მხოლოდ ეს ფაქტობრივი სიუჟეტი რომ იყოს, იგი მართალი ყო იქნებოდა, მაგრამ ამაღლევებული არა, ამაღლევებული ყი ეს ნაწარმოები ხშირად არის. ეს იმიტომ ხდება, რომ ავტორი არ ანიჭებს გადაწყვეტ მნიშვნელობას აღწერებით ამბების ფაქტობრივ მხარეს, იგი სრულებით შეგებულად ისწრაფის განზოგადებისაკენ და ყურადღება აღწერილი ამბების სხვა მხარეზე გადააქვს. ნაწარმოების ნამდვილი თემა დაბერებულ სპორტსმენის მწევე, მაგრამ ვარდუელი დრამა, ეს დრამა, როგორც ვთქვამ, მასალის კარგი კედნით და ნამდვილი ადამიანური სითბოთი არის მოთხრობაში ვაძმოკეპელი. თემის ასეთი ვაძმოკეპება მით უფრო სინტერესოა, რომ აქ, ვასაგება მიხეზებას ვაძმოსრულებით არ დგება საკითხი დაბერებულ სპორტსმენის ეკონომიურა ვაძმოკეპებას, ან

მეუღერობისა, ან უღაგლობისა ცხოვრებაში — პირიქით, ამ გარეგნულ უსამოვნებათა არასებობა შინაგანი ღრამის — ასაკის ღრამის სიმწვავეს კიდევ უფრო ხაზს უსვამს. ამ უკანასკნელი მომენტის გამოკლებით ნაწარმოების სიტუაცია და თემა გზამკვლევაა წვე ლონდონის იმ მოთხრობებს სპორტზე, რომლებიც დღემდე დასასხერებელი მოწონებით სარგებლობენ ჩვენ შეთხვევლთა შორის.

მოთხრობა „ქალაქის გარეუბანში“ თავისი ჩანაფიქრით და შესრულებით იმ ახლებურ სტილს ეკუთვნის, რომელიც დღეს ძალიან ხშირად მიმართავენ ახალგაზრდა ქართველი ავტორები და რომელიც ხასიათდება ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელო ფაქტებში მხატვრული გამომსახველობის ძიებით, „პატარა ადამიანს“ თემისადმი ოდნავ გაზვიადებული ყურადღებით, „ნეორეალისტური“ ლიტერატურისა და ხელოვნებისგან ოდნავ დეკლავებული მანერით. ის ნაკლოვანება, რომელიც აღნიშნულ მოთხრობას ახასიათებს, საერთოა ამ სტილის მრავალი მოთხრობისთვისაც: ეს ისაა, რომ მოთხრობაში კარგად აღწერილ ფაქტს გამოშატვრობა აკლია, იგი, თუ გნებავთ, საკმაოდ დრამატული არ არის, მეს მეთხველეს ცხოველი ინტერესის აღძვრა არ ძალუძს. კარგი იუმორით მოთხრობილი ამბავი კაცის დეკლენისა „მორკინას“ (დიდი იაღლის) მიერ არ კმაშა პერსონაჟის ოდნავ გროტესკული, მაგრამ სიმპათიის აღმძვრელი სახის დასახტად, რასაც ავტორი მიზნად ისახავს.

ამ მოთხრობის ღირსებას, იუმორის გარდა, წარმოადგენს თხრობის კარგი მანერა, რომელიც ავტორს ბევრ თავის ახალგაზრდა თანამოაკლმესთან ახლოვებს.

მოთხრობაში „ხარკინი“, პირიქით, სწორედ თხრობის მანერა იწვევს უმეყოფილებას. ჩანაფიქრი აქ ნათელია — ესაა მორალური პრბოლა ბავშვის გულში, რომელიც სიკეთისა და პუშანრობის გამარჯვებით მთავრდება. მაგრამ ავტორმა ვერ მონახა ის ზუსტი კელო, რომლითაც ბავშვის გრანობების გადმოცემა ბუნებრივი იქნებოდა (მავალითად, ბიჭი ფიქრობს:

„იქნებ შორიდან მაინც მოკერა თვალს კლდის თავზე გაქავებულ ციხეს). ბიჭის მიწვევად დალოკიც ყოველთვის ვერ ტოვებს ნამდვილია შთაბეჭდილებას.

მოთხრობა „მთებში“ პლასტიური, თვალაჩინო თხრობით და მოქმედების დინამიური განვითარებით ხასიათდება. პერსონაჟთა სახეები მკაფიოა, თუმცა არცერთი მათგანი არაა მონახული იმ სიღაბითთა და სიღრმით, რასაც ლიტერატურული ხასიათის შექმნა გულიანობის მოთხრობის ამბავი კარგადაცაა აღწერილი და საინტერესოც არის შეთხვევლისთვის. მოთხრობას აკლია მხოლოდ ის, რასაც ჩვეულებრივ „განზოგადებას“ ვეძახით ხოლმე: აქ აღწერილი ფაქტი თავის იქით სხვა აღაზაფერებე გვეანიშნებს. ავტორი (და მასთან ერთად მკითხველი) მოხიბლული ადევნებს თვალს, თუ როგორ ღირსებით გამოდის მოქმედი პირი შემწილი რთული მდგომარეობიდან. მაგრამ იხ, რაც მოხიბლავია სინამდვილეში, მაინც მკითხველმა მხატვრული ნაწარმოებში, თუ მას განზოგადება არ ახლავს. განზოგადების გარეშე ფაქტი თავისი მიმზიდველობის რაღაც ნაწილს კარგავს.

თავისებური იუმორი, რომელიც გამოყენებულია დინაში მოთხრობას უდავოდ უხდება. სარეცენზო წიგნი ავტორის პირველი კრებულია. ამ კრებულში ავტორი ჩანს როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ისწრაფვის დაეუფლოს წერის კარგ, პლასტიურ მანერას, თავისებურ იუმორს, დინამიური თხრობისა და მკაფიო სახეთა შექმნის რთულ ხერხებს. ამასთან კრებულში ჩანს ცხოვრების აღწერილი სფეროს კარგი და დამაფრთხებელიც. ზოგ მოთხრობაში ყველა ეს ღირსებები ერთადდა თავმოყრილი, სხვებში მხოლოდ ზოგ მათგანს, ცალკე ვხედავთ. მაგრამ კრებული მთლიანად იმედს იძლევა, რომ ავტორის მომავალ თხზულებაში ყველა ეს ღირსებები მტკიცედ და ორგანულად შერწყმული წარმოგვიდგება.

ნ. ნათაძე

## ნარკვევები თანამედროვე გერმანულ მწერლებზე

მეოცე საუკუნის გერმანული ლიტერატურის ისტორიის მსოფლიოში მრავალი სახელმძღვანელო მწერლის, პროზაიკოსის, პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტისა და კრიტიკოსის სახელი ამშვენებს.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხე-

დავად XX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ფართო რეზონანსისა, ქართულად არა თუ არსებობს XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის კერძი, არამედ, არიან მწერლები, რომელთა შესახებაც ან თუ ისე მობრძილი სტატეა არ დაწერილა, დღესაც მათი შემოქმედების ამსახველი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატეები ლიტერატურული და ენციკლო-

ნოდარ კაკაბაძე, „ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“, ცოდნა, 1964.

მედიური ცნობარების ფერცლებს არ ვასცლებია.

ამიტომაც მისასაღებელია ნოდარ კაკაბაძის წიგნის „ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“ გამოცემა, რომელიც „სოცდ-ნამ“ გამოსცა. აღნიშნული წიგნი სამ ნაწილად განსაზღვრული შრომის პირველი ნაწილია. სარკეცნობი წიგნში ავტორს თავი მოუყარა ჩვენი დროის შეიდი გამოჩენილი მწერლისათვის. ესენია: გერმარტ პაუპტმანი, ჰაინრიხ შინი, თომას მანი, შტეფან ცვაიგი, ლიონ ფოიბტანგერი, ჰანს ფალადა და ერბო მარია რემარკი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნარკვევების წიგნში წარმოდგენილი ნაშრომები ამა თუ იმ მწერალზე ფაქტობრივად პირველი სერიოზული გამოკვლევებია ქართულ ენაზე. უმეტესობა მათგანი ადრე დაბეჭდვა ჩვენს პერიოდულ პრესაში. მაგალითად: თომას მანზე, შტეფან ცვაიგზე, ლიონ ფოიბტანგერზე, ერბო მარია რემარკზე.

სარკეცნობი წიგნში განხილული მწერლების უბრალო ჩამოთვლივ ნათელს გახდის, რომ შრომაში თავმოყრილია სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის და სიძლიერის მწერალი, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ ერთი რამ აქვთ საერთო — ისინი მეოცე საუკუნის გერმანული კრიტიკული რეალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან.

სარკეცნობი წიგნის ავტორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელმძღვანელობს პრინციპით „ნაცნობიდან უცნობისაკენ“, ამიტომაც შეიძლება ერთის შეხედვით ვინმეს მოეჩვენოს, რომ მწერალთა შერჩევის ავტორისებური პრინციპი თვითნებური, არაკანონზომიერია და სუბიექტურ მოსაზრებებს ემყარება. მაგრამ ეს ასე არ არის. ავტორმა პირველ ტომში მოაქცია ის მწერლები, რომლებიც ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ასე თუ ისე ცნობილი არიან; ძირითადად ავტორი ამ წიგნში ირკვევს მეოცე საუკუნის უფროსი თაობის კრიტიკულ რეალისტებს.

ნ. კაკაბაძის სახელმძღვანელო პრინციპის სისწორეში დავრწმუნდებით, როცა ავტორისებურ წინასიტყვაობას წაეკითხავთ, სადაც იგი სწერს, რომ მძიმდგნო წიგნებში განხილული იქნებიან ისეთი მწერლები, როგორცაა: ბერნან პუსე და ბერნარდ კელერმანი, ლეონარდ ფრანკი და ალტრედ დობლინი, ერბო ფსტინერი და კლაუს მანი (თომას მანის ვაჟი), ვილფრანგ ბორპეტრი და ჰაინრიხ მაილი, ვოლფგანგ კოპენი და ჰანს ვერნერ რაბტერი, ვიუნთერ ვაიხენბორნი და ფრიდრიხ დიურენმატი და სხვ.

„ნარკვევების“ პირველ წერილში „გერ-

მარტ პაუპტმანი“, ავტორი პაუპტმანის მრავალფეროვან ლიტერატურულ შემოქმედებაზე ბიდან მიმოიხილავს მწერლის „ანტიმისტი“ ნაწარმს მოებებს: „მის მხატვრულ ქმნილებებს შორის ყველაზე დაძმასიათებელსა და მნიშვნელოვანს“. აქვე ეცნობით ნატურალიზმის წარმოშობის ისტორიას და მის პირველ წარმომადგენლებს; რომელთა შორის გაჩვენებული ადგილი ეკირა გერმარტ პაუპტმანს. აქვე ავტორისებური საყურადღებო დასკვნა, რაც გერმარტ პაუპტმანის მთელ შემოქმედებაზე შეიძლება გაგრცელდეს: „მთებუდავად ნატურალიზმის თეორიული აღიარებისა, პაუპტმანი თავის საუკეთესო დრამებში ნამდვილ რეალისტად გვეცნობება. მართალია, არ შეიძლება პაუპტმანის პიესებსა და მოთხრობებში ნატურალიზმის გავლენის სრული უარყოფა, მაგრამ მისი შემოქმედების არსი, ბირთვი აშკარად რეალისტურია“.

მეოცე საუკუნის ცნობილი რეალისტი მწერლის ჰაინრიხ მანის შესახებ ნ. კაკაბაძის ცალკე მონოგრაფია არსებობს, რომელიც ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიათაგანი იყო არამარტო საქართველოს მასშტაბით, რაც ადრე აღნიშნული იყო გერმანულ პრესაშიც.

ნარკვევში ჰაინრიხ მანზე ავტორი მიმოიხილავს მწერლის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებას. აღსანიშნავია, რომ „ჰაინრიხ მანი პირველია გერმანულ მწერალთა შორის, რომელმაც გერმანულ ლიტერატურაში დიდი სოციალური თემატიკა და პარაპოლიტიკა შემოიტანა; მან პირველმა მოგვცა იმპერიალისტური ეპოქის გერმანიის სოციალური სინამდვილის ფართო და განსაზღვრულ სურათი“. ავტორს დაწვრილებით შეესწავლია რა ჰ. მანის უაღრესად წინააღმდეგობრივი და კონტრასტების შემოქმედებული შექმედებითი გზა, მიღის იმ დასკვნამდე რომ „დიდური და მსოფლმხედველობრივი კრიზისის დროს ჰ. მანს შემოქმედებითი კრიზისიც უღებება ხოლმე; და მისი იდეური განვითარების მრუდი ემთხვევა მისი შემოქმედებითი ევოლუციის ზეგავსს“.

ნარკვევში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მსჯელობა გროტენკის შესახებ, რომელმაც ჰ. მანის პირველივე ნაწარმოებებში იხილა თავი. ამ ასპექტში განსაკუთრებით კარგადაა განხილული ჰ. მანის ნაწარმოებები: „ნეტარ ქვეყანაში“, „პროფესორი უნარტი“, და სხვ.

ჰაინრიხ მანის უმცროსი ძმის თომას მანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ნარკვევში ნ. კაკაბაძე გვაძლევს გასაღებს თუ რა ეჭობით უნდა მივუდგეთ თომას მანის რთულ ფილოსოფიური შემოქმედების შესწავლას, თომას მანისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა „მწერალი — ფილოსოფოსი და მწერალი — ფილო-

ქოლოგიი". ნარკვევში გაანალიზებულია თომას შანის მრავალრიცხოვანი რომანები და ნოველები, რის საფუძველზეც ნათლად და ხელშეწყობად გვეძლევა მწერლის რთული შემოქმედებითი ვაიფითარების სურათი.

ნარკვევში შტუფან ცვაიგზე ავტორი არა მხოლოდ მწერლის იდეურ-მსოფლმხედველობრივ განვითარების სურათს გვაძლევს, არამედ, აქ მოცემულია (ისე, როგორც შემდეგ ფოიბტანგერისა და რემარკის შემთხვევაში) შტუფან ცვაიგის ლიტერატურული პორტრეტი, რამაც, ალბათ, ნარკვევის ავტორს საშუალება მისცა გავეთვობა ასეთი სწორი დასკვნა: „...ვიცნებ შტუფან ცვაიგის ცხოვრებას, მის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობას კარგად იცნობს, მას გააოცებს ის ზედმიწევნითი შესაბამისობა, რაც, ერთი მხრივ, მის ტემპერამენტსა, მის პიროვნებასა და შემოქმედების ხასიათს და, მეორე მხრივ, თვითმკვლელობის იმ სახეს შორის არსებობს, რომელიც მან აირჩია“.

შტუფან ცვაიგი ცნობილია როგორც ნოველისტი, მაგრამ მას აქვს ბრწყინვალედ შესრულებული ესეებისა და მოგონებების წიგნები. ნარკვევში ვარკვეული ადგილი ეთმობა სწორედ ამ ესეებისა და მოგონებების ლიტერატურულ-მხატვრულ ანალიზს.

ნარკვევები ლიონ ფოიბტანგერზე და ვრიკ მარია რემარკზე შეიძლება არ განსხვავდება კრებულში გამოქვეყნებული სხვა წერილები-საგან, მაგრამ ისინი აღსანიშნავია მით რომ, მათში გამოყენებულია ისეთი საინტერესო მასალა, რაც აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული.

ლიონ ფოიბტანგერზე წერიაში, რომელიც მოცელობით, თითქმის სხვა დანარჩენებზე დიდი, დაწვრილებითაა მიმოხილული ფოიბტანგერის შემოქმედება, განხილულია მწერლის უველა მნიშვნელოვანი რომანი და დახასიათებულია ისტორიული რომანის სპეციფიკა. საინტერესოა თვით მწერლის აზრი ისტორიულ რომანზე, ის რომ „ფოიბტანგერის აზრით, ისტორიული რომანის მიზანია თანადროულობის უქუფენა ის ისტორიაში უნდა ეძებდეს არა ფაქტს, არამედ ცეცხლს“. ლიონ ფოიბტანგერის შემოქმედების სპეციფიკის დადგენისათვის ნ. კაჟაბაძე იმოწმებს მრავალი კრიტიკოსისა და მწერლის აზრს. მათ შორის მნიშვნელოვანია კემპის ჰაინრიხისა და თომას მანების გამოჩინაშეყვანილი ლიონ ფოიბტანგერზე, როგორც მწერალსა და რომანისტზე.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, რომ ნ. კაჟაბაძეს პირადი მიმოწერა ჰქონდა

ლიონ ფოიბტანგერთან. დიდი რომანისტი ბევრ საინტერესო საკითხზე უზიარებლად მას თავის აზრებს. აღნიშნული მასალიდან შესტეფილია წიგნში, რაც უფრო მეტად საინტერესოს ხდის ნარკვევს ლიონ ფოიბტანგერზე. ამ მიმოწერის შესახებ თავის დროზე პოლონურ პრესაშიც იყო აღნიშნული.

ცალკე წერილი აქვს მიძღვნილი ჩვენში შედარებით ნაკლებად ცნობილ მწერალს ჰანს ფალადს. მეოცე სთუენის გერმანულ ლიტერატურაში ჰანს ფალადს საყოველთაოდ აღიარებული მწერალია, რომელიც არის „ერთ-ერთი უშესანიშნავესი მთხრობელი და შემთხვევითი“. საერთო აღიარებით, ჰანს ფალადს პატარა ადაშიანის მწერალს ევაზიან. ჰანს ფალადს, როგორც მწერლის დამსახურებაა, რომ მის რომანებში ძირითადად აისახა ოციანი და ოცდაათიანი წლების გერმანიის სინამდვილე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომი ვრიკ მარია რემარკის შესახებ ბევრი რამით იქცევა ყურადღებას. ჯერ ერთი, ამ მოცელობის ნარკვევი რემარკზე თითქმის სხვა ენებზეც არ არსებობს, და მეორეც, მისი გამოქვეყნებულია ისეთი მასალა, რომელიც ჯერჯერობით არავის გამოუყენებია. წერილში დამაჯერებლადაა გადმოცემული რემარკის წერის მანერის სპეციფიკა და მწერლის მხატვრული-იდეური კონცეფცია.

როგორც ცნობილია, რემარკი თავს არიდებს ფორტოპორტიორებს და კორესპონდენტებს. ამიტომ მის პირად ცხოვრებაში ბევრი ფაქტი ბურჟუაზია მოცული. ნ. კაჟაბაძე რემარკის უახლოეს მეგობრებსა და ნაცნობებთან მიმოწერით ზოგიერთ ფაქტს ნათელი მოთინა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნარკვევების წიგნში ბევრი რამ დადგენილია და დაზუსტებულია პირადად მწერლებთან თუ მწერლების ნაცნობ-მეგობრებთან მიმოწერის საშუალებით (შ. ცვაიგი, ლ. ფოიბტანგერი, რემარკი).

ამ წიგნის ღირსებად მისი მივანჩია, რომ ავტორი ცდილობს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების არა მარტო იდეური შინაარსის გაანალიზებას, არამედ ყოველი მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური სპეციფიკის დადგენასაც. ნარკვევების წიგნში შეტანილ ყოველ ნარკვევს ჩვეულებრივ წინ უძღვის შესაბამისი მწერლის თავისებური პორტრეტი, რომლითაც ნარკვევების ავტორს შეუფარათ ამ მწერლის შემოქმედებით სამუაროში.

3. კანონიკური  
უ. კანონი



## მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველო მრავალსაუკუნოვანი ფილოსოფიური აზროვნების მქონე ქვეყანაა. ფილოსოფიით აქ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყვნენ დაინტერესებულნი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიის ისტორია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი. ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგის, ჩამოყალიბება უშუალოდ არის დაკავშირებული შალვა ნუცუბიძის გამოკვლევებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ორტომიანი „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ამ ფუნდამენტალური ნაშრომის გამოქვეყნებამ (პირველი ტომი გამოქვეყნდა 1956 წ., ხოლო მეორე 1958 წ.), რომელშიც განხილულია ქართული ფილოსოფიის ისტორიის პრინციპული საკითხები უძველესი დროიდან XIX საუკუნის პირველ მეოთხედამდე, დღის წესრიგში დააყენა ჩვენი ქვეყნის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიური მიმკვლევების სისტემატური ახალიზი.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ცალკეულ საკითხებზე გამოქვეყნდა მრავალი გამოკვლევა რამაც ხელი შეუწყო ამ საუკუნის ფილოსოფიური მიმკვლევების სისტემატურ განხილვას. რაც შეეხება XX საუკუნეს, ამ საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ასპექტებისა და ტენდენციების შეცნობა რელი განხილვის პირველ ცდას წარმოადგენს აპოლონ შეროზიას მონოგრაფია რუსულ ენაზე — ფილოსოფიური აზრი საქართველოში XX საუკუნის პირველ მეოთხედში<sup>1</sup>, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა.

XX საუკუნის პირველი მეოთხედი ურთულესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში თავს იყრის ეპოქის ყველა იდეოლოგიური წინააღმდეგობანი. ამ დროს ადგილი ჰქონდა აზრთა დამპირისპირებას და ბრძოლას არამარტო ერთმანეთის გამოიჭივებს შიშ-დინარეობათა შორის, არამედ თითოეულ ამ შიშ-დინარეობის შიშნითაც. იდეურ წინააღმდეგობათა ასეთ ვითარებაში, შემოქმედებთად ითვისებდა რა მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვარს, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავისი ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფციების შემუშავებითაც იყო დაინტერესებული. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართული

ფილოსოფიის ეროვნულ ტრადიციებთან ფშვალად დაკავშირებული ზოგიერთი ისეთი თეორია, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ინტელექტუალურ განვითარებაში. XX საუკუნის პირველი მეოთხედი ხომ შემობრუნების პუნქტს წარმოადგენდა საქართველოს იდეური ცხოვრების ისტორიაში.

ყოველივე ამის გათვალისწინებამ სარეცენზოა წიგნის ავტორი დიდი სამძვინვარის წინაშე დააყენა, მითუმეტეს, რომ მან აღნიშნული პერიოდის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ასპექტებისა და ტენდენციების დადგენა ყველაზე დამახასიათებელი სპეციალური პრობლემების ისტორიულ-ლოგიური ანალიზის მატარებელია. თანაც, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობა ასეთი პრობლემებისა, პირველად მის მიერ იქნა დასმული. ამასში ადვილად გვატყფინებს ა. შეროზიას დასახელებული მონოგრაფიის შინაარსი.

სარეცენზოა წიგნის შესავალში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ავტორის თვალსაზრისი საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიის პერიოდისათვის საკითხზე. საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიაში ა. შეროზია ოთხ ძირითად პერიოდს ანუ ხეავებს: პირველი პერიოდი მოიცავს XIX საუკუნის 80-იან წლებს, როცა მარქსისტული ფილოსოფია მოწინავე ქართული ინტელიგენციის წრეში მეცნიერული დისკუსიის საგანი ხდება; მეორე პერიოდი, ესაა ამავე საუკუნის 90-იანი წლები, როცა ეს ფილოსოფია უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოპორტუნური მიმდინარეობის როლში გამოდის; მესამე პერიოდი ეხება XX საუკუნის პირველ მეოთხედს, როცა მარქსისტული ფილოსოფია, როგორც ძირითადი ოპორტუნური მიმდინარეობა, უკვე მოქმედების ფილოსოფიას წარმოადგენს; და, ბოლოს, მეოთხე პერიოდი, ეს მთელი ახალი ისტორიული ეპოქა XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან ვიდრე დღევანდამდე. როცა მარქსისტული ფილოსოფიის გადაცემა გაბატონებულ მსოფლმხედველობად ამ ეპოქის მთავარ იდეოლოგიურ თვისებებზედად გვევლინება.

როგორც ვხედავთ, ეს პერიოდთადაც საყურადღებოა იმით, რომ იგი ეწყარება და, თვის მხრივ, ნააღმად აღსანიშნავია იმ აზრს, რომ დოგმატური მხოლოდ საბოლოო ანგარიშით შეიძლება იყოს ისტორიულს შედგე. მის აუცილებლობას ამ შემთხვევაში ავტორი იმაში ხედავს, რომ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ოფიციალური ქართული ფილოსოფიური აზროვნების ყოველი ძირითადი მიმდინარეობის (როგორც მატერიალისტურის, ისე იდეალისტურ-

<sup>1</sup> А. Е. Шеро́зия, философская мысль в Грузии в первой четверти XX века. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია.

რის) — თავისებურებას დიალექტიკურ მატერიალისმთან მისი დამოკიდებულების ხასიათი განსაზღვრავდა. ეს იმიტომ, რომ ამ დროისათვის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც ოპიონიკურია მიმდინარეობის გავლენა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ყველა სფეროში. ამით აიხსნება, რომ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ასპექტების ანალიზში ა. შეროზიას დისახელებულ მონოგრაფიას მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა საქართველოში დიალექტიკური მატერიალიზმის გავრცელების ისტორიის თვალსაზრისითაც.

სარეცენზიო წიგნის პირველი თავი ეხება დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობრივი სისტემის ანარქისტული უარყოფის კრიტიკას აღნიშნული პერიოდის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

როგორც ირკვევა, ანარქიზმის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისას მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში იდგა ემპირიკების დიალექტიკურ-მატერიალისტური გამსაზღვრების პრობლემა. დამახასიათებელია, რომ ამასთან დაკავშირებით 900-იანი წლების ქართულ პრესაში გამოთქმული მონარქებების ანალიზში ავტორს შესაძლებლობა მოსცა სპეციალური მსჯელობის საგანად ექცია, აღნიშნული პრობლემის დღემდე სადაო ასპექტები. იგივე ითქვამს მისი მსჯელობის შესახებ ანარქიზმის თეორიული წინამძღვრების კრიტიკისას დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებაც XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მატერიალისტური მიზნების გამოსავალი პრინციპისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერული საფუძვლების კვლევა. საქმე იმაშია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ა. შეროზიამ შესაძლო გამოვლინებია სპინოზას გავლენა ახალგაზრდა ქართული მარქსისტების წრეებში, რაც არსებითად პლენაროვის შეცდომებით იყო გამოწვეული, ამასთანავე ავტორის სპეციალური განხილვის საგანად არის ქვეყნის პლენაროვის როლი XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავში განხილულია მახიზმის ფენომენალისტური ტენდენციების კრიტიკა XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქიკურის (ფართო მნიშვნელობით) დეტერმინაციის პრობლემას და მის შექმნე ახდენს წიგნის ავტორი აღმართული ყველა დანარჩენი საკითხის ანალიზს.

ყველა ამ სპეციალური საკითხის განხილვისას, რასაც დამოხილული აქვს სარეცენზიო ნაშ-

რომის დიდი ნაწილი, ავტორი ყურადღების ცენტრში აყენებს მეცნიერების, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების მონაცემებს. მისი მონაცემებით ირკვევა, რომ მახიზმის ფენომენალისტური ტენდენციების კრიტიკა სწორმოდებდა არა მარტო ლაგოვის, შემეცნების თეორიასა და ფსიქოლოგიის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ბუნებისმეტყველების ისეთ სპეციალურ დარგშიც, როგორცაა ფიზიოლოგია. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ აღნიშნული კრიტიკის ძირითადი ასპექტებია გაშუქებას ავტორი უმთავრესად სწორედ ისეთი პრობლემების ანალიზის ფონზე ახდენს, რომლებიც ერთდროულად ყველა ამ მეცნიერების სფეროს წვდებიან, ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია ის პრობლემები, რაც ჩვენი საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მუშავდებოდა როგორც შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიის გნოსეოლოგიური თეორიასთან, ისე დ. უხანაძის განწყობიერების ფსიქოლოგიური თეორიასთან დაკავშირებით. იგივე უნდათქვას ი. ბერატაშვილის ცნობილი ფიზიოლოგიური თეორიის შესახებაც. ასეთ პრინციპულ საკითხების რიგს განეკუთვნება აგრეთვე ს. დანელიას ადრინდელ შრომებში აღმართული პრობლემები. მახიზმის ფენომენალისტური ტენდენციების კრიტიკის ძირითადი ასპექტების ანალიზისას სარეცენზიო წიგნი გვხვდება სხვა-სოკრატის სრულიად უცნობი მკვლევარების სახელებიც.

მკარამ ვაღმოდემის სიზუსტე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორის საგანგებო მსჯელობის საგანს მაინც შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიის გნოსეოლოგიური თეორია და დ. უხანაძის განწყობიერების ფსიქოლოგიური თეორია წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში მას აინტერესებს „ტრანს-სუბიექტიურის“ პრობლემა შემეცნების თეორიაში, ხოლო მეორე შემთხვევაში — არაციფიკურის პრობლემა ფსიქოლოგიაში, ორივე თეორიის ძირითადი ასპექტების განხილვა ა. შეროზიას პრინციპულ სიზაღვრებზე აყვას. მასთან ჩვენ პირველად ვხვდებით ამ თეორიების ამოსავალი პოსტულატების ფორმირების ფილოსოფიურ ანალიზს. დასაბუთებულად უნდათქვას მიჩნეული ავტორის მისაზრება იმის შესახებ, რომ სწორედ ეს თეორიები წარმოადგენენ მახიზმის ფენომენალისტური ტენდენციების კრიტიკის ძირითად ფონს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ოფიციალურ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ამასთან ა. შეროზია არჩევს მახიზმის ფენომენალისტური ტენდენციების კრიტიკის ძირითად ასპექტებს დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებზე მდგომი ლიტერატორების წრეში და იმ დასკვნამდე მიდის, როცა ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა გ. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იდეების გავრცელებას საქართველოში.

სატიყენშიო წიგნის მესამე თავიც სრულიად დაუმწვეველ საკითხს ეხება. აქ განხილულია XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული პუბლიცისტების ეთიკური, ესთეტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი.

შთავარი პრობლემა, რასაც ავტორი ამ შემოკლებულ აუგენს, საზოგადოებრივი ცნობებების ფორმების (მორალა, ხელოვნება, სამართალა) ზოციადური დეტერმინაციის კანონზომიერების დადგენაში მდგომარეობს. როგორც სატიყენშიო შრომიდან ირკვევა XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში ეს პრობლემა წარმოდგენილი იყო დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის მეტაფიზიკურ თეორიებში. დამწერლობა ვინაილია რა თითოეული შთავანის შინაგანი წინააღმდეგობანი, ა. შეროზიაშვიდ შუქლო ეჩვენებინა, რომ ამ მხარე ქართული ფილოსოფიური აზროვნების შემდგომი განვითარების წინაშე იდეალური დეტერმინიზმის სრულიად ახალი დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის აუცილებლობა, როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისითაც.

ამაღედ სრულიად უცნობ მასალებზე დაყრდნობით ა. შეროზიაშვიდ დამაყრებლად დაასაბუთა, რომ ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად დროთა განმავლობაში განუწყვეტლივ იცვლებოდა დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის დამირისპირების ფორმები აღნიშნული პერიოდის ქართული პუბლიცისტების ეთიკური, ესთეტიკური და სამართლებრივი შეხედულებათა სფეროში. ამასთან დაკავშირებით მან წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ეს ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციები ქართული პუბლიცისტების ეთიკურ, ესთეტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებში წარმოადგენდა მატერიალისმისა და იდეალიზმის ბრძოლის სპეციფიკურ ფორმას.

ამ დებულების ნათელყოფის მიზნით ავტორი სათანადო მსჯელობის საგნად ზღის როგორც მექანისტურ-მატერიალისტური, ისე ფორმალისტურ-იდეალისტური თეორიის ყველა ძირითად ასპექტს XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული პუბლიცისტების ეთიკურ, ესთეტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებში. ამ მხარე მიღწეული შედეგები მით უფრო საყურადღებოა, რომ აქამდე ეს საკითხი სრულდებათაც არ ყოფილა აღჭრული ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

ა. შეროზიაშვიდ გააკეთებ წარმოდგენას იძლევა აგრეთვე სოციოლოგიური აზრის განვითარების ძირითად ასპექტებზე საქართველოში XX საუკუნის პირველ მეოთხედში. ამას ეხება მისი დასასრულბული შრომის მეოთხედი თავი, რომელშიც სრულიად ახალი მდგომარეობით ახის განხილული ნაციონალური საკითხის ფილოსოფიური ასპექტები.

დასასრულ, შრომის დასკვნაში ნაწილში, შეჯამებულია ყველა-ძიების ძირითადი შედეგები აქ განსაკუთრებით საინტერესოა იმის ჩვენება, თუ როგორ მოხდა ავტორის მიერ XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული ფილოსოფიური აზრის ძირითად ასპექტებსა და ტენდენციებში სწორად გარკვევის მიზნით წინასწარ წამოყენებული თეზისის დასაბუთება იმის შესახებ, რომ გარდევალი იყო მეოთხეოლოგიური წინააღმდეგობანი არა მარტო ამ აზრის ურთიერთგამომრიცხავი მიმდინარეობათა შორის, არამედ თითოეული ამ მიმდინარეობის შიგნითაც. მიზნად დაიასა რა კარგად გარკვეულიყო ამ სახის წინააღმდეგობაში, ა. შეროზიაშვიდ შუქლო მიიყენებდა თეორიულად კერძოდ ბოლომდე მოუხატებელი, მაგრამ ისტორიულად უკვე ჩამოყალიბების პროცესში ყოფილი ფორმა დიალექტიკური მატერიალისმის ახალი იდეების შეჭრისა აღნიშნული პერიოდის ოფიციალურ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

განსაკუთრებული ხაზსასმის გარკვეულ ცხადზე ხდება ამ შრომის ორიგინალური ხასიათი, მაგრამ გვსურს, აღვნიშნოთ რომ შეუძლებელია ასეთი ხასიათის ნაშრომი დავს არ იწვევდეს.

ავტორის მიმართ გვაქვს რამდენიმე შენიშვნა. 138 გვერდზე იგი მახიზმზე მსჯელობს, როგორც ფენომენოლოგიზმზე. ფენომენოლოგიზმი გარკვეული ფილოსოფიური მიმართულებაა. ამ მნიშვნელობათაა ის საერთოდ ცნობილი და ვსაგვები. სხვა აზრით მისი ხმაირება ყოველ შემთხვევაში სათანადო შენიშვნით უნდა მოხდეს. ერთ აღვლას ასევე არაზუსტად ხმარობს ავტორი ტერმინ "ფსიქოლოზმს" ესთეტიკური თეორიის მიმართ. ამ ტერმინშიც ისტორიულად ჩამოყალიბებული გარკვეული შინაარსი იფილისსებება და სხვა აზრით მისი ხმაირება სათანადო შენიშვნის გარეშე გაუგებრობას იწვევს. 222 გვერდზე არაზუსტადაა ნახმარი ტერმინი "პოსტულატი". ეს ტერმინი აქ ნახმარია "პირობის" მნიშვნელობით, მაშინ როდესაც ასე გაფართოებულად ამ ტერმინის ხმაირებას შენიშვნა სჭირდებოდა. არ აზრს დამაყრებელი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ესთეტიკის საგანს წარმოადგენს ხელოვნების საყურადღებო (*«Мир искусства»*) ამ მხარე ვსაათეილისწინებელი იყო ესთეტიკის საგნის შესახებ წამოყენებული სხვა თვალსაზრისებზე. ეურ ვაგინიზმით 192 გვერდზე გამოიქმნე დებულება იმის შესახებ, რომ საკვლევი პერიოდის მატერიალისტური შეხედულებათა ანალიზის შემდეგ, თითქოს ზედმეტი ყოფილიყო ამ პერიოდის ათეისტური შეხედულებათა სპეციალური განხილვა.

მისასალმებელია, რომ შრომა გამოკვეთილებულია რუსულ ენაზე, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ქართული ფილოსოფიის მიღწევის ფართო მასშტაბით გაეცინოს, მაგრამ ამავე დროს სასურველია მისი გამოცემა ქართულ ენაზე. ეს ზელს შეუწყობს ჩვენს მეთიხველ

ახალგაზრდაობას, რომელიც დინტერესებულა თავისი ერის ფილოსოფიური შექცევითობის ათვისებით.

ა. შეროზიას მონოგრაფიის სახით ზეენ საქმე კვაჭავაძის მეტად საყურადღებო გამოკვლევასთან.

რომელსაც უდაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული დამუშავების საქმეში.

ჰენრი ჰაზანისა

### ტარას შევჩენკო საქართველოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოში დიდი უკრაინელი კომპარატარის ტარას შევჩენკოს გამოკვეყნებული ნაწარმოებებისა და მის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფია (შემდგენლები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ა. ოთაროვა და ე. გენქეხაძე) წარმოადგენს ტარას შევჩენკოს შესახებ საქართველოში არსებულ მასალების სრული ბიბლიოგრაფიის შექმნის პირველ ცდას (და მოიცავს, როგორც რეკოლუციამდელ, ისე საბჭოთა პერიოდის ლიტერატურას. ბიბლიოგრაფიის მიზანია გააჩვიოს მოკვლევითი პოეტის შესახებ არსებულ ლიტერატურაში, დაეხმაროს მას ტ. შევჩენკოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში, რაც ყოველთვის იწვევდა მოწინავე ქართველი საზოგადოების ცხოველ ინტერესს.

როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნული, ბიბლიოგრაფია მოიცავს ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმანებს ქართულ ენაზე და ლიტერატურას პოეტის შესახებ, გამოკვეყნებულს საქართველოში და რუსულ ენაზე, დაწყებული 1881 წლის პირველი პუბლიკაციით, დამთავრებული მასალებით, რომლებიც 1961 წლის მარტ-აპრილში გამოქვეყნდა.

ბიბლიოგრაფია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმანები ქართულ ენაზე; მეორე ნაწილი მოიცავს საქართველოში ქართულ და რუსულ ენაზე გამოკვეყნებულ ლიტერატურას ტ. შევჩენკოს შესახებ, ხოლო მესამე ნაწილში თავმოყრილია ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსები.

პირველ ორ ნაწილში მასალები ქრონოლოგიურადაა დალაგებული; თავდაპირველად მოთავსებულია საგზეთო მასალები თვეებისა და საცხებების მიხედვით, შემდეგ ყურანალებში გამო-

კვეყნებული მასალები; ქრონოლოგიურ რიგსავე ექვემდებარება წიგნები. მასალის დალაგება ქრონოლოგიური ნიშნის მიხედვით უადვილებს ქართველ მოკვლევას გაეცნოს ტ. შევჩენკოს შემოქმედების შესწავლის პროცესს საქართველოში.

ქართული ბიბლიოგრაფიის ამ შრომაში ნათლად აისახა, როგორ გამოჩნდა ტარას შევჩენკო პირველად ქართულ პრესაში 1881 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ყურნალ „ივერიაში“ (№ 5, გვ. 3-26) დაბეჭდა ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის მიერ უკრაინულად თარგმნილი პოემა „მუშა-ქალი“.

დიდი კომპარატარის შემოქმედებიდან ქართულ ენაზე შორეულ ნიშნში იყო თაზელის (მამია გურიელი) მიერ თარგმნილი შევჩენკოს „ფიქრი. გაზბიან დღენი, მიქრიან დამეგები“, რომელიც 1886 წელს ყურნალ „თეატრში“ (№ 38, გვ. 434) დაიბეჭდა; ხოლო მესამედ დაიბეჭდა 1893 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 202) სილოვან ხუნდაძის თარგმანი „პქრიან ქარნი“ (შევჩენკოსი, მალროსიულადან).

ამის შემდეგ რეკოლუციამდელ ქართულ პრესაში, სხვადასხვა დროს დაიბეჭდა შევჩენკოს მრავალი პოეტური ნიმუში.

გარდა შევჩენკოს იბზულებათა ქართული თარგმანებისა, რეკოლუციამდელ ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა აგრეთვე ტ. შევჩენკოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობისადმი მიძღვნილი სტატიები, წერილები და კორესპონდენციები. პირველად ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ 1890 წლის 8 ოქტომბერს თავის მოწინავე წერილში აღნიშნა უკრაინის დიდი მწერლის ტარას შევჩენკოსა და მასთან ერთად კოტლიარეცკის დამსახურება მშობლიური ლიტერატურისა და ხალხის წინაშე. სამწუხაროდ, „ივერიაში“ ეს მოწინავე, რომელიც აღ. ფრონელს (უილშიძეს) ეკუთვნის წიგნში გამოჩენილია.

1909 წლის 2 იანვარს გაზეთმა „ჩვენი ხმა“ დაბეჭდა: „აქაის იუბილ ბაქოში“, რომელშიც პირველად დაიბეჭდა დიდი ქართველი პოეტის აკაი წერეთლის მოკლეობა ტ. შევჩენკოზე. ამას მოჰყვა იმავე წლის 18 თებერვლის გაზეთ „დროებაში“ გ. ნაშორაძის წერილი: „უკრაინელები საქართველოზე“, რომელშიაც აღინიშნა უკრაინელების დიდი სიხარული, გამოწვეულ-

ტარას შევჩენკო. საქართველოში გამოკვეყნებული ტ. შევჩენკოს ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, ხაქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1963 წ.

აქვე წერეთლის განცხადებით, რომ იგი იცნობდა ტ. შევჩენკოს და სხვ.

ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავის გამო 1911 წლის ქართული პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა წერილები და კორესპონდენციები. დღმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა ი. გოგებაშვილმა „სახალხო გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილი „ბატარა ბარათი დიდი პოეტის შესახებ“, მანვე „ნაკადელში“ (1911 წ. № 3) დაბეჭდა წერილი: „ტარას შევჩენკო, დიდი პოეტი უკრაინისა“.

დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალ. ვარსკვანიშვილი 1911 წელს, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში ტ. შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ლექციებს კითხულობდა. მანვე იმავე წლის 1 მაისს გაზეთ „კოლხიდაში“ დაბეჭდა წერილი: „ტარას შევჩენკოს პოეზიის მნიშვნელობა“. ამას გარდა, ალ. ვარსკვანიშვილმა 1912 წელს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამოცემით ცალკე წიგნაკად დაბეჭდა: „უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო“ და სხვ.

1914 წლის ქართულ პერიოდულ გამოცემებში („სამაზალოს ხმა“, „სახალხო გაზეთი“, „ლაბტი“, „თემი“, „აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კლდე“ და სხვ.) დაიბეჭდა ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი წერილები და ცნობები.

ტარას შევჩენკოს თხზულებათა ქართულად თარგმანს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დიდი კომზარის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ისე როგორც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მახლობელი, ვასაგები და ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისათვის.

ამის თვალსაზრისით სურათს ვეძებდეთ უკრაინული ბიბლიოგრაფია.

ბიბლიოგრაფიის ერთევის დამხმარე საძიებლები: ბიბლიოგრაფიის შედგენის პროცესში გადასინჯული მასალების სია — ბიბლიოგრაფიული წყაროები, რაც ამომწურავი სისრულით შეიცავს ქართულ და რუსულ ყურნალ-გაზეთებს: ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა ანბანური საძიებელი ქართულ და უკრაინულ ენებზე, ტ. შევჩენკოს ნაწარმოებების მთარგმნელთა და მის შესახებ სტატიების აგორათა საძიებელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს შრომა ტ. შევჩენკოს შესახებ საქართველოში არსებული მასალების სრული ბიბლიოგრაფიის შედგენის პირველ ცდას წარმოადგენს, ბუნებრივია რომ მასში ზოგიერთი მასალა გამოჩენილია. მაგალითად: ლექსი „ქრისან ქარნი“ თარგმანი სილ. ხუნდაძისა (გაზ. „ივერია“, 1893, № 202), ვ. ქართველიშვილის „ვენიალური უკრაინელი მწერალი“ (გაზ. „სტალინელი“, გორი, 10 მარტი 1951 წ.), „დიდი კომზარი“ (იქვე, 9 მარტი 1954 წ.) დ. გოგებაშვილის „დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტი“ (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 10 მარტი 1954 წ.) თ. ფერაძის „ტარას შევჩენკო — მხატვარი“ (იქვე, 20 მაისი, 1954 წ.) მ. კაკიტელაშვილის „დიდი უკრაინელი პოეტი“ (გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, 10 მარტი 1956 წ.) და სხვ.

ნაშრომი სასარგებლო შენამენია ქართული ბიბლიოგრაფიისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ტარას შევჩენკოს ცხოვრება-შემოქმედებისა და უკრაინა-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში მომწევეთ.

გულნარა გოჯალაშვილი

### თხზულებათა აკადემიური გამოცემა მწერლის გიომგრაფიის გარეშე

1961 წელს დაიწყო ჩვენი გამოჩენილი რომანტიკოს ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა ათ ტომად — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ.

1961 წელს გამოვიდა თხზულებათა ოთხი ტომი (I-IV ტომი) 1962 წელს სამი ტომი (V-VII), 1963 წელს ორი ტომი (VIII-IX) და 1964 წელს უკანასკნელი მეათე ტომი, რომლითაც დასრულდა.

ვასილ ბარნოვის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I-X 1961-1964 წ. წ; „ლიტერატურა და ხელოვნება“.

და ვ. ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა.

ვ. ბარნოვის თხზულებათა პირველ დართულ აქვს შესავალი წერილი „რედაქციისათვის“, რითაც მკითხველ საზოგადოებას აუწყებენ, რომ „ვასილ ბარნოვის თხზულებათა წინამდებარე აკადემიური გამოცემა ათ ტომად არის განზრახული“. განმარტებულია თუ რომელ ტომში მწერლის რა ნაწარმოები შევა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: ბელეტრისტული თხზულებანი, მეშუარები, კორესპონდენციები, ნარკვევები, ენოგრაფიული წერილები, სიტყვები, ეპისტოლარული მასალები და შენიშვნები. რედაქციის დაპირება მართლაც კეთილსინდის-

სიერად არის შესრულებული. ე. ბარნოვის თვითველ ტომს დართული აქვს შენიშვნები, ვარიანტები, ძველი და უცხო სიტყვების ახსნა — ანბანზე დალაგებული, რაც აადვილებს საჭირო სიტყვების სწრაფად პოვნას და ტექსტის გაგებას. თვითველ ტომს დართული აქვს ე. ბარნოვის სხვადასხვა პორტრეტი (ახალგაზრდობიდან — მოზრდილებულიამდე). ე. ბარნოვის თხზულებათა ტომები ილუსტრირებულია ცნობილი მხატვრების: რ. სტურუას, ა. ვეფხვაძის, შ. ცხადაძის, გ. გორდელაძის და კ. შახაძის საინტერესო სურათებითა და ჩანახატებით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს, საინტერესოს და საინტელუალს ხდის აკადემიურ გამოცემას, — ე. ბარნოვის თხზულებების უკეთ გაგებასა და აღქმის თვალსაზრისით. მიუხედავად ამ გამოცემის დიდი ღირსებისა არ შეიძლება აქ გულისტკივლით არ ავღნიშნოთ ე. ბარნოვის ამ შესანიშნავი აკადემიური გამოცემის ერთი ნაკლოვანი მხარე — მწერლის ბიოგრაფიის დაურთველობა თხზულებათა პირველ ტომში, ან უკანასკნელ შეათვ ტომში მაინც. რადგან მკითხველი უსათუოდ ვულგარული რჩება. მან, ე. ბარნოვის ბიოგრაფია (თუნდაც მთლიან დაბადება-გარდაცვალების ამბავი) სხვა წიგნებში და უფროს გაზეთებში უნდა ეძიოს.

განა უკეთესი არ იქნებოდა აკადემიური გამოცემის პირველ ტომსავე დართოდა მწერლის ბიოგრაფია, ისე როგორც ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებლის ხუთ ტომეულის პირველ ტომში? ან იღია ქაეკავაძის ანტომეულის პირველ ტომში? განა აჯაი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემებს (შვიდ ტომეულსა და თხუთმეუდ ტომეულს)? აღიარებენ ვიტყვით პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ანტომეულის აკადემიურ გამოცემასზე, ანტომეულისა, რომლის პირველ ტომში მოცემულია ი. გოგებაშვილის ვრცელი ბიოგრაფია. რუსულ აკადემიურ გამოცემებზე ხომ ზედმეტია ლამაზაჟი — თითოეულ მათგანს დართული აქვს მწერლის ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევები.

ეფიჭრობით, ასევე საჭირო იყო ვასილ ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემისათვის მწერლის, თუ ვრცელი არა, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მაინც. მიუხედავად უკანასკნელ დრომდე (1959 წლამდე). (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 17). ვასილ ბარნოვის დაბადების თარიღად სხვადასხვა წლებსა და თვის რიცხვს ასახელებენ. მწერლის დაბადების თარიღად, ვინც ვასილ ბარნოვის ბიოგრაფიის ტყეპა, — ზოგი 1856 წელს ასახელებს, ზოგი 1857 წელს (თვისა და რიცხვის აღწერის ნაკად).

ამაზე ის ფაქტიც მერტყველებს, რომ ვასილ

ბარნოვის დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღი აღინიშნა 1958 წლის ივნისში [ქვემოთ] წლის მშობლიურ სოფელ კოდამდე [ქვემოთ] წლის მშობლიურ სოფელ კოდამდე აღიშრათა მარმარილოს ქვა წარწერათ: „აქ იღვა სახლი. სადაც 1857 წელს დაიბადა დიდი ქართველი მწერალი ვასილ ბარნოვი (ბარნაველი), (იხ. „დროში“, 1958 წ. № 7).

ე. ბარნოვის შესახებ წლების მანძილზე მრავალი წერილი და სტატია გამოქვეყნდა, როგორც გაზეთებში, ისე ჟურნალებსა და კრებულებში, სადაც ავტორები მწერლის დაბადების თარიღად სხვადასხვა წლებს ასახელებდნენ; საინტერესოაოდ შეგვიძლიან მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი: თედო სახოკია ე. ბარნოვის დაბადების თარიღად მიიჩნევს 1857 წელს (იხ. „მნათობი“ 1954 წ. № 11-12, გვ. 168); მწერლის ქალიშვილი სარა ბარნაველი — 1856 წელს („ლიტერატურის მატანიე“ წიგნი 1-2, გვ. 38); ილ. გვასალია — 1857 წელს (ე. ბარნოვი — „დიდი შოთრავი გიორგი საყავაძე“ 1939 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში; დ. კასრაძე — 1857 წელს (იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია — 1940 წ. გვ. 25); შ. რაღიანი — 1856 წელს („შოთრავი საუკუნის ქართული ლიტერატურა“ — 1945 წ. გვ. 151) გ. ქიქოძე — 1857 წელს. ე. ბარნოვის რჩეული მოახლობლის წინასიტყვაობაში (რუსულად) — 1949 წ. გვ. 111); „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეოთხე ტომში — 1856 წელს (იხ. 1950 წ. გამოცემა, გვ. 252); ს. კილიაია — 1857 წელს („შოთრავი საუკუნის ქართული მწერლობა“ — 1956 წ. გვ. 315).

ბოლო წლებში კი თითქმის ყველა ავტორი, ვინც შეეხო ე. ბარნოვის ბიოგრაფიას, — მისი დაბადების თარიღად მიიჩნევს 1857 წელს. ზოგი მათგანი კი დაბადების თვის რიცხვსაც ასახელებს: ვახ. „კომუნისტში“ — 1958 წ. 3 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში — „ვასილ ბარნოვის“ ავტორი (ე. ლეონიძე) მწერლის დაბადებას ათარიღებს 1858 წლის 3 ივნისით. იგი წერს: „ვასილ ბარნოვი დაიბადა სოფ. კოდამი 1857 წლის 3 ივნისს (ახალი სტილით) მუდღლის ზაქარია ბარნოვის ოჯახში“ — „სამწუხაროდ, ეს თარიღები იორეც მუდღარია, მაგრამ ამასვე იმეორებდნენ ე. ბარნოვის ბიოგრაფიის შემდგომი ავტორები: ე. ჯავრიშვილი (ქერაი „ცისკარი“ 1858 წ. №6); ე. ცისკარაძე („ლიტერატურული მიუზანი“ ტ. XI) და სხვანი.

როგორც ვიცი ვასილ ბარნოვი დაქრძალულია მწერლობა და საზოგადო მოღვაწეთა მოაწმინდის პანთეონში, ხოლო მისი საფლავის წერა მარმარილოს ლოდს დღემდე ამწვენებს ოქროს ასოებით წარწერა: „ვასილ ბარნოვი (1856—1934); ხოლო მოაწმინდის პანთეონის მეზურის შემდგენელმა ივ. ენკოლოფოვმა წიგნში („მოაწმინდის პანთეონი“ 1958 წ. გვ. 53)

ვასილ ბარნოვის სურათის ქვეშ მისი დაბადების დაბად უნებია 1857 წელი.

როგორც მოტანილი წყაროებიდან ჩანს, ვასილ ბარნოვის დაბადების თარიღად ზოგი 1856 წელს ასახელებს (თვისა და რაცხვის აღწერილად ვადა) ზოგი კი 1857 წელს, ხოლო ზოლო დროს კი მის დაბადების დაბად სთვლიდნენ 1857 წლის 3 ივნისს. შავრამ არც ერთ მათგანს წერილობითი დაბადებები არ გაჩინდა.

ალბათ, ეს შეიქმნა მიზეზი, რომ ვასილ ბარნოვის თხზულებათა აქადეშიორ გამოცემაში მწერლის ბიოგრაფია (თუნდაც მოკლე ბიოგრაფიული ცხოვრები) სრულად არ შეიტანეს. შავრამ უყოველივე ეს ვასისამართლებელ მიზეზად არ გამოდგება.

ვასილ ბარნოვის დაბადების თარიღის დასაბუხნად, ვერ კიდევ 1959 წელს, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დავალებით ჩვენს მიერ გადასინჯული იქნა საქართველოს ენტრალური საისტოთო არქივის „საქართველო-იჭრეთის სინოდის ვანტორის“ ფონდის (№ 489, საქმე № 1139 VI წიგნი), სადაც აღმოჩნდა „მეტრინესკი წიგნი“ — წარწერათ: „თბილისის უეზდის სოფლის კოლდის წაი გიორგის ეკლესიასა შინა ჩასაწერად დაბადებულთა, კორწინებთ შეუღლებითა და ვარდაცვალებულთა ჩუნე წლისათვის“ (ც. ი. 1856 წლისათვის — დ. შ.).

ეს „მეტრინესკი წიგნი“ სიხუსტით ადგენს ვასილ ბარნოვის დაბადების წელს, თვესა და

რიცხვს, რომ ვასილ ბარნოვი დაბადებულად უნებია 1856 წლის 9 აგვისტოს (23 აგვისტოს) ლი სტილით). მონუნათით 22 აგვისტოს (3 სექტემბერს) ახალი სტილით) ნათლთა ყოფილთბილისის სემინარიის მასწავლებელი საბა პავლეს ძე ცისკარიშვილი, ხოლო ნათლის ცერემონია მუხსრულებია ვასილ ბარნოვის პაპის (მამის მამის) მღვდელ იაკობ ბარნოვს.

ვასილ ბარნოვის დაბადების ამ მეტრიული ჩანაწერის სრული ტექსტი, რომელიც იძლევა მწერლის შესახებ სხვა სინტერესო ცნობებსა, — გამოქვეყნდა 1959 წელს, „ლიტერატურული ვახუთის“ 24 აპრილის ნომერში სათაურით: „ვასილ ბარნოვის დაბადების თარიღისათვის“.

ისმება კითხვა, — მამ რამ შეუშალა ბლო ლიტერატურის ინსტიტუტს, რომელსაც შესანიშნავი ტრადიცია ჰქონდა, — აქადეშიორ თხზულებების გამოცემისას მწერლის ბიოგრაფიულ ნარკვევი რომ არ დაერო? ვასილ ბარნოვის თხზულებათა აქადეშიორ (ათტომეულ) გამოცემაში რატომ არ გამოიყენა ლირსული და კარგ ტრადიცია მწერლის ბიოგრაფიის დართვისა, რომ მწერლის ეს შესანიშნავი გამოცემა დავვიტვივინებთ მისი ბიოგრაფიული ნარკვევითა და გულო არ დაუწევია ჩენი საიქადულო რომანისტის ვასილ ბარნოვის მკითხველებისათვის.

დაპით უვლიაზშილი

## ნაშრომი საფრანგეთის კომპარტიის გრძოლის ისტორიდან

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის ან მისი ცალკეული პერიოდების მარქსისტულ-ლენინური გამოკვლევა საბჭოთა ისტორიკოსებისათვის შეტად სერიოზული და საბატიო მოვალეობაა.

ფრანგი კომუნისტების მძიმე და გმორული ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს მიეძღვნა გ. ბაქაძის შრომა, რომელიც გამოსცა გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ავტორს გამოუყენებია ქართული, რუსული და ფრანგული ენებზე არსებული მდიდარი დოკუმენტური მასალა, რის შედეგად იგი იკვლევს რთული ისტორიული მოვლენის მრავალრიცხოვან ფაქტებს, სათანადოდ აფასებს მათ და იძლევა მნიშვნელოვან დასკვნებს.

სარეცენზიო ნაშრომში სწორად არის დახასიათებული საფრანგეთის ომისწინა მდგომარეობა.

გ. ბაქაძე, „ისტორიული დამკვირბოთა წინააღმდეგ საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლის ისტორიიდან“ (1939-1944 წ.წ.), საბჭოთა საქართველო, 1968.

რეობა, ფრანგი იმპერიალისტების ანტიეროვნული სავარტო პოლიტიკა, „უცნობი ომი“, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის შესაფლავების ცედიარდ დაღადიეს, პიერ ლეაღის, პოლ რეინოს, ლეონ ბლუმის, შაქს ვეიგანის და სხვ.) პოლიტიკური კერსი, 1940 წლის შაის-იენისში საფრანგეთის საშხედრო დამარცხების ზოგადერთი მიზეზი და საფრანგეთის კომპარტიის სულისჩადგმობითა და ხელმძღვანელობით ფრანგა მშრომელების წინააღმდეგობის მოძრაობის წარმოშობა, ვაძლეურება და სასახელო გამარჯვებები.

შესავად ნაწილში წიგნის ავტორი ნიღაბს ხდის საფრანგეთის იმპერიალისმს, რომელიც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებთან ერთად ხელს უწყობდა პიტლერული გერმანიის საშხედრო ვაძლერებას და ფემისტური აგრესიის აღმოსავლეთისაკენ წარმართვის. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ „მოუხუნის ხელშეკრულების შედეგად ინგლისისა და საფრანგეთის მშრომელებმა წრებებმა ფაქტიურად გაყოფეს ჩეხოსლოვაკიის

ხალხის დამოუკიდებლობა იმ ვარაუდით, რომ შემდგომ ფაშისტური გერმანია თავის ავტონიას განაერთიებდა აღმოსავლეთისაკენ და თავს დასხმობდა საბჭოთა კავშირს“. საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზია, წერს ავტორი, შეშინებული იყო მზარდი კომუნისტური და მემათა მოძრაობით, შეეღას ფაშისტური ხელისუფლება, ქველ იბრიადა ფაშისტური გერმანიის წინაშე და დაავადებული იყო კაბატულანდური სენით. ეშინოდა კომუნისტიზმსა და სძულდა საბჭოთა კავშირი, იგი მოუღრღველად ქადაგებდა—„სჯობს პიტლერი, ვიდრე სახალხო ფრანტი“.

მაგრამ თავის უფლებებისმოყვარე ფრანგ ხალხს კომპარტიის ხელმძღვანელობით ერთი წუთითაც არ შეუწყვდებია პიტლერული დამპყრობლებისა და მათი ფრანგი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლა.

შრომის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირზე პიტლერული ურდოების თავდასხმამ გააღრმავა და გააძლიერა ფრანგი შრომელების წინააღმდეგობის მოძრაობა. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული საფრანგეთი ბორჯილვარული სდელდა, მოლაღატე მარშალი პეტენი და აღმირალი დღანა ოკუპანტებთან მუშაობდნენ, ხოლო დევოლუტები კი ლინდონის კლუბებში მხოლოდ პატრიოტულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილ საბრძოლო რახმებში გაერთიანებული მრავალი ასე ასობი შრომელები გმირულ ბრძოლებს ეწეოდა პიტლერული დამპყრობლებისა და ფრანგი მოლაღატეების წინააღმდეგ. შისკოეთან და ეოლგაზე ფაშისტური გერმანიის დიდი სამხედრო დამარცხებების შედეგად არსებულად გაფართოვდა და გაიზარდა ფრანგი პატრიოტების ბრძოლა.

საუცუენო ნაშრომი დიდი ადგილი უთავია 20 წლის წინად გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრანგი შრომელების ერთგული აჯანყების პროცესის ანალიზს. ავტორი დიდი სიუვარტული წერს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარული პარტიის შეიარაღებული აჯანყების შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალზე ძნელ პირობებში კომპარტიამ გახედულად დასძლია დე გოლის, მეზარჯვენ სოციალისტებისა და სხვათა გამოთხვეული რიგების მოქმედება, შექმნა წინააღმდეგობის ერთიანი პატრიოტული ფრონტი და საბჭოთა არმიის დიდი გამარჯვებებით აღფრთოვანებული ფრანგი შრომელები ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ გადაწყვეტენ იერიშზე წაიყვანა. ფრანგმა პარტიზანებმა და „ფრანტირებებმა“ (თავისუფლამა მსროლუებმა), რომელთა რიგებში ბერია იყო საბჭოთა პატრიოტი, საკეთარი ძალეებით ვანთავსებულეს მრავალტარული პარია.

პიტლერულ დამპყრობლებისა და ფრანგი მო-

ლაღატეების წინააღმდეგ ბრძოლაში ომისა და ოკუპაციის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა წევრთა ომადღერი შემადგენლობა 25 პროცენტით. 75 ათასი კომუნისტი შეეწია საშობლოს ერთგულ ინტერესებსა და თავისუფლებას, სწორედ ამიტომ საფრანგეთის სახელოვან კომუნისტურ პარტიას მოწიწებით „დახვრტილთა პარტიას“ — უწოდებენ.

შრომის ავტორი სწორად ასყენის, რომ დიდი და სახელოვანი ტრადიციების მქონე საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას დღესაც მტკიცედ უქარავს ერთგული დამოუკიდებლობის თავისუფლების, შვილობის, დემოკრატიისა და სოციალისტური ბრძოლის დროსა. იგი შეუდრეკლად იბრძვის რევიზიონისმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შევადვირებისათვის.

საქართველო აღნიშნავს, რომ საუცუენო ნაშრომს ამასთან ერთად ვაანია სხვადასხვა ხასიათის ნაკლოვანებები და ხარვევები. სასურველი იყო ნაშრომს დართოდა ლიტერატურისა და წყაროების მიმოხილვა. უფრო ღრმად და ფართო გამოკვლევას საქირობის ფრანგ პატრიოტთა წინააღმდეგობის მოძრაობის ჩასახვისა და ვანეთარების სერიოზი. კარგი იქნებოდა ნაშრომში გაჩვეული ადგოლის დამოზობოდა საფრანგეთის კომპარტიის ლეგენდარული ხელმძღვანელების გაბრილ პერის, დანიელ კახანოვს, პიერ სუპარისა და სხვათა გმირობის ფაქტების ანალიზსა და ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობაში საბჭოთა, კერძოდ ქართველი პარტიზანების მონაწილეობის საყენის.

ნაშრომში არის რამდენიმე არასწორი და დაუზუსტებელი დებულება. შავალითა, პერჯე გვერდზე ავტორი წერს, რომ „1941 წლის დეკემბერში ლერძის სახელმწიფოებმა“ — ფაშისტურმა გერმანიამ, იტალიამ და მილიტარისტულმა იაპონიამ ომი გამოუცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებს“. ეს დებულება არ არის სწორი საყოველთაოდ ცნობილია, რომ მილიტარისტულ იაპონიას ომი არ გამოუცხადებია ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის. 1941 წლის 7 დეკემბერს იგი მას ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს.

სიკბადეს საჭიროებს შრომის 8 და 14 გვერდებზე გ. ბაქრაძის მიერ მეორე მსოფლიო ომის ხასიათის განმარტება. იგი ქერ წერს, რომ „პირველ პერიოდში მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა“, ხოლო შემდეგ აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომში თავიდანვე მიიღო ანტიფაშისტური ვანთავისუფლების ხასიათი, სხვა მიხედვითა ერთად მისა ამოკანს იყო დემოკრატიული უფლებების აღდგენა“.

გ. ხუპანაძე



## ახალი წიგნები

### „საბავრთა საპარტიველო“

- ვაჟა-ფშაველა — ტომი X, რედ. ც. ჭაფარიძე, გვ. 478, ფასი 1 მან. 60 კაბ.
- კონსტანტინე პაუსტოვსკი — ნახტომი სამხრეთისაკენ. თარგ. ვურამ გოგიაშვილისა, რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 456, ფასი 70 კაბ.
- ილია ილფი და ვევენი პეტროვი — თორმეტი სკამი, თარგ. რამაზ კობიძისა, ოქროს კერპი, თარგ. ჭორჩანელე ბისა, რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 620, ფასი 1 მან. 39 კაბ.
- უილიამ თეკერი — ამოუბის ბაზარი. წიგნი მეორე. თარგ. ინგლისურიდან ალ. ვამუცრელიძისა, რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 480, ფასი 96 კაბ.
- გ. ლომიძე — საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თეორიული პრობლემები. რედ. ლ. ფოფხაძე, გვ. 598, ფასი 1 მან. 73 კაბ.
- დ. რამიშვილი — კიბა აბაშიძე, რედ. დ. გამეზარდაშვილი, გვ. 244, ფასი 64 კაბ.
- ვეზა მოლნარი — მარტა, თარგ. შალვა დოლოზერიძისა, რედ. ც. ბუაჩიძე, გვ. 384, ფასი 1 მან. 5 კაბ.
- რაფი — ოქროს მამალი, სომხურიდან თარგმნა არჩილ დავითიანიძე, რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 288, ფასი 67 კაბ.

### „ნაპადული“

- გ. ჭამბურია — გიორგი სააკაძე. რედ. რ. ინანიშვილი, ბ. დარაბეულიძე, გვ. 178, ფასი 40 კაბ.
- არუაშ აშუნდსენი — წემი ცხოვრება. თარგ. გიორგი შელითაურისა. რედ. ა. ბრეგვაძე, გვ. 202, ფასი 32 კაბ.
- გივი ვარდოსანიძე — სიტყვა და ცხოვრება. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 132, ფასი 35 კაბ.
- ვულნარა გოგუა — ეისაბროთ ესპანურად. რედ. ნ. ჭელიძე, გვ. 262, ფასი 60 კაბ.
- ვევენი პერშიაკი — სხვისი ჭიშკარი. თარგ. მარიამ ჭავჭავანიძისა. რედ. ნ. ჩიჩაძე, გვ. 104, ფასი 19 კაბ.
- გივი ჭიჭინაძე — დათუნია დრუნა. რედ. გ. კაჭიბიძე, გვ. 8, ფასი 10 კაბ.
- გრიცო ბოიკო — მხიარული ბავშვები. რედ. გიორგი კაჭიბიძე, გვ. 24, ფასი 13 კაბ.
- იენს სიგსმორდი — პალე მარტოა ჭვევანაზე. თარგ. ჟემალ ნინუასი, რედ. ლ. ქადაგიშვილი, გვ. 30, ფასი 13 კაბ.
- მარჩელო არჩილი, გაბრიელა პარკა — ლურსმანის თავგადასავალი. თარგ. ეკატერინე შიჭაბერიძისა, რედ. ლ. ქადაგიშვილი, გვ. 154, ფასი 62 კაბ.
- მაუვალა მრევლიშვილი — მიუვარს ვეველა ცისარტყელა. რედ. მ. ჭავჭავანიძე, გვ. 8, ფასი 26 კაბ.
- ნ. ნოსოვი — არიცას თავგადასავალი. თარგ. ალექსანდრე ვაბესკირიასი. რედ. ნ. აღანიძე, გვ. 404, ფასი 85 კაბ.
- ცისარტყელა — მოსწაელის კალენდარი — 1965. შემდგენელი ჟ. ბაქრაძე, რედ. ა. ბრეგვაძე, ფასი 72 კაბ.
- ჩენი კოკონი — რედ. ნ. ბეზარაშვილი, გვ. 162, ფასი 30 კაბ.

6 43/38

  
ИНДЕКС  
76128

ՅՆՆՈ 80 ՅՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“